იანვარი და თებერვალი, №№ I და II, 1904 წ.

მოგზაური

1904 წელს ჟურნალი

„მოგზაური“

P-13400

გამოვა იმავე პროგრამით, ე. ი. ჟურნალში დაიბეჭდება ფეოდაგოგიური, სამეურნეო, სამკურნალო, სამეცნიერო და ისტორიულ-გეოგრაფიული წერილები. რედაქცია სთხოვს მასწავლებლებს, მეურნეებს, მკურნალებს და სამეცნიერო საგნების მიმდევართ მოაწოდონ მას ყოველგვარი წერილები მოხსენებულ საგნებიდამ. 1904 წელს ხელის-მომწერნი, ჟურნალს გარდა, მიიღებენ **ხუთს პრემიას**: 1) ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდს სურათს; 2) სურათებიანს დამატებას, ე. ი. თექვსმეტ-თექვსმეტს სურათს ჟურნალის ყოველ წიგნთან; 3) ვახუშტის „სრულიად საქართველოს გეოგრაფიას“, სის საკუთარ ხელ-ნაწერილან მ. გ. ჯანაშვილის რედაქციით დაბეჭდილს; 4) სამეურნეო-საოჯახო ნარკვევს და 5) სამკურნალო-საჰიგიენო ნარკვევს.

ფასი ჟურნალისა იგივე **5 მანეთია**, ხოლო ბარათაშვილის დიდი სურათის დაგზავნისათვის უნდა დაემატოს ერთი აბაზი. პირველი და მეორე პრემიები მარტო იმათ გაეგზავნებათ, ვინც მოხსენებულს ხუთს მანეთს და ერთს აბაზს ერთად შემოიტანს.

ადრესი ფოსტათ:

Тифлисъ, Редакціи „МОГЗАУРИ“ (Межевая улица, № 72).

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

თბილისი

სტამბა ა. ქუთათელაძისა, ნიკოლოზის ქუჩა, № 81.

1904

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
Ц.Н.Б.

Дозволено цензурою, Тифлисъ, 3-го Ноября, 1903

გრძნობათა

ნერვების აღსრდა.

მოგეხსენებათ რა არის ნერვები. ეს არის ჩვენი სხეულის ის ნაწილები, რომლებითაც აზროვნობს და მოქმედობს ადამიანი სულიერად და ხორციელად. ნერვებს ეკუთვნის: 1) გარე ნერგვები, რომლებიც იწყობიან ჩვენი სხეულის გარე ნაწილებიდამ (კანიდამ), მიდიან ნერვების ცენტრებისკენ და ამ გვარად გადასცემენ უკანასკნელებს გარე ბუნებისგან აღძრულ და მიღებულ ყოველგვარ შთაბეჭდილებას; 2) ნერგვებას ცენტრები (თავისა და ზურგის ხერხემლის ტვინი), რომლებიც აღძრავენ და დაამუშავებენ ამ მიღებულ შთაბეჭდილებებიდამ აზრს და მოქმედებას და 3) შადა ნერგვები, რომლებიც იწყობიან ნერვების ცენტრებში და გადასცემენ ამ დამუშავებულ აზრს და მოქმედებას სხეულის სხვადასხვა ორღანოებს სამოქმედოდ (თვალს, გულს, სტომაქს, ხელებს, ფეხებს და სხვ.). ნერვების ცენტრები შესდგებარბილ ტვინისებურ ხორცისაგან, ხოლო თითონ ნერვები—ძაფისებურ, ძაფსავით გაგრძელებული ხორცისაგან. გელმგოლცმა გამოიანგარიშა, რომ მიღებული შთაბეჭდილება გარბის შიდა ნერვების საშუალებით ნერვების ცენტრებისაკენ 60-ს ადლამდის წუთში, ხოლო ნერვების ცენტრებში აღძრული აზრი თუ სურვილი გადაეცემა გარე ნერვებით სამოქმედო ორღანოებს უფრო ნაკლების სიჩქარით. შიდა ნერვებს აქვთ მეტის-მეტათ გრძნობიარე ბოლოები: საკმაოა ოდნივ შეხება ბუმბულით ჩვენის სხეულის კანთან,

რომ უკვე იგრძნოთ მიკარება; საკმაოა სურნელის სულ უმ-
ცირესი ნაწილის მოფრქვევა ოთახში, რომ მყისვე იგრძნოთ
იგი ყნოსვით; საკმაოა ძილში ოდნავ მიკარება ყურზედ, რომ
მთელ ხმაურობად გაიგოთ იგი. თვალის გრძნობიერებაზედ სი-
ნათლისადმი ხომ ლაპარაკიც მეტია, რადგანაც საკმაოა მეა-
სედი დრო წუთისა, რომ თვალმა იგრძნოს სულ უმცირესი
სინათლეც კი.

ცხადია, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონ-
დეს ასეთი საჭირო ორღანოების წესიერად აღზრდას. ამაო
იქნება ჩვენი ყოველი ცდა ბავშვების საუკეთესოდ აღზრდა-
ში, თუ ჩვენი უმთავრესი ყურადღება ამ ორღანოების საუ-
კეთესოდ აღზრდას არ მივაპყარით. უმთავრესი კითხვა აქ ის
არის: რა დროდამ უნდა იწყობოდეს წესიერი აღზრდა ადამი-
ანის ნერვებისა და გრძნობებისა და როგორა? პასუხი ერთია:
დაბადებიდამ, ანუ უკეთ ვსთქვათ, ცოლ-ქმრულის კავშირის პი-
რველ დღეებიდამვე, რადგანაც, სულ ერთი როდია—ლოთი,
მთვრალი, დაქანცული, ავათმყოფი თუ ყოვლად-საღნი და
ურთ-ერთ თანაზიარნი უკავშირდებიან ერთმანერთს ცოლ-ქმა-
რნი!?. რომ საუკეთესო ხიდამ საუკეთესო ნაყოფი მიიღება,
ეს ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ის კი შეიძლება ყველას
არა გვქონდეს გათვალისწინებული, თუ რატომ არის საჭირო,
რომ ცოლ-ქმრული კავშირი ყოვლად სრული, ე. ი. თანხ-
მობით, სიყვარულით, ერთმანერთის თავდადებით და პატი-
ვისცემით იყოს სავსე.

ამის საჭიროება აღზრდის საქმეში წარმოსდგება იქიდამ,
**რომ ყოველს ბავშვს, უპირველეს ყოვლისა ეხსნება გრძნო-
ბანი.** გრძნობა კი მაშინ იხსნება ბავშვში წესიერად, როცა
ყოველი დამოკიდებულება მშობელთ შორის სავსეა ადამია-
ნობით, ანუ როგორც ვსთქვით, თანხმობით, სიყვარულით და
ერთმანერთის თავდადებით და პატივისცემით, რადგანაც, წი-
ნააღმდეგ შემთხვევაში, ბავშვი ხშირად იქნება მოწამე ყოველ-
გვარ მავნებელ შთაბეჭდილებებისა და იგი, რა თქმა უნდა,

მტკიცე და მოსიყვარულე გრძნობების ნაცვლად შეიძენს მხოლოდ შიშს, შურს, სიანჩხლეს და სხვა ათასგვარ მავნებელ მიდრეკილებათ. მაშ აგრე: ბავშვთა ნერვების და გრძნობების წესიერად აღზრდისათვის საჭიროა: 1) გონიერად კვება და ფიზიკური აღზრდა ბავშვისა და 2) ფიზიკური და სულიერი ხისრულე ე. ი. **სრული ჭარმოანია იმ ორ არსებათა შორის, რომელსაც ცოლი და ქმარი ეწოდება.** აი, რატომ არის საჭირო, რომ **ჩვენი ახალგაზდება თვისს ცოლ-ქმრულს** დაკავშირებაში, უპირველეს ყოვლისა, ამ ფიზიკურსა და სულიერს ჭარმოანიას ეძებდნენ...

ივანე როსტომაშვილი.



როგორ ზრუნავენ ჩვენი დედები თვისს შვილების აღზრდაზე.

რამდენადაც სწავლული და განვითარებულია ადამიანი, იმდენად მეტ შრომასაც უნდა მოველოდეთ მისგან მშობელი ხალხის სასარგებლოდ. ხალხის კეთილდღეობისათვის და მის ცხოვრების პირობების გაუმჯობესობისათვის შრომა პირდაპირ დანიშნულება-მოვალეობას უნდა შეადგენდეს ყოველი ასეთი გვამის სიცოცხლის მიზანს. ვერ მოვსთხოვთ უვიცს იმას, რასაც სწავლულს, რადგანაც პირველს არ შეუძლია საცხოვრებელი პირობები გაიუმჯობესოს ისე, როგორათაც მეორეს. მაშასადამე, პირველი—ბრმაა ცხოვრების გზაზე, მეორე კი—თვალხილული.

ცოლი და ქმარი—აი დარიბი გლეხის ოჯახი. რა აწევს ტვირთად მამა-კაცს (ქმარს)?—ის მუშაობს ყანაში (მისი სიმდიდრე, იმედი—მიწაა!), რომ სარჩო, სიმინდი ჰქონდეს; მოაქვს საზამთროდ შეშა, რომ სიცივით არ დაიხოცნენ, მიდის ქალაქებში სამუშაოდ, რომ ფული მოიტანოს სახლში და მით დაიკმაყოფილოს ათას-გვარი მოთხოვნილება, რომელიც მძიმე ტვირთად აწევს კისერზე... ახლა გავითვალისწინოთ დედაკაცის მოქმედება (ცოლისა): პირველ ყოვლისა მთელი ოჯახის შინაურული სიმდიდრე, საქმიანობა მასზეა დამყარებული: აკეთებს ბაღჩას (ბოსტანს), აშენებს შინაურ ფრინველებს, სწველის ძროხას, ამოქნის ყველს, მიალაგ-მოალაგებს სახლს, დი-

ლიდან-საღამომდე საქმე არ გამოელევა, ერთს რომ გაათავებს, მეორე თხოულობს გაკეთებას და ასე მუდამ.

მაგრამ ესენი იმდენათ არაფერია რამდენადაც ძნელია მისთვის შვილის გამოზრდა. მიუხედავათ აუარებელ საქმეებისა ის (დედა გლეხის) თავის დროზე აჭმევს, თავის დროზე ამოიყვანს აკვნიდან, დაჰბანს, დააწვენს, მშობლური სიყვარულით უყვარს შვილი და სხვას არ ანდობს: ცალ ხელში შვილი უკავია და მაინც მუშაობს, შრომობს, შესვენება არა აქვს. რასაკვირველია, ყველა ამაებს ხედავს ჯერ პატარა ბავშვი, ღრმა ფესვებს იკიდებს მის ხსოვნაში და როცა წამოიზრდება, ისიც შრომობს, მუშაობს და ეხმარება დედ-მამას. თუ გლეხს იმდენი შეძლება აქვს, რომ შვილი სკოლაში მისცა—კარგათ სწავლობს. საზოგადოთ გლეხის მდგომარეობა ისეთია, რომ ვაჭირვება-შევიწროებაში იმყოფება და ამის გამო უსწავლელი გლეხის ცოლი თითონ ზრდის, ეუბნება ნანინას გამჭვარტულ აკვანში მწოლიარე შვილს და ეს უკანასკნელიც მოკლებულია ფუფუნება-სისათუთეს. ამ რიგად გამოზრდილი შვილი არა ჰკარგავს თავის მშობლიურ ენას.

თუ ღარიბი, უსწავლელი გლეხის შვილი ამნაირ გაჭივრებულ პირობებში იზრდება და იცის თავის დედა-ენა, რა თქმა უნდა, რომ განვითარებულ, ნასწავლ დედას უკეთესი შვილი უნდა გამოუვიდეს და უფრო უკეთ უნდა ესმოდეს დედა-ენა! ეს ასეც უნდა იყოს, მაგრამ ნამდვილათ კი სხვასვხედავთ!.. დასამტკიცებლათ გავითვალისწინოთ, თუ რა ნაირად ზრდიან ნასწავლი დედები შვილებს და რა შედეგი აქვს ამნაირ აღზრდას. ნასწავლი დედა სახლში არ ხელ-საქმობს, მისი ოჯახის მოვლა-პატრონობა გოგო-ბიჭებზეა დამყარებული და შვილის აღზრდა კი უცხო „ნიანკებზე“.—როგორ, განა უსწავლელი გლეხის დედა ამ მხრივ რითი განსხვავდება სწავლულ-განვითარებულ დედისგან? მეორეც ხომ ისეთი ადამიანია, როგორიც პირველი? მეორეს ხომ უკეთ ესმის ცხოვრება, მისი პირობები და არც იმდენს გაჭირვებაში იმყოფება, როგორც პირველი? განა

დედის შვილისადმი სიყვარული ერთი და იგივე არ არის? მაგრამ ჩვენი განვითარებული დედების მეტი ნაწილი სხვა ფიქრით არიან გამსჭვალულნი, სხვა ინტერესები აქვთ მათ: დადიან კლუბებში „პროფერანსს“, „რამსს“, „ტიოტკას“ და სხვების სათამაშოთ, დადიან მეჯლიშ-ნადიმებზე საცეკვაოდ, ბრუნდებიან სახლში ღამის 2—3 საათზე დაღლილ-დაქანცულნი, თავ-ბრუ დახვეულნი და მეორე დღეს 12 საათზე დგებიან, ჩაის მიირთმევენ, შემდეგ ეტლით გაისეირნებენ, 5 საათზე სადილს მიირთმევენ და სადილის შემდეგ კვლავ სძინავთ ცხრა საათამდი, სანამ, კლუბში წასვლის დრო მოაწევდეს. აი, სწავლულ დედათა მთელი დღის შრომის ჯამი! მათი პატარა შვილი ვიღასთან არის, როგორ არის?—„ნიანკას“ ჰყავს მიბარებული, მან უნდა აჭამოს, დააწვინოს, გამოზარდოს, ეალერსოს, და განა „ნიანკას“ შეუძლია ნამდვილი დედობა გაუწიოს სხვის შვილს?! ბავშვმა უმეტეს შემთხვევაში ასეთი დედების ძუძუს გემოც არ იცის, რძეს მათ კოვზით ან საწოველათი აჭმევენ. დედა თუ მიეალერსება შვილს, ისიც „ვეჩერში“ წასვლის დროს, როცა „უცხოთ“ ჩაცმულია, მივა აკოცებს (ხელშიც არ აიყვანს) და ჩაურუსულებს: „ты мой ангелъ, „душа“, თვარა ქართულებ ხომ არ გამოელაპარაკება, ხომ არ ეტყვის: „ჩემო ტურფა, მშვენიერო“!.. ასეთის გაზრდით როგორი შვილი იქნება, ან რაფერ ეცოდინება მას მშობლური ენა! შემდეგ კი, როცა გაიზრდება და ცხოვრებაში გამოვა, უსაყვედურებენ: ქართველია და ქართული არ იცისო. აქ შვილი რა შუაშია, ის სრულიად დამნაშავე არ არის... დამნაშავეა ქართველი დედა, რომელსაც დაჰვიწყებია თავისი მოვალეობა და თავის სწავლა-ცოდნას უბრალო, უნაყოფო დროს გატარებაში ჰკარგავს, რისგამოც მისი მისწრაფება-ინტერესები სრულიად ეწინააღმდეგება ნამდვილ დედის ინტერესებს... ამნაირად მე იმ აზრისა ვარ, რომ შვილი დედამ უნდა გამოზარდოს და არა „ნიანკებმა“, ელაპარაკოს მშობლიურ ენაზე, რომ შვილმა იცოდეს თავისი ენა, თავისი ვინა-

ობა და სამსახურის გაწევაც ასწავლოს, როგორც თავის მოძმისას, ისე მთელ კაცობრიობასაც..

აი რას სწერს ქალაქიდან ჩემ ნაცნობ მანდილოსანს ქართველი დედა: „Дорогая Нина! мое семейное положеніе არ არის კარგათ! შვილები ავათ მყვანან, თამარას და ვალოდიას сорокъ градусовъ სიცხე აქვს, რა ვქნა არ ვიცი, მაგრამ, несмотря на это, ყოველ საღამოს „კრუჟოკში“ დავდივარ და кавалеры въ восторгѣ ჩემი ტანცაობით!..

Любящая Васъ Пасико!“.

სწორეთ საცინელია, სასაცილო რომ არ იყოს! მაშ ვისგან უნდა მოველოდეთ ნამდვილ ქართველების მომავალ თაობას: ასეთ ნასწავლ დედებისაგან, თუ უსწავლელ გლეხის დედისაგან?!

დათიკო ელბეტისშვილი.

ალზრდა ერისა

და

საზოგადოებისა.

პიროვნების (ინდივიდუალობის) გახსნა ერში *).

სადაც უნდა ავიღოთ ვირ-თაგვა და კურდღელი, მელია და მგელი, ისინი ყველგან წარმოგვიდგენენ ერთს სახეს, ერთს ნაკვთს ჯიშისას და აქვთ ყველგან ერთნაირი ინსტიქტები და ზნენი. სრულიად სხვასა ვხედავთ ადამიანებში, რომლებშიაც გემო, გრძნობანი და ნიჭები იმდენათვე განსხვავდებიან ერთიერთმანერთისაგან, რამდენათაც მათი გარეგნობა. **განსაკუთრებულად ამ განსხვავებათა** აუცილებლად საჭიროა, რომ ადამიანი ცხოვრობდეს თვისს მსგავსთა შორის, ე. ი. სხვა ადამიანებთან ერთად, მაშასადამე, საზოგადოებაში, ხალხში. სადაც არ არის ეს პირობა, იქ ყოვლად შეუძლებელია ადამიანის პიროვნების, ე. ი. მისი პირადი თვისებების განვითარება. გერმანიის და ინდოეთის ველურები ისე მცირედ განსხვავდებიან ერთმანერთისაგან, რომ, როდესაც კითხულობთ ერთზე, გგონიათ, რომ მეორეებზე კითხულობთ! ამათგან რომ გადავიდეთ იმ ხალხებზედ, რომლებშიაც, მცირედაც არის, განვითარებულია საზოგადოებრივი ცხოვრება, ჩვენ დავინახავთ ცოტათი უფრო მეტს განვითარებას თვითეულის პიროვნებისას, თვითეულის პირად ღირსებებისას. ხოლო, უმაღლესი ხარისხი პიროვნების **განვითარებისა** უნდა მოვძებნოთ იქა, სადაც მრავლად არის სხვადასხვა ხელობა და ხელოვნება, საქმე

*) იხ. „მოგზაური“ № 11—12, 1903 წ.

და ასპარეზი, სადაც დიდი მოთხოვნილებაა გონებრივ და სხვა ყოველ გვარ შრომაზედა, სადაც, მაშასადამე, არსებობს დიდი მიდრეკილება ურთიერთობისადმი, ერთი სიტყვით, განვითარებულს ქალაქებში, განვითარებულს ხალხებში. ამის სიმართლეს ვხედავთ ყველგან და ყოველთვისა.

ქვეყნის არც ერთს სახელმწიფოში არ იყო **ადამიანის ბირთვნება** ისე განვითარებული, როგორც საბერძნეთში ქსერქსის დროს. პერიკლის დრო, უმთავრესად, დიდებულია დიდებით იმ დროის კაცებისა. ხოლო, შემდეგ ათინის აოხრებისა სპარტანელებისაგან, **თავისუფალი მიდრეკილება ურთიერთობისადმი და მასთან ერთად თვითეულის ბირთვნების განვითარებაც ისე შემცირდა**, რომ თავისუფალი მოქალაქენიც კი სრულიად მოისპნენ.

ესევე იყო იტალიაში, სადაც უმაღლეს ხარისხამდე **ბირთვნების განვითარებას** ჩვენ ვხედავთ სწორეთ იმ დროს, როდესაც იტალია მოფენილი იყო უთვალავი ქალაქებითა. მათის დაცემის შემდეგ, ძლიერდება რომი, ივსება იგი გლახებითა და ხდება სატახტო ქალაქად ქვეყნისა, რომელსაც შეამუშავებდნენ მარტო მონები.

ასეთსავე შესანიშნავ მოქმედებას და პიროვნების განვითარებას იჩენდა იტალია საშუალო საუკუნოებში, როდესაც მასში მეტად გამრავლდნენ და გაძლიერდნენ ქალაქები. ამასვე ვხედავთ ბელგიასა და ესპანიაში უკიდურეს ცენტრალიზაციის შემოღებამდე, რომელიც დამყარდა ამ ქვეყნებში ესპანეთიდამ მავრების განდევნის და ოქრო-ვერცხლის აღმოჩენის შემდეგ ამერიკაში. ესევე იყო სამეფოებში, რომლებიც შეეფარნენ ინგლისსა—ირლანდიასა და შოტლანდიაში. უკანასკნელში, სანამ იგი თავისუფალი იყო, ჩვენ ვხედავთ ისეთს გამოჩენილს კაცებს, როგორც ბირკე, ფლუდი, გრეტანი, შერიდანი და ველინგტონი, ხოლო ინგლისთან შეერთების შემდეგ, შოტლანდიას წაერთვა ადგილობრივი თვით-გამგებლო-

ბა და ამიტომაც მოისპო იქ **პიროვნების განვითარებაც და ურთიერთთანდმი მიდრეკილებაც.**

ესევე განმეორდა ირლანდიაში: დამოუკიდებლობის დროს მასში იყვნენ იმისთანა მამულის შვილები, რომლებსაც ეჭირათ პირველი ადგილი ევროპაში, შემდეგ ინგლისთან შეერთებისა კი, იქ თითქმის აღარც დაბადებულა თავისუფალი მოაზრე.

ახლა რომ მივუბრუნდეთ საფრანგეთსა, დავინახავთ, რომ იქაც **ურთიერთობა და პიროვნება** ეცემა და ისპობა მეX-IV ლუდოვიკოს დროს, როდესაც უკიდურეს ხარისხამდე მიაღწია ხელის ცენტრის უფლებამ და თითქმის მთელი საფრანგეთი იყო მხოლოდ რამდენიმე დიდრონი მემამულის და უმაღლესი სასულიერო პირების ხელში...

აქედამ რომ გადავიდეთ ჩრდილო ამერიკის შეერთებულს შტატებში, დავინახავთ ფრიადს განვითარებას პიროვნებისას და ურთიერთობისას, რადგანაც იქ მრავალია ადგილობრივი ცენტრები, რომელნიც ხელს უწყობენ და მეტად მძლავრადაც აღორძინებენ ხალხში **პიროვნებას და ურთიერთთანდმი მიდრეკილებას.** რადგანაც იქ ყველა ჰხედავს, რომ თუ მოისურვებს და გაირჯება, ნამდვილად შეუძლიან უმაღლეს ხარისხამდე ამაღლდეს, ამიტომ მეჯის-მეტადაც ცდილობენ **პიროვნებას,** ე. ი. თვისი პიროვნული ღირსებების განვითარებას, რასაც, ეჭვი არ არის, აუცილებლად მოსდევს კეთილდღეობა და წარმატება—პირადი და საზოგადოებრივი, საერთოდ. მაშ ეგრე: ადგილობრივი თვით-მოქმედება ანუ თვით გამგებლობა არის საუკეთესო სკოლა როგორც ხალხისა და საზოგადოების, ისე ყოველ მისი წევრის პირადი ღირსებების, ანუ მოკლეთ, პიროვნების განვითარებისათვის... ამავე მიზეზით მოსწავლის, მისი ბუნების და კვალად, აღზრდა-განვითარება არის ძირითადი მოთხოვნილება პედაგოგიისა, მაგრამ, სამწუხაროდ, როგორ შორს არის ჩამორჩენილი დღევანდელი სკოლის წეს-წყობილება პედაგოგიის ამ დიადი დებულების შეს-

რულებიდგან!? დღევანდელი სკოლა მისდევს მხოლოდ მთელი კლასის, როგორც ერთიანის ბრბოს, გახსნას და არა ყოველი მისი წევრის პიროვნების განვითარებას... ეს უკანასკნელი დღეს სრულიად შთანთქმულია **მთელისგან**. იშვიათად გვინახავს, რომ დღევანდელი მასწავლებელი თვითეულად ასწავლიდეს, თვითეულ ხელმძღვანელობდეს მოსწავლეს, მისდა საჭიროების და გვარად, იგი ასწავლის მხოლოდ მთელს კლასს, მთელს ბრბოს, თითქოს ეუბნებოდეს: ვისაც შეგიძლიანთ ისწავლეთ, ვისაც არა—თუნდა კლდეზე გადაცვივდითო...

ივანე როსტომაშვილი.

დღევანდელ პედაგოგიაში აღძრულ კითხვის გამო.

(ვუძღვნი ჩვენებურ პედაგოგებს).

თუმცაღა თვით სიტყვა „მასწავლებელიც“ საკმაოთ ახასიათებს დღევანდელ მასწავლებელთა მძიმე და რთულ (მრავალ-ფეროვან) მოვალეობის დიად მნიშვნელობას, მაგრამ მის კიდეე უფრო ნათლათ გამოსარკვევათ დავიწყებ იქიდგან, თუ საიდგან წარმოსდგა სიტყვა „სწავლა-განათლება“ და ან ვისი ნაყოფია ის?

თქმა არ უნდა, რომ ქვეყნის გაჩენისათანავე სწავლა-განათლება არავის დაჰყოლია თან (დაბადებიდგანვე) და ამიტომ ასეთი სახნლ-წოდებაც იმ დროს, ეჭვი არ არის, ყველასთვინ უცხოც იყო. რაც დღეს ყველასთვინ ცხადია და იოლათ გასაგებ-შესასრულებელი, ის მაშინ ყველასთვინ ბურუსით იყო მოსილი და ამასთანავე მათთვინ ყოვლად გაუგებელ-შეუსრულებელი. ამიტომაც თვითეული ასეთი საგნის გაგება იმათგან აუარებელ ადამიანთა მსხვერპლს, აუარებელ ძალას თხოულობდა. რატომ?—იმიტომ, რომ იმ დროს არ იყო ცოდნა, არ იყო გაგება-მოსაზრება, არ იყო თავის დროზედ მორიდეგა-შიში და არც მისი შესაფერი გამბედაობა. ერთი სიტყვით, იმათ უხდებოდათ ყოველგვარ მოვლენებთან და მავნე გარემოებებთან ბრძოლა ინსტიკტიურად... იმათი თვითეული ფეხის ნაბიჯი, იმათი წინ-სვლა და თვით ბრძოლა არსებობის-

თვის სწორეთ ისეთი იყო, როგორიც შეიძლება იყოს დღეს ბრმა და ყრუთათვის ოღრო-ჩოღროიანი ადგილის სხვის დაუხმარებლად გავლა. ამნაირად, თვითეულის იმათგანის უკვე წინ გადადგმული ფეხის ნაბიჯი უეჭველად ადამიანთა სისხლით იყო მორწყული; ყოველ გვარი იმათი მოძრაობა-მოქმედება ბნელით იყო მოსილი და ამიტომაც, ამ უკანასკნელში თვითეული იოტის ოდენა სინათლის შეტანაც კი, უთვალავ მსხვერპლს თხოულობდა იმათგან.

აი, სწორეთ ასეთ ბნელით მოცულ მდგომარეობას უწოდა ადამიანმა (რასაკვირველია, დროთა განმავლობის შემდეგ) **უსწავლელობა-გაუნათლებლობა.** და უწოდა (ეს სახელი) სწორეთ იმ დროს, როცა მათში უკვე დაიწყო შეშუქება სწავლა-განათლების სხივებმა. ამ დროსვე შეამჩნია ადამიანმა (თუმცა კი ბევრი დაკვირვების, ბევრი ვაი-ვაგლახის და წვალების მერე) შემდეგი: რომ მას საქმე აქვს არა მარტო **უცოდინარობასთან,** არამედ **სიღარიბესთანაც.** რომ ეს ორი საგანი ერთმანეთს ამაგრებს-აძლიერებს და თვითონაც ერთმანეთის ნაყოფი არიან! რომ უსწავლელობა-გაუნათლებლობა და სიღარიბე ერთმანეთის მოტრფიალეა და ამიტომ, სადაც ერთია, იქ უსათუოთ მეორეც არის და სადაც მეორეა, იქ უეჭველად პირველიცაა; რომ ისინი, თუმცა ორ-სახელიანია, მაგრამ მაინც ერთ ქურქში არიან (ღარიბ და უცოდინარ ადამიანში) მომწყვდეული და ერთ და იმავე არსებას, საგანს შეადგენენ! მაგრამ ამასთანავე ისიც შეუტყო (იმათ), რომ ისინი განუშორებელი მეგობრები არიან ერთმანეთისა მხოლოდ იმ დრომდის, სანამ ერთ და იმავე ქურქში არიან მომწყვდეულნი და ერთს არსებას, ერთს საგანს შეადგენენ. ხოლო, ვაი თუ როშელიმე მათგანმა წინ გადასდგა ფეხი და საერთო ქურქიდგან გამოსვლა მოინდომა!.. მაშინვე მეორეს ებადება შური და საშველადამოთ მისს შეურიგებელ მტრად ხდება... რატომ?—იმიტომ, რომ ერთის წინ წაწევა—მეორის უკან დაწევას (მასთან დაშორებას) ნიშნავს და ერთის გამარჯვება—მეორის დამარ-

ცხებას. ერთი სიტყვით, აღმოჩნდა, რომ ისინი ყოფილან ერთმანეთის უტყუარი მეგობრები მხოლოდ იმ დრომდის, სანამ ორივენი ერთნაირის ძლიერებით მიილტვიან თავიანთი სახელწოდებისაკენ, ე. ი. უცოდინარობა უცოდინარობისაკენ და სიღარიბე სიღარიბისაკენ!.. ამიტომაც ადამიანი აქვე შეუდგა იმის საზრვას, თუ როგორ შეეწყო ხელი (ხელოვნურად) იმათს ერთმანერთთან დაშორებისათვის, მაგრამ ამაზედ შემდეგ. ამ ნაირად, თვითეული მათგანი (უცოდინარობა და სიღარიბე) ყოველივე ღონეს ღონობდა, რომ ერთმანეთის საერთო ქურქიდგან გამოსვლისათვის, როგორმე ხელი შეეშალათ, მაგრამ აქაც (იმათდა საუბედუროდ) დროთა განმავლობის დაკვირვებამ გამო

მოსკუპდება!.. დიახ, თავდაპირველად სიღარიბე და უცოდინარობა ერთს ქურქში იყვნენ მომწყვდეულნი (როგორც დღეს) და ერთს არსებას შეადგენდნენ; მაგრამ ბოლოს უკანასკნელმა ულალატა, გამოეთიშა მეორეს; ან უკეთ რომ ვსთქვათ, გამოძვრა საერთო ქურქიდგან, გზაზედ გადადუღდა-გადახალისდა და შემდეგ სულ სხვა ადგილას, ახალ ქულაჯაში გამოიჭიმა „სწავლა-განათლების“ სახელით.

ამნაირად, ვიმეორებ, უსწავლელობა-გაუნათლებლობა (რომელიც გამოძვრა საერთო ქურქიდგან), ბევრი ვაი ვაგლახის შემდეგ, სწავლა-განათლებად გარდაიქმნა (გამოუცდელობის ადგილი, ხანთა განმავლობის შემდეგ, გამოცდილებამ დაიჭირა), მაგრამ ეს უკანასკნელი არც ამით დაკმაყოფილდა!.. როგორც ამხანაგის ჩვეულმა, იგი განტოლვილ ცხოვრებას ვერ შეურიგდა (უამხინაგოთ ვერ დასდგა) და ამიტომაც დაიწყო ხელმეორეთ მეგობრის ძებნა, რომელსაც უნდა შესძლებოდა მისი სურვილებისა და მოთხოვნილების ყოველის მხრით დაკმაყოფილება. და აი, ასეთი უსასყიდლო ამქარი და ძმა-ამხანაგი უკვე აღმოაჩინა მან „ფულში“, ანუ „სიმდიდრეში“ და ამიტომაც არის, რომ დღევანდელი სწავლა განათლებაც მასთან მიილტვის ყოველ თავისი ძლიერებით და მასთან შეკავშირებისათვის იკლავს თავს!.. ასე და ამნაირად, **ერთის მხრით გამოიჭიმა სწავლა-განათლება და „სიმდიდრე“, ხოლო მეორეს მხრით კი ისევ უსწავლელობა-გაუნათლებლობა და „სიღარიბე“** [2]). ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, სადაც უცოდინარობაა—იქ უსათუოთ სიღარიბეც არის და სადაც სიღარიბეა—იქ უცოდინარობაა. აგრეთვე, სადაც ჭეშმარიტი (და არა ყალბი) სწავლა-განათლებაა, იქ უეჭველად სიმდიდრეც არის და სადაც სიმდიდრეა, იქ სწავლა-განათლებაცაა. უკეთ რომ

---

[2]) უცოდინარობამ ისევ ღარიბი მოინახა და იქ ჩაბუდდა, ხოლო სწავლა-განათლება კი მდიდრისკენ გაექანა და იქ გაიჩინა თბილი ბინა.

ვსთქვათ, დღეს სწავლა-განათლებისგან სიმდიდრე იბადება და სიმდიდრისგან—სწავლა განათლება [3]). ამნაირად, გამოდის, რომ სწავლა-განათლება არ არის ერთი და ორი პირისგან გაჩენილ-გამოგონებული, არამედ შექმნილია ის ბუნებრივად, საუკუნოებით და შეადგენს ხალხთა ხანგრძლივ დაკვირვება-გამოცდილების ნაყოფს. ჩავყვეთ კიდევ ქვევით. რა კი ადამიანმა თავისი მაღალი ღირსება-დანიშნულება შეიგნო და მათში კაცთ-მოყვარეობის გრძნობამ შეაშუქა, ის მაშინვე შეუდგა იმის საზრვას, თუ რანაირად უზრუნველ ეყო მას მომავალი თაობა იმ აუტანელ გაჭირვება-წვალებისაგან, რომელიც უკვე განვლო საუკუნოებით შექმნილმა გამოცდილებამ? და აი, სწორეთ აქედგან იწყება მათ შორის **ზეპირ გადამცემლობა** და **ქადაგება**, რამაც შემდეგში გამოიწვია **მწიგნობრობა**; მწიგნობრობამ წარმოშობა (შექმნა) **პედაგოგიკა**; ხოლო ამ უკანასკნელის რთული მოქმედების შესრულება ხალხმა თავს ადვა ისეთ რჩეულ პირთ, რომლებსაც დღეს ვუწოდებთ „**მასწავლებელს**“. ყველა ზემოხსენებულიდგან მკითხველი უსათუოთ თავისთავადაც მიხვდება - თუ რამდენად რთული და მრავალ-ნიშნოვანია საზოგადოთ მასწავლებელთა მოვალეობა.

ისინი მარტო ბავშვების მასწავლებელნი როდი არიან, არამედ მთელის ხალხისაც!..,.. იმათი ბავშვების მასწავლებლად წოდება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, რომ იმათგან გაწრთვნილ-ნასწავლნი მარად ბავშვებად რჩებოდნენ, მაგრამ ეს ხომ ასე არ ხდება!.. დღეს პატარა კაცუნები, ხვალ ვაჟკაცები ხდებიან, მამების ადგილებს შვილები იჭერენ; ცხოვრების მძიმე უღელი ეხლა ამათ აწვებათ კისერზედ და ამნაირად—მეორე ახალ მასწავლებელს ნელ-ნელა ახალი ხალხი, ახალი თაობა უმზადდება, მაგრამ მაინც **ხალხი** და არა **პატა-**

---

[3]) წინეთ სიმდიდრისგან სწავლა-განათლება მხოლოდ ძლიერდებოდა და დღეს კი.....

ტვრანი და ეზოში მოთამაშე მოწაფეები!!... ამიტომ, თუ ხალხისგან მონაბარებ ბავშვებს მასწავლებელი ხალხსვე არ უმზადებს ცხოვრებისათვინ, იმ შემთხვევაში ის, რა თქმა უნდა, მიზანსაც ვერ აღწევს... ხალხი აბარებს თავიანთ შვილებს მასწავლებლებს რატომ?—იმიტომ, რომ მათს შვილებს იმათ ისეთი გონივრული განვითარება მისცენ, ისეთი ცოდნა-განათლება, რომლის შემწეობითაც—გონივრული და ღირსეული ცხოვრებაც შეეძლებოდესთ, რომ მათი შვილები იმათ უფრო ოსტატურათ, ფარ-ხმალით შეიარაღებული და მძლავრები დაუბრუნონ სახლში ცხოვრებასთან საბრძოლველად, მაგრამ..... მაგრამ ისა, რომ სტყუვდება..... და სტყუვდება ვინ?—საწყალი და მრავლად წამებული მშრომელი ხალხი!!!... რატომ? —იმიტომ, რომ იმათ, გამოცდილ-განვითარებულის შვილის მაგივრათ, მოსდის სახლში ყოვლად უვიცი და ცხოვრებაში ყოვლადვე გამოუსადეგარი სტუმარი, რომლის რჩენა-მზრუნველობას ისევ მანვე უნდა გაუწიოს ანგარიში!!!

აი, ასეთია დღეს ჩვენებური სკოლების შრომა-მოქმედება (მოღვაწეობა), მიმართული ხალხისადმი და ამის დამამტკიცებელ საბუთად დღეს ჩვენებურ „კურსოვნიკების“ მოქმედება-მოღვაწეობაც კმარა. მივუბრუნდეთ ისევ სახალხო სკოლას და ვიკითხოთ: რას ჰმატებს დღევანდელს, ყოველის მხრით დაქვეითებულს ოჯახს სოფლის სკოლაში სწავლა-დამთავრებული შვილი?—იმას, რომ მან ეხლა უკვე წერა-კითხვა იცის!.. რით ინუგეშოს თავი სიღარიბის ბრჭყალებში ჩავარდნილმა დედამამამ? ისევ იმითი, რომ მისმა შვილმა დღეს უკვე წერა-კითხვა იცის... დიახ, გავიგეთ, რომ წერა-კითხვა იცის, მაგრამ რა ნაირად გამოიყენოს მან მარტო მშრალი წერა-კითხვა ცხოვრებაში?!!. აი, ამის პასუხი კი ეხლანდელ ჩვენებურ სასკოლო პროგრამას უნდა მოვჰკითხოთ... ამნაირად, გამოდის, რომ შენ, მამაჩემო, ისევ ჩვეულებრივათ უჩახუნე თოხი გამხმარ გოროხებს [4]) ყანაში და მე კი ისევ... მაგრამ ეჰ, სჯობს

[4]) გოროხები ანუ ბელტი მიწები.

დანარჩენი წერტილებმა განაგრძოს...!!!... და სწორეთ ამიტომაც არის, რომ ასეთის ცოდნით აღჭურვილს შვილს მამა ეუბნება დღეს: „არა, შვილო, სკოლაში თუმცა არ მისწავლია, მაგრამ წერა-კითხვა მეც ვიცი... და მის მიზეზით მეც, რომ შრომას შენებრ ტყუილად ყოფნა მერჩია, მერწმუნე, რომ ეხლა არც ერთის თქვენგანის ჭაჭანებაც კი არ იქნებოდა ქვეყანაზედ... ამიტომაც გიბრძანებ: ბრიყვულად ნუ იქცევი; ეგ შენი ცოდნა სამერმიოთ შეინახე და ეხლა კი თოხით ამომიდექ გვერდში, რათა ისევ ძველებური მოსაზრებამოქმედებით იქნებ ეგ გაძაღლებული სული როგორმე შევირჩინოთო“, და მერე რომელ მასწავლებელთაგანს შეუძლია გაჭიცხოს შვილისადმი მამის ასეთი საქციელი?!.

ახლა მივუბრუნდეთ სამოქალაქო, საშუალო და მაღალ სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულებსაც და შევიტყოთ, თუ რას აკეთებენ, ან რა მდგომარეობაში არიან ისინი? მგონია ამას მტკიცება აღარ უნდა, რომ, თუ ამათ რაიმე სამსახურს არ შეაფარეს თავი, უსათუოთ შიმშილით კუჭი გამოეწვებათ... განსხვავება მათ შორის მხოლოდ იმაშია, რომ, თუ სამოქალაქო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებულმა სამსახურში ვეღარ შეაკვეხა თავი, იმ შემთხვევაში ის აღარ თაკილობს უსწავლ ხალხთან ცხოვრების საერთო უღელში შებმას და მათთან ერთად ძველებური წეს-წყობილებით და მოსაზრებით „არსებობისათვის“ ცხოვრების მოთხოვნილებასთან ბრძოლას. ხოლო, საშუალო და მაღალი სწავლით აღჭურვილები კი ყველანი მხოლოდ და მხოლოდ სამსახურში ხედვენ ერთადერთ ხსნას და თუ რომელიმე მათგანმა შესაფერი ადგილი ვერ იგდო ხელთ, ვაი მის დღეს მაშინ!!... ასეთი, დიპლომით შეიარაღებული, მსხვერპლი ვერც უბრალო სამსახურში შესვლას კადრულობს და ვერც უსწავლელ ხალხთან ცხოვრების უღელში ერთად შებმას და მათებრ თოხით ხელში „პური ჩვენი არსობისა“-ს მოპოვებას. მართლაც და რა უნდა ჰქნას?! თოხით, რომ იმუშავოს, მერე რა ხეირი გამოვა აქედგან?!

იქ, სადაც ძველებური შრომა-მოქმედებით მართლა შემძლე მკლავსაც კი ვერ დაურჩენია თავი, სუსტი და გამოუცდელი მკლავი რაღას გახდება?! ხომ ყველაფერს ცოდნა-გამოცდილება, ხომ ყველაფერს ხერხი და ოსტატობა სჭირდება!..... ნამეტნავათ ისეთ შრომას, რომელიც თავიანთ მკლავზედ და თავიანთ ცოდნა-გამოცდილებაზედ არის დამყარებული. ხოლო, რადგანაც ასეთ თვისება-ღირსებაზედ ეხლანდელი დიპლომიანები ერთობ მწყრალად ბრძანდებიან, ამიტომ, ნურას უკაცრავათ, რომ ისინიც თავიანთი დიპლომითვე ისევ ოჯახის საჩენლები ხდებიან... კიდევ კარგი, რომ მარტო რჩენით თავდებოდეს საქმე. მაგრამ..... მაგრამ და ჩვენ გვავიწყდება, რომ ისინი, დღეს ინტელიგენტები არიან და, მაშასადამე, ინტელიგენტურათ დროს ტარებისა ჩვეულნი! [5]) და მაშ, საღდა გაატაროს ეს დრო, თუ არ ნაცნობ-მოყვრებში და ან სხვაგან ქალაქებში—ლოტო-ბანქოობიაობით?! აი, ასეთია დღეს ჩვენებურ „კურსოვნიკების“ უმეტესი ნაწილის ფიზიანომია: ისინი ან ყველა ჩინოვნიკებია [6]), ან უბრალო მუშები, ან და ძმა-ბიჭებივით იქით-აქეთ მოსიარულენი და ბანქო-ლოტოს მოთამაშენი!!! ერთი სიტყვით, ეხლანდელი სკოლა ჰქმნის მარტო მოჯამაგირე-მოსამსახურეებს და არა ცხოვრებაში გამოსადეგ თავისუფალ მშრომლებს! ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ის (სკოლა) ჰქმნის ნიჭიერი ყმაწვილებიდგან შრომისადმი უნიჭოებას და ცხოვრებისათვინ გამოუსადეგარ მშრომლებს!!...

---

[5]) სხვა რამე სიკეთე, თვარა, ასეთ დროს ტარებაში გავარჯიშებას, ჩვენ, კურსის დამთავრებამდინაც ვასწრობთ. აბა მიიხედ-მოიხედეთ ქუთაისში!.....

[6]) საზოგადოთ მოსამსახურე კაცი მყავს სახეში, იქნება ის ადვოკატი, მდგდელი, სამხედრო სამსახურის კაცი, კონდუქტორი, სასამართლოში მოსამსახურე, ფოსტაში მოსამსახურე, თუ მოჯამაგირე ეს სულ ერთია.....

დაითხოვეთ დღევანდელი დიპლომიანები სამსახურიდგან, მოუსპეთ მათ ჯამაგირები, აცალეთ იმათ თავიანთი ძალ-ღონით და ცოდნა-გამოცდილებით ცხოვრებასთან შებრძოლება და მაშინ კიდევ უფრო მალე დარწმუნდებით იმათ ცოდნათა ცხოვრებისთვინ გამოუსადეგრობაში. ხოლო ცოდნის ცხოვრებაში გამოუსადეგრობა ხომ თვით უკვე არსებული „პედაგოგიის“ ხალხისთვინ გამოუსადეგრობასაც მოასწავებს?! ...

ასეთი არა სასურველი მოვლენა „პედაგოგიაში“ ხალხმაც დიდი ხანია შეჰნიშნა და ამიტომაც არის, რომ თვითეული მათგანი სცდილობს, დღეს, თავის ნასწავლ შვილს რამე ნაირად ჩინოვნიკობის დიპლომი მოაპოვებიოს..... თუმცაღა უსწავლელმა, მაგრამ კი მშრომელმა ხალხმა, დღეს, ყველაზედ უფრო. იცის, რომ ეხლანდელ თუ გინდ მაღალ სასწავლებლებშიაც კურს დამთავრებულ შვილებს, თავიანთი ცოდნა-დაკვირვებით, ხერხით და ჭკუა-გამოცდილებით არავითარი შეღავათის და გაუმჯობესობის [7]) შემოტანა არ შეუძლიანთ თავიანთ ოჯახებში, თავიანთ საზოგადოებებში და ამიტომაც არის, რომ ისინი იმათ მოქმედება-გაპირებას დღესაც ეჭვის თვალით უცქერიან. ერთი სიტყვით, დღევანდელი კურსოვნიკები თავიანთი სამშობლოს უცხო სტუმრები არიან და მაშ, რაღა გასაკვირია, რომ იმათაც მამა-შვილური სამსახურიც ვერ გაუწიონ თავიანთ ქვეყანას?! აი, მკითხველნო, აქ მარხია ძალლის თავი, აქ არის თავი მიზეზი ჩვენის დაკნინება-დაღარიბებისა, ჩვენის სულიერის დამდაბლებისა, გადაგვარებისა და თვით გონებრივ-ზნეობრივ გათახსირებისაც.

ყველა ზემოხსენებულისგან ცხადია, რომ დღევანდელი „პედაგოგიის“ მოქმედება-მისწრაფება ჩვენში ყალბ საფუძველზეა აგებული და ამიტომაც მისი გასწორება და გარდაქმნა ხა-

---

[7]) რასაკვირველია, მაშინ, თუ მათ თავიანთ მიწა-წყალზედ ვერ ურჩებათ მოქმედება.

ლხთა სასარგებლოთ (საკეთილდღეოთ) ერთ უუდიდეს და უუსაჭიროეს საგანს უნდა შეადგენდეს ქვეყნის ყველა გულ-შემჭირნეთათვის. და მერე ვინღა უნდა იკისროს ასეთი რთული და საჭირ-ბოროტო საქმის მოგვარება დღეს, თუ არ ისევ „პედაგოგების“ იმ ერთმა ნაწილმა, რომლებთაც უკვე დანახული აქვთ დღევანდელ სკოლების მოქმედების უნაყოფობა?! დიახ, ყველაზედ უწინ უსათუოთ ამ ერთმა ნაწილმა უნდა იკისროს, მაგრამ პირველხნობით მარტო ისინიც ვერას გახდებიან, თუ მათ სხვა შეგნებულმა პირებმაც არ დაუჭირეს მხარი! ამნაირად, დღეს, ჩვენის აზრით, აუცილებლივ საჭიროა, რომ „პედაგოგებთან“ ერთად მთელი ქვეყნის ინტელიგენციაც შეეცადოს დღევანდელ სახალხო სკოლების დროს შესაფერად გარდაქმნას, ე. ი. ისე მოწყობას, რომ იმათში კურს-დამთავრებულ შვილებს უკვე შეეძლოთ თავიანთი დღევანდელი გაჭივრებული მდგომარეობის გაუმჯობესობა-განკარგება და თავიანთ ოჯახშივე, თავიანთ მიწა-წყალზედ, სხვისდა დამოუკიდებლივ, თავის რჩენა. და ეს შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როცა ეხლანდელი სკოლა თავს იდებს ბავშვების გამოწრთვნა-განვითარებას არამც თუ მარტო წერა-კითხვაში, არამედ მეურნეობა-მრეწველობაშიაც; როცა შეასწავლის მათ მიწიდგან სიმდიდრის გამოტანას არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, მაგალითების ჩვენებით და გამოცდილებით; როცა გონივრულ განვითარებასთან ერთად ჩაუნერგავს ყმაწვილს გულში თავისუფალი შრომის სიყვარულს და მნიშვნელობას და სხვ. და სხვ..... ჩვენ ზემოთ, როგორც დაბალის, ისე საშუალო და მაღალი სასწავლებლების'უნაყოფობაც აღვნიშნეთ; მაგრამ აქ საქმე იმაშია, რომ დღევანდელ ჩვენს მდგომარეობაში ყველაზედ უფრო საგრძნობელი და საშიშიც, ჩვენებურ სახალხო სკოლების უნაყოფობაა და ამიტომაც უწინარეს ყოვლისა უპირველესი ყურადღებაც ამას უნდა მიექცეს.

მაღალი და საშუალო სასწავლებლები ბევრიც რომ იყოს და ამასთან ისინი ბევრს კარგად გამოწრთვნილ-განვითარებულ

ყმაწვილებსაც რომ იძლეოდენ, ყველა ეს მაინც უმნიშვნელო იქმნება ისეთი ქვეყნისთვინ, რომელშიაც მშრომელი ხალხი დაცემულია გონებრივათ, ქონებრივათ და ზნეობრივათაც. რის მაქნისია ცოდნა ან და გონივრული გაპირება იქ, სადაც გაგონება არ არის, სადაც იმისი შემსრულებელი ძალა არსადა სჩანს?! რომელიმე ხალხის სწავლა-განათლება, ყოველ შემთხვევაში, მშრომელ ხალხთა გონებრივ და ზნეობრივ განვითარებით იზომება და არა რამოდენიმე დიპლომიანების რიცხვით... ხალხი თუ დაცემულია გონებრივათ, დაცემულია მაშინ მთელი ქვეყანაც ქონებრივათ; ქვეყნის ქონებრივ დაცემასთან მჭიდროთ შეკავშირებულია ზნეობრივი დაცემაც, ე. ი. ხალხთაგან ზნეობრივი ვალდებულობის უარყოფა. ხოლო ამ უკანასკნელს კი თან სდევს ისეთი სამარცხვინო და საზიზღარი მოვლენანი, როგორიც არის მაგალითად (ჩვენში): ეკკლესიის გატეხა-გაქურდვა, სამშობლო ენის უარყოფა, ერთმანეთის კვლა, ცარცვა-გლეჯა და სხვა ამისთანები!..... ერთი სიტყვით, დღევანდელ ჩვენს მდგომარეობაში ჩაცვივნულ ხალხთა გონებრივ-ზნეობრივი განკარგება განვითარებისათვის აუცილებლივ საჭიროა იმათი ქონებრივი მხრის განკარგება-გაუმჯობესება, რომლის პირნათლათ შესრულება უნდა იკისროს დღეს უსათუოთ სახალხო სკოლებმა..... და ამიტომ არ შეგვიძლია არ თანავუგრძნოთ ბ-ნ ივ. როსტომაშვილის-მიერ უკვე წამოყენებულ „ახალ სახალხო სკოლას“, რომელიც დაიბეჭდა ამ სათაურით: „Новая народная школа и основы ея развитія и существованія“. დიახ, თანასაგრძნობია ის და ამიტომაც ვფიქრობდით, რომ ასეთ სიმპატიურ და მრავალ ნიშნოვან აზრს სხვებიც შემოუდგებოდნენ მხარში და მისს სასარგებლოთ ხმას ამოიღებდნენ, მაგრამ მოვსტყუვდით!!!... პირიქით, მისი მოწინააღმდეგენიც უკვე აღმოჩნდნენ!!.. ერთ ასეთ მოწინააღმდეგე ბანაკთაგანს ბ. ლ. ბოცვაძის წერილიც ეკუთვნის და ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გაკვრით მაინც შევეხოთ ზოგიერთ, ამ წერილში, მისგან მოყვანილ აზრებს: ბ.

ბოცვაძე, როგორც ეს უკვე სჩანს მისივე წერილიდგან (იხ. „ივერია“ № 188.....), წინააღმდეგი ყოფილა თურმე ისეთი ჭეშმარიტებისაც კი, როგორიც არის მაგალითად შემდეგი: „შინაური და საზოგადო აღზრდის ამოცანა დღეს (ნამეტნავათ ჩვენში) უნდა მდგომარეობდეს იმაში, თუ როგორ მოუაროს ადამიანმა თავის საქმეს, როგორ განავითაროს თავისი გონება; როგორ წაიყვანოს თავისი საქმენი, როგორ გახდეს კარგი მოქალაქე; როგორ ისარგებლოს ყველა იმ სიკეთით, რომლითაც ბუნებას დაუჯილდოვებია იგი, როგორ უნდა გამოიყენოს თვისი ნიჭი, რომ მეტი სარგებლობა შესძინოს თავისს თავს და სხვასაც (ამას რაღა სჯობს),—ერთი სიტყვით, როგორ იცხოვროს სავსე ცხოვრებით“.—მე მგონია, რომ როცა ბ. როსტომაშვილის-მიერ წამოყენებულ „ახალი სახალხო სკოლის“ საწინააღმდეგოთ კალამი აუღია ხელში ბ. ბოცვაძეს, მაშინ მას მარტო როსტომაშვილის პირადობა და მისგან უკვე გამოქვეყნებული აზრის გაბათილება ჰქონია სახეში და არა ჩვენის ქვეყნის სვე-ბედი და მისი ინტერესების დაცვა, თორემ ასეთი საუცხოვო აზრის განმეორებასაც (ნამეტნავათ ჩვენში) უსათუოთ გვერდს აუვლიდა. მით უფრო, რომ მის-მიერ მოყვანილ პოზიტივურ ფილოსოფიის მიმდევართა ღაღადების წინააღმდეგ (ისეთი მრავალნიშნოვანი აზრის წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენ უკვე ჩამოვთვალეთ ზემოთ!!.) გამოლაშქრება, დღეს, იგივე ჩვენებურ ხალხთა გაუმჯობესების წინააღმდეგ გამოლაშქრებაა!!..... იქ, სადაც ჯერ კიდევ არ წამომდგარა ფეხზედ ადამიანთა კერძო ქვეყნიური ინტერესები, ჩვენის აზრით, ყოვლად შეუძლებელია საზოგადო ინტერესების წამოყენებაც და ამიტომ, თუ რომელიმე მოაზრემ ოდესმე მართლაც გამოსთქვა ზემო აღნიშნულ მიმართულებათა წინააღმდეგ რაიმე აზრი, ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ მას, მაინცდამაინც, ჩვენი ქვეყნისთანა გაჭირვებულ-გათახსირებული მდგომარეობა ჰქონოდა სახეში! [8]) იმათ გამოთქვეს

[8]) უეჭველია. ამ რამოდენიმე საუკუნის წინეთ კარგათ შეგნე-

თავიანთი აზრები თავიანთ ქვეყანაში, იქნებ თავის დროზედ [9]) და თავიანთი ხალხისა და არა ჩვენებურ გაჭირვებაში ჩავარდნილ ქვეყნისთვის!..... ყოველ მოაზრეს, ბ. ბოცვაძევ, კარგად უნდა ახსოვდეს, რომ სიმშილისაგან გაბრაზებულ ხალხს ყოველნაირი გონებრივი განვითარება ავიწყდება და, მაშასადამე, ასეთ დროს, არც არავითარი ზნეობრივი მოვალეობის შესრულება მოეთხოვება მათ. ამიტომაც მე, თუმცაღა ეს ზემოთაც საკმაოთ დავამტკიცე, მაგრამ აქაც გავიმეორებ, რომ დღეს ყოველგვარ ქრისტიანულ გრძნობების დამაკმაყოფილებელი ძაფები მჭიდროთ არიან შექსოვილნი ერთმანეთის შემქნელ, მშობელ სწავლა-განათლებაში და სიმდიდრეში და სწორეთ დღევანდელი ხალხიც ამაებს თხოულობს პედაგოგიისგან. მიეცით ხალხს ან ისეთი სწავლა-განათლება, რომლისგანაც შეიძლებოდეს მათი მდგომარეობის გაუმჯობესება, ან ისეთი სიმდიდრე (შეძლება), რომლისგანაც შეიძლებოდეს ჭეშმარიტი სწავლა-განათლების შეძენა-გაფართოვება და მაშინ ნა-

---

ბული ჰქონიათ ხსენებული მიმართულების მნიშვნელობა, რვასს-ტხრასი წლით რუსეთზედ უხნესს და უფრო გამოცდილ-განათლებულ სახელმწიფოებს, რომ ისინი არავითარ საშუალებას არ იშურებდნენ ხალხში სამეურნეო-სამრეწველო ცოდნათა გასავრცელებლათ.

[9]) ასეთი აზრის გამოთქმა შესაწყნარებელია და ბევრჯელ იქნება საჭიროც მხოლოდ იქ, სადაც ხალხმა უკვე განვლო ბირველი საფეხური, ე. ი. გონიერულად შეიგნო კერძო ინტერესების მნიშვნელობა და შემდეგ გატაცებულებს ამ უკანასკნელით და გალადებულებს სიმდიდრით უკვე ავიწყდებათ საზოგადო ინტერესები. აგრეთვე, სადაც მარტო სიმდიდრის ხათრისთვის ხალხი გვერდს უვლის ზნეობრივ მოვალეობას და სხვ... ხოლო იქ, სადაც ხალხი სიდარიბის გამო ისე დაცემულია, რომ ლუკმა პურისათვის თავიანთ ვინაობასაც კი უარ ჰყოფს, ასეთი ქადაგება კი, ბ. ბოცვაძევ, ეოვლად მიუტევებელია.

ხავთ, რომ ის სატკივარი, რომლის განუკურნაობას ვითომც და ასე ვსტირით ყველანი, თავისთავათ განიკურნება... მაგრამ, სამწუხაროთ, ჩვენ სულ სხვასა ვსცდილობთ..... ჩვენ გვინდა ძველებურად განვაგრძოთ „წამსის“ და „მამაო ჩვენოს“ ზეპირათ სწავლება... ხოლო იმათი დანიშნულებისამებრ შესრულებისათვის რაც არის საჭირო, ამაებისთვის კი თავსაც არ ვიწუხებთ!!!... ასეთი უკუღმართი სწავლების შედეგმა ყველაზედ უწინ (გონებრივ და ზნეობრივის მხრით) ეგრედ წოდებულ ინტელიგენციაში იჩინა თავი და მალე ინტელიგენციას, რასაკვირველია, ხალხიც თან მოჰყვა ქვეშ. აბა კარგად ჩავუკვირდეთ, ბ-ნო ბოცვაძევ, თუ რამდენ ჩვენებურ ოჯახებში უკვე ჩამოეთხოვენ თავიანთი შვილების დედაენაზედ აღზრდას!!... [10]) სად იჩინა ასეთმა სამარცხვინო მოვლენამ თავი ყველაზედ უწინ, თუ არ იმავე ნასწავლ ოჯახებში? რა არის იმის მიზეზი, რომ ეხლანდელი მაღალი სწავლა-დიდებით აღჭურვილნი თითქმის ველარ ახერხებენ სამშობლო ენაზედ ლაპარაკს?! ასეთმან მნათობმან რანაირად გაუწიოს თავიანთ ქვეყანას სამსახური და ან რანაირად უნდა გაუნათოს თვისს მოძმეებს გზა და კვალი?! ვინ უნდა იყოს ასეთ არასასურველ მოვლენათა ფრთხილი დარაჯი, თუ არ პედაგოგია?! და ვისი ბრალია ხალხთა ასეთი გონებრივ-ქონებრივი გათახსირება, თუ არ ეხლანდელი პეოაგოგიის უნაყოფობისა? პედაგოგიის ასეთმა ხელის გაუნძრევლობამ და მისმა დიდი ხნით ერთ წერტილზედ გაჩერებამ სრულებით დააშორა ხალხის ცოდნა (ვითომც და განათლება!) საქმეს, ფაქტიურ მოქმედებას... ამან გამოიწვია ხალხთა კუჭის დაცარიელება, რასაც თან მოჰყვა იმათი გონებრივ-ზნეობრივი გათახსირებაც. ასე-

---

[10]) ერთი ოც ასეთ ოჯახამდის მეც შემიძლია ჩამოგითვალო, მაგრამ ამაების დამამტკიცებელ საბუთებს თვით „ივერიის“ ფურცლებზედაც საკმაოთ შეხვდებით.

თმა მოვლენამ ბევრს მათგანს დაავიწყა თავიანთი თავი და გააბედვინა ისეთი „წმიდა-წმიდათას“ ზურგის შექცევაც კი, როგორიც არის საზოგადოთ ადამიანისთვის დედა ენა!!.. [11]) ამიტომაც არის, რომ დღეს ასე ურცხვათ გაიძახიან ზოგიერთები: „ქართული რის მანქნისია დღეს!..... იქმება თუ ისმებაო?“ მეორენი ამბობენ: „ჯერ ბავშვს, ოჯახში, უცხო ენა უნდა შევასწავლო, ე. ი. ის ენა, რომელიც მისთვინ უფრო გამოსადეგი იქნება ცხოვრებაში და შემდეგ ქართული ენის შესწავლას, თუ მოისურვებს, თვითონაც კი მოახერხებს საკმაოთო!... ხოლო მესამენი არზებს აგზავნიან სადაც ჯერ არს: უმორჩილესად გთხოვთ ჩემი შვილი გამინთავისუფლოთ ქართული ენიხ სწავლებისგანაო და სხვ.!!!.. ეჭველია ისინი უკვე დარწმუნდნენ, რომ უმაგისოთ (თუ რუსული კარგათ არ იცის) [12]), იმათ შვილებს არც ერთ სამსახურში შესვლა არ შეუძლიან და თუ თავიანთ მამულში მოუხდათ მოქმედება, მაშინ ხომ სულიც ამოხდებათ სიმშილით?! ამიტომაც ჩვენ თუ გნებავთ, დღეს, ასეთ სამარცხვინო მოვლენას ბოლო მოუღოთ, იმ შემთხვევაში ან ჭეშმარიტი გონებრივი განვითარება უნდა მიანიჭოთ ხალხს ან და იმათი კუჭის სიცარიელეს რაიმე უწამლოთ. მაგრამ საეჭვოა კი, რომ ასეთ სიმშილის გამო გადაგვარების გზაზედ უკვე შემდგარ ხალხზედ „პედაგოგიამ“ რაიმე გავლენა იქონიოს იმ დრომდის, სანამ ჯერ

---

[11]) ის ადამიანი, რომელიც უბრალო რამესთვის თავის თავსაც კი ჭდალატობს, ნუთუ გაჭირვების დროს სხვას ადარ უღალატებს?! ამიტომაც ასეთ პირებს მთავრობა უფრო უნდა ერიდებოდეს ყოველ შემთხვევაში, მათი მიზანია მხოლოდ მოტეუებით დაიმსახუროს მთავრობისადმი ერთგულება. ასეთი პირებისგან, გაჭირვების დროს, ღალატი ვისაც არ სჯერა—ისტორიას დაეკითხოს.

[12]) და თავიანთი ენის დავიწყებაში ეძებენ თავიანთი თავის ხსნას!!.... რასაკვირველია უმეცრების გამო.

ამ უკანასკნელ საჭირ-ბოროტო მოთხოვნილებას არ დაუკმაყოფილებს მათ. დიახ, უწინარეს ყოვლისა ხალხს ასეთი სიმშილისაგან კუჭის ტკივილი უნდა განუკურნოთ; ანუ . უკეთ რომ ვსთქვათ, მივსცეთ მათ ისეთი ცოდნა, ისეთი იარაღი, რომლის შემწეობითაც შეეძლოთ თავიანთ მამულში თავიანთივე მდგომარეობის განკარგება-გაუმჯობესება და შემდეგ ნახავთ, რომ ისინი თვითონვე შესდგამენ ფეხს სასურველ გზაზედ და აღიჭურვებიან ისეთი ჭეშმარიტი ცოდნა-მიმართულებით, რომელთ ძალით თავზედ მოხვევა იმათთვინ ყოველ შემთხვევაში უნაყოფო ყოფილა, არის და იქნება კვლავადაც.

ქვევით, ბ-ნი ბოცვაძე ამბობს: „რასაკვირველია, არავინ უარს არა ჰყოფს ზოგიერთ რეალურ ცნობების შეძენას და არც არავინ წინააღმდეგი არ უნდა იყოს იმისი, რომ ამისთანა ცნობები, როგორც დამატებითი საშუალება მოწაფის გონების განვითარებისათვის, ისწავლებოდეს სკოლებში, მაგრამ წინააღმდეგნი არიან იმისი, რომ ამ გვარი ცნობების სწავლება აღიარეაულ იქმნას სკოლაში სწავლების თავ საქმედაო“ და სხ.....

ერთი, რომ ბ. ბოცვაძევ, ამ უკანასკნელი აზრის მომხრე გერმანელი პედაგოგი[13]) რომ მობრძანდეს ჩვენს ქვეყანაში, და მისი (ჩვენი ქვეყნის) დღევანდელი ავ-კარგი და ყოვლის მხრით დაცემულ-გათახსირებული მდგომარეობა ზედ-მიწევნით შეისწავლოს, გარწმუნებთ, რომ ის თავის სამშობლოში წარმოთქმულ თავისსავე აზრს, ამ ჩვენს სამშობლოში სულ სხვანაირად შესცვლიდა..... და მეორეთ, განა ბ. ივ. როსტომაშვილს, თავისს წერილებში, ოდესმე კი უთქვამს, რომ გარდა მეურნეობა-მრეწველობისა, სკოლებში სხვა არა უნდა ისწავლებოდეს რაო?! [14]) განა იმის თქმა, რომ „დღევანდე-

[13]) როგორც ამას თქვენ იწერებით.

[14]) აქვე უნდა შევნიშნო, რომ თუ კი ვინმეს შეუძლია-

ლი ხანგრძლივი გაკვეთილების შემოკლებით ბავშვებსაც გაუადვილებთ სწავლას და თან თავისუფალი დროც მოგვრჩება, რომელიც შეგვეძლება მოვახმაროთ ისეთი აუცილებელი საგნის შესწავლას, როგორიც არის ჩვენთვის „მეურნეობა-მრეწველობის ფაქტიურად შესწავლაო“, ნუ თუ სწავლა განათლების უარ ყოფას ნიშნავს?! ეხლა გადავავლოთ თვალი იმ რუსთა პედაგოგ მწერლების შეხედულებას ამ საგანზედ, რომელიც უკვე მოიყვანა თავის წერილში ბ. ბოცვაძემ: „Народный учитель прежде всего и главнѣйше долженъ заботиться о томъ, чтобы руководимая имъ школа давала удовлетворительные дезультаты въ учебномъ отношеніи, чтобы вь ней основательно проходилось то, что положено ея программой“. (იხ. ჟურნ. „Русск. шк.“ № 9, 1892 წ.). აქ გამოთქმული აზრის გარეგანი ფორმა და მისი გარეგანი შეხედულება საკმაოთ ლამაზია და ამიტომ ვისურვოთ, რომ მის შიგნითა გულიც ასეთი ლამაზი და თან მთელი ჰქონოდეს. მაშ, დავყოთ ცალკ-ცალკე და ჩავიხედოთ შიგ..... „чтобы руководимая ими школа довала удовлетворительные результаты въ учебномъ отношеніи“.— რას ნიშნავს ეს? ნუ თუ ამ აზრის გამომთქმელს ისეთი სკოლა ჰქონდა სახეში, რომელიც ვითომც და ყველაფერს ისწავლება, მაგრამ კი ისე უკულმართათ, რომ მისი ცხოვრებაში გამოყენება არას გზით არ შეიძლება?! ეს თუ მართლა ასეა,

---

სთქვას, რომ მე ხალხთა კეთილდღეობისათვის ვიღწვიო, ეს დღეს სწორეთ ბ. ივ. რუსტომაშვილს შეუძლია სთქვას; მით უფრო, რომ მისი დღევანდელი მოქმედება-მიმართულება ხალხის ინტერესებთან მჭიდროთ არის შეკავშირებული. და თუმც ზოგიერთები მისს ასეთ მოქმედებას ხელს უშლიან უწმინდური ლანძღვა-გინებით და ოხუნჯობით, ამის შესახებ მათს საქციელს მომავალი დასდებს მსჯავრს და თვით ისტორიაც დაუმახსოვრებს.....

მაშ, მისი აზრით, გამოდის, რომ ცხოვრება სწავლა-განათლებისთვის ყოფილა შექმნილი და არა სწავლა-განათლება ცხოვრებისთვინ!!!..... „Чтобы въ ней основательно проходилось то, что положено ея программой“.—პროგრამაც არის და პროგრამაც, ბ-ნო ბოცვაძევ! მასწავლებლისგან მარტო სასკოლო პროგრამის ზედ-მიწევნით შესრულება [15]) მხოლოთ მაშინ მოუტანს ხალხს სარგებლობას და დააკმაყოფილებს საზოგადოებას, როცა ის (უკვე არსებული პროგრამა) ხალხთა ინტერესებთან და იმათ ცხოვრება-მოთხოვნილებასთან მჭიდროთ არის შეკავშირებული. წინაალმდეგ შემთხვევაში იმათ შრომა-მოღვაწეობას სწორეთ ისე არ ძალ-უძს რაიმე განკარგება-გაუმჯობესება შეიტანოს ხალხთა ცხოვრებაში, როგორადაც ამას ვერ ძლებულობს ჩვენში და თვით დიდ რუსეთშიაც დღევანდელი პროგრამით აღჭურვილ-შეიარაღებული სკოლა. შემდეგ განაგრძობს ბ. ბოცვაძე: „ამ ათი წლის წინათ პეტერბურგში მოწვეულნი იყვნენ სახალხო სკოლების დირექტორები სნხალხო სკოლების პროგრამის გადასათვალიერებლადო. დირექტორთა კრებამ კატეგორიულათ უარი განაცხადა სამეურნეო ცნობების სწავლების შემოღებაზე სახალხო სკოლებში და ერთხმათ გადასწყვიტეს, რომ საზოგადო განათლების პროგრამა [16]) შეუცვლელი დარჩენილიყოვო“ და სხ...

ეს ყველა გვჯერა, ბ. ბოცვაძევ, მაგრამ რა სიკეთე მოუტანა მერე ხალხს ასეთმა იმათმა გარდაწყვეტილებამ, ამაზედ რად არაფერს ბრძანებთ?!.... მაგალითებისთვინ შორს წასვლა რა საჭირო იყო, როცა ასეთი იმათი გადაწყვეტილების სამ-

---

[15]) დღევანდელი მარტო სახალხო სკოლების პროგრამის შემსრულებელი მასწავლებელი ქვეყნის მოსამსახურე და მასწავლებელი კი რადია, არამედ თავიანთი ჯამაგირების.

[16]) ზემოხსენებული პროგრამის არ იყოს, ჩვენ არ ვიცით რას უძახიან ისინი საზოგადო განათლებას.....

წუხარო შედეგი ამ ჩვენს დალოცვილ ქვეყანაშიაც თვალ-წინ გვეჩხირება წამდაუწუმ?! რანაირად შეუძლია სახალხო სკოლის მასწავლებელს თავისი გავლენით ჩაუნერგოს გულში შრომისადმი სიყვარული, როცა ხშირათ თვითონაც არ არის ასეთი ცოდნით შეიარაღებული?! რა ნაირად შეიძლება თვით მაგალითის უჩვენებლად მაგალითითვე გავლენის ქონიება ვინმეზედ?! არა, ბატონებო, ჩვენ თუ კი გვსურს რომელიმე მოქმედების ნაყოფიერებაში ბავშვები (აგრეთვე დიდებიც) დავარწმუნოთ ან და ასეთი შრომა-მოქმედებისადმი იმათ გულში სიყვარული ჩავუნერგოთ, მაშინ, უპირველესად ყოვლისა, საჭიროა ასეთი შრომა-მოქმედების ჩვენგანვე ზედ-მიწევნით ცოდნა, შემდეგ ასეთი ცოდნის და შრომა-მოქმედების ბავშვების თანადასწრებით ფაქტიურად შესრულება და მერმე ამ უკანასკნელისგან მინაღები ნაყოფის იმათთვინ თვალდათვალ ჩვენება...

აი, მხოლოთ ამის შემდეგ შეგვეძლება ჩვენ იმათთვინ ასეთი შრომა-მოქმედების სიტყვიერათ განმარტება და თვით მისს საზოგადოთ, ადამიანთათვის დიდ მნიშვნელობაში იმათი დარწმუნება. ქვევით ის ამბობს: „მაგრამ ამით ჩვენ არ გვინდა ვსთქვათ, რომ თვითეულ სახალხო სკოლასთან არ იყოს გაშენებული შეძლებისადაგვარად ბაღი, ბოსტანი, ყვავილები, ფუტკარი, აბრეშუმის ჭია და სხ... პირ-იქით ამას დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც თვალსაჩინო სწავლებისათვის, აგრეთვე მისთვის, რომ ჩავუნერგოთ მოწაფეებს ბავშობიდანვე სიყვარული ბუნებისა და სამეურნეო ცოდნის შეძენისადმი მომავალშიო“ [17]).

სრული ჭეშმარიტებაა და თან ფრიად სიმპატიურიც არის ეს თქვენი აზრი, ბ. ბოცვაძევ, მაგრამ აქ საქმე იმაშია, რომ

---

[17]) განა ამასვე არ თხოულობს ბ. ივ. რუსტომაშვილიც?! მაშ რათ დაგჭირდათ მის წინააღმდეგ გამოლაშქრება?!.

სიტყვა „შეძლების დაგვარად“ ჩვენში, თუ ყოველ შემთხვევაში არა, უმეტეს ნაწილად მაინც, სრულ არ შეძლებას მოასწავებს და მაშასადამე ასეთ „შეძლების დაგვარად“-ზედ შეგდებული იმედიც ხომ უსათუოთ (უნდა ვიმედოვნოთ) ჩაილულის წყალს დალევს!!.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბ. ბოცვაძევ, რომ ჩვენებრ გონებრივ-ქონებრივათ დაცემულ-დაქვეითებული ხალხი, როგორც ბ. ივ. როსტომაშვილისგან წამოყენებულ „ახალი სახალხო სკოლის“ განხორციელებას, ისე თვით ამ თქვენგან გამოთქმული (შეძლებისდაგვარად) აზრის განხორციელებასაც ვერ შესძლებს გაუჭირვებლად. განსხვავება აქ მხოლოდ იმაში იქმნება, რომ ბ. როსტომაშვილის აზრის განხორციელება (მხოლოთ თავდაპირველათ) ცოტა მეტ ხარჯს მოითხოვს, ვინემ თქვენს აზრის განხორციელება, მაგრამ სამაგიეროთ, პირველის განხორციელება მეტ საგრძნობელ სარგებლობასაც მოუტანს (მომავალში) ქვეყანას... ამიტომაც, ჩვენის აზრით, უმ. ჯობესია ერთხელ მძიმე გაჭირვება გადაიტანოს (გაუძლოს) ხალხმა და შემდეგ თავისუფლათ ამოისუნთქოს, ვინემ ცოტა ამაზედ ნაკლები გაჭირვება მარად ზურგით ათრიოს.

შემდეგ ბ. როსტომაშვილის-მიერ გამოქვეყნებული „ახალი სახალხო სკოლა“, ბ. ბოცვაძეს ახირებული გეგმის გამოქვეყნებად მიაჩნია და სხვათა შორის დასძენს..... „ამის გამო მისს (ე. ი. როსტომაშვილის) პლანებში მხოლოდ ერთათ-ერთი კეთილი ხურვილებია მოსაწონი [18]), დანარჩენი კი რომე-

---

[18]) აკი ზოგიერთებ ვითომცდა ეროვნულთა მცოდნეების აზრით მისს პლანებში მხოლოდ და მხოლოდ მოდალატეობა იფარავს თავს!!.... ვარწმუნებთ ასეთ პირებს, რომ ქვეყნის მოდალატეობათ ჩაეთვლებათ თვით მათ ასეთ გაჭიერებულ დროზედ იმათგან წყალის მდვრევა— თუ დღეს არა, მომავალისგან მაინც. გულწრფელათ გირჩევთ მარტო „ვიდუპებით, ვიდუპებით“ ძახილს თავი დანებოთ და სამაგიეროთ თვით ამ დადუპვის მიზეზებს მიაპყრათ ყურადღება.

ლიმე მახლობელი ციური მნათობის მკვიდრის ქადაგებას უფრო ჰგავს, ვიდრე დედა-მიწაზე მცხოვრებისასო“ და სხ.....

სწორეთ, რომ ქართველური გულ-გატეხილი მსჯელობაა ჩემმა დღემ!..... ნეტავი რას ხედავს ავტორი ასეთ ყოვლად შეუძლებელს ბ-ნ ივ. როსტომაშვილის-მიერ გამოქვეყნებულ „ახალ სკოლაში?!“.—უნდა ვიფიქროთ, ხალხთა ქონებრივ შეუძლებლობის და თან ჩვენის ქვეყნის ამ დიდ მნიშვნელოვანის სასაქმოსათვის მოუმზადებლობას!.. მაგრამ ვისი ბრალია მერე ქვეყნის ასეთი ქონებრივის მხრით დაძაბუნება?! ვისი ბრალია თვით ჩვენის ქვეყნის ასეთი მოუმზადებლობა?! საჭირო იყო ამაების მიზეზსაც ჩაჰკვირებოდით. მიზეზი ხომ როგორც ჩვენში, ისე დიდს რუსეთშიაც, ეხლანდელი სახალხო სკოლების დროს შესაფერად მოუწყობლობაა და იმათი ხალხთა ინტერესებთან დაშორება!?

ამიტომაც, ვისაც ხალხის ასეთი დაბეჩავება-დაკნინება ცოტათი მაინც კი აწუხებს და მათის დაცემულ-დაქუცმაცებულის მდგომარეობის განკარგება გაუმჯობესებაზედაც უცემს გული, იმათ უსათუოდ ისევ ჩვენი სახალხო სკოლების ხალხთა სასარგებლოდ გარდაქმნა-გადაკეთებას უნდა შეეცადნენ; და უნდა შეეცადნენ სწორეთ ისე სერიოზულათ, როგორადაც ამას ბ-ნი ივ. როსტომაშვილი გვპირდება თავის პლანებში [19]). ქვევით, იმის დასამტკიცებლათ, რომ 10 დესეტინა მიწის მოსავალს არ ძალ-უძს სკოლის ხარჯის დახურვა,—მოჰყავს ბ-ნ ბოცვაძეს მაგალითად წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლა და სხვათა შორის ამბობს: „ბ. როსტომაშვილს, რომ შესწავლილი ჰქონოდა წინამძღვარიანთ სკოლის ავ-კარგი... მაშინ დარწმუნებული ვარ მისი სკოლის განძრახული პროექტი სულ სხვა ნაირად შეიცვლებოდა და ვილაც

---

[19]) თავისთავათ იგულისხმება, რომ სამეურნეო განყოფილებით.

გადამთიელი მასწავლებლის ზუიკოვის მაგალითი, ერთი დესეტინა მიწა 1000 მანეთზე მეტ შემოსავალს აძლევსო, ზღაპრულ ამბად ჩაითვლებოდაო".—ბ. როსტომაშვილის რა მოგახსენოთ და თქვენ კი, ბ-ნო ბოცვაძევ, კარგად ვერ ჩაჰკვირებიხართ დღევანდელ ხალხთა მოთხოვნილებას, ვერ გაგითვალისწინებიათ დღევანდელი ჩვენი ასეთი მდგომარეობის მიზეზები და თან ვერ წარმოგიდგენიათ წინამძღვარიანთ-კარის სკოლისგან გავლილი სვე-ბედი, მისი თავიდგანვე დაარსების დრო, მისი ერთი პირისგან გაძღოლა-განვითარება და ისიც ისეთ დროს, როცა ქვეყანა მას კიდევ ეჭვის თვალით უყურებდა, თორემ, ხსენებული სკოლის ნახვით, თქვენც ბ-ნ სილოვანივით აღტაცებაში მოხვიდოდით (იხ. მისი წიგნაკი გვ. 66.... 71 „ცხოვრების სურათები", მეორე) და თვით ეს თქვენი აზრიც სულ სხვანაირად შეიცვლებოდა. მაინც რანაირად? აი, ასე: „თუ კი ერთის კაცისგან ისეთ დროს დაარსებულმა სკოლამ, როცა ხალხიც არ თანაუგრძნობდა მას, შესძლო ამოდენა ნაყოფის მოტანა ჩვენის ქვეყნისთვის—რამდენი საგრძნობელი სარგებლის მოტანას შესძლებს დღეს ისეთი (ამ ტიპის) ახლად დაარსებული სკოლა, რომელიც უკვე ქვეყნისგან ათასჯერ გაზომილ, გათვალისწინებულ პროგრამით [20]) იქნება აღჭურვილი და ისიც ისეთ დროს, როცა მის განხორციელებას მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხი დაუყოვნებლივ მოელისო?!" და სხ... რომ ასეთი ხალხთა მოლოდინი და თვით მოთხოვნილებაც ვინმეს საეჭვოთ არ ეჩვენოს მსურველთ მივუთითებთ ხელს „ცნობის ფურცლის" ამავე წლის მე-2266 ნომერზედ (იხ. კორესპონდენცია ასკანიდგან ბ. თეთრწვერასი) რომლისგანაც ვტყობილობთ შემდეგს: „საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ მთა-

[20]) მეტის შეძლებით და თვით მეტის ცოდნა-გამოცდილებითაც.

ვრობისგან უკვე ნება-დართულ საქალებო სკოლის მაგივრად სავაჟო სამეურნეო სკოლა დაგვიარსდესო". და ასეთი სურვილი განა კი მარტო იქ არის?!.

არ ვარგა გული უკუნოდ
და არც უგულოდ კუნიო!
ურთმანეთოდ ორივე
დადუბულია, ფუნიო!....

ამბობს ფენიქსი აკაკი 1902 წ. „ივერიის" პირველ №-ში.

„სამეურნეო განათლება ისეთი რამ არის ჩვენთვის, ურომლისოდაც ჩვენს მიწათ-მოქმედებას გაქრობა მოელის! ან სამეურნეო განათლება, ან უკან-უკან დაწევა-დაძაბუნება ჩვენის ერისა! ამ ორში ერთი ირჩიეთო, გვეუბნება ბედი და ისტორია, და განა საფიქრებელია კიდევ, რომელი უნდა ვირჩიოთ?"—ამბობს ერთს თავის წერილში ბ-ნი ვ. წერეთელი (იხ. 1902 წ. „ივერიის" მე-19 ნომერი).

„ჩვენი ქვეყანა სამეურნეო ქვეყანაა; მეურნეობით უდგას სული ჩვენს ერს; მხოლოდ მეურნეობით შეიძლება ჩვენის ერის ფეხზე წამოყენება და სხ..."—ამბობს ბ. აგრ. ზ—შვილი (იხ. ამავე წლის „ივერიის" მე-38 ნომერი).

„გურია სწავლის მხრით (იგულისხმება ნასწავლთა რიცხვი) წინ მიდის, ხოლო ეკონომიურათ კი უკანაო",—იწერება გურიიდგან ბ. დ. ქარცივაძე (იხ. 1903 წ. „ივერიის" მე-221 ნომერში ამ უკანასკნელის კორესპონდენცია) [21]). მე აქ ასეთი მაგალითები რამდენი ჩამოვთვალო! ვისაც ეინტერესება გადაათვალიეროს ჩვენებური ჟურნალ-გაზეთების ფურცლები და იქ თავისთავათ დარწმუნდება, თუ რამდენმა შეიგნო დღეს, ჩვენში, სამეურნეო ცოდნის საჭიროება და ან რამდე-

---

[21]) ამ უკანასკნელის სიტყვა: „სწავლის მხრით წინ მიდის, ხოლო ქონებრივის მხრით უკანაო". საუკეთესო დამახასიათებელია დღევანდელ სკოლათა უნაყოფობის!..

ნი სტირის დღეს სამეურნეო ცოდნათა მდგომარეობის, ჩვენში, უნუგეშობას...

ქვევით, რაც შეეხება იმას, რომ ვითომც მცოდნე ხელს არ ძალ-უძს იმოდენა ნამუშევარის მოყვანა 10 დესეტინა მიწაზედ, რომელსაც შეეძლოს სასკოლო ხარჯის დახურვა და ვითომც ბ-ნ ივ. როსტომაშვილის იმედი ამ უკანასკნელის შესახებ უბრალო ოცნება იყოს, ამაზედ შემდეგს მოვახსენებთ ბ. ბოცვაძეს: დიახ, ოცნება არის ასეთი იმედი მხოლოდ ჩვენში, ჩვენისთანა მოუმზადებელი და თან მოუნდომებელი ხალხისათვის, მაგრამ როდემდის ვუყუროთ ამ მოუმზადებლობას? სანამდის ვანეტაროთ ჩვენი ასეთი სიზარმაცე და მოუნდომლობა?! ნუ დაგავიწყდებათ, რომ განვითარებული და მომეცადინე ხალხისათვის, ჩვენთვინ ასეთი ოცნება დიდი ხანია, რაც ჩვეულებრივ მოვლენად გარდაქცეულა..... სადაც მონდომება და სურვილია, იქ ცოდნაც მალე გამოჩნდება, მაგრამ... მაგალითისთვინ შორსაც არ გვინდა წასვლა. ავიღოთ თუ გინდ ისეთი უდაბური ადგილები, როგორიც არის საზოგადოთ ყარსის ოლქში და ვნახოთ იქაურ გერმანელების კოლონიებში, ან დუხობორების ახალშენებში [22]) და მაშინ უფრო ცხადათ ამოვიკითხავთ, თუ რა შეუძლია ფაქტიურად საქმის შესწავლას. მაგრამ ამაებსაც თავი დავანებოთ და მივაქციოთ ჩვენი ყურადღება ისევ ჩვენსავით დაქვეითებულ (მაგრამ კი მეცადინე) ხალხთა ერთ-ერთ წარმომადგენლის შრომა-მოქმედებას ასეთ უდაბურ ადგილას: ალექსანდროპოლს და ყარს შუა ერთი სადგურია „არგინო“ (ჩვენ აქ მოგვიხდა გავლა ამ ოთხი წლის წინათ), რომლის მახლობლად მთელი არე-მარე მარტო ქვა-ლოდებით არის მოჭანდრაკებული, სადაც ერთ მცენარეთაგანსაც კი ვერ შეხვდებოდით, თავისთავათ ამოსულს;

---

[22]) ამ უკანასკნელში ეხლა რუსეთიდგან გადმოსახლებული გლეხები სცხოვრობენ.

აი, სწორეთ ასეთს ადგილას ერთს ოსმალოს ქვეშევრდომს მიუგორებ-მოუგორებია ქვები იქით-აქეთ და ამ ნაირად ერთ ქცევა ადგილამდის გამოუტიალებია. მერმეთ დაუხნავს ეს ადგილი, დაუყვია ვიწრო-ვიწრო კვლებად და დაუთესია ზედ ძირდაბალა კიტრის ნოგრო. კვლებს კიდ-კიდე გაურგავს მეჩხრათ საადრიო სიმინდი, რომელიც გადასარგავათ, გრძელ-გრძელი სკივრებში ჩაუთესია და ოთახში ამოუყვანია. ბოსტნის (ამ ერთი ქცევა ადგილის) გარშემო შემოუთესავს „მზეს-უმზირა“, ხოლო ამ უკანასკნელთა შორის, ალაგ-ალაგ, ამოუთხრია ორმოები, ჩაუყრია შიგ შორიდგან მოზიდული ნოყიერი მიწა, ამ უკანასკნელში აურ-დაურევია ნაკელი და შემდეგ ჩაუთესია შიგ (თუ ჩაურგავს, ეს არ გვიკითხავს) კარგი ჯიშის კვახის თესლები. როცა ეს უკანასკნელნი ამოსულან და წამოზდილან, დამმუშავებელს იმათი ლერწები ოსტატურად გადაუყვანია ადგილის გარშემო შემოზვინულ ქვა-ლოდებზედ!..

ამნაირად, მას მოწმენდილი ადგილის გარშემო (იგიც კიდენებზედ და მზეს-უჰვრიტის შორის!) მოუქცევია კვახების ძირები და მათი ლერწებით კი მოუკავებია მხოლოდ გარედგან შემოზავებული ქვა-ლოდები! და ეს ყველა იმიტომ, რომ ამ პატარა მოწმენდილი ადგილიდგან რამენაირად მეტი სარგებლობა გამოედნო. დიახ, ეს იყო მისი მიზანი და კიდევაც მიაღწია მას. რა ნაირადო, იქნება იკითხოთ თქვენ?—იმ ნაირად, ბატონებო, რომ მარტო ნედლი სიმინდიდგან და მზის-უმზირასგან ღებულობდა წლიურათ ოცდაათ მანეთამდის! კვახებისგან (ოცი მანეთისას ახალ-გამოსულებს ასაღებდა) ორმოცდა ათ მანეთამდის და კიტრებისგან კი ას ოც მანეთამდის! [23]). ერთი სიტყვით, იმ ერთი ქცევა ადგილიდგან,

---

[23]) დიდათ ვწუხვარ, რომ ვერ ვკითხე: ერთხელ სთესავდა კიტრებს, თუ ორჯელ ასწრობდა წელიწადში იმათ დათესვას და მოსვანას?

რომელზედაც არავითარი მცენარეც კი არ ამოდის თავის თავათ [24]) უსწავლელმა ადამიანმა (მაგრამ კი უსათუოთ გამოცდილმა) თავისი ოსტატური შრომა-მოქმედებით ორას მანეთამდის აღება მოახერხა!!.... და მაშ, რამდენჯერ ორასი მანეთის აღებას მოახერხებს, ასეთივე მუშა, ჩვენებურ ქცევა მიწაზედ?! ნუთუ ჩვენ ისეთი უნიჭონი ვართ, რომ ვერც ბუნების სილმობიერე გვიშველის, ვერც სწავლა-განათლება და ველარც ადგილთა სინოყივრე?!.... ჩვენ უკვე საკმაოთ დავანახვეთ მკითხველს ჩვენს პატარა წიგნაკში „წერილი სოფლელ მუშას“, თუ რამდენი მანეთის აღება შეიძლება ხუთი ქცევა ადგილის მეურნეობა-მრეწველობით, რასაკვირველია, გონივრული შრომა-მოქმედებით და ამიტომ აქაც ამაების მტკიცება, ჩემგან, ხომ უბრალოთ წყალის ნაყვა იქმნება?! მით უფრო, რომ ამ ზემო მოყვანილი ცოცხალი მაგალითის შემდეგ, მკითხმელი იმედია თავისთავადაც დარწმუნდება იმაში, რომ მცოდნე ხელს სრულებითაც არ გაუჭირდება ათი დესეტინა მიწიდგან (რაც 20—25 ქცევა ადგილს უსწორდება) ათი თუ ხუთმეტი ათასი მანეთის მომუშავება! დიახ, ამაების მეორეჯერ მტკიცებას, სჯობს ერთხელ კიდევ მივაქცია მკითხველთა ყურადღება ჩვენებურ სოფლელ ხალხთა აუტანელი შრომა-მოქმედების უნაყოფობაზედ.

ვინც ჩემი მეორე წერილი „სოფლელ მუშას“ [25]) გულდადებით ბოლომდის გადაიკითხა, ის უსათუოთ ამ ჩემ-მიერ გამონახულ ფორმულასაც შეხვდებოდა იქ: (ქცევა ყანის დამუშავების მუდმივ ხარჯს შეადგენს—24 მანეთი, ამ ადგილის მოსავალთა ღირებულობას—25 მ. და ჩვეულებრივ ხარჯს კი 6 მ. 25 კაპ.).

---

[24]) ალექსანდრაპოლიდგან მოკიდებული ყარსამდის ვერც ერთ მცენარეს ვერ შეხვდებით.

[25]) იხ. „მოგზ.“ № 7 და 8, 9 და 10, 11—12, 1903 წ.

1) მუდმივი ხარჯი — 24 მ.
2) მოსავლთა დირებულება — 25 მ.
3) ჩვეულებრივი ხარჯი — 6 მ. 25 კ.

ფორმულა: $\frac{24}{25\text{ მ.} - 6\text{ მ. } 25\text{ კ.}} \times 25 = 32$ მ.

საღირალი სიმ. უნდა მოიწიოს ერთ ქცევა ადგილში, რომ მან არც ზარალი ნახოს და არც სარგებელი! ე. ი. 64 ფ. სიმინდი!!.

ეს გახლავს (ყოველ-ნაირ მოქმედებაში, რომელიც რაიმე სახარჯავს კი თხოულობს) ზარალ-სარგებელთა დასაწყისს წერტილთა მაჩვენებელი ფორმულა, რომელმაც უკვე გვიჩვენა, ხსენებულ წერილში, რომ თურმე თვითეული ყანის მუშა, ჩვენში, (სიმინდის თესვით) ქცევა ადგილზედ ზარალობს თოთხმეტი ფუთი სიმინდის საღირალს, ან ფულზედ რომ გადავიყვანოთ—შვიდ მანეთს!!.... თვითეული ყანის დამმუშავებელი ოჯახი სთესავს სიმინდით—სამიდგან მოკიდებული რვა ქცევამდის ადგილს. საშუალო რიცხვი რომ ავიღოთ, ოჯახს მოუწევს—ხუთ-ხუთი ქცევა ადგილის დამუშავება. და რადგანაც ქცევა ადგილის ჩვეულებრივათ დამუშავება თვითეულ მათგანს დღეს შვიდი მანეთის ზარალს აძლევს, ამიტომ ხუთ ქცევა ადგილამდის სიმინდით დათესვა თვითეულ მშრომელ ოჯახს ხომ ოცდა ხუთმეტი მანეთის ზარალს მისცემს წლიურად? ($7 \times 5 = 35$.).

ეხლა, დაახლოვებით რომ ვსთქვათ, მთელ ქუთაისის გუბერნიაში (იმერეთში ახლო-მახლო მდებადე ადგილებთანა), თუ მეტი არა, ორასი ათასამდის მიწის დამმუშავებელი ოჯახი ხომ მაინც იქნება და თუ სიმინდის თესვით თვითეულ ოჯახს დღეს 35 მანეთამდის ზარალი მოუდის წლიურად, მაშინ ორასი ათასი ოჯახი ხომ ორასი ათასჯერ ამაზედ მეტ ზარალს მიიღებს, რაც უსწორდება ($35 \times 200{,}000 = 7{,}000{,}000$ მ.) შვიდ მილიონ მანეთს!

ბ-ნ როსტომაშვილის „ახალი სახალხო სკოლა“, რაც უნდა გულ-გრილად მოეკიდოს საქმეს, იმდენ ცოდნა-გამოცდილებას მაინც კი მისცემს მიწის მუშა ხალხს, რომ იმათ იმდენი ნამუშევრის მოწევა ადვილათ მოახერხონ თავიანთ ნო-

ყიერ ქცევა ადგილზედ, რამდენსაც უკვე ღებულობდა ზემო აღნიშნული ოსმალო ყოვლად უმოსავლო და უნიადაგო ქცევა ადგილზედ!...

აქ მე ვამბობ „მაინც მეთქი“ იმიტომ, რომ ორასი მანეთის საღირალი ნამუშევრის მოყვანა ქცევა ადგილზედ სულ უბრალო მოქმედებით შეიძლება, ხოლო მეტი ჭკუა-დახედული მოქმედებით და მეტი გამრჯელობით, თუ რამდენი შემოსავლის მოტანა შეუძლია ქცევა ადგილს, ეს ჩვენ, ვიმეორებ, უკვე ცხად ვყავით ჩვენს პირველს წერილში.

დიახ, ვსთქვათ, რომ ზემოხსენებულ სამეურნეო განყოფილებიანი სკოლების დაარსებამ იმდენათ განავითარა სოფლელი ხალხი, რომ თვითეული მიწის დამმუშავებელთაგანი უკვე თავისუფლად ახერხებს ქცევა მიწაზედ ორასი მანეთის საღირალ ნამუშევარის მოწევას. ზემო მოყვანილი ფორმულიდგან ჩვენ უკვე ვიცით, რომ მიწის დამმუშავებელმა, ჩვენში არც ზარალი და არც სარგებელი არ ნახოს, ამისთვინ საჭიროა ქცევა მიწაზედ სამოცდა ოთხი ფუთი სიმინდის მოყვანა, ან 32 მანეთის საღირალი სხვა რამესი.

ამაზედ ნაკლები მოსავალი ზარალს იძლევა და მეტი კი სარგებელს. აქედგან ცხადია, რომ თუ თვითეული ოჯახთაგანი ქცევა მიწაზედ მოახერხებს ორასი მანეთის საღირალი მოსავლის მოყვანას, მაშინ ის მოიგებს ქცევა ადგილის დამუშავებით (200 მ.—32 მ.=168 მ.) ას სამოცდა რვა მანეთამდის. ხოლო ხუთი ქცევიდგან კი (168×5=840 მ.) რვაას ორმოც მანეთამდის.

ამდენი სარგებელი ექმნება თავის შრომა-მოქმედებისგან მიწის ერთ დამმუშავებელ ოჯახს და რამდენს მოიგებს ასეთი გაუმჯობესებული მოქმედებით მთელი იმერეთი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, ის ორასი ათასი მიწის დამმუშავებელი ოჯახები, რომელნიც ჩვენ ზემოთ უკვე აღვნიშნეთ?—რასაკვირველია, ორას ათასჯერ რვაას ორმოც მანეთს, რაც შეადგენს (200.000×840=168,000000 მ.) ას სამოცდა რვა მი-

ლიონ მანეთს!!. ამას ზედ მივადვათ კიდევ ის შვიდი მილიონი ზარალიც, რომელიც მათ მოსდის დღეს, ყოველ წლობით სიმინდის თესვით და მაშინ მივიღებთ იმ ვეებართელა თანხას (168,000000 მ. + 7,000000 მ. = 175,000000 მ.), ე. ი. ას საოცდა ხუთმეტ მილიონ მანეთს, რომელსაც ყოველ წლობით ჩვენი ხალხი უცოდინარობისა გამო გვერდს უარს!!. და ეს მხოლოდ მარტო იმერეთში!!.... აი, ბატონებო, ამ აუარებელი სიმდიდრის ზურგის შექცევამ აადრტვინა ჩვენი ხალხი, ამან დააწიწმატა და გასტეხა წელში, ამან დაავიწყა თავიანთი თავი და ქვეყანა, ამანვე დასცა ზნეობა და გამოიწვია ერთმანეთ შორის კვლა, შურის-ძიება, ცარცვა-გლეჯა, ჭორიკანობა და სხვა ამისთანები..... დღეს თქვენ არ მოგწონთ იმათი ასეთი საქციელი? მაშ ჯერ შეაიარაღეთ ხალხი ისეთი ცოდნით, რომ იმათ ამოდენა მილიონების მომუშავება თვითონვე შესძლონ თავიანთ მიწა-წყალზედ; შემდეგ მოახმარეთ მათივე მომუშავებულნი მათივე მდგომარეობის გაუმჯობესობას და მაშინ, ვიმეორებ, ნახავთ, თუ რა ნაირი სისწრაფით აღორძინდება და გაფართოვდება თავისთავათ სწავლა-განათლება; გამოიღვიძებს და ფრთას შეისხამს ლიტერატურა. პრესსა, რომელიც დღეს ასე დაცემულია, თავისთავათ განვითარდება და განკარგდება თვითცნობიერება; განსპეკტაკლება ზნეობა და მით მოეღება ბოლო ზემოხსენებულ ცარცვა-გლეჯას, ერთმანეთის კვლას და სხვა ასეთ სამარცხვინო მოვლენებსაც. წინაადმდეგ შემთხვევაში კი გახსოვდეთ, ბატონებო, რომ ყველა ამაებს [26]) გაქრობა მოელის...

დიახ, ამ უკანასკნელის თავიდგან ასაცილებლად საჭიროა წერა-კითხვასთან ერთად (ხალხში) სამეურნეო ცოდნაც ვრცელდებოდეს და ეს შეიძლება მხოლოდ ისეთი სახალხო

---

[26]) ეგელა იმას, რაც ზემოთ ჩვენთვინ სასარგებლო ჩამოვთვალეთ.

სკოლების დაარსებით, როგორსაც გვიპირდება თავის წერილში ბ ნი ივ. როსტომაშვილი. მაგრამ აქ საქმე იმაშია, რომ ამაებისთვის პირველ-ხნობით ბევრი ფულებია საჭირო და სად ვიშოვნოთ ის? **„შეერთებული დონე მძლეთა მძლეა“**,—ამბობს ბ. ჯუღელი „ივერიის“ მე-194 №-ში და სწორეთ მეც ასეთი აზრისა ვარ. ისეთი რაიმე მოქმედების შესრულება თითქმის ყოვლად შეუძლებელია, რომლის განხორციელება ხალხმა (ქვეყანამ) მოინდომოს და ვერ შეასრულოს, ხოლო შეერთებული ძალით ისეთი სასარგებლო საქმის შესრულება, როგორიც არის თვითეული მათგანისგან სამი-ოთხი მანეთის ერთ ხნობით გამოღება და იგიც თავიანთივე მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ხომ სათქმელადაც არა ღირს!..

შეგნებული პირების ჩაგონებით ხალხი ყოველ შემთხვევაში დასთანხმდება სამი-ოთხი მანეთის გამოღებას ასეთი საერთო და თან საკეთილო საქმისთვინ. მათ შორის ისეთებიც ბევრი გამოერევიან (როგორც გლეხებში, ისე შეძლებულ თავად-აზნაურებშიაც), რომლებიც გაცილებით მეტსაც შემოიტანენ. რაც შეეხება დანარჩენ რომელიმე სამსახურში მყოფ პირებს, იმათ კი, ერთხნობით, თავიანთი წლიური ჯამაგირებიდგან სამ-ოთხ პროცენტამდის გამოღება უნდა იკისრონ. შემოწირულება თვით რედაქციებმა და იმათმა წარმომადგენლებმა უნდა დაიწყონ ყველაზედ უწინ; ამათ ინტელიგენცია უნდა მოჰყვეს და ინტელიგენციას კი ხალხი ინტელიგენციისავე ჩაგონებით. თუ რანაირად უნდა მოგროვდეს ფული და ან სად უნდა ინახებოდეს ის, ესენი ყველა წინდაწინვე უნდა გამოცხადდეს, მსურველთა ვინაობა და მერმეთ შემომწირველთა სია რედაქციებში უნდა ივზავნებოდეს გამოსაცხადებლად. ასეთი მოქმედებით სულ ადვილად შეუძლია ჩვენს საქართველოს ორი-სამი მილიონი მანეთის მოგროვება და მეტი არც ზემოხსენებული „სახალხო სკოლების“ სასურველად მოწყობას დასჭირდება. ყველა ზემოხსენებული მოხერხდება მხოლოდ მაშინ, თუ მთელი ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა, ყველა ჩვე-

ნი პედაგოგები (მასწავლებლები), მთელი ინტელიგენცია და ამ უკანასკნელის ჩაგონებით მთელი ხალხიც ერთად შეერთდება და შეთანხმებულის ძალ-ღონით დაიწყებს ზემოხსენებულის აზრის განხორციელებას *). თუ ჯერ ასეთის მოქმედებით ლელოს გატანა არ გვლირსებია, ეს იმიტომ, რომ დღეს, ჩვენში, პრესსა ერთი კედრით მიიწიწება, ხალხი მეორე კედრით და პედაგოგია მესამე კედრით!!. ესეც ცოტაა. თვითეული იმათ წარმომადგენელთაგანიც სხვადასხვა კედრით!!!. და სწორეთ ამიტომაც არის, რომ შესამჩნევი პოეტის სიტყვა (აზრი) ჩვენზედ მართლდება:

...„Да лебедь рвется въ облака,
Ракъ пятится назадъ, а щука тянетъ въ воду.
Кто виноватъ изъ нихъ, кто правъ,—судить не намъ
Да только возъ и нынѣ тамъ“. (Крыловъ).

---

*) პატივცემულის ავტორის ამ შესანიშნავის წინადადების საჩქარად განსახორციელებლად ჩვენ საუმჯობესოდ მიგვაჩნია ცალკე საზოგადოების დაარსება შემდეგის სახელწოდებით: ქართველთა **შორის მეურნეობა-ხელოსნობა-მრეწველობის როსტომაშვილიესეულის სახალხო სკოლების შემწეობით გამავრცელებელი საზოგადოება** (Общество распространенія сельско-хозяйственныхъ и ремесленно-промышленныхъ знаній среди грузинскаго населенія при помощи ростомовскихъ народныхъ школъ). პროექტს ასეთის საზოგადოების წესდებისას ჩვენ დავბეჭდავთ „**მოგზაურის**“ შემდეგს ნომრებში, უმთავრესი მუხლი კი ამ წესდებისა უნდა იყოს: **წყვრად მიიღება ყოველი სრულ-წლოვანი მცხოვრები საქართველოსი განურჩევლად სქესისა, წოდებისა და რჯულისა, რომელიც კი შემოიტანს ერთ-ხნობით არა ნაკლებ ხუთის მანეთისა.** საზოგადოებამ უნდა ყოველი საშუალება იდონოს, რომ ყოველი მკვიდრი ჩვენის ქვეყნისა კალდებულად სთვლიდეს თავის თავს უთუოდ ჩაწერილ წევრად ამ საზოგადოებაში.

რედ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სამწუხაროთ ჩვენს ჟურ-ნალ-გაზეთობას ამ ბოლო დროს (უკანასკნელ ექვს-შვიდ წელიწადს) ისეთი რამ საუცხოვო თვისება დაეტყო, რომელიც ყოველ-გვარ კეთილ მოსაზრებას უთხრის ქვესკნელს!!. ასეთი რამ, ბატონებო, კერძო პირადულ ინტერესებზედ ახოხოლებული და იგიც უსაფუძვლოთ, ვითომცდა, „პოლემიკა“ გახლავს, ის „პოლემიკა“, რომელიც შეუქმნია სწავლა-განათლებას თვისივე მოსაზრება-მოქმედების კიდევ უფრო გასანათებლად!!. თუ რომელიმე კეთილ-მოსაზრებას ასეთი „პოლემიკაც“ თან დაჰყვა, ის იმის უტყუარი ნიშანია, რომ ის ველარ იხეირებს! ერთ ასეთ „პოლემიკა“-თაგანმა, დღეს, უკვე დაიწყო თავის მოქმედება ზემო აღნიშნულ ახალ სახალხო სკოლის წინააღმდეგ. მისს წარმომადგენელთ, დღეს, დედა-ენის დიადი მნიშვნელობა დაუდვიათ თავიანთი „პოლემიკის“ სარჩულად, რომლის (ე. ი. დედა-ენის) წინააღმდეგი, როგორც ეს უკვე გამოირკვა რამოდენჯერმე, არავინ არ ყოფილა არასოდეს! დიახ, პირადეულ ინტერესებზედ აშენებული „პოლემიკა“ უსათუოთ ძირს უთხრის ყოველგვარ კეთილ მოსაზრებას და ამიტომაც სასურველია ასეთ ცალმხრივ მსჯელობას, რაც შეიძლება მალე მოეღოს ბოლო. სამშობლო ენის დიადი მნიშვნელობა სწავლა-აღზრდის საქმეში და თვით ისიც, რომ ყოველ გვარი საგნები და უცხო ენაც სამშობლო ენის შეშწეობით ისწავლებოდეს, ეს დღეს იმდენად ბუნებრივია ყველასთვინ, რომ კიდევ ამაზედ ლაპარაკი, ჩემის მხრით სწორეთ მეტათ მიმაჩნია. ამიტომ მე აქ მხოლოთ მოვაგონებ ჩვენი ქვეყნის გულთ-შემატკივართ შემდეგს: ხშირად ხდება ხოლმე ჩვენში, რომ სიტყვით მშვენივრად მორთულ-მოკაზმული პროექტი, საქმით ყოვლად გამოუსადეგარ-უნაყოფო გამოდის!. და ეს ყველა იმიტომ, რომ როცა ჩვენი ლიტერატორები-პუბლიცისტები რაიმე საზოგადო საქმეზედ მსჯელობენ, ხალხთა ინტერესებს და იმათ ცხოვრებათა მოთხოვნილებებს სრულებითაც არ ეკითხებიან! ვინ არ იცის, თუ

რანაირად ასახიჩრებს ბავშვის გონებას უდროვო დროს უცხო ენათა სწავლების სკოლაში შემოღება, მაგრამ ამაზედ ეხლა ლაპარაკი გვიანდაა..... იმიტომ, რომ დღეს ჩვენი ხალხი (უკვე არსებულ სკოლათა უნაყოფობისა გამო) ველარ ახერხებს თავის ქვეყანაში თავისივე რჩენას და მის გამო მიეშურება შორეულ ქვეყნებში ორიოდე გროშის მოსაპოვებლად. ამავე მიზეზით ყოვლად შეუძლებელი ხდება მესამე და მეოთხე წელიწადს, სახალხო სკოლებში, უცხო ენის სწავლების შემოღება. და ეს ასეც უნდა იყოს: გარედ ლუკმა პურის მაძიებელმა ხალხმა, რა თქმა უნდა, საგარეოთ საჭირო ენაც უნდა იცოდეს [27]). ამას ხალხი, დღეს, თვითონვე თხოულობს თქვენგან და თხოულობს იმიტომ, რომ სახალხო სკოლათა გათავების შემდეგ, გარდა ერთი თუ ორი პროცენტისა (იმათი შვილები) ყველა სახლშივე რჩებათ და სხვებთან ერთად იმათაც ცხოვრებათა აწა-მაწიის ულელში უწევს თავის გაყოფა. ამასთან მათ სამხედრო სამსახურში წასვლაც წინ უდგას შორეულ ქვეყნებში, სადაც თუ დამტვრეული რუსული მაინც არ იცის, მაშინ მათზე საცოდავი ხომ აღარავინ იქნება ქვეყანაზედ?! ეხლა ისიც ვიკითხოთ, თუ რა მოუვათ იმათ, რომლებიც, სწავლის განსაგრძობათ მიეშურებიან სამოქალაქო სასწავლებლებისაკენ? —ის მოუვათ, რომ თუ მათ ცოტათ თუ ბევრათ რუსული ენის შესწავლა ვერ მოასწრეს სახალხო სკოლაში (რასაკვირველია, სამშობლო ენის შემწეობით და ამასთან სწორეთ ისე, როგორადაც ამას ბ. ივ. როსტომაშვილი გვპირდება „მოგზაურის“ მე-717 გვერდზედ № 9 და 10, 1903 წ.), იმ შემთხვევაში ის სამოქალაქო სასწავლებლების მოსამზადებელ განყოფილებაში ამოჰყოფს თავს, აქ დაჰყოფს შვიდ-რვა წლამდის და ამასობაში, ხომ მას სამსახურში წასვლაც უკვე მოუწევს?! აი, ყველა ესენი აიძულებს დღეს სახალხო სკოლას დაიწყოს

---

[27]) ავად ეცოდინება თუ კარგად, ამას ხალხი არ დაგიდევს.

რუსული ენის სწავლება მეორე განყოფილებიდგანვე, ე. ი. მეორე წელიწადს. ამასთან ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ რომელიმე უცხო ენის სკოლაში უდროვო დროს შემოღება (მხოლოდ კი სამშობლო ენის შემწეობით) იმდენი საშიშო და საზარალო არასოდეს არ იქნება ჩვენთვის, რამდენადაც საშუალო და მაღალ სასწავლებლებში იმათი სრულებით შეწყვეტა. სკოლების შემწეობით მხოლოდ და მხოლოდ მაშინ შეიძლება რომელიმე ენის განვითარება და აღორძინება, როცა ის უკვე აღიარებული იქნება, სახალხო სკოლიდგან მოკიდებული მაღალ სასწავლებლამდის, მთავარ საგნად და ამასთან, რასაკვირველია, სავალდებულოდ ყველასთვინ (ე. ი. ჩვენთვინ).

აი, ამაშია ერთად-ერთი საშუალება საზოგადოთ დედა-ენის განვითარებისა და ამიტომაც უწინარეს ყოვლისა, ამ უფლების მოპოვებას უნდა სცდილობდეს ყველა. ამასვე უნდა ვეცადოთ ჩვენც მით უფრო, რომ სკოლებში დედა-ენის შესუსტებამ გონებრივ დაჩლუნგებასთან ერთად უკვე დასცა და გაათახსირა ჩვენში ქრისტიანული გრძნობაც და ზნეობა, სჯული, სარწმუნოება [28])... ის სარწმუნოება, რომელიც საუკუნოებით ინახა და აქნობამდის შეურყეველად შეუბღალავათ მოიტანა მრავლად წამებულმა ჩვენმა ხალხმა; თავათ ის სარწმუნოება, რომელიც ასე დიდ მნიშვნელოვანია როგორც კერძოთ ჩვენთვის, ისე თვით მთელი ქვეყნიერებისთვინაც კი. დიახ, სკოლებში დედა-ენის შესუსტებას უდევს ამ არასასურველ მოვლენაში წილი და ამიტომაც საჭიროა, რაც რომ შეიძლება მალე მიექცეს ამას ყურადღება. ვინ უნდა იკისროს ამ ბუნე-

---

[28]) განსაკუთრებული ყურადღება სამღვდელოებამ უნდა მიაქციოს ასეთ მოვლენას. ეკკლესიების ცარცვა-გლეჯა, წმინდანების შეურაცხყოფა, ერთმანეთის კვლა, ესენი ყველა ხომ სარწმუნოების გაუგებლობის ნაყოფია?!

ბრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების შესახებ შუამდგომლობა? ჩვენის აზრით სამღვდელოებამ და ისევ მთელი ქვეყნის თავად-აზნაურობამ, უსათუოთ ამ ორმა წოდებამ უნდა გაუწიოს ჩვენს ქვეყანას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე. იმედია, ასეთ საჭირ-ბოროტო კითხვის შესახებ ყველა ამოიღებს ხმას. რას უნახავენ თავიანთ მჭევრ-მეტყველებას და გამოცდილებას ჩვენი ქვეყნის უკვე ხანში შესული მწერლები?! რას ნიშნავს იმათი ასეთ დროს სიჩუმე?! ქვეყნის ისეთი სენებისგან განკურნება, როგორიც არიან მოხსენებული ზნეობრივ-გონებრივი დაცემა და თვით სარწმუნოების შერყევა-შესუსტება, ნუ თუ იმათ ახალს და ჯერ კიდევ გამოუცდელ ჭკუა-გონებას მიანდვენ?!

ეხლა სჭირია ქვეყანას გონივრული გაპირება და ამასთან მას უფლებაც აქვს მოითხოვოს იგი თქვენგან. დიახ, ბატონებო, დროა ხალხსაც მივხედოთ უკან და ამიტომ ახლებთან ერთად ძველებსაც ვუსურვოთ გამოფხიზლება და შეერთებული ძალ-ღონით ხალხთა საკეთილდღეოთ მოქმედება!

ტ. ართმელაძე.

პედაგოგიური ეტიუდი.

(ვუძღვნი ახალ სახალხო სკოლას).

ჩემის ხალხის აღმზრდელო და დიდებავ, ჩემის ხალხის წარმატების ჭეშმარიტო საფუძველო, ახალო სახალხო სკოლავ!

საფუძველნი შენის წარმატებისა დღეიდან უკვე ნაპოვნია. მშიერო და მწყურვალო, დაეწაფე მას და განძელ!! გეყო რაც აქამომდე ითმინე წყურვილი და შიმშილი, კიცხვა და უმაქნისობა... ახლა აღსდეგ და მხნედ შეუდექ შენის მშობელის ხალხის და მის უმანკო ძეთა ჭეშმარიტ აღზრდას! ბუნებისა და ცხოვრების ნაკვთო, გიხაროდენ, რამეთუ დღეიდან ბუნებრივი და საცხოვრებო იქნება თვით შენი ყოველი მოქმედებაც, რადგანაც შენის მშობელი-ხალხის მომავალი და თვით შენი წარმატებაც დღეიდან შენი საკუთარი ცხოვრების და მეურნეობის ყოვლად დამოუკიდებლად საუკეთესოდ მოწყობაზედ იქნება დამყარებული! იყავ თავისუფალ და დამოუკიდებელ! გეყო საუკუნოების მონობა და გლახაობა. აწ აამოქმედე ეგ შენი ადამის ჟმიდამ ჭირსა და შრომას შეჩვეული ხელ-ფეხი, ააზროვნე ეგ შენი ბუნებრივი და საღი ჭკუა-გონება და დაუმტკიცე ქვეყანას, რომ მარტო შენ ხარ ნამდვილი და ჭეშმარიტი აღმზრდელი ხალხისა და მის ძეთა!.. იყავ დღეგრძელ და ნაყოფიერ!..

ი. რ.

საგლეხო მეურნეობა

და

სესხის საქმე რუსეთში*).

მთავრობა მარად იმის ცდაში იყო, რომ ასე თუ ისე მიეწოდებინა მრეწველთ, ვაჭართ, მექარხნეთ და მემამულეთათვის სწრაფი და იაფი სესხი; არა აქვთ ასეთივე სესხი მხოლოდ მიწად-მომქმედ გლეხებს, რომლებიც ამის გამო იძულებულნი არიან ისესხონ ფული მოვახშეთაგან 50—1200%, ე. ი. ისეთის საოგებლის გადახდით, რომელსაც ვერ გაუძლებს ვერც ერთი საალებ-მიცემო საქმე. აქ არის სათავე იმ უთანასწორობისა, რომელშიაც იმყოფებიან დღეს მრეწველი-კაპიტალისტები და გლეხნი; აქ არის სათავე იმ მიზეზისა, რომ სხვილი სამრეწველო საქმეები დღე-დღეზე წარმატებაში შედის და მიწად-მომქმედი გლეხობა კი მიწასთან სწორდება, ის გლეხობა, რომლის რიცხვი 88%-ს აღემატება რუსეთის მცხოვრებთა მთელის რიცხვისას. ცხადია, რომ სახელმწიფო შეძლებისამებრ უნდა ცდილობდეს თანასწორ პირობებში ჩააყენოს ორივე მხარე, ე. ი. გაუჩინოს გლეხთაც და მათს მეურნეობა-მრეწველობას ისეთივე ხელ მისაწდომი სესხი, როგორიც უკვე მოგვარებული აქვს ეს სხვილ მრეწველთათვის.

შესანიშნავია, რომ სახელმწიფომ, თავისი სახელმწიფო

---

*) იხ. წიგნი: „Сельскій кредитъ и крестьянское хозяйство въ Россіи", Н. Катаева.

კასსებით, თითქოს განგებაო, პირიქით, ყოველი ღონე იხმარა, რომ იგრეც დაბეჩავებულის გლეხობისათვის სულ უკანასკნელი სახსარიც კი წაერთმია სესხის შოვნაში, რადგანაც სახელმწიფო კასსებმა მიიზიდეს თავისკენ ხალხის ქონებიდამ 518 მილიონი მანეთი და ამით დაჰბადეს სრული უფულობა სოფლებში. წინათ, სანამ დაარსდებოდნენ ეს შემნახველი კასსები, ძოხსენებული ნახევარი მილიარდი, თქმა არ უნდა, ავად თუ კარგათ ტრიალებდა ხალხში და მით აკმაყოფილებდა მის სესხის და სამეურნეო თუ სამრეწველო სავაჭრო საქმეებს; ახლა კი ამ ფულით იგი აკმაყოფილებს მხოლოდ სხვილ მოვაჭრე-მრეწველთ, თუმცა უკანასკნელებს უიმისოთაც მრავლად მოეპოვებათ სხვა ყოველგვარი საკრედიტო დაწესებულებანი, რომელნიც ყოველწლივ გასცემენ მათზე 1618 მილიონ მანეთს სესხსა. მთელის რუსეთის ეს მილიონ გლეხობას კი აბადია მხოლოდ ათასამდე ეგრედ-წოდებული გამსესხებელ-შემნახველი მასავითვე ბეჩავი ამხანაგობა, რომელნიც გასცემენ გლეხობაზედ ყოველწლივ მხოლოდ 25 მილიონ მანეთს სესხსა. ყველა ამ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათ საფუძვლათ უძევთ თვით-შემწეობის, დამზოგველობის და თვითმოქმედების პრინციპი. ფრიად მშვენიერი აზრია ეს, მაგრამ ყოვლად შეუფერებელი კი ჩვენის დაბეჩავებულის გლეხობის მდგომარეობისათვის. ეჭვი არ არის, რომ დროს მიმავლობაში ასეთი დაწესებულებანიც გავრცელდებიან და განვითარდებიან ჩვენში, მაგრამ მხოლოდ რუსეთის კულტურულ ზრდასთან ერთად ჯერ-ჯერობით კი, სანამ ჩვენი გლეხობა უვიცი და ლატაკია, სანამ მას სრულიად არ ესმის კოოპერატიულ ამხანაგობათა სარგებლობა, ყოვლად უდროვოდ მიგვაჩნია სასოფლო სესხის დაფუძნება თითონ გლეხთა თვით-მოქმედების, დამზოგველობის და ურთიერთ შემწეობის ნიადაგზედ. პირიქით: დღევანდელი თვისი წესწყობილებით და პირობებით, ეს დაწესებულებანი მავნებელნიც არიან სწორედ იმათთვის, ვისთვინაც უფრო საჭირონი არიან ისინი, ე. ი. გლეხობის

ღარიბის ნაწილისათვის, რადგანაც მოვახშენი და სოფლის ძლიერნი, როგორც უფრო მცოდნენი და შეძლებულნი, ძლიერ ადვილათ იგდებენ ხეოლმე თავიანთ ხელში ამ დაწესებულებებს და თვით იღებენ მომეტებულს წილს სესხისას, რათა შემდეგში ერთი ორად და სამად გაასესხონ აღებული ფული დანარჩენებზე, ე. ი. ისედაც დაბეჩავებულ-დაღატაკებულ მეზობლებზედ. ასეთს დაწესებულებას უპირველეს ყოვლისა სჭირია აღმატებული მიუდგომლობა-მოუსყიდველობა, სჭირია სრული თანასწორობა. ეს კი, როგორც ვიცით, შედეგია მაღალის ზნისა და სწავლა-განათლებისა, რომელსაც მოკლებულია მომეტებული წილი გლეხობისა... სოფლის ხალხის მეურნეობისა და მრეწველობისათვის დღეს საჭიროა ისეთი საკრედიტო დაწესებულებანი, რომლებიც უთუოდ უნდა იყოს კულტურულს ხელში, ე. ი. სახელმწიფოსა და ეროვნათა ხელში. მაგრამ, ვიდრე რასმე ვიტყოდეთ ამ გვარ საკრედიტო დაწესებულებაზედ, საჭიროთ მიგვაჩნია დავასურათოთ, თუ რამდენად საჭიროა გლეხობისათვის სესხი და რა დასაღუპი შედეგი მოსდევს მისთვის მის უქონლობას.

(შემდეგი იქნება).

წერილი სოფლელ მუშას

(მესამე *).

ჩემო ერთგულო მეზობელო ბეჟან!

შენგან გამონაგზანი წერილები (მესამე და მეოთხე) ორივე მივიღე და იმათში წამოყენებული კითხვებიც უკვე მოვისმინე, მაგრამ, სამწუხაროთ, ყველა ამ კითხვებზედ პასუხის მოცემას, სხვადასხვა მიზეზების გამო ვერა ვკისრულობ... ამიტომ მე აქ ვეცდები პასუხი მოგცე მხოლოდ იმ კითხვებზედ, რომლებსაც, ასე თუ ისე, რაიმე დამოკიდებულობა ექნება მეურნეობასთან და საზოგადოთ გონივრულ შრომა-მოქმედებასთან. დავიწყოთ: 1) თავის წერილში შენ სჩივი, ჩემო მეზობელო, რომ სოფლელი ოჯახის ცხოვრება (არსებობა) უძროხო-უღოროთ ყოვლად შეუძლებელიაო.—განა მე კი ვყოფილვარ ოდესმე ამის წინააღმდეგი?! მართალია, პირველ წერილში მე შენ გაგიპირდი დღევანდელი საყოლის მოსპობა; მაგრამ ეს იმიტომ კი არა, რომ მე საზოგადოთ საქონელთა მოშენების წინააღმდეგი ვიყო!!. არამედ იმიტომ, რომ ისინი უჯიშონი (უვარგისი ნოგროის) იყვნენ და ამიტომ იმათგან, გარდა ზარალისა, არავითარი სარგებლობა არა გქონდა შენ. რაც შეეხება ჯიშიერი ძროხა-ღორების მოშენებას, ეს დიდათ სასურველია და თან, რასაკვირველია, ფრიად სასარგებლოც

*) იხ. „მოგზაური“ №№ 1902 და 1903 წლებისა

ყველასთვინ!.. თუ რამდენათ დიდ-მნიშვნელოვანია ძროხების მოშენება ოჯახისთვინ, ამის შესახებ მე პირველ წერილში მქონდა შენთან ბაასი. დაგვრჩენია ორიოდე სიტყვის თქმა ღორების შესახებ. რასაკვირველია, ნაკლებ სარგებელს (ძროხებზედ) არც ღორების მოშენება მოუტანს ოჯახს; მაგრამ აქ საქმე იმაშია, თუ ვინ რა ნაირი (ნოგროს) ღორების მოშენებას მიჰყოფს ხელს. ღორი, ჩემო ბეჟან, ისეთიც არის, რომელსაც წლის განმავლობაში ოთხი-ხუთი გოჭის გამოზრდაც კი არ შეუძლია და თუ წონაზედ მისდგა საქმე—ოთხ ფუთამდის წმინდა ხორცის მოცემაც კი გაუჭირდება! [1]) მაგრამ სამაგიეროთ ისეთი ჯიშისანიც მოიპოვებიან ღორები, რომლებიც ორჯერ იძლევიან გოჭებს წელიწადში და თვითეულჯერ არა ნაკლებ თექვსმეტი თუ ოცდა ხუთი გოჭებისა!.. ასეთი ჯიშიერი ღორები თავიანთი წონითაც განსხვავდებიან უჯიშო ღორებისგან: თვითეულ მათგანს (თუ ხორცათ ჭინდა გაჰყიდო) შეუძლია ათიდგან მოკიდებული, ოცდაათ ფუთამდის წმიდა ხორცის მოცემა!!.... ამასთან იმათი მოვლა-მომწყესვა არც იმაზედ მეტ ტანჯს მოითხოვს შენგან, რამდენსაც შენ ანდომებდი ამდენხანს თქვენი უჯიშო ღორების მოვლა-მომწყესვას. შემდეგ, რაღა საჭიროა იმის მტკიცება, რომ შენს ოჯახს — უჯიშო ღორების მოსპობით და იმათ ადგილას ჯიშიერის მოშენებით დიდძალი შემოსავალიც მოემატება!!.

2) უქათმოთ და უბატ-ინდოუროთ არც აქნობამდის ვყოფილვართ, მაგრამ იმათ (როგორც ხედავთ) არ გაუკეთებივართო,—იწერები შენ!—მჯერა, რომ იმათი ყოლით თქვენ აქნობამდის ვერ მოგიხერხებიათ რიგიანათ სარგებლობა, მაგრამ ამის მიზეზი ხომ ჩვენებური ფრინველების (ბატ-ინდოუ-

---

[1]) იმათში რასაკვირველია ისეთებიც ბევრია, რომლებიც არც სამი ფუთი გამოვა წონით, და სწორეთ ამიტომ გაგიბირდი იმათი მოსპობა.

რების და ქათმების) უჯიშობა არის და თან ჩვენივე დაუდევრობა-მიუხდენლობაც?! აბა თქვენ გაამრავლეთ საუკეთესო ჯიშის (ნოგროის) შინაური ფრინველები; იმათგან ში—ოჯახში საჭირო ცალკე გამოჰყევით და გასაყიდი (ფულათ საქცევი) ცალკე. ამ უკანასკნელისგან რასაც მიიღებთ (კვერცხები იქნება, ნამრავლი თუ ბურდღა) ყველა უსათუოთ ფულათ უნდა აქციოთ (გაჰყიდოთ). იმათი გაყიდვით ოჯახში შემოსულ ფულს კაპეიკობით უნდა ანგარიშობდეთ; ამასთანავე სულ იმის ცდაშიაც უნდა იყვნეთ, რომ ასეთ ფრინველებს ნაკლების ხარჯით სულ მეტი და მეტი სარგებლობა შემოატანინოთ ოჯახში და მაშინ თქვენც მალე დარწმუნდებით, თუ რა ადვილი ყოფილა ფრინველების მოშენებით, ოჯახში დამოუკიდებელი თანხის შედგენა... სწორეთ ამიტომაც მოგაწოდა თქვენ (დაუღალავმა და დღევანდელი თქვენი მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ მომეცადინემ) ბ ნ ივ. როსტომაშვილმა ცნობანი იმის შესახებ, თუ რანაირად შეიძლება (ჯიშიერი) ფრინველების მოვლა-მოშენება და იმათგან გონივრულათ სარგებლობა [2]).

3, „წავიკითხე ბ. ივ. როსტომაშვილის წერილი „ჩინურ-იაპონიურის“ წესით პურის მოყვანის შესახებ და რა თქმა უნდა, სასარგებლოთაც ვსცანი; მაგრამ აქ საქმე იმაშია, რომ ამ წესით ადგილის დამუშავება, ჩემის აზრით, მეტ შრომა-მოქმედებასაც მოითხოვსო“, იწერები შენ. მჯერა, ჩემო მეზობელო, რომ ხსენებული წესით პურის დათესვა მართლაც მეტ შრომას მოითხოვს შენგან, .ვინემ იმავე ადგილის ჩვეულებრივად დამუშავება... მაგრამ სამაგიეროთ აქ თუ მივიღებთ სახეში იმ ზედმეტ მოსავალს, რომელსაც იძლევა ამ ახალი წესით დამუშავებული ადგილი, მაშინ ჩვენც ადვილათ დავრწმუნდებით, რომ ჩინურ-იაპონური წესით ადგილის დათესვა გაცილებით უფრო ხელ-საყრელია ჩვენთვინ და თან

---

[2]) იხ. „მოგზაურის“ №№ 1 და 2, 1903 წ.

უფრო ადვილიც, ვინემ ამოდენივე ადგილის ჩვეულებრივათ დამუშავება... რატომ?—იმიტომ, რომ ხსენებული წესით დამუშავებული ქცევა ადგილი (სულ რომ ცოტა ვსთქვათ) იმდენ მოსავალს მაინც მოგცემს, რამდენსაც გაძლევდა აქნობამდის ჩვეულებრივათ დამუშავებული სამი ქცევა ადგილი. აქედგან კი ცხადია, რომ ამ წესით დამუშავებული ერთი ქცევა ადგილი, თავისი ნაყოფიერებით, უსწორდება ჩვეულებრივათ დამუშავებულ სამ ქცევა ადგილის ნაყოფიერებას! [3])... ამასთან ნურც ის დაგავიწყდება, რომ ამ წესით ქცევა ადგილის დამუშავებამ შენგან ბევრი-ბევრი იმდენი შრომა მოინდომოს, რამდენიც საჭიროა (ჩვეულებრივათ) ქცევა ნახევარი ადგილის დამუშავებაზედ. მაგრამ სამაგიეროთ, (როგორც ზემოთ ვსთქვით) ჩინურ-იაპონურის წესით დათესილი ერთი ქცევა ადგილის მოსავალი არამც თუ ქცევა ნახევრისას, არამედ (ჩვეულებრივათ დათესილ) სამი ქცევა ყანის მოსავალს უსწორდება!!.... უკეთ რომ ვსთქვათ, თუ ჩვეულებრივათ დათესილი ქცევა ადგილი ორმოც ფუთამდის მოსავალს გაძლევდა აქნობამდის, დღეს ამოდენივე (ერთი ქცევა) ადგილი, მხოლოთ კი ჩინურ-იაპონურის წესით დათესილი, ას ოც (120 ფ.) ფუთამდის მოსავალს მოგცემს!.... ამნაირად, გამოდის, რომ შენ თუ აქნობამდის ოჯახის გამოსაკვებათ სამი ქცევა ადგილის დამუშავება (და მისგან მოსავალი) გჭირდებოდა, დღეს, ამ ახალის წესის შემწეობით (და იმავე საჭიროებაზედ) მხოლოთ ერთი ქცევა ადგილის დამუშავება-ღა დაგჭირდება. ყველა ზემოხსენებულიდგან ცხადია, რომ შენ ამ ნაირი მოქმედებით სამუშიერ დროსაც საკმაოდ მოიგებ და თან დასამუშავებელი ადგილიც მოგრჩება (ორი ქცევა ადგილი), რომელ-

---

[3]) ე. ი. ამ წესის წესლობით, ქცევა ადგილზედ დანახარჯი შრომის ნაყოფიერება უსწორდება იმოდენა შრომის ნაყოფიერებას, რამდენიც საჭიროა სამი ქცევა ადგილის დამუშავებაზედ!!....

ზედაც შეგეძლება სხვა რაიმე უფრო სასარგებლოს და ხელ-საყრელის დარგვა-მოშენება [4]). მაგრამ რა მერე?... შენ აქ-ნობამდინაც ვერ გადაგიწყვეტია ასეთი მოქმედებით სარგებ-ლობა!!.... რატომ?—იმიტომ, რომ ასეთი მოქმედება შენთვინ ჯერ კიდევ ახალია და არა ძველი!!....

4, ქვევით, სხვათა შორის, შენ სჩივი, რომ სოფლად ძნელია რაიმე ახალი მოქმედების შემოღება, რადგანაც (თავ-დაპირველოთ) იმას ხელის შემშლელნი ყოველთვინ მეტი აღ-მოუჩნდებათ, ვინემ დამხმარებელნი და წამქეზებელნიო!..... ასეთ არასასურველ მოვლენას (სამარცხვინოთ და თან სამწუ-ხაროთაც) ჩვენში ზოვიერთ გაზეთების თანამშრომელნიც ხელს უწყობენ თავიანთი უადგილო ოხუნჯობითაო!!.... და ყველა ამაების შემდეგ ასეთ კითხვებს იძლევი: „რა არის იმის მიზე-ზი, რომ რასაც ერთი გაზეთი გვასწავლის და გაგვიპირდება“ —იმასვე უსათუოთ მეორე (გაზეთი) დაგმობს და სასაცილოთ აიღებსო?! რომელ მათგანს დავენდოთ ჩვენ და ან რანაირად გამოვიცნათ იმათში მტყუან-მართალიო და სხვა... სრული ჭე-შმარიტებაა, ჩემო მეზობელო, რომ სოფლად, მართლა, ძნე-ლათ იკიდებს ფეხს რაიმე ახალი ზნე-ჩვეულება ან და შრო-მა-მოქმედება, მაგრამ ამის მიზეზი ხომ ჩვენ-მიერ დაუნდობ-ლობაა ახალი მოქმედებისადმი?! დროა სამარცხვინო იჭვია-ნობას თავი დავანებოთ და თქვენის გაჭირვებულის მდგომარე-ობის მიზეზებს თვითონვე ჩაუკვირდეთ!.... დროა თვითონვე

---

[4]) სამუშევარ დროს მოიგებ იმით, რომ ამ წესით შენ წლის სარჩოს მოწევა ნახევარჯერ ნაკლები შრომით შეგიძლია დღეს. და-სამუშავებელი ადგილი მოგრჩება იმიტომ, რომ დღეს (ჩინურ-იაპო-ნიურ წესის წესლობით) იმდენ მოსავალს, რამდენიც სწირდებოდა შენს ოჯახს წლის განმავლობაში და რომელსაც ჭქონდა მოკავებული სამი ქცევა ადგილი, მოგცემს ერთი ქცევა ადგილი და, მაშასადამე, დანარჩენი ორი ქცევა ადგილი ხომ შენს განკარგულებაში იქნება?

ბული შეცდომის შესახებ: როგორც ეს უკვე გამოირკვა, ივ. როსტომაშვილს უთქვამს სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ ის, რის თქმაც შეუძლია საზოგადოთ (ვალდებულიც იყო, რომ ეთქვა) ყოველს გონიერს და გამოცდილს ადამიანს. მაგრამ (ამისდა მიუხედავად) მისგან თქმული ჭეშმარიტება ისე უმსგავსოთ გადმოგვცეს ზემოხსენებულმა გაზეთებმა მკითხველ საზოგადოებას, რომ ჩვენ (ჩვენთან სხვებსაც) გვეგონა ბ. როსტომაშვილი არამც თუ მარტო თავისი ქვეყნის მტერი, არამედ თვით თავისი „მე"-ს გამყიდველიც!!.... აი, ასეთი შეთხზული ცილის წამება მიგვაჩნია ჩვენ გაკიცხვის ღირსად.

თუ რა იყო მიზეზი იმათი ასეთის საქციელისა, ამის განხილვაში აქ არ შევდივარ, რადგანაც ჩემი მიზანია გამოვარკვიო მხოლოდ ის, თუ რამდენათ შეუწყნარებელია გაზეთებისგან ასეთი შეცდომები. ასეთი შეცდომა მიუტევებელია, ჩემის აზრით, ერთი, როგორც პირადეული ღირსების (რასაკვირველია, უსაფუძვლოთ) დამამცირებელი და ჩირქის მომცხები; მეორედ, როგორც მკითხველი საზოგადოების დამბნევი და თვალის ამხვევი; ხოლო მესამედ კი—როგორც თავიანთი ქვეყნის ანუ (ერის წინაშე ზნეობრივ ვალთა უკუ მგდებელი!!. პირველ ორი დანაშაულობის შესახებ რაღა საჭიროა ჩვენგან მტკიცება, როცა ის უკვე გამოირკვა თავისთავათ. მაშ დაგვრჩენია ორიოდე სიტყვის თქმა მესამე დანაშაულობის შესახებ. ამის გამოსარკვევათ ვსთქვათ (წარმოვიდგინოთ), რომ ხსენებულ სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ (14 იანვარს) „ვინმე თავზედ ხელ აღებულმა" მართლაც ისეთი აზრი წარმოსთქვა, რომლის განხორციელება სულ ერთიანათ (თავდალმა) დაამხობდა ჩვენს საყვარელ ქვეყანას. დროებით ესეც დავიჯეროთ, რომ ხსენებული აზრის წარმოთქმამ სულ ყველა იქ მყოფნი ისე გააცვიფრა, რომ პროტესტის გამოცხადებაც კი ვერვინ მოიფიქრა (ან ვერ მოახერხა)!!...

დიახ, დროებით ყველა ესენი დავიჯეროთ, მაგრამ სამაგიეროთ კი ვკითხოთ ხსენებულ რედაქციების წარმომადგენე-

ლებს: რას აკეთებდით ამ დროს, თვით თქვენ ჩვენის ქვეყნის მოგბაირახტენო?! ნუ თუ თქვენს სამოქმედო ასპარეზზედ, ასეთ საშიშარ დროს, თქვენც სიჩუმე აირჩიეთ?! იქნება, სამწუხაროთ, არც ერთს თქვენგანს არ ჰქონდა ნება ამ საზოგადოებაში ლაპარაკისა, მაგრამ მაშინ სასურველია ვიცოდეთ, თუ რა საშუალებას მიმართეთ ან და რა ღონე იღონეთ თქვენ, ასეთ დროს, თქვენის ქვეყნის სახსნელად? რომელ იქ მყოფთაგანს (რომელსაც ლაპარაკის ნება ჰქონდა) შეავედრეთ პროტესტის გამოცხადება?... იქნება გვითხრათ: „ჩვენი საქმე იყო — ის გადმოგვეცა (მკითხველთათვის), რაც კრებაზედ ითქმებოდა-გაკეთდებოდა და არა იქ გველაპარაკნაო“, მაგრამ ერთი, რომ (ჩვენდა საუბედუროდ) ველარც ეს შეასრულეთ პირნათლათ და მეორედ, რომც შეგესრულებინათ, ნუ თუ ეს საკმაო არ იქნებოდა ასეთ შემთხვევაში?!!. რომ კიდევ უფრო ცხად ვყოთ ამ მესამე დანაშაულობის მიუტევებლობა, ერთი კითხვა კიდევ ერთ წუთს. აქაც წარმოვიდგინოთ, რომ თქვენ ეკკლესიაში ბრძანდებოდით (წირვა-ლოცვის დროს) და ამ დროს შეამჩნიეთ, რომ ვიღაც ბოროტ-გამზრახველს ეკკლესიის სახურავზედ (ერთ კუთხეში) ცეცხლი გაუჩენია (ან და ეხლა უკიდებს), ერთი გვიბრძანეთ: ასეთ შემთხვევაში როგორ მოიქცევით თქვენ? ცეცხლის ჩაქრობას და ეკკლესიის გადარჩენას უფრო უნდა შეეცადოთ, თუ იმის დამახსოვრებას, თუ როგორ და ან რანაირად იწვება ეს თქვენი სალოცავი ტაძარი?!! [9]). ჯერ-ჯეროობით ესეც კმარა. ახლა მივუბრუნდეთ დანარჩენ კითხვებს.

6. ქვევით, ჩემო მეზობელო, შენ სჩივი: „ზოგი თქვენგანი სოფელში შრომით გვიქადის გაკეთებას და ზოგნი კი ქალაქებში გადმოსახლებითო და აბა როგორღა გამოიცნას,

---

[9]) აი, ამნაირ იმათ მიმართულება-შეხედულებაშია დღევანდელი პრესის სიყალბეც.....

ჩვენისთანა უსწავლელმა კაცმა, თუ რომელი ამ რჩევათაგნის შესრულება მისცემს მას ხელსო?!“ ჩემის აზრით, ჩემო ბეჟან, ის პირნი, რომელნიც თქვენ გიპირდებათ (ასეთ გაჭირვებულ დროს და ასე მოუმზადებელს) ქალაქში დაბინავებით თქვენის მდგომარეობის გაუმჯობესობას, ერთხელაც კი არ დაჰკითხებიან თავიანთ თავს, თუ რაა მიზეზი ჩვენებური ქალაქების ასეთი დაბეჩავება-დაღარიბებისა და ან იმათი მოუწყობლობისა? რა არის მიზეზი ჩვენებურ ქალაქებში მყოფ მუშების ასეთი გაჭირვებისა?

ან და რაა მიზეზი ჩვენებური სოფლების ასეთი გაჭირვებისა, მათში მყოფ ხალხთა ამნაირად დაღარიბებისა და თან იმათი ასეთი დღევანდელი ულუგეშო მდგომარეობისა? ქალაქს, ჩემო ბეჟან, მხოლოდ მაშინ შეუძლია მათ'ძივე თავ შეფარებულებს სამსახური გაუწიოს, როცა მას შეძლება შესწევს (მდიდარია). წინააღმდეგ შემთხვევა'ში ის ტვირთია როგორც მათში თავ-შეფარებულებისთვინ (მუშებისთვინ), ისე თვით სოფლელებისთვინაც. სოფლელების ქალაქებ'ში გაკრეფა, ჩემო მეზობელო, უმეტეს ნაწილად ორი მიზეზის გამო ხდება. პირველი ხდება მაშინ, როცა სოფლელი ოჯახი მიუხდენლობის და უგუნურობის (ხშირათ დაუდევრობითაც) გამო — უძლურ დება ქონებრივის მხრით, ცხოვრების მძიმე უღლის გაწევას ველარ ძლებულობს და ამიტომ გარბის ქალაქში (დღის ქირაზედ ან და სულ საცხოვრებლად), რომ ამ უკანასკნელს როგორმე თავი შეაფაროს. ხოლო, მეორე კი, იმ შემთხვევაში, როცა სოფლელმა თავისი გონივრული და მუყაითი შრომა-მოქმედებით უკვე მოითბო ხელი (გაიმაგრა წელი) ქონებრივის მხრით, მაგრამ მისი სულიერი მოთხოვნილების სვე-ბედი ჯერ კიდევ (სოფლად) ვიწრო კალაპოტშია მომწყვდეული და, აი, სწორეთ ამ უკანასკნელის (სურვილისამებრ) დასაკმაყოფილებლად მიეშურება ესეც ქალაქში. პირველი მიზეზის გამო სოფლელი მუშების გაკრეფა ქალაქებში (რაც ჩვენში ასე ჩვეულებრივ მოვლენათ ითვლება) სამწუხარო და თან

საზარალოც არის როგორც ქალაქებისთვინ, ისე სოფლებისთვინაც. ხოლო, მეორე მიზეზის გამო კი (რაც ჩვენში ასე იშვიათად ხდება) ფრიად სასურველია და თან, რასაკვირველია, სასარგებლოც. პირველი მიზეზის გამო ქალაქებში გაკრეფა საზარალოა ერთი იმიტომ, რომ ამით ისედაც გაღატაბულ ქალაქს პროლეტართა რიცხვი კიდევ უფრო უმრავლდება (საჭირო და საჭირისუფლო ემატება) და მით მას, რასაკვირველია, სისუსტე უძლიერდება და ძალა ელევა.....

მეორეთ, ქალაქისთვინ საზარალოა ასეთი მოვლენა იმით, რომ რამდენი სოფლელიც დაბინავდება ქალაქში სამუდამოთ, იმდენი სოფლელი მუშტრებიც მოაკლდებათ ამ უკანასკნელს (ე. ი. ქალაქს) [10]. ამის გამო, რასაკვირველია, ის დრო, რომლის განმავლობაშიაც აქნობამდის ქალაქი ასაღებდა თავიანთ საქონელს, დღეს ერთი-ორად გაუგრძელდება და ამას ხომ კარგი შედეგი არ მოჰყვება?!. ეხლა ვიკითხოთ: სოფლელისთვინ რატომ არის საზარალო ზემოხსენებული მოვლენა? იმიტომ, რომ ამით სოფელს ძალა აკლდება (მუშა ხელი); სოფლებისგან გარდახვეწილების ტვირთი ეხლა იმათში (სოფლებში) დანარჩენ მცხოვრებთ აწვებათ კისერზედ და სწორეთ ამიტომაც არის, რომ ისინი (დანარჩენი მცხოვრებნი) არავითარ საშუალებას არა ზოგავენ, ოღონდ კი ხელი შეუშალონ თავიანთი მეზობლის მოქალაქეთ გახდომას [11]... ამნაირად, გამოდის, რომ წელ-გაუმაგრებელი სოფლებიდგან (უდროვო დროს) სოფლელების ქალაქებში გაკრეფით როგორც პირველნი (სოფლები), ისე მეორენიც (ქალაქები) უძლურდებიან. ამიტომაც,

---

[10]) ხოლო დარიბი და საჭირისუფლო ქე შეემატა მას.

[11]) ხშირათ ისეთი ბირების წინააღმდეგიც არიან, რომლებიც ორ-სამ თვეობით რჩებიან სამუშაოთ ქალაქებში; ასეთ ბირებს ყინზედ ირჩევენ ნატვლათ ან და მამასახლისათ და მით აიძულებენ სოფლად სამსახურს.

ასეთ შემთხვევაში, ქალაქს ერთიღა დარჩენია: ან რითიმე (რაიმე საშუალებით) შეივსოს თვისი დანაკლისი, ან და სული განუტევოს!.... მაგრამ მოგეხსენებათ, რომ სული ტკბილია და ამიტომ ქალაქიც პირველსა რჩეობს. ის გვეუბნება: „აა, თქვენ დახმარების მაგივრათ მხოლოდ ღარიბ-უპატრონოებს ამრავლებთ ჩვენში (ქალაქში) და მით ისედაც (სხვა ქალაქებთან შედარებით) ჩამორჩენილებს და გალატაკებულებს..!!..... მაგრამ დაგვაცა, ჩვენც შეგვიძლია სამაგიერო მოგაგოთო“ და მართლაც ასე იქცევიან!.... ისეთ საქონელზედ, რომელზედაც სხვაგან (ისეთ ქალაქებში და ქვეყნებში, სადაც მეტი სიმდიდრე, მეტი ცოდნა და მეტი წესიერებაა) ერთი-ორი პროცენტის მოგებით კმაყოფილდებიან, ჩვენში კი ოცი-ოცდახუთი პროცენტის (მოგ ების) აღებითაც ყურს არ იბერტყენ!.. და მერე ასეთი იმათი უწყალო საქციელი ვის აწვება კისერზედ ტვირთად არ იკითხავთ?! რასაკვირველია, იმავე გალატაკებულ სოფლელ ხალხს [12]) და იმავე ქალაქებში გამოსულ მშიერსა და მწყურვალე მუშა ხალხს!!!....

ყველა ზემოხსენებულიდგან ცხადია, რომ, ვისაც სურს ქალაქებში თავ-შეფარებულ მშრომელ ხალხთა მდგომარეობის გაუმჯობესობა, ის ჯერ უსათუოთ ქალაქების (ქონებრივის მხრით) წარმატებაზედ უნდა ფიქრობდეს, იმათ წელის გამაგრებაზედ და შემდეგ კი მათში (ქალაქებში) მყოფ მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესობა-განკარგებაზედ. ეხლა ერთი ვიკითხოთ: რით შეუძლია წელის გამართვა ქალაქს ქონებრივის მხრით? რასაკვირველია, შემოსავალთა გადიდებით!.. როდის შეიძლება გადიდდეს ეს უკანასკნელი? მაშინ, როცა სოფლელთა შორის გადიდდება მათივე დასაკმაყოფილებელი დღიური (ან და წლიური) მოთხოვნილება, ე. ი. როცა თვითეული მათგანი თავის თავს გაცილებით მეტს ხარჯს მოან-

---

[12]) რადგანაც უმეცარი ხალხი უფრო ადვილ მოსტეუებელია.

დომებს (რა თქმა უნდა, როგორც ხორციელი, ისე სულიერი მოთხოვნილების რიგიანად დასაკმაყოფილებლად), ვინემ დღეს. როდის შეიძლება ეს ასე მოხდეს? მაშინ, როცა სოფლელთა ქონებრივი მდგომარეობა შესამჩნევათ გაუმჯობესდება. აი, სწორეთ ასეთ დროს შეეძლება ქალაქსაც წელის გამართვა (ქონებრივის მხრით) და მის შემწეობით სოფლისადმი თავიანთი ვალდებულობის პირნათლათ შესრულება. ამ ნაირად, ქალაქებისვე ინტერესები თხოულობენ, რომ იმათ (ქალაქების) მოტრფიალეებმა უწინარეს ყოვლისა, სოფლელ ხალხთა მდგომარეობის გაუმჯობესობას შეეცადნენ *).

და რადგანაც სოფლების სვე-ბედი, დღეს, მათ შივე მცხოვრებ ხალხთა გონივრულ შრომა-მოქმედებაზედ არის დამოკიდებული, ამიტომ სასურველია, რომ ყველა გულ-შემატკივრებმა ამ უკანასკნელთა შორის უბრყვილო და გონიერ შრომა-მოქმედების გავრცელებაზედ იზრუნონ და არა მარტო ქალაქებისკენ ხელის ქნევაზედ და უძლურებთან უძლურებისავე მიტაბიკებაზედ!!.... დიახ, ჯერ სოფლელებს უნდა გაუწოდოთ ხელი, ასწავლოთ მათ, გაავრცელოთ მათ შორის გაუმჯობესებული სამეურნეო იარაღები, აჩვენოთ იმათ ნაყოფიერი შრომა-მოქმედების მაგალითი; არ უნდა აიძულოთ იმათი დაღარიბების და დაბეჩავების გამო ქალაქებში გახიზნვა და მაშინ თქვენც დაინახავთ, რომ სოფლების მდგომარეობის გაუმჯობესობასთან ერთად თვით ქალაქების მდგომარეობაც გაუმჯობესდება. რით?—იმით, რომ სოფლელთ, ასეთის მოქმედებით, როგორც ზემოთ ვსთქვით, შეძლება მოემატებათ, რის გამო ისინი, დღეს ხუთ-ექვსჯერ მეტის დახარჯვას შესძლებენ თავიანთ საჭიროებაზედ, ვინემ აქნობამდის. ეს ზედ-მეტი ფულები, რა თქმა უნდა, რომ ქალაქებშივე დატრიალდება და

*) ბ-ნი სიტუვა კი გამოდის და როსტომაშვილს უკიჟინებს, რომ სოფელში მოქმედებას ქადაგებსო. ვაი, უგუნურებავ!.. რედ.

ამას ხომ, ჩვეულებრივათ, ამ უკანასკნელშივე მცხოვრებ ხალხთა მდგომარეობის განკარგებაც მოჰყვება?!....

ესეც ცოტაა. როცა სოფლელებს სოფლადვე შელავათი მიეცემა, მაშინ იმათგან ქალაქებში ბედის მძებნელთა რიცხვიც ხომ შესამჩნევათ შემცირდება და ამას აუცილებლივ მოჰყვება ქალაქებში მუშათა დღიურ შრომაზედ მეტი ფასის დადება და ეს უკანასკნელი ხომ პირდაპირ მუშათა ინტერესს შეადგენს?! [13])...

ამნაირად გამოდის, რომ ერთად-ერთი საშუალება ქალაქების გამდიდრებისა და მათში თავ-შეფარებულთა მდგომარეობის განკარგებისა ისევ **სოფლელთა მატერიალური მხრათ გაუმჯობესობაა.** ეს ასეც უნდა იყოს: ქალაქი სოფლის შვილია [14]) (სოფლისგან გაჩენილი) და ის ისევე ვალდებულია ჯერ ქალაქი გამოზარდოს და გაუმაგროს მას წელი, როგორადაც მამა შვილისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ქალაქი ისე ვერ გაუწევს სოფლებს სამსახურს და პატრონობას, როგორადაც უგუნური, უსწავლელი და დაბეჩავებული შვილი თავისს მოხუცებულ დედ-მამას.

ეხლა დროა ვიკითხოთ: კარგი, ქალაქებს თავდაპირველათ სოფლებმა უნდა გაუმართონ ხელი, მაგრამ ასეთი ხელის გამართვაც ხომ (ქონებრივ შეძლებასთან ერთად) ცოდნა-მიხდენას თხოულობს იმათგან?!.... მაშ ვინღა მოამზადოს სოფლელნი ასეთის მოქმედებისთვინ? ვინღა გაუწოდოს ამ უკანასკნელთ ხელი? ვინღა შეაგონოს და გამოაფხიზლოს ისინი?!. —ვინღა გაუწიოს იმათ პატრონობა, თუ არ მთელმა ინტელი-

---

[13]) თუ სამუდამოთ არა, დროებით მაინც მოითბობენ ხელს.

[14]) ამის შესახებ იხ, „ცნობის ფურცელი“ №№ 884, 885, 888, 889 და 890 (1899 წ.) ამ სათაურით: „სოფელი და ქალაქი; ვისგან შექმნილია ქალაქი, რა დამოკიდებულობაა სოფელ და ქალაქ შუა და რომელს რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნისთვის?“.

გენციამ?! დიახ, სოფლელთა დღევანდელი მდგომარეობის განკარგებაზედ ზრუნვა, დღეს, მთელის ქვეყნის შეგნებულ პირთა წმინდა მოვალეობას შეადგენს და თუ ჯერ ჩვენში ეს ასე არ ხდება, ეს იმიტომ, რომ მარტო ქალაქებში დაბრძანებით, იქ ოცნებობით და სულ მაღლა-მაღლა ფრენით კი სოფლად არას დროს არ გაკეთებულა საქმე და მაშ ეხლა საიდგან გაკეთდება?! ამიტომ გულწრფელად გირჩევთ ქალაქებში დაბუდებულთ და მაღლა-მაღლა მფრინვალე მოღვაწეებს ცოტა ქვემოთ ჩამოეშვათ (რომ ერთხელ დედამიწამაც იხილოს თქვენი შუქი), უფრო ახლო გაეცნოთ სოფლელი მუშის ჭირ-ვარამს და გაჭირვებას, იმათს ცოდნა შეხედულობას, ზნე-ჩვეულებას და მაშინ, უსათუოთ, თქვენც დარწმუნდებით, რომ ის წინანდელი (ზოგიერთი თქვენგნის) ტკბილი ლუღუნი, რომლითაც, ვითომ და, მსმენელნი ტკბებოდით, თურმე (რაღაც მანქანებით) ბევრჯერ საწამლავათაც მოჰვლინებიათ ისედაც დაუძლურებულს და უმეცრებით მოწამლულ საწყალ სოფლელებს!!.

დანარჩენი შენი კითხვები, ჩემო მეზობელო, ყველა პირდაპირ მეურნეობას ეხება და ამიტომ მეც ვეცდები, სხვადასხვა წიგნაკების შემწეობით, თვითეულ იმათგანზედ მოკლეთ პასუხი მოგცე (ასეთ წიგნაკების ავტორების ვინაობას ჩვენ თვითეული პასუხის ბოლოში მოვიყვანთ).

მარად თქვენი კეთილის მსურველი ტ. ართმელაძე.

(შემდეგი იქნება).



შრომა და მოსვენება

I.

ჩვენი ცხოვრების და სიცოცხლის უპირველესი საჭიროა საკითხი შრომის და მოსვენების საკითხია.

სადაც კანონიერი და საფუძვლიანი შრომა არ არსებობს, იქ არც კეთილი და საფუძვლიანი ცხოვრებაა, და სადაც ზომიერი მოსვენება არ არის, იქ არც სიმშვიდე და ჯანსაღობაა.

ასი ათასი წელიწადი იქნება, რაც კაცობრიობა არსებობს დედა-მიწაზედ. ამოდენა მანძილზედ კაცს, თქმა არ უნდა, ბევრი შემთხვევა ჰქონდა, დაჰკვირვებოდა გარემო საგნებს, რომ ეთქვა: „ქვეყანაზე არაფერია ისეთი, რომ გამუდმებულს მოსვენებაში იყოსო“.

ამაში ჩვენ ჩვენის თვალითაც ვრწმუნდებით და მეცნიერების გამოკვლევითაც.

ჩვენ, მაგალითად ვხედავთ, რომ წყლით დაჟღენთილი ჭალები იმსხვრევა, ტყე მინდვრად ხდება, მინდორი ტყედ და სხვა... ზოგიერთ საგნების ასეთს ცვლილებას ჩვენ, მართალია, არ მოვსწრებივართ, მაგრამ მათს ცვლილებაზედ ან გაგვიგონია და ან წაგვიკითხავს; ერთი სიტყვით, ქვეყანაზედ ყველაფერი ისე იცვლება, როგორც წელიწადის ოთხი დრო.

ბუნების მეცნიერება გვიმტკიცებს, რომ არც ერთი იოტის ოდენა ქვიშის კენჭი და არც ვეებერთელა მთა-კლდეები და სხვა ყოველივე საგნები, რომლებსაც ჩვენ ჩვენის თვალით

ვხედავთ თუ არ ვხედავთ არც ერთს წუთს უმოძრაოთ და უცვლელათ არ არიან.

ქვიშის კენჭები, მაგალითად, წყლის ანუ ქარის შემწეობით ერთი ადგილიდან მეორე ადგილს გადადის. ასეთსავე ცვლილებას ექვემდებარებიან ამაყად გამომცქირალი ვეებერთელა მთა-კლდეები, რომელთაც მიმდინარე წლები ძირს უთხრიან და ის ვეებართელა, უზარმაზარი მთაც ერთ მხარეს წამოიქცევა და მერე მცირე დროს განმავალობაში ერთ მშვენიერ და ნოყიერ მინდვრადაც გადაიქცევა.

ასეთსავე შემთხვევებს და ცვლილებებს ექვემდებარება ბუნების სხვა ყოველი საგანიც ზოგ ადგილას ქვეყანა წყლით ივსება და იფარება, ზოგ ადგილს კი თვით ზღვაც ხმელეთს ადგილს უთმობს, და ასე ამ გვარის ცვლილებით არსებობს ბუნებაში ყოველი სულიერი თუ უსულო საგანი, და მათ შორის კაციც და მისი ცხოვრებაც.

ზოგიერთი მდინარეები მცირდებიან, ასე რომ მათი წინანდელი რამდენიმე საჟენი სიღრმე თუ სიგანე ახლა რამდენიმე არშინით იზომება და ზოგიერთ ადგილს კი ესენი სიღრმითაც და სიგანითაც მატულობენ. ზოგ ადგილას ტბა შრება, ზოგ ადგილას კი რომელიმე დაბა ანუ სოფელი ისე ღრმათ ვარდება დედა-მიწაში, რომ იქ, სადაც წინათ ხალხი სცხოვრობდა, ახლა ერთ ჯურღმულსღა ხედავთ, რომელიც მერე ესეც წყლით ივსება და ახალ მდინარედ ანუ ტბად იქცევა...

II.

ბუნებაში მომხდარი ცვლილებანი, რომელზედაც ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ, არც ისე უცბათ და ერთბაშათ ხდება, რომ კაცმა ყველაფერი თავის თვალით ნახოს.

ზოგიერთი საგნის ცვლილება იმდენ დროს საჭიროებს, რომ კაცი მთელს თავის სიცოცხლეში ვერ მოესწრობა მის

ნახვას, ზოგი საგნის ცვლილება კი ისე ჩქარა ხდება, რომ კაცი იმას თავის სიცოცხლეშივე ხედავს.

მაგალითად, ქათამი რომ კვერცხს სდებს, არ გადის სულ 20 დღე, რომ იმავ კვერცხიდგან წიწილები გამოდიან, რომელნიც ჯერ ვარიებად ხდებიან და მერე ისეთივე ქათმებად, რომ სულ ერთი წლის შემდეგ ახლა თითონაც შაუძლიანთ კრუხად დაჯდომა და წიწილების გამოჩეკა.

III.

რაც შეეხება ადამიანის სხეულის ცვლილებებს, ამას ხომ ბევრს სრულიად ვერც კი ვხედავთ. მაგალითად, როგორ გვეზრდება თმები ანუ ფრჩხილები ჩვენ ამას არცა ვგრძნობთ და არცა ვხედავთ. სასმელ-საჭმლის მიღების დროსაც ჩვენ მხოლოდ ვგრძნობთ: ყლაპვას, კმეჩას და შიმშილის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას; ჩვენთვის აქ უფრო ის არის საჭირო, თუ რა ცვლილებას ახდენს ადამიანში **შრომა** და **მოსვენება** და ამიტომ გადვიდეთ ამაზედ. გამოვიკვლიოთ ჯერ, თუ რა ემართება სხეულს თვისს სულის სამსახურში ან მშრომელ მუშას განვითარებული კაცის ხელმძღვანელობით საქმის კეთებაში. მაგალითად, სულმა გაიფიქრა სხეულის ფეხზედ დადგომა. სხეული რა თქმა უნდა იმ წამსვე შეუდგა ამის შესრულებას. სხეულის ფეხზედ დადგომისათვის საჭიროა ღონე, რადგან სუსტს ადამიანს, ანუ ღონე-მიხდილ ავათმყოფს ფეხზედ დგომა არ შეუძლიანთ. რადგანაც დადგომის დროს მთელი სხეული ფეხებზედ არის დანდობილი, ამიტომ ეს უკანასკნელი უფრო ექვემდებარება ცვლილებას, ე. ი. თავის ამ მოქმედებით, ეს უფრო ჩქარა დაიღლება. ის, რასაც ჩვენ **დაღლას** ვეძახით, ნიშნავს ჩვენის სხეულის სახსრების ღონეთა ხდენას, წვას ანუ ცვეთას, რომელიც ჩვენს სხეულში ისე შეუმჩნევლათ ხდება, როგორც სანთლის ანთების დროს ქონი და პატრუქი ილევა, იწვის.

ყველა სულიერი არსებანი, როცა კი გრძნობენ სხეულის რომელიმე ნაწილის დაღალვას, მაშინვე იცვლიან თავიანთ მდგომარეობას, ე. ი. დაღლილს ნაწილებს აძლევენ მოსვენებას და შესვენებულებს კი ამოქმედებენ. ასეთი მდგომარეობის შეცვლას ჰქვიან **დასვენება**, რომელიც მით უფროა საჭირო, რომ სხეულის დაღლილმა ნაწილებმა თავისი დანაკარგი ძალ-ღონე შემოიკრიბონ და ახალის ნორჩის ძალით და ღონით აღიჭურვონ.

IV.

რამდენათაც დიდი შრომა გვაქვს, იმდენათ უფრო ჩქარა ვბეზრდებით, ჩქარა ვიღლებით და მოსვენებას ვსაჭიროებთ. რამდენიმე ფუთიანი მძიმე კიდობნის მხრებით ტარება და რომელიმე მსუბუქი ნივთის ხელში დაჭერა ერთი და იგივე არ არის. ხოლო თუ ჩვენის სხეულის დაღლილს ნაწილებს დროზედ მოსვენება არ მივეცით, მაშინ ადვილი წარმოსადგენია, რომ ავათ გახდომის გარდა, უარესი რამეც შეიძლება დავმართოთ ჩვენს თავსა.

დასარწმუნებლათ იმისა, თუ გადაჭარბებული და მოსვენებას მოკლებული შრომა რარიგ უსპობს და უმოკლებს კაცს სიცოცხლეს,—მოვიყვანთ ნამდვილს მაგალითს:

ფულის მოყვარე სამი კაცი გაურიგდნენ ერთ უგულო, შეუბრალებელს მდიდარს, რომ ესენი მას ეტლით რამდენსამე ჟამს გაატარებენ. აი, შეებნენ ეტლში და გაუდგნენ გზას, მაგრამ შებმულების საუბედუროთ ამათ დანიშნულს ადგილს ვერ მიაღწიეს, დაიქანცნენ, დაიღალნენ და ზედ შუა გზაზედვე დაეცნენ და სამივენი დაიხოცნენ. საიდგან წარმოსდგა იმათი სიკვდილი, თუ არ იქიდგან, რომ იმათ თავიანთ ღონის კვალობაზე უფრო მეტი და შეუძლებელი ჯაფა იკისრეს!? ისინი დიახაც გრძნობდნენ თავიანთ ღონის ხდენას და დაღალვას, მაგრამ მაინც ეწეოდნენ, რომ ფულის სიხარბით სანაძლეო მოეგოთ და თავი კი ანაცვალეს...

ცხადია, რა გვარიც უნდა იყოს შრომა, თუ მასთან ჩვენ საკმაო მოსვენება არა გვაქვს, იგი მუდამ მავნებელი იქნება ჩვენთვის.

ყველა ამასთან ჩვენ ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ მუდმივი ცუდაობა და უსაქმურობაც ისეთივე მავნებელია, როგორც გადაჭარბებული და მოსვენებას მოკლებული შრომა.

დასარწმუნებლათ ამაში შევუდგეთ მოსვენების განხილვასაც: რბილ დოშაკზედ უსაქმოდ წოლაზედ და განცხრომით მოსვენებაზედ, სხვა რაღა მოსვენება უნდა იყოს სასიამოვნო, მაგრამ აბა ერთი თუნდა ნახევარი საათი დაწექით უმოძრაოდ; თქვენ მალე იგრძნობთ ტანჯვას და სხეულის ისეთსავე ცვეთას ანუ დაღალვას, როგორსაც მხოლოდ რომელიმე ფიზიკური შრომის დროს იგრძნობდით.

გამოდის, რომ უქმი მოსვენებაც ისეთივე მავნებელი ყოფილა, როგორც გადაჭარბებული შრომა. აი, ამიტომაც არის საჭირო, რომ შრომის და მოსვენების დროს, ჩვენ ხშირ-ხშირათ ვიცვლიდეთ ჩვენს მდგომარეობას, რომ დაღლილმა სახსრებმა დანაკარგი შემოიკრიბონ და შესვენებულმა ნაწილებმა კი იმოქმედონ; მაშინ არც ერთს და არც მეორეს არა დაუშავდება რა, ე. ი. ჩვენი სხეული ყოვლად ჯან-საღი დარჩება. ჩვენში ჰგონიათ, რომ ვინც ტყეში შეშას სჭრის, ან ზურგით ტვირთს ეზიდება, ის იღლებაო, ხოლო ვინც მაგიდის წინ არხეინათ სკამზედ ზის და სწერს, ან კითხულობს, იმას რა დაჰღლისო!.. მაგრამ ეს სულ შემცდარი აზრია. გონებით შრომა, ე. ი. კითხვა, წერა, ფიქრი ისეთივე დამღლელია ადამიანისა, როგორც სხეულით მუშაობა.

სხეულისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ ერთის მხრით ჩვენი სხეულის სახსრები შრომით იღლებოდნენ, ხოლო მეორე მხრით კი—მოსვენებით ახალის ძალ-ღონით იკრიფებოდნენ, ე. ი. ცოცხალი ადამიანის სხეული მუდამ ასეთს შეუყენებელ ცვლილებას უნდა ექვემდებარებოდეს, თუ გვინდა, რომ იგი მარად კარგად და ჯან-საღად იყოს.

გიორგი ჩარხიშვილი.

(შემდეგი იქნება).

ჯორდანო ბრუნო.

მისი ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა.

I.

გათენდა 17 თებერვალი 1600 წელს. თუმც ადრეა, მაგრამ მშვენიერი გაზაფხული დგას და ამკობს ფერადი ყვავილებით და ბიბინა მოლნარით იტალიის ტურფა ბუნებას. ფირუზა ცა დაჭღიმის ზეიდამ ამ მშვენიერ ედემს, ცხუნვარე მზე აფრქვევს ოქროვან სხივებს და ხვევს მას თავის სამიჯნურო ალერსში. ჰაერი თითქო დამთვრალია ყვავილთ სურნელით, დაფნის და ფორთოხლის ბუჩქიდან ისმის ბულბულის სანეტარო სალამური; იგი კვნესის ნაზოვან ჰანგებს და ჰფენს კაცს, ცხოველს და მთელს ბუნებას სიყვარულის ნექტარს. ყველა ხალისობს, ყოველი არსი გრძნობს რაღაც უსაზღვრო ბედნიერებას; ყველას სწყურია მარადის ნორჩი სიცოცხლე, სურთ საუკუნო ნეტარება...

რომის დიდ მოედანს ეტყობა რაღაც მოძრაობა; იგი სავსეა ხალხით. არა ჩვეულებრივ მოვლენას შეუკრებია აქ ღარიბი და მდიდარი, ქალი და კაცი, სწავლული და უმეცარი. ეს ხალხის ურდო შეუპყრია ერთ სურვილს, ერთ ფიქრს. შუა ალაგას მოსჩანს შეშის გროვა და ამართული ბოძი. რას ნიშნავს ესა? რათ უნდათ ეს ბოძი, ეს ფიჩხი და შეშა? უნდა ააგზნონ ცეცხლი, მიაკრან ბოძზედ კაცი და დასწვან!.. როგორ?! უნდა დასწვან კაცი იმ დროს, როცა ყოველი არსი სტკბება სიცოცხლით და შეჰხარის ტურფა ბუნებას, როცა

ყველა გრძნობს უზენაეს ნეტარებას?! რისთვის, რა დააშავა! ეს არ შეიძლება!.. დიახ, უნდა გამოვტყდეთ მთელის ევროპის სამარცხვინოთ, რომ ეს მართალია. უნდა დასწვან ცოცხლათ კაცი, შემკული მეცნიერებით, უზენაესი გრძნობით, მისწრაფებით და გენიოსობით. ამ კაცის ულმო ჯალათია ის პირი, რომელსაც თაყვანს სცემენ მეფენი და ხელმწიფენი, რომელიც ირიცხება წმიდათა შორის, ისახება ქრისტეს მოადგილეთ და ბრძანდება პეტრე მოციქულის ტახტზედ. დიახ, დღეს უნდა დასწვან დიდებული ფილოსოფოსი, მეცნიერი და პოეტი!.. მისი სასტიკი ჯალათი კი გახლავთ რომის პაპი, რომის სამღვდელოება.

მოედანი სავსეა, ხალხი მდუმარებს; იგი უცდის მოუთმენლათ, ის სიამით მოელის იმ კაცის დაწვას, ვისზედაც უთხრეს მღვდლებმა, რომ ღმერთი არ სწამსო, ეშმაკს სული მისცაო, პაპსა და ჩვენ გვაძაგებს, ქადაგებს, რომ მიწა ბრუნავს და ბევრი დედამიწისთანა ქვეყნები არსებობენ კიდევ.

დადგა საბედისწერო წამი. უცებ შეინძრა ამოდენა ურდო და მსწრაფლ ჩამოვარდა სამარისებური დუმილი. ყოველი სული გადიქცა ცქერათ და სმენათ. აი მოახლოვდა კიდეც პროცესია; მოჰყავთ მსხვერპლი, მოაჩხარუნებს ბორკილებს; მოდის მამაცათ ეს ბოროტების და უმეცრების ტარიგი. მის გამხდარ სახეს ემჩნევა წამების და დიდის შრომის ღრმა ტიფარი, მის ფართო შუბლს შიგნით იფარვიან ზენაარი აზრები, მის ბაგეზე იხატება ზიზღი და სიბრალული. მხედარნი აქარაფებენ იმის წინ გზას; ის კი მოაბიჯებს მტკიცეთ და ამაყათ. მოახლოვდნენ...

— „შეხე, აი ის, ეგერ, შუაში“...—გაისმა ხალხში ხმა.

— „როგორ მტკიცეთაა და მშვიდათ! რა ლამაზია!— ფუჩუნობენ ქალები. გმირის დიდრონი თვალები უკვირდებიან ყველაფერს. აი, მოიყვანეს კიდეც ბოძთან. აი მიაკრეს მასზედ მძიმე კირთებით. ის ისევ მშვიდია და შეურყეველი... ნუ თუ მართლა უნდა დაიღუპოს იგი ასე უბრალოთ! ნუ თუ

არ იკადრებს ცოტაოდენ ტყუილს, არ გასწევს დროებით მაინც პირმოთნეობას! ნუ თუ არ უარყოფს თავის მოძღვრებას თუნდ გარეგნობით?! ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი სიტყვა და ის თავისუფალია! იგი მორჩება ამოდენ ტანჯვას, გადარჩება დაწვას; მას დააჯილდოვებენ პატივ-დიდებით. მაგრამ არა... ის დგას ისევ მტკიცეთ და ამაყათ, არ ძრავს ენას. მას სძულს ცბიერება, მას არ უნდა არავისგან პატიება და შებრალება. ერთი წუთიც კიდევ და აღიგძნო კოცონი. შეკრთა უნებლიეთ ბოროტების მსხვერპლი. ალმა და ბოლმა მოიცო წამებული... მაგრამ არც ერთი ვედრება, არც ერთი შენანების ხმა, არც ერთი მწვავე კვნესა არ ამოგჯა გმირის გულს. კიდევ რამდენიმე წუთი და ნიავმა მოსდო მიდამოს ფერფლათ ქცეული ჯორდანო ბრუნო...

II.

სანამ შევეხებოდეთ ჯორდანო ბრუნოს ცხოვრებას და მოღვაწეობას, არ იქნება მეტი, მოკლეთ აღვნიშნოთ ისტორიული წარსული და ის პირობანი, რომელშიაც აღმოცენდა ეს საოცარი ადამიანი.

როგორც მკაცრსა და ხანგრძლივ ზამთრის შემდეგ პირველათ ბრწყინდება ცა და ცხუნვარე მზე ჰფენს ქვეყანას თავის ნაყოფიერ სხივებს, რისგამო თბება ჰაერი, დნება თოვლი და მცენარის კვირტები მზაა გაიშალონ, შეამკონ მიდამო ფერად ყვავილით და მწვანე ფოთლებით,—სწორედ ეგრევე ხდებოდა ევროპის ცივი და ბნელი სუდარა პაპიზმის ათასი წლის ბატონობის შემდეგ და ახალი აზრების კვირტები მზათ იყვნენ გასაშლელათ, მზათ იყვნენ შეემკოთ მთელი კაცობრიობა და გამხდარიყვნენ სულის მსაზრდოებელ ნაყოფად.

ეს გაზაფხულის სანატრელი ფშვიადი ტრიალებდა ყველგან, მაგრამ უფრო სამჩნევი იყო იტალიაში, რომელიც აღმოსავლეთთან ვაჭრობით და პაწია თავისუფალი რესპუბლიკა-

სამეფოთა დაარსებით მეტათ გამდიდრდა და განვითარდა; მეტადრე კი თათრების-მიერ ბიზანტიის დაქცევის შემდეგ შეიძინა დიდი სწავლა და გაეცნო პირდაპირ ძველ ელინთა ფილოსოფია-ლიტერატურას. ვინაიდან კონსტანტინეპოლის განათლებული პ რნი გადმოიხვეწნენ იტალიაში და გადმოიტანეს იქ ბიზანტიის ცივილიზაცია.

— „სულის ყოველგვარი ქმნილება არის თავის დროის ნაყოფი, ყოველი კერძო კაცი არის თავის დროის შვილი“, —ამბობს ფილოსოფოსი ჰეგელი. მართლაც, სად უნდა დაბადებულიყვნენ იმ დროს პირველად დიდებულნი კაცნი, თუ არ იტალიაში, რომელიც ეგრე გაძლიერდა ნივთიერათ და სულიერათ. სწორეთ აქ გაიღვიძა და გაიშალა პირველათ გონება, სწორეთ აქედან მოედო მთელ ევროპას ახალი აზრები, სწორეთ აქ უნდა დაბადებულიყვნენ ამისთანა გენიოსნი, როგორიც იყვნენ პოეტები: დანტე, პეტრარკა, ბოკაჩიო და ბრუნი, რომელთაც პირველად ამხილეს ევროპას ხელოვნურათ და ოსტატური დაცინვით ლათინთ სამღვდელოების დაცემული ზნეობა, სიცრუე, ცარცვა-გლეჯა, აგრძნობინეს ნამდვილი შვენიერება, სიმართლე და ამცნეს ყველას თუ რაშია კაცის ნამდვილი ღირსება.

პოეზიას იტალიაში მოჰყვა სხვა ხელოვნების აღორძინებაც და მეტადრე განვითარდა ხუროთ-მოძღვრება, ქანდაკება და მხატვრობა რაფაელი, მიქელ-ანჯელო, ლეონარდო დევინჩი, სანდრო ბოტიჩელი და სხვა დიდებულნი მხატვარნი და მოქანდაკენი დარჩებიან მარად უკვდავნი.

ამ გვარად იტალიაში დადგა ახალი ხანა, ხანა სულის აღორძინებისა, ანუ **რენესანსი**, ეს იყო მეთოთხმეტე-მეხუთმეტე საუკუნოებში.

იტალიის ხელოვნება და პოეზია მოედო ევროპის ყველა ერებს, გამსჭვალა ისინი და გამოიწვია სამოქმედოთ. მაგრამ სხვებზე უფრო მომზადებული იყო გერმანია. აქ დაიბადა ნამდვილი კრიტიკა და ჭეშმარიტი მსჯელობა. პირნე-

ნად აქ მიაქციეს სერიოზული ყურადღება რომის პაპის და სამღვდელოების მოქმედებას, იმათს სიცრუეს, უსამართლობას და ქრისტეს სჯულის დამახინჯებას. პირველად აქ შეუდგნენ მათს ალაგმვას და სარწმუნოების გასუფთავებას, რისთვისაც მოამზადეს ხალხი იმისთანა შესანიშნავმა პირებმა და ჰუმანისტებმა, როგორიც იყვნენ ერაზმი, რეიხლინი, გუტტენი და აგრიკოლა, რომელთაც მოამზადეს ნიადაგი ახალის ხანის დასაარსებლათ, რეფორმაციის ანუ სჯულის განახლების მოსახდენათ.

ეს ახალი ხანა, ეს რეფორმაცია დაბადა შესანიშნავმა ჰენიოსმა მარტინ ლიუტერმა. აღშფოთებული სამღვდელოების ცუდი საქციელის გამო, მისი მართალი და კაცთმოყვარე სული შეძრწუნდა, როცა ნახა, რომ ბერებს დაჰქონდათ ყოველ მხარეს ვეება ყუთებით ინდულგენციები, რომელთაც ბუზივით ესეოდა და ყიდულობდა უმეცარი ღარიბი ხალხი და ამათგან მოკრეფილი ცრემლით და ოფლით მონაგარი გროშები, შემდგარი მილიონებათ, უნდა ჩაყრილიყო რომის პაპის ხაზინაში. ვერ მოითმინა საზარელი სურათის ცქერა დიდებულმა კაცმა, და საჯაროთ, ხმა მაღლა გამოუცხადა ომი მთელ კათოლიკე სამღვდელოებას, იმ სამღვდელოებას, რომელსაც ეკავა ხელში და ჰყავდა დამონებული თითქმის მთელი ევრობა.....

ლიუტერმა მიაკრა ქ. ვიტენბერგის ეკკლესიის კარებს ტეზისები და საქვეყნოთ გამოაცხადა, რომ გარდა ღვთისა არავითარ სულიერს არ შეუძლია ცოდვების პატიება და რომის პაპი რად აყიდვინებს ინდულგენციებს და ჩემულობს ცოდვების პატიების უფლებასო.

ეს ამბავი უცებ მოეფინა მთელ ქვეყანას და შესძრა იგი. მოხდა დიდი ამბოხი, დიდი არეულობა... მთელი ჩრდილო გერმანია მიემხრო ლიუტერის მოძღვრებას, რამაც შემუსრა იქ რომის პაპის გავლენა, გადააკეთა რომაელ-კათოლიკეთა სჯული, უარჰყო მისი ცერემონიები და დააარსა ახალი სჯული —პროტესტანტობა, რომელიც იყო იგივე გასუფთავებული ქრი-

სტიანობა, დამყარებული ქრისტეს რწმუნებაზე, ჯვარზე და სახარებაზე.

ეს შესანიშნავი ამბავი მოხდა მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს. ეს ახალი სჯული გავრცელდა სხვა სახელმწიფოებშიაც: შვეცია-ნორვეგიაში, დანიაში, ჰოლლანდიაში და სხ.

ახლა ვიკითხოთ: რას შვრებოდა ამ დროს კათოლიკეთა სამღვდელოება? იგი არ იღებდა ხმას და კიდეც მოსწონდა იტალიაში ხელოვნების აყვავება, რადგან ეს ხელოვნება გაიხადა თავის სჯულის დასამშვენებლათ. დიდებული ტაძრები, შვენიერი ადრიანტები, გასაშტერებელი და მომხიბლავი მხატვრობა მოედო ევროპას, აკვირვებდა და აბრმავებდა იგრეც უგნურს და ბრმა ხალხს; ამის გამო პაპები კიდეც უმართავდნენ ხელოვნებას ხელს და წყალობდნენ. მხოლოთ ერთი პოეზია არ ემორჩილებოდა მათ.

ხოლო, როცა სამღვდელოებამ ნახა, რომ შეეხენ მის ღირსებას და ნაკლს, რომ ცდილობენ დასცენ მისი პატივ-დიდება და გავლენა, რომ მას უდგება საშიში დღე, რომ ხალხმაც გაიღვიძა და რამდენიმე სახელმწიფოებმა კიდეც უარჰყვეს მისი ბატონობა, გამოვიდნენ მის მორჩილებიდგან და გაიჩინეს ახალი სჯული,—მაშინ თავზარდაცემულმა და შეშინებულმა სამღვდელოებამ შეჰქმნა ინკვიზიცია და იეზუიტები, შეჰყარა და დააყენა ფეხზე მთელი კათოლიკობა, ყველა თავისი მორჩილი სახელმწიფონი, ე. ი. ავსტრია, ისპანია, საფრანგეთი, იტალია და სხ., შეაიარაღა ისინი და გამოუცხადა სასტიკი ბრძოლა ლიუტერის სჯულს, რათა მოესპო, გაესრისა იგი და აღედგინა შერყეული გავლენა და ბატონობა.

მოხდა საოცარი შეტაკება და სისხლის ღვრა. დედამიწა გაიჟენთა სისხლით. მთელი საუკუნე სტანჯავდა და ჰკლავდა ძმა ძმას, ქრისტიანი ქრისტიანს. ჯერ უმაგალითო მხეცურ გაცოფებით და ბრაზით სვამდნენ ისინი ერთმანერთის სისხლს. არ იყო გარჩევა დიდის და პატარის, ქალის და კაცის, ჩვი-

ლის და მოხუცის,—ყველას ერთრიგ მუსრავდა ცეცხლი და მახვილი.

დაჭრილთ გულსაზარი კვნესა, ქვრივ-ობოლთ წივილ-კივილი, მშიერ-წყურვალთ გოდვა-ვაება, ნამუს ახდილ ქალწულთ მწარე ცრემლები და სასოწარკვეთილება შეკავშირდნენ ერთ საზარელ ბგერათ, მოედვნენ ხმელეთს, ზეცას და უკრთობდნენ მყუდროებას თვით ღმერთს. მაგრამ ღმერთი ვიღას ახსოვდა მაშინ, როდესაც ჯოჯოხეთური სურათი მოჰფენოდა ქვეყანას, და სამღვდელოება, დიაღ, სამღვდელოება, იმის ნაცვლათ, რომ ხელში ჯვარი და სახარება ჰკავებოდა. მშვიდისა და სათნო სიტყვებით ემხილა თავის მრევლისთვის ეს სიტყვები: „გიყვარდეთ ყოველი კაცი,—მტერი და მოყვარე, ვითარცა თავი შენი“-ო, ამის ნაცვლათ იგი გაცოფებით და ამოღებულის ხმლით უძღოდა წინ ბრძოლის ველზე ხალხს და მხეცურის სიამოვნებით მუსრავდა ას წელს, ასიათასობით და მილიონობით ვისა? მტერს? ქრისტიანობის დამლუპველს? არა, თავის საკუთარ ძმებს, იმავ ქრისტიანებს...

გაღარიბდა და დასუსტდა სახელმწიფონი, დაიქანცა ძმის მკვლელი ხალხი, გაძღნენ სისხლის სმით, შესწყდა ბრძოლა, გაიმარჯვა ლიუტერის სჯულმა ანუ რეფორმაციამ; ის გახდა თავისუფალი. დასუსტდა და შეეკვეცა ფრთები ლათინთ სამღვდელოებას.

— „სანამდე უარს ვყოფდეთ ძველ აზრს და ვშობდეთ ახალს,—ამბობს ფილოსოფოსი კონტი, საჭიროა ჯერ ეჭვი შეგვივიდეს იმ ძველ აზრის სიავკარგეზე“. და მართლაც კაცის გაღვიძებულმა გონებამ შემუსრა ჯერ პირველი კერპი, ე. ი. დაამცირა კათოლიკე სამღვდელოება—პაპი და შეაფერხა მით უმართლობა

ახლა, ამ გონებას უნდა მოეღვაწა მეორე დიდი გმირობა, უნდა შეემუსრა მეორე კერპიც. ეს კერპი იყო სამღვდელოებისგან დამახინჯებული არისტოტელის ფილოსოფია და პტოლომეს ვარსკვლავთ-მრიცხველობა. რამდენათაც ესენი სა-

სარგებლონი იყვნენ პირველათ ევროპის განსავითარებლათ, იმდენათ და მეტათაც მავნებელნი შეიქმნენ შემდეგში, რადგან იმათ გააღვიძეს კაცის გონება, აიყვანეს ცოტაოდენ სიმაღლემდე, შემდეგ კი დაუხშეს მას მეტი სავალი გზა და შეფარგლეს იგი მაგარი სალტით. აი ეს სალტა უნდა გაეგლიჯათ, რათა მისცემოდა კაცის აზრს სრული თავისუფლება.

ამისათვის კი საჭირო იყო დიდი ცოდნა, საჭირო იყო მთელის საბერძნეთის ფილოსოფიის და მეცნიერების შესწავლა, საჭირო იყო წიგნის გაიაფება, რათა გამხდარიყო იგი ერთნაირი სტუმარი როგორც მდიდრის სასახლეში, ისე ღატაკის დანგრეულ ქოხში. წინეთ სიძვირის გამო, (რადგან სტამბა არ იყო და წიგნებს ხელით სწერდნენ) წიგნთსაცავებში წიგნები მიჯაჭული იყო კედლებზე, რადგან ეშინოდათ მოპარვის; და აი ეს ჯაჭვები უნდა დალეწილიყო; წიგნებს,—ამ გონების მანათს, უნდა მისცემოდა თავისუფლება! ეს სამაგალითო საქმე მოიმოღვაწა გუტენბერგმა.

ამ დიდებულმა კაცმა აღმოაჩინა სტამბა და გააიაფა წიგნი ერთი ოცათ და ორმოცათ. ეს იყო შესანიშნავი მოვლენა ადამიანის ცხოვრებაში. აქედან იწყება ახალი ხანა, ახალი ისტორია.

ამას გარდა კიდევ წინეთ აღმოაჩინეს კომპასი, რამაც დიდი მნიშვნელობა იქონია კაცობრიობის წინსვლაში. ამას დაერთო სხვა შესანიშნავი ამბავიც: მეორე დიდებულმა გენიოსმა, იტალიელმა ქრისტეფორე კოლუმბმა, აღმოაჩინა და აჩუქა კაცობრიობას უზარმაზარი და მეტად მდიდარი ქვეყანა—ამერიკა, რომელიც ხუთჯერ უფრო დიდია ევროპაზედ, რის აღმოჩენამაც იქონია დიდი გავლენა ხალხის გონებრივ და ნივთიერ განვითარებაზე.

ამასთანავე შეუდგნენ ბუნების კვლევას და მეცნიერების მტკიცეთ შესწავლას. განავითარეს ვარსკვლავთ-მრიცხველობა, ფიზიკა და სხ. კოპერნიკმა და გალილემ დაარღვიეს პტოლომეს სისტემა; დაამტკიცეს, რომ დედამიწა რგვალია და

ტრიალებს მზის გარშემო, მზე კი დგასო. გარდა ამისა გალილემ გამოიგონა დურბინდი, ხოლო სხვებმა მიკროსკოპი და ზოგმა კიდევ რა და ზოგმა რა. საზოგადოება გულმოდგინეთ უგდებდა ყურს მეცნიერების წინსვლას.

III.

დიდი ხანია, რაც მოისპო ბრმა რწმენა. დიდი ხანია, რაც დაედო ყველაფერს ეჭვი. დიდი ხანია, რაც დაარსდა კრიტიკული აზრი, ანუ მართალი მსჯელობა. დიდი ხანია, რაც უარჰყვეს არისტოტელისადმი თაყვანება.

უფრო მოსწონდათ ახლა საბერძნეთის სხვა ფილოსოფოსნი, მაგ., პლატონი, პლოტინი და პროკლე დიოდოხოსი.

წინეთ კათოლიკე სამღვდელოებამ, რაკი გაბატონდა ევროპაში, დაადო მაშინვე ბორკილი კაცის აზრსა და გონებას, მოუსპო მათ თავისუფლება. ამიერიდგან უნდა ერწმუნა ყველას, რომ ყველაფერი, ე. ი. ადამიანი და ქვეყნიერობა შექმნა ღმერთმა, რომლის მონა-მორჩილი უნდა ვიყოთ ჩვენო. ამის კითხვა კი—თუ როგორ ან რად გააჩინა ღმერთმა ყველა ესენი, ან რა არის კაცის სული, რა მიზეზით ხდება ბუნების მოვლენანი ან რა ურთიერთობა აქვთ მათ; ამაების განსჯაში შესვლა არავის შეეძლო, თუ არ სურდა ამ წუთისოფლის უდროოთ გამოსალმება და ცეცხლში დაწვა. უნდა ერწმუნათ ბრმათ, რომ ყველაფერი ღვთის გაჩენილია და მეჯი არაფერი. მაგრამ ეს არ შეიძლებოდა, ვინაიდგან კაცს აქვს გონება და მსჯელობის ნიჭი. თუ კი ღმერთმა გაგვაჩინა, თუ კი გვაქვს მისი უკვდავი სული, თუ კი შეგვამკო ჭკუა-გონებით, რათა შეგვეძინა სწავლა, გაგვეგო ცხოვრების და ქვეყნის ამბავი, მაშასადამე, სრულიათ არ არის სარწმუნოების და ღვთის წინააღმდეგი, თუ კიდეც ვგებულობთ და ვიკვლევთ ამაებს.

ამიტომ ევროპიელ ხალხებს არ შეეძლოთ დიდხანს ეგრე გაჩერება, აზრის და გონების დახშობა. როგორც კი დაწყნა-

რდა შინაური ამბოხი და შფოთი, როგორც კი ღამკვიდრდ-ნენ სახელმწიფონი, თუმცა სამღვდელოება პირში ედგა და სასტიკათ სდევნიდა სწავლას, მაინც იმდენს ეცადნენ, რომ გაიცნეს და დაიახლოვეს საბერძნეთის და რომაელების ფილოსოფია და ლიტერატურა; შემდეგ განაახლეს და ააყვავეს ხელოვნება, დაასუსტეს სამღვდელოება და დააარსეს ახალი სჯული. მაგრამ ეს არ კმაროდა.

კაცის ცხოველ აზრს უნდა გაეგლიჯა საპყრობილე; მას უნდა დაეხწია თავი სამღვდელოების ბატონობისგან; გონების თვალს უნდა ახდოდა მარტოოდენ რწმენის ბნელი ზეწარი და უნდა მისცემოდა სრული თავისუფლება. ადამიანის სრული ემასსიპაცია, **სიტყვის და მოქმედების თავისუფლება,** აი სურვილი მაშინდელ მოწინავე კაცთა.

გაღვიძებულმა და აყვავებულმა სულმა დაიწყო კვლევა მუდამ ძველის და მუდამ ახალის კითხვების: 'როგორ წარმოსდგა ქვეყნიერობა და კაცი, ან რა მიზანი აქვს მას და სხ. ამ სულს აღარ აკმაყოფილებდა ბერძნული ფილოსოფია; მან უარჰყო გადამახინჯებული არისტოტელი, რომელიც ამ რიგათ გახდა კათოლიკობის ბურჯათ და გონების განვითარების შემაფერხებლათ. ვინ გაბედავდა ამ ბურჯის მოგლეჯას, მის რწმუნების დანგრევას, აზრის და გონების განთავისუფლებას!

აქამომდე უარჰყოფდნენ ჩუმათ, ამიერიდან ისე მომწიფდა დრო, რომ გენიოსებმა ხმა-მაღლა გამოუცხადეს ბრძოლა არისტოტელის ავტორიტეტობას; იომეს გმირულათ, გაიტანეს თავისი აზრი, შემუსრეს სულის წინმსვლელობის საშიში მტერი, მაგრამ თითონაც შესწირეს თავი საზოგადო საქმეს.

სანამ არ შესწყდება დედა-მიწის ბრუნვა, სანამ ადამიანი იცოცხლებს ქვეყანაზე, მანამ არ დადუმდება იმ დიდებულ და თავგანწირულ გმირთადმი უსაზღვრო მადლობა. ფიჩინო, მიერანდოლა, ტელეზი, კამპანელა, რამუსი და გმირთა-გმირი ჯორდანო ბრუნო მარად ეხსომება კაცობრიობას.

რას შვრებოდა ამ დროს ლათინთა სამღვდელოება? იგი

გაიცხეს, დაასუსტეს, დაამცირეს, და ახლა უპირობენ გამოგლიჯონ მას პირველი ბურჯი—არისტოტელი და მით სრულიათ დაამცირონ და მოსპონ. ამისთანა გაჭირვების დღე არ დასდგომია მას არას დროს. ბრძოლა მიდგა სიკვდილ-სიცოცხლეზე.

ვის უნდა შებრძოლოდა ლათინთ სამღვდელოება? ხალხს? არა, ხალხი ჯერ ბრმა იყო და მისი მორჩილი. ნასწავლთ? არა, რადგან თითქმის ყველანი არისტოტელის მონები და მომხრენი იყვნენ. მაშ ვის? თითო-ოროლა ჰენიოსს და დიდ-ნიჭიერ კაცს, რომელთაც შექმნეს მათთვის საშიში ახალი აზრები, მათ და მათს წიგნებს შებრძოლებოდნენ, რომლებითაც გენიოსნი ავრცელებდნენ ხალხში თავიანთ ახალ აზრებს.

კათოლიკე სამღვდელოება დაფაცურდა, გააფხიზლა კვლავ და აამოქმედა სამარცხვინო ინკვიზიცია და იეზუიტები; მისი ჯაშუშები მოედვნენ მთელს ევროპას; შემჩნეული კაცები უცებ ქრებოდნენ; ცეცხლის გაუძაძღარი პირი ხარბათ ყლაპავდა იმ სხეულს და იმ ტვინს, სადაც იბადებოდა და იფარეოდა კაცობრიობის გამაბედნიერებელი ძვირფასი აზრები. ამართულ ბოძებს და აბრიალებულ კოცონს ნახავდით ყოველ ქალაქში და სოფელში. „აუტო-დაფეს“ საზარელი ხმა გაისმოდა ყველგან... მაგრამ ინკვიზიცია უფრო მძვინვარებდა ისპანიაში, სადაც მარტო ერთ ქალაქ მადრიდში კათოლიკე სამღვდელოების ბრძანებით დასწვეს სამის საუკუნის განმავალობაში სამასი ათასი საუკეთესო ნიჭის პატრონი და განათლებული კაცი.

რამდენათაც მძვინვარებდა სამღვდელოება, იმდენათვე მატულობდა იმ დიდი აზრების მომხრეთა რაზმი და ვრცელდებოდა ხალხში მათი აზრები. მათი მოსპობა შეუძლებელი იყო.

როგორც ქრისტიანობას სდევნიდნენ პირველათ წარმართნი და აყენებდნენ უზომო სატანჯველს და მიუხედავათ ამისა გაიმარჯვა მაინც ამ სჯულმა, ეგრე უნდა გაემარჯვა ახლა

უსათუოთ კაცობრიობის სულს და დაარსებულიყო ახალი ფილოსოფია.

ჯორდანო ბრუნო და სხვანი გახდნენ მსხვერპლნი, მაგრამ სამაგიეროთ დაბადეს სულის თავისუფლება და შემუსრეს ლათინთ ეკკლესიის ბურჯი—გადაკეთებული არისტოტელი. იმათ შეჰქმნეს ახალი დიდებული ხანა და შეამზადეს ნიადაგი ბეკონის და დეკარტის ახალ ფილოსოფიისათვის.

გაძლიერდა და აყვავდა მეტად ამის შემდეგ თავისუფალი სული. ევროპის უმთავრესი სახელმწიფონი შეუდგნენ პროგრესიულ მოქმედებას. დაიღლებოდა ერთი, განაგრძობდა მეორე.

ესპანიას კი, სადაც სამღვდელოების გავლენა მეტად ძლიერი იყო და სადაც მეტათ მძვინვარებდა ინკვიზიცია, თითქმის არავითარი მონაწილეობა არ მიუღია კაცობრიობის სულის განვითარებაში, და ახლაც თანდათან ეცემა კულტურულათ, პოლიტიკურათ და მიდის უკან ეს ოდესმე დიდებული სახელმწიფო; მისი ჯალათი და დამღუპველი კი გახდა კათოლიკე სამღვდელოება, რომელიც მან შეითვისა და შეიყვარა ყველაზე უფრო.

— „სადაც სამღვდელოება ძლიერია, იქ ხალხი უგნურია, ღარიბი და სულით ძაბუნი“,—ამბობს საფრანგეთის დიდი პატრიოტი გამბეტტა. ეს სიტყვები ზედ გამოჭრილია ესპანიაზედ.

ს. ქვარიანი.

(შემდეგი იქნება).

დედამიწის შუაგული.

ვიდრე დედა-მიწის შინაგან ნივთიერებაზედ ბაასს შევუდგებოდეთ, საჭიროა ჯერ ვიცოდეთ რა არის თვით დედა-მიწა და რა ახვევია მას გარშემო?

ღამე რომ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შევხედოთ, მის მრავალ მნათობთა შორის ბევრ სხვადასხვაობას შევნიშნავთ: ზოგი მნათობნი ძალიან ანათებენ, ზოგნი მკრთალად, ზოგნი დედა-მიწასთან ახლო გვეჩვენებიან, ზოგნი შორს; ზოგნი ძალიან კაშკაშებენ და შორს აწვდენენ თავისს სხივებს, ზოგნი კი სულ ერთნაირად ანათებენ. განსხვავება მათ შორის ნამდვილათაც არსებობს: ზოგიერთი ვარსკვლავები მზის გარშემო არ მოძრაობენ და არც მისი შუქით სარგებლობენ, ისინი თავისთავათაც ისევე ანათებენ, როგორც მზე. ამგვარი ვარსკვლავები **უძრავ ვარსკვლავებად** იწოდებიან. ზოგნი კი ბრუნავენ მზის გარშემო და მხოლოდ მისგან გადმოღებულ შუქით ანათებენ, თითონ კი ბნელები არიან. ესენი არიან **პლანეტები**, რომელთა რიცხვს ჩვენი დედა-მიწაც ეკუთვნის. არიან კიდევ იმ გვარი მნათობნიც, რომლებიც ერთსა და იმავე დროს პლანეტებსა და თვით მზის გარშემო ტრიალებენ. ისინი, როგორც პლანეტები, ბნელი სხეულისგან შესდგებიან და ანათებენ მზისგანვე მითვისებულ შუქით. ეს უკანასკნელები **მთვარეებად** იწოდებიან. ვარსკვლავთა შორის ჩვენს ყურადღებას იქცევენ კომეტები, ანუ კუდიანი ვარსკვლავები, რომლებიც დრო-გამოშვებით ჩნდებიან ცაში ეს ვარსკვლავები უწინ, და თითქმის ახლაც, შიშის ზარს სცემდნენ ხალხს, რო-

გორც, ვითომდა, რაიმე უბედურების მომასწავებლები. შესდგებიან იგინი გაზების მაგვარ კანისაგან და გაბრწყინვებულები მისრიალობენ ცაში მჭვირვალე კუდებივით. რადგან ისინი ძრიელ დიდ მანძილზედ უვლიან მზეს გარშემო, ამიტომ ჩვენ მათ იშვიათად ვხედავთ. ყველა პლანეტები, რომლებიც მზისა, მთვარისა და თვისს პლანეტების გარშემო ტრიალობენ და აგრეთვე კომეტები მზესთან ერთად შეადგენენ **მზის სისტემას, მზის საძოლობელოს.** მზე ერთ იმ უძრავ ვარსკვლავთაგანია, რომელიც ყველა მნათობებზედ ახლოა დედა-მიწასთან. დედა-მიწიდგან ძრიელ დაშორებული უძრავი ვარსკვლავები ჩვენს მზის სისტემას არ ეკუთვნიან.

შეიძლება გვეუცხოვოს შედარება ამ ვეებართელა ბრწყინვალე მნათობისა (მზის) ვარსკვლავებთან, რომლებიც ძლივს მოჩანან ცაში, მაგრამ ამ გვარი შედარება მხოლოდ პირველად გაგვაკვირვებს. ამ შემთხვევაში საჭიროა ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ რა სიშორეზედ არიან დედა-მიწიდგან დაშორებულნი ერთის მხრით მზე და მეორეს მხრით სულ მახლობელი უძრავი ვარსკვლავები. უძრავ ვარსკვლავებში ყველაზედ უფრო კაშკაშა არის **სარიუსი,** მაგრამ ვერც ის შეედრება მზეს. თუ რა დიდი მანძილია ჩვენიდგან უძრავ ვარსკვლავებამდის და რა მიუწდომელია ჩვენთვის სამყარო, ამას შემდეგი მაგალითიდგან დავინახავთ: ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა გამოიანგარიშა, თუ რამდენი დრო იქნებოდა საჭირო, რომ ელექტრონით დეპეშა მიგვეწვდინა ჩვენიდგან მზემდის ან სხვა რომელიმე უძრავ ვარსკვლავამდის? მთელი დედა-მიწის გარშემო რომ ტელეგრაფი გავიყვანოთ და გავუშვათ მაზედ ელექტრონული ნაკადი, მხოლოდ ერთი მეშვიდედი წუთისა არის საჭირო, რომ ელექტრონის ნაკადმა მთელი დედა-მიწა გარშემო შემოირბინოს, ე. ი. ელექტრონულ ნაკადს ერთ წუთში შვიდჯერ შეუძლიან შემოურბინოს მთელს დედა-მიწას ირგვლივ. მთვარესთანაც რომ მოვისურვოთ დეპეშის გაგზავნა, არც მაშინ დაგვჭირდებოდა ერთ წუთზედ მეტი დრო. მაგრამ მზემ-

დის კი რომ გაიგზავნოს დეპეშა, საჭიროა არა ნაკლებ რვა წამისა. ამის შემდეგ წარმოვიდგინოთ ახლა, თუ რა დიდ მანძილზეა ჩვენიდგან დაშორებული ყველაზედ მახლობელი უძრავი ვარსკვლავი, რომ ჩვენიდგან გაგზავნილი დეპეშა მხოლოდ ოთხი წლის განმავლობაში მიაღწევს იქამდის! აქედგან აშკარად სჩანს, როგორ შეგვიძლიან შევადაროთ მზე იმ ვარსკვლავს, რომელსაც ძლივს ვხედავთ. მაგრამ ეს მანძილი ისე თვალსაჩინო და სახსენებელი არ არის იმ მანძილთან, რამოდენაზედაც სხვა დაშორებული ვარსკვლავები იმყოფებიან მათ შორის ზოგნი ისე შორს არიან ჩვენიდგან, რომ დეპეშა ოთხას-ხუთას წელსაც ვერ მიაღწევს იმათამდის. არიან ისეთი ვარსკვლავებიც, რომლების დანახვა თვით ძლიერი დურბინდითაც კი შეუძლებელია; ვიცით კი მათი არსებობა იქიდგან, რომ ფოტოგრაფიულ მანქანას გადმოაქვს მათგან ძლივს შესამჩნევი კვალი. ამ ვარსკვლავებამდის ელექტრონს ათას და ორი ათას წელშიაც არ შეუძლიან იქამდის ამბის მიწვდენა.

ამნაირად, ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენი მზე, შედარებით ამ მნათობებთან, მათ სიდიდესთან და უთვალავ რიცხვთან, მხოლოდ ერთი უბრალო ნაპერწკალია.

შევადაროთ ახლა მზე დედამიწას.

მზე, სინათლისა და სითბოს მგზავნელი, დაშორებულია დედა-მიწიდგან 20 მილიონ მილის მანძილზედ. რამდენად დიდია ეს მანძილი სჩანს იქიდგან, რომ ყოველ საათს 50 ვერსტს გავივლიდეთ, მზემდის მხოლოდ 25 წელში მივაღწევდეთ. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ მზე დედა მიწასთან შედარებით ასე პატარად გვეჩვენება, თუმცა ნამდვილად კი, იგი დედა-მიწაზედ იმდენად დიდია, რომ 1,200,000 დედა-მიწის ტოლა ბურთი უნდა შევაერთოთ, რომ ერთი მზისოდენა ბურთი მივიღოთ. მთელი დედა-მიწის გარშემო შემოსავლელად დაგვჭირდებოდა მხოლოდ 31 დღე, თუ საათში 50 ვერსტს გავივლით და ამავე სისწრაფითვე კი რომ მზის გარშემო გვევლო, დაგვჭირდებოდა 3650 დღე, ანუ ათი წელიწადი.

შევადაროთ ახლა დედა-მიწა თვისს მაგვარ სხვა პლანეტებთან.

დედა-მიწა ერთ დიდ პლანეტთაგანია, რომელიც მზის გარშემო ტრიალებს. ზოგიერთა პლანეტები მზეზედ ახლო არიან, ვიდრე დედა-მიწა. მაგ., მერკური დაშორებულია მზეზედ 8 მილიონ მილზედ (დედა-მიწა კი 20 მილ. მილზედ) და 6—8-ჯერ დედა-მიწაზედ მეტად განათებულია; ზოგნი კი—ძალიან შორს არიან, მაგ. ნეპტუნი 770 მილიონ მილზეა მზეზედ დაშორებული. თუ რამდენს ხანს ანდომებს თვითეული პლანეტა მზის გარშემო შემოსავლელად, იმაზეა დამოკიდებული, რა მანძილზედ არის იგი მზეზედ დაშორებული; ასე, რომ მერკური 88 დღეს უვლის მზეს გარშემო, დედა-მიწა 365 დღეს და ნეპტუნი კი 165 წელიწადს. რაც შეეხება სიდიდეს, მერკური 20-ჯერ პატარაა დედა-მიწაზედ. სამაგიეროთ, **იუპიტერის** ოდენა პლანეტა კი რომ შევადგინოთ, 1330 დედა-მიწის ტოლა ბურთი უნდა შევაერთოთ. იუპიტერი რომ ფორთოხალის ოდენად წარმოვიდგინოთ, დედა-მიწა მაშინ მუხუდოს მარცვალს უნდა შევადაროთ და მერკური—სამდოგვე მარცვალს. პლანეტა რაც უფრო დიდია, მით უფრო სწრაფათ ბრუნავს ღერძზედ: დედა-მიწა—24 საათში, იუპიტერი კი—9 საათის განმავლობაში (ითქმის დედა-მიწაზედ სამჯერ ჩქარა). ზოგიერთ პლანეტებს თანამოგზაურები, მთვარეები, არა ჰყავთ, ზოგს კი რამდენიმე ერთად დასდევენ თან. მზეზედ მახლობენ პლანეტებში დედა-მიწას ჰყავს თანამოგზაურად ერთი მთვარე, სატურნს კი, რვა თანამოგზაური ჰყავს.

მთვარე ჩვენზედ 360,000 ვერსტის მანძილზეა; ეს მანძილი ძალიან ცოტაა შედარებით მზესა და დედა-მიწას შორის არსებულ მანძილთან. აი ამიტომ გვეჩვენება ჩვენ მთვარე დიდად, თუმცა ნამდვილად კი იგი არამც თუ მარტო მზეზედ, თვით დედა-მიწაზედაც კი 50-ჯერ პატარაა. როგორც დედა-

მიწა ბრუნავს მზის გარშემო, ასევე მთვარეც თავის მხრით დედა-მიწას უვლის გარს, ხოლო ორივენი კი ერთად მზეს უვლიან გარშემო. ეს დედა-მიწის გარშემო მოგზაურობა 28 დღეს სრულდება.

ახლა მივუბრუნდეთ თვით დედა-მიწას და გავიგოთ მისი სივრცეც. მთელი დედა-მიწის ზედაპირის სივრცე ირგვლივ 9 მილიონ კვადრატის მილს აღემატება. ეს ჩვენ შეგვიძლიან შემდეგიდგან ადვილად წარმოვიდგინოთ: დედა-მიწის გარშემო რომ რკინის გზა გაგვეყვანა, სიგრძით ეს გზა 32000 ვერსი გამოვიდოდა. როგორც ზევითაც ვთქვით, ამ გზაზედ 50 ვერსი რომ გვევლო საათში და არც სადმე დაგვესვენა, მთელს დედა-მიწას 31 დღის განმავლობაში შემოვუვლიდით. დედა-მიწის შუაგულისკენ კი რომ გაგვეყვანა რკინის გზა, გზის სიგრძე 12000 ვერსტს არ აღემატებოდა და ამ მანძილის გასავლელად იმავე პირობით 10 დღე დაგვჭირდებოდა.

დედა-მიწის ზურგზედ მეტად დიდი ადგილები უჭირავს ოკეანეს და ზღვებს, დანარჩენი დიდრონი ხმელეთის ნაწილები კი **მატერიკებად** იწოდებიან. მატერიკები დედა-მიწაზედ სულ ოთხია: **აღმოსავლეთისა**, რომელსაც შეადგენენ ევროპა, აზია და აფრიკა; **დასავლეთისა**—ამერიკა; **სამხრეთისა**—ავსტრალია და მეოთხეც—სამხრეთის უშენი (დაუსახლებელი) **კერძო მატერიკი**.

როგორი ვვეჩვენებოდა დედა-მიწა, რომ შეიძლებოდეს მისი შუაზედ გაჭრა?

ჩვენ რომ მთელი ჩვენი დედა-მიწა ჰაერითურთ შუაზედ გავჭრათ, აი რას დავინახავდით: ყველაზედ უწინ 70 ვერსზედ დედა-მიწიდგან ყველა მხარეს გავაპობდით ჰაერს თავის ღრუბლებითა და ნისლით, საიდგანაც თავ-თავის დროზედ გვეგზავნება თოვლი, წვიმა და სეტყვა, ჩნდება ელვა და ქუ-

ხილი ისმის. შემდეგ ბევრ ადგილს გაიჭრებოდნენ წყლები— ზღვები და ოკეანები, რომელნიც 8—10 ვერსის სიღრმისანი არიან. ამის შემდეგ გადიჭრებოდა თვით დედა-მიწის მაგარი კანი. სისქე დედა-მიწის კანისა 140 ვერსამდეა. როგორც ფიქრობენ, ამ კანის ქვეშ იგივე ქვები და სხვა ლითონებია მოქცეული, რომლებისგანაც თვით დედა-მიწის კანი შესდგება, მხოლოდ დამდნარები და ერთმანეთში არეულებია. ამ გამხვალ ნივთიერებას უწოდებენ ცეცხლის ზვინს. ეს გამხვალი გული 84-ჯერ უფრო სქელია თვით დედა-მიწის მაგარ კანზედ *).

ყოველივე ეს ერთად აღებული მეტად უსულდგმულო, უფერულო და განუსაზღვრელ ნაწილს წარმოადგენს დედა-მიწისას. მაგრამ გარდა ყველა ამისა, დედა-მიწას ამკობენ თვისის არსებობით ათასნაირი მცენერეები, ცხოველები და ადამიანი. მცენარეები გვაროობენ როგორც ხმელეთზედ, ასევე წყალშიაც და ოკეანებისა და ზღვების ძირშიაც. ცხოველებიც მკვიდრობენ ხმელეთზედ, ზოგნი მათგანი დედა-მიწის გულში, როგორც მაგ. ჭიები და მატლები; ზოგნიც—წყალში, მაგ. თევზები და ზოგნიც ფრინავენ ჰაერში, მაგ. ფრინველები.

რაც შეეხება ადამიანს, იგი მარტო ხმელეთის ზედა პირზედ ცხოვრობს. ადამიანი თვისის საკუთარი მეცადინეობით, რომ შეივსოს ყოველი ნაკლულევანება სხეულის აგებულებაში და მომეტებულად ისარგებლოს მინიჭებულის ჭკუა-გონებით, იგონებს და აშენებს გემებს, რომ შეიძლოს ზღვებსა და ოკეანებში ცურვა, ჰაეროსტატებით ფრინველებზედ მაღ-

*) ზოგიერთი მსწავლულნი ჰფიქრობენ, რომ გამხვალ ნივთიერებას მთელი დედა-მიწის გული კი არა, მხოლოდ დედა-მიწის ზოგიერთი ზევით ბირთან მახლობელი ადგილები უჭირავსო; თვით დედა-მიწის გულში კი ისევ ჩვეულებრივი ქვები და სხვა მიწალებია მოქცეულიო.

ლა ადის ჰაერში და დედა-მიწის სიღრმეშიაც გაცილებით ღრმად მოგზაურობს სხვა ცხოველებზედ.

სითბოს აღორძინება დედა-მიწაში სიღრმისა დაგვარად.—თბილი წყაროები.—გეიზერები.

წინა თავში ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ დედა-მიწა 140 ვერსის სისქის მაგარი კანიდგან და ამასთან სხვადასხვა გამხვალი ქვებისა და ლითონებიდგან შესდგება. საიდგან შევიტყეთ ჩვენ ეს? რასაკვირველია, დედა-მიწის შუაგულამდის კაცს არ მიუღწევია და არ უნახავს თავის თვალით ყველა ეს, რაც იქ ხდება, მაგრამ, ამის მიუხედავათ, ბევრ იმისთანა მოვლენებს ვხვდებით ჩვენ, რომ ეს უკანასკნელნი ნამდვილად გვამცნებენ, რომ დედა-მიწა მთლად მაგარი ნაწილებისაგან არ შესდგება, როგორც მისი ზევითი კანი; ქვეით და ქვეით დედა-მიწის სიღრმეში ეს მაგარი ნაწილები დნებიან. ეს მოვლენანი არიან შემდეგნი: 1) სითბოს აღორძინება დედა-მიწაში სიღრმისა დაგვარად, 2) ცხელი წყაროები, 3) ცეცხლ-მფრქველი მთები და 4) დედა-მიწის კანის მოძრაობა, რომელიც გამოიხატება მის აწევ-დააწევაში და მიწის ძვრაში.

ჯერ მოვილაპარაკოთ პირველ ორ მოვლენაზედ.

ჩვენ რომ დაბალ და ცუდათ დახურულ სარდაფში ჩავიდეთ, შევნიშნავთ, რომ ჰაერი იქაც ისევე იცვლება, როგორც მაღლა, ე. ი., თუ ზევით ცივა, სარდაფშიაც ეცივება, ასევე მუშაობს სითბოც. ზაფხულში კარგად დახურულ ღრმა სარდაფში კი რომ ჩავიდეთ, ერთბაშათ სიცივეს ვიგრძნობთ. ამავე სარდაფში ზამთარში კი, შედარებით, სითბოსა ვგრძნობთ. ეს იქიდგან კი არ წარმოსდგება, რომ ზამთარ-ზაფხულ სარდაფებში ჰაერი სხვადასხვანაირად მუშაობდეს, არა. ეს ჰაერის განსხვავება იმიტომ გვეჩვენება ასე, რომ ზევით დედა-მიწაზედ შეიცვალა ჰაერი და სარდაფში კი ერთნაირად დარჩა.

დედა-მიწის ყველა მხარეზედ შენიშნულია, რომ დედა-მიწის ახლო თუ შორს, რამოდენიმე სიღრმეში, ჰაერი ერთნაირად მოძრაობს, ე. ი. არც სიცივე იცის და არც სიცხე; მაგალითად, პარიზის ერთს ობსერვატორიაში (ცის მნათობთა დასაზვერი შენობა), 39 არშინ სიღრმეზედ ჩასმული ტერმომეტრი (სითბოს საზომი) ასი წლის განმავლობაში მუდამ ზამთარ-ზაფხულ ერთსა და იმავე გრადუსების რიცხვს აჩვენებს. ეს დედა-მიწის ნიადაგი, სადაც ჰაერი უცვალებადია, დედა-მიწის **მუდმივ ტემპერატურის** ნიადაგად იწოდება.

ხშირათ უხდებათ ხოლმე ამ ნიადაგზედ ბევრათ შორს დედა-მიწის სიღრმეში ჩაშვება, ოქროს ან ქვა-ნახშირის ამოსათხრელად; ხშირათაც საჭიროება მოითხოვს მთებს ქვეშ დიდი გასავლელი გვირაბები, ხვრელები გაიყვანონ რკინის გზებისათვის. ამასთან აი რა მოხდება ხოლმე, უფრო კი პირველ შემთხვევაში. მიწის თხრაში კაცი პოულობს აუარებელს ოქროს მადანს, ან ქვის ნახშირს და რამდენიც უფრო ქვევითა სთხრის მიწას, იმდენად მადნეულობასაც მეტს ხვდება, ასე რომ საჭიროა კიდევ ქვეით და ქვეით მოითხაროს მიწა, მაგრამ ვეღარა სთხრის და კაცი იძულებული ხდება თავი დაანებოს თხრას. რათა? იმიტომ, რომ კაცი რაც უფრო ღრმათ მიდის დედა-მიწაში, მით უფრო მეტს სიცხეს გრძნობს და სუნთქვა უმძიმდება. ჩრდილოეთ ამერიკაში, სახელდობრ ნევადაში, ისეთი მდიდარი ოქრო-ვერცხლის მადანი არსებობს, რომ 1860 წლიდგან 1876 წლამდის ამოუღიათ 500 მილიონ მანეთის ლითონი. მაგრამ ახლა კი იმ მადნებში ისე ღრმად წავიდნენ, რომ ტემპერატურა რეომიურის ტერმომეტრისა 54 გრადუსამდე ადის და მუშაობა შეუძლებელი ხდება. მსწავლულებმა დაიწყეს გამოკვლევა, თუ რამდენად მატულობს სითბო დედა-მიწის ქვეით და ქვეით და აღმოაჩინეს, რომ 14 საჟენის სიღრმეზედ ჩავეშვათ დედა-მიწაში, ერთი გრადუსით მეტ სითბოს ვიგრძნობთ, 28 საჟენზედ 2 გრადუს სითბოს და სხვ. აქედგან შეიძლება გამოვიანგარიშოთ: თუ ყოველ

14 საჟენზედ თითო გრადუსი სითბო მატულობს, 140 საჟენზედ 10° გახდება და 1400 საჟენზედ—100°; შემდეგ, ამ ნაირად, რამდენიმე ვერსის მანძილზედ ქვეით ტემპერატურა დედა-მიწის გულში ისეთი ცხელი იქნება, რომ ქვები და ყველა ლითონები გალხვებიან. რისგან წარმოსდგება ეს? იმისაგან, რომ დედა-მიწის გული გამხვალ ნივთიერებისგან შესდგება: რამდენადაც დედა-მიწის გულში ღრმად ჩავალთ, ე. ი. დედა-მიწის გულის ცეცხლს მივუახლოვდებით, მით მომეტებულ სიცხესაც ვიგრძნობთ. სამწუხაროთ ერთ ვერსზედ მეტი სიღრმის ხვრელები იშვიათად მოიძებნებიან *). ამიტომ ჩვენ დაჭეშმარიტებით არ შეგვიძლიან ვთქვათ, რომ დედა-მიწის შუაგულშიაც სითბო ამგვარათვე მატულობს, როგორც ეს გამოკვლეულია უღრმეს ხვრელებში. თუ ქვემოთაც ყოველ 14 საჟენზედ თითო გრადუსს სითბოს მატულობს, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ სამი ვერსის სიღრმეზედ ისე ცხელა, რომ წყალი დუღს და ორთქლად იქცევა. 120 ვერსის სიღრმეზედ ხომ ისეთი საშინელი სიცხე იქნება, რომ ყველა ქვები უნდა გალხვნენ, როგორც ქვიშა და რკინა—ლითონთ სადნობ ღუმელებში.

აი საიდამ სჩანს, რომ დედა-მიწის მაგარი კანი სისქით 120—140 ვერსს არ აღემატება; მის ქვეით კი მთელი დედა-მიწის გული, ე. ი. თერთმეტი ათასი ვერსის მანძილი.. ცეცხლისგან დამდნარ თხელ ნივთიერებას უჭირავს. ახლა რომ გავიხსენიოთ შეთანხმება დედა-მიწის მაგარი კანისა (რომლის სისქე 140 ვერსს არ აღემატება) გამხვალ ნივთიერებასთან (რომელსაც თერთმეტი ათასი ვერსტის მანძილი უკავია), მაშინ დედა-მიწის შედარება ქათმის კვერცხთან სწორი იქნება: კვერცხის გული და ცილა—გამხვალ დედა მიწის გულთან და ნაჭუჭი—გარე კანთან.

---

*) უველაზედ ღრმა ხვრელი არის გერმანიაში, სახელდობრ საქსონიაში, რომლის სიღრმე $1^1/_2$ ვერსს აღემატება.

შეიძლება გვკითხონ: თუ კი ასე მცირე მახეილზედ ჩვენიდგან, როგორც 140 ვერსტია, ქვები და სხვა ლითონები დნებიან სიცხისაგან, რატომ ამ სიცხეს ჩვენ კი არა ვგრძნობთო? აი ამაზედ რა პასუხს გვაძლევენ: კარგი და ბლომა შეშით გახურებულ ოთახის ფეჩში, როდესაც იგი დახურულია, სიცხე ორას გრადუსს აღემატება და თუ ფეჩს არშინის სისქე კედლები აქვს, ეს უკასასკნელნი არც კი თბებიან და ფეჩი გარედგან მაინც ცივია; ამიტომ, ფეჩში რომ 1000 გრადუსამდე სიცხე იყოს, როგორც, ეს დედა-მიწის გამხვალ გულშია, ფეჩის ოცი არშინის სისქის კედლები ვერ გათბებიან გარედგან ამ სიცხისგან და მით უფრო 140 ვერსზე სისქის კანი დედა-მიწისა. ცხადია, ეს პირველი დასამტკიცებელი საბუთია, რომ დედა-მიწის გული გამხვალ თხელ ნივთიერებას წარმოადგენს. მაგრამ ამ გამხვალ ნივთიერებათა არსებობა დედა-მიწის გულში მარტო სითბოს აღორძინებით არა მტკიცდება. ამასვე ამტკიცებს ცხელი წყაროებისა და ეგრედ წოდებულ გეიზერების არსებობაც. ჩვენ ვიცით, რომ დედა-მიწის ქვეშ შეგუბებული წყალი ხშირად მაღლა იწევს ხოლმე და შემდეგ ზევით ამოხეთქს წყაროებად. თუ ეს წყალი დედა-მიწის პირთან ახლო რმყოფება, მაშინ დედა-მიწის ტემპერატურას გავლენა ექნება ძაზედ, ე. ი. როდესაც დედა-მიწაზედ სიცივეა, წყალიც წყაროებში გაცივდება და სითბოს დროს—გაითბება. თუ რომელიმე წყაროს წყალი ძალიან ღრმა ადგილიდგან ამოდის, სადაც მასზედ აქვს გავლენა ცხელი დედა-მიწის გამხვალ ნევთიერებას, წყალიც ამ წყაროსი გამთბარი ამოდის დედა-მიწის გულიდგან. ამისთანა წყაროები თბილ წყაროებად იწოდებიან. ეს სითბო რომ გარეგანი ტემპერატურისაგან არ არის იქიდგან, რომ ხშირათ, მტკიცდება, წარმომდგარი, ერთ-და-იგივე ალაგას რიგზედ თბილი და ცივი წყაროები ამოჩუხჩუხებს და, მეორეც, ცივ ქვეყნებშიაც არსებობს—თბილი წყაროები; მაგ. კამჩატკაში, სადაც ნახევარ წლის განმავლობაში საშინელი ყინვები მძვინვარებენ, თბილი წყაროებია; რასაკვირველია,

თავის მხრით, თვით ამ თბილი წყაროების არსებობაც ამტკიცებს, რომ დედა-მიწის გულში თბილა და ამ სითბოსაგან წარმოსდგებიან თბილი წყაროები. ამ წყაროების წყალი ყველგან ერთნაირად არ არის თბილი, მაგ., აფრიკის ერთ ნაწილში, ალჟირში, წყაროს წყალი შეიცავს 76°-ს, შუაგულ საფრანგეთში, ოვერნაში, მცხოვრებნი ისე სარგებლობენ ცხელი წყაროთი, რომ, გაუჭირვებლად ბევრს სახლის მოთხოვნილებას იკმაყოფილებენ; მაგ. დედაკაცები ჩასდებენ ქოთანში პურს, მოაყრიან მარილს, შეაზავებენ ერბოთი, დაასხავენ ამ ცხელ წყალს და შემდეგ ჩაუშვებენ ქოთანს 88 გრადუსიან ვდუღარე წყაროს წყალში; ნახევარ საათის განმავლობაში ამ ნაირად წვნიან საჭმელს ამზადებენ. ამავე წყაროებში ხარშამენ კვერცხებს, რეცხავენ თეთრეულს და ამ წყლითვე ზამთარში სახლებსაც ათბობენ. გამოიანგარიშეს, რომ რამოდენა სითბოსაც ყოველ დღე ეს წყარო იძლევა, სხვაფრივ მხოლოდ მაშინ მივიღებდით, თუ 350 ფუთ ქვის ნახშირს დავწვამდით

თბილ წყაროებში შესანიშნავნი არიან აგრეთვე ტეპლიცისა, კარლსბადისა და ფრანცენსბადისა ჩეხიაში (ავსტრო-უნგრეთში). ბევრ თბილ წყაროებს ვხვდებით რუსეთშიაც და კავკასიაშიაც, მაგ. თბილისში.

ამგვარ წყაროებსვე ეკუთვნიან ეგრედ წოდებული გეიზერები, რომლებიც არა თუ მხოლოდ დედა-მიწის გულში თვალსაჩინო სითბოს არსებობას ამტკიცებენ, არამედ ესენი, თავისთავათაც, ერთ შესანიშნავ ბუნების მოვლენას წარმოადგენენ. თვით სახელი გეიზერი საზოგადო სახელად გადაქცეულა ერთ ცხელ წყაროსაგან, რომელიც ისლანდიის კუნძულზედ მდებარეობს, ჩრდილო-სამხრეთით ევროპიდგან. ეს წყარო თუმცა მუდმივად არა მუშაობს, მაგრამ, დრო-გამოშვებით, ცხელს წყალს, შადრევანივით, 30 საჟენის სიმაღლეზედ ისვრის მაღლა.

აი როგორ აგვიწერენ მნახველნი გეიზერს და მის შადრევანის ცემას: „შორიდგანვე მგზავრი პირველად სხვადასხვა

ალაგს თეთრად გაფანტულ ორთქლს შენიშნავს, რომლებიც ღრუბლებივით იფანტებიან მაღლა ჰაერში. შემდეგ გამოჩნდებიან დიდი და პატარა წყაროები და შადრევნები. ყველგან თვითეული ამ პატარა წყაროთაგანი მგზავრის ყურადღებას იქცევს, მაგრამ თვით დიდი გეიზერი სავსებით იპყრობს და იტაცებს მგზავრის თვალს და ისიც მოუთმენლად ელის და ეშურება მის ხილვას. რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ამ ყველაზედ უდიდეს წყაროს ნადუღის ნაშთს ოთხი საჟენის სიმაღლეზედ გაბრტყელებული სახე მიუღია და ზედ 8 საჟენი სიგანის თანასწორი აუზი გაკეთებულა. ჩვეულებრივ დროს აუზი სუფთა მომწვანო წყლითაა სავსე, რომელიც მის ნაპირებიდგან გადმოსწვეთს. წყლის ტემპერატურა ზევით 65°, ხოლო თუ ტერმომეტრს 10 საჟენის სიღრმეზედ ჩაუშვებთ აუზში, 100° გვიჩვენებს; დროგამოშვებით ძირიდგან ქუხილის ხმა ამოისმის და ამასთან გეიზრის ზევითი მოყვანილი აუზი ინძრევა კიდეც. ამ მოვლენის დროს, რომელიც რამდენიმე წუთი გრძელდება და ხან უცბათვე შესწყდება და შემდეგ მომეტებულის ძალით განმეორდება, წყალი აუზიდგან ამოიწევს მაღლა, გამოიბერება და იმავ დროს ორთქლი პატარ-პატარა ბურთებათ გადიქცევა, რომლებიც შემდეგ დასქდებიან და ცხელ წყალს რამდენიმე არშინის სიმაღლეზედ ისვრიან აქეთ-იქით. შემდეგ ყოველისფერი მიწყნარდება, სქელ თეთრ ორთქლს შეათამაშებს ქარი და მოკლეს ხნით გადააყრის ზედ აუზს. მთელი დღე ერთი და იგივე მოვლენა განუწყვეტლად განიმეორება ყოველი 20—30 წამის შემდეგ და ბოლოს და ბოლოს სულ სხვა შეხედულობას მიიღებს; ამ დროს ძირიდგან მომეტებული ქუხილი მოისმის, აუზში წყალი ღელვას იწყებს, მაღალ ტალღებად გადაიქცევა და ტრიალებს; შუაგულზედ დიდრონ ორთქლის ბურთებს მოიგდებს და რამდენიმე წამის შემდეგ წყლის ტალღებს ისვრის ჰაერში; წყალი ვერ მოასწრებს 12—15 საჟენის სიმაღლეზედ ატყორცნას და ძირს დაბრუნებას, რომ ახლად პი-

რველ ტალღას მეორე ასდევს, მეორეს—მესამე და წყალს უფრო ზევით ისვრის. დიდ-პატარა ტალღები ყველა მხარეს იფანტებიან ზოგნი ირიბათ, ზოგნიც სულ სწორეთ და გააქვთ შუშხუნებივით შხივილი. ორთქლის დიდრონი ღრუბლები ტრიალობენ ერთი მეორეზედ და ერთრიგად წყალსაც ჰფარავენ. ერთი კიდევ შეისვრის ტალღებს, შემოისმის ძირიდგან მძიმე გრიალი და მოვლენა, რამდენიმე წამით გაგრძელებული, უცბად განქრება, როგორც ფანტასტიური მოჩვენება სიზმარში გათენების დროს. ვიდრე ქარი განაბნევს ამ შეკრებილ ორთქლს და ცხელი წყალი აუზის ნაპირებიდგან ჩამოიწურება, წყლით სავსე აუზი დაშრება და ზემოდგან დუღილისგან ნაცრის ფრად ქაფს მოიგდებს.

გეიზერის მახლობლად კიდევ ერთი შესანიშნავი ცხელი წყაროა, სტროკური. ეს წყარო იმით არის შესანიშნავი, რომ გარდა იმისა, რომ გეიზერივით ტალღებს ესეც ისვრის თავის თავად, ეს მოვლენა სტროკურში შეიძლება ხელოვნურათაც გამოიწვიოს კაცმა. მის პირში ბელტები და ქვები რომ ჩავყაროთ, ათის წამის განმავლობაში ძირში მოგროვილი ორთქლისა და გაზისაგან ამოვარდება წყალი და შიგ ჩაყრილს ქვებსა და ბელტებსაც წყალთან ერთად უკან ამოისვრის.

ჩრდილოეთ ამერიკაში ერთი ადგილია განთქმული თბილი წყაროებითა და გეიზრებით. იქ გეიზრები 30—40 საჟენის სიმაღლეზედ ისვრიან მაღლა წყალს; ტალღების გარს შემოხვეული ორთქლი კი 150 საჟენამდე მიდის მაღლა. იქვე მდინარე ფაირგოლის პირად შესანიშნავი გეიზერია. იგი შესანიშნავია იმით, რომ ერთ ადგილას ორ წყაროთ ამოქუხს წყალი. ტალღებს მარჯვნივ და მარცხნივ უგზავნიან ერთმანეთს, შემდეგ ჯვარედინდებიან მათი ტალღები და მარაოს მსგავსად იხატებიან.

არჩ. ციხისთვიშვილი.

პანკისის ხეობა (თიანეთის მაზრაშია).

გეოგრაფიულ-ისტორიული აღწერა და მცხოვრებთა ეთნოგრაფია.

სადაც მდინარე ალაზანი კავკასიონის მთაგრეხილის ვიწრო და ფრიალო კლდე-ღრეებს გამოსცილდება სამხრეთისაკენ და ცოტათ თუ ბევრათ დაიმშვიდებს მჩქეფარე და აქაფებულს მომდინარეობას,—იმ ადგილიდამ იწყება ერთი ვიწრო, თოფის ზუმბასავით სწორე და უალმართ-დალმართო, უმიხვეულ-მოხვეულო ხეობა. და გრძელდება თითქმის იქამდე, მანამ მდ. ალაზანი კახეთში ჩამოვა და აღმოსავლეთისაკენ დაბრუნდება. ამ ხეობასა ჰქვიან **პანკისი** ანუ **პანკისის ხეობა**.

ხეობის აქეთ-იქით გვერდებიდამ აყუდებულ და ცხვირ წამოწვდილს მაღალს ტყიან მთებს შუა, ტყიანივე პატარ-პატარა ყურეები შესდევს და ამ ადგილებში თუ, თორემ ხეობას საზოგადოდ ვერს ნახევარი სიგანე ძლივაც ექნება, რის გამოც ალაზანი ერთხელ როდისმე რომ რიგიანად ადიდდეს, მთელ ხეობაზედ, როგორც წისქვილის ღარზედ, ისე ჩამოივლის. ხეობის სულ ზემო სათავეში, სოფლებიდამ ასე 9 ვერსის სიშორეზედ,—სადაც ტყე ააწყდება და ტიტველა მთა-იალაღები დაიწყება,—ორი პატარა, ათ-ათ კომლიანი სოფელია გაშენებული, ერთიმეორის პირდაპირ, კაი მანძილით ერთმანეთს დაშორებული—**ჩხათან**, **ხარეჯა** და **ხადარა**,—პირველი აღმოსავლეთისაკენ და მეორე დასავლეთისაკენ; ამ სოფლებსაც პანკისისას ეძახიან და ყოველს სასოფლო-საზოგადოებრივს მოვა-

ლეობას ხეობის მცხოვრებლებთან ეწევიან, მაგრამ იქამდე ამ ხეობას ხეობას ვერ დავარქმევთ, რადგანაც ეს ხეობა კი არა, უფრო ხეობის კუდია და კუდი იმდენათ ვიწროა, რომ თვით მდ. ალაზანი შიგ ძლივს იმართება; გზა კი ამ სოფლებისაკენ ხეობიდამ საცალ-ფეხო იწყება და მდ. ალაზნის აქეთ-იქით ციცაბო მთა-კლდეებზედ გადადის. აი, ეს კუდი რომ არ ვიანგარიშოთ, ხეობას 14—15 ვერსი ექმნება სიგრძე.

ხეობის კუდი მიაწყდება ერთ მაღალს, მიუვალ და ციცაბო ქანჩახებიანს მთას, რომელსაც **სპერროზიას** ეძახიან. სპეროზიის მთა პირდაპირ ჩრდილოეთიდამ სამხრეთისაკენ წამოსული, თითქო უეცრივ რაღაც მანქანებს შეუყენებიაო, პიტალო კლდეებად ნაქცევი ამაღლებულია და შუბლივით წამოყუდებული როგორც ბატონიყმას, ისე მეოიდურად დაჰყურებს სათავიდამ მთელს ხეობას. ამ მთას აღმოსავლეთის მხრით სვეტად (перпендинулярно) მოადგება სხვა, სიდიდითა და სიმაღლით არა ნაკლები მთა ხორეჯისა და შუა ჩამოუდით ერთ ერთი წყალი „მახვალი“, ხოლო დასავლეთის მხრით გვერდი-გვერდ (паралельно) ჩამოუდგება სხვა ასეთივე მთა „რკინისა“ და შუაზედ თითონ ალაზანი ჩამოუდით. აღმოსავლეთისაკენ ხორეჯისა და დასავლეთისაკენ რკინის მთის ტოტები ჩამოსდევენ ხეობას აქეთ-იქიდამ ბოლომდე; ეს ტოტები ტყით შემოსილ მრავალ მწვერვალოებით ქვემოთდაქვემოთ თანდათან დაბლდებიან და ბოლოს გორებად ქცეულნი, ხელის თითებივით მწკრივათ, თვითოეული მათგანი ხეობას ჩამოაწყდება. ამ მწვერვალოებს და გორებს შუა ჩამოჩანჩქარობენ მრავალი ხევები, ფშები და წყაროები, რომლებიც დაყოლიება ჩამომწკრიებულს სოფლებს ცივი-ანკარა წყლითა და გემრიელის კალმახით უმასპინძლდებიან და შემდგომ ერთვიან მდ. ალაზანს. სამხრეთისაკენ ხეობა გახსნილია და უტო-ახმეტის თავს,—ცივ-გომბორის მაღალს ტოტებს,—პირდაპირ გამოჰყურებს.

ჩრდილოეთის სამზღვრები: 1) სპერროზიის მთა. სპეროზიის

ის ნაწილი, რომელიც ხეობას ჩრდილოეთით საზღვრავს, ისეთი საშიში, მიუვალი და კლდე-ქანჩახებიანია, რომ კარგი გამოცდილი და უშიშარი მონადირის მეტი, ისაც წრიაპებით თუ არა, სხვა ადამიანი იქ ვერ გაივლის. ზამთარ-ზაფხულ,—როდესაც სხვა მახლობელი მთები ან თეთრად, თოვლით შემოსილებია და ან მწვანეთ ღაღანებენ,—სპეროზიის მთა ჯოჯოხეთივით შავად გამოიყურება; ზამთარში იმის ლიტაო კლდეებზედ თოვლი ადვილად ვერა დგება და მაშინვე ზვავად ძირს ხევებში ჩამოდის, ხოლო ზაფხულში ბალახი სათქმელი ვერა მოდისრა, გარდა მაღლა, წვერებზედ ზოგ ზოგ ადგილებისა, და რაც მოდის, ისაც თოვლის ზვავს თან ჩამოაქვს. ზვავი სხვა ტიტველა და ვაკე მთებმაც იციან, მაგრამ სპეროზიის ზვავი სულ სხვაა.

ვაკე მთების ფერდობებზედ რაკი თოვლი მოლხვება, საჭიროა მხოლოდ მაღლა წვერში მუშტის ტოლა თოვლი რაიმე შემთხვევით ასორსლდეს და გამოგორდეს; ეს მუშტის ტოლა აგორებული თოვლი, მანამ ნახევარს გზას გამოივლის, თითქმის გორის ტოლა ხდება; აისხლეტავს მერე მთის მოყინული ნიადაგი და გამოქანდება ცურვით რამდენიმე საჟენი სიგანე; ამ დროს თან მოაქვს ქვა, ხე, ჯაგი, ბალახი, მიწა და სხვა, რაც კი მოჰხვდება გზაში; აქვს საშინელი ქარი და ხმა; თუ ადამიანი შეჰხვდა, ან ოთხფეხი ცხოველი—შინაური თუ გარეული,—საკმარისია იმისი ქარი მოჰხვდეს, რომ ისიც თან გამოიყოლოს; ჩამოწვება დაბლა ღრანტე ხევში ქვეყნის რა გინდარა ახტალასავით ერთმანეთში არეული და გადაამსვეს და გადაჭლესავს მას პირამდე; ამ სახით გაიყინება, გამაგრდება და ისეა რამდენიმე წელიწადი და საუკუნეც, თუ ძალიან ხმელი და ცხელი ზაფხული არ დაუდგა; ზედ დაქნილია ბილიკები ნადირისა, მონადირისა თუ შინაური საქონლისა, ასე რომ ხამი კაცი ვერც კი შეიტყობს, თუ იქ სიდმე თოვლის ზვავია; ზვავის ქვეშ გამოსჭამს ხევის წყალი რამდენსამე ალაგას და ის ადგილები შორიდამ ციხის სათოფურებივით გა-

მოსჩანს. ამ ნაირს ზვავს ნადირი და მარჯვე ადამიანიც შეიძლება მოერიდოს, თუ უადგილო ადგილას არ მოასწრო და ან დროზედ შეამჩნია. გაზაფხულის გასულებში ვაკე მთები ამ ნაირად სულ ჩამოიწმინდება ღა ამწვანდება ხოლმე, სპეროზიის მთა კი ამ დროს, როგორც მუდამ, შავი და ბნელია. სპეროზიის ზვავს არც თოვლის ასორსლება სჭირია, არც გამოგორება და გამოცურება; იგრიალებს ერთი უეცრივ, თითქო მთელი მთა ძირს დაეცაო და თვალის დახამხამებაზედ ხევში გრიალით ჩამოიტანს თოვლსა და კლდის ნაპრალთ მონაგლეჯ ქვა-ღორღსა, ერთმანეთში არეულსა; ხმაც, თითქო დაიქუხა და დაიჭექაო, ისეთი აქვს. შესაძლებელია ზვავის ამ ნაირის ხმაურობისა გამო იყოს დღესაც ხალხში დარჩომილი რწმენა-თქმულება, ვითომ ამ მთაში იყოს დაბმულ-დამწყვდეული გმირი ამირანი და ისა ჰქუხსო.

მთას ხეობის მხრიდამ სუკივით ერთი მოზრდილი გამოწეულ-გამოვარდნილი ფხანწალი შუა ადგილიდამ ძირამდე ჩამოსდევს და, ალბათ ამავე რწმენა-თქმულებისა გამო, ამ ადგილს ამირანის კუჭს ეძახიან. თვით მთას გარეგნობა განსაკუთრებული აქვს: ზემოდამ რომ ადამიანმა ჩამოჰხედოს, ეგონება გვერდები ხანჯლით ჩამოუთლიათო, ხოლო ქვემოდამ შესახედათაც საზარელია,—გადმოწეული ვეებართელა ლოდები სახლის დერეფანივით გადმოიყურებიან ძირს; ზოგიც თითქო ზეციდამ ჯაჭვით იყოს ჩამო'შვებული; ადგილ-ადგილ ერთიანი ქვისაგან გამოკვეთილი ციხე-სიმაგრეები ეგონება კაცს ღადგ'ული. ახლოს მოსული ხამი კაცი ერთი შეხედვით დარწმუნდება, რომ ფრინველის მეტმა იქ სხვა ცხოველმა გაიაროს. მთელ იმოდენა მთას ორი საცალ-ფეხო გზა აქვს მისავალი, ერთი ქვემოდამ მდ. ალაზნის მხრიდამ, მეორეც ზემოდამ—მთებიდამ. ქვემოთა გზიდამ მდ. ალაზნის პირად ერთი მაღალი ტოტიანი ხე, რჩხა, არის კლდეზედ მიყუდებული; იქ სანადიროდ წასული მონადირე ამ რჩხით ავა მაღლა კლდეზედ, შეივლის ამირანის კუჭს, რომლის თავზედ ერთ ოთხ-

კუთხ საჟენის ტოლა მოედანზედ დასდებს ბინას და იქიდამ გავა-გამოვა ფრიალო კლდეებზედ სანადიროდ. ბილიკები გადად-გადმოდის იმოტელა, რაც ერთი წრიაპიანი ფეხი კლდეს წვალებით მოეკიდება; იმასაც ნაცადი თვალი კი შეატყობს, რომ ის სივრცე, სადაც ფეხს ულახნია, თორემ სხვა იმის მეტი ბილიკის ნიშნებიც არ ამჩნევია. ნუ იფიქროს ნურც კარგმა გამოცდილმა მონადირემ, თუ იქ გზა დაეკარგა, ნადირის მოკვლა კი არა ან თავი მშვიდობით დაახწიოს; კიდევ კარგი, რომ მთამ ადვილად ჯანღი და ნისლი არ იცის. ერთი სიტყვით, რაც უნდა იყოს, მონადირემაც გზით უნდა იაროს, თორემ სხვა მთებივით, არა კიდე ტყეში და მინდორშისავით, საითაც მოხვდეს, იქით ვერ იკადრებს გავლას. უშველებელი კლდეები იმოტელად ციცაბო და ჩამონაკვეთები აქვს, რომ მაღლიდამ ძირს ჩამოხედული მდ. ალაზანი და თუნდა მახვალი ლამაზათ მოსჩანს. თუ ცოტად თვალ-მშიშარმა გადმოჰხედა ძირს მდინარეს, რომლის უშველებელს ლოდებზედ ხეთქებისაგან ნაცერი წინწკალი ნიავს ჟინჟღლიან წვიმასავით თითქმის იქამდე ამოაქვს, რომ ადამიანს თვალ-პირში აყრის და სულს უხუთავს, ადვილად შეიძლება შეშინდეს და კიდეც იგრიალოს ქვეითკენ. მონადირისაგან იქ მოკლული ნადირი—ჯიხვი, შუნი (დედალი ჯიხვი), თუ გვრიტი ზოგიერთი ადგილების გარდა ძნელად იქნება ადგილობრივ დარჩეს, თუნდა იქვე სული გასძვრეს, რომ ძირს მდ. ალაზანში, ან ერთ-ერთ მიუვალს ღრანტეში გრიალი არ ჩამოიტანოს; ზოგი ველარაკი პოულობს ასე გადავარდნილს ნადირს; თუნდაც ნახოს და იპოვოს, ბევრჯელ ზარობს კიდეც იქიდამ ამოტანას, ან თუნდა ამოტანა არ დაიზაროს, ვერ მიუდგება, ძალიან გულითაც რომ უნდოდეს; თუ ვინიცობაა თავი გამოიდო და ჩავიდა ამოსატანად, ძალიან ბიჭობა უნდა, რომ ტყავი და ორიოდე სამწვადე სუკი როგორმე ამოიტანოს და ან მარტო რქები, დანარჩენს მთელს ნადირს იქ თავი უნდა გაანებოს ყვავ-ყორანის შესაჭმელად. ბევრი აქვს ისეთი ადგილებიც, რომლებსაც მარტო ერთი გზა

აქვთ ჩასასვლელიცა და ამოსასვლელიც და ამისთანა ადგილებში ჩასვლა უფრო ხათაბალაა, ვიდრე ამოსვლა, რადგანაც შეიძლება, ჩასვლაში უფრო ფეხი აუსხლტეს ლიპ კლდეზედ და დაგორდგს; თუ ერთი დაგორდა ადამიანი, თავისთავად ისე დაიბნევა, როგორც შეკრული ყველი; პირშაღმა ასვლაში კი მონადირე, რასაც წრიაპიანს ფეხს მოჰკიდებს, მაგრა მოჰკიდებს და აქეთ-იქით კლდეების ჩაჭიდვით ხელებსაც მოიშველიებს; ამის მიზეზით ზეიდამ მოსავალის გზით უფრო ვერა ჰბედავს მონადირე ამ მთაში სანადიროდ წამოსვლას.

ამ ნაირი სიმაგრეების მქონე სპეროზიის მთა შესანიშნავია ნადირით. ბლომათ იცის ჯიხვი, შუნი და ფსიტი; მახლობელს მთებში სპეროზიის ტოლა არც ერთს მთას არ ეყოლება შეხიზნული ეს ნადირი. უბან-უბან იმ ფრიალო კლდეფაფხებს შუა დიდ-დიდი ეხები აქვს შერჩენილი, ე. ი. ზემოდამ წამოწოლილ-წამოფარებული ვეებართელა ლოდები და იმათ ქვეშ პატარ-პატარა ტაფები—დაცემული სწორე ადგილები, სადაც ხროდახრო იცის ნადირმა დგომა-სიარული; ცხვრის ფარა ნადგომივით ამ ნაირი ეხები სავსეა ხოლმე ამ ნადირის განავალით. სწორეთ რომ კარგი, მარჯვე და მკვიდრი საფარიც არის ეს ადგილები იმათთვის. მონადირეები იტყვიან ხოლმე—სხვა მახლობელს მთიდამ რომ დაჭრილი ნადირი გაგვექცეს, სპეროზიის მთაში დაგვემალებაო. მტაცებელი ნადირი—ვეფხვი, რომელიც თუმცა იშვიათად იცის, დათვი, მგელი, ან თუ მონადირე, მაღლიდამ ვერ მოუვა და ვერცა ჰნახავს და თოფს ვერ ესვრის; უსათუოდ ქვემოდამ უნდა შეზვეროს ნადირი და ისიც ძალიან სიფრთხილით, თორემ ნადირი ზემოდამ უფრო ადვილად შეჰნიშნავს მონადირესა, გაფრთხება და ერთი ფეხის გადაცილებაა საჭირო, რომ ნადირი იქვე თვალიდამ სანთელივით გაჰქრეს. აქ მონადირე უფრო მოტყუებითა ჰხოცავს ნადირს, ვიდრე მიპარვით. იქაურმა მონადირემ (ვინც იქ ყოჩაღად ნადირობს, აქაურს ეძახიან) იცის ის გზები, რომელზედაც ნადირი დაიარება—რა დროს

ან წყლისთვის, ან საბალახოზედ; ჩაუჯდება სწორედ იმ ადგილას და ნადირი თვითონ ზედ წამოადგება; ესეც მოხდება ხოლმე ხშირად: მონადირე ერთის ხევის გამოლმიდამ—გალმა შეჰნიშნავს ეხში შეგროვილს ნადირს! ესვრის თოფს (ბერდანისას—ქართული ვერ უწევს), ერთი მათგანი წაიქცევა; სხვები, მახლობელს ფრიალოებში მიწყვეტ-მოწყვეტებულ, გაურკვეველ თოფის ხმისაგან შემფთხვლები დგანან ერთ ადგილას თავაღებით ყურებ დაცქვეტილები და გახეტებულებმა ალარ იციან საით წავიდნენ; ამ დროს გავარდება მეორე თოფი და მეორეც წაიქცევა; ახლა კი თითქო ნადირმა გაარჩივა მტერი რომელი მხრიდამ გვესვრისო, სტოვებს იმ ადგილს, მაგრამ გამოხმობისაგან მოტყუებული ისევ მონადირისაკენ მიისწრაფება; მონადირე, რასაკვირველია, თავის ბერდანის თოფით კვლავ მზათ არის—ესვრის და მესამეც იქვე გადმოვარდება. ბევრჯელ მონადირეს ამ ნაირად 3—6 მოუკლავს ერთსა და იმავე ადგილას *). ეხლა თუმცა ხუთი-ექვსიც მოიპოვებიან

---

*) ავტორის ამ მშვენიერ აღწერას, გვსურს დავუმატოთ შემდეგი უტუარი ამბავი. ერთხელ, ჩემს ახალგაზდობაში, ამ ოცის წლის წინათ, გახდდით სოფელ ალიისუერში, კახეთში. სოფელი შემკულია მშვენიერის ბოლოთი—მინდვრებით, სადაც აქაიქ მრავლად სდგას ას-წლოვანი კაკლის ხეები და მუხები. ზამთარ-ზაფხულ აქ მრავლად იცის გარეული მტრედი და ქედანი, რომელიც მთელი გუნდობით დაჭფრიალებს მინდვრებს და ხან ერთს ხეს შეეფინება შესასვენებლად და ხან მეორეს.

მშვენიერი დილა იყო. ავიღე თოფი წამალ-საფანტით და გავედი მინდვრად. მივედ ერთის კაკლის ხის ქვეშ და დავჯექ. არ გაიარა რამდენიმე წუთმა, რომ იგრიალა მტრედების და ქედნების მთელმა გუნდმა და სულ იმ კაკალს კი შემოეფინა, რომლის ქვეშაც მე ვიჯექი. დაიგრიალა თოფმა და ერთმა მშვენიერმა ქედანმა ზედ ჩემს წინ კი მოიდო ბარტყანი. ერთი ორი კი შემომხვდა თავისი უმანკო

ხეობაზედ, რომლებსაც ამ მთაში ნადირობა ემარჯვებათ, მაგრამ ადრე კი, მანამ ჩქარა-სასროლს თოფებს შემოიღებდნენ, მელიქა მქვიანი ქისტის მეტი, სპეროზიაში ვერავინა ნადირობდა; ჩქარა სასროლი თოფების შემოღებით ამ ბოლო ხანებში ნადირი სპეროზიაშიაც შესამჩნევად შეათხელეს. სანადიროდ რაც არა, სხვაფრივ სპეროზიის მთაზედ უსარგებლო მთა ხეობის ახლო-მახლო სხვა არ მოიპოვება; არა მწყემსს არ შეუძლიან რომელიმე შინაური საქონელი—ცხვარი, ცხენი, თუ ძროხა გარეკოს ამ მთაზედ საძოვრად, და თუ გაჰრეკს—ცარიელიც დაბრუნდება შინ; მის მწვერვალოებს, გადალმა, ჩრდილოეთისაკენ გაყოლიება, აქვს საძოვარი ადგილები, მაგრამ იქაც მშრალი ცხვრისა და ბატკნის მეტი ვერა ჰხვდება-

---

ანგელოზისებური თვალებით, თითქოს მაუგედრებდა,—რა დაგიშავე რომ მომკალიო,—და სული იქვე დალია. ავიხედე ზევით და ვხედავ, რომ ხეზედ ჯერ კიდევ ბალომათა სხედან შტრედები. გავტენე თოფი და დავუმიზნე. კვლავ ჩემს წინ მშვენიერმა მტრედმა მოიდო ბალრტანი. ამანაც ისე შემომხედა, როგორც ბირველმა და განუტევა სული. ვერ მოვასწარ თოფის გატენა, რომ მტრედების გუნდმა კვლავ იფრიალა და კვლავ ისევ იმ კაკლის ხეს შემოეფინა, რომლის ქვეშაც მე ვიჯექ. ვესროლე და სათვანტით გაგლეჯილმა ქალანმა კვლავ ჩემს წინ მოიდო ბარტუანი. ასევე მოვუდე ბოლო მეოთხეს, მეხუთეს. უველამ ჩემს წინ დალია სული, უველამ თვალი თვალს გამიყარა სიკვდილის წინ... მე შემეძლო, ასე ერთ ადგილზედ მჯდომს, ბარემ მთელი გუნდები ამომეწყვიტა ამ უგნურ, უმანკო არსებათა, მაგრამ ადამიანურმა შებრალებამ თავისი ქმნა: დამნანდა უგრურის, უძალურის ყლეტა, თავი ვანებე მხეცურს გართობას ავკრიფე დახოცილი მტრედები და დრმად დაფიქრებული წამოვედ შინ. ეს იყო და ეს, მკითხველო, რომ მას აქეთ მე ოთოფი ხელში ადარ ამიღია და ცოცხალის არსებისთვის ზიანის მიცემას მისით ადარ ვცდილვარ...

ივ. რუსტომაშვილი.

რა. ეს საძოვარი ადგილები უფრო კლდეებში შეხიზნულ-შეფარებულს ნადირსა ჰრჩება საძოვრად იმ დროსთვის, როდესაც მთაში მოფანტული ხალხი ღამე ბინებში მიიკრიბება და ან შემოდგომაზედ ბარად ჩამოვლენ. სპეროზიის მთას სიმაღლე ექნება ათი-ათასი ფუტი.

2) **დიდ-გვერდი.** დიდ-გვერდის მთა სავსებით არა ჰსაზღვრავს ხეობას, რადგ ნაც წინადამ ხორეჯის მთა აფარია; მოსჩანს მარტო ის ნაწილი, რომელიც ხორეჯის მთას გვერდ-გვერდ სპეროზიასთან მახვალის წყალზედ ჩამოაწყდება. დიდ-გვერდს სახელიც უმტკიცებს სიდიდეს; იგია დიდი, ვაკე და მთელს ახლო-მახლო მთებში ბალახით, საძოვრით და საბინაოდ შესანიშნავი; აქ შინაურს მსხვილ-ფეხ საქონელსაც არა აქვს არავითარი შიში კლდეზედ გადავარდნისა, როგორც სხვა მთებში; ამისათვის ზაფხულობით თავისუფლად დადის იქ საძოვრად ძროხისა და ცხენის ჯოგი; ეს მთა ხეობის მცხოვრებ ქისტებს ეკუთვნის და ბლომა ცხვრის პატრონებს იქ მიუდით ზაფხულობით ცხვარი; იქ მოწველილი და გაკეთებული ყველი სანაქებოა. სიმაღლით მგონია უნდა სჭარბობდეს სპეროზიის მთას. დიდ გვერდსა და სპეროზიის შუა მოსჩანს შორს ვაკე მაღალი მთა „სულიონა“ და „საჯიხვეს“ ნაპირი.

3) **ხორეჯის მთა.** ეს მთა სიდიდითა და სიმაღლით სპეროზიის მთას ეთანასწორება, მაგრამ იმასავით შავ ბნელი, მიუვალი, კლდე-ქანჩახებიანი და უსარგებლო კი არ არი; არც დიდ-გვერდის მთასავით ვაკე და უშიშარია, რადგანაც ცოტ-ცოტა საშიშო კლდიანი ადგილები ალაზნის მხარეს მოეპოვება. იშვიათად იქნება, რომ ეს მთა ნისლ-ბურუსით დახვეული არ იყოს; თითქმის მუდამ ნოტიოა და ნიადაგი მოლინჭული აქვს; მსხვილ-ფეხ საქონელს ფეხი უსხლტება ადვილად და ამიტომ მისი დაგორება და კლდეზედ გადავარდნა ხშირია ხოლმე; საგორავი იცის, ე. ი. მას კლდეებიდამ ქვა ცხვრის ფეხისაგან თუ სხვა რაიმე შემთხვევით ადვილად გამოგორდება ხოლმე და წვრილ-ფეხ საქონელსა და კაცსაც აზარალებს, კა-

ცის გადავარდნაც არ არის იშვიათი; ამასთანავე სხვა მთებზედ მომეტებულად ცივია და ქარიც მალ-მალე იცის. სპეროზიის მთასავით სამალავები არა აქვს და ამიტომ ნადირი იშვიათად ჰხვდება. ხეობის მცხოვრებლებისათვის ეს მთა ყველაზედ მარჯვეა და ზაფხულობით საბალახედ, სათიბად, ცხვრისა და ძროხის საძოვარ საბინაოდ ქისტები მომეტებულ ნაწილად ამ მთით გადიან ოლად. ამ საჭიროებათათვის ხორეჯის მთასა აქვს შემდეგი ადგილები: თუნქოს სათიბე, გაბიდას გორი, ხორეჯა, ჩხათანა, ჭიქაურა, ნაქერალი და დიყიანი. ხორეჯაში და ჭიქაურაში მომეტებულ ნაწილად ცხვრის ბინებია, რადგანაც ეს ადგილები გვერდალიც არი და ცოტა მოშორებითაც; ხოლო ნაქერალში და დიყიანში ძროხის ბინებია. ჭიქაურისა და ხორეჯის ყველი სიკეთით დიდ-გვერდისას არ ჩამორჩება და როცა ზაფხული ხმელი და თბილია, მაშინ კიდეც აჯობებს ხოლმე.

4) **რკინის მთა.** ეს მთა, როგორცა ვსთქვით, სპეროზიის გვერდი-გვერდ (поралельно) ჩრდილოეთით წამოსული ხეობის კუდამდე ვერც კი აწევს; ამ მხრით ხეობას ჰსაზღვრავს მარტო მისი ტოტები, რომლებიც სპეროზიის ქვემოთ მდ. ალაზანზედ ხეობის კუდს ჩამოაწყდებიან. ამიტომ ამ მთაზედ ბევრი არა გვეთქმის რა, გარდა იმისა, რომ ამისთვის ხალხს ტყუილად არ დაურქმევია სახელი „რკინის მთა“, ალბათ იმისთვის უფრო, რომ პირ აქეთ,—სადაც ეს მთა ტოტებად იყრება, იქიდამ დაწყებული სანამ იქით გათავდება, ზედ წვერ-წვერ, როგორც დანის ფხაზედ სათუშეთო ცხენის გზა გადადის და ძნელათ იქნება, რომ ადამიანის თუ ცხენის ფეხი დედა-მიწას სადმე მოჰხვდეს; მთლად შიშველა კლდეა და არც თუ ფრიალოები, ქანჩახები და ფხანწლები, ასე მოუკოდავ წისქვილივით მოროკილი მწვერვალოებით თავდება. ცხენის ფეხისაგან გაჭრილი, კიბესავით საფეხურებიანი გზა მიდის და სულ ადი-ჩადისა; მიდის ცხენი ფხაჭი-ფხუჭით და მის ფეხებიდამ ნალები მალ-მალ აქეთ-იქით ღრანტეებში გადაბზრია-

ლობენ. ეს გზა, როგორც მოხუცებულები გადმოგვცემენ, პირველად რუსის ჯარს გაუყვანია ჩაჩანში აჯანყების დროს. სხვაფრივ ამ მთას ცხვრის საბინაო ადგილები ბევრი არ მოეპოვება ძირობებზედ რაც არა და არც საძოვარ საბალახოდაა სანუკარი და საიმედო. სიმაღლით სპეროზიას ეთანასწორება და ეკუთვნის წოვა თუშებს.

ალმოსავლეთის საზღვრები. ხორეჯის მთას სამხრეთით განეყოფა ერთი დიდი ტოტი, რომელიც იწყება ნაქერალის მთით. ნაქერალის მთა მოვაკო და ტიტველაა ქვემოთ დიყიანამდე და როგორცა ვსთქვით საძროხე ბინებად სარგებლობენ ხეობის მცხოვრები ქისტები. დიყიანთან ეს ტოტი მშვენიერი დაბურულის ტყით იმოსება; აქ უხვევს ისევ პირდაპირ დასავლეთისაკენ, იფანტება მრავალ ტოტებად და თვითოეული მათგანი სპეროზიის ქვემოთ შიგ ხეობის თავში მდ. ალაზანს ჩამოაწყდება; უმთავრესს მათგანს ქორთა ბუდეს ეძახიან. ქორთაბუდის მოსახვევიდამ პირდაპირ სამხრეთისაკენ გრძელდება ის უმთავრესი ტყიანი ტოტი, რომელიც ხეობას ალმოსავლეთით ჰსაზღვრავს; იწყება დიყიანით (დიყიანის ცოტა ქვემოდამ ამ ტოტს განეყრება ერთი პატარა ტყიანი გორი და ქორთაბუდეს გვერდ-გვერდ დაჰყვება დასავლეთისაკენ, მაგრამ მდ ალაზნამდე კი ვეღარ აღწევს; ამას ბრუდე გორს ეძახიან). დიყიანიდამ დაწყებული, ვიდრე ბოლომდე ეს ტოტი შეიცავს ტყით შემოსილ მრავალ მწვერვალოებს, რომლებიც ქვეით და ქვეით თანდათან დაბლდებიან, იცვლებიან გორებად და მწკრივად წამოწვდილები მდ. ალაზანს ჩამოაწყდებიან; ყოველს მწვერვალოსა და გორას შუა შესდევს სასიამოვნო ტყით დაბურული მოზრდილი ჭალა-ყურეები; ყოველი ჭალა-ყურე შემკულია საკმაო ველებითა და ზედ ჩამომდინარე ფშაწყაროებით; თვითოეული ველი დასახლებულია მცხოვრებლებით და ან დაფარულია თავის დროზედ მტრის თვალით უნახავ ნამუშაველით და მწვანე ხასხასა სათიბებით. თვითოეული მწვერვალი და გორი შეიცავს თავის საკუთარს სახელს და მათ

შუა მდებარე ჭალა, ყურე თუ ველი აღინიშნება იმავე სახელით. ესენია; ურთნალი, დემსტური, ხაიაწანი, ღვიმე ანუ პატარა ხაიაწანი, წინუბანი, დიდი ქორეთი, პატარა ქორეთი, ბარდიანი, უკან-ჭალა და ციხიჯვრის გორი. ამათგან ქორთა-ბუდე თავის ტოტებით, ბრუდი-გორი, დიყიანი ნაქერალი, რაიაწნის საშხრეთი ნაწილი, ღვიმე, უკან-ჭალა და ციხისჯვრის გორი სულ სახელმწიფონია, ხოლო დანარჩენნი კერძო საკუთრება.

დასავლეთის სამზღვრები: რკინის მთა სპეროზიის მარჯვე იყოფება სამ უმთავრეს ტოტად; ერთი მომცრო ტოტი სუ-ბუქი—სპეროზიის ძირში მდ. ალაზანს ჩამოაწყდება; მეორე მოზრდილი ტოტი—ტბათანა—ასე სამი ვერსი ტიტველაა და ვაკე; შემდეგ ტყით იმოსება და იყოფა ორ უმთავრეს ტოტად; ერთი მათგანი მოზრდილი ტოტი, რომელსაც ტოდეშს ეძახიან, სუბუქის გვერდი-გვერდ დასავლეთისაკენ მოდის და სპეროზიის ქვემოთ მდ. ალაზანს ჩამოაწყდება; მეორე, მომცრო წინაგორი ტოლეშას დაჰყვება, მაგრამ მდ. ალაზნამდე კი ველარ აწევს; დააწყდება იგი მდინარედამ ერთი ვერსის მოშორებით; ამის შეყოლიება კიდე ჩამოაწყდებიან სხვა წვრილ-წვრილი ტყიანი ტოტები, მაგალითად: კაკლიანა, სოფლაგების გორი და სხვა. მესამე გრძელი და დიდი ტოტი—ურანი—გა-ნეყოფა რკინის მთას დასავლეთის მხრიდამ; იწყობა იგი ზუ-როს გორით (შიშველი მთაა), დაჰყვება მთელ ხეობას დასავ-ლეთით და—როგორც ალმოსავლეთის საზღვარი—მრავალ ტყით შემოსილ მთა-გორ-ველებით და ყურეებით საზღვრავს მას ბოლომდე; ესენია: ძიბახევი, ბირკიანი, ცქვიტაძე, ჭო-ბიო, ბალთაგორი, დედის ფერული, ბაბურა და ყვარელთ-ხე-ვი; ესენი და სებუქ-ტოლეშა და წინაგორიც სულ სახელმწი-ფონია; ხოლო ამათ ქვემოთ—კუწახტა, საკობიანო (ეხლა თუ-შებს ეკუთნით და სათუშოს ეძახიან) და სამტრედო სხვათა საკუთრებანია. დასავლეთ სამზღვრის ჭალები, ყურეები და ველები სიფართოვით, სივაკით, ნიადაგის სინოყიერით და სა-

რწყავ ფშა-წყაროებით უფრო ნაკლებები არიან, ვიდრე ალმოსავლეთისა, თუმცა კი ზაფხულის გვალვა-სიცხეები არც ძალიან აქ შეაწუხებს ხოლმე ნამუშევარს, რადგანაც დაბურული ტყით შემოსილი მიდამო მთა-გორები თავიანთ საკმაო სინესტეს არ აკლებენ.

ქისტი-ზაბანი.

(შემდეგი იქნება).

ქალაქი და სოფელი *).

სანამ ადამიანს ჯერ კიდევ არ შეუგნია ყოველი სიავე და ზიანი მცხოვრებლებით გაჭედილ ქალაქებისა, იგი ბრმა და თვალ-დახუჭული მიისწრაფის ქალაქისაკენ, ხოლო, რა წამსაც იგი უფრო მეტის ცოდნის და განვითარების პატრონი გახდება, ის ველარ ურიგდება ქალაქის სივიწროვეს, სიბინძურეს, ყიჟინს, რახა-რუხს, მიხლა-მოხლას და ყოვლის ძალით მიისწრაფის თვალ-უწვდენელ მინდორ-ველებ მთებისაკენ, ლაღ და თავისუფალ სოფლისაკენ. დღეს აღარავისთვის საიდუმლო არ არის ასეთი ევოლიუცია ცხოვრებისა, ასეთი მისწრაფება ქალაქელებისა სოფლებისკენ. თუმცა, მართალია, დღესაც შესამჩნევად მიისწრაფის ხალხი სოფლებიდამ ქალაქებისკენ, მაგრამ ისე კი აღარ, როგორც ეს ერთ დროს იყო, რომ სოფელი თითქმის ცარიელი რჩებოდა მარტოოდენ დედაკაცები-

---

*) ვსთხოვთ ჩვენს მკითხველებს უურადღებით წაიკითხონ ჩვენის თანამშრომლის ბ-ნ ტ. ართმელაძის-მიერ აღძრული დიდად საუურადღებო კითხვა, რომელიც დაბეჭდილია „მოგზაურის“ ამავე წიგნში, სახელდობრ „სოფელთ მისწრაფებაზედ ქალაქებისკენ“ (ნახე გვ. 61). ჩვენ სავსებით ვემხრობით ავტორის შეხედულობას და თავისს მხრით ვბეჭდავთ ამ წერილს, რომელშიაც განმარტებულია იგივე საკითხი სხვა მხრით, ისტორიულად.

ი. რ.

სა და წვრილ-ფეხობის და მოხუცებულების სინაბარას. სულ სხვას ვხედავთ ახლა *).

1800 წლებში ამერიკაში არ იყო არც ერთი ქალაქი, რომ ერთ მილიონზედ მეტი მცხოვრები ჰყოლოდა. შეერთებულ შტატების მაშინდელს უმთავრეს ქალაქებში—ფილადელფიაში და ნიუიორკში იყო—პირველში 69.000 მცხოვრები და მეორეში—60.000. მას აქეთ მთელს ევროპასა და ამერიკაში ის სწრაფად იზრდებოდა ქალაქები მთელის მეცხრამეტე საუკუნის განმავალობაში, რომ გვიქადიდა სრულ ჩაყლაპვას სოფლებისას... მაგრამ, თურმე მართალი ყოფილა თქმულება: „ეველაფერს დასასრული აქვსო“. და აი ეს დასასრული ქალაქების ზრდასაც დაუდგა. ქვეყანამ იგრძნო, რომ იგი დალმართზე დაქანებულ ურემსავით მიექანება უფსკრულისაკენ და, აი, მოიკრიბა ყოველი ძალა და ღონე, რომ შესდგეს, გაჩერდეს და მით იხსნას თავი უეჭველ დაღუპვისაგან, რადგანაც როგორც თვით სტატისტიკაც ამტკიცებს, ასეთი ზღაპრული ზრდა ქალაქებისა და მათივე ზღაპრული ანტი-ჰიგიენური და ეკონომიური მდგომარეობა ძირიან-ფესვიანად ათახსირებს მცხოვრებთ და მიჰყავს ისინი სრულ ფიზიკურ და მორალურ (ზნეობრივ) გადაგვარებისაკენ. აი ეს სტატისტიკაც:

სადაც ერთს სახლში სცხოვრობს:		ყოველ ათას მცხოვრებზე კვდება:	ყოველ ათას მცხოვრებზე მოდის ნაბიჭვარი:
ლონდონში	8	24	40
ბერლინში	32	25	160
პარიზში	35	28	200
პეტერბურგში	52	41	260
ვენაში	55	47	510

*) იხ. ამაზედვე Міръ Божій, სექტემბრის წიგნი.

რომ მეცხრამეტე საუკუნეში ქალაქები მართლაც ზღაპრულად იზრდებოდნენ, სჩანს შემდეგი სტატისტიკიდამ:

	1800 წ. ირიცხებოდა მცხოვრები:		1900 წ. ირიცხებოდა მცხოვრები:
ბერლინში	172,000		1.880.000
ლონდონში	998,000		4.536.000
ჩიკაგოში	0		1.698.000
ნიუიორკში	60,000		3 437.000
ფილადელფიში	69.000		1.293.000
პარიკში	548.000		2.714.000

ეს ცხოვრების ასეთი მიმართულება მთელის საუკუნის განმავალობაში მართლაც რომ არა სანუგეშო მომავალს წარმოუდგენდა ყოველს მამულისშვილს და ძალაუნებურად აფიქრებინებდა: ნუ თუ ხხვა ქვეყნებიც, ახლო მომავალში, უთუოთ ისეთ ვითარებაში უნდა ჩაცვივდნენ, როგორც, მაგ., ინგლისია, თავისი დაცარიელებული სოფლებით და ძალზედ გატენილი ქალაქებით? ჰიგიენის წარმომედგენელნი, პედაგოგნი, მორალისტნი, მეურნენი და სხვანი მრავალნი შეძრწუნებულნი გაიცქირებოდნენ მომავლისაკენ და წინასწარმეტყველებდნენ სრულს ფიზიკურს და ზნეობრივს გადაგვარებას ხალხთა, თუ ვინიცობაა არ შეიცვალა ასეთი ვითარება, ასეთი შეუყენებელი გადასახლება მთელის სოფლებისა ქალაქებში. და, მართლაც, სად თუ არ ქალაქებში იბუდებს ყოველგვარი გადამდები სენი — ყელ-ჭირვება, ათაშანგი, ჭლექი, ლოთობა, ბანქოობა და სხვა ათასგვარი ბიწიერება და გარყვნილობა? განა ესენი არ იყვნენ დამღუპველნი უწინდელ მრავალ-რიცხოვან ქალაქებისა—ნინევისა, ბაბილონისა, კართაგენისა და რომისა, რომელშიაც აგვისტო იმარიტორის დროს ორი მილიონი მცხოვრები ითვლებოდა. ბევრს ეცადნენ მაშინდელი საუკეთესო მეფეები და მამულის შვილები დაეხსნათ დაცარიელებული და მისგამო მიმკვდარინებული პროვინცია დაღუპვისაგან, მაგრამ ამაოდ: ვერ უშველა მათ ვერც კეთილშობილ-

მა პროექტებმა გრაკხებისამ, ვერც მიწების მუქთად დარიგებამ რომის უმიწაწყლო ხალხისათვის და ვერც სხვა მისთანა ზომებმა!.. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უწინდელი ცივილიზაცია დაიღუპა სწორედ რომ თავისი უშველებელი ქალაქებისგან, რომელთაც ძირიან-ფესვიანად გაათახსირეს და ამოჭამეს პროვინციების საუკეთესო შვილნი და მით თავის თავს და თვით მთელს თავის სახელმწიფოებსაც გამოუთხარეს ძირი დიახ, ესენი იყვნენ ნამდვილნი დამღუპველნი ძველის ცივილიზაციისა!..

ცხადია, რომ ასევე აფიქრებს ყოველ მამულიშვილს დღევანდელი ვითარება ქვეყნისა და ძალაუნებურად აკითხვინებს თავის თავისთვის: ნუ თუ ახლო მომავალში ასევე დაჰღუპავს პარიზი საფრანგეთს, ლონდონი ინგლისს, ბერლინი გერმანიას, ვენა ავსტრო-ჰუნგრიას და სხვა? იქნება მკითხველმა სთქვას კიდეც, რას მიჰქარავს როსტომაშვილიო, მაგრამ აბა ჩაიხედეთ სტატისტიკაში, თუ რას გეტყვით იგი მოქალაქეთა სიკვდილის სიხშირეზე, დანაშაულობებზე, სიღარიბეზე, გარყვნილებაზე, ლოთობაზე, ათაშანგზე, ჭლექზე, ახალთაობის სისუსტეზე, სადგომ სახლების თითქმის სრულიად უქონლობაზე და სხვა მრავალ მისთანა უტყუარ ფაქტებზედ, თუ არ დარწმუნდეთ, რომ, მართლაც, ღირს, რომ კაცი ამაზედ დაფიქრდეს, დადარდიანდეს და ინატროს და ეცადოს კიდეც, რათა უკულმა მოატრიალოს ცხოვრება, თანაბრათ მოაწყოს ქალაქებისა და სოფლების მდგომარეობა, ქალაქს ააცილოს ქალაქების დღევანდელი ყოველი ნაკლი და მიანიჭოს მას სოფლის ყოველი სიკეთე, ხოლო სოფელს—ააცილოს სოფლის ყოველი ნაკლი და მიანიჭოს მას ქალაქის ყოველი სიკეთე.

ჩვენდა სასიხარულოთ უკვე არსებობს ცხადი ნიშნები, რომ კაცობრიობის ცხოვრება და მისი ცივილიზაცია დღეს ისეთს მიმართულებას იღებს, რომ ჩვენ სრულის სასოებით და იმედით შეგვიძლიან პირდაპირ თვალში ვუცქიროთ მომავალს, რომ იგი ძველის დროის მსგავსათ, დაღუპვას კი

არა და პირიქით წარმატებას და უფრო კეთილ ცხოვრებას მოგვიტანს. აი ეს ფაქტები და ნიშნები:

თვით ის ეკონომიური ძალა, რომელმაც ასე ხელი შეუწყო ასეთი უამრავი მცხვრებიანი ქალაქების გამრავლებას და ზრდას, დღეს უკან-უკან იწევს და ასეთივე ძლიერებით სცდილობს შეჰქმნას სრულიად ახალი სახის მოსახლობანი კაცთა, რომელნიც, რაგორც ვსთქვით, თანასწორათ და სავსებით შეიცავდნენ, როგორც ქალაქების, ისე სოფლების საუკეთესო მხარეებს. დღეს ქალაქებში მეფობს წესი და მართებულება, ცხოვრება სდუღს და გადმოდის, მეფობს სიმდიდრე და განცხრომა; ქალაქი არის ბუდე განათლებისა, მეცნიერებისა, ხელოვნებისა; აქ არის საუკეთესო სახლები, მოკირწყლული ქუჩები, მოძრაობის სწრაფი საშუალებანი. სოფელში კი ბუდობს უვიცობა, საწყალი ქოხები, ბნელი და მყრალი მიწურები, გომურები, გზები სავსეა ლაფით და გუბეებით. ქალაქებში დამართულია უუდიდესი სახელოსნოები, სავაჭროები, სოფელში კი მარტო სასოფლო მეურნეობაა და გონებითი ძილი, რუტინა. ახალი გზები ყველაფერს ამას ისე შესცვლის, რომ ქალაქი ცოტა სოფლად გახდება და სოფელი ცოტა ქალაქად. გზები, არხები, თვით-მოძრავი ეტლები შესცვლიან დღევანდელს მოხსენებულს განსხვავებას ქალაქსა და სოფელს შუა. ხელოსნობა-ხელოვნობა-ვაჭრობა და განათლება ნელ-ნელა გადმოვა სოფლად და თან გადმოიყვანს არა მარტო მოქალაქეთ, თვით სოფლელებსაც ადგილობრივ დაიკავებს, ყველას დააკმაყოფილებს, ყველას გაანათლებს, ყველას გააძლობს, ყველას ადამიანურად აცხოვრებს. საუკეთესო მხარენი ქალაქებისა სოფლებსაც მოეფინება და მათაც მცირედ არის დაამსგავსებს ქალაქებს. შეთხელებულქალაქებს მოემატება ბაღები და საგარაკო სახლები, და ამ გვარად ესენიც ნელ-ნელა დაემსგავსებიან სოფლებს, მიიღებენ მის საუკეთესო მხარეებს. ვიწროობა, განაპირა უბნების სიმყრალე, ათასგვარი სენები,

მტვერი და მისთანები მიეცემა დავიწყებას და ისტორიას ჩაჰბარდება...

სტატისტიკამ დიდი ხანია შენიშნა, რომ ქალაქების შუაგულს შესამჩნევათ აკლდება მცხოვრებნი და მათ განაპირა ადგილებს კი ემატება. აი ამისი ფაქტები: 1801 წელს, ლონდონის თერთმეტი შუაგულის უბნის მცხოვრებთა რიცხვი მთელი ქალაქის მცხოვრებთა რიცხვთან შეადგენდა 61%

1851 წ.	—	48%
1861 წ.	—	42%
1871 წ.	—	35%
1881 წ.	—	29%
1891 წ.	—	24%

ცხადია, რომ ჯერ კიდევ ამ ასის წლის წინათ ხალხი თითქოს განგებ გაურბოდა ქალაქის შუა-ადგილებს და სახლდებოდა მის გარშემო. თუ ასე გაგრძელდა კიდევ რამდენიმე ათი წელიწადი, უნდა ვიფიქროთ, რომ შუაგულში მარტო მეეზოები და საპატიმროთა დარაჯნი-ღა დარჩებიან. ამასვე ვხედავთ პარიზში, ვენაში და ალბათ ესევე ხდება ევროპისა და ამერიკის ყველა ქალაქებში.

სწორეთ ასეთივე უკან დახევა ეტყობა ქალაქებისკენ სოფლელთა მისწრაფებას. სოფლელების მისწრაფება ქალაქებისაკენ, მართალია, ჯერ კიდევ ძლიერია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ისეთი ძლიერი კი აღარაა, როგორც ეს უწინ იყო და გარდა ამისა, ძლიერდება თვით მოქალაქეთა მისწრაფება სოფლისკენა. უპირველეს საშუალებად ამ შემთხვევაშიაც გამოდის გზებისა და საზოგადოთ სწრაფი მოძრაობის გავრცება ყველგან, სულ უკანასკნელ მივარდნილ კუთხეებშიაც კი. ეს იმიტომ, რომ სწრაფი და იაფი გზები შეძლებას აძლევენ სოფლის ხალხს კვლავ იცხოვრონ საკუთარ მიწაზედ და მით სამუდამოთ არ მიატოვონ ხოლმე სოფელი, რითაც ბევრს იგებს ფიზიკურად და ზნეობრივად როგორც მუშის ოჯახი, აგრეთვე თვით მთელი სოფელი, რომელიც ამ შემთხვევაში

საბოლოოდ არ ჰკარგავს თავისს საუკეთესო წევრებს. აი რატომ არის, რომ რკინის გზების გადასვლა სახელმწიფოს ხელში ძლიერ ხელს უწყობს ხალხის დეცენტრალიზაციას, რადგანაც ამას თან მოსდევს მუშების წასვლა-მოსვლის ფასების დაკლება. ბელგიაში, მაგალითად, რკინის გზები ეკუთვნის სახელმწიფოს და ამიტომაც ფრიად მცირეა იქ ფასები, განსაკუთრებით მუშა ხალხისათვის. იქ შემოღებულია ეგრედ წოდებული კვირული კუპონები, რომლებითაც ყოველ მუშას შეუძლიან იმგზავროს კვირაში ექვსჯერ 40—45 ვერსის მანძილზედ, რაიცა ღირს სულ $2\frac{1}{3}$ ფრანკი და 25 სანტიმი (57 კაპ.), მაშინ როდესაც სხვა მგზავრებს მარტო ერთი მესამე კლასის ბილეთის სყიდვა უჯდება არა ნაკლებ 3 ფრანკისა და 5 სანტიმისა (77 კაპ.). ეს იმისათვის, რომ ამით შეაძლებინონ სოფლის ხალხს მუშაობა ქალაქების ქარხნებში და იმავ დროს სრულადაც არ მოწყვიტოს იგინი სოფელსა. გასაკვირველი არ არის, რომ ბელგიელი მუშა ყოველდღიურ წასვლა მოსვლას უფრო ამჯობინებს სოფლიდამ ქალაქს და უკანასკნელიდამ კვლავ სოფელში, ვიდრე სამუდამოთ მოშალოს კერა სამშობლო სოფელში და გადმოვიდეს სამამინაცვლო ქალაქში.

ესევე მიზეზები აიძულებენ დღეს სოფლად ცხოვრებას და ბინის მოკიდებას საკმაოდ შეძლეხულ ხალხსაც—მოხელეებს, ვაჭრებს და სხვებს, რისგამოც სოფლები ნელ-ნელა იღებენ კოპწია სახეს და თავისი საზოგადო სახით და ცხოვრებით საკმაოდ უახლოვდებიან მათ შემქნელ ქალაქებს, იმ განსხვავებით, რომ იქ უფრო ხშირად შეხვდებით ბაღებს, ბოსტნებს, ტყეებს, სახნავ-სათესებს, მინდვრებს, საძოვრებს, ე. ი. სწორედ იმ საუკეთესო მხარეებს, რომლებიც აკლია ქალაქებს. ასეთია, მაგ., ბევრი დაბა და სოფელი ბერლინისა და პარიზის გარშემო, სადაც უკანასკნელ წლებში ათი-ათასობით ბინავდება და სახლდება ამ ქალაქების ყოველი წოდების და მდგომარეობის წარმომადგენელი. თქმა არ უნდა, რომ ეს მხოლოდ წვეთი და დასაწყისია მოქალაქეთა იმ დიადის გადასახლებისა

სოფლად, რომლის წარმოდგენა სავსებით დღეს ჩვენთვის თითქმის შეუძლებელია. მაგრამ მოვა კი დრო, რომ მოხსენებული საგარაკო დაბა-სოფლები შეჰქმნიან ადგილობრივ მრავალ სამრეწველო და სახელოსნო საქმეს და მით სამუდამოთაც განთავისუფლდებიან თვისს შემქნელ და ამაღორძინებელ ქალაქებისგან, ასე რომ, ბოლოს, მთელი ქვეყანა თანაბრათ უნდა მოიფინოს დიდ-პატარა ქალაქებით, რომლებიც იმით იქნებიან განსხვავებულნი აწინდელ ქალაქებისაგან, რომ ქალაქებში მოისპობა დღევანდელი გადამეტებული სივიწროვე, უშველებელი ყაზარმის მსგავსი სახლები, მყრალი უბნები და სხვა, ხოლო ამ გზით შეთხელებული და დაცარიელებული ადგილები ქალაქებისა მოიფინება ბაღებით და ბოსტნებით თავისი ერთადერთი სამეცნიერო, სასკოლო. სამუზეუმო და მისი მსგავსი შენობებით. ასე რომ ასრულდება ოცნებანი ვილიამ მორისა, რომელიც სწერდა: მომავალში ლონდონი იქნება მხოლოდ თვალ-საჩინო შუაგული ადგილი ინგლისის სამეფოს მეცნიერებისა, ხელოვნებისა და სოციალურ ინტერესებისა; აქ იქნება უდიდესი დარბაზნი სხვადასხვა კრებებისათვის, ლონდონის ცა მიიღებს ძველებურ სიმჭვირვალეს, ტემზის წყალი კვლავ ანკარა და საღი გახდება, ხოლო მრავალ სართულიან გოდლების ადგილს დაიჭერენ მშვენიერი კოტეჯები (განაპირა სახლები) თავისი კოპწია ბაღებით და ყვავილნარებითაო.

მოხსენებულს მოვლენას ხელს უწყობს აგრეთვე ახალი მეურნეობა, რომელიც თანდათან იღებს სამრეწველო ხასიათს. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს ჩვენის ჟურნალის ფურცლებზედ (ნახე „მოგზაური“ 1902 წ. №1 და 2, დამატებაში), რომ უკანასკნელს ხანებში ყველგან (ევროპასა და ამერიკაში), სადაც გავრცელებულია მებაღობა და მებოსტნობა, მრავლად დამართეს. დიდი და პატარა ქარხნები, რომლებშიაც მხოლოდ იმას აკეთებენ, რომ ყოველგვარს ხილსა და საზოგადოთ მიწის მოსავალს საზამთროდ და სხვაგან გასაგზავნად ამზადებენ და ბოჩკებ-ბანკებ-ყუთებში აწყობენ. ამ მოვლენამ ის დიადი

მნიშვნელობა იქონია, რომ მიწები მოხსენებულს ადგილებში მეტის-მეტად გაძვირდა და რამდენიმე ასი ათასს სულს ადგილობრივვე მისცა სამუდამოთ უზრუნველი და ფრიად კარგ ფასიანი სამუშაო. გარდა მოხსენებულისა, სამრეწველო ხასიათი მეურნეობისა კიდევ იმით არის სასარგებლო, რომ ადგილობრივვე სტოვებს დამუშავებულის საქონლის ნაშთს (უვარგისს ნაწილს), რომელიც მშვენიერ სასუქად ადგება იმავე მინდვრებს, საიდამაც მიღებული იყო თვით ნაწარმოები. ეს კი ფრიად დიდმნიშვნელოვანი ამბავია, რადგანაც განთქმულის ლიბიხის სიტყვით, ბევრი შესანიშნავი და უნაყოფიერესი ქვეყნები მხოლოდ იმიტომ დაიღუპნენ, რომ თავის უხვ-მოსავლიან მინდვრების ნაყოფს სავსებით სხვა ქალაქებსა და ქვეყნებში აგზავნიდნენ და მით წლითი-წლობით უკანასკნელს სიქას აცლიდნენ თავიანთ მკვებავ მამულს და ბოლოს, როცა სიქა-გამოღებული მიწა მათ აღარაფერს აძლევდა, თითონაც სწყდებოდნენ დმ სამშობლო ქვეყნის სახელსაც სპობდნენ დედა-მიწის ზურგზედ.

მოხსენებულს მოვლენასვე უკანასკნელს ხანებში ხელს უწყობს მრავალი სამრეწველო და სახელოსნო საქმის გადატანა ქალაქიდამ სოფლად და ხშირად სრულიად უდაბურ ადგილებშიაც. მიზეზი ცხადია: მიწის და მუშის სიძვირე ქალაქებში, დასამუშავებელი მასალის მოტანის სიძნელე და სხვ., მაშინ, როდესაც სოფლად მიწაც იაფია, მუშაც მუდამ საკმაო და იაფი (რადგანაც სოფლელი მუშა ერთი რომ სცხოვრობს მიწის საკუთარ ნაჭერზე საკუთარს სახლში და მეორე—მუშაობს სხვასთან მხოლოდ მაშინ, როცა თავისუფალია საკუთარ საქმეებისგან) და დასამუშავებელი მასალაც უხვად და ადგილობრივვე მოიპოვება.

ხალხის დეცენტრალიზაციას დიდად ხელს უწყობს აგრეთვე ფულის გადასახლება სოფლად და ელექტრონის გამოყენება მაშინების სამუშაოდ, რისგამოც დღევანდელი კაპიტალისტი ხდება უპირველესი მოტრფიალე მთებისა და მის

მქუხარე მდინარეებისა, რომლებიც უხვად აძლევენ მას აუარებელ ძალას მანქანების მოძრაობაში მოსაყვანად.—„ორთქლის მანქანამ,—ამბობს ვანდერველდი,—დააშორა ქარხნები მდინარეებს და ნაკადულებს, ხოლო ელექტრონი კვლავ აახლოვებს მათ მათთანო“. მართლაც, ათასობით შეგვიძლიან ჩამოვთვალოთ ის ფაქტები და მაგალითები, რომ ამ რამდენსამე წლის წინად მყოფ უდაბნოებში დღეს დუღს და გადმოდუღს სიცოცხლე და ცხოვრება, სულ კი მოხსენებულ სამრეწველო-სახელოსნო საქმეთა სოფლად, ქალაქებს გარეთ, გადმოტანის გამო. მოვიყვანთ ათასიდამ მხოლოდ ერთს მაგალითს: საფრანგეთის პროვინცია დოფინე, რომელიც ძევს ალპების ძირში, დიდი ხანი არ არის, რაც უუღარიბესი პროვინცია იყო მთელს საფრანგეთში, და სხვების მსგავსად იგიც ყოველწლივ ათი-ათასობით აგზავნიდა თავისს საუკეთესო შვილებს სხვა ქალაქებში, რისგამოც მისი ლამაზი მთა-ბარი უქმად ეყარა და დანარჩენი მცხოვრებნიც საბრალო ცხოვრებას ათრევდნენ თავისს ღარიბ ქოხებში. მაგრამ აი გაჩნდა ერთი სამრეწველო ქარხანა (დოფინე მდიდარია მადნეულობით, თუთის ხით და სხვ.), მას მოჰყვა მეორე, მესამე, გაიყვანეს რკინის გზები, ტელეგრაფი. დოფინე უეცრად გამოცოცხლდა: მკვიდრნი როდი-ღა გარბიან შორეულს ქალაქებში ბედის საძებნელად, მათ აქვე ბლომად აქვთ საქმე რკინის გზებზედ, ტელეგრაფზე, ქარხნებში, საკუთარს მამულში და სხვა ათას გვარ ასპარეზზედ. სამუშაო მატულობს ყოველ დღე, ხალხი გამოდის საღათას ძილიდამ, საბრალო ქოხების მაგივრად შენდება მშვენიერი ერთ და ორ-სართულიანი სახლები კოპწია ბაღებით და ყვავილნარებით, ერთი სიტყვით, მთელი დოფინეს მხარე იღებს ნახევრად ქალაქის და ნახევრად სოფლის სახეს.

ასე და ამ გვარად ხდება ეს თანაბარი განთესვა მცხოვრებთა მთელ სახელმწიფოს მიწა-წყალზედ. მისწრაფება შუაგულისკენ (ქალაქებისკენ) მართალია, ჯერ კიდევ არ შეყენებულა, ჯერ კიდევ ათი-ათასობით მიისწრაფის სოფლის ხალხი

თანამედროვე ბაბილონებში, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მის გვერდითვე მუშაობს მეორე ძალა—მისწრაფება შუაგულიდამ (ქალაქებიდამ), სოფლისკენ, რომელიც გმირულის ნაბიჯით მიდის წინ და მით იმედს აძლევს კაცობრიობას, რომ იგი არ გადაგვარდებადა არ დაიღუპება, როგორც დაიღუპნენ უწინდელი ხალხები.

მოხსენებულს მოვლენას, ე. ი. ქალაქებიდამ სოფლად ცხოვრება-მოქმედებას ფრიად ხელს უწყობენ აგრეთვე მრავალ შეგნებულ გვამთა ცდა-მეცადინეობაც. დღეს ყველა გატაცებულია შეუკავებელის მისწრაფებით—მცირე ხნობით მაინც განშორდეს ქალაქს, თავისუფლად ამოისუნთქოს სოფლის სუფთა ჰაერით; საგარაკო ცხოვრების და საზოგადოთ ქალაქს გარეთ გასვლის საჭიროებას გრძნობს დღეს თვით უღარიბესი მოქალაქეც, რისგამოც პირველსავე შემთხვევაში ყოველი მათგანი შეუყენებლად მიისწრაფის მინდვრებისკენ, სოფლებისკენ, მთებისკენ, ეკლესია-მონასტრებისკენ, ზღვა-მდინარეებისკენ და სხვ. და სხვა, რასაც თქმა არ უნდა ხელს უწყობენ ჰიგიენური ცოდნის გავრცელებაც თვით დაბალ ხალხში... შედეგად ყველა აქ მოხსენებულ მოვლენათა ჩვენ ვხედავთ შესანიშნავად გაცოცხლებას პროვინციისას, განსაკუთრებით ზაფხულობით. სასტუმროები და საგარაკო სახლები დღეს ჩნდება იქაც კი, სადაც უწინ უბრალო ქოხსაც ვერა ნახავდით, ათასობით მოგზაურებმა დაბადეს სოფლებისთვის ახალი საქმე, ახალი გამორჩომა. ერთი სიტყვით, საგარაკო ცხოვრება დიდის სისწრაფით წინ მიდის და თვით უბრალო ხალხიც კი ძლიერ ეტანება ამს, საზოგადო, სახალხო ხასიათს იღებს იგი. ინგლისში არსებობს ცალკე კავშირები მუშებისა, რომლებსაც აქვთ ცალკე თანხები, რომ შეაძლებინონ თავის წევრებს და მათს ოჯახობას სადმე შესანიშნავ ადგილებისკენ მოგზაურობა და იქ დროს გატარება ერთი თუ ორი-სამი კვირით, რაც მეტად კარგად მოქმედებს მათზედ და აღძრავს მათში ახალს ხალისს და ღონეს ცხოვრებისას. შულცე-გევერნიცის სიტ-

ტყვით, მარტო ერთს ოლდგემში მუშათა კასსა ყოველწლივ ჰხარჯავს ამ საქმეზედ 650.000 მანეთს. ეს კი მხოლოდ დასაწყისია იმ დიადის მოძრაობისა ქალაქებიდამ მინდვრებისკენ, ტყეებისკენ, მთებიაკენ, მდინარეთა და ზღვათა ნაპირებისკენ, რომელმაც სრულიად ახ-ლი სული უნდა ჩაჰბეროს კაცობრიობის წარმატებას ფიზიკურად და მორალურად (ზნეობრივად) და თვით მოხსენებული უდაბური ადგილებიც მოჰფინოს საუკეთესო სახლებით, ქარხნებით და ბოსტან-ბაღებით... ყველა ეს, თქმა არ უნდა, აიძულებს გადიდგულებულს მოქალაქეებს უფრო მეტას პატივით მოეპყრან თავიანთ სადგომების მოქირავნე დგმურებს, ეცადნენ სადგომების გაუკეთესებას, სოფლური სახის და ხალვათობის მიცემას და სხვა. თავადი ბისმარკი იტყოდა ხოლმე: ნეტავი სულაც არ იყოს ქალაქებიო, იმას სურდა კიდეც მათი აღგვა დედა მიწის ზურგიდამ, როგორც მუდმივი ოპოზიციის ცენტრებისა; რა იცოდა, რომ უიმისოთაც ამ მის სურვილს თვით მიმდინარე ცხოვრება მოიმოქმედებდა... ყოველი თქმულის შემდეგ გასაკვირველი აღარ იქნება, რომ გამოჩნდნენ ისეთებიც, რომელთაც თავს იდვეს სიტყვით თუ საქმით ხელი შეუწყონ მოხსენებულს მოვლენას.

ამ რამდენიმე წლის წინად გამოვიდა ერთი წიგნი ბებელისა, რომელშიაც იგი სხვათა შორის ამბობს: „თანაბრათ განსახლება მცხოვრებთა უპირველესი საქმეა და აუცილებელიც, რომ მიწას კვლავ უბრუნდებოდეს მისგან აღებული ნიადაგის ნაწილებიო... დადგება დრო, რომ სოფლის ხალხს მიეცემა შეძლება ერთ და იმავე დროს მისდიოს ქარხანაში მუშაობასაც და ქარხნის მუშას—მიწის მუშაობისა და ბაღოსნობისა, ყველა ეს კი დაუყოვნებლივ იქონიებს საუკეთესო გავლენას ხალხის ფიზიკურ მდგომაოეობაზედაო. დიდრონი ქალაქები ნელ-ნელა მოისპობიანო და მცხოვრებნი თანაბრად დასახლდებიან მთელი სახელმწიფოს სივრცეზედაო; ამას ხელს შეუწყობს დიდად რკი-

ნის გზები და სხვა სწრაფად მიმოსასვლელი გამოგონებანიო; ამას თან მოჰყვება ერთნაირი ცხოვრება და განათლება ხალხის ყოველ წოდებათა შორისო. აი რატომ არისო საჭირო, რომ რკინის გზები და საზოგადოთ სწრაფი მოძრაობის საშუალებანი რაც შეიძლება ჩქარა გახდეს კუთვნილებად სახელმწიფოს ყოველ ადგილისა და კუნჭულისაო. ასეთს ყოფაში ბოსტნეულის, ხილის, ყვავილების და სხვა სასარგებლო მცენარეების მოყვანა და მისთვის საჭირო ფიზიკური შრომა შეიქმნება დაუსრულებელ ასპარეზად ადამიანის მოქმედებისათვისაო; მებოსტნობა და მებაღობა, რომელიც საუკეთესო სასიამოვნო ფიზიკური საქმეა, მაშინ ყველასთვის ხელ-მისაწდომი გახდება და საეჭვოა, რომ სადმე და როდისმე ვინმე გაექცეს ამ საქმესაო. გლეხი, რომელიც აქამდის მოკლებული იყო უმაღლესი კულტურის სიკეთეს, ახლა განათლებული გახდებაო. ნატურალური მეურნეობის დროს იგი იმავ დროს იყო არა მარტო მხვნელ-მთესველად, არამედ, ასე ვსთქვათ, საკუთარ მექარხნეთაც, რადგანაც თავისუფალ დროს იგი ანდომებდა სხვადასხვა საშინაო მრეწველობა-ხელოსნობას. დღევანდელი ვითარება ეკონომიური ცხოვრებისა კვლავ დაუბრუნებს გლეხს მისი პიროვნების სავსებით განსავითარებლად ყოფილ **სხვადასხვაობას**, მაგრამ უფრო უკეთეს პირობებშიო. ამის ნიშნებს ჩვენ უკვე ვხედავთო,—ამბობს ბებელი,—ბელგიაში, საფრანგეთში და იტალიაში, სადაც გლეხი თანდათან ჰკარგავს მარტოოდენ მხვნელ-მთესველის სახეს და არც ქარხნის მუშა სწყვეტს სამუდამოთ კავშირს სამშობლო ნიადაგთანაო"...

ნასკვი სოფლისა და ქალაქის ერთმანერთთან გონიერ დამოკიდებულობისა ნაპოვნი იყო. ახლა საჭირო იყო გონების ჩარევა ცხოვრების ამ, ,ასე ვსთქვათ, სტიქიურ მიმდინარეობაში, რათა აჩქარებულ და გაძლიერებულ ყოფილიყო იგი ღრმად და საფუძვლიანად შემუშავებული გეგმით და ცოცხალი მაგალითით, ე. ი. ნააზრევის და გეგმის განხორციელე-

ბით. ამან გამოიწვია ბ-ნ ფრიტჩის თხზულება „მომავლის ქალაქი“, რომელიც დაიბეჭდა ლეიპციგში 1896 წელს.

რადგანაც ჩვენ ვაპირებთ სავსებით დავბეჭდოთ ფრიტჩის ეს თხზულება „მოგზაურის“ ერთ-ერთ წიგნში, ამიტომ მის შესახებ ჯერ-ჯერობით ვიტყვით მხოლოდ, რომ იგი საუკეთესო პრაქტიკული სახელმძღვანელოა ყველა იმათთვის, ვისაც კი ჰსურს საფუძველი დაუდვას სადმე ასეთს „მომავალ ქალაქს“ და მით ცოტათ თუ ბევრათ ხელი შეუწყოს დღევანდელი ცივილიზაციის სიკეთეთა თანაბრად ყველგან მოფენას...

ივანე როსტომაშვილი.

სარკე ჯავახთა ცხოვრებისა

ანუ

მათი დახასიათება და ჩვეულებანი მოკლე ნაწყვეტებით.

ჯავახი, როდესაც ფულის მოსაგებათ შორს სადმე არის წასული, მაშინ შინ მოსვლას არა ურჩევნია-რა იმას, თუნდაც თვალ-მარგალიტით იხიშრებოდეს იქა. იმისთვის ერთათ-ერთი ნუგეშია, როდესაც ის თავის ოჯახობაში გახურებულ თორნესთან ხმელა კაკალა პურს გარხნიდეს. სწორეთ ბედნიერათ სთვლის ის მაშინ თავსა და აკი ღმერთიც არ აკლებს მათ ასეთ ბედნიერ ცხოვრებასა!..

ამიტომაცაა, რომ ხიზაბავრელები არ ზოგვენ თავს უსარგებლო შრომისათვის და მიჰყავდათ ორი ან სამი ძაღლი გასასყიდათ; მოივლიან ბაღდადს, სვირს, ხორაგაულს, ჭიათურას და ქუთაისს. აიღებენ ამ ძაღლებში ხუთს ან ექვსს მანეთს ორი-სამი კვირის განმავალობაში. აქედგან 2—3 მან. გზის ხარჯათ, რკინის გზებით და საჭმელ-სასმელში დახარჯვენ და ოჯახობაში კი ერთს ან ორ მანეთს მოიტანენ დიდის სიჩქარით თავის ცოლშვილში.

ბარაქალა თქვენს ვაჭრობას ხიზაბავრელნო ჯავახნო!

ჯავახი გონებრივად დიდ სიბნელეში იმყოფება. სწავლისა მას არამც თუ არაფერი არა სცხია რა, არამედ აინუნშიაც კი არ მოსდის მას იგი... ამიტომაც აქ ნასწავლნი მცირენი არიან, და თუ ათას მცხოვრებთა შორის 7—8 სკოლას

ვხედავთ, ისიც ყველა ძალდატანებით დაარსებულია, ზოგი მთავრობის და ზოგიც კი იქ მოსამსახურე სხვა ნასწავლ პროვინციელის მეოხებით, რომელნიც ასეთ ხალხთა შორის მსახურებენ და შესტკივათ მათთვინ გული.

სწავლას აქ ვინმე მიიღებს თუ არა, ეს სულ ერთია, რადგანც არც ნასწავლს აქვს მეზობელთაგან ღირსება და პატივისცემა და არც უხწავლელობით იბრკოლებენ რასმეს...

— საპატიო სტუმარს ჯავახი იღებს იქ, სადაც ბევრი ხარ-კამეჩი და ძროხა უბია, იმ ერთად-ერთს მხოლოდ ძელებით გადამკედლილს ოთახში, რომელსაც „ოდას“ ეძახიან. იმ სამტუმრო ოთახს შესამჩნევათ ათბობს იმოდენი საქონელისაგან დაფუნული, რომელსაც ასდის თბილ-თბილი ბოლი, რის გამო, სტუმარნი აშორებულ არიან ჯავახეთის ცივ-ყინვიანს ზამთრისაგან დაცვებასა, რითაც მასპინძელნი სირცხვილიდგანაც ამოჰყავს სტუმრის წინაშე ამ ცხელი ფუნით... ხოლო ზაფხულში კი, საქონელს აღარ აბმენ სახლში და გაჰყავთ კარში.

საზოგადოდ, ჯავახი უსუფთაო ქმნილებაა. ორი და სამი თვე ისე გადის, რომ ბევრნი საცვალს ერთხელაც ძლივს გამოიცვლიან. მრავალნიც კი ისე დაგლეჯენ, რომ ორჯელაც არ გაერეცხებათ. ასეთი უსუფთაობა იმათ სასმელ-საჭმელშიაც კი ეტყობა.

— ეჰა, კოსტო! რაფერ მარგალიტსავით ხილავკე, მაგ ყველასა... აღარ გეზარება!.. აიღე და პირჩი ისრე ჩააგდე, ზედ რალას უყურებ. მერწმუნე, მაშინ ვერც ბალანს დაინახავ და ველარც ცხვრის ტყიპსო, —მითხრა მასპინძელ მათიამ, რომელმაც ბალნით გავსებული ყველი მომართვა, რომლის შეხედვაც მეზარებოდა.

— თეთრ წვერა მოხუცს ჯავახს დიდი გავლენა აქვს ყველასთან და ყოველიფერში და მასთან დიდი პატივისცემაც. ადგომ-დაჯდომაში და სხვა ჭამაში პირველი თავაზიანობა და შესთავაზება, მხოლოდ მათ ეძლევათ. სასოფლო საქმეებშიაც

კი არ გაერევიან ისინი, ამათ გადაუვალს არას იზმენ-რა. ყველა ახალგაზდა ამ მოხუცთა მორჩილებაში სუფევენ. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ხშირად ჯოხსაც კი გადაუცხუნებენ დანაშაულთა.

— ჯავახი დიდი მუშაა. ადგილობრივ თვალ-უწვდენს მინდორს (რაიცა ტყეს და ბაღს სრულებით მოკლებულია), იგი გუთნავს დიდი ღონის მყრელ შვიდ უღელად ოთხ მეხრიან ხარ-კამეჩითა და ბელტს-ბელტათ აბრუნებს შავათ გაკუნაპეტებულს ყამირს მიწასა. სთესს ქერ-დიკასა; სთიბავს და ლეწავს მას, რომლის მეტს საქმეს დიდათ სხვასაც აღარას აკეთებს-რას გარდა საქონლის მოშენებისა. ის დალოცვილი მიწაც ისე არ გათახსირდება და გაძუნწდება, რომ ერთი ოცათ და ორმოცათ მაინც არ მოვიდეს. ტყვილადაც არ თქმულა:

„მე ჯავახეთს რა მიშავდა,
მთვარე იდგა მზესავითა,
კალმახი და ქერის პური
წინ მეყარა ბზესავითა!“.

როდესაც ჯავახები პირველად მიდიოდნენ მგზავრათ მახლობელ მეზობელ პროვინციებში და ხედავდნენ ხილს უკვირდათ... ერთხელ ერთმა ჯავახმა რა ნახა ხიზაბავრის ვენახებში პირველად ნიგვზის ხე, რომელსაც საუცხოვოთ ბევრი ესხა, ჯოხით ჩამოაგდებია უცნობმა ჯავახმა, რომელსაც ვაშლი ეგონა და ვაკბიჩა. რა გაშანთა და გამოწვა წენგომ პირი,— უმწიფარი ეგონა. გამოყარა საჩქაროთ პირიდგან დამშხამველი წენგო და თქვა: კიდევ კუხე ყოფილაო და დააწვა მტკვარს პირის გამოსარეცხად, რომელიც იქავე გზის პირად მიეზლაზნებოდა მძიმედ.

„ოფლითა შენითა მოიპოვე პური შენიო“, ეს სწორეთ ზედ გამოჭრით ჯავახ ქალებზედ ითქმის, რომელნიც თავიანთ ქმრებს გვერდში უდგანან ქედ მოხრილნი და თანაბარს უღელს უწევენ ყანა-ჭალაში. მიუხედავათ ამისა, ამ უძლური დედა არსების საქმეა ყოველ დილას 20—30 სული საქონლის ლა-

მით დაფუნულის გარეთ ხერძლებით ზიდვა, ერთ ვერსზე კოკებით წყლის ზიდვა, კრავების ძოვება, წისქვილში ვირებით სიარული საფქვავზე, თონეების გახურება და ცხობა პურისა, სასმელ-საჭმლის მომზადება, სახლ-კარის ხვეტა-წმენდა, თავიანთებური ჭრა-კერვა და წინდა-შალების ქსოვა და სხვა. რასაც ყველა ამ სასაქმოში დარჩომილს ქალს აგვირგვინებს მისი პატრონი მითი, რომ ფეხშიშველასაც ატარებს, მერმე და იქაურს ისეც ცივს და სუსხიან თოვლიანს ზამთარში, რომელნიც დედიშობილ შიშველ ფეხებით დაიარებიან თვით ახალი ნალოგინევი ქალები, რომელთაც სწორეთ სასწაულით ღმერთი ინახავს იმ ნალოგინევთ და არა ემიზეზებათ-რა ფეხშიშვლობითა და წინააღმდეგ კი ყოჩაღათ არიან. ცოლნი თვისნი ქმართა დაემორჩილენითო, ეს მცნება მათ დაუვიწყებლად აქვთ ქმრების წინაშე. ცემა, ტყეპა, გინება და ლანძღვა ზედ მეტათ ბევრათ უნდა აიტანოს საცოდავმა სასაქმოში მომაკვდავმა ჯავახმა მანდილოსანმა თავიანთი მხეცი ქმრებისაგან. რაიცა ყველა ეს, თვით შეუღლებისავე ედებათ მათ პირობასავით, მაგ. როცა ნეფეს დედოფალს ჩააბარებენ, ნეფემ ფეხი ფეხს უნდა შეემოჰხვიოს, ინ დაადგას დედოფალს, რაიცა ნიშნავს ყმობასა და მორჩილობას. და ყველა ეს შეწუხება რომ უნდა უხმოთ გადაიტანოს, ე. ი. ხმა არ უნდა ამოიღოს არა რა ქმრის შევიწროებაზე. ესევე პირობა ქორწილშივე იდება: დედოფალს ლავაშს მიაფენენ პირზე და სატევრით გაჭრიან პატარა წვერსა, რაიცა ენის მოჭრას ნიშნავს, რომ ენიანი არ გამოვიდესო და გაჭირვებაშიაც ენა არ იხმაროს სალაპარაკოთაო.

საზოგადოთ ქალაქებში აშიკობა ხდება ახალგაზდა ყმაწვილ ქალთა და ვაჟთა შორის: ბულვარებში, თეატრებში და სხვადასხვა გასართობებში და სეირნობაში, ე. ი. მოცლილ დროზე, მარა ჯავახეთში კი კვირა-უქმის გარდა, ე. ი. უსაქმობის დროს გარდა, თვით სასაქმოშიაც კი უკეთ ხერხდება აშიკობა და ხელოვნურათაც ყანაში მუშაობაში, კრავების ძო-

ებაში, წყლის მოტანის დროს და სხ. ჩვენ დავახასიათოთ ამათგან ერთ-ერთი, ე. ი. უკანასკნელი, წყლის მოტანის დროს აშიყობა. მაგ., ყმაწვილ ქალს, რომელსაც უყვარს ვინმე და წყლის კოკებით გაუარს მას თვით ხალხშიაც კი თავის სატრფოს, ის მასთან მიახლოების დროს აუჩქარებს სიარულს მაგრად და ბაგა-ბუგის (ფეხის ხმით) გავლით, როდესაც ის თან მაგრად აქნევს კურტუმოსაც. ამას რა შენიშნავს მისი თვალყურის მადევნებელი სატრფო, ვაჟი დიდის სიამოვნებით მიახმაურებს ხმა-დაბლა, ისე, რომ თავის მიჯნურს გააგონოს: აი, შენ გენაცვა, რა მაგრათ აქანებს ტრაკს. თუნდა ქმრიანიც იყოს და უყვარს კი, თუ იქ მის მეტი სხვა არავინ არის, მიულიღინებს კიდეც:

„ქალი წავიდა წყალზედა,
თან გავაყოლე თვალიო;
ავსო კოკა, კუტალი,
შიგ გაუყარა თმანიო.
წამოიკიდა წარბ შერჭმით
ვემდვრა თვალნი წყნარიო.
მოდის და მოიწყევლება:
დმერთო, მომიკალ ქმარიო.
არ გამიკეთა საკიდი,
დამაწყვეტინა თმანიო“...

სიყვარული ჯავახეთში თუმცა ფარულია, მარა გამკვეთი და ხანგრძლივია. ამიტომაც შეყვარებულნი სულის ახდენამდის მტკიცეთ უშუშთ და ცხოვრობენ სიყვარულის სიტკბოებაში.

ჯავახი დიდი სულგრძელია თავის ჭირის შეწუხებაში. იგი დიდი გულმოდგინებით ითმენს და არ უზიარებს სხვას არას დროს წამლის დასადებათ.

ახალგაზდა ჯავახი (სქესთა განურჩევლად) თუ იცვამს ახალს და ლამაზს ტანსაცმელს მოსახდენათ, თვარა ხანში შე-

სულნი კი მხოლოდ იმიტომ იცმენ, რომ სიშიშვლე დაიფარონ

ჯავახს აქვს თუ არა (ფული), სულ ერთნაირათა ცხოვრობს, აქვს და ბევრსაც არა ხარჯავს ცხოვრებაში; არ აქვს და არც დიდათ საჭიროებს უქონლობას და მითივე კმაყოფილია; ამიტომაცაა, რომ ჯავახეთში ვალი და ვახში ისე არაა გავრცელებული, როგორც ეს გურია-სამეგრელოშია, რითაც იხრჩობიან მკვიდრნი უზომო ვალ-ვახშში.

ძველთაგანვე ჯავახთ საქართველოს მტრების დევნულობისა გამო შეწუხებულთ აჩნევიათ სახეზე დაჩაგრულობა, უნიშანწყლობა, დარდი, უიმედობა და სასოწარკვეთილება, რაიცა ყველა ეს ინსტიქტიურათ სენისაებრ გადმოსდებიათ ახალთ ძველი თაობიდგან და წარსულის მოწმობის ნიშნად ამათ დანაოჭებულ სახეზე დასწერებიათ ეს, რაიცა აიძულებს ყოველივე გაჭირვებას ძალა-უნებურათ გადატანობა და მოთმენობა. და ამიტომაცაა, რომ ჯავახნი თვით მემამულეებს ცხვრულებ ეუბნებიან და არავითარს წინააღმდეგობას და წყენას არ უწევენ; პირიქით ვირსავით მათი ბებრებისაგან ცემა-ტყეპას სულგრძელობით ითმენენ თვით სისაწყლე სიდაჩაგრულეში.

ჯავახეთში მრავალი ზეპირთქმულებაა, რომლის მცოდნეთა შორის ბევრი მოშაირე-მოლექსეა და სიტყვა მოსწრებულიცა.

1) ბიჭო, ხუციანთ პეტე, სიტყვა რაზედ გადმიკეტე
ვინც ამაღამ ერდოზეა, ადი ყველა დამიპე!—

უთხრა პასუხათ ხიზაბავრელმა კაკო ზაქარამ ხუციანთ (კოჭათ) პეტეს, რომელიც ისიც მოშაირე იყო და იმისთანა შაირი უთხრა, რომ ზაქრო დაობა. და ბოლოს უკანასკნელმა კი მაგ სიტყვებით დააბოლოვა, რაიცა ეს გახალხურებულა კიდეც მთელ ჯავახეთში.

2) ბიჭო, შენზედ ჯვარს ხომ არ ვიწერ, რომ მუხლზედ დამაჯექი, იქით გაიჩოჩე ერთი პატარაო, უთხრა ტიდეფომ,

როდესაც ივანე მანანაძე ადგილის სივიწროეში აუარებელი ხალხის გამო უკანასკნელი პირველს მუხლზე დასჯდომოდა, მარა ივანემ კი შემდეგი სიტყვით მიასწრა: ჰაამ აჰა, მეც გიკადრე და შენც გამინაზდი რაღა!..

ჯავახეთში პაგონოვანთა და კაკარტოსანთ დიდი მიღება აქვთ და მათი შიშიც აქვთ... ასეთი, რომ მათ ფეხის-ნაკვალევსაც კი ერიდებიან,—ფეხი არ მოახვედრონ და არ შეჰბილწონ. მამასახლისისაც (რომელსაც გალავას ეძახიან და მამასახლისს კი—მის ნაცვალს) ისევე ეშინიანთ და მოურავებისაც. თუ ამათგანმა რომელიმე გალახა, გალახული საჩქაროთ კიდევ მიუშვერს მეორე გვერდს და აცემიებს თავს, სანამდინ დაცხრებოდეს გაჯავრებისაგან გამლახველი.

ჯავახი დიდი მასპინძელი იქნება, თუ რომ ქორწილში წვეულთ მარილ-წყალში მოხარშული კართოფილ დაყრილი ხორცი, ან და ყველი, პური, ცოტა მწვადი ოტკითურთ მიართვა.

ჯავახი ღვთის მავედრებელი და მლოცველი ხალხია. ის ბოროტებას შორს უდგანა, რადგან ღვთის მოშიშია; ამიტომაცაა, რომ აქ ქურდობას და მისთანა ავ-კაცობას ადგილი იმოდენათ ათ უჭირავს და კაცის კვლაც ხომ იშვიათი მოვლენაა

თუ კი ხდება ეს უკანასკნელი, ისიც არ ქართველთა, ე. ი თარაქამათა შორის.

უზრდელობას ჯავახეთში დიდი ადგილი არ უჭირავს, ხოლო ღვთის სიყვარულს კი დიდი უჭირავს.

ჯავახი ქალის შერთვის დროს არ არჩევს ლამაზს და მახინჯსა. მისთვის სულ ერთია ეს, ხოლო შესართავი ქალი იყოს.

გულადობაში ჯავახი დედაკაცი ბევრათ სჯობია მამაკაცსა და ბევრათ მძლავრიც არის. ყოველივე მეზობელთა შორის ატეხილ ჩხუბში დედაკაცები უფრო იღებენ ხელში კეტებსა და ყოჩაღათ უფრეწენ თავს მათ მოწინააღმდეგებს.

ჯავახეთის საათი მამალია. როდესაც მიდიან სადმე შორს

მგზავრათ საბაროებით (ურმით) მამალიც თან მიჰყავთ, რის საშვალებით იგებენ ღამე, გათენების ხანს, შუაღამეს და მგზავრობის დროს.

ჯავახის ოჯახობა დიდი ხიზანისაგან, 10—50 სულამდის შესდგება. ხშირათ ნახავთ, რომელსაც უფროსობს ერთათ-ერთი თეთრ-წვერა მოხუცი. ყველა ამას ემორჩილება და მის განკარგულებაშია მთელი ოჯახის საქმე: შინაური ნაწარმოების გაყიდვა და სამაგიერო ოჯახის მოთხოვნილების სყიდვა, ჭირში თუ ლხინში განკარგულება-მეთაურობა და აღებ-მიცემობა და მისთანობა მის ხელშია. და თუ ველარ შეიძლო ან ძმას და ან უფროსს შვილს გადასცემს უფროსობასა, რომლის მორჩილებაში იქნება მთელი ოჯახობა და არ იქნება ისე უთაურობა, როგორც გურულის ოჯახში, როდესაც 5—6 სული ვერ თავსდება ერთათ და ყველა სათითაოდ უფროსობს, რითაც უსიამოვნებაში სუფევენ თავიანთ ცხოვრებაში.

ჯავახნი საზოგადოთ იცმენ სპარსულებ: სქელი შალის ნაოჭიანს მოკლე ჩოხასა ყუთმაჯიან მოკლეევე ახალუხზე, წელზე დაფულური ყაიში არტყია და ზემოდგან სხვილს ყვითელს შალის სარტყელს ივლებს. შალვარი მოკლე და განიერი აცვიათ შალისგანვე, რომლის ერთი კუნჭული ტოტისა შიგნით ჩაკრული აქვს პაიჭში. თავზე მთელი ცხვრისაგან ტყავის შეკერილი ბობოლა ქუდი ახურავს და ფეხებზედ კი ქალამანი აცვია. სიცივეში და ავდარში მხრებზე მოხურული აქვს შოთა რუსთაველისებური მოსახური „საწვიმარი“.

ქალებსაც სპარსულებ აცვიათ ლურჯი, ან წითელი ალიბეზის ჩითის კაბა, რომლის კალთები ღიაა წინ და უკან მიაქვს მისი წვერები და უკან იმაგრებს. წინ აწეულს ფეშტამლით კი ისაფრებს. ქვეშ სქელი ზუბენი და წყნარი ნარმის პერანგი აცვია, უკანასკნელის გულის პირი წითელი შალითაა მოლამაზებული. თეთრი ნიფხვის მუხლების ტოტებიც ნახევრამდისინ მოწითლებულია, ხოლო ქვევით ფერადი ძაფების ბაღით მოკერილია, რომელიც ტიტველა ფეხებს ძალიან უმ-

შვენებს ჯავახს ქალს, თავზე ზემოდგან თეთრი თათრული ლეჩაქი ახურია, ხოლო ქვემოდ კი ლამაზათ წაკრული აქვს. ახალგაზდა ქალს თმა დაწნული აქვს რამდენიმე წნულათ, რაშიაც ამას კბილები აქვს ჩაწნული და წვერებზე კი წითელ-ყვითელი მძივებით გამშვენებული აქვს.

წინ გულზე ვერცხლის ღილებით და ჩაფრასტებით დაგებულია შესაკრავათ, ხოლო მკლავებზე კი ვერცხლის ფულებით გაჩხარუნებული აქვს, რომელიც ჯაჭვზეა მიმაგრებული. ამ გამოწყობილ ახალგაზდა ქალიშვილების ჭღარუნების ხმა ასიამოვნებს ყმაწვილებსა, სიამოვნების შთაბეჭდილებას ქონიობს მათზედ.

ჯავახები საზოგადოდ გონება დახშული ხალხია, რადგანაც სწავლა-განათლებას მოკლებულნი არიან. მთელს ჯავახეთში 7—8 სასოფლო სკოლაა და მეტი არაფერიც სუფევს იქარც სამკითხველო, არც არავითარი სავაჭრო ამხანაგობა და არც სხვა მისთანობა. მათი ვაჭრობა სულ სომხების ხელშია და ალაგ-ალაგ ურიებისა, რომელნიც კარგ ხელოვნურათ ცარცვენ ეს ოსტატი ჩარჩები უმეცართ. ნასწავლს სად ნახავთ აქ! და არც იქნება ამ საუკუნეში. არიან ღვთის ანაბარა, ცხვრულებ კარში გასვლას არ ეტანებიან საფულოზე. თუმც ზოგგან შეხვდებით გარეთ გასულ ჯავახთ, რომელნიც მუდამ ფეხზე ვაჭრობენ ძაღლებით, საქონლით (ცხვარ-ძროხით), მარა ისინიც ანგარიშის უცოდინაროობით ვერას ხდებიან. უმეტესად მისდევენ იგინი მიწის მუშაობას, მეფუტკრეობას და საქონლის გაშენებას. ჯავახეთში ქართველი ნაკლებია, ამათ სომხები და თარაქამები ჭარბობენ.

რაც უნდა დიდი ნასწავლი იყოს (ასეთი მე არც მეგულება), ჯავახი თავის სოფელს მაინც არ მოსცილდება და არც ბევრათ განირჩევა იგი უსწავლელ ჯავახისაგან ცხოვრებაში, თუ არი იმით, რომ ნასწავლია იგი და მეზობლები კი უსწავლელი.

საზოგადოდ ჯავახის ოჯახში ქალსა და კაცსა ცალკეთ

დამსხდარს ნახავთ ორ გუნდათ, როდესაც სასაქმოსაგან მოცლილს სახლში დამჯდარს ნახავთ. სმა-ჭამაშიაც ცალკე მიირთმევენ, როგორც მასლაათში ცალკე არიან.

ქალებს, მეტადრე რძლებს უფროსების (მამამთილის, დედამთილის და მაზლის) დიდი მორიდება აქვთ: პირველთ „ვაჟბატონობით“ და უკანასკნელს „გულობით“ იხსენიებენ, ესენი კი რძალს „გოგობით“ იხსენიებენ. რძალი ამათ პირდაპირ ხმას არ გასცემს, ვერ ელაპარაკება ხმა მაღლა, არამედ მოენის (თარჯიმნის) მეოხებით, რაიცა 10—12 წლის მაზლი ან მული შეადგენს. ყოველივე მათ მოცემულ კითხვებზე მოენით გასცემს პასუხს. მამათა გუნდში შეიძლება ოჯახის თავი მოხუცი ქალიც გაერიოს, რომელიც თავად ითვლება ქალებში და მის მორჩილებაში ჰყავს ისინი, ხოლო თუ გადახუცებულია და არ შეუძლიან მართვა, უფროს რძალს მიანდობს უფროსობასა.

მე მახსოვს 1882 წ. ხიზაბავრაში ველიჯანათ პეტეს ოჯახი 47 სულისაგან შესდგებოდა; მას ჰყავდა ორი ძმა: ატოდა აკო, და ამ სამთავ ცოლებიც ჰყავდათ. სულ 6 სული. პეტეს 3 ვაჟი ჰყავდა, ორი დაცოლშვილებული იყო. ატოს სამი ვაჟი ჰყავდა, მათგან ორი ცოლიანი. იაკობს ხუთი ვაჟი ჰყავდა, მასაც სამი ცოლიანი. ხსენებული მაოი ვაჟები ცოლებითურთ შეადგენდა 16 სულს, ამათი დედ-მამა 6 სულს, სულ 22 ს. ამათი ნაყარი შვილები, ე. ი. ოჯახის უფროსების ბადიშები 22 ყმაწვილს—45 ს. და ორი გასათხოვარი ქალი უფროს ძმების 47 სულს შეადგენს.

პეტრე, როგორც უფროსი ძმა, მთელის ოჯახის საქმეს განაგებდა. გადასახადები ოჯახისა, ნაწარმოების გაყიდვა, მთელი, საჭირო საყიდლების შეძენა, ოჯახში ტანისამოსი, საპონი, ნავთი და სხ. როგორც თავისი ძმები თავის ნაყარს რაიონში შეამჩნევდნენ ნაკლულევანებას პეტრეს გააგებიებდნენ და ისიც შეიძენდა და ასე მთელი შემოსავალ-გასავალი ამას ხელში ჰქონდა. ატოს ხელში იყო მამულების დამუშა-

ვება. ის აკვლევდა მუშაობის საქმეს ყანა-ჭალაში, ვენახში და სხ. აკოს საქონლის მოვლა ჰქონდა მინდობილი. ცხვარი, ძროხა, ხარი და სხ. ესეც იმის ზრუნვაში იყო გაეყიდა კრავები, მატყლი და ყველი, თუ მოსჭარბდებოდა ოჯახში.

ამათ ჰყავდათ 300—400 სული ცხვარი, 10—13 ძროხა, 2—3 ცხენი, 2—3 ძაღლი, 2—3 კატა, 5 ვირი, ადგილი 20 დესეტინა სახნავ-სათესი და ვენახი 2 დესეტინა. სახლი სამი ჰქონდათ, ყველა უფროსი ძმა თავისი ნაყარი რაიონით თითოეულში ცხოვრობდნენ, ხოლო საქმელზე ერთათ შეიყრიდენ თავს. 5—6 აკვანი ყოველ წლივ იდგა ამ ხიზანში.

პეტრეს ცოლსაც მინდობილი ჰქონდა მთელი ოჯახის ნაწარმოების შენახვა და საჭიროებაში ეკონომიურათ გამოზოგვა მისი. ატოს ცოლს პურის ცხობა მიენდობოდა, რომელიც კვირაში ერთხელ თონეს ანთებდა და 2—3 ჯვალს ქბილს ზელავდა რძლების მეოხებით და აცხობდა თვითონ, ხოლო უკანასკნელ სამის აკოს ცოლი მართავდა რძის წველას და ნაწველი ნაწარმოების მზადებას, ქათამ-ბატის საქმეს და მისთანობას.

მესხი კ. გვარამაძე.



ბ-ნ სიტყვას *).

ავტორი პატარა ამბებისა არ აცხადებს თავის ვინაობას და მის ნაცვლად აწერს ფსევდონიმს „სიტყვა“-ს. ფსევდონიმით იმ თავით ამ თავამდე მწერლის-მიერ ხელის მოწერა აიხსნება ორ-გვარის მიზეზით: ან მეტის-მეტის სიწყნარით და სათნოებით, ან არა და ზარდამცემი შიშით, როდესაც ადამიანი მოკლებულია გმირულ გულადობას პირდაპირ დაუდგეს საზოგადოების სამართლიანს მსჯავრს. ბ. „სიტყვას“ მიმართ ჩვენ ერთიც გვგონია და მეორეც.

პირველი მიზეზი მზესავით გამოსჭვივს მის პატარა ამბებში, სადაც იგი სულგრძელად ჰფარველობს ჩაგრულთ მცირე თანამოძმეთ, ურჩობს უფლებით აღჭურვილთ პირთა წინაშე და ევლინება ქვეყანას ღვთაებრივის კაცთა ნათესავისთვის ტანჯულის სახით. მაგრამ დიდებულს ჰუმანისტს ავიწყდება, რომ ჰუმანიზმმა დიდი ხანია დაულოცა ბურთი და მოედანი თანამედროვე მერკანტილურ მე-XX-ე საუკუნეს. ამიტომ ამ ჟამად ყოველ საზოგადოებას, რომელ ნაციასაც უნდა ეკუთვნოდეს იგი, სჭირია მარტოოდენ ყოველ მხრივ განვითარებულნი წინამორბედნი, და არა ბ. სიტყვისებური ალმაცერად განათლებულნი მეთაურნი, რომელნიც, ჭკუა ან სიმართლე რომ არ უჭრით, ნიადაგ პითიასავით იბნიდებიან და გოდებენ მწარე იერემიადებს გულუბრყვილოთა მოსახიბლავად. ბ. სიტყვას გოდება ტანჯულ მცირე თანამოძმეთათვის მოგვაგონებს „ბატუშკა“ კრილოვის მემუსიკეთა იგავ-არაკს, რომელშიაც სა-

*) „ცნობ. ფურც.“ № 2304.

ტირა მიმართულია იმ ფარისეველ ბატონთ წინააღმდეგ, რომელთაც ეყვართ თავის მოტანა სათნოებით, როგორც მოდური სამოსელით. ტანჯულ მცირე მოძმეთა ფეხზე დასაყენებელად და მონობისაგან დასახსნელად ერთად-ერთი საშუალება გონებითი განათლებაა და სხვა არაფერი.—„ძველ დროში, —ამბობს სპენსერი,—როდესაც ომიანობას და იარაღში სხდომას პირველი ადგილი ეკავა საზოგადო ცხოვრებაში, ჯანის სიმრთელე ითვლებოდა აღზრდის უმთავრეს მიზნად და ამიტომ გონების განვითარებისათვის სრულიად არც კი ზრუნავდნენ და თითქმის ზიზღითაც ეკიდებოდნენ მას. აწინდელ დროში კი, როდესაც ცხოვრების წარმატება თითქმის სულ ერთბაშად დამოკიდებულია გონებითი ძალის ხმევაზე, აღზრდა შეიქმნა „განკერძოებით გონებით“-ი, რომლის ჩვენში ასაღორძინებელადნამდვილ საფუძვლებზედ ეგრე მედგრად იბრძვის და ხმა მაღლა ღაღადებს ჩვენს ლიტერატურაში ბ-ნი როსტომაშვილი.

ბატონ სიტყვას კაცთმოყვარეობის წალკოტში რომ მოსწყინდა ბოლთის ცემა, ახლა ბ. როსტომაშვილზედ ამბობს: „შევიბრალოთო პრაქტიკი პედაგოგი! ეყოფა ისიც, რომ თითონვე ილანძღავს თავის თავს თავისსავე ჟურნალშიო“... ერთი ისიცა ვკითხოთ დიდებულ ჰუმანისტს, რად დასჭირდა მას პრაქტიკი პედაგოგის შებრალება? იმად, რომ სხვა აღარა გააჩნდარა თავისი ჰაზრების დასაცველად და მისი ზვაური თავმოყვარება და ამპარტავანება კი უთუოდ მოითხოვდა საქვეყნო სამართლიანობის წინაშე ქედის მოუდრეკელობას. აი სწორეთ ამისთანებზეა ნათქვამი: „ზოგიერთი ვაჟიკაცი ცას ავა, როდის ჩამოვა? ქალაქში ქოშებს იყიდის, შინ ბაკაბუკით წამოვა, დასჯერდეს მამის ჯღანებსა, თორემ იქავე ჩამოვა!..

ვინმე.

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა.

საღმრთო სჯულის სახელმძღვანელო

თარგმნილი რუსულით ან. ნატროშვილის-მიერ.

საღმრთო სჯული ძირითადი და უმთავრესი საგანია პირველ-დაწყებით სკოლებში. უმთავრესი დანიშნულება სკოლისა—აღზრდაა; ხოლო კეთილად აღზრდა მოუსაზრებელია საღმრთო სჯულის გარეშე. ამიტომ ეს საგანი არის არამთუ უმთავრესი, არამედ განმსაზღვრელიც მთლად სწავლების მიმართულებისა სკოლაში; ყველა სამოსწავლო საგნებს ბევრად თუ ცოტად მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდეთ მასთან *).

ბავშვების აღზრდას პირველად მიაქციეს აქტიური ყურადღება ფრებელმა და მისმა თანამედროვე პედაგოგებმა. მათის აზრით ბავშვებმა თავდაპირველად ფილოსოფიურად უნდა შეისწავლონ სამშობლო ენა, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს საღმრთო სჯულთან. ამიტომაც უთქვამს ჩვენს პოეტს (გრიგოლ ორბელიანს): „რა ენა წარხდეს, ჩირქი მოეცხოს ტაძარსა წმინდას“. ამ რწმენით რომ განვიხილოთ ბ-ნ ა. ნატროშვილის-მიერ გადმოთარგმნილი საღმრთო სჯულის სახელმძღვანელო, იგი სწორეთ რომ ციური მანანაა ჩვენი უმანკო მოსწავლე ბავშვებისათვის. იგი უფრო გამოსადეგი უნდა იყოს სამრევლო-საეკკლესიო სკოლებისათვის, სადაც უფრო მეტი ყურადღება აქვს მიქცეული საღმრთო სჯულის სწავლებას.

ბ. ედგანდაშვილი.

---

*) ბრიგრ. საეკკლ. სამრ. სკოლებისა.

რედაქციამ მიიღო შემდეგი ახალი წიგნები:

1) ისტორია ქართულ ჟურნალ-გაზეთებისა, ზ. ჭიჭინაძისა 20 კ.
2) „თამარ მეფე“ აკაკისა, გამოცემა ვ. ბეჟანეიშვილისა . 5 კ.
3) სამეგრელოს საერო სკოლები, ლ. ლოლუასი, გამოცემა ს. მერკვილაძისა . . . . . 5 კ.
4) ექიმის საუბარი გულის-ხმიერ მკითხველთან, გ. დამბაშიძისა 5 კ.
5) ლექსები და პოემები გ. ჩარხიშვილისა . . 30 კ.
6) Изрѣченія грузинскаго поэта Шота Руставели, გამოცემა ვასილ გალილეასი . . . . 5 კ.
7) ვარინკას თავ-გადასავალი, გ. ჩარხიშვილისა: . კ.
8) ნაოფის ჭია, მ. ქარცივაძისა . . . . 5 კ.
9) ვაშლის და ხეხილის შუმლი, მისივე . . . 7 კ.

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის.

ყოველ-დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

სურათებიანის დამატებით ქვირაში ორჯერ

(წელიწადი მეცხრე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიასა და რუსეთში:	საზღვარ-გარედ
1 წლით—6 მან., 6 თვით— 4 მ., 1 თვით—50 კაპ.,	1 წლით—9 მ. 6 თვით—5 მ., 1 თვით—90 კაპ.

თვიურ ხელის მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.

წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მ., დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ-თვიური ჟურნალი

„მოამგე“

(წილიწადი მეთერთმეტე)

ფასი ჟურნალისა

კავკასიასა და რუსეთში	საზღვარ-გარედ
1 წლით—10 მ., 3 თვით—6 მ.. 3 თვით—3 მან.	1 წლით—13 მ., 6 თვით—7 მ., 3 თვით—5 მან.

ვინც **„მოამგეს“** მთელის წლით გამოიწერს, **სურათებიანი დამატებანი** და **„ცნობის ფურცელი“** უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ

მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მ., 1-ლ აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

ალ. ყაზბეგისა

1904 წელს „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურათებისა „საქართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში“, დასურათება დაიწყება გურიიდან. სურათები იქმნება ფოტოგრაფიით გადაღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგიაშვილის-მიერ. გარდა ამისა „მოამბის“ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით

(გამოვა სამ თვეში ერთხელ).

ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარეთ ხელის მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნად, რედაქციას ფოსტის ხარჯად 55 კაპეიკი უნდა გამოუგზავნონ

რედაქცია უმორჩილესადა სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა დაკვეთის მსურველთ, **25 დეკემბრამდე დაიკვეთონ**, რომ კანტორამ მოასწროს ადრესების დამზადება და არ. დააგვიანოს გამოცემათა გზავნა.

რედაქცია და კანტორი იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი:

Тифлисъ, въ редак. Моамбе и Цнобисъ Пурцели.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1904 ГОДЪ

ПОДПИСНОЙ ГОДЪ НАЧАЛСЯ 1-ГО НОЯБРЯ

ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО

XXVIII г. изд. | 1904 г.

Въ 1904 г., какъ и до сихъ поръ, „Задушевное Слово“ будетъ выходить

въ видѣ 2-хъ самостоятельныхъ еженедельныхъ журналовъ,

изъ которыхъ—„Задушевное Слово для младшаго возраста“ предназначается для дѣтей отъ 5—9 л. и „Задушевное Слово для старшаго возраста“—для юныхъ читателей въ возрастѣ отъ 9—14 лѣтъ.

52 Въ теченіи года каждый подписчикъ на то или другое изданіе „Задушевнаго Слова“ получитъ съ доставкой и пересылкой №№ БОГАТО ИЛЛЮСТРИРОВАННАГО ИНТЕРЕСНАГО ЖУРНАЛА 52

и, кромѣ того,

РЯДЪ ЦѢННЫХЪ БЕЗПЛАТНЫХЪ ПРЕМІЙ и ПРИЛОЖЕНІЙ,

изъ которыхъ будетъ выдано, между прочимъ, при журналѣ:

ДЛЯ МЛАДШАГО ВОЗРАСТА (5—9 л.)

Болш. картина худ. Эльслея для украш. дѣтской комнаты

„МИЛѢЕ ВСѢХЪ!“

великолѣпно исполненная въ 24 краски;

12 игръ и занятій для дѣтей на большихъ раскрашенныхъ и черныхъ листахъ;

12 отдѣльныхъ картинъ раскрашенныхъ и черныхъ;

12 книжекъ „Библіотеки дѣтскихъ сказокъ“,

иллюстрированныхъ извѣстными художниками;

Домино Мурзилки — игру для дѣтей на большой табл. въ краскахъ, съ 28 фиг.

Въ текстѣ журнала „Задушевное Слово для младшаго возраста“ съ перваго же нумера начнется печатаніемъ, между прочимъ,

„ЛИЗОЧКИНО СЧАСТЬЕ“ —

новая большая иллюстрированная повѣсть для дѣтей Л. А. Чарской, автора «Записокъ институтки», „Товарищей“, «Записокъ сиротки», „Княжны Джаваха“ и др.

Для старшаго возраста (9—14 л.)

12 книгъ соч. А. Е. Разина и С. М. Макаровой,

заключающія въ себѣ лучшіе разсказы этихъ знаменитыхъ писателей для юношества.

Генералъ фельдмаршалы Русской арміи болш. изданіевъ листъ, съ 62 мя портретами, допущенное Учен. Комит. Мин. Нар. Просв. въ ученическія, старшаго и средняго возрастовъ, библіотеки учебныхъ заведеній.

Юные герои Севастополя историческій очеркъ Н. Корсакова, съ портретами, картинами сраженій и пр. и пр.

9 выпусковъ историческихъ разсказовъ „Откуда пошла Русская Земля“ А. Е. Разина и В. И. Лапина. Изящно переплетенная

ЗАПИСНАЯ КНИЖКА-КАЛЕНДАРЬ

для русской учащейся молодежи.

Въ текстѣ журнала „Задушевное Слово для старшаго возраста“ съ первыхъ нумеровъ начнутся, между прочимъ, печатаніем: „ЛЮДА ВЛАСОВСКАЯ“, повѣсть для юношества Л. А. Чарской; „ЦАРСКІЙ ВѢНЕЦЪ“, повѣсть А. Е. Зарина. „ДВА КАДЕТА“, разсказъ А. Апраксина.

"ЗАДУШЕВНОЕ СЛОВО" НА 1904 Г.

Независимо отъ всѣхъ перечисленныхъ премій и приложеній, подписчикамъ каждаго изданія, въ теченіи года будутъ высылаться безплатно: ДѢТСКІЯ МОДЫ на всѣ 4 сезона, съ рисунками новѣйшихъ дѣтскихъ платьевъ, работъ, практическими совѣтами и пр., и ПЕДАГОГИЧЕСКІЙ ЛСТОКЪ—пособіе для родителей воспитателей, въ видѣ отдѣльн. самостоятельн. книжекъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА „ЗАДУШЕВНАГО СЛОВА“ ДЛЯ МЛАДШАГО ИЛИ СТАРШАГО ВОЗРАСТА (по выбору гг. подписчиковъ), со всѣми объявленными къ данному изданію преміями и приложеніями, съ доставкою и пересылкою, на годъ . . . . . **6** РУБ.

допускается разсрочка платежа по 2 р.: при подпискѣ, къ 1 февралля и къ 1 мая.

При подпискѣ, во избѣжаніе недоразумѣній, просятъ ТОЧНО обозначать, для какого возраста слѣдуетъ высылать журналъ.

ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ книжныхъ магаазинахъ Товарищества М. О. Вольфъ: Петербургъ, Гостиный Дворъ, 18, и Москва, Кузнецкій Мостъ, 12, домъ Джамгаровыхъ, а также въ редакціи „Задушевнаго Слова“: Петербургъ, Вас. Остр., 16 линія, 5—7, с. д.

Открыта подписка на 1904 годъ на журналъ

VI г. изд. **Новый Міръ** VI г. изд.

Иллюстрированный вѣстникъ современной жизни, политики, литературы, науки, искусства и прикладныхъ знаній, съ премiями и приложеніями.

Изданіе Товарищества М. О. Вольфъ.—Общая редакція П. М. Ольхина.

Въ теченіи года каждый подписчикъ „НОВАГО МІРА" получаетъ съ доставкой и пересылкой

Слѣдующія изданія и преміи къ нимъ

НОВЫЙ МІРЪ богато иллюстрированный литературно-художественный журналъ, форматѣ лучшихъ европейскихъ иллюстрацій, заключающій въ себѣ: беллетристику, поэзію, исторію, критику и статьи по всѣмъ отраслямъ знаній. Всего въ годъ 24 №№.

ЖИВОПИСНАЯ РОССІЯ иллюстрированный вѣстникъ отчизновѣдѣнія, исторіи культуры, государственной, общественной и экономической жизни Россіи. Въ годъ 24 №№

ЛИТЕРАТУРНЫЙ КУРЬЕРЪ обзоръ событій и мнѣній въ русской и иностранномъ литературномъ мірѣ, составляющій, вмѣстѣ съ „Всемірной Лѣтописью", составную часть „Новаго Міра" 24 №№

ВСЕМІРНАЯ ЛѢТОПИСЬ иллюстрированный обзоръ текущей жизни—политической, общественной и художественной—24 №№

ВРЕМЕННИКЪ Живописной Россіи обзоръ текущей русской жизни, представляющій собою газету-лѣтопись, - 24 № №

МОЗАИКА иллюстрированный журналъ прикладныхъ знаній и новѣйшихъ изобрѣтеній, съ хроникой самообразованія и справочнымъ отдѣломъ,—24 № №

ЛИТЕРАТУРНЫЕ ВЕЧЕРА въ колич. 24 книжекъ, въ составъ которыхъ войдутъ 20 романовъ въ 24 томахъ русскихъ и иностранныхъ беллетристовъ. Серія эта будетъ заключать въ себѣ историческіе, бытовые и соціальные романы.

Изданія, преміи и прилож., которыя получ. въ 1904 г. гг. подписчики „Новаго Міра“ уплачивая по **2 РУБЛЯ** въ течеціи семи мѣсяцевъ

библіотека

русскихъ и иностранныхъ писателей

въ 21 книгахъ, въ составъ которыхъ войдутъ:

сочиненія лессинга

въ 10 томахъ, въ переводѣ русскихъ писателей, подъ редакц. П. И. Полевого, съ портретомъ и біографіей Лессинга.

полное собраніе

пословицъ русскаго народа

поговорокъ, реченій, присловій, чистоговорокъ, прибаутокъ, загадокъ, повѣрій и пр.

Капитальный трудъ **В. И. Даля** въ 8 томахъ.

энциклопедія остроумія

собраніе перловъ всемірнаго остроумія въ 2 томахъ, составленное **В. Поповымъ**.

Независимо отъ всего вышеперечисленнаго, всѣ подписчики получатъ еще:

великолѣпное художественное, историч. изданіе:

ЦАРЬ ІОАННЪ ГРОЗНЫЙ

Его царствованіе, его дѣянія, его жизнь, современники и дѣятели въ портретахъ, гравюрахъ, живописи, скульптурѣ, памятникахъ зодчества и пр. и пр. (около **300** иллюстрацій), подъ редакціей **Н. Б. Головина**.

Особую цѣнную, роскошную премію:

17 ГЕЛІОГРАВЮРЪ

съ картинъ всемірно-извѣстныхъ художниковъ, исполненныхъ въ Лондонѣ въ художественномъ ателье Rembrandt Printing Co, которыя могутъ служить для украшенія стѣнъ и для большого настольнаго кипсека или альбома.

Годовая подписная цѣна **„Новаго Міра“** на веленевой бумагѣ на **1904 г.**, со всѣми вышеобъявленными преміями и приложен.. съ доставкою и пересылкою **14 руб.**

Годовые подписчики, уплачивающіе сразу всю годовую сумму, получаютъ всѣ 17 геліогравюръ при самой подпискѣ.

Допускается льготная разсрочка платежа по 2 руб. въ мѣсяцъ, или-же, по желанію, отъ 2 р. при подпискѣ и отъ 1 р. въ мѣсяцъ до полной уплаты всей подписной суммы. **2 руб.**

Печатается ограниченное количество экземпляровъ журнала на лучшей слоновой бумагѣ. Подписн. цѣна такого изданія, съ указанными выше преміями и прилож. **18 р.**

Подписка на „НОВЫЙ МІРЪ“ принимается въ книжныхъ магазинахъ Товарищества **М. О. ВОЛЬФЪ**: въ **С.-Петербургѣ**, Гостиный Дворъ, 18, и въ **Москвѣ**, Кузнецкій Мостъ, 12, д. Джамгаровыхъ, а также въ редакціи журнала: **С.-Петербургъ**, В. О., 16 л., 5—7, с. д.

მიიღება ხელის-მოწერა

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი **„კვალი“** მეთორმეტე

გამოვა 1904 წელსაც

ორველ კვირა დღეს ერთიდან სამ თაბახამდე.

გაზეთის ფასი:

ტფილისში:	ტფილისს გარეთ:
ერთი წლით ღირს 7 მან., ნახევარი წლით—3 მან. 50 კაპ., სამი თვით—2 მ. თითო ნომერი—15 კაპ.	ერთი წლით ღირს 8 მან., ნახევარი წლით—4 მან., სამი თვით—2 მან., თითო ნომერი—15 კაპ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილ-ნაწილათაც შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში—„წერა-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა); რკინის გზის სადგურზე პირველ კლასის ბუფეტში, ესტ. სხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში (რუსის ბაზარი, საეკკლესიო სახლებში).

ტფილისს გარეთ:

ქუთაისში—მიტროფანე ალიძესთან, ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობის კიოსკში;

ბათომში—სპირიდონ ჭელიძის წიგნის მაღაზიაში; ოზურგეთში და სხალსენაკში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში—კალისტრატე ჭიჭინაძესთან და კარპე მოდებაძესთან; ყვირილაში—ივანე არდიშვილთან; დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში; ძველსენაკში—არსენ წითლაძესთან; ოზურგეთში—დომენტი შავიშვილთან; საბუნჩაში (ბაქო)—პეტრე მაჭავარიანთან.

რედაქცია უმოორჩილესათ სთხოვს ხელის მომწერლებს თავიანთ ადრესები გარკვეულათ დაწერილი გამოგზავნონ.

ადრესის გამოცვლა თბილისს გარეთ ღირს 40 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „КВАЛИ“.

3—1.

მიიღება ხელის მოწერა 1904 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს

XXI წ. „მწყემს“-ზე XXI წ.

XIX წ. რუსულ „ПАСТЫРЬ“-ზე XIX წ.

ჟურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი“ 3 მ.	6 თვით „მწყემსი“ 2 მ.
სამკურნალო ფურცლი.	— „ რუსული „ 2 მ.
დამატებით — 4 მ.	— „ ორივე გამოც. 3 მ.
— „რუსული „ 3 მ.	
ორივე გამოც. 5 მ.	

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ნ ესტატე ღამბაშიძესთან, თბილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ბ-ნ შიო ქუჩუკაშვილთან. ახალსენაკში—ბლაღოჩინ მამა არ. კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ

მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**

რედაქცია იმყოფება დ. ყვირილაში რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვადასხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

3—1.

Открыта подписка на 1904 г.

Съ 1 Октября 1903 года начался 7-й годъ изданія ежемѣсячнаго иллюстрированнаго журнала

„КНИЖНЫХЪ МАГАЗИНОВЪ ТОВАРИЩЕСТВА М. О. ВОЛЬФЪ

ИЗВѢСТІЯ

по литературѣ, наукамъ и библіографіи“.

Назначеніе журнала—дать читающей публикѣ возможность своевременно слѣдить за всѣмъ, что есть новаго въ области литературы, наукъ и библіографіи у насъ въ Россіи и за границею. Въ этихъ видахъ журналъ **„Книжныхъ магазиновъ товарищества М. О. Вольфъ извѣстія по литературѣ, наукамъ и библіографіи“**, помѣщаетъ иллюстрированныя статьи и замѣтки по вопро-

самъ изъ указанной области, критическіе отзывы о наиболѣе выдающихся новыхъ сочиненіяхъ, списки новыхъ книгъ и важнѣйшихъ журнальныхъ статей, русскихъ и иностранныхъ, свѣдѣнія о подготовляемыхъ къ печати новыхъ изданіяхъ и пр. Особый отдѣлъ журнала посвященъ справкамъ, совѣтамъ и отвѣтамъ на предлагаемые читателями журнала вопросы.

Годовая подписная цѣна журналу на полувеленевой бумагѣ, съ доставкою и пересылкою **1 р.**; изданіе на веленевой бумагѣ **2 р.**

Подписка и объявленія принимаются въ книжныхъ магазинахъ Товарищества М. О. Вольфъ.

С.-Петербургъ, Гостиный Дворъ, № 18. Москва, Кузнецкій Мостъ, № 12.

Адресъ редакціи: С.-Петербургъ, Вас. Островъ, 16 лин., д. 5—7.

3—1.

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1904 ГОДЪ

на ежедневную политическую и литературную газету

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ"

(XXI—й годъ изданія)

Изданіе газеты будетъ возобновлено съ 15-го января 1904г.

Подписчики нынѣшняго года, какъ городскіе, такъ и иногородные желающіе, подписаться на будущій годъ, вносятъ 6 руб. за годъ и 3 руб. за полгода. Новые же подписчики на обычныхъ основаніяхъ вносхтъ 7 руб. за годъ и 4 руб. за полгода.

Допускается **разсрочка платежа**: къ 1-му января—4 р., къ 1-му іюня —3 р.

Для сельскихъ учителей, народныхъ и школьныхъ библіотекъ и благотворительныхъ учрежденій сдѣлана скидка: годовая плата для иногородныхъ—6 руб., для городскихъ —5 руб.

Лицъ, желающихъ подписаться, контора проситъ увѣдомить ее о томъ и внести плату **заблаговременно**, по возможности не позже января, чтобъ успѣть заготовить адреса.

Подписка принимается въ **Тифлисѣ, въ конторѣ газеты, Барятинская ул., д. № 8.**

Рераторы Г. и В. Тумановы. Издатель К. Тумановъ.

Печатается и въ среднихъ числахъ января поступитъ въ продажу составленная редакціею „Нов. Об.“ книга:

Къ 20-лѣтію изданія „Новаго Обозрѣнія“

Цѣна съ пересылкой—30 коп.

Годовые городскіе и иногородные подписчики „Нов. Об.“ получаютъ эту книгу безплатно.

3—1

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

გამოვა იმავე სიფრცით და სრულის ფროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მო-

ნაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც. დაჰპირდნენ დახმარებას და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია.** ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ ბრემიად კრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი **„ აღდგომა“** („Воскресеніе“).

5 მანეთად ტფილისში და 7 მანეთად ტფილისს გარეშე დაეთმობათ გაზეთი უბრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ეგეთა ხელოსანს.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქციაში (ოავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).

ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების საგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საბუნჩაში—ბეტრე მაჭავარიანთან.

შორაპანში:—ბართენ ნასიძესთან.

განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).

გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება ბირველ გვერდზედ—15 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“.

3—1.

ჩვენი მხატვრების საყურადღებოდ.

ვსთხოვთ ჩვენს მხატვრებს დახატონ და წარმოგვიდგინონ „მოგზაურის“ „სურათ-კონაში“ დასაბეჭდათ, სურათები ჩვენი ძველი და ახალი მწერლების ნაწერების შინაარსის და ისტორიულ ამბავთა ამხსნელი.

სურათი უნდა იყოს სიმაღლით არა უმეტეს ხუთისა და სიგანით—ოთხის ვერშოკისა და უთუოდ შეფერებული კუთვნილ ეპოქასთან.

თვითეულს მოწონებულს სურათში დამხატველს მიეცემა ხუთი მანეთი.

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Могзаури“ (Межевая ул., д. № 72.)

„მოგზაურის“ რედაქტორი ივანე როსტომაშვილი.

ბეჭდვიდან გამოვიდა
და ისყიდება ტფილისის ყველა საწიგნო მაღაზიებში
სომხურ ენაზედ
„შაჰზადე და ფერიხანუმი“
ზღაპრული მოთხრობა.
ფასი 30 კაპ.
ვინც რომ ათობით ან ოცობით იყიდის, იმას მანეთზე 20% დაეთმობა. მსურველს შეუძლიან მიმართოს თვით გამომცემელს, ნიკ. ქუჩ. № 21, მსწრაფლ-მბეჭდავ სტამბაში არ. ქუთათელაძისა,—ალექსანდრე ფარსადანოვს.
ესევე წიგნი მალე დაიბეჭდება ქართულ ენაზედ.

ახალი იაფ-ფასიანი წიგნები

ჟურნალ „**მოგზაურის**“ რედაქციაში ისყიდება შემდეგი იაფ-ფასიანი წიგნები:

1. სახალხო სახლი და მისი საზოგადოებრივი და ადმზრდელი მნიშვნელობა, ფ. 5 კ.

2. ყელ-ჭირვება ანუ დიფტერიტი. ფ. 5 კ.

3. მბცნიერების დედა-აზრი, ფ. 5 კ.

4. ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება, ფ. 5 კ.

5. რა არის გონებითი გახსნა-გახვითარება, ფ. 5 კ.

6. ბურის ბოსტანი ანუ მოუვანა ბურისა ჩინურ-იაპონურის წესით, ფ. 7 კ.

7. ბავშვების გონიერი მოვლა ანუ რისთვის იხოტებიან ბავშვები უდროოდ, ფ. 5 კ.

8. დანაშაულობა-დამნაშავენი და ახალი საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კ.

9. მეურნეობა და ახალი სკოლა, ფ. 5 კ.

10. შინაური ფრინველების: ქათმების, ინდაურების, ბატების, იხვების და ხოხბების მოვლა-მოშენება, სურათებით, ფ. 15 კ.

11. რა არის დოსტაქრობა (ხირურგია) ანუ როგორ არჩენენ ექიმები დანით, ფ. 5 კ.

12. „მურია“, სურათებით, საუმაწვილო მოთხრობა, ფ. 5 კ.

13. თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა ქართულის ენის შემწეობით სურათებით, ფ. 20 კ.

14. სულით ავათმყოფნი მოსწავლენი ფ. 5 კ.

15. ხეხილის გამრავლება და მოვლა, სურათებით, ფ. 7 კ.

16. მეფე ლამზა, საუმაწვილო მოთხრობა, სურათებით, ფ. 7 კ.

17. საუნჯე ავათმყოფისა, ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავადმყოფობისა, ფ. 15 კ.

18. საუნჯე მეურნისა, ანუ აღწერა, მოგება და გამრავლება, ანუ მოგება ყოველ-გვარ ხეხილისა, ბუჩქისა და უბრალო ხეების ფ. 15 კ.

19. მთვრალობა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საქმელ-ბანი, ფ. 15 კ.

20. ცხვრის ყვავილი, ფ. 5 კ.

21. ქვეყნიერების მასალა ანუ მატერიის ქიმიური რაობა, ფ. [illegible]

22. ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები, ფ. 5 კ.

23. გმირი როლანდი, მოთხრობა მოზრდილთათვის, ფ. 10 კ.

24. მეთევზის შვილი, სურათებით, საუმაწვილო ზღაპარი, ფ. 10 კ.

25. ხტუნია-ტიუვუნია, სურათებით, საუმაწვილო წიგნი, ფ. 10 კ.

26. ლიჭნარდი და გერტრუდა, პედაგოგიური მოთხრობა ბესტ-ოტისა, ფ. 10 კ.

27. ცივილიზაციის ისტორია ინგლისში, ბოკლისა, ფ. 40 კ.

28. შიო თავადი, ლეგენდა ლექსად, ფ. 10 კაპ.

29. ცხენის წურბელა, მოთხრობა ხალხის ცხოვრებიდამ, [illegible] კ.

30. მაჭმადი და მისი ცხოვრება-მოქმედება, სურათებით, ფ. 10 კაპ.

31. როგორ ცხოვრობენ ჩინელები. ფ. 10 კაპ.

32. დარვინიზმი, პირველი და მეორე წიგნი, ფ. 20 კ.

33. სითრთხილეს თავი არ სტკივა ანუ საქონლის ჭირის ბუ-ნასებ, ფ. 5 კ.

34. აღზრდა შვილისა, თხზ. ბემესი, ფ. 15 კ.

35. ტეის გონიერი მოგვა-გაშენება, ფ. 10 კაპ.

36, ახალი წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში, ფ. 10 კ.

37. სარკე გურულთა ცხოვრებისა, ფ. 5 კ.

39. [illegible] „[illegible]“, [illegible] [illegible], ფ. 70 კ.

40. Новая народная школа и основы ея развитія и существованія, ფ. 5 კ.

ვისაც უნდა ეს წიგნები გაიწერის, ფოსტით გაგზავნის ხარჯად გთხოვთ თვითეულ დაბარებულ წიგნს სამი კაპეიკი წაუმატონ

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Могзаури“, Ивану Павловичу Ростомашвили.

მარტი და აპრილი, №№ III და IV, 1904 წ.

მოგზაური

1904 წელს ჟურნალი

„მოგზაური“

გამოვა იმავე პროგრამით, ე. ი. ჟურნალში დაიბეჭდება **პედაგოგიური, სამეურნეო, სამკურნალო, სამეცნიერო და ისტორიულ-გეოგრაფიული** წერილები. რედაქცია სთხოვს მასწავლებლებს, მეურნეებს, მკურნალებს და სამეცნიერო საგნების მიმდევართ მოაწოდონ მას ყოველგვარი წერილები მოხსენებულ საგნებიდამ. 1904 წელს ხელის-მომწერნი, ჟურნალს გარდა, მიიღებენ **ხუთს პრემიას**: 1) ნიკოლოოზ ბარათაშვილის დიდს სურათს; 2) სურათებიანს დამატებას, ე. ი. თექვსმეტ-თექვსმეტს სურათს ჟურნალის ყოველ წიგნთან; 3) ვახუშტის „სრულიად საქართველოს გეოგრაფიას“, მის საკუთარ ხელ-ნაწერიდან მ. გ. ჯანაშვილის რედაქციით დაბეჭდილს; 4) სამეურნეო-საოჯახო ნარკვევს და 5) სამკურნალო-საჰიგიენო ნარკვევს.

ფასი ჟურნალისა იგივე **5 მანეთია**, ხოლო ბარათაშვილის დიდი სურათის დაგზავნისათვის უნდა დაემატოს ერთი აბაზი. პირველი და მეორე პრემიები მარტო იმათ გაეგზავნებათ, ვინც მოხსენებულს ხუთს მანეთს და ერთს აბაზს ერთად შემოიტანს.

ადრესი ფოსტათ:

Тифлисъ, Редакціи „МОГЗАУРИ“ (Межевая улица, № 72).

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

თბილისი

სტამბა ა. ქუთათელაძისა, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

1904

Дозволено цензурою, Тифлисъ, 12 Февраля 1904 г.

კიდევ ტირილი*)

კიდევ ძველებურად გათავდა კანიკულები. კიდევ დადგა დრო ჩვენთა შვილთა განსჯისა. კიდევ გაისმის საყოველთაო გლოვა-ტირილი... სტირის მოხუცი, სტირის ჩჩვილი; სტირის ყველა, ვისაც კი სწავლა ჰსურს ვინმესათვის. ამ დროში ვის არ ჰსურს სწავლა? სწავლა ყველას ჰსურს, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ, სასწავლებელი არა გვაქვს. მთელ ქუთაისის გუბერნიაში ყველა სოფელ-დაბებ-ქალაქებში ხუთი სავაჟო და საქალებო საშუალო სასწავლებელი გვაქვს: სასულიერო სემინარია, კლასიკური გიმნაზია და რეალური სასწავლებელი ვაჟთათვის, ხოლო ქალთათვის წმ. ნინოს სასწავლებელი და ეპარქიალური. ეს არის და ეს. მაგრამ, იცით, ბატონებო, რამდენი სული ადამიანი ვართ მთელ გუბერნიაში? მილიონზე მეტი. ყოველ სასწავლებელში ორთაშუა რიცხვით ექვსას-ექვსასი მოსწავლე რომ ვიანგარიშოთ შესდგება დიდი-დიდი სამი ათასი მოსწავლე, ე. ი. მთელი მცხოვრების $^1/_4$% სწავლობს. ასე რომ უსწავლელი რჩება $99^3/_4$%, ე. ი. ნამდვილად რომ ვთქვათ საშუალო სასწავლებელში არავინ არ სწავლობს. (აქ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მთელ კავკასიაში ყოველგვარ სასწავლებელში ორი პროცენტი სწავლობს!!) ამის შემხედვა-

---

*) ეს წერილი დაბეჭდილი იყო წარსული წლის „ივერიის“ № 194-ში. ვბეჭდავთ მას „მოგზაურშიაც“, რადგანაც გვსურს ვსთქვათ ორიოდე სიტყვა მასში აღძრულ კითხვისა გამო.

რენი, არა თუ ენკენისთვის დამდეგში, არამედ მთელი წლის განმავლობაში უნდა ვსტიროდეთ. ან კი რას გვიშველის ტირილი?! „მტერი არ შეგვიშინდება ტირილითა და ვიშითა“. მაშ თუ არც ტირილი გვიშველის და თუ არც ჩვენთა შვილთა უმეცრად დარჩენა გვსურს, უნდა დღისით და ღამით, დილით და საღამოთი, ვზრუნავდეთ ჩვენთა შვილთა აღზრდასა და კეთილ-დღეობაზე. ჩვენ კი, ჩვენდა საუბედუროდ და სამარცხვინოდ, ყოველთვის ჩქარა ვივიწყებთ ჩვენს თავ-გადასავალს. აი თუნდა დღევანდელი ჩვენი გლოვა-ტირილი. ეს დიდი, დიდი ენკენისთვის ოცამდის მიგვყვეს, შემდეგ კი ყოველივე დაგვავიწყდება და ვეძლევით ქეიფსა და დროს ტარებას. ან კი როგორ შეიძლება გლოვა-ტირილი იმ დროს, როცა თბილი, ჩუხჩუხა მაჭარი ქვევრიდან გვეჩურჩულება: მოდი, იხილე ჩემი წვენი, ყოველი სენის მკურნალი, შემდეგისათვისაც მოესწრები ტირილსო. თქვენ, ბატონებო, კარგად მოგეხსენებათ, თუ რა გავლენა აქვს კაცის ნერვებზე ღვინოს. ის ჩვენებურ კაცს მხოლოდ აცინებს და აჩხუბებს. ის სტირის მხოლოდ ერთხელ წლიდან-წლობამდის, აგვისტოს გასვლისას, იმ დროს, როცა იმის შვილს სასწავლებელში არ იღებენ. სხვა დროს მას შვილისათვის არა სცალიან. მას სძინავს, ის ქეიფობს და ერთმანეთ-შორის ღალატსა და მტრობაში ატარებს დროს. ქართველმა კაცმა კარგა იცის, რომ „Москва слезамъ не вѣритъ“. ტირილი ბებრის საქმეაო,—ამბობენ ხოლმე ქართველები. მართლაც რომ ბებრის საქმეა. ჩვენ ცრემლები ვერ გვიხსნის. ჩვენ გვესაჭიროება რიგიანი სასწავლებლები, ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ, მხოლოდ ჩვენ ვართ ჩვენი მშველელნი და ჩვენვე უნდა დავეხმაროთ ჩვენსავე თავს. გავანძრიოთ ტვინი, მოვიფიქროთ ჩვენთა შვილთა საკეთილდღეო საქმე, შევერთდეთ, ვიკმაროთ ასეთნაირი ცალკ-ცალკეობა და უქმად ცხოვრება. ჩვენებურ კაცს, ვინც უნდა იყოს ის, რომ შეჰხვდეთ და ჰკითხოთ, ვინა ხარო? გეტყვის თუ კახელია, კახელი ვარ,—თუ ქიზიყელია, ქიზიყელი ვარ,—თუ იმერელია,

იმერელია,—თუ მეგრელია, მეგრელია, თუ გურულია, გურულია, თუ რაჭველია, რაჭველია და სხვა ამ გვარად. სამარცხვინოა ჩვენთვის, რომ დღემდისაც ვერ შეგვიგნია, თუ ვინა ვართ. როდესაც ჩვენ, როგორც ერთი კაცი, ისე ყველა, ვიტყვით, ჩვენ ქართველნი ვართო, მაშინ, მხოლოდ მაშინ მოგვენიჭება ჩვენ ღვთიური ძალა, მხოლოდ მაშინ იტყვის ჩვენი მტერი, რომ ჩვენც რამედ მისამჩნევი ვართ სხვა ერთა შორის. რა ერია ის ერი, რომელსაც არც ძველად არ ჰქონია არავითარი მნიშვნელობა და არც ახლა არაფრად აგდებს მას სხვა ერი? თუ ჩვენ ქართველები ერთის აზრით განვიმსჭვალენით, თუ ერთი მეორის ტკივილი ვიტკინეთ და ბედნიერებით ვიხარენით, მაშინ ჩვენც ვიქნებით ბედნიერნი და მომავალიც გვექნება. შეერთებული ლონე მძლეთა მძლეა. შევვერთდეთ, ხელი ხელს მივსცეთ ერთმანეთს, შეძლებისამებრ ფული გამოვიღოთ. (უწინ ქვეყნის საშველად ქუდზე კაცი მიდიოდა, ახლა რომ ქუდზე კაცმა ერთი-ორი მანეთი გამოიღოს, რა დიდი საქმეა?). იცით რა თანხა შედგება? მილიონზე მეტი. იცით, მილიონით რა დიდი საქმე გაკეთდება? მილიონით შეგვიძლიან ერთი საშუალო სასწავლებლის შენახვა უკუნისამდე და რამდენიმე პროგიმნაზია სხვადასხვა მოშორებულ მივარდნილ ადგილებში. შეძლება არა გვაქვსო, იძახიან. ყველანი ვსტყუვით. მანეთის და ორი მანეთის შეძლება ყველასა გვაქვს. ორი ბათმანი სიმინდი ან და ერთი ვედრო ღვინო რომ გადავდვათ, მეტი არ გვესაჭიროება ამ დიდი საშვილიშვილო საქმის გასაკეთებლად. მანეთი ან ორი მანეთი ერთი უბრალო კაცის საუზმეა. რად დავეცით ისე, რომ ერთი საუზმე თუ სადილი ველარ დავთმეთ ჩვენთა იმედთა აღზრდისათვის? სირცხვილია ამისი თქმა ღმერთმანი! სურვილი და მისწრაფება იყოს, თორემ ყველა ჩვენგანს, ვინც უნდა ვიყოთ, თავის სიცოცხლეში არა ერთი მანეთი შეუჭამია ისე, რომ არც სულს რგებია და არც ხორცს. კეთილ, საშვილიშვილო საქმეს, რომ ერთი ან ორი მანეთი შევსწიროთ, ჩვენ არაფე-

რი დაგვეტყობა, ჩვენთა შვილთ კი ბევრი შეეძინება. მე ახლანდელი ჩვენებური ნასწავლი კაცების მაყურებელი ამას არ უნდა ვამბობდე, იმიტომ რომ ჩვენში, ვისაც კი რამე უსწავლია, ყველა თავის კუჭზე ჰფიქრობს და მოძმის გაცარცვაგაგლეჯაზე, ქვეყანა და იმისი მომავალი მას ფეხებზე ჰკიდია. ამაოდ უმღერა ჩვენმა დიდებულმა პოეტმა ჩვენს ახალ თაობას: „მისი (ქვეყნის) ნატვრის იმედი შენ ხარ და შენ იქნებიო“. ჩვენებურ ნასწავლ ახალთაობას იმითი ამართლებენ ზოგნი, რომ ამათ გამოზრდაში სხვებს, გარდა მშობლებისა, არავის მონაწილეობა არ მიუღიაო. ეს არაფერი საბუთია. ჩვენებური, ახალი, თუ ძველი, ნასწავლები ისე მიეცენ ამ დროის გათარსებულ ცხოვრების ტალღას, რომ მათ აღარ ახსოვთ არც ქვეყანა და არც თავიანთი მშობლები, რომლებმაც უდიერად ვალში ჩაიგდეს თავი ამათ აღზრდისათვის. ყველა ჩვენებური ნასწავლი კაცისათვის დიდი სირცხვილია, ასეთ ნაირად მკონარება, ასეთ ნაირად თავის სამშობლო ქვეყნისადმი ზურგის მიქცევა. ტყუილია ზოგიერთ ჩვენებურ ვაჟბატონების ლაპარაკი, საცა უნდა ვიყო სულ ერთიაო. ნუ ფიქრობენ ეს ვაჟბატონები იქ, საცა სული სულს ვერ იცნობს და გული გულს, ერთი იყოს ცხოვრება; ნადირიც კი არ ჰშორდება, თუ ძრიელ არ შეაწუხა კაცმა, თავის სამშობლო ადგილს. აქ მას ყველაფერი უადვილდება; კაცი რაღა კაცია, რომელსაც თავისი სამშობლო ქვეყანა და არაბეთი ერთნაირად მიაჩნია. მართალია, ჩვენ, ყველა კაცს კაცი უნდა კაცად მიგვაჩნდეს, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩვენთვის დაჩაგრულთ საშველად მიმართული მოქმედება ერთი იყოს. ჩვენ ჩვენს მახლობელს, ჩვენს მოძმე მეზობელს უნდა მივეშველოთ, არაბი არაბს, ინგლისელი ინგლისელს და სხვა ასეუწინ მამული თავის შვილთაგან მსხვერპლად სიცოცხლის მიცემას თხოულობდა, ახლა კი სიტყვის თქმისა და ცოტაოდენ ფულის მეტს არას თხოულობს. შევიგნოთ ჩვენი ვალი, შევერთდეთ, მოვილაპარაკოთ, ვარჩიოთ ესა თუ ის საშვალება

ჩვენთა შვილთა ჭკუა-გონების გასაუმჯობესებლად და საკეთილდღეოდ. ვაჩვენოთ ქვეყანას, რომ ჩვენ, ქართველებსაც, ღონე გვაქვს და საქმის გაკეთება შეგვიძლიან.

მე ამ მომავალ ზამთრისათვის, ე. ი. იმ დროისათვის, როდესაც უმეტესი ნაწილი ჩვენთაგანი მთელ, ზამთრის გრძელ ღამეებს სხვა და სხვა ადგილას კარტის თამაშში და სხვადასხვა გვარ გასართობში ვატარებთ, მსურს ჩვენს ქუთაისის მოწინავე ხალხს ვსთხოვო, დამითმოს ერთი-ორი საღამო და მოვილაპარაკოთ ჩვენს ავანჩავანზე. ვნახოთ, როგორ მიეგებებიან ეს ვაჟბატონები საქმეს! მე დარწმუნებული ვარ, სხვაფრივ თუ რა, ისე მაინც ერთი-ორი საღამო შემოგვწირონ ამ ვაჟბატონებმა ამ კეთილ და ქვეყნის საბედნიერო საქმისთვის. ამას წინად მე მქონდა ორს აგვისტოს „ივერიაში“ ნათქვამი, რომ ჩვენ დავაარსოთ ჩვენებურ მოსწავლე თაობისათვის საერთო დიდი ბინა. ეს კითხვაც, როგორც ზოგიერთმა ჩემმა ნაცნობებმა მითხრეს, დიდი ყურადღების ღირსიაო. ამ ზამთრობით ამ კითხვას უფრო დაწვრილებით და გარკვევით განვიხილავ. ვნახოთ ჩვენებური ინტელიგენცია რა თვალით შეხედავს მას.

ანთიმოზ ჯუდელი.

შენიშვნა.

მშვენიერი წერილია. ნათლად სჩანს რა გულის პატრონიც არის მისი ავტორი და ამიტომაც ვბეჭდავთ მის ამ წერილს „მოგზაურშიაც“. მაგრამ ჩვენ მაინც ჩვენი აზრი უნდა ვსთქვათ და ნურასუკაცრავათ, თუ ეს ჩვენი თქმა, მაინც და

მაინც, ისეთსავე აყალ-მაყალს ასტეხს, როგორც შარშანდელს 14-ს იანვარს თქმულმა ჩვენმა სიტყვამ ასტეხა. რა ვუყოთ: ალბათ ასეთი ბედი გვქონია, რომ ჩვენმა ნათქვამმა მუდამ უთუოდ აყალ-მაყალი და მიხლა-მოხლა უნდა გამოიწვიოს. ცუდს ამაში მაინც და მაინც არასფერს ვხედავთ: სიცოცხლეც ამაშია და ამითვე ირკვევა და მიდის იგი წინ. იმედია არც პატივცემულს ანთიმოზ ჯუღელს ეწყინება ჩვენი აზრი, პირიქით, ესიამოვნება კიდეც, რადგანაც თვითონვე ითხოვს კრებას, სადაც მას შეეძლოს გამოლაპარაკება ჩვენს ავანჩავანზედ. აი ჩვენი **აზრი**. ეს ტირილი და გოდება ჩვენის მშობლებისა, რომელიც ასე პოეტურად აწერილი აქვს ბ-ნს ჯუღელს, არც მაშინ მოისპობა, როცა ქუთაისშიაც დაარსდება ერთი ჩვენი საშუალო სასწავლებელი, როგორც ამბობს ჯუღელი. ამ ნატვრის შესრულება არც ისე ძნელია: საკმაოა თითო კლასი მიემატოს ყოველწლივ უკვე არსებულს ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლას, რაზედაც უკვე ზრუნავენ ისინი, ვინც ამ საქმეს ახლო უდგანან და გათავდა საქმე... მაგრამ, განა მოსპობს იგი გოდებას და ტირილს ჩვენთა შვილთა და მშობელთა? არა, არ მოსპობს და, რომ ეს მართალია, ამის ცხადი მაგალითი თბილისის ასეთივე სათავად-აზნაურო სკოლაა, რომელიც საშუალო სასწავლებლად ირიცხება უკვე, მაგრამ რომ მისით გლოვა და ტირილი ჩვენთა შვილთა და მშობელთა არა თუ არ მოსპობილა, შემცირებითაც არ შემცირებულა, ამაში ეჭვი არ არის... მიზეზი კი ის არის, რომ ჩვენი მშობლები იძულებულნი არიან თითქმის ძუძუმწოვარა შვილები ცხრა მთას აქით გადმოკარგონ ხოლმე რაღაც ანბანის სასწავლებლად, თითქოს არ შეიძლებოდა მოგვარებულიყო, რომ ამ ანბანის სასწავლებელი თუ მოსამზადებელი კლასები ყველა სამაზრო ქალაქში დაეარსებინათ და მით ერთხელ და სამუდამოთ თავიდან აეცდინათ 7—8 წლის ბავშვების, ქალების და ვაჟების, ცხრა მთას აქეთ გადმოკარგვა!.. ეს ერთი. მეორე. ჩვენ უფრო შორს მივდივართ და ვა-

მბობთ, რომ 7—8 წლის შვილები მშობლებს არც თავიანთ სამაზრო ქალაქებში უნდა ჩაჰყავდეთ სასწავლებლად, არამედ თვით თავიანთსავე სოფელში უნდა ამზადებდნენ და მხოლოდ ოთხი-ხუთი წლის სწავლების მერე სამშობლო სოფლის სკოლაში, ე. ი. როცა ბავშვი უკვე 11—12 წლისაა, მხოლოდ მაშინ გადაჰყავდეთ იგინი სამაზრო ქალაქებში მათთვის დაარსებულ მეორე რიგის სკოლაში. ხოლო აქედამ, ვისაც შეძლება და ნიჭი აქვს, თვით საშუალო სასწავლებელშიაც ჰქონდესთ მათ უეჭველი ადგილი და დანარჩენთათვის იმ საშუალო სამეურნეო სასწავლებლის კარები იყოს ღია, რომლის დაარსება უკვე გადაწყვეტილი აქვთ ქუთაისისა და თბილისის გუბერნიების თავად-აზნაურობას. ამ გვარად, ქვა-კუთხედად მთელი ჩვენი ერის განათლებისთვის უნდა დაიდვას ახალი სახალხო სკოლა და ასეთი სკოლები დაარსებულ უნდა იქმნას ყველგან, სულ უკანასკნელ მიყრუებულს სოფელშიაც კი. ამ საქმის გასაძლოლად და მოსაგვარებლად ჩვენ საუკეთესოდ მიგვაჩნია ცალკე საზოგადოების დაარსება, რომელზედაც რამდენიმე სიტყვა უკვე იყო ნათქვამი ამ წლის „მოგზაურის“ პირველს წიგნში (გვ. 44). ჩვენ მარტო ასე მოწყობა სწავლა-განათლებისა მიგვაჩნია ჩვენის ქვეყნის მხსნელად და ამიტომ იმედია, რომ ჩვენი საზოგადოება უყურადღებოდ არ დასტოვებს ჩვენს მოწოდებას ასეთის საზოგადოების დაარსებაზედ; როცა დავბეჭდავთ და შევამუშავებთ პროექტს ამ საზოგადოების წესდებისას... დროა შევიგნოთ, რომ ცალ-ცალკედ გაწევა ჩვენის ერის წოდებათა—გლეხთა, თავად-აზნაურთა, სამღვდელოთა, ვაჭართა, სამხედროთა და სხვათა ხეირს არ დაგვაყრის და ამიტომ დროც არის დაუყოვნებლად შევუდგეთ ერის ერთიანობის ამ ძირის მთხრელ მიზეზების ფრთების შეკვეცას. ეს კი მარტო მოხსენებული საზოგადოების დაარსებით შეიძლება, რომელიც მრავლად დააარსებს ყველგან ისეთს საერთო სკოლებს, რომლებშიაც ყველა წოდებათა შვილებს ერთგვარად შეეძლებათ შესაფერი სწავლა აღზრდა მიიღონ ადგილობრივ-

ვე... დიახ, ახალი სახალხო სკოლა *) იგივ ახალი ერა იქნება ქართველის ერისათვის და ამიტომ მის ყველგან დაარსებაზედ უნდა იყოს დღეს მიმართული ჩვენი ყოველი ძალა! გვეყო საქმისა შუადამ და თავიდამ დაწყობა: დროა შევიგნოთ, რომ უსარძიკვლოდ კედლების აშენება ყოვლად ამაო საქმეა...

ივ. როსტომაშვილი.

*) იხ. ჩვენი წიგნაკი „Новая народная школа и основы ея развитія и существованія“, ფასი გაგზავნით ორი შაური (შეიძლება მარკებითაც).

საფუძველი ზნეობრივის აღ-ზრდისა.

იყო ვინმე ოქრო-მჭედელი პანდუ, კაცი მდიდარი და ცნობილი მთელს ინდოეთში. შეაბმევინა ერთხელ პანდუმ მოსამსახურეს ეტლი, ჩაალაგა შიგ რაც საჭირო ნივთები იყო და გაუდგა გზას ქალაქ ბენარესისაკენ. არ გაევლო ხუთი ვერსი, რომ პანდუმ თვალი მოჰკრა ერთს ბერს, რომელიც ფეხით მიდიოდა გზაზედ. სთქვა პანდუმ: „ეს ბერი პატიოსანი და წმინდა კაცი სჩანს; კეთილ ხალხთან ბაასი სასარგებლოა; მოდი, თუ ეგეც ქალაქისკენ მოდის, მოვიწვევ ჩემთან ეტლშიო!“.

გაუსწორდა ბერს თუ არა, პანდუ თავაზიანად მიესალმა ბერს და თან შეეკითხა, თუ სად მიდის იგი.—ბენარესისკენაო,—უპასუხა ბერმა. პანდუმ სთხოვა ბერს ეტლში ჩამჯდარიყო იმასთან და ერთად წასულიყვნენ ქალაქში.

— გმადლობთ პატივის-ცემისათვის,—უპასუხა ბერმა პანდუს;—სწორეთ გითხრა ძალიან დავიღალე ხანგრძლივი სიარულით და სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას. ვწუხვარ მხოლოდ, რომ არაფრით შემიძლიან მაგიერი გადაგიხადოთ... მაინც ვეცდები რითიმე მოგემსახუროთ ანუ გამოგადგეთ იმ სულიერი საუნჯით, რომელიც მე შემიძენია ჩვენი დიდებული ბუდდას სწავლა-მოძღვრების შესწავლითაო...

გაუდგნენ გზას. ბერმა მოხსნა პირი და რაც კი იცოდა დიდებული ბუდდას საუკეთესო მოძღვრებიდამ, ყველაფერი ხელის

გულისავით გადუშალა წინ ბუნებით ჭკვიანს და კეთილს პანდუს. პანდუა გულ-მოდგინეთ უსმენდა. მიადგნენ ხევს, რომელსაც ისე ჩაეთხარა გზა, რომ გამოცდილ გლეხსაც კი ვერ გაევლო უხიფათოთ და ხრამში ჩაჰვარდნოდა ცალი თვალი ფეტვით დატვირთულ ურმისა. პანდუმ ნახა, რომ შეუძლებელია გზაზედ გავლა, თუ ურემს არ მისწევდნენ ნაპირისკენ, და ამიტომ უბრძანა მსახურს, რომ გზა საჩქაროთ გაენთავისუფლებინა. მეურმე გაუძალიანდა, რადგანაც ეშინოდა ურემი სულაც ხევში არ გადამივარდესო, მაგრამ პანდუმ ყურადღებაც არ მიაქცია გლეხის სამართლიან ჩივილს და კვლავ უბრძანა მსახურს, რომ ურემი გზიდამ მოეშორებინა. მსახურმაც აღარ ათხოვა ყური გლეხის ჩივილს, მიაწვა ურემს და შიგ ხრამში კი გადუძახა ფეტვით სავსე ტომრებით. პანდუ უენებლად გავიდა ხევს და გაუტია ქალაქისკენ, მაგრამ ბერი კი აღარ გაჰყვა, გლეხს უნდა ვუშველო ურმის აყენებაში და გამოტანაში გზაზედაო. პანდუს უნდოდა კვლავ ეთხოვა ბერისათვის ერთად მგზავრობა, მაგრამ შერცხვა თავისი საქციელისა და გაეჩქარა გზას.

ბერი მიესალმა მეურმეს, მიჰყვეს ორთავემ ხელი ურემს და რის ვაი-ვაგლახით და წვალებით ურემი კვლავ გზაზედ დააყენეს.

გლეხი განცვიფრებული უცქეროდა ბერს და გაიფიქრა: ეს კაცი სწორეთ წმინდა უნდა იყოს, მოდი ვკითხავ, რით დავიმსახურე მისი ასეთი მოწყალებაო.

— ნუ გეწყინებათ კი, შენი ჭირიმე, და ერთი მითხარით: რა დავუშავე იმ კაცს, რომ ესე მომექცა?

— ეჰ, ჩემო ძმაო! უნდა გამოგიტყდე, რომ იმის ალაგას შენც მაგ დღეს დააყრიდი შუა გზაზედ გაჩხირულს ურემსა და მის პატრონსა!.. მეურმეს ჭკვაში დაუჯდა ბერის სიტყვა. გასწიეს ქალაქისკენ. სულ სამი ვერსიც აღარ იქნებოდმ დარჩომილი ქალაქამდის, რომ გლეხის ცხენი უეცრად შეფრუტუნდა და გვერდზე დაიხია.

— ჰარიქა გველი, გველია სწორეთ,—დაიყვირა შეშინე-

ბულმა გლეხმა!.. ბერმა გადიხედა ურმიდგან ქვეით და დაინახა, რომ გველი კი არა და რაღაცა პარკი კი გდია გზაზედ. ჩამოხტა საჩქაროთ, აიღო ხელში და ნახა, რომ პარკი სულ ოქროთია სავსე.

— ეს უთუოთ პანდუმ დაჰკარგა,—უთხრა ბერმა გლეხს. —აჰა, ძმობილო, წადი ნახე ის ხიდის-ყურის სასტუმროში, უთხარ—მიპატიებია შენთვის ჩემი წყენათქო, აჰა შენი ოქრო, ღმერთმა კეთილად წარმართოს შენი საქმეებითქო. მერწმუნე ეს დიდ გავლენას იქონიებს მასზედა და იგი კეთილს საქმეს მოახმარებს თავისს სიმდიდრეს... ჰო, კიდევ, თუ რისამე გამოკითხვა მოისურვოს, შენ ჩემთან გამოასწავლე, ბენარესის მონასტერში...

დავუბრუნდეთ პანდუს. ჩამოვიდა ქალაქს თუ არა, პანდუ ყველაზე წინ ფულის პარკსა სწვდა, მაგრამ იგი ველარ ნახა. იქით ეცა, აქეთ ეცა, ყველაფერი გადააბრუნა ეტლში, მაგრამ პარკი აღარსად აღმოჩნდა. პანდუმ აღარ იცოდა რა ექნა. ეჭვი თავისს მსახურზედ შეიტანა. დაუძახა პოლიციელებს, მიათოკვინა საწყალი მოსამსახურე ბოძზედ და უბრძანა იქამდის ცემა, სანამ გამოტყდებოდა. მოსამსახურე ბღაოდა, ემუდარებოდა, ეფიცებოდა—ღმერთი, რჯული, მე არ მამიპარავსო,—მაგრამ ამაოდ: მტარვალნი არ წყნარდებოდნენ. ამ ამბავში იყო პანდუ, რომ გლეხის ურემი გაჩერდა იქვე სასტუმროს წინ. გლეხმა მაშინვე იცნო პანდუ, აიღო პარკი და გადასცა მას. ყველა გაჰკვირდა. მოსამსახურე საჩქაროთ გაანთავისუფლეს, მაგრამ იგი აღარ დადგა იქ: გაიქცა ტყეში, შეუერთდა ყაჩაღებს და თავ-ზარს სცემდა იქიდან მშვიდობიან მგზავრებს...

მოისმინა რა ბერის დანაბარი სიტყვები, პანდუ დაუყოვნებლივ გაემართა მონასტრისაკენ, ნახა იგი და სთხოვა დარიგება.

— რა გელაპარაკო,—უთხრა ბერმა პანდუს;—შენ მაინც ვერ შეიგნებ სულიერ ჭეშმარიტებას, სჯობია დავჩუმდე, მაგ-

რამ რაკი არ დაგიშლია, გეტყვი: მოექეც ყველას ისე, როგორც შენ გინდა, რომ შენ სხვები მოგექცნენ. ეს უმთავრესია, უპირველესია.

— ოჰ, რო შესაძლო იყოს, მთელმა კაცობრიობამ შეიგნოს ჭეშმარიტება თქვენის რჩევისა, რა კარგი იქნებოდა, რა ნეტარი მშვიდობა დამყარდებოდა მთელ ქვეყანაზედ!.. მაშ იცით რა გითხრათ, განაგრძო პანდუმ: მე ეს არის გამიელვა აზრმა და გადავწყვიტე კიდეც, რომ ჩემს სამშობლოში ავაშენო დიადი ტაძარი ბუდდას სწავლა-განათლებისა, რათა მოეფინოს იქიდამ ნათელი მთელს ჩვენს ქვეყანასა...

გაიარა ხანმა. პანდუმ მართლაც ააშენა იშვიათი ტაძარი-სასწავლებელი. იგი შეიქმნა ინდოელთა განათლების კერად...

იმავ ხანებში მეზობელ სახელმწიფოს ერთმა მეფემ შემოუკვეთა პანდუს, როგორც გამოჩენილს ოქრომჭედელს, იშვიათის გვირგვინის გაკეთება. პანდუმ შეასრულა ეს დავალება და გაემგზავრა მეფისაკენ გვირგვინის ჩასაბარებლად. აქ პანდუმ გაიფიქრა: იქ სხვა ბევრი სახეირო საქმეც შემხვდება, თან სხვა ნივთებსაც წავიღებ, ზოგს დავყიდი, ზოგს ვიყიდი და ასე დავბრუნდები სამშობლოშიო. მოამზადა ყველაფერი, გაიყოლია თან მოსამსახურე კაცები და გაუდგა გზას. მაგრამ მიუახლოვდა მთას თუ არა, სადაც იმალებოდა ყაჩაღათ გავარდნილი იმისი მოსამსახურე, ეს უკანასკნელი განძვინებული დაეცა პანდუს თავისი ამხანაგებით, კაცები დაუხოცა, წაართვა ყოფილს ბატონს რაც რამ ებადა და ცოცხალ-მკვდარიღა მიატოვა იქ...

აუტანელი იყო ეს შეშთხვევა პანდუსათვის. დიდათა სწუხდა, მაგრამ დარდს მაინც არ უტყდებოდა, პირიქით ემდურებოდა თავისთავს და ასე ამბობდა: „ახია ჩემზედ! ეს სულ ჩემი წარსულის ბოროტის ქცევის შედეგიაო; მე დაუნდობელი ვიყავ და ნაყოფსაც იმისას ვწვნევო“.

გავიდა ხანი. ერთხელ ჩვენი ნაცნობი ბერი მოდიოდა

გზაზედ, შემოესმა რაღაც ყაყანი და იქითკენ გაიქცა, რომ ნახოს რა ამბავია. ჰხედავს, რომ ყაჩაღები მიჰსევიან ერთს ვიღაც კაცს და უწყალოთ სჩეხენ. ისიც გააფთრებული იგერებდა იმათ და ბევრსაც დაუბნელა მზე, მაგრამ სიმრავლემ მაინც დასძლია და ცოცხალ-მკვდარი დაეცა მიწაზედ. ყაჩაღებმა დაინახეს თუ არა ბერი, მაშინვე ტყისაკენ გაიქცნენ, ბერმა კი დაჭრილისკენ მიაშურა და რას ჰხედავს? ჰხედავს, რომ დაჭრილი პანდუს მოსამსახურეა რომელიც ყაჩაღთ იყო გავარდნილი. ბერი საჩქაროთ გაექანა მდინარისკენ, მოიტანა წყალი და ასხურა პირისახეზედ. მსახური გონს მოვიდა, გაახილა თვალები და კბილების კრაჭუნით წარმოსთქვა:

— სად არიან ის უმადური ძაღლები! განა ეს დავიმსახურე იმათგან; მოიცადონ, ვნახოთ, როგორ გაწყდება იმათი სინსილა უჩემოთ!..

— ეხლა დრო არ არის მაგაზედ ფიქრი, ჩემო ძმაო,— უთხრა ბერმა,—შენ ახლა შენს თავზედ უნდა იზრუნო. აჰა წყალი, გაიგრილე გული. მე ჭრილობებს შეგიხვევ, იქნება ღმერთმა ინებოს და სიცოცხლე დაგიბრუნდეს.

— ოო... ეგ სულ მეტია, კეთილო კაცო... ჩემი მორჩენა შეუძლებელია, სასიკვდილოთ დამჭრეს იმ უმადურებმა!.. ჩემგნით გავარჯიშებული მარჯვენა ჩემზედვე მოიღერეს!..

— სამართალი მოითხოვს ამას, ჩემო ძმაო, თქვენ ის მოიმკეთ, რაც დაგითესიათ,—უპასუხა ბერმა. ასწავლიდით იმათ კეთილი საქმის გაკეთებას და იმასვე მოგიზღავდნენ. თქვენ სწვრთნიდით იმათ კაცის მტრობაში, სისხლის დანთხევაში და აი სისხლიც დაანთხიეს.

— თქვენ მართალი ხართ... მე დავიმსახურე ეს... სწორედ... სწორედ... ოხვრით და ნაწყვეტ-ნაწყვეტათ ამოსთქვამდა მსახური... მაგრამ, ნუ თუ ხსნა აღარ არის ჩემთვის?.. რო შეგეძლოს დამეხმარო, კეთილო ბერო, მასწავლო გზა, რომ ცოტათი მაინც მოვიფონო ეს გული, რომელიც მთლად ცოდვით და ხალხის სიმძულვარით არის გაჟღენთილი...

— ეგ ადვილია... საკმარისია, განაგდოთ თქვენი გულიდამ ცოდვილი ფიქრები, სამაგიეროთ ჩაინერგოთ ადამიანის სიყვარული და ნატვრა სწრაფად შეგისრულდებათ.

— გვიანღა არის!..—უიმედოთ წამოიძახა მსახურმა.— ისე შევეჩვიე ბოროტ საქმეს, რომ იმის გარეშე ველარას ვხედავ. ეგ არის, მე აუცადი მსხვერპლი ვარ ჯოჯოხეთისა.

— ეს შენზეა დამოკიდებული... საჭიროა, ჩემო ძმაო, შეიგნო მხოლოდ, რომ შენ ხარ არა ცალკე რამ არსება, არამედ ნაწილი კაცობრიობისა, როგორც ხელი, ფეხი და სხვა ყოველი ასო ნაწილია კაცის მთელის სხეულისა. აი ეს შეიგენი და ხსნაც აუცადია. ყური დამიგდე, მე გიამბობ შენ ერთს ამბავსა, რომელიც დაემართა ერთს შენსავით გაწთქმულს ყაჩაღსა. აი ეს ამბავი:

ეს ამბავი ეკუთვნის იმ დროს, როცა დიდებულმა ბუდდამ თავის მოვლენით ნათელი მოჰფინა ქვეყანას. ეს ყაჩაღი მოკვდა, და როგორც ცოდვილს, მიესაჯა ჯოჯოხეთი და საუკუნო ტანჯვა. იმ ხანებში ბუდდას კაცთ-მოყვარე სხივმა ჯოჯოხეთშიაც შეანათა.

— ოო... კეთილო ბუდდა, მოიღე ჩემზედ შენი წყალობა; ხომ ხედავ,—როგორ ვიტანჯები, მომხედე, დამიხსენ ამ ტანჯვისაგან, დამიბრუნე ხელ-მეორედ ცხოვრება, რომ ჩავიტკბო სიმართლე და ვგმო ბოროტება!—ემუდარებოდა ყაჩაღის სული.

ბუდდამ უსმინა. ჩაუგზავნა ობობა თავისი ქსელით.

ობობამ უთხრა; „აჰა, ჩაჰკიდე ხელი ამ ქსელსა და ამოცოცდი მანდედგანო“.

გახარებულმა ცოდვილმა მიაშუერა ქსელსა, ჩაჰჭიდა ხელი და დაიწყო ამოსვლა. ქსელი ისეთი მაგარი გამოდგა, რომ ის მშვენივრად იკავებდა ყაჩაღს. ამასობაში ცოდვილმა შენიშნა, რომ ქსელი თანდათან იჭიმება. ჩაიხედა ძირს და ხედავს, რომ სხვა ცოდვილნიც დასდევნებიან უკან. ყაჩაღს შიში შეეპარა, ვაი თუ ქსელმა მიღალატოსო და ჩასძახა: „გა-

მშორდით აქედგან, გაეთრიენით, ვერა ხედავთ, ქსელი მე მეკუთვნისო?".

ამის თქმა იყო და ქსელის ჩაწყვეტა. ყველანი ისევ ჯოჯოხეთში ჩაცვივდნენ...

აი, ჩემო ძმაო, სწორეთ ამ ქსელს მიემსგავსება სიმართლისა და ბედნიერების გზაცა. ეს გზაც სწორეთ ამ თვისებისაა. როგორც იმ ქსელს ამოჰყვანდა ყველა ერთად ჯოჯოხეთიდგან და ყველასაც თავისუფლად იკავებდა, სწორეთ ასევე ბედნიერების გზა ყველას იტევ; და მიამგზავრებს ბედნიერებისაკენ. მაგრამ საკმარისია ერთი ვინმე გაამაყდეს, მოინდომოს მხოლოდ თავისთვის ბედნიერება და იუკადრისოს დანარჩენები, რომ ეს გზა ბედნიერებისა იმავ წამსვე მოიშალოს როგორც სხვებისთვის, ისევე თავისი პატრონისათვისაც. თუ რმე ბედნიერება ცალკე კაცს არ ეკედლება, ბედნიერება მხოლოდ ერთობაშია, იგი თვისულობს მხოლოდ ყველს ერთად, ცალკე კი არავის!

აი რა შეცდომა ყოფილა, როცა ვინმე რო გაამაყდება და ცალკე დაეძებს ბედნიერებას. ის ნამდვილად ბედნიერებას კი არ ეყრება, არამედ უბედურებას; ეს იგივეა, რომ ხელმა ან თუნდა თვალმა შეიძულოს დანარჩენი ნაწილები კაცისა და ცალკე მოინდომონ ცხოვრება, ბედნიერება. ხომ იცი ამ შემთხვევაში რა მოუვა ან იმათ, ან სხვა ნაწილებს?!".

— მაშ შემეწიე, შემაძლებინე ხელი ჩავკიდო იმ ქსელს,— კვლავ დაეღრიჯა მომაკვდავი მსახური ბერსა.—მაგრამ მოიცა, გვიანღაა... ისა სჯობია ვალვიარო ჩემი საიდუმლოება... უნდა გამოგიტყდეთ... გთხოვთ ნახოთ ჩემი ბატონი პანდუ და უთხრათ, რომ მიპატივებია იმისთვის ყველაფერი... უთხარით, რომ იმანაც მაპატიოს, შემინდოს... წინათ ის გულ-ქვა კაცი იყო; მეც ის ვისწავლ ეიმისაგან... ახლა კი ?მესმის, რომ იგი უუგულკეთილესი კაცია. უთხარი, რომ იმის მთელი განძი, იმის ძვირფასი გვირგვინიც, ისევ შენახული მაქვს... მიწაში... ოო, ღმერთო, ძალა მელევა, ლაპარაკი მიძნელდება!.. ჰო, უთხა-

რი, რომ მოვიდეს თავის კაცებით და ამოიღოს... ის არავინ იცის, აი მხოლოდ ამ ორმა იცოდა და ესენიც მოსწყდნენ წუთი სოფელს... როგორც მე... ვწყდები!“..

ესლა სთქვა, ანიშნა ბერს იქვე ახლო განძის ალაგი და განუტევა სული. ბერი გაეჩქარა პანდუსთან და ყოველი უამბო. პანდუმ გაიყოლია კაცები და მართლაც ნახა თავის სიმდიდრე სრულიად ხელ-უხლებელი. გახარებული მივიდა დახოცილებთან და დიდის პატივით დაკრძალა ყველანი.

დასაფლავების შემდეგ პანდუ დაბრუნდა თავის სახლში და კიდევ დიდს ხანს იცოცხლა. სიკვდილის წინ მოიხმო შვილები, შვილის შვილები და უთხრა: „აჰა, ჩემო საყვარელო შვილებო, გეთხოვებით, მივდავარ და ძვირფას განძად გიტოვებთ ამ სიტყვებს: როცა უბედურება შეგემთხვათ, მიზეზი თქვენშივე ეძებეთ. თუ ამპარტავნობა არ გაბრმავებთ, ადვილათ იპოვით მას და ეცადეთ, რომ კვლავისთვის აიშოროთ ახალი უბედურება. ამასთან არ დაივიწყოთ სიტყვები, რომელსაც არა ერთხელ გაგონებდით:

„ვინც სხვას ავნებს, ის თავის თავსაც ავნებს“.

„ვინც სხვასა რგებს, ის თავის თავსაც რგებს“.

„გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ ნაწილი კაცობრიობისა“...

ტ.

ნატვრა.

ნეტავ მომცა მე ძალ-ღონე
მოვსპო სრულად ბოროტება,
მივცე ყოველ მტერ-მოყვარეს
თანასწორი წარმატება;

—

მოვსპო ყველგან სამუდამოთ
ანგარება, შური, მტრობა
და მათ ნაცვლად თითოეულს
ჩავუნერგო მეგობრობა;

—

მდიდარს, ღარიბს, ერთნაირად
გული ძმურად ავუძგერო,
თავის ბედის უმადური
საამურად ავამღერო...

—

აბა მაშინ დამყარდება
ქვეყნად სრული ნეტარება,
ყველა იგრძნობს, თუ რაც არის
სიამე და გახარება...

ფ. გეგ[ი].

სკოლურს აღზრდას მეტი გავლენა აქვს ბავშვებზე თუ მშობლებისას?

ამ ხანად ქართველებს პირველი ადგილი უჭირავთ სწავლა-განათლების მიმდევრობით, ვიდრე სხვა ტომს მთელს კავკასიაში.

არაა იმისთანა სოფლის საზოგადოებაც კი, მეტადრე იმერეთში, რომ ერთი სკოლა მაინც არა ჰქონდეთ, ბევრგან ხომ ორი და სამიც არის. ორსა და სამს საზოგადოებას თითო სამკითხველო რო არა ჰქონდეს, იშვიათია აქა; ყველა ესენი იმის დამამტკიცებელია, რომ ქართველებს მართლაც სწავლა-განათლების სხივი სძევთ სახეზე და არც მოცრუებული აზრი იქნება, რომ ამ მხრივ უპირატესობას ქართველებს ვუთმობთ კავკასიაში.

არაა იმისთანა ყმაწვილი (ორივ სქესთა შორის), რომ წერა-კითხვა არ იცოდეს სამშობლო ენაზე მაინც; დაბალი სწავლით ხომ იმდენს შევხვდებით, რომ იმათ ჩამოთვლას ჩვენ ვერც შევიძლებთ; საშუალო სწავლით (სემინარიელს, გიმნაზიელს, რეალისტს, ინსტიტუტელს და სხ.) ხომ თითქმის ყოველი ფეხის გადადგმაზე შევხვდებით; მაღალი სწავლით აღჭურვილი ყმაწვილები ისე ხომ აღარ არის ჩვენში სანთლით საძებნელი, როგორც ეს ამ 20—30 წლის წინეთ იყო.

კარგი და პატიოსანი. ჩვენ მოგახსენეთ, რომ ქართველები ასეთი კარგნი არიან მეთქი, ეს თავის თავის ქებასავით მოგვეჩვენა, მარა ერთსა გკითხავთ, ჩემო მკითხველო, ეს კარგნი ნასწავლები რომ არიან ჩვენი ახალმოზარდნი, რომელთაც სწა-

ვლა მიუღიათ სკოლებში, მასთანავე განათლებულნიც არიან, თუ მარტო ნასწავლნი?

ეს შეიძლება გავიგოთ მაშინ, როდესაც ასეთ ნასწავლ ყმაწვილ კაცებს ვადევნებთ თვალ-ყურს მას შემდეგ, როდესაც ისინი გამოდიან თავისუფალს ცხოვრების ასპარეზზე. დავუკვირდეთ კარგათ და გულდაგულ ვადევნოთ თვალ-ყური, თუ როგორ იქცევიან ეს გაზდილი ნასწავლი ყმაწვილკაცები საზოგადო ცხოვრებაში.

მათში ხშირად ნახავთ ლოთობას და მის შედეგს—თავსლაფის დასხმას.

ნასწავლშივე ვხედავთ სულ-მოკლეობას და სიანჩხლეს, რომელსაც უბრალო საწყენზე მოსდის გული და გამოდის გრძნობიდგან, თავს ველარ იკავებს თავისი სუსტი ხასიათის გამო და სჩადის ვინ იცის რას არა. ნასწავლშივე ვხედავთ უზომოთ, ანგარიშს გარეშე ცხოვრებას, რომელიც არ იცავს ეკონომიას. აქვს თუ არ აქვს, ხარჯავს, ვითომ მეზობლობაში არ წყდება, ე. ი. „საბნის დაგვარ ფეხს არა შლის“ და ვალ-ვახშში ვარდება და ასეთს ცხოვრებას იგი უზდელურათ და ურცხვათ კიდევ განათლებულს ცხოვრებას“ უძახის.

ნასწავლშივე ვხედავთ ოსტატურათ ცარცვა-გლეჯას; თუ კი ჩაიგდო ტყავ გასაძრობი მსხვერპლი, უნდა ნახოთ, როგორ შეუბრალებლად სცარცვავს და აძრობს მას ბერანგს; და თუ ასეთი დანაშაული სასამართლოშიაც ჩავარდა, ის მაინც თავს იძვრენს მართალსავით, რადგან საქმეს თავიდგანვე ხრიკულათ და ოსტატურათ იწყებს და ის თავ-დამძვრალ გამართლებული, შემდეგ უფრო მეტს მცარცველობას სჩადის.

ნასწავლშივე ვხედავთ მეტს გარყვნილებას, ავ-ხორცობას, უსწავლელზე უფრო და ამასთანავე ღორ-მუცლობას. ნასწავლშივეა უღმერთოება, უსინიდისობა, დედ-მამის უპატივცემულობა, ამპარტავნობა და სხვა... უსწავლელს თუ აქვს ეს ნაკლები, არ გვიკვირს, რადგან უსწავლელი და [illegible]. ნასწავლმა ხომ კარგათ იცის, რომ ლოთობა იმისთანა მავნე

თვისებაა ადამიანისათვის, რომ მალე მოუსპობს სიცოცხლეს და თავს ლაფის დასხმა ხომ კიდევ მეტია... მან ხომ იცის, რომ ამპარტავნობა საძირკველია მთელი ბოროტებისა, რომ აქედგან წარმოსდგება თავმოყვარეობა, ანგარება, მეძაობა, ავ-ხორცობა, შური, მტრობა, ცარცვა და სხ. რატომ მისმა ცო-დნამ არ მოსთრგუნა ასეთ ცუდი თვისებებიდგან? იმიტომ, რომ ესენი მას ჩვეულებათ ჰქონდა და „ჩვეულება კი რჯულზე უმტკიცესიაო“, ნათქვამია. ამიტომ საძნელო დაურჩა ყველას მზნობა, ზოგი თუ მოისპო, ზოგი ველარ შეიძლო მისმა ცუ-დმა ჩვეულებამ. საიდგან მიეჩვია ამაებს სახლში, თუ არ დედ-მამისაგან, სახლის კაცებისაგან და მეზობლებისაგან, რასაკვი-რველია, პატარაობიდგანვე, როდესაც სულ გულში ჩაწვეთი-ლი თვისებები, ავი ავათ და კარგი კარგათ გაჰყვება ყმაწვი-ლობა-სიბერეში და სიჭაბუკე-სიბერეში... ტყუილათ კი არ თქმულა, რომ ყმაწვილი რამდენიც პაწაწინაა, იმდენი უგუ-ნურია მისი ჩვილი ჭკუა-გონება და რაც ხნიერდება და იზრ-დება, იმდენი მალე გონიერდება და მასთანავე ანდამატივით სწრაფათ იზიდავს ყოველივე ნახულს და გაგონილს, რომელ-საც ფესვიანად იმარხავს გულში. რა შედის მეტ წლოვანობა-ში, 10 წლამდინ, ყველა კარგათ ახსოვს, ახსოვს თუ როგორ აღზარდეს ის მშობლებმა, უსწავლელებმა, რასაკვირველია, უფრო უნებლიეთ ბოროტებაში...

ვინმემ თუ აწყენია მტრობაში,—ან სცემა, ან მოუკლა, ან დასწვა, მოთმენას ამჯობინებს გადაუხადოს მტრობა ერთი-ორათ, რითაც იგი მშვიდდება თავის აღელვებაში. ესეც მო-თმინების გაბათილება შურ-მტრობისაგან! აი ამაებს ხედავს სახლში პატარა ბავშვი თავის დედ-მამასთან, თუ როგორ ექა-დნიან ისინი წყევა-გინებით და ცდილობენ სისხლი სისხლით გადაუხადონ მტრებს, ხედავენ, როგორ ყოველდღე იწყევლე-ბიან და იგინებიან ისინი (ცოლ-ქმარნი) ერთმანეთში და ან მეზობლობაში; ხედავენ მასთანავე გარყვნილებას და ესმისთ ქალებზე ცუდი სიტყვები, ხედავენ ცემა-ტყეპას და სხვა მის-

თანობას. აი, ყველა ესენი ჩაითესეს მშობლებისაგან უსუსურმა ბავშებმა და აღიზარდნენ, თვითონაც ვარჯიშობა დაიწყეს ასეთს სიცუდეში და ყველა ეს შეესისხლ-ხორცათ, ე. ი. გაუჩვეულდათ, რისი მოსპობაც ვეღარ შეიძლო სწავლამ ერთიან. და კარგს პირობებში რომ აღზდილიყვნენ დედ-მამასთან, და სკოლის სწავლაც რომ დაჰმატებოდათ ზედ, მაშინ ხომ ისინი განათლებულნიც იქნებოდნენ, რომელთაც ის მხეცური თვისებები და ჟინი თან აღარ დაჰყვებოდნენ, რაიცა განათლების ღირსებას სრულებით უკარგავს ¦ნასწავლს.

მაშასადამე, მშობლების აღზრდას უფრო მეტი მნიშვნელობა და გავლენა ჰქონია ბავშზე, ვიდრე სკოლისა, რადგან დედ-მამის აღზრდის მეთოდი უფრო გავლენიანია ჩვილს გონებაზე... და რომ ავიცილოთ ეს ნაკლი, გვმართებს ჩვენ მშობლებს უფრო კარგს პირობებში აღვზარდოთ ჩვენი შვილები, რომ სწავლის მიღებისათანავე შევქმნათ იგინი განათლებულათაც. ამისი წყარო კი ურთიერთშორის სიყვარულის ჩანერგვაა, წყნარი ქცევა ყველასთან და გარჯა და შრომა ყველას სასარგებლოდ. ეს კი ისეთი ადვილ-დასასწავლი მცნებაა, რომ ფრიად ადვილათ შეიძლება ყველამ მიიღოს იგი და კიდევაც მისდიოს მას თვის ცხოვრებაში თვისთა შვილთა საკეთილდღეოთ მომავალში.

მესხი კ. გვარამაძე.

პრილოვის შეხედულება განათლებაზე.

„სასარგებლოა თუ არა განათლება?“—ეჭვი არაა, რომ სასარგებლოა (იგავ-არაკი: „ბაჯაღლო ოქრო“).

უმეცარი, მაიმუნის მსგავსად, რომელიც სიბერეში თვალნაკლები შეიქმნა, ვერ მოახერხებს ისარგებლოს ნამდვილად სასარგებლო ნივთითაც და დაუწყებს მას ძაგებას, რადგანაც არ იცის მისი გამოყენება (იგავ-არაკი: „მაიმუნი და სათვალეები“), ანუ მამალას მსგავსად, რომელმაც ჰპოვა მარგალიტის მარცვალი და რაკი არ იცოდა მისი ფასი, უბრალო ქერის მარცვალი ამჯობინა მას (იგავ-არაკი: „მამალი და მარგალიტის მარცვალი“). კიდევ კარგი, თუ უვიცობა ვნებას აყენებდეს მარტო თვით უმეცარს; ხშირადაა, რომ იგი, მეცნიერების სარგებლობის შეუგნებლობისა გამო, სდევნის უკანასკნელს და მით უსპობს სახსარს თავის თავსაც და სხვებსაც განათლების საუნჯენით სარგებლობისას, იმ ღორივით, რომელმაც, რა გაძღა-გატყვრა, რკოთი, ჯერ გამოიძინა იქვე და მერე დაუწყო ღრნა მუხის ფესვებს, იმ ცრუ მოსაზრებით, რომ მას სჭირიარკო და არა ხე (იგავ-არაკი: „ღორი მუხის ქვეშ“).

უმეცრების მავნებლობის მოსასპობად საჭიროა გავავრცელოთ ცოდნა; გარნა როგორი ცოდნა? მოსაწონია მხოლოდ იმისთანა ცოდნა, რომელიც სარგებლიანად გამოსაყენებელი იქნება ცხოვრებაში. სასაცილოა მეხანიკოსი, თავისმტვრეველი იმ ზანდუკის გაღებაზედ, რომელიც თავისთავადაც ადვილად იღებოდა (იგავ-არაკი: „მეხანიკოსი“).

ცოდნა უნდა იყოს სრული: ცოდნის დაუმთავრებელ

კაცს მოელის ისეთივე მარცხი, როგორც იმ მეხანიკოსს, რომელსაც სახლის გადატანა უნდოდა სხვა ადგილზედ, მაგრამ მხოლოდ ის შეიძინა, რომ სახლი სულ დაენგრა. სახიფათოა შემოღება პრაქტიკულად მავნებელ თეორიებისა. პრაქტიკულად მავნებელ თეორიების მიმდევართ ემართება ის, რაც დაემართა წყალში მცურავსა, რომელმაც, უსაზღვრო ზღვის უფსკრულში უხვად მარგალიტის შოვნის ფიქრით, რაკი ძირს ვერ უწია, თავი ზედ ანაცვალა და დაიღუპა. უნდა, მსგავსად შუათანა ძმისა, აირჩიო თავის ძალის შესაწევი სიღრმე და იცხოვრებ ყოველსაათობით გამდიდრებით. ასე ურჩევდა ხელმწიფეს ერთი მეუდაბნოე, მექონი აუარებელ ცოდნათა, სალმიანი, სათნოიანი, მპყრობელი დიდის წიგნისა ხელთა შინა. რად დაიღუპა წყალში მცურავი? იმად, რომ არ კმაყოფილდებოდა ნაპირებს, ე. ი. საზოგადოებრივ ზნეობასა (იგავ-არაკი: „წყალში მცურავნი“). ცოდნა არ უნდა აურიოთ ზნეობასთან.—კრილოვის ფიქრით, „უმჯობესია სვამდე, მაგრამ საქმე კი გესმოდესო“ (იგავ-არაკი: „მემუსიკენი“), ხოლო სახიფათოა, უკეთუ მეცნიერება მიაღწევს საზოგადო ზნეობრივ დებულებათა წინააღმდეგ შედეგთადმი. მაგალითად, „შაშვი, გამოჩენილი ფილოსოფოსი, დამეგობრებული წყნარ და მშვიდობიან კნუტთან“, სავსებით ამტკიცებს, რა საშიშოა შემუსრვა კაცობრიობის გამოცდილებით მიჩნეულთა ჭეშმარიტებათა. შაშვს რომ არ ესწავლებინა კნუტისთვის, რომ სვინდისი ცრუმორწმუნებაა ღონე-მიხდილთა, რომ რა საჭიროა მარხულობა, როდესაც ცხვირ წინ გიკიდია ღალღა ჩიტი,—იგი არ ჩაუვარდებოდა თავის მოწაფეს კბილებში (იგავ-არაკი: „შაშვი და კნუტი“).

ამ გვარად, კრილოვის აზრით, ფილოსოფია არ უნდა ჰქადაგებდეს წინააღმდეგ მოქალაქურის ზნეობისა, რათა ბრბომ არ მიმართოს ძალნი თვისნი თვით ფილოსოფოსთა წინააღმდეგ...

გ. ელგანდაშვილი.

ვაწვრთნა

და

განათლება ვვეგლია.

წაკითხულისა და გაგონილის გამო.

ბერიკაცის წერილები.

იანვრის 10-სა. საკვირველი ხალხია ჩვენი ქართველი ხალხი, არა მარტო მდაბიო, არამედ ეგრეთ-წოდებული განათლებული წრეც ქართველებისა! — ვინც ყბად ასაგდებია და თვალში ამოსაღები, იმაზე კრინტს არ დასძრამენ, ხმას არავინ ამოიღებს, და ვინც კი არ არის ამისი ღირსი, მისდგებიან და გააქვთ ერთი განგაში, აღარ იციან დახიება, ჭორს, ცილისწამებას, საყვედურს — რაც კი მოადგებათ პირში — მოურიდებლივ როშამენ. ასე უყვეს საცოდავს მ. საბინინს, მოღვაწეს, მშრომელს და ქართველთათვის თავგამოდებულ რუსს; ამნაირივე კვალით სდევნიდნენ აწ განსვენებულს ველიჩკოს, გულწრფელს და პატიოსან რუსს, ქართველების მოყვარეს და სიმართლის მთქმელს მტრისა. ეს ორივენი დაიღუპნენ და ჩვენი „ბიჭები“ მოისვენებენ, სანამ კიდევ გამოჩნდება ვინმე ჩვენთვის კეთილისმდომი მოღვაწე.

ეხლა ახალი სათრეველი უპოვიათ ამათ, ეხლა ამას დაადგეს ენა და ჩვენს „მოგზაურის“ გამომცემელს ზოგი როს-

ტომენკოს ეძახის, ზოგი როსტომოვს და ზოგი რასა. პირზე გაუკრავთ „მოღალატე“ და გუნებაში კი იცინიან—„ჩემი არ გითხრა, გული რით დაგწვაო“. მაგრამ სტყუვდებიან: საბინინსა და ველიჩკოს გული ატკინეს, იქნება თავიც მოსჭრეს თავისიანებში,—მაგრამ როსტომენკოს კი გულისფრიალსაც ვერ მოჰგვრიან, იმიტომ, რომ გული წმინდა აქვს და ხელი სწორე, სიმრუდე არაფერში არ ურევია, იმიტომ, რომ იცის, რომ ეს ქართველები გარიყული შლამია, უვარგისი და უქმი, დღეს შენია, ხვალ სხვისია, დღითი-დღე მცხოვრები, დღეს გაიღრიჯებიან, ხვალ ნახორმახარს ხელს მიუშვერენ „ვანქის უბნის აღებს“. ბევრჯელ ავიწყდებათ ხოლმე, რომ „აღებს“ და „ხოზეინებს“ თავისი გასაძღომი „მყეფრებიც“ ბევრი ახვევიათ და ჩვენი გარიყულებისათვის დამზადებული აქვთ მარტო ცარიელი მოქნილი ენა. აი მეხი კი დაეცეს ამისთანა ქართველებს...

„მოღალატეობა“ გაამეფევეს ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში კარგა ხანია „მძინარა პედაღოღებმა“, იმათ გამოიგონეს ეს მანქანა თავის-თავის განსადიდებლად და ასაძაღლებლად: ვინც ფონს ვერ გადის, ის მუდამ ღობე-ყორეს მოედება ხოლმე და „მძინარა პედაღოღებმაც“ ეს გზა ირჩიეს და დიდი-დიდი ცოდვაც ჩამოაგდეს ჩვენში. ამ მძინარეების ბრალია, რომ ვინც არა მგონია მისდგომია ეხლა ჩვენს შკოლებს და რაც ძალი და ღონე აქვთ ფეხქვეშ სთელავენ, იქ მიიხედავ—ვიღაცა წვერცამეტა გაიძახის: „ჩემს ზნეს ნუ მიშლიო“—თავის „ნდარავით“ არავისი ნებართვით ქართული ენა ამოაკვეთინა „სახალხო“ შკოლებში სამეგრელოს, სვანეთს და ქალაქში;—აქეთ ქართლ-კახეთში და იმერეთში, რაღაცა ბუნების წინააღმდეგი მეთოდის ფარდის ქვეშ—ქართუ-

ლი ენა შკოლებიდამ გამოაძევეს და სოფლებში მასწავლებლებად სომხებსა და რუსებსა ნიშნავენ, რომელთაც არ იციან ქართული. ბევრი უწესოება დამყარდა ჩვენს შკოლებში და ხმის ამომღებელი კი არავინ არის. „მძინარა პედაღოღებს“ შეეძლოთ მოეხერხებინათ, რომ ხმის ამომღებლები თავის გარშემო ჰყოლოდათ; შეეძლოთ, მაგრამ „მძინარეებს“ თუმცა არ ეძინათ, თავისი სიცოცხლე ბრძოლაში და ვაივაგლახში დაახავსეს, მაგრამ წვერცამეტებს და დუხაბორებს კი არ ებრძოდნენ, ქართველ ახალგაზდა პედაღოღებს ებრძოდნენ, იმათ, რომელთაც გაჰლვიძებოდათ სურვილი რომელიმე სახელმძღვანელოსი შედგენა ანუ გამოცემა. ვაი იმათი ბრალი, ვინც რასმე დასწერდა და განიზრახებდა ბეჭდვას: მძინარეები მაშინ იღვიძებდნენ, გააჭყეტავდნენ ჭროღა თვალებს და ოთარაანთ ქორივით დააფრინდებოდნენ და დაუწყებდნენ ჯიჯგნას! ჯიჯგნიდნენ, ჯიჯგნიდნენ—სანამ სულს არ ამოართმევდნენ. ამის დამნახავი ზარდაცემული ახალგაზდა მასწავლებელი-პედაღოღი ვგღარავინა ჰბედავდა წიგნის გამოცემას და თუ ვინმე გაკადნიერდებოდა, არ შეეპუებოდა და მაინც შეეცდებოდა გამკლავებას, მაშინ ჩვენი „მძინარა პედაღოდები“ მორთავდნენ ღრიალს: „ჰარიქა, მოვიდა მოღალატეო“! ამ ღრიალში და ჯიჯგნაში ვინღა გაბედავდა გამკლავებულის დახმარებას და ახლო დგომას, ნამეტნავათ როცა „მოღალატეობას“ დასძახოდნენ. ამრიგათ ჩვენი ქორები მარტოთ-მარტო ნავარდობდნენ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და ვერ შეამჩნიეს, რომ ვოლპერები, ჩერნიავსკები და კარხანიდეები ჯიბეებს თავის წიგნებით ივსებდნენ ჩვენს სკოლებში. მართალია მძინარეებმა ამათაც თვალი გადაუბღვრიალეს, კიდეც ვითომ და შეუტიეს ჭანჭრაქეების გაზეთში, მაგრამ რა გამოვიდა: უძლური კნავილი ერთი მჩხავანა კატისა მარცხენაში შეუშვეს და მარჯვენა ყურში გამოუშვეს. ესე კი არ მოხდებოდა, რომ „მძინარა პედაღოღებს“ მიემხროთ და მიეზიდნათ ახალგაზდა ქართველი პედაღოღები, ეგრეთვე „როსტომენკოც“,

თითონ დაბძანებულიყვნენ მაღალ ოლიმპზედ და ძირს თავ-მოხრილი როსტომენკოები, ნათაძენკოები და მრავალნი სხვანი ეგზავნათ გარშემო არემარეს: „გადით და ყველას ასწავლეთ აი ეს სწორე გზა და მრუდეთ ნურავის ატარებთ, ვინც მრუდეთ იაროს—შეაჩვენეთო!“. მაშინ ვერც ზახაროვები და ვერც დუხაბორები და წვერცამეტეები ვერას იზამდნენ! მაგრამ საუბედუროთ „მძინარეები“ შინაურებზე არიან გამარჯვებულები და დაბალ ღობეზე ხტომა უფრო ემარჯვებათ და ვერ ითვალისწინებდნენ, თუ რა მოხდებოდა და რა მდგომარეობაში ჩაცვივდებოდნენ ჩვენი შკოლები, რომელთა „ნანგრევებზე“ ეხლა ხელებ-დაკრეფილები იყურებიან და იერემიადებს მოსთქვამენ... თითონ მარტონი არიან, ბანის მიმცემი არავინ აქაჭანიათ და ქართველი მასწავლებლებიც დაობლებულები, კისერჩადრეკილნი და ენაჩავარდნილები უპატრონოებივით ამაოთ დაწრწნიან და მოგეხსენებათ „უპატრონო ცხენს ან მგელი შესჭამს, ან ტურა დაგლეჯს“. როსტომენკოები, ნათაძენკოები და სხვანი მშრომელი ხალხია და მუშა, მოთავის ვალია ყველა მშრომელს და მუშას თავისი შესაფერი საქმე ჩააბაროს და სწორე გზაზე ატაროს. მაგრამ „მძინარეებმა“ ეს არ იკადრეს და ეხლა გოლოვინის პროსპექტზე გაბღინძულები დააბაკუნებენ და გაიძახიან: „დახე, მოღალატეო“.

„მოგზაურის“ გამომცემელი ბევრჯელ გვიმხილებია და ეხლაც დაურიდებლივ ვამხელთ და ვემდურით, რომ უდროოთ და უალაგო-ალაგას ლაპარაკით და „თქმითაც ბევრი დაშავდების“, მაგრამ რა გამოვიდა, გულ-მართალ ქართველს ქვეყანაზე ყველა გულ-მართლად მიაჩნია და აქამდის ვერ დაჯერებულა, რომ ქართველს ყველანი ატყუებენ „თეთრი კბილით და შავი გულით“. აქაც კი „მძინარეების“ ბრალია: რატომ, როცა შარშანდელ 14 იანვრის მოხსენებას ამზადებდნენ, ჩვენმა „მძინარა პედაღოღებმა“ არ მიიწვიეს როსტომენკოები და სხვა ქართველი პედაღოღები და ერთათ არ შეადგინეს თათბირი და დაწყება საზოგადო მოხსენებისა. შე-

იყარნენ ორი სამი ვითამ და პედალოღები და რაში ეკადრებოდათ, რომ სხვებიც თავის მიუკარებელ წრეში მიეწვევნათ საქვეყნო საქმის სარჩევანში, მათი სიტყვა მეხია, რასაც ბძანებენ თავის გულში ყველასთვის უთამასუქო ვალია! ქართველო პედალოღებო! შეერთდით და ქართული თქვენს შკოლებში დაცულ იქნება! „მძინარეებო!“ ქოროობაზე ხელი აიღეთ და ყოველი რიგზე დადგება. თუმცა დაგვიანებულია, მაგრამ კიდევ იმედია, რომ სრულად არ დაგვკარგავს გზა და კვალი. შეერთდით!

14—15 იანვარსა. თოთხმეტი იანვარი დიდმნიშვნელოვანი დღეა ქართველთათვის და ჩვენი საზოგადოება როგორ დაუხვდება ხოლმე? ისე, ვითომ არაფერიაო! მარტო ბედკრულმა „ივერიამ“ წარუძღვნა ამ დღეს მოწინავე სტატია და ერთიც ლექსი. სხვებს ენა ჩაუვარდათ, „ფურცლებს“ ხომ არაფრის პატივისცემა არა აქვთ, რასაც ქართული სუნი ასდის, სუყველანი „ტერლორმიაწეთ“ მოინათლენითო. ტყუილი ოცნებაა! ერთმა ტფილისიდგან დაბრუნებულმა აზნაურშვილმა სოფელში გვიამბო: არ ვიცი, ქალაქის სახლებისა ვერა გამიგიარა—ვისია, დილით ერთი „ხოზიანი“ დააპრაკუნებს შიგ, საღამოზე გაივლი—სხვა შესულაო“. ვანქისუბნის მრევლის ბინა-ყურეც ხვალ ისევ „ვანქელებს“ დარჩებათ და გატლეკილი „ხოზიანი“ მაშინ იწყებს ქართულ პატრიოტობას და წიტიან ჭუჭულასავით „ივერიის“ ფრთეების ქვეშ ფუტკნას: „ქართველი ვარო“.

სიონში წირვა იდგა: ქართველი მღვდელმთავარი, ქართველი სამღვდელოება... იშვიათია სამღვდელო პირი ასე დახელოვნებული, მცოდნე წესისა და კილოსი, როგორიც მღვდელმთავარი ექვთიმე ბრძანდება: გამოთქმა, მიხვრა-მოხრა, კმევა, ბრწყინვალე და კეთილი, წყნარი პირისახე, შეფერებული სამოსელი—ნამდვილი ღვთისა და წმინდა მღვდელმოქმედების მონა! მაგრამ ზოგი თანამწირველთაგანნი ხელს ვერ უწყობდნენ, ვერ ამშვენებდნენ! მგალობლები? ღმერთმა შეი-

ნახოს. რა უბედურობაა: ასი წელიწადი სემინარია არსებობს და აქამდის სემინარიელებმა წირვის საგალობლებიც არ იციან. სასწავლებლებს და მთავრობას ვაბრალებთ, არ ასწავლიანო. მართალია, მაგრამ ჩვენი ბრალიც არის: როგორიც ერი, ისეთი მღვდელიო. ერთმა ბედშავმა ვლ. აღნიაშვილმა ერთხელ მთელი საქართველო აამღერა. ეხლაც იმის სიმღერებს ვმღერით. მაშ იმან როგორ მოახერხა ეს, როგორ ასწავლა, ხომ არც მთავრობა, არც რამე სასწავლებელი არ ეხმარებოდნენ? ჩვენი სამღვდელოება უხვად იხარჯება, და სემინარიაში გალობის სწავლების ბადლათ, რომ ერთ რომელსამე მონასტერში, აი თუნდა დარიის მონასტერში, დააარსოს ქართული საგალობელი სახლი, უფრო მეტს სიკეთეს იზამდა ხალხისათვისაც და ეკლესიისათვისაც. რაც ბერიკაკი გ. კარბელოვი აღარ არის, ქართული გალობაც გაჰქრა. მართალია შვილები დარჩა, მაგრამ ეხლანდელ დროში გალობის ლოტბარებს უნდა მუზიკალური განვითარებული განათლება ჰქონდეთ. ჩვენი ყური მიჩვეულია რუსულ გალობას, მუზიკალურათ მოწყობილსა, რიხიანსა და წყნარსა, და როცა ადარებთ ქართულ გალობას, ეხლანდელი მოუმზადებელი მგალობლებისას, ხრინწიანი ხმებით მყვირალთა და მჩხავანთა, გული გმინავს, და ერთხელ რომ მოისმინო, მეორეთ საყდარში შესვლა აღარ გინდა, მოუწყობელი, არეულ-დარეული, უგზოუკვლო გალობა თავს გაბეზრებს. სემინარიელებს ქართული გალობის მასწავლებელიცა ჰყავთ და კვირაში ერთხელ ქართულ წირვა-ლოცვასაც ასრულებენო. მაშ რა დაემართათ, რომ თოთხმეტს იანვარს წირვის გალობა ვერ მოახერხეს? ის არა სჯობია, რომ სრულიად არ გამოვიდნენ ხოლმე საგალობლად, თორემ უცხოელებს ეგონებათ, რომ ქართული გალობა ასეთია—უმი, უკილო და დუნე. წმ. ნინოს პარაკლისზე სემინარიელებმა ლოთი-ფოთური მრავალჟამიერი შემოსძახეს, ქორწილებში რომ მღერიან ხოლმე, ეგრეთვე იციან სემინარიელებმა კანიკულებში სოფლებში. სოფლის რომელსამე ეკ-

ლესიაში მოიყრიან თავს ხუთი-ექვსი სემინარიელები, მოჰყვებიან გალობას არეულ-დარეულათ და სიმღერით ათავებენ, არც ერთხელ არ ყოფილა, რომ სემინარიელებს წირვა უდიაკვნოთ დაესრულებინოთ, ყოველთვის საფანელი აკლდებათ. ბევრჯელ მიცვალებულის წესის ასრულებაზედაც ესწრებიან და გალობენ, წინაც უძღვებიან „წმინდაო ღმერთოს“ გალობით, და წარმოიდგინეთ, როცა შორიდამ შემოგესმებათ გალობა, გგონიათ, რომ „მუმლი მუხას“ მღერიან, მაყრიონი მოდისონეტა ვინ ასწავლათ ეს კილო, ან საიდამ შემოიღეს, კარბელოვის „წმიდაო ღმერთო“ სიმღერას სრულიად არ წააგავს!..

მაშ ისევ ღმერთმა უშველოს ქვაშვეთის ქართულ ხოროს, იმაზე უკეთესი ჯერ საქართველოში სხვა არ არის, თუმცა პრანჭია-დამძრახავები ბევრი ჰყავს: და თუ ცოტა ხმებს კიდევ მოუმატებდეს, უკეთესი იქნება და მეტიც აღარა მოეთხოვება-რა დღევანდელ ქართულ ლოტბარობის ურარაობაში.

„კავკაზში“ იყო მოკლე ბიოგრაფია ახალ მღვდელმთავრის ექვთიმესი, მისი მოღვაწეობა და საქმენი, ღირსად მოსახსენებელნი. ქართულ გაზეთებში „ივერიის“ გარდა ვერსად შემხვდა რამე მოხსენებული პატივცემულ მწყემს მთავარზე. მისმა მეუფებამ მთელი თავისი სიცოცხლე და სამსახური განვლო ჩვენს შორის, ჩვენს ქალაქში, ბევრს ჩვენთაგანს გაუწია შემწეობა და დახმარება, ხოლო სახარების მიმყოლი სიმშვიდით, მარცხენა ვერა გრძნობდა, თუ რას აკეთებდა მარჯვენა ხელი. დიდათ პატიოსანი მღვდელმთავარი მომასწავებელი მაგალითია ახლანდელ ჩვენს მწარე ხანში, თუ რა ნაირათ მოვაწყოთ ჩვენი კერძო ცხოვრება, რომ არ გავხდეთ მსხვერპლნი უფრო უმეტესი შეწუხებულ განსაცდელისა, მაგალითი უსაზღვრო მოთმინებისა და გულდახურულის მორჩილებისა. ჩვენ მღვდელთა და ახალმოდის ბერებისათვის აღმზრდელი მაგალითია იგი: ვისაც მათგანსა ჰსურს ქართული მღვთის-მსახურების წესი და კილო შეისწავლოს, უნდა დაუკლებლივ ეს-

წროგოდეს, როდესაც მისი მეუფება წეს-აღსრულებაში ბრძანდება.

წელს ხალხი ბლომათ დაესწრო თოთხმეტს იანვარს სიონში, იმედია სულ ასე იქნება, ღვთისმოსავი მღვდელმთავარი შეჰქმნის სარწმუნოებრივ მიმზიდველობას ჩვენს გაგრილებულს გულში, ხოლო კარგი იქნებოდა, რომ ქართული გალობის საქმე როგორმე მოთავსებულიყოს და მორიგებულიყოს და დიდ სიონში ქართული საკუთარი ხორო იყოს, როგორც ქვაშვეთის ეკლესიაშია. ქართული ხოროა საჭირო სიონში, რუსულისათვის ექსარხოსის ხოროც საკმაოა. ძნელია, ძრიელ ძნელი დაარსება ქართული ხოროსი იმიტომ, რომ ჩვენ უგულონი და უფულონი ვართ, იმიტომ რომ ვართ ერთმანეთის მიუკარებელნი და გულ-აცრუებულნი, მაგრამ შეესაძლო კი არის: რაც ძნელია საქმე გასაკეთებლათ, მისი დასრულება და დამთავრება მეტათ სასიამოვნო, სასახელოა: „დიდება და პატივი“ თავგამოდებულ მოხელეთა და აღმაშენებელთა!

სამეგრელოდამ სამარცხვინო სასაცილოებას იწერებიან: აშორდიებმა გაიმარჯვესო. საკვირველია, იქ აშორდიას რა ალაგი აქვს, საცა საზოგადოების გული ფაქიზია. თუ კიდე შეპილწულმა ადამიანის გულმა ტლაპოს მიაგნო და აშორდია დაბუდა, აიღეთ ნიჩაფი და გამოხვეტეთ ისე, რომ ნარცხიც აღარ დარჩეს. აშორდიას დემურიაც დაჰსწონებია და თავგასული შავი-ზღვის ტაკიმასხარა ხელგადახვეული ატარებს ქვეყნის სამასხარაოდ: მასხარა მასხარას ამხანაგია—ეს ყველამ ვიცით, ხოლო ტაკიმასხარა იმიტომ მასხარაობს, რომ მეორე მასხარაებს თავიანთ სახლში საკუთარი ხელით თავიანთივე კერა ამოაგდებინოს. სხვა რაზე გავამტყუნოთ—ჩვენვე თავს ვეხვევით, ჩვენვე ვემსახურებით ტაკი-მასხარებსა, თორემ დარწმუნებული იყავით აშორდია-დემურიები არავისათვის ხელსაყრელნი არ არიან და ან რა მიაქვავეს: ერთ ღარიბ საღორედამ მეორე დაბალ საღორეში გადაიყვანეს, სადაც ჯორის

კუდივით ადამიანი არც დაგძელდება და არც დამოკლდება. აიღეთ ცოცხი და თქვენს კერას გამოუგავეთ აშორდია-დემუ-რიები და ყოველი ჭირი და ბოროტი აგცილდებათ. ხოლო გამოსაგველად საჭიროა გულის სიფაქიზე, ჯერ ყველანი გა-ფაქიზდით გულით, სულით, ერიც, მღვდელიც, თავადიც და აზნაურიც. გულის სიფაქიზე მისწრების წამალია ყოველი გა-ნსაცდელისაგან.

.ყველა ადამიანს უპირველეს ყოვლისა უნდა თავისი თა-ვის შეგნება ჰქონდეს, ქართველი ხალხი ისტორიული ერია, ჩვენ ვერავინ რას გაგვაკვირვებს, ჩვენა გვაქვს ჩვენი ეროვნე-ბის და ზნე-ჩვეულების შეფერებული განვითარება, რომელ-საც ეხლა წარამარად „კულტურას“ უწოდებენ. ქართველთა კულტურა ჭეშმარიტი ქრისტიანობაა, ძმათა სიყვარული, მე-ზობელთა შეწყნარება და პატივისცემა, უფროსის მორჩილე-ბა და ბატონის ერთგულება; ქართველთა ლიტერატურა, ხა-ლხის სინიდისი და პატიოსნება არასოდეს არ ჩამორჩომია არა რომელ წარჩინებულ ხალხთა საუკეთესო მიმდინარეობას, ხო-ლო ბოლო დროს ქართველობამ პირი აუქცია და ვერ შეი-თვისა თანამედროული „ხალხთა ველურობა, ბარბაროსობა, გარყვნილობაა, რომელსაც „კულტურას“ უწოდებენ. ევრო-პიულ კულტურას ჩვენ დროში ეხლა კაცთჭამიობას ავალე-ბენ და რადგან ქართველი ვერ ითვისებს ამ გათახსირებულ „კულტურას“, ამიტომ დავარდნილის სახელი დაერქვა. დიახ, დავარდნილები ვართ იმიტომ, რომ პატიოსნები, სინიდისია-ნი, კაცთმოყვარენი და შემწყნარებელნი ვართ, ამიტომაც წა-პილწული „კულტურის“ მექონენი ჩირქს სცხებენ ჩვენს ეროვ-ნებას, ენას, ეკლესიას და ლატაკათ გვხდიან სულიერად და ქონებრივად. ჩვენ ჩვენი ისტორიული გზა და კვალი გატარე-ბული გვაქვს და ამ გზაზედ უნდა ვიდგეთ და ვიაროთ: ბევ-რი მოვა, ბევრი წავა—ჩვენ კი ჩვენს გზას არ უნდა გადვუ-ხვიოთ: თუ მე კარგი ქართველი ვარ, თუ მეგრელიც კარგი ქართველია—ყურს არავის ვათხოვებ, ვინც რა უნდა თქვას:

ჭინჭრაქების ცრუმსწავლულებმა რამთონიც უნდა იჭიჭინონ—შენ ვრაცე კი არა სომეხი ხარო, რაც უნდა რა მიჰქაროონ—მაინც ქართველობას ვერ მომაშლევინებენ, ვანქის უბანში ვერ მალოცებენ, ჩემი მალოცავი იყო, არის და იქნება დიდი სიონი: მეც, შენც და სხვაც ქართველ ეროვნობის ვალსა და უღელს ძველებურათ, როგორც ისტორიამ მიგვაჩვია, ვეწევით და ალოსაც გავიტანთ. ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო: თუ მეგრელი კარგი ქართველია, რაც უნდა ამლაშონ ტაკიმასხარებმა და მაწანწალა წვერცამეტებმა, იგინი ვერ შემუსვრენ ჩემს გულში ჩემს ეროვნებას, არ მასწავლიან ქართულათ—იმის სასწავლებლის დერეფანში ალარ გავივლი, ქართულათ არ გამანდობს, იმასთან ალარ ვეზიარები, არც იმის საყდარში შევალ, არც ავს ვიტყვი, არც კარგსა, ის თავისთვის, მე ჩემთვის; თუ ჩვენ გული წმინდა არა გვაქვს—მაშინ ყველა მაწანწალა წაცადუნებას მივსდევთ, და აი ამათ წაპილწულ გულში ბუდობენ აშორდია-დემურიები. დიახ, საჭიროა გულის სიფაქიზე და სულის სიმაღლე: მაშინ ყველა ჩვენს ხელში დარჩების.

17 იანვარს. „ივერიას“ უფრო ნაკლები ხელისმომწერლები ჰყავსო, სანამ სხვა ქართულ გაზეთებსაო, სიამოვნებით ბრძანებს ერთი თფილისელი არა ქართული გაზეთის თანამშრომელი.

ევროპიელებმა იციან: რა კაცი ხარ, მავნეს მეგობარი ხარო. ჩვენში კი უნდა ასე გადავაკეთოთ: ვინც მტრის მოსაწონია—ის ჩვენი იუდაა! ჩვენი მტერი ჩვენთვის კარგ გაზეთს მოიწონებს? ჩვენი უვარგისობა მტრის სიამოვნებაა და გველივით ჭრელ გაზეთსაც „ივერიის“ დამცირება იმიტომ ახარებს, რომ „ივერია“ ქართული გაზეთია არა მარტო იმიტომ, რომ ქართული ასოებით იბეჭდება. სხვა გაზეთებიც ქართული ასოებით აწყობილნი არიან, ქართველი ბიჭები აწყობენ, ქართველი ახალგაზდა ყმაწვილები ავსებენ მასალით—მაგრამ სული და გული კი ქართული არ უდგათ! ამიტომ მტერს უხა-

რიან და ხელების ფშვნეტით გაიძახის: „ივერია“ ღმერთმა შეინახოს, აი სხვები წარჩინებულნი არიანო. და ეს ქება მტრის ენით იმის შედეგია, რომ ჩვენი გაზეთები ყოველგვარის მიმართულებისანი არიან, ხოლო არა ქართულისა; მაშასადამე, ისინი საქართველოს არ ემსახურებიან, ისინი უფრო მტრის ბანაკს ამაგრებენ, მტერს მხარს აძლევენ და ციხეს კი შიგნიდამ აქცევენ. მავნე გაზეთები სულ რომ არ არსებობდნენ ისა სჯობია: ქუჩაში კი მტერი იმათ ტაშს უკრავს და აქეზებს და მოგეხსენებათ—რეგვენს რომ ტაშს დაუკრავ, უფრო თავს მოიწონებს და ცეკვას იწყებს.

ჩვენ ისეც გზადაბნეულები ვართ, რაღა საჭიროა ქადაგობა კოსმოპოლიტობისა და გარეწრობისა: ქართველს თავისად აღარაფერი არ აბადია, გაფხეკილი ფარაჯაც კი სხვისა აცვია, და თანდათან ავიწყდება, რომ ყველა ადამიანს თავისი ეროვნული სახე უნდა ეტყობოდეს. მგონია „მოგზაურის“ გამომცემელიც გარექვეყნიაობის ქარისაა, ამასაც ვგონებ ისე მიაჩნია: იყოს კი და შენია თუ ჩემი სულ ერთიაო. კარგი საქმეა არაჩემიაობა, მხოლოდ თუ ყველანი მიჰყვებიან ამ მცნებას: საუბედუროთ ასე არ არის. ჩვენ გვეუბნებიან: რაც თქვენია ჩვენიაო და რაც ჩვენია ისიც ჩვენიაო. ჩვენ ხომ აღარა გვრჩებარა და რადგან ჩვენსაც სხვები—გარეულები—ჩემულობენ, ჩვენ პირცარიელები ვრჩებით და გატლეკილები. ცხენს ვერა დააკლორა, უნაგირს წაუშინაო, ჩვენი საქმეც ასეა: გაჯავრებულები მივრბით და ჩვენს თავად-აზნაურებს ზედ თავზე ვაქცევთ სახლკარსა: რაც თქვენია—ის სულ ჩვენიაო და თქვენ ხელცარიელები უნდა ეყარნეთო. წამქეზებლებიც ბევრი გვყვანან, შინაურიც და გარეულიც. ღვთის მადლით კბილებსაც ბევრი ვიგინდარა უკრაჭუნებს თავადაზნაურობას! ბევრი ესწრაფის მათს საბოლოოთ დამხობას, ჩვენც ხელს ვუწყობთ, ვაქეზებთ, მდაბიო ხალხს ვაბრიყვებთ, თავადებს მამული ვინ მისცათ, სულ თქვენიაო. ქართველი ხომ ყბაღიაა და ყბაღია კაცის ბიჭობაც დაბალ ღობეზე ხტომაა და საცა

მოატანს მარჯვეთ—აღარ ინდრეს, ვიოლომ თავადაზნაური შემოსეული მტერი იყოს ქართველებისა. რა საკადრისია, რომ თავადაზნაურობას, ჩვენს ღვიძლსა და გულის ძმათა და შვილთა ხელი შევახოთ და წავართვათ, რაც მისი საკუთრებაა, შეძენილი სისხლითა და ცეცხლითა; თუ შეგიძლიან წაართვით იმათ, ვინც თქვენ გაგაღატაკათ, ვინც კერას წამოგიჯდათ, ნათლიათ გაგიხდათ და რაც კი გაბადიათ, სახლი, კარი, მამული და დედული თავისთვის მიიტკუცა. ჩვენი გაზეთები დაუპატიჯებელ სტუმრებს ურუკრუკებენ და იმათ ტაციაობაზე არამც თუ ხმას არ იღებენ, პირიქით სხვებსაც ჰკიცხავენ და თავადაზნაურობას კი ცეცხლს აყრიან: ჩვენში, თუ კი დაგვანებებენ, იმოტელა დედულმამულია, რომ ყველასათვის თავსაყრელია, ყველანი დაეტევიან—მღვდელიც, ერიც, თავადიც და აზნაურიც.

შინაურებზე გაიმარჯვეთ, ბარაქალა თქვენს ბიჭობას „გარეთ მხდალნო, შინ ძლიერნო!“. ჩვენს მოსისხლე მტრებსაც ეს უნდათ და სულელებს ტაშს უკრამენ! „მე ქართველი კი არა ვარ, კაცი ვარო“,—გაიძახიან გზაკვალდაბნეულები. ასე ჰგონია, ქართველი კი კაცი არ იყოს. საუბედუროთ ბევრი მიმყოლი ჰყავს ამ გაძახილს და მრავალიც უგზო-უკვლოდ დაეხეტიალება ამ შხამით მოხიბლული. ეგრეთვე ჩვენი მოსწავლე ახალთაობა: სწავლით არა სწავლობენ, საქმეს ვერ ასდიან და უთავბოლოო მეტიჩარაობაში ერევიან, თავისასაც და თავის ტოლების საქმესაც აფუჭებენ. ჯერ შეისწავლეთ საქმე, რაზედაც დგეხართ შეასრულეთ სწავლის ვადა, შეეჩვიეთ საქმეს და სრულ ჰყავით თქვენი მისწრაფებანი, ჭაბუკის წმიდა გრძნობანი და მერე გამოიჩინეთ უნარი, თქვენსა და თქვენს ტოლების საქმეს ნუ ფუშავთ—დათვის მეგობრობას ნუ სჩადი: ხართ და „არამკითხე მიამბეობას“ აშორდით. სომეხმა იცის-ჯიბეცარიელი კაცი რის მაქნისიაო, და ჩვენ კი ჯიბის გარდა თავცარიელებიცა ვართ—ამიტომ ჩვენი განუწყვეტელი საქვეყნო ვალია: ვისწავლოთ, ბეჯითად ვისწავლოთ!“...

23-ს იანვარს. ხერსონიდამ იწერებიან: ყ-დ მეუფე კირიონმა 13-ს იანვარსა შეასრულა ღამისთევითი ლოცვა, გამოასვენა ხატი წმ. ნინოსი და 14-ს სწირა და გარდაიხადა წმ. ნინოს პარაკლისი საველრებელი ლოცვის წაკითხვით. ხალხი მრავალი დაესწრო, მომეტებულათ იყვნენ ქალები და „გიმნაზისტკები“, ვისაც ნინო რქმევია. წმ. ნინოს ხატს თხოულობდნენ და არსად იყო საშოვნელად, ეგრეთვე მთელ რუსეთში თხოულობენ ხატებსა წმმ. ნინოსას და თამარისას და საშოვნელად არსად არის.

დიახ, ძლიერი რუსეთის მართლმადიდებელი მრევლი მხურვალე სასოებით და მოწიწებით თაყვანსა სცემს საქართველოს წმინდათა და ემუდარებიან ივერიის მღვთისშობლის ხატსა და მრავალი მლოცველი ესწრება ამ დღეებში აღსრულებულ ღვთისმსახურებას ეკლესიებში. და ჩვენშიღა? ჩვენში კი გულგრილათ ვეგებებით ჩვენს წმინდანების დღეებს, ჩვენს სასწავლებლებში არ დღესასწაულობენ, ქალების გიმნაზიებში სრულიად არ იციან ეს დღეები როდის იუქმება. წელს ამის გარდა ერთს გიმნაზიაში რამოდენიმე ქართველი ყმაწვილი წავიდნენ სიონში მღვდელმთავრის წირვის მოსასმენათ—და მთავრობამ არ მოუწონათ. სიონის გარდა სხვა ეკლესიებში წირვაც კი არა ყოფილა, და მაზრების საბლაღოჩინოებში და სამრევლო ეკლესიებში სოფლის მღვდლებს ხომ არც კი გახსენებიათ თოთხმეტი იანვარი. განა ბლაღოჩინებს და მღვდლებს დეემდურებათ ვინმე, რომ თავის მრევლის დასწრებით ეკლესიებში სწირონ და წმ. ნინოს პარაკლისი გადიხადონ, წარმოსთქვან შესაფერი ქადაგება და ხალხი მიაჩვიონ თოთხმეტ იანვრის დღესასწაულობას. დადებულია, რომ წმ. თამარის დღე ვიუქმოთ პირველ მაისს და არსად კი არ დღესასწაულობენ, ტფილისში მარტო ანჩისხატში არის ხოლმე ამ დღეს წირვა, ისიც შემოიღეს მას აქეთ, რაც მღვდლათ დაინიშნა ბ. კარბელოვი. ნურავის ნუ ვემდურით, ყველაფერი ჩვენი „ბოროტებისაგან“ წარმოსდგება: მღვდლები და ბლაღოჩინე-

ბი შეუგნებელი და გულგრილი მფარველები არიან წმ. სახარებისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა, მღვდელს არავინ დაუშლის, რომ წესი და რიგი აასრულოს, თითონ უცოდინარნი, დაუდევარნი, უზრუნველნი არიან და სხვას ვაბრალებთ. „შენ შენი ვალი წმინდათ შეასრულე, სანთელი მადლს არ დაჰკარგავსო“—ხალხმა იცის—და სამდურავსაც არავინ გეტყვის.

წმ. ნინოს სახელობაზე ეკლესიები მარტო კახეთშია, მთელი ქართლი (გარდა მცხეთისა) და იმერეთი რომ მოიარო, ვერ შეხვდები ქართველ განმანათლებელის სახელით აშენებულ ეკლესიას ან სალოცავს; ქ. გორში სამასწავლებლო სემინარიაში სახხლის ეკლესია წმ. ნინოსი დეკანოზმა ლ. ტურიევმა დააარსებინა ეხლახანებში; კახეთშიაც უქმობენ თოთხმეტს იანვარს იქ, საცა ნინოობაა—დღეობა; ბევრმა მღვდელმაც არ იცის, რომ ამ დღეს უნდა უთუოთ სწიროს და ბევრსაც ეხლაც არ ეცოდინება წმ. ნინოს ცხოვრება და მოქმედებანი. მღვდელთა უცოდინარობა ამ ოცდახუთი წლის წინათ კიდევ შეიძლებოდა გვეპატიებინა, და მას შემდეგ კი, რაც პატივცემულმა დეკანოზმა დ. ღამბაშიძემ იწყო გამოცემა „მწყემსისა“ სოფლად, მარტოთ-მარტო, თავისი საკუთარი ძალღონით და მასთან პატარ-პატარა წიგნების ბეჭდვა, საქართველოს წმინდანების ცხოვრების მოთხრობა და გავრცელება, და რაც უიღბლო და ბედშავმა სამუდამოდ სახხენებელმა მ. საბინინმა გამოსცა „ცხოვრება ქართველთ წმიდანებისა“ რუსულად და „საქართველოს სამოთხე“ ქართულად—მას შემდეგ უცოდინარობა საქართველოს საეკლესიო ისტორიისა შესაწყნარებელი აღარ არის. ნეტავი გვაცოდინა—ყველა მღვდელი იწერს ჟურნალს „მწყემსს“ და ყველა მღვდელსა აქვს გაცნობილი „საქართველოს სამოთხე თუ არა?“ საკუთარი გამოცდილებით ვიცით, რომ მომეტებულმა წილმა არ იცის ისტორია და არც ამ წიგნს იცნობენ ბევრი ახალკურს დამთავრებულნიც. ამნაი-

რად არიან მომზადებულნი ჩვენნი მღვდლები საქართველოს ეკლესიის სამსახურისათვის.

28 იანვარსა. „ცნობის ფურცელი“ ემდურის ჩვენს საზოგადოებას, თუ ქართველებმა რათ იგლოვეს ველიჩკოს სიკვდილი და შემდეგ ჩამოგვითვლის, თუ რამ ცუდი უთქვამს და გულში გაუფიქრნია ქართველებზე ნეტარხსენებულ განსვენებულს. ქართველი ხალხი მით არის კარგი და სხვებზე წარჩინებული, რომ გულკეთილია, ადამიანის შემწყნარებელი და მეზობელთან, ნამეტნავათ, უცხოებთან, მორიგებული. იქნება მეზობელი თავისი ქართველი არ გაიტანოს, კიდეც უმტროს და შურიც გაუწიოს, უცხო მეზობელს კი ყოველთვის შეიწყნარებს. კარგი თვისებაა უცხოთა შეწყნარება, ხოლო თავისასაც პატივისცემა უნდა და შინაური კაცის მეზობლური ვალი და რიგი არ დაივიწყოს. თუ უცხო მეზობელი მორიელათ გადაგექცევა, შენც თუ გინდა ცოცხალი დარჩე, მკბენავი და შენის სისხლის მსუტავი უნდა წყალში ჩააყურყუმელაო. ქართველები შეჩვეულები ვართ წამებასა და ტანჯვასა, არსაიდამ არ გვესმის შესაწყნარებელი და ჩვენთვის დახარჯული კეთილი სიტყვაც კი, ყველა ჩვენა გვტუქსავს, უპატიოთ გვხდის, გვართმევს რაც კი გვაბადია. ყველა ჩვენა გვლუპავს, ჩვენ კი არავისთვის ცუდს არა ვდომობთ და გულკეთილათ გავიძახით: ღმერთმა ყველას უშველოსო, ჩვენა ვართ ნამდვილი ქრისტიანები! ამ დაბრიყვებულ ყოფაში მცირე და წყნარი სიტყვაც, კეთილის თვალით გაღიმება გულს გვიკეთებს და გვასიამოვნებს. გამოვიდა ერთათ-ერთი კაცი, რომელიც არ შეუშინდა ჩვენს მტერ-მოყვარე მეზობლებს და საქვეყნოთ გამოაცხადა: უსინიდისობაა ქართველი ხალხის ჩაგვრა, იგი შესაწყნარებელი და პატიოსანი ხალხია, ისეც მრავალტანჯულიაო! ამის თქმაზე საცოდავს მიესივნენ შინაურებიც და გარეულებიც, მქელავებს ბანი მივეცით ჩვენცა, და სიცოცხლეში ხომ არ მოვუსვენეთ და ახლა საფლავშიაც ალარ ვაყენებთ. „ც. ფ.“ ემდურის განსვენებულს იმისთვის, რომ

ჩვენი ცუდი თვისებები გამოაქვეყნაო და გაჰკიცხაო! ახლა კიდე: ერობა, მაღალი სასწავლებელი, თვითგამგეობა ჩვენთვის დაიშურაო! ჯერ ერთი: ველიჩკოს სიტყვით არცა რას მოგვცემდნენ, არცა რას წაგვართმევდნენ. მერე რამ ათქმევინა ის, რაცა სთქვა ჩვენზე უსიამოვნო: ჩვენმა მოუწყობლობამ და ყბაღიაობამ, ჩვენმა დაუდევრობამ და წვრილმანობამ. უცხო კაცი ვერ შენიშნავდა, თუ რა დღეს გვაყენებენ ჩვენი მეზობლები? რომელ და რამდენს ქართველს უდგია ფეხი ქალაქების გამგეობაში, საცა მეზობლები მეფობენ, და რომელი უკეთესი ჩვენი ქართველი, საცა კი მოატანეს, არ დაწიხლეს მათ?! თუ ესენი კარგი მეზობლები არიან, უნდა ქართველობას ხელი დაახმარონ, თან მიიყოლონ საზოგადო საქმეში; ამის ბადლათ იგინი გაიძახიან: რა თქვენი საქმეა, დაიღუპენით აქედამ, ყველაფერი ჩვენიაო! ქალაქის გამგეობიდამ არ გააძევეს კარგათ ცნობილი ნიკოლაძე? ახალგაზდა, სიმართლის მიმდევარმა, პატიოსანმა კაცმა დაინახა თავგასული სიმამაცე მეზობლებისა და იმის პასუხათ თავდახრილი ლაჩრობა ქართველობისა და რა საკვირველია, რომ ჩვენთვის არა სასიამოვნო დასკვნას მიადგა. ჩვენს ბადლათ უცხო კაცმა სიტყვა აამაღლა, როგორც ეკუთნის გამჭრიახს და მძლავრს რუსს, თვალი აგვიხილა და გაგვაცნო ჩვენი ნათლია მტერმოყვარეები. ჩვენ არაფრის თქმის ღონე არა გვაქვს, არც გასავალი აქვს ჩვენს ტირილს და ჩივილს, საჭირო იყო კაცი მართალი, პატიოსანი, გამბედავი და უშიშარი, რომელიც ვერ წაიქცევის მეხისგან და თავს არ მოუხრის ქარიშხალს, ამ კაცმა გაგვამხნევა და კიდეც გვამხილა „ცოდვათა ჩვენთასა“— და ამიტომ ლანძღვითა და გინებით ვიხსენიებთ მას!? მართლა რომ, როგორც ნათლიები გვეძახიან, „ქართველები“ ვყოფილვართ.

რა სასიამოვნოა და სასახელო, რომ მამულსა და დედულს მოშორებული იმერელი, გზათა უკან დაიარება გაქსუებული და „აპელაციისა და რეშენიების“ ჩხრეკაში ატარებს

დღე და ღამეს; რა სანუგეშო მოვლენაა, რომ მეგრელები აშორდია-დემურიების პირით ქართველობაზე უარს ჰკრამენ და ქართული თავის სამშობლო ენათ არ მიაჩნიათ; რა დიდი სასახელო საქმეა, რომ უსაქმო მოხეტიალე თავად-აზნაურობის ზოგი ყმაწვილები ახოვან სიყმაწვილეს უქმათ ატარებენ, დღითი დღე ღატაკდებიან და ბოლოს ავკაცობაში ჩათრეულნი ციმბირის გუბერნიებში თავებს ამოჰყოფენ ხოლმე. სომხებმა იციან, ციმბირში ორი სოფელია თავადებისაო! უსაქმობით გაავაზაკებული კაცი სამშობლოსათვისაც მავნებელია და შემარცხვენელიც თავის გვარისა და სახლისა და ის არა სჯობია, რომ მოცლილმა თავადაზნაურობამ სადმე მანჯურიაში ან ოსმალეთის საზღვრებზე ოფლი მოიწურონ, დაიმსახურონ სახელი, პატივი და ქონება შეიძინონ? ოსმალეთის ომის შემდეგ, როცა რუსეთმა ჩამოართვა ოსმალს ძველი მესხეთი, არტაანი, ტაო, ოლთისი და კოლა, ერთ რუსულ გაზეთში, ვგონებ „ნ. ობ.“-ში ვლ. მიქელაძემ, აღარ მახსოვს კარგათ, დაბეჭდა მშვენიერი სტატია, სადაც ის აზრი გამოსთქვა, რომ კარგი იქნებოდა გაღარიბებული, უმამულო იმერეთის თავადაზნაურობა გადაესახლებინათ ოსმალეთის საზღვარზე მალაკნების, ბერძნების და სომხების ბადლათ, რომლებითაც ავსებდნენ მთელ ყარსის სამფლობელოს და ოლთისს. ყველას მოეწონა და არავინ ვგონებ მიქელაძეს მტრობაში არ ჩაუთვალა. უმამულო და უსაქმო კაცი თუ შინ საქმეს ვერ ახერხებს და ვერა შოულობს, ურიგო იქნება რომ მანჯურიაში გადიხვეწოს სარჩოს საშოვნელად? არც მტერი და არც მეგობარი არა რეულა, მაგრამ ოფიცერი იაშვილი გადავიდა თავის ნებით მანჯურიაში, შეიძინა ალაგი და ამბობენ მშვენიერი ვენახი ააშენაო. დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ, რომ მანჯურიაში თავის ცხოვრებას რიგზე მოაწყობს, შეძლებას იშოვის და თავის ქვეყანაში ზურგ გამაგრებული უფრო მხიარული სახით და პირნათლათ დაბრუნდება. აქ კი ჩვენი უმამულო და უსაქმო თავადაზნაურები ვალებში იხრჩობიან და კარაპეტების ხელ-

ქვეითები ხდებიან, სანამ სულ არ გამოსწუწნამენ. მართლის თქმისთვის კი პატიოსან კაცს უპატიოთ იხსენიებთ— ეს არაფერი, და ვინც ღირსეულ ადამიანს ღირსეულათ მოიგონებს და მოიხსენიებს ის კი ახალცხოვრების „მოწყვეტილი“ არის? „ჩემო დაო, რათ ათითებ ტყუილათ სხვებსო, შენს თავზე რომ დაიხედო, მე ვგონებ ისა სჯობსო“.

1 თებერვალი. ამ დღეებში „ღალატი“ დაუდგავთ ჩვენს თეატრში. „ივერია“ უწონებს მოთამაშეთ, მსახიობთ ძრიელ კარგათ წარმოუდგენიათ ეს ჩინებული დრამა. ასეც უნდა ყოფილიყო და ჩვენმა გაზეთებმა კი ჩვეულებრივათ გადააჭარბეს, როგორც სამუდამოთ ზნე სჭირთ. გადაჭარბება ურიგო არ არის მტრის გასასრესათ, ბოროტის ამოსათხრელათ. შინაურზე გადაჭარბება კი ჩვენი საკუთარი მომაკვდავი სენია. სახაზინო თეატრში პირველათვე მსახიობებმა ღვთის წინაშე რიგიანათ ითამაშეს; მართალია, ბევრს კარგათ არ შეესწავლათ თავისი როლები, ზოგიც გამოსტოვეს, მაგრამ ისეთი არა დაუშავესრა, რომ კბილის დასადგმელები გამხდარიყვნენ და გამომეტებული ღირღნის ღირსნი; საზოგადოთ კი კაცებმა უფრო ჩინებულათ ითამაშეს ქალებზე და ქართველი მსახიობი კაცები, ბესოს გარდა, რუსისაზე უკეთესები იყვნენ, როგორც ოთარბეგი, დათო, ანანია,საბა. ქალები კი რუსისანი სჯობდნენ მორთულობაშიაც კი. იქნება ჯერ რუსულათ რომ არ ენახა ქართველ საზოგადოებას ამ დრამის წარმოდგენა, ასე გამომეტებით არ დაეძრახათ. რა დიდი შემოსავალი და განცხრომილი ცხოვრება და პატივი აქვთ ჩვენს მსახიობთ ჩვენგან? ბევრს რასმე მივართმევთ ხოლმე ბენეფისებში ან გონჯა კალათით ყვავილები ან კიდევ ხელით შეჯღანილი ბალიშის პირები; ოქრო ვერცხლისა და ალმაზის მირთმევა იშვიათათ. ვიცით. რა საკვირველია, ეს იმიტომ, რომ ღარიბები ვართ და ამით ბოდიში მოგვეხდება. ძრიელ კარგი—დასაჩუქრებაში სიღარიბის ბოდიშით მივესალმებით ხოლმე და თავზე ლაფის დასხმაში კი სიმდიდრის რიხით მივდივართ იერიშით! სწორეთ ქართული გაუტანლობა და შინაურების ფეხქვეშ თელვაც ეს არის!..

* * *

პირველდაწყებითი საერო განათლება ინგლისსა და ბრაზილიაში.

როგორც მოგვითხრობს ჟურნალი „Русскій Нач. Учит.“-ი, პირველ-დაწყებითი განათლება ინგლისში უსასყიდლო და სავალდებულოა. სკოლებში არსებობს ვრცელი პროგრამმა: ასწავლიან სამშობლო ენას, ანგარიშს, გეოგრაფიას, ისტორიას, ბუნების-მეტყველებას და აგრეთვე ალგებრას, ფიზიკას, ქიმიას, ნემეცურ და ფრანგულ ენებს. ნორმალური კურსი პირველ-დაწყებითის სკოლისა შესდგება შვიდი კლასიდგან. მდგომარეობა მასწავლებლობისა მეტად უზრუნველ-ყოფილია: მასწავლებელნი კაცნი იღებენ 1240—3000 მანეთამდე წლიურად, მასწავლებელნი ქალნი კი—830—2000 მანეთამდე.

—

ბრაზილიაში იმპერატორის დონ-პეტროს მეორის თაოსნობით, 1851 წელს, 17 სექტემბერს, დადგენილ იქმნა პალატის-მიერ კანონი პირველ-დაწყებითის სწავლის შეცვლის შესახებ სატახტო ქალაქ რო-დე-ჟანეიროში. მოქმედება ამა დადგენილებისა დაიწყო მთავრობის ბრძანებით 1854 წლიდგან და იმყოფებოდა ძალაში 1889 წლის 15 ნოემბრამდე, მონარქიის დაცემამდე. დასაბამითი აზრი ამ კანონის დადგენილებისა იყო: გავრცელება პირველ-დაწყებითის განათლებისა სატახტო ქალაქში; მომზადება პირველ-დაწყებით სკოლათა მასწავლებლებისა და უზრუნველ-ყოფა მათი აწმყოსა და მომავალში; დაარსება ინსპექციისა, რომელსაც უნდა დაჰვა-

ლებოდა მართვა-გამგეობა და ყურის გდება ყველა სამოსწავ-ლო დაწესებულებათა. ეხლა გეგმა პირველ-დაწყებითის განა-თლებისა იქ საკმაოდ შეცვლილია. საზოგადოთ პირველ-დაწ-ყებითი განათლება ბრაზილიაში უსასყიდლოა, მაგრამ ზოგან სასყიდლიანი სკოლაც არსებობს. პირველ-დაწყებითი სასწავლე-ბლები ინახება იქ დაბა-ქალაქების ხარჯით და განიყოფება სამ კატეგორიად: 1, საბავშვო ბაღები, 2) პირველ-დაწყებითი სკოლები პირველი ხარისხისა და 3) პირველ-დაწყებითი სკო-ლები მეორე ხარისხისა. საბავშვო ბაღები არსებობს ორივე სქესის ბავშვთათვის, 4—7 წლის ბავშვებისთვის. პროგრამმა სწავლისა ასეთია: ფიზიკური ვარჯიშობანი, შეერთებული სი-მღერასთან; მუშაობა; პირველი წესები ზნეობრივის აღზრდი-სა; ვარჯიშობანი სამშობლო ენაზედ, კითხვა, წერა, შესწავ-ლა ციფრებისა, ანგარიში და ხატვა. პირველ-დაწყებითი სკო-ლები პირველი ხარისხისა განიყოფება სავაჟო და საქალებო სკოლებად. ორივეში ბავშვები მიიღებიან 14 წლოვანებამდის. სწავლა ასეთ სკოლებში შესდგება სამი კურსიდგან: პირველ-დაწყებითი, საშუალო და დამატებითი. თვითეულ კურსს აქვს ორი კლასი; მთელი კურსი კი გრძელდება ექვსს წლამდის. ამ სკოლაში ისწავლება შემდეგი საგნები: წერა-კითხვა, პრაქ-ტიკული არითმეტიკა, ფრანგული ზომები, მიწის ზომვა, გე-ოგრაფია, ისტორია ბრაზილიისა, ელემენტარული ფიზიკა, ბუნების-მეტყველება, მოქალაქური და ზნეობრივი აღზრდა, ხატვა, პატრიოტული სიმღერები, გიმნასტიკა, სამხედრო ვარ-ჯიშობანი, მუშაობა და მეურნეობა.

მეორე ხარისხის პირველ-დაწყებითს სკოლებში სწავლა განიყოფება სამ ნაწილად და შესდგება შემდეგის საგნებიდ-გან: კალიგრაფია, პორტუგალური და ფრანგული ენები; ელე-მენტარული მათემატიკა, გეოგრაფია და ისტორია (სპეცია-ლურად ბრაზილიისა), ელემენტარული ქიმია, ფიზიკა, ბუნე-ბის-მეტყველება, მეურნეობა, სწავლა სიმრთელის დაცვისა (ჰიგიენა), ელემენტარული საპოლიტიკო ეკონომია, მოქალა-

ქობრივი უფლება, ხატვა, მუსიკა, გიმნასტიკა, სამხედრო ვარჯიშობანი, მუშაობა. სამოსწავლო პერსონალს ყველა სკოლებისათვის შეადგენენ ნორმალურ სასწავლებელში კურს დამთავრებულნი. მკითხველი მიხვდება, რომ ნორმალური სასწავლებლები ბრაზილიაში ჩვენებურ საშუალო სასწავლებლებზედ არა ნაკლები ყოფილა.

ვლადო ბზვანელი.

მნიშვნელობა გამოცანებისა ბავშვების აღზრდაში.

მეხუთე წლიდგან ბავშვების გონების განვითარებას მეტის-მეტად ხელს უწყობენ გამოცანები.

უნდა უყუროთ, რა სიმხიარულე იხატება ბავშვების ცი-ცქიტელა პირის სახეზედ, რთდესაც ისინი ეუბნებიან ერთმანეთს გამოცანებს; როგორის სიამპარტავნით უბჭყვრიალებს თვალები მას, ვინც გამოიცნო, ანუ მოიგონა მაინც წინანდელი გამოცანა!..

— აბა გამოიცანით,—ეუბნება დედა მის გარშემო მსხდომარე ბავშვებს: „რას ნიშნავს: „ოთხთა ძმათა, ტანით ტოლთა, თავზედ ხურავთ ერთი ქუდი?“.

— ახ, ეს რა უნდა იყოს?.. მესმის კია, მაგრამ ვერ გამომითქვამს!ამბობს პაწია ქალი.

— თუ გესმის, მაშ მისი გამოთქმა სულ ძალიან ადვილია... აბა მიიხედ-მოიხედე, იმისთანა ნივთები თუნდა ორიც არის ამ ოთახში,—ეუბნება კვლავ დედა.

— ჰო, ვიცი, ვიცი!..—ტაშს უკრავს ყმაწვილი,—მაგიდაა!..

— ეს რაღაა: „ორ დედას ხუთ-ხუთი შვილი ჰყავს?“—ხელის თითები.

— რათ არის აქ, მაშიკო, ნათქვამი „ორ დედას?“—იმიტომ, რომ ორი ხელია...

— „ერთი ლაპარაკობს, ორი იცქირება?“—ენა და თვალები...

— სჭრის და არ აკაკუნებს?“—ცეცხლი.

— „კაცზედ მაღალი, ღორზედ დაბალი?“—ქუდი.

— გამოცანას მოგახსენებ, დიდი არაფერიაო, ზოგან ყვითელ, ზოგან წითელ, ზოგან ალისფერიაო?—ხალიჩა.

ბავშვი ცოცოტად უნდა მიახვედროთ გამოცანას და უნდა ეცადოთ, რომ მან თითონ გამოიცნოს ხოლმე. როდესაც თითონ ეუბნებით, რასაც გამოცანა ნიშნავს, აუხსენით კიდეც საგანი.

— ბავშვებო, რას ნიშნავს: „კვნესის და არა სტკივარა, ეძებს და არა დაჰკარგვიარა?“—ღორი.

ღორი სულ ხრუხუნებს და კვნესის, თუმცა კი არა სტკივარა და არცარა დაჰკარგვიარა.

—ერთს ტიკჭორაში ორფერი ღვინოა, თეთრი და ყვითელი, რამდენიც უნდა აჭანჭყარო, ერთმანეთში ვერ აურევ? —კვერცხი. კვერცხში თეთრი ცილა და ყვითელი გულია. კვერცხი რამდენიც უნდა აჭანჭყარო, გულსა და ცილას ერთმანეთში ვერ აურევ.

— სირის, სირის ქათამო, სველი ფრთები გასხია, ბუდიდგან რო გამოხვალ, ფიცხლავ სული გაგცვივა“—თევზი. თევზი როცა წყლიდგან მშრალზე გამოდის, ფრთები სველი აქვს, ბუდიდგან (წყლიდგან) რომ გამოვა, ფიცხლავ (უცებ) სული გასცვივა (მოკვდება).

— „გარეთ ოქრო, შიგნით ვერცხლი, ვერცხლში წყალი, წყალში ცეცხლი?“—სამოვარი. არა გაქვთ ეს ნივთი შინ? გასინჯეთ კარგად და სთქვით, რა უგაეს მას ოქრო-ვერცხლსა, სადაა იმაში წყალი და ცეცხლი?

— დავკარ ხმალი, არ დაეტყო კვალი—წყალი. წყალს რამდენიც უნდა დავკრათ ხმალი, არ დაეტყობა კვალი.

— „თეთრი ხნული, შავი თესლი, თესლი მთესავს ეუბ-

ნება"—ქალალდი, რომელზედაც სწერენ; ვინც მაზედ სწერს, მასვე ეყურება.

მრავალი ამისთანა გამოცანების მოგროვება შეიძლება... უნდა გამორჩეულ იქმნან იმისთანანი, რომლებშიაც ლაპარაკია ბავშვისათვის სრულიად ნაცნობ საგნებზედ და რომლებიც შეიცავენ სახასიათო შედარებებს, მისაწდომთ ბავშვების გონებისათვის. გამოცანებს კარგი გავლენა აქვთ ბავშვის გონების განვითარებაზედ, რადგანაც ავარჯიშებენ მათს მოსაზრებას და მკვირცხლ აზროვნებას; აღვიძებენ ბავშვებში გონებით მუშაობის სიყვარულს და უდებენ საფუძველს თვითმოქმედებით ჰაზროვნებისას.

გ. ელგანდაშვილი.

საგლეხო მეურნეობა

და

სესხის საქმე რუსეთში *).

მოვახშენი არსებობდნენ სოფლად ბატონ-ყმობის დროსაც, თუმცა ყოველი ბატონი, საკუთარივე სარგებლობისათვის, მუდამ იმის ცდაში იყო, რომ რამდენადაც შეიძლებოდა, მეტი ღონის და შეძლების ყმები ჰყოლოდა (მეტი შემოსავლის გულისათვის) და ამიტომ ხელსაც უმართავდა ყოველს დასუსტებულს ოჯახს, რომ იგი მოვახშის ხელში არ ჩავარდნილიყო და სამუდამოთ არ დაღუპულიყო. მაგრამ, რადგანაც ბატონები, შეუფერებელი და უანგარიშო ცხოვრების გამო, ხშირად თვითონაც საჭიროებდნენ ფულში, ამიტომ, როგორც ვსთქვით, მოვახშეები მაშინაც არსებობდნენ და დიდი გავლენაც ჰქონდათ თავის სოფლის მეზობლებზე. ეს იყო მიზეზი, რომ ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, ესენი ისე სწრაფად გამოჩნდნენ ყველგან, როგორც სოკოები გაზაფხულის წვიმის მერე. ამას რა თქმა უნდა დიდათ შეუწყო ხელი თვითახალმა ცხოვრებამ: ერთი, რომ გლეხების ნახევარზე მეტმა არ მიიღო თვით ის მცირე ხვედრიც მიწისა (ნადელი), რომელიც იწოდებოდა გლეხის სრულ ხვედრად; მეორე, გლეხებს თან

---

*) იხ. „მოგზაური“ №№ 1—2, 1904 წ.

უნდა გამოესყიდათ თავისი „ნადელები“ და თან კერძო მემამულეთაგან იჯარით აეღოთ მიწები; რისგამოც ოთხმოცი წლების ბოლოში მემამულეთა მიწების ნახევარი უკვე იჯარით იყო აღებული გლეხთაგან და იჯარის ფასმა იმდენად აიწია, რომ მემამულენი მიწის იჯარით გაცემას უფრო სარფად სთვლიდნენ, ვიდრე საკუთრად მეურნეობის წარმოებას. რუსეთის 76 მაზრის ეროობათა სტატისტიკა გვეუბნება, რომ მოხსენებულ წლებში გლეხის თვითეულ ოჯახზედ ყოველწლივ მოდიოდა შემდეგი სავალდებულო ხარჯები: მამულის იჯარაზე—25 მანეთი, „ნადელის“ გამოსყიდვაზე—15 მ. 30 კაპ., სახელმწიფო სხვათა შორის ხარჯებზე—17 მ. 40 კაპ. და სასოფლო გადასახადებზე—3 მ. 39 კაპეიკი, ასე რომ მთელი რუსეთის (ევროპისა) გლეხობა ყოველწლივ იხდიდა მარტო მამულების იჯარას—300 მილიონს მანეთს!.. დაუმატეთ ყველა ამას ის გარემოებაც, რომ გლეხს ყოველი ეს გადასახადი შემოდგომის დასაწყისშივე უნდა გაესტუმრებინა, როდესაც ჯერ კიდევ სრულად არა ჰქონდა მას შემოტანილი წლის მოსავალი და თქვენ ნათლათ წარმოგიდგებათ თვალწინ, თუ საღამდის საჭირო იყო ყოველი გლეხისათვის ფული. ხოლო, საიდამ უნდა აეღო გლეხს ყველა ამისათვის საჭირო ფული? ხაზინამ და ეროობამ არ გაუმართა მათ არავითარი ბანკები, როგორც ქმნეს ეს ბატონ-ყმობის გადავარდნის უმალ სხვებისთვის და აი აქედამ იწყობა ყოველი უბედურება განთავისუფლებულის გლეხისა! იგი ჩავარდა გაუმაძღარ მოვახშეთა კლანჭებში.

წინანდელი ნატურალური მეურნეობა აწ შეიცვალა ფულით მეურნეობად; გლეხი შეიქმნა ისევე საქონლის მწარმოებლად, როგორც რომელიმე მექარხნე, მით უმეტეს, რომ სწორეთ იმ დროს რუსეთიდამ იწყეს დიდძალი პურის გატანა საზღვარ გარეთ. გლეხობამ მოხნა და მოთესა რაც კი მოიხვნებოდა და მოთესდებოდა, რათა რაც შეიძლება მეტი პური გაეყიდა ადრე შემოდგომითვე დაუყოვნებლად, აჩქარებით,

თუნდაც რომ სულ უფასოთ გადაეყარა მთელი წლის ნაშრომი. ამასთან იგი ჰყიდდა არა მარტო იმას, რაც მეტი ჰქონდა მოსავლიდამ, არამედ იმასაც, რაც თვით მისთვის და მისის ოჯახისთვის იყო საჭირო, რომ გაზაფხულზედ კვლავ ეყიდა იგივე ერთი ორად და სამად მეტს ფასში...

ამის მიზეზი იყო, რასაკვირველია, ისევ ფულის საჭიროება და ისიც ჰყიდდა არა მარტო პურსა, არამედ თვით მუშა საქონელსაც, რომელიც აგრეთვე კვლავ უნდა ეყიდნა გაზაფხულზედ ერთი სამადვე მეტს ფასში. ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ რუსეთში დაიბადა მთელი ხროვა ჩარჩთა, რომლებიც იაფ-ფასად, თითქმის მუქთად, ყიდულობდნენ გაჭირებულ გლეხებისგან მის მარჩენელს საქონელს. ბ-ნმა საზონოვმა და ბევრმა ერობამაც გამოიანგარიშეს, რომ გლეხობა ყოველწლივ ჰკარგავს 200—300% პურისა და საქონლის ასე უდროვოდ და უფასოდ გასყიდვისაგან. მაგალითად, 1885 წლისათვის, გოლუბევმა გამოიანგარიშა, რომ რუსეთის მთელმა გლეხობამ მარტო პურის უდროვოდ და უფასოდ გასყიდვისაგან გაჭირების გამო დაჰკარგა 115 მილიონი მანეთი,—ე. ი. იმდენი, რამდენიც ამ წელს უნდა გადაეხადა გლეხობას სახელმწიფო ხარჯად!..

ეს კიდევ ცოტაა. რომ პური გასაყიდათ გქონდეს, თუნდაც სულ უფასოდ, დასაფარად ყოველ ხარჯებისა და ცხოვრების აუცილებელ მოთხოვნილებათა, ჯერ თვით ეს პური უნდა მოიყვანო, ხოლო ამისათვის საჭიროა მიწის დაქირავება, იჯარით აღება და, მაშასადამე, ქირის, საიჯარო ფულის გადახდა. რადგანაც გლეხისთვის არ არსებობდა რამე წესიერი საკრედიტო დაწესებულება, იგი კვლავ იძულებული იყო მიემართა მოვაჭრესთვის, რომლის ადგილს ხშირად იჭერდა თვით მემამულე, თუ უკანასკნელს გააჩნდა ცოტა რამ შეძლება, ე. ი. მემამულე მაშინვე არ ართმევდა გლეხს საიჯარო ქირას და აცლიდა მას ამ ვალს მომავალ მოსავლამდის. გამოანგარიშებულია, რომ მემამულე ამ გზით ახდევინებდა

მოიჯარადრე-გლეხს 200—500%-ს. მაგალითად, შუაგულ რუსეთში არსებობს დღესაც შემდეგი ჩვეულება (მაშასადამე, უკვე სისხლსა და ხორცში გამჯდარი წესი!): 6-ს ანუ 10-ს მანეთში, გლეხი ვალდებული ხდება სავსებით დაუმუშაოს მემამულეს ერთი დესეტინა მიწა ზამთრისა და ერთი დესეტინაც გაზაფხულის პურისათვის, ე. ი. ეს ორი დესეტინა გლეხმა მოხსენებულს 6-ს—10—მანეთში უნდა რამდენჯერმე მოუხნას, დაუთესოს, მოუმკას მოსავალი, მოუზიდოს, გაულეწოს, ჩაუყაროს ბეღელში და ბოლოს ნეხვიც გაუტანოს მინდორში. ყველა აქ მოხსენებულ საქმისათვის კი სულ უკანასკნელი საჭიროა 24 დღის მუშაობა, ანუ 30 მანეთი ფულად. გამოდის, რომ გლეხი იმ 6—10 მანეთს იღებს მემამულისგან 300—500%-ად! გამოდის, რომ იმ ერთი ბეწო მიწის გულისთვის, რომელსაც იგი ქირაობს მემამულისაგან, იგი სრულ ყმად ხდება მემამულისა, რომლისთვინაც შუა ზაფხულში მან სრულიად უნდა მიატოვოს საკუთარი მეურნეობა და მემამულის დავალების შესასრულებლად წავიდეს! გამოდის, რომ რამდენიც მეტს მამულს აიღებს გლეხი იჯარით, იმდენი მეტიც უნდა იმუშაოს მემამულისთვის; გამოდის, რომ ასეთს ვითარებაში გლეხი საუკუნე ყმად ხდება და ამიტომაც იღუპება საუკუნოდვე!..

ესეც ცოტაა. მოხდება ხოლმე, რომ მემამულე მამულში არ ცხოვრობს, ან ისევე უჭირს ფული, როგორც გლეხს, და ამიტომ არ შეუძლიან დააცადოს გლეხებს საიჯარო ქირის გადახდა. ასეთს შემთხვევაში კვლავ ჩნდება ჩარჩი, რომელიც იღებს მიწას იჯარით მემამულისგან და შემდეგ თითონ აქირავებს გლეხებზე. თქმა არ უნდა, რომ გლეხობა აქაც იხდის, სულ უკანასკნელი, 200%-ზე მეტს.

ასე და ამ გვარად, დღიდან დღეზე და წლიდამ წელზე, გლეხი ისე იბლარდება ვალებში, რომ ჰკარგავს ადამიანის სახეს, ადამიანის ყოველ კანონიერ უფლებებს და სრულს მონობაში ვარდება თავისი მეზობელი ჩარჩისა. მეზობელ ჩარ-

ჩზე საშინელი კი არაფერია სოფლად, რადგან ესენი არ ერიდებიან არავითარ საშუალებას, რომ რაც შეიძლება მეტი წაიძრონ თავისს მსხვერპლს ანგარიშში, წონაში, აწყვაში, საჯაროთ გასყიდვაში გლეხის მოსავლისა, საქონლისა თუ ქონებისა და სხვ. და სხვ.

ჩვენ ვსთქვით, რომ ასეთი გლეხი ჰკარგავს ადამიანის სახეს. ეს სწორეთ ასეც არის: ამას იქით მას ეკარგება ყოველი იმედი გამოკეთებაზე და ამიტომ ყველაფერს უგულოთ აკეთებს. სთესავს უკანასკნელს თესლს, რადგანაც საუკეთესო გაყიდა ანუ სხვებმა წაართვეს და რადგანაც თესლი ცუდია, იგი იძულებულია ზომაზე მეტი დათესოს (ცნობილია, რომ 24 ფუთს შვრიას სთესავენ დესეტინაზედ!) და ამიტომ მოსავალიც თანდათან უარესი მოსდის; ამ გვარად ოჯახის შემნახველი მიწა ნელ-ნელა ხდება მის გერად და იგი მალე სრულადაც თავს ანებებს მას, ქალაქებში გარბის და ან დაყიალებს აქეთ-იქით, მათხოვრობს, ლოთობს, ერთი სიტყვით, იღუპება.

სულ კი წესიერი საკრედიტო დაწესებულების უქონლობის ბრალია უამრავი გლეხობის ასეთი საბირელი მდგომარეობა. საზონოვი იწერება, რომ მოვახშეთა უღმერთობა ხშირათ იქამდის მიდის, რომ 1200%—ახდევინებენ გლეხებსაო, ხოლო ივანიუკოვს მოჰყავს მაგალითები, როდესაც მოვახშენი 4000%-საც კი ახდევინებდნენ გლეხებს. ტყუილი კი არ გეგონოთ, ეს ისეთივე ნამდვილი ამბავია, როგორც დღევანდელი ომი რუსთა და იაპონელთ შორის!..

ასე აღრჩობდა მოვახშეობა რუსეთის გლეხობას და სახელმწიფო კი მთელს ათას მილიონებს ახმარებდა მხოლოდ და მხოლოდ რკინის გზებისა და სხვადასხვა სამრეწველო საქმეთა კომპანიების დახმარებას. ჩვენი მთავრობა იქცეოდა ასე გერმანიის მთავრობის მიბაძვით, რომელმაც, მფარველობით მართლაც, სულ რამდენსამე ათს წელიწადში, გარდაქმნა ნახევრად მიწად-მომქმედი გერმანია მდიდარ სამრეწველო სახელმწიფოდ, რომ-

ლის ნაწარმოებნი საღდება ყველგან, მთელი ქვეყნის ზურგზედ... მაგრამ ჩვენებს დაავიწყდათ, რომ გერმანიის ხალხი უკვე მთელი საუკუნის განმავალობაში დიდათ განვითარებული, ნასწავლი და გაწვრთნილი იყო ეგრედ-წოდებული ნემეცური ის შესანიშნავის სწავლა-აღზრდითა და სკოლითა და რუსეთის ხალხი კი დღესაც ნახევრად განუვითარებელი ხალხია... დაავიწყდათ, რომ ჩვენის მრეწველობის ძლიერება თვით იმ ხალხის ძლიერებაა, რომელსაც არავინ არავითარს ყურადღებას არ აქცევდა და მევახშეთა სრულს სინაბარაზე იყო მიტოვებული; დაავიწყდათ, რომ ჩვენი მრეწველობა მაშინ აიდგამს ფეხს, მაშინ აყვავდება, როცა ღონიერი და შეძლებული იქნება თვით ამ სამრეწველო საგნების მომხმარებელი, ანუ მსყიდველი, ე. ი. ხალხი, რადგანაც, როგორც ახალ-მოშენის ნაწარმოები, რუსეთის სამრეწველო ნაწარმოები გერმანიის ნაწარმოებსავით ერთბაშათ ყველგან ვერ მოიპოვებდა ბაზარს.

წესიერი და იაფი გამსესხებელი ბანკების უქონლობა იყო თავი და თავი მიზეზი იმისა, რომ თვით რკინის გზების გაყვანა და სამრეწველო ქარხნების აქა-იქ დაფუძნება სარგებლობის მაგივრად, ყველგან საბოლოოდ ძირს უთხრიდა გლეხობას და მის მეურნეობას, რადგან აქაც და ამითაც მარტო მოვახშენი სარგებლობდნენ და გლეხობის მეტი წილი კი იღუპებოდა. ესეც ისეთივე ჭაშმარიტებაა, რომ მას დამტკიცება არ სჭირია.

წესიერ და იაფ-ფასიან სესხის სარგებლობას და მის აუცილებელ საჭიროებას ხალხისათვის შეიძლება შეედაროს მხოლოდ სახალხო განათლება და მისი სარგებლობა-აუცილებლობა ხალხისათვის (და სათემო თვით-მართველობა, დავუმატებთ ჩვენ). მართალს ამბობს გამოჩენილი ეკონომოსი მაკლეოდი, როდესაც სწერს: „წესიერი და იაფ-ფასიანი სესხის განვითარებას ისეთივე გავლენა აქვს ხალხთა წინსვლაზედ (პროგრესსზედ), როგორც წიგნის ბეჭდვის გამოგონებას ჰქონდათ. სხვა ყველაფერს—მეორე-ხარისხოვანი, ქვე-მდებარე მნიშვნე-

ლობა აქვს ხალხის ცხოვრებაში და ამათი წარმატება მთლათ სახალხო წესიერ და იაფ-ფასიან სესხზეა დამოკიდებულიო".

რომ სწორეთ ასეთი მადლიანი გავლენა და მნიშვნელობა აქს ერისთვის სესხს, ცხადათ დაამტკიცეს რუსეთის იმ ერობებმა, სადაც უკანასკნელებმა მეურნეობის აღდგენის ცდასთან ერთად ფართო გზა მისცეს სახალხო კრედიტსაც, ე. ი. სადაც ერობებმა შეღავათიანის პირობებით შეაძლებინეს გლეხებს ნისიათ წაღება თესლეულთა, იარაღთა, მანქანებისა, სამრეწველო მასალებისა, დაეხმარნენ იაფ-ფასიანი სესხით არხების გაყვანაში, ჭაობების დაშრობაში და სხვ. და სხვა. სადაც არ არის კრედიტი, იქ თვით ყოველი ცდაც მეურნეობის აღდგენაზედ სულ უშედეგოდ რჩება მთელი ათი და მეტი წლები. იაფ-ფასიანსა და წესიერსავე კრედიტზეა მთლათ დამოკიდებული სამეურნეო ნაწარმოებთა საწყობთა წარმოება. სადაც მოწესრიგებულია გუთნების საფასის ორი სამის წლით გადახდა, იქ მთელი ათასობითაც ვრცელდება ხალხში ეს გუთნები და ასევე საუკეთესო ხვნა-თესვა, ხოლო, სადაც არ არის ეს, იქ ორიოდე გუთანს თუ იყიდის ვინმე შეძლებული, თორემ მათ ახლოც არავინ ეკარება. სადაც ეხმარებიან წესიერის სესხით, იქ შიდა-მრეწველობაც მართლაც რომ ფეხზედ დგება, წარმატებაში შედის და თითქმის მსხვილ მრეწველობასაც კი უწევს ქიშპობას, ხოლო, სადაც არ არსებობს არავითარი კრედიტი, იქ თვით ყოველი ცდა და მაღალ-მჭერმეტყველური ლაპარაკი და წერაც ვერას აწყობენ და უდაბნოში ამაოდ მღაღადებლის ხმად რჩება. ასეთივე დიადი გავლენა აქვს წესიერ და იაფ-ფასიან სესხს ყოველგვარ ამხანაგობათა დაარსებაზედ და მათს გაცხოველებულს მოქმედებაზედ. ყველგან, სადაც კი მოწესრიგდა წესიერი და ყველასათვის ხელ-მისაწდომი სესხი, შესანიშნავის სისწრაფით აღორძინდა და გავრცელდა ყოველგვარი კოოპერატიული სამეურნეო თუ სამრეწველო ამხანაგობანი, უიმისოთ კი თვით ფილანტროპთა უხვსა და თავდადებულს მსხვერპლსაც ხშირად არ მოაქვს არავითარი ნაყოფი...

ასეთი დიადი მნიშვნელობა აქვს ამ საქმეს და ამიტომაც არის საჭირო, რომ სახელმწიფომ და საზოგადოებამ უთუოდ მალე სასურველად მოაწყოს სახალხო იაფ-ფასიანი სესხის საქმე ყველგან და ჯერ-ჯერობით ყველა საგუბერნიო და სამაზრო ქალაქებში მაინც. სახელმწიფო კასსებს ყოველ წელს შემოსდის 700 მილიონ მანეთზე მეტი; სამართალი მოითხოვს, რომ ეს ფული მაინც სავსებით ხმარდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ სახალხო იაფ-ფასიან სესხს. 1894 წელს გამოვიდა ხელმწიფისაგან დამტკიცებული ახალი წესდება სახელმწიფო ბანკისა. რომელშიაც პირდაპირ არის ნათქვამი, რომ სახელმწიფო ბანკი ვალდებულია დააფუძნოს სოფლებსა და სამაზრო ქალაქებში ცალკე სააგენტოები, რომლების მოვალეობას უნდა შეადგენდეს წარმოება საბანკო საქმეებისა, ე. ი გაცემა წვრილ სესხისა გლეხებზე, ხელოსნებზე და შინამრეწველებზე სარწმუნო დავდებობით, სამეურნეო თუ სამრეწველო ნაწარმოებთა, იარაღთა და მისთანათა გირავნობით და თვით პირადი ნდობითაც,—მაგრამ ჩვენდა სამწუხაროთ სიტყვა სიტყვად დარჩა და სახელმწიფო ბანკს დღევანდლამდე არაფერი გაუკეთებია დაბეჩავებულის გლეხობის და მის უარესად დაცემულის მეურნეობის ასაღორძინებლად. დრო კია, რომ ამ უაღრეს ფაქტორს ხალხის მეურნეობის წინ-სვლისას ისეთივე ყურადღება მივაქციოთ, როგორც სახალხო განათლებას, რადგანაც იგინია დღეს ერთად-ერთი უტყუარი საფუძველი ჩვენის ხალხის წინ სვლისა. ნიმუშად ასეთის ბანკების დასაარსებლად შეიძლებოდა აგვეღო პერმისა და ვიატსკის საგუბერნიო საერობო ბანკები. როგორც კოლის უმთავრესი მიზანია—განავითაროს თვითეული მოსწავლე, ისე ბანკისა უნდა იყოს: თვითეულის მეოჯახის ფეხზე დაყენება, ყველაფრით ხელის შეწყობა ..

ხოლო, ვინ უნდა იდვას თავს ეს დიადი საქმენი. ჩვენში? ვინ უნდა მოაწესრიგოს იგინი, ვინ უნდა დაუდვას მათ საფუძველი ჩვენს დდევანდელს მდგომარეობაში, როცა ჯერ-ჯერობით არც ერობაა ჩვენში შემოღებული და არც მთავრობას სცალიან მათს განსახორციელებლად, თუმცა, როგორც ვსთქვით, უკვე დამტკიცებული და შეტანილია იგი სახელგ-

წიფო ბანკის მოქმედების წესდებაში? ვინა და თვით ჩვენა და უპირველეს თბილისის და ქუთაისის ქართველების შეგნებულმა ნაწილმა! სახალხო განათლების წესიერად მოწყობაზედ ჩვენ უკვე გამოვსთქვით ჩვენი აზრი *). რაც შეეხება სახალხო იაფ-ფასიან კრედიტის მოწყობას ჩვენში, საჭიროა თავს ვიდვათ შედგენა და დაარსება. იაფ-ფასიან სახალხო საკრედიტო დაწესებულებათა ყველა სამაზრო ქალაქში და შუამდგომლობაც ვიკისროთ მთავრობისა და ჩვენს სათავადო-აზნაურო ბანკების წინაშე, რათა სეხხით შემწეობა აღმოუჩინონ მათ ამ დიადს საქმესა. საფუძვლად ასეთის ბანკებისა უნდა იყოს: 1) სესხით შემწეობის აღმოჩენა იმათ, რომელნიც თვით აწარმოვებენ რომელსამე საქმეს; 2) შინა-მრეწველობის, სამიწადმოქმედო და სამეურნეო ამხანაგობებს; 3) სესხი ეძლევა კერძო მწარმოებელთ სარწმუნო მეოჯახის დამ ნაწარმოების, ხოლო ამხანაგობათ — ერთმანერთის თავდებობით; 4) სესხით შემწეობა განსაკუთრებით უნდა მიეცეს იმათ, რომლებიც ყიდულობენ მიწას, სასახლე ადგილს, აშენებენ სახლს, გომურს, საქათმეს, ჰსურთ გააშენონ ხეხილის ბაღი, ბოსტანი, ფუტკარი, შეიძენონ საუკეთესო ჯიშის საქონელი, თესლეულობა, გუთნები და სხვა; 5) სესხი უნდა მიეცეს არა უმეტეს 8%-ის გიდახდევინებით ნახევარ წლიდამ სამ წლამდის ვადით მაინც და ნახევარ-წლობით დაბრუნებით აღებულის ვალისა; 6) ასეთის ბანკების საუკუნოდ განმტკიცებისათვის უთუოდ უნდა დაწესდეს, რომ ყოველმა მსესხებელმა თითო მანეთის შემოტანა მაინც იკისროსთვეში საწევრო ფულად, ვიდრე დამოკიდებულება ექნება ბანკთან; ამ ფულს უნდა ჰქონდეს მარტო ორი დანიშნულება: ნახევარი უნდა ინახებოდეს სათადარიგო თანხად და პასუხს გასცემდეს ნასესხ ანუ შესანახად და საწევროდ შემოტანილს ფულს, ხოლო მეორე ნახევარი შეიძლება ვიხმაროთ საწარმოვო თანხადაც; 7) ასეთ ბანკებთან იმავ დროს უნდა მოეწყოს საწყობები საუკეთესო იარაღთა, თესთეულთა, წიგნებისა, საკომისიო კანტორისა და სხვ. და სხვ.

ივანე როსტომაშვილი.

*) იხ. შ ე ნ ი შ ვ ნ ა ამ ნომერში, გვ. 167 და სხვანი.

ფრინველები და კაცობრიობა.

გეოლოგია გვიმტკიცებს, რომ ფრინველები უფრო ძველ ეპოქებს ეკუთვნიან, ვიდრე ადამიანი. სამღთო წერილიც, როცა ამბობს, რომ ფრინველები მეხუთე დღეს გააჩინა ღმერთმა და კაცი კი მეექვსესაო, ამით იგიც ამოწმებს ზემოხსენებულ ჭეშმარიტებას. ამ დამტკიცებათა და მოწმობათა შორის მხოლოდ ის გარჩევაა, რომ სამღთო წერილის დღეების მაგივრად გეოლოგიას სწამს და სთვლის მრავალწლოვან პერიოდებს. მაშ თუ გონიერმა შემოქმედმა ძალამ ბუნებისამ ფრინველები ადამიანზე უწინ გააჩინა, ეს უმიზეზოთ არ იქნებოდა და სწორედ საჭიროც იყო, რომ ასე მომხდარიყო, ვინაიდგან ადამიანს ფრიად გაუჭირდებოდა და იქნება შეუძლებლადაც გაჭხდომოდა ცხოვრება და საცოცხლე უფრინველებოდ.

ამაზედ ყველა დამეთანხმება, როცა კაცი გაითვალისწინებს იმ დიადს სარგებლობა-სამსახურს, რომელსაც უწევენ ქვეყნიერებას და კაცობრიობას ფრინველები საზოგადოთ.

ყველასათვის ცხადია, რომ ყოველ სულდგმულს და მათ შორის ადამიანსაც, რასაკვირველია, ჭამა, კვება სჭირია. უმთავრეს საკვებს ადამიანისათვის შეადგენს მიწის მოსავალი, ე. ი. სხვადასხვა ჭირნახულ-პურეულობა, რომელსაც ადამიანი ისე ადვილად და საკმაოდ ვერ მოიყვანდა, რომ მეურნე ხალხს მხარში არ ედგნენ და არ შველოდნენ ფრინველები. ეს იქნება ბევრმა კიდეც გაიკვირვოთ, მაგრამ დასაჯერებლად გთხოვთ, გასჭრათ და გასინჯოთ კუჭი, მაგალითად, **მერცხლისა, შოშიასა** და **გინდ ყვავისა**, თუ თქვენ არ იპოვნოთ

მათს კუჭში აუარებელი რიცხვი მეურნეობისათვის დიდად მავნე მწერ-მატლებისა. გარდა ამგვარ სარგებლობა-სამსახურისა, ფრინველები დიდათ გამოსადეგნი არიან ადამიანისათვის ხორცით, ბუმბულით და თვით სკლინტითაც კი (მშვენიერი სასუქია). ფრინველი, როგორც თვითაც მოგეხსენებათ, გარეული და შინაური, მაგრამ დღეს ჩვენ მხოლოდ შინაურ ფრინველებზედ და მათ გამრავლება-მოვლაზედ ვილაპარაკებთ. შინაურს ფრინველებს შეადგენენ: ქათმები, ბატები, იხვები ინდაურები და სხვა. უპირველესი ადგილი კი მათ შორის უკავია ქათამს. ქათამი დედოფალია საქათმისა და სიმდიდრე-დიდება ფერმისა. დედალს, გარდა თავისი ნაზი, მსუბუქი, გემრიელი, შეძრგო და სადი ხორცისა და ბუმბულ-ყურთუკისა, აქვს აგრეთვე კიდევ თვით ხორცზედ უგემრიელესი, უსადესი და უნაზესი გამოსავალი—კვერცხი, რომელსაც ბადალი არ მოეპოება. ქათამი მოშინაურებულია ყველგან; ვერ ნახავთ მთელს დედამიწაზედ ისეთს ადგილს, რომ თითო-ოროლა ქათამი მაინც არა ჰყავდეს ოჯახსა და პირს არ იტკბარუნებდეს მისი გემრიელი ხორცითა და კვერცხითა. ყოველგვარ ფრინველთა კვერცხებში, გემოვნებისა და ღირსების მხრივ, პირველობის ადგილი უკავია ქათმის კვერცხს. მაშ, გასწი, ჩვენო ქათამო! იყავ საღი და მხიარული, რომ შენი მაღალი კაკანით შესძრა მთელი არე-მარე და გვახარო დადება კვერცხისა, რომელიც დედაა თითქმის ყოველგვარ საკანდიტერო ნამცხვარ-სანოვაგისა და შემზავებელი თითქმის ყოველგვარ საჭმლისა, საყვარელი სასუსნავი ბავშვებისა! ერთი სიტყვით, ქათამი ყველგან და ყველასათვის ძვირფასი და საყვარელი ფრინველია. ეს არის მიზეზი, რომ ზოგიერთს ხალხებს ქათამი სამადლობელ ანუ დამადლების ემბლემად ჰყავთ მიჩნეული. აი რას მოგვითხრობს არაბების ერთი ძველი მწერალი: „ქათამი, რაკი მორჩება კვერცხის დადების განსაცდელს, დაიკაკანებს, შეიბერტყება და გამოვარდება გახარებული გარეთ გულის გასაგრილებლად, დალევს ერთ წვეთ წყალს

და მაღლა შეიხედავს, თითქოს მადლობას უხდიდეს ზეცასაო". ამაზედვეა შემდგარი ჩვენი ქართული ანდაზა: „ქათამი წყალს დალევს და ღმერთს შეხედავსო".

ქათამი საზოგადოთ ჭკვიანი ფრინველია და ძალიანაც იცის მიჩვევა. ერთს ფრანგს **მიშელ მონტენს** ჰყავდა ერთი დედალი, რომელიც სეირნობის დროს მას მუდამ თან დასდევდა.

ბატონს **ტორფეს** ქათმები „**ალანშეტი**" და „**რაზი**", რა წამსაც მათი პატრონი ჩვეულებრივ ხის ქვეშ დაჯდებოდა რომელიმე თხზულების საწერად, ესენიც მაშინვე მხრებზედ შეაფრინდებოდნენ და ისე ესაყვარლებოდნენ მწერალ პატრონს.

გავიცნათ მოკლეთ მამალიც. რამდენადაც **ტკბილი** და **მოარტვი**, **საყვარელი** და **მოარჩილია** დედალი, იმდენადვე ამპარტავანი და მამაცია მამალი, **დიდი სულტან-ბატონი! საფხიზლე-ყარაულობა**, **მტერთან გამკლავება**, **ჩხუბი**, **შეყვარება** და სხვა, შეადგენენ მის **დეგიზს**. მაღლა ნისკარტ აღებული, იგი მიაგავს მამაც ფალავანს, რომელიც თითქოს აგერ საცაა იძრობს ფრთებს ქვეშ დამალულს ხმალს და მედგრად ეცემა პირველსავე მტერს. იგი მარად ჰყარაულობს, გარშემო გაშლილ ქათმის კრებას, დაჰხარის თავის ბედს და დრო გამოშვებით გადასძახებს სხვადასხვა ხმით ხან მტრისაგან გასაფრთხილებელ ფრაზებს და ხან საარშიყო ჰანგებს.

მამლის პირველ სამშობლოდ სთვლიან აზიას და როგორც სხვადასხვა ჩვენებანი მოწმობენ, იგი პირველად გავრცელებულა **სპარსეთიდან ეგვიპტეში**, **ეგვიპტიდან—საბერძნეთში**, **ათინიდან—რომში** და სხვ. ბატონი **საგენი** მამალს „**ფრინველების ღომს**" უწოდებს და ქალდველები კიდევ პატივს სცემდნენ, როგორც ერთ ღმერთთაგანს—„**მზის შვილს**", რომელიც პირველი მიესალმება ხოლმე დილის ავროორას, ამ სიცოცხლისა და მუშაობის მოტრიალების ჟამს.

ყოველი თქმულის შემდეგ ცხადია, რომ ყველა ჩვენგანი, კაცი თუ ქალი, მათ მოშენება-გამრავლებას სიამოვნებით

უნდა მივსდევდეთ. ამას მოითხოვს თვით ჩვენი ცხოვრების ინტერესები. მაგრამ, დღემდის ეს ასე არ არის. **მეფრანგლეობას**, როგორც რიგი და წესია, მეტადრე ჩვენში, არავინ მისდევს სპეციალურად, როგორც, მაგალითად, მისდევენ ხვნა-თესვას, მეცხვარეობას და სხვა სამეურნეო დარგებს. თუმცა ჩვენს ქვეყანაშიაც მოიპოვება რავდენიმე მოყვარული მეფრინველეობისა, მაგრამ **სამდვილი მეფრანგელე, ნასწავლი სპეციალისტი**, თუ არა ვცდები, დღემდი ერთიც არ მოგვეპოვება. არც საკვირველია ეს, რადგანაც ქართველებისათვის სწავლა გასაჭირია და გზა შეკრულია მრავალ მიზეზთა გამო ისეთ სკოლებშიაც კი, რომლებიც მოიპოვებიან რუსეთში და ჩვენს ქვეყანაშიაც, არამც თუ ისეთებში, რომლებიც თვით დასავლეთ ევროპაშიაც ჯერეთ სანთლით საძებარია. ჩვენ მუდამ დიდად გვაინტერესებდა მეურნეობის ეს დიდ-მნიშვნელოვანი დარგი და ამიტომ გამოვძებნეთ, ჩვენის ევროპაში ყოფნის დროს, ისეთი სასწავლებელი, სადაც შეძლებისა გვარად ღირსეულადაც გავათავეთ მისი თეორიული და პრაქტიკული მთელი კურსი. ვსთხოვთ კეთილს მკითხველს ეს კვეხნაში არ ჩამოგვართვას, და თუ მოვიხსენიეთ ეს, მხოლოდ იმიტომ, რომ ვიმედოვნებთ თქვენგან მეტის ყურადღების მიქცევას ჩვენის წერილებისადმი ამ საგანზედ და არა პირადად ჩვენდამი. ზევით მოგახსენეთ, ფრინველების მოვლა-მოშენებას, როგორც რიგია, ისე არავინ მისდევს-მეთქი, ფრინველების გულისათვის საკვებს არავინ იყიდის, არ შეურჩევს მათ საკვებს, ჰიგიენის კანონებს არავინ დასდევს, არავინ ასრულებს და წესიერს საქათმეებს არავინ უშენებს, საკუთარს მოშვლელს არავინ უყენებს, მეფრინველეობის სახელს და სპეციალისტობას არავინ კადრულობს დღეს... თუ სადმე რამდენიმე ფრთა ფრინველი იზრდება, ეს მხოლოდ დიასახლისის წყალობით, რომელსაც აბარია აგრეთვე და კისრად აწევს მთელის ოჯახისა და ქმარშვილის მოვლა-პატრონობა. თუ მეფრინველეობითაც შეიძლება ცხოვრება, დიდი ვაჭრობა და ხალხის ეკონომიურად

წინ წაწევა, ჯერ ეს არავისა სწამს ჩვენდა სამწუხაროდ. ჩვენის ქვეყნის ჰავის, ადგილის, მუშა ხელის და სასმელ-საჭმლის ჯერეთ სიიაფის პირობებში ეს დარგი მეურნეობისა შეგვეძლო და ახლაც შეგვიძლიან ავაყვავოთ მეტის მეტად, თუ, რასაკვირველია, ამას იქით მაინც **მივაქცევთ დიდსულს ყურადღებას მეურნეობის ამ დარგსაც** და **დავანებებთ თავს ჩვენს საარაკო საზარმაცეს, უქნარობას, უკადრისობას, კიდვა-ძრახვას** და **გლახა ამბარტავნობას**, თუ ქვეყნის ჭორს ყურს აღარ დავუგდებთ და ვიტყვით: ვინც რა უნდა სთქვას, წისქვილმა კი ჰფქვასო. თქვენს უმორჩილეს მონას, თქვენთან ამაზედ მოსაუბრეს, ბევრი კიცხვა-ცილი აუტანია და ითმენს კიდეც არამც თუ ბნელის წრის, არამედ თვით შეგნებულის პირებისგანაც; მაგრამ ჩვენ ამით სულით არ დავცემულვართ. თვით ბრწყინვალე თბილისშიაც ხშირად მოუთითებიათ ჩემზედ: „**აი ამ ჩახჩასანს უეურე, ეგ ახერა ევროპაში იყო** და **მექათმობა შეისწავლაო**"!.. სოფლელები ხომ პირში მეუბნებიან: „ყმაწვილო! ცხრა მთას იქით გრანიცაში რომ ისწავლე, რატო ჩინოვნიკად არ მიდიხარ, რომ დიდი ჯამაგირი აიღო, განა იმისთვინ ისწავლე და დახარჯე მაგდენი, რომ აქ, ჩვენში, სოფელში მოგეკალათებინა?!. რაღაც **სამაგალითო ბად-ვენახები** და **ფრანგულების ფერმის გამართვა** გწადიანო. ჩემი სწავლა თქვენში უნდა გავაპნიოვო. . შე დალოცვილო, ჩვენ ვენახების მუშაობაში ვბერდებით და რაღა უნდა გვასწავლო. ჩვენი დედაკაცებია და ფრანცუცებში და იტალიებში თუ არ უსწავლიათ, ვერა ჰყავთ ბელტივით დედლებიო" და სხვა ამგვარები...

ერთხელ, როცა ვუთხარი, რომ თქვენმა დედაკაცებმა კრუხების დასმის მეტი არა იციან რა და მე კი შემიძლიან მაშინებით, როცა მინდა, ათასობით წიწილები გამოვაჩეკინო მეთქი, გლეხებმა მიპასუხეს: „აბა ეგ რა დასაჯერებელია, შენი ჭირიმე, თუ ტყული, ან თილისმა არ არის ეგაო! თუ მართლა ეგენი შეგიძლიან, მაშ ადამიანებსაც გამოაჩეკინებ იმ

სატიალო რაღაც მაშინასაო და მაშინ ხომ აღარც ცოლის შერთვა მოგვინდება და აღარც შვილების დაზდაო“.

ბევრი ამისთანა მაგალითების მოყვანა შეგვეძლო, მაგრამ ამაზედ ლაპარაკს სჯობს ისევ საგანს დავუბრუნდეთ.

ჩვენ ზემოთ მოგახსენეთ, თუ რა დიადი მნიშვნელობა და ღვაწლი მიუძღვით ფრინველებს კაცობრიობისადმი. ამისათვის, თუ კაცნი გვქვიან და შვილნი ვართ დაბა-სოფლისა, უნდა კიდევაც მივსდიოთ ფრინველების მოვლა-მოშენება-გამრავლებას და გვესმას მთხრობლისა. იქნება ამ ჩვენმა მოწოდებამ და საბაასოთ არჩეულმა საგანმა, თუ ბევრი არა, ცოტა მაინც ვინმე დააინტერესოს და ამისთვის ვეცდები შეძლებისა დაგვარად დროების შესაფერი ცნობები მოგაწოდოთ.

წელიწადის სხვა დროებზედ, გაზაფხული საუკეთესო ხანაა ფრინველთა მოშენებისათვის. შინაურს ფრინველებს ამრავლებენ, როგორც **ბუნებრივის წესით** (კრუხების კვერცხებზედ დასმით), ისე **ხელოვნურად საჩეკი მანქანებით** (ინკუბატორებით). მხოლოდ, რადგანაც ჩვენში ჯერეთ ხელოვნურ ჩეკვას არავინ მისდევს, ჯერ ისევ ბუნებრივის ჩეკით ფრინველების მოშენებაზედ ვილაპარაკოთ.

საჩეკად კვერცხების არჩევა. ვისაც ჰსურს ფრინველების გამრავლება, მან უნდა იშოვნოს და დაამზადოს კვერცხები; მხოლოდ, რადგანაც ყველა კვერცხი არ გამოდგება საჩეკად, ამიტომ მათი ცნობა-არჩევა უნდა ვიცოდეთ. ყოველი **მლიერ სქელ-ნაჭუჭა** ან **მლიერ ნაჩვრეტებიანა** და **ცუდათ-მოყვანილი** კვერცხი დასაწუნია ამ მიზნისათვის. სქელი ნაჭუჭი უშლის **ჭვერის ადვილად შესვლა-მოძრაობას** კვერცხში, რაიცა ფრიად საჭიროა **წიწილის ჩასახვისათვის** და **მისი სასხლის მოძრაობისათვის**. ძალიან ნაჩვრეტებიანი კვერცხი კი **მალე გამოშრება ხოლმე** და **დიდდება კვერცხის ბოლოში საცარიელე**, ანუ კვერცხის **საჭვერო ბუდა**, რისგამოც წიწილას აღარა რჩება სამყოფი ადგილი რიგიანად გამოსახვისათვის. ბევრმა იცის, რომ საწიწილედ დაუწყობენ კრუხს უფრო

მსხვილს კვერცხებსა იმ მიზნითა და აზრით, რომ წიწილებიც მსხვილი გამოგვივავო. მაგრამ ეს აზრი შემცდარია. პატარა კვერცხიდანაც შეიძლება დიდი წიწილა გამოვიდეს ისევე, როგორც პატარა კაცისაგან დიდი ჭკვა და დიდისგან პატარა ჭკვა. გარდა ამისა ზოგიერთები ამბობენ, რომ ვითომ წოწოლა კვერცხებიდან სამამლეები გამოდიოდნენ. ამაზედ თუმცა ბევრი ცდა იყო მოხდენილი, მაგრამ ვერაფერი დასამტკიცებელი საბუთი ვერა მიიღესრა და იმისი გაგება, თუ რაგორი კვერცხიდან რომელის სქესის წიწილა გამოვა, ჯერეთ ისევ ბნელით მოცულია ჩვენის ცოდნისათვის და მაშასადამე ითხოვს კიდევ დიდის ხნის დაცვირვებულ კვლევას.

საწიწილედ კვერცხი უნდა აირჩეს საშუალო სიდიდისა, წესიერის მოყვანილობისა, არც ძალიან ნაჩვრეტებიანი და არც ძალიან გალესილი კვერცხები, რომელთაც საჰაერო გუდა ბოლოში აქვთ. კვერცხი რამდენადაც ახალია, ისა სჯობია საწიწილედ, მაგრამ ჩვენ გირჩევთ არ იხმაროთ ამისათვის სულ ახლად დადებული კვერცხები, რომელთაც არ გამოევლოთ ორი ან ერთი დღე-ღამე მაინც. ამასთან იმასაც დავუმატებთ, რომ ზაფხულში ახლად დადებული კვერცხები ერთს ღამეს მაინც გრილ ჰაერზედ უნდა გამოჰფინოთ, თუ გამოსაჩეკად გინდათ იხმაროთ. ჩამსახობის ძალა კვერცხს დიდს ხანს შეუძლიან შეინახოს, ორმოც დღემდის და მეტიც, მეტადრე ზამთრობით, როცა კვერცხი ინახება ყინვისა, სიცხისა და ნესტის მიუკარებელ ადგილას. მაგრამ ჩეკვაში, გაფუჭებულ კვერცხების უმეტესობა ეკუთვნის ძველი კვერცხების რიცხვს. ამისთანა კვერცხებიდამ კიდეც რომ გამოიჩიკოს წიწილები, მაინც სუსტს, ნაზს და მნელად დასაზრდელ წიწილებს გვაძლევენ. ახალი კვერცხები, თუ კარგათ აწყვია ჭურჭელში, შეიძლება გაიგზავნოს რკინის გზით ასი და ათასი ვერსის მანძილზედაც ისე, რომ შემდეგ საჩეკადაც გამოდგეს.

საამისოდ მათ ბოლოთი მაღლა აწყობენ ყუთებში, ან სახლებში ქაღოთი, ნაცრით ან ბზით. ნამგზავრი კვერცხები უნ-

და უეჭველად დაასვენოთ ერთ-ორ დღეს და მერე ისე იხმაროთ საჩეკად. საჭიროა აგრეთვე კვერცხების სიახლის შეტყობის ცოდნა. ამისათვის არსებობს ბევრი საშუალება, და ხერხი, მაგრამ ყველაზედ უტყუარ და ადვილ საშუალებად მიგვაჩნია საჰაერო გუდის მიხედვით სჯა, რომელიც იმდენათ უფრო ლაღია, რამდენადაც დიდი ხნის დადებულია და ახალ კვერცხებს კი იგი ცოტათი ეტყობა. ამ გუდის გადიდება ზაფხულში, რასაკვირველია, უფრო ჩქარა ხდება, ვიდრე ზამთარში, მეტადრე თუ კვერცხი ინახება ცხელსა და შშრალს ადგილას. ზოგნი კიდევ კვერცხის სიძველეს უფრო მომუქო ფერით სჯიან და სხვა.

ხშირად კვერცხს ორი გული აქვს ხოლმე და ამისთანა კვერცხები საჩეკად თავის დღეში არ უნდა დაუწყოთ, რადგან თუმცა პირველ ხანებში ჩასახვის პროცესი დაიწყობა, მაგრამ მერე მალე უეჭველად გაფუჭდება.

გ. ლეხურელი.

(გაგრძელება იქნება).

წერილი სოფლელ მუშას

(მესამე *).

ჩემო ერთგულო მეზობელო ბეჟან!

სხვათა შორის შენ მეკითხები: „რანაირად შეიძლება ბჟოლის (თუთის) თესლის მომზადებაო?“ როგორც ეს პირველ წერილშიაც გითხარი, სათესლედ ყოველთვის თეთრი ან და მწვანე ბჟოლა უნდა აირჩიოთ და შემდეგ იმათი თესლი ასე უნდა მოამზადოთ: კარგად ნაყოფებ (კაკლებ) მომწიფებულ თეთრ ბჟოლას შეუფარე ქვეშიდგან ზეწარი ან და ფარდაგი და ამის შემდეგ ძალზედ მოანძრიე მისი ბოლოები (ტოტები). ზეწარზედ ბჟოლას კაკლები [1]) დასცვივა. ამ უკანასკნელს უმწიფარი და უვარგისი კაკლები უსათუოთ უნდა გამოაცალოთ. ამის შემდეგ დანარჩენი ჩაჰყარეთ წყლიან ჭურჭელში (კარდალში) და კარგად მოჭყლიტეთ (გასრისეთ). ასეთი მოჭყლეტის შემდეგ იმათგან უვარგის თესლთაგანები ყველა ზევით ამოცურდება. ამით შენც უნდა ისარგებლო და მაღლა ამოცურებული უვარგისი თესლები ფრთხილათ გადარეცხო (გადაწურო). დანარჩენი კარგი თესლები (სათესური) ყველა

---

[2]) იხ. „მოგზაურის“ №№ 1 და 2, 1904 წ.

[1]) ბჟოლის ნაყოფს კაკლებს ეძახიან.

ფსკერზედ დაიკრიფება. ასეთი ძირზედ დარჩომილი სათესლე შემდეგ ამოიღეთ იქიდგან, დაყარეთ საცერზედ, ასხით ზედ წყალი და თან რეცხეთ მანამდის, სანამ კაკლები კარგად არ დაიფერებიან. მერმეთ აიღეთ საცრიდგანაც, ერთი კიდევ გადაავლეთ წმინდა წყალი, შემდეგ გამოსწურეთ წმინდა ჭინჭში და გაფინეთ ჩრდილში გასაშრობათ. ორი თვის განმავლობაში ამნაირად უნდა ახმო. ამის შემდეგ შეგიძლია ჩაყარო პატარა პარკებში და შეინახო საზამთროდ მშრალ და მოცივო ალაგას.

მაგრამ ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში (ლმობიერი ბუნების წყალობით) არც ამდენი გარჯა დაგჭირდება: ბჟოლის დათესვა ჩვენში მაშინვე შეგიძლიათ, როგორც კი მოამზადებთ სათესლეს (ე. ი. გახმობას და ზამთარში შენახვას აღარ საჭიროებს). ბჟოლის დასათესი მიწა წინდაწინვე უნდა მომზადდეს ამნაირად: შემოდგომაზედ, უკვე შემოკავებული, ადგილი ღრმათ დაბარეთ ან და დახანით. გაზაფხულზედ ხელ-მეორედ გაავლეთ გუთანი (მიწა გადააბრუნეთ) და შემდეგ კვლებათ დაჭყავით. დათესვის წინეთ (მაისში), რომ ახლად მომზადებული ბჟოლის თესლი ერთმანერთს არ აეწებოს, უნდა შეუსვაროთ სათესურს სილა (კარგად აურიოთ ერთმანერთში) და მერმეთ დასთესოთ სიმინდივით, მაგრამ კი ცოტა უფრო მეჩხრათ. ათი-თუთხმეტი დღის შემდეგ თესლი უსათუოთ ამოვა. ცოტა წამოიზარდოს თუ არა, გაამეჩხრეთ; თვითეულ მათგანს (დანარჩენთაგანს) შემოაყარეთ ძირზედ ბლომათ მიწა და დატოვეთ ასე გაზაფხულამდის. მეორე გაზაფხულზედ ძირებზედ შემონაყარი მიწა გამოუშალეთ და კარგათ გამოუწმინდეთ თოხით. თუ ბჟოლები სქლათ გეჩვენოს, გამოსჭერით იმათგან მდარე და უვარგისები. ორი წლის განმავლობაში ბჟოლები საკმაოთ მოიზრდებიან და ამის შემდეგ იმათი გადარგვა სადაც კი გენებებათ იქ შეიძლება. თუ შენ მოზრდილი (დიდრონი) ბჟოლების დარგვა შემოდგომაზედ გნებავს, მაშინ იმათი დასარგავი ადგილი გაზაფხულზედ უნდა მოამზადო და

თუ დარგვას გაზაფხულზედ აპირებ, მაშინ კი მიწა შემოდგომაზედ უნდა მოუმზადო.

დასარგავი ადგილების მომზადება ამ ნაირად შეიძლება: ამოიღეთ ორმო (ანუ თხრილი) ერთი არშინის (ალაბის) სიღრმეზე. ამასთან უნდა გახსოვდეს, რომ სიგანე ორმოს რაც მეტი ექმნება, იმდენი უკეთესია. ამონაღები მიწა სამათ უნდა გაჰყო: პირველი ნაწილი (თავი მიწა, ხუთი გოჯის სიმაღლემდის) ცალკე დაყარეთ; მეორე ნაწილის (შუაგულის მიწა, ანუ კიდევ ქვევით ხუთი გოჯის სიღრმეზედ ამონაღები მიწა)—ცალკე და ძირის მიწაც—ცალკე (დანარჩენ ექვსი გოჯის სიღრმემდის). ამის შემდეგ ორმოს ფსკერი კარგად უნდა შეუბარო და დასტოვო ასე შემოდგომამდის ან და შემოდგომიდგან ზაფხულამდის. როცა მოაწევს გადარგვის დრო, ამოთხარეთ ფრთხილათ ბჟოლები, ძირები შეუწმინდეთ (ე. ი. შელახული ნაწილები უსათუოთ უნდა შეაჭრათ ბასრი დანით); ძირი თვითეულ მათგანს გადუჭერით ორი გოჯის სიგრძეზედ, ხოლო თავი და ბოლოები კი პირველ კვირტს ზევით ნახევარ გოჯზედ. შემდეგ მოიტანეთ დასარგავ ადგილას. ვინემ რგვას შეუდგებოდეთ, ჯერ ჩაყარეთ თხრილში მისგანვე ამონაღები მიწის პირველი ნაწილიდამ (ე. ი. თავი ანუ ზედა პირის მიწა). თუ ამ უკანასკნელს შენ ნელა ჩაჰყრი შიგ (და შიგ ჩანაყარ მიწას არ გადაუწ-გადმოუწევ) იმ შემთხვევაში ასეთ ჩანაყარ მიწას თავისთავათ გაუკეთდება—ძველებურ ფაცხასავით კუშტული. აი, ასეთ კუშტულზედ უნდა დაუშვათ დასარგავი ბჟოლა თავისი ძირით. მიწის კუშტული (ჩაყრილი მიწა) იმოდენა უნდა იყოს, რომ მისი შემწეობით ბჟოლას ძირი ორი გოჯით მაღლა დადგეს ორმოს ფსკერზედ. ამის შემდეგ შიგ უნდა ჩაუყაროთ დანარჩენი ამონაღები თავი მიწისა (პირველი ნაწილისა), მერმეთ შუაგულიდგან ამონაღები (მეორე ნაწილი) და ბოლოს კი ძირიდგან ამონაღები (ე. ი. მესამე ნაწილი). როცა ორმო ამოიმსოს, შემოუბეჭნეთ ბჟოლას გარშემო მიწა; მორწყევით (წყალი დაუსხით); მიუსვით სარი,

მიაკარით ბჟოლა ამ უკანასკნელს ორს ან სამ ადგილას და დასტოვეთ ასე. ამნაირად გაზაფხულზედ დანარგავ ბჟოლებს [2]) შემოდგომაზედ გარშემო მიწა უნდა შეუთოხნოთ და ამ უკანასკნელზედ (ე. ი. ამ შეთოხნილ მიწაზედ) მოაყაროთ ნაკელი. გამოზაფხულდეს თუ არა, ამ ნაკელზედ ზევიდგან დააყარეთ უბრალო მიწა და კარგათ აურ-დაურიეთ ერთმანეთში. ამის შემდეგ შენ შეგიძლია იზრუნო მხოლოდ იმაზედ, რომ ბჟოლა მაინცა და მაინც მაღლა არ აიჩხოტოს და თან ტოტებიც ბევრი გაიკეთოს. ამ ნაირი სურვილის განხორციელება თუ გნებავს, ასე უნდა გაისარჯო: ჩვენ წინეთ ვსთქვით, რომ დასარგავ ბჟოლას ჯერ ძირების ბოლო და მაღლა ტოტები (წვერი) უნდა გადუჭრათ და შემდეგ ჩარგოთ მიწაშიო. ერთი წლის შემდეგ ასე დარგული ბჟოლა უსათუოთ ყლორტებით (ამონაყარით) შეიმოსება; სხვათა შორის ორი ყლორტი (ამონაყარი) ასეთ ბჟოლას იმ ადგილასაც ექმნება გამოღებული (ამოყრილი), სადაც შენ შარშან თავი გადუჭერი მას დარგვის დროს. აი, სწორეთ ეს ორი ყლორტი უნდა დაუნარჩუნო ეხლა შენ იმას და დანარჩენი კი უსათუოთ შეაწმინდო (შემოასხეპო) [3]). ბჟოლა, რასაკვირველია, მეორე წელსაც (მეორე გაზაფხულზედ) შეიმოსება ყლორტებით და ამასთან თვითეულ იმ ყლორტთაგანს (სულ ხომ ორი ყლორტი დასტოვეთ შარშან), წრეულს ორ-ორი ყლორტი ექმნება გამოღებული, რომელიც უსათუოთ უნდა დაუტოვო (პირველ კვირტთან უნდა გადუჭრათ და ისე დასტოვოთ) და დანარჩენი ყლორტები კი წინანდებულად შემოაცალოთ (ძირში მიაჭრათ) ისე, რომ ბჟოლის ტანი მარად გაწმენდილი იყოს. ეს ძირში მინათალი ტო-

---

[2]) თუ შემოდგომაზედ დარგულია, შაშინ კი გაზაფხულზედ უნდა შეუთოხნოთ მიწა.

[3]) დანარჩუნებული ყლორტები პირველ კვირტს ზევით უნდა გადასჭრათ და ყველა სხვა დანარჩენი კი სულ ძირში მიათალოთ.

ტები გაგლისეთ კუპრით ან და ფისით [4]). თვითეული წრევანდელი დანატევი ყლორტები გაის გაზაზაფხულზედ კიდევ ორ-ორ ყლორტებს გამოიღებს, რომლებიც შარშანდელისებურად უნდა დაუტევო და დანარჩენები კი შემოაცალო.

ასე უნდა გაიმეორო შენ ყოველ წელიწადს მანამდის, სანამდის არ მიიღებ იმდენ ტოტებიან ბჟოლას, რამდენიც შენ გესურვება. ასეთი მოქმედებით შენ შეგიძლია ერთ ბჟოლას გააკეთებინო (გამოაღებიო) ორმოცდარვაიდგან მოკიდებული ოთხმოცდა თექვსმეტამდის ტობი!.. ასეთი ბჟოლა (ყოველ წლობით) კვლავაც შეიმოსება ამონაყარი ყლორტებით, მაგრამ ეს უკანასკნელნი შენ ყოველ წლობითვე უნდა გამოუწმინდო ტოტებსა და ტოტებს შუა [5]). ამნაირად მოშენებული მრავალ ტოტებიანი ბჟოლები ქცევა ადგილზედ სამოცდა ათამდის დაეტევა და ამასთან, რასაკვირველია, იმაზედ მეტს სარგებლობასაც მოგცემს, რამდენსაც იძლეოდა ამდენ ხანს სამი-ოთხი ქცევა ადგილის ბჟოლები, მაგრამ კი თავისთავათ ამოსულნი. ბჟოლისგან ცოცხალი ღობის გაკეთებაც შეიძლება ამ ნაირად: საღობავ ადგილს შემოარგით ბჟოლები ნახევარ-ნახევარალაბზედ [6]); თვითეულ მათგანს (როცა მორჩეს კარგად) გამოაყვანიეთ ორ-ორი ყლორტი (ამონაყარი) და დანარჩენი კი შეუწმინდეთ (შემოაცალეთ). ერთი წლის შემდეგ (დარგვიდგან) თვითეულ მათგანს თითო-თითო ამონაყარი (ყლორტთავანი) გადაუჭერით ნახევარი ალაბის სიმაღლეზედ (ეს უკანასკნელი ყველას ერთ და იმავე კედრით უნდა შეაჭრათ). შე-

---

[4]) ეხლა უკვე ექვს ტოტიანი ბჟოლა გვაქვს.

[5]) თუ ასეთი ბჟოლა საფურცლედ გაქვს გაშენებული, იმ შემთხვევაში ხსენებული ედორტების ფოთლებისგანაც შეგიძლია ისარგებლო.

[6]) თუ თხრილი აქვს შემოვლებული, მაშინ უმჯობესია დასთესოთ ზედ.

მდეგ თვითეული დანარჩენი (გადაუჭრელი) ტოტთაგანი (თითვეულ ძირზედ) გადმოღუნეთ გადანაჭერი ტოტებისკენ და მიაკარით ამ უკანასკნელთ ბჟოლისავე ქერქით.

ესენი მეორე წელიწადს, რა თქმა უნდა, ყლორტებით შეიმოსება და როცა ეს უკანასკნელნი (ყლორტები) ერთმანეთში გაექსვება, მაშინ ასეთი ცოცხალი ღობე მშვენიერი სანახავი ხდება. ამნაირად, ასეთი ღობე ეზოსაც დაგიმშვენებს, ღობის მაგიერობასაც გაგიწევს და თან ფოთლებსაც მშვენიერს მოგცემს ახლად გამოსულ ბობლების (აბრეშუმის ჭიების) დასაპურებლად.

ბჟოლების მოშენებით სხვანაირადაც შეგიძლია ისარგებლო: შემოღობეთ რომელიმე უნაყოფო ადგილი (ქედზედ ან და ეწერზედ); ჯერ დაჭხანით ღრმათ და შემდეგ დასთესეთ ზედ ბჟოლა. როცა ამოვიდეს და კარგად ძირი მოიმაგროს, გამარგლეთ სიმინდსავით და დასტოვეთ ასე სამ წლამდის. სამი წლის შემდეგ შენ მიიღებ იმათგან საკმაოთ დამსხვილებულ სარებს.

ქცევა ადგილზედ ასეთი სარები თორმეტ ათასამდის შეგიძლია მოიყვანო. თითო სარი ბაზარზედ სამ კაპეიკამდის ეღირება, მაგრამ შენ ორ-ორ კაპეიკადაც რომ გაყიდო თითო, არც იმით წააგებ, რადგანაც შენ ამ შემთხვევაშიაც შეგიძლია აიღო მისგან ორას ორმოც მანეთამდის!..

გარდა ამისა ადგილის დაპატიებას არ იკითხავ? ხსენებულ უნიადაგო მიწას (სადაც ასეთი სასარე ბჟოლებია დათესილი) სამი წლის განმავლობაში აუარებელი (ურიცხვი) ბჟოლის ფოთლები დაალპება თავზედ და ამნაირად, უნაყოფო ადგილიც თავისთავათ განაყოფიერდება (გასუქდება).

გარდა ზემონაჩვენები სარგებლობისა, ბჟოლის მოშენებას ბევრი სხვა სარგებლობის მოტანაც შეუძლია, მაგრამ მე აქ მხოლოდ ზოგიერთ მათგანს დაგისახელებ. ბჟოლის ნაყოფისგან კეთდება: მურაბა, თათარა (ტკბილის კვერი), დუშაბა, ძმარი, არაყი და სხვა, ხოლო ფოთლებიდგან კეთდება

მშვენიერი საღებავი [7]), რომელზედაც ამდენხანს დაფნის ფურცელს ხმარობდნენ სოფლად. ბჟოლის ხე იძლევა აგრეთვე ძვირფას მასალასაც. მაგალითად: მისგან კეთდება ჩანგური, თარი, ურმის ფესვები და ფირფიტები (სოლები), ბასკები; აგრეთვე იძლევა ძვირფასს წნელს, სარებს, შეშას და სხვას... ზემოხსენებულიც საკმაოა იმის დასამტკიცებლათ, თუ რამდენად სასარგებლო და ძვირფასი ხეა ბჟოლა და ამიტომ იმათი ბლომათ მოშენება თვითეული სოფლელი ოჯახისთვის დიდად ხელ-საყრელია (იხ. ბ-ნ ნ. შავროვის წიგნაკი: „Разведеніе шелковицы и пользованіе ею“).

— •

ქვევით შენ ბუნებას ესაყვედურები და სხვათა **შორის** ამბობ: „ძველად მონაშენი თხილები თუ სადმე გამაჩნდა ყველა გადამიხმა და თუ რომელიმე მათგანი გადარჩა, ისინიც ალარ ისხამენო!“ აქ ბუნება რა შუაშია?! ბაბუაშენი კელენჯუხის მონაშენმა თხილებმა დღეს რომ კარგად არ მოისხას, ნუ თუ ეს გასაკვირია?! ყველაფერს თავისი დრო აქვს,

---

[7]) ბჟოლის ფოთლებისგან ამნაირად შეგიძლიათ საღებავი გააკეთოთ: შემოდგომაზედ ბჟოლიდგან ჩამოსაცვენი ყვითელ-ყვითელი ფოთლები მოაგროვეთ, ჩაყარეთ წყალში და ადუღეთ მანამდის, სანამ არ მიიღოთ შედებილი ნახარში წყალი. შემდეგ ასეთი ნახარში წყალი გაჭყავით ორ ნაწილათ, თვითეული ნახევარი ცალ-ცალკე მოათავსეთ ქვაბშიდ და ერთს მათგანში ჩაყარეთ დანაყილი შაბი. შესაღებავი ქსოვილი ჩასდევით ჯერ ამ შაბიან ნახარშში, გაახერეთ შიგ ხუთ წუთს; შემდეგ აქედგან ამოიღეთ, გასწურეთ კარგად, ჩასდევით ახლა მეორე ქვაბში და აქაც ხუთ წუთს გაახერეთ. საღებავი ნახარში (ამ დროს) უსათუოთ მდუღარესავით უნდა იყოს ცხელი, რომელშიაც სამჯერ უნდა ჩასდვათ და ამოიღოთ (ჩაასვენოთ და გასწუროთ) შესაღები შალეულობა თუ სხვა რამ ქსოვილი. ამის შემდეგ ამოიღეთ, გაშრეთ ჩრდილში და მაშინ მიიღებთ მისგან ოქროს მაგვარ მოყვითანოთ შედებილ ქსოვილს.

ჩემო ბეჟან! ისინიც მობერდნენ, მოიღალნენ, ძალა გამოელიათ!.. რაც შეეხება ჩვენში თხილების მოუსავლობას, ამის შესახებ აი რას მოგახსენებ:

საზოგადოთ შემჩნეულია, რომ დათესვით მოშენებული თხილი უფრო ადრე ადგება გადაგვარების გზას (ველურდება), ვინემ გადარგვით მოშენებული თხილები. ხოლო ჩვენში თვით სათესლეს ამორჩევითაც კი არავინ იწუხებს თავს! ასე გასინჯეთ, ზოგიერთ ოჯახებში თხილების სიავ-კარგე რამდენიმეთ ჩხიკვებზედაც კია დამოკიდებული!.. თუ ამ უკანასკნელთ კარგი თხილის კაკალი გამოუსხლტება ნისკარტიდგან, კარგი დაგემართოს,—თუ არა და ცუდი თხილის კაკლიდგან ამოსული თხილებიც ხომ უვარგისი და უსარგებლო გამოვა!.. დიახ. თუ ასე შემთხვევით მიწაზედ დავარდნილი თხილის კაკალი ღორებსაც გადაურჩა, ის უეჭველად იმავე ადგილას ამოვა და აი ზოგიერთ ჩვენებურ ოჯახებში თხილების მოვლა-მოშენებაც, ხშირად მარტო ამით თავდება!!...

თქმა არ უნდა, რომ ამნაირად ამოსული თხილები მხოლოთ შემთხვევით შეიძლება კარგი გამოდგეს და ამიტომ აღარც ჩვენ უნდა გვიკვირდეს იმათგან მოუსავლობა... ვისაც დათესვით თხილების მოშენება უფრო ეადვილება, იმან უსათუოთ თესლის ღირსებასაც დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს და ამიტომ, შენც თუ ფიქრობ თხილების დათესვით მოშენებას, გირჩევ ასე მოიქცე: ჯერ იშოვნე (ან თხოვნით ან ყიდვით) სადმე კარგი ღირსების და მომსხმელი ჯიშის თხილები (ერთ-ორ ძირამდის). ეს უკანასკნელნი, როცა მომწიფდეს, დარეკე; მერმე გამოარჩიე იმათგან კარგისგან-კარგი კაკლები (სათესლე) და ჩაფალი საგანგებოთ მომზადებულ კვლებში (მწყობრ-მწყობრათ) ორი თითის დადების სიღრმეზედ. დასათესი მიწა ალქატი (ფხვიერი) და თან უყი ან და ნაკელიანი უნდა იყვეს. ოქტომბერში (მწიფობისთვეში) დანათესს თხილებს აპრილის პირველ რიცხვებში (გაზაფხულზედ) უსათუოთ მიწა უნდა შეუფშვნათ, მაგრამ ისე ფრთხი-

ლად კი, რომ თესლები (თხილის კაკლები) მიწაში არ შეანძრიოთ. ასე დათესილი და მოვლილი თესლი მაისის პირველ რიცხვებში უსათუოთ ამოვა. თუ ზამთრის განმავლობაში თაგვებმა დაუწყონ ჭამა სათესურს, იმ შემთხვევაში სჯობს მარტში დასთესოთ. ხოლო, მარტში დასათესი თხილი ზამთარში ამნაირად უნდა გქონდეს შენახული: ჩაყარეთ რიგ-რიგით გარეცხილი სილა და მათზედ თხილის კაკლები რომელიმე ჭურჭელში (ყუთში ანუ ქილაში), დახურეთ და დადგით ისეთ მოცივო ადგილას, სადაც მზის სხივების სითბო ან ცეცხლისა არა სწვდებოდეს. ამასთან უნდა ეცადოთ, რომ ყუთში სილა მარად სველი იყოს (ამისთვინ საჭიროა სუბუქათ წყლით მორწყვა). ამნაირად შენახული თესლი თქვენ შეგიძლიათ დასთესოთ მარტში, მაგრამ ისე კი, როგორადაც ეს ზემოთ მოგახსენეთ. როცა დანათესი ამოვიდეს და ცოტა წამოიზარდოს, მაშინ იმათ ძირები გამოუწმინდეთ ბალახებისგან, ხოლო ზაფხულობით კი (როცა გვალვაა) კარგად მორწყევით. თუ ამნაირად მოუვლით, ისინი ერთი წლის განმავლობაში ნახევარ ალაბის სიმაღლენი შეიქმნებიან. მეორე წელიწადს იმათი გადარგვა შეიძლება მეორე კვალზედ, მაგრამ უფრო მეჩხრათ (ბუჩქებს შორის ერთი ფეხის ნაბიჯი უნდა დასტოვოთ).

მესამე წელიწადს ხელ-მეორედ უნდა გადირგას ისინი, მაგრამ ისე კი, რომ ეხლა იმათ შორის ორ-ორი ფეხის ნაბიჯი დასტოვოთ ერთის მაგივრად. თუ მოთმინება გეყოფათ და მესამეჯერაც (გაზაფხულზედ) გადარგავთ, ნამეტანს კარგს იზამთ, მით უფრო, რომ ასეთი რამდენჯერმე გადარგვა (დანათესი თხილებისა) სამერმისოთ იმათ ღირსება; ზედ კარგ გავლენას იქონიებს. ამის შემდეგ შენ შეგიძლია ისინი სამუდამოთ გადარგა წინდაწინვე იმათთვინ მომზადებულ ადგილზედ. მეოთხე თუ მეხუთე წელს ისინი უკვე გამოიხმენ ნაყოფს. მაგრამ აქ საქმე იმაშია, რომ დათესვით მოშენებული თხილები უფრო ადრე ადგებიან გადაგვარების გზას, ვინემ დარგვით მოშენებული. უკეთ რომ ვსთქვათ, დანათესს

თხილებს დროთა განმავლობის შემდეგ კაკლები უფუტურდებათ და ნაკლებათაც ისხმენ.

ხსენებული ნაკლის თავიდგან ასაცილებლად, შენ ამნაირად უნდა მოიქცე: როცა დათესილი თხილები ამოვლენ და ცოტას მოიზრდებიან, ისინი ამავე დროს ამონაყარსაც ამოუშვებენ ზევით (თავიანთი ძირებიდგან), რომლებიდგანაც შენ უნდა ისარგებლო: ასეთი ამონაყარი ამოჰყოფს მიწიდგან თავს თუ არა, მაშინვე უნდა შემოაყარო გარშემო მსუქანი და ნოყიერი მიწა ოთხი თითის დადებაზედ; ეს იქმნება საჭირო ადრე გაზაფხულზედ ან და შემოდგომაზედ. შემოყრილი მიწა ფოთლებით უნდა მოჰფინო, რომ მიწა არ გამოუხმეს ამონაყარს. რამოდენიმე ხნის განმავლობაში თვითეული მათგანი წვნიკ ძირებს გაიკეთებს, და მაშინ შეგიძლიან ის ძირიანი ამონაყარი ცალ-ცალკე ფრთხილათ ამოიღო. ასეთი ძირები უნდა მოაშორო დედა ძირს სწორეთ იმ ადგილის ქვევიდგან, საიდგანაც მას გამოშვებული აქვს ახალი ძირები და შემდეგ სამუდამოთ გადარგა, იმათთვინ უკვე მომზადებულ ადგილზედ. გადარგვა და თვით მოვლაც ამათაც ისეთივე უნდა, როგორადაც ზემოთ მოგახსენე. თუ რომელიმე ამონაყარმა ძირები არ გაიკეთოს, მაშინ ამნაირად გაისარჯეთ: ასეთი ამონაყარის მახლოპლათ დაჰყარეთ რამოდენიმე ახალი მიწა. მერმე მის საპირდაპიროთ გათხარეთ ოთხი თითის დადების სიღრმეზედ მიწა, შემდეგ ფრთხილათ გადმოღუნეთ ეს ამონაყარი და ჩააწვინეთ შიგ ისე, როგორადაც ამას ვენახს უშვრებით. ამასთან ის კედარო, რომლითაც ამონაყარი წევს მიწაში (ვინემ დააწვენდეთ) რამოდენიმე ადგილას შეუსერეთ დანით და შემდეგ რამოდენიმე შეულახავი კვირტებით წვერი მიწიდგან ზევით ამოაყოფინეთ. როცა ამას შეასრულებთ, დააყარეთ ჩაწვენილს ამონაყარს (რომელიც უკვე კვალშია ჩაწვენილი) კარგი მიწა, მოაფინეთ ზევიდგან ფოთლები და ყური უგდეთ, რომ ეს მიწა არ გამოუხმეს მას. ასე დაწვენილი ამონაყარი შემოდგომისთვის უსათუოთ ძირებს გაიკეთებს. კიდევ უკეთესი იქმნე-

ბა, თუ შენ იმათ ორ წლამდის დააცლი და მხოლოდ შემდეგ გადარგავ სამუდამოთ დანიშნულ ადგილზედ. თუმცა თხილი საზოგადოთ სათუთი არ არის და ჩვენში ის თითქმის ყველა გვარ მიწაზედ ხეირობს, მაგრამ მაინც სასურველია, რომ იმათ მოსაშენებლად უფრო მჩატე და ფხვიერ მაწას მოსძებნიდეთ, მაგრამ არც ნამეტანი გამომხმარი უნდა იყოს მიწა და არც სველი. თუ ასეთი ადგილი არ გეშოვებათ, მაშინ უმჯობესია იმათ დასარგავათ ორმოები მოზრდილ-მოზრდილი ამოთხაროთ და ვინემ შიგ თხრილების ჩარგვას შეუდგებოდეთ, ისინი (ასეთი ორმოები, თხრილები) მჩატე და ფხვიერი მიწით ამოავსოთ. ასეთ ორმოებში ჩარგული თხილი მშვენივრად იხარებს. ამასთანავე მარად უნდა გახსოვდეთ, რომ გაწმენდის დროს თხილების შეკოდვა, ან და იმათი კვირტების ხელით შეჟღლა ფრიად მავნებელია. ‘ამნაირად მონაშენ თხილებს შეუძლიათ კარგი ნაყოფის ძლევა ოცდაათ წლამდის. მაგრამ შენ შეგიძლია გაახლებით თხილებს შემდეგისთვინაც განაგრძობიო ნაყოფის ძლევა ამნაირად: როცა თხილის ხე მობერდეს, გადახერხე ის თოთხმეტი ვერშოკის სიმაღლეზედ (მიწიდგან მოკიდებული თითქმის ერთ ალაბზედ); გარშემო მოუთხარე მიწა ძირებამდის (ხის გარშემო ორი ალაბის სიფართეზედ) და იმათ ადგილას ჩაჰყარეთ ამ ამოთხრილში სხვა ახალი, მაგრამ კი ნოყიერი და მსუქანი მიწა. ამის შემდეგ იმათი ძირები და ტანიც ამოიყრის ახალს ტოტებს. ამ ამონაყართა შორის შენ უნდა დასტოვო პირველ წელიწადს მხოლოთ უფრო მძლავრები და მოზრდილნი. მერმე დანარჩენებშიაც გამოაკლებ, ნელ-ნელა, უსუსურებს და შენთვინ უვარგისებს. და რაკი დაიყვან იმათ რაოდენობას საჭირო რიცხვზედ (იმდენზედ, რამდენიც შენ გესაჭიროება), მაშინ ამ ტანის დანარჩენიც (რომელიც ამას წინეთ ერთი ალაბის სიმაღლეზედ გადახერხე) შიგ ძირში (მიწის სიტოლიეთ) უნდა მიაჭრა, გადახერხო. ხსენებული მოქმედება შენ მალე დაგარწმუნებს, რომ ამნაირად გაახლებული თხილები არამც თუ ახლად მოშენებულზედ ნაკ-

ლებს, არამედ, ხშირათ, გაცილებით მეტ მოსავალსაც კი იძლევიან!.. თუ შენ გინდა თხილები ბლომად მოაშენო, მაშინ ასე უნდა მოიქცე: დარგევი კვლებში თხილები მწყობრ-მწყობრად ისე, რომ პირველი კვალის თხილები არ ხვდებოდეს პირდაპირ მეორე კვალის თხილებს, ე. ი. პირველი კვალის თვითეული თხილის ბუჩქი უნდა იდგეს იმ თავისუფალი ადგილის პირდაპირ, რომელიც დატოვილი იქნება მეორე კვალის თხილების ორ ბუჩქთა შორის, ანუ ორ ძირთა შორის და ამასთან თვითეული თხილის ბუჩქი დაშორებული უნდა იყოს ერთმანეთზედ ოთხ ალაბ ნახევარზედ მაინც.

ამაზედ ნაკლებ სარგებელს შენ არც თხილებით ტყის მოშენება მოგიტანს. ამისთვინ საჭირო იქნება მხოლოთ იმათი (თხილების) დათესვა და მერმეთ სიმინდივით გამარგვლა. ასე მოშენებულ თხილის ტყეს, გარდა ნაყოფისა, სხვა მრავალ-გვარი მასალის მოცემაც შეუძლია; მაგალითად, საძირეების და სატკეჩეების მოცემა, რომლებიც საჭიროა კალათების, გოდრებ-გიდლების და სხვა ამგვარების დასაწნავათ.

ერთი გოდორი, ჩვენში შვიდი აბაზიდგან ორ მანეთამდის ღირს, კალათი—ოთხ აბაზამდის და გიდელი ექვს-შვიდ აბაზამდის!!. ასეთი სიძვირე (დიდი ფასი) გამოწვეულია, რასაკვირველია, ხსენებული ჭურჭლების დასაწნავ საძირეების და სატკეჩეების სიძვირის გამო. ჩვენში ხსენებულ ჭურჭლებს თხილის საძირეებიდგან და ტკეჩებისგან აკეთებენ ხოლმე [8]), მაგრამ დღეს ამ უკანასკნელის შოვნა იმდენათ გაძნელდა, რომ ერთი გოდრის დასაწნავ სატკეჩის მოძებნაზედ მუშას ორ დღემდის უცდება და აი, სწორეთ ეს არის თავი მიზეზი ხსენებული ჭურჭლების სიძვირისა და თვით იმისაც კი, რომ იმათ

---

[8]) სურნის ძირებიდგანაც აკეთებენ, მაგრამ ეხლა ეს უკანასკნელი ადარ იშოვება თითქმის.

წვნას ასე იშვიათათ-ღა მისდევენ ჩვენში. ეხლა კი შენ, ჩემო მეზობელო, სულ ადვილათ შეგიძლია ხსენებული დაბრკოლებანი თავიდან აიშორო თხილების ტყედ გაშენებით და მის შემწეობით მიჰყო ხელი კალათების დაგოდრებ-გიდლების დაწვნა-დაკეთებას გასასყიდათ. ასეთ მოქმედებას არამცთუ მარტო შენთვინ, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნისთვინაც დიდი მნიშვნელობა ექმნება [9]), მით უფრო, რომ ამ შემოსავლიანი მოქმედების შესრულება ოჯახში, შენ ისეთ დროსაც შეგიძლია, როცა გარეთ სხვა არაფრის გაკეთება არ შეიძლება, მაგ., როცა წვიმებია ან ზამთარი

ყველაზედ უწინ ასეთი მოქმედების ნაყოფიერებას შვეციამ მიაქცია ყურადღება; შვეციიდგან გადმოიღო ეს ხელობა გერმანიამ და გერმანელებისგან კი ავსტრო-უნგრეთმა. მარტო (სხვადასხვა სოის) კალათების წვნით გერმანიას ექვს მილიონ მანეთზედ მეტი შემოსავალი აქვს!.. ზემოხსენებულ ქვეყნებში სოფლელნი ისე დახელოვნებულნი არიან კალათების დაწვნაში, რომ თვითეული მათგანი, ამ ხელობით თორმეტიდგან ხუთმეტ მანეთამდის ღებულობს კვირაში და ისიც ისეთ დროს, როცა სხვა არა იმუშავებარა!.. ეხლა ერთი ვიკითხოთ: იქ, სადაც ისინი ერთს კვირაში ხუთმეტ მანეთს იღებენ, ნუთუ ჩვენ ხუთის აღებასაც ვერ მოვახერხებთ?!.... ნუ თუ ჩვენ არ შეგვიძლია იმავე საქმეში დახელოვნება და გამოწრთვნა?! თვეობით, რომ ოც-ოცი მანეთი შემოიტანოს ღარიბი ოჯახის პატრონმა სახლში და იგიც ზამთრის დღეებში, ეს რამხელა (რამოდენა) საქმე იქმნება მისთვინ?! ზამთარში კი არა, ჩვენში ისეთ დროსაც კი გარბიან ქალაქებში თვიურ ქირაზედ, როცა სოფლად მუშაობა სდუღს და გადმოდუღს (ყანების დამუშავების დროს). მერმე რამდენს ღებულობს იქ არ

---

[9]) ასეთ სარგებლიან მოქმედებაზედ შენ სხვებიც მიგბაძვენ და ქვეყნისთვინ მნიშვნელობაც ამაში გამოიხატვის.

იკითხავთ?—ბევრი, ბევრი ხუთმეტიდგან ოც მანეთამდის აიღოს. ამათში ათიდგან ხუთმეტ მანეთამდის თავის თავზედ ეხარჯება და, მაშასადამე, იგიც დიდი ღვთის წყალობა იქნება, თუ ხუთ მანეთამდის ოჯახს ჩამოუტანა. აი, უმეცრებაც ამასა ჰქვია, რომ ხუთი მანეთის საძებრად სხვაგან გავრბივართ მაშინ, როცა ამავე დროს ოცი მანეთის აღება (შოვნა) თავისავე ოჯახში უფრო ადვილათ შეგვიძლია!!.... (იხ. ბ-ნ ვ. პაშკევიჩის და ვებერის წიგნაკები: „Орѣхъ лѣсной и его культура“ и „Карзиночное производство“).

მარად შენის ბედნიერის და კმაყოფილის ცხოვრების მონატრე

ტ. ართშელაძე.

მატერიისა და ძალის ევოლიუცია სამყაროში.

ქვეყნიერების გაჩენა და მატერიის სისტემიანობა.

წარმოვიდგინოთ შემდეგი რამ: მთელ ქვეყნიერების უსაზღვრო სივრცე-მანძილში არა რაა: არც ვარსკვლავები და არც მზე და მის გარშემო მავალი ჩვენი დედა-მიწა და სხვა შვიდი პლანეტა. მთელ ქვეყნიერების უზომო სივრცე-მანძილი ეთერითაა სავსე, რაღაც ძლიერ თხელ მატერიითა. წარმოვიდგინოთ ახლა, რომ ამ ეთერით დაჭერილ სივრცე-მანძილში ერთგან 4 ატომია გაფანტული, ასე რომ ერთმანერთზე რამდენიმე ვერსტზე არიან დაშორებულნი. ამ 4 ატომში ერთი მჟავდანია, ერთი აზოტი და ორიც წყალდანი. რა დაემართებათ ამ ატომებს? ეს 4 ატომი წარმოადგენს მატერიას და, მაშასადამე, ოთხსავეს ერთი ძირეული თვისება სჭირთ მატერიისა —მიმზიდველობა, ე. ი. ერთმანერთს შორიდამვე იზიდავენ. მიმზიდველობის გარდა ერთი სხვა ძირეული თვისებაცა სჭირთ ქიმიური ნათესაობა; მჟავდანს შეუძლიან აზოტი შეიერთოს და წყალდანიცა, მაგრამ წყალდანს რჩეულობს, მასთან უფრო მეტი ნათესაობა აქვს. მხოლოდ ამ ორ თვისებაში — მიმზიდველობა და ქიმიურ ნათესაობაში, —ის გარჩევაა, რომ ატომები პირველს შორითგანვე იჩენენ, მეორეს კი, — ქიმიურ ნათესაობას,—მხოლოდ მაშინ, როდესაც ძლიერ ახლოს არიან ერთ-

მანეთზე. მაშასადამე, ასე დაფანტული რომ წარმოვიდგინოთ ეს 4 ატომი, ქიმიური ნათესაობა მათ შორის დადუმებული იქნება და მხოლოდ მიმზიდველობა იმოქმედებს. ატომები შორიდამვე დაუახლოვდებიან ერთმანერთს და ერთ ჯგუფად შეიკრებიან. იმ წამსვე, როგორც კი მიეხლებიან ერთმანერთს, ქიმიური ნათესაობაც იჩენს თავს: მჟავდანი წყალდნის ორ ატომს უფრო ახლო მიიკრავს,—გაჩნდება წყლის სამ-ატომიანი მოლეკულა; აზოტი კი, როგორც მეტიჩარა, ამ მოლეკულას გვერდით ამოეჩრება, რადგან წყლის მოლეკულა და აზოტი ერთმანერთს იზიდავენ მიმზიდველობის ძალით. სწორეთ რომ ვსთქვათ, ეს ქიმიური შეერთება იმ წამსვე არ მოხდება, რადგან შორიდამ გამოქანებული ატომები ისე მძლავრად მიეხლებიან ერთმანერთს, რომ იმ წამსვე უკუ-აგდებენ ერთიმეორეს, ისე, როგორც ბურთს მოსდის იატაკზე რომ ვარდება. ბურთი, თუ რეზინისაა, რამდენჯერმე ახტება თავის-თავად და თუ დიდ სიმაღლიდამაა ჩამოგდებული ეს ახტომ-დახტომა რამდენჯერმე განმეორდება და ყოველჯერ ნაკლებ და ნაკლებ სიმაღლით. იგივე დაემართება ჩვენს 4-ს ატომს და ქიმიურ შეერთებამდინ ჯერ ბევრჯელ, იქნება რამდენიმე ათასჯერ, მიეხლებიან და უკუ-აგდებენ ერთმანერთს ნაკლებ-და-ნაკლებ ძალით. ბოლოს, ისეთი წამიც დადგება, რომ ეს უკუგდება შეწყნარდება და მაშინ მჟავდანს ორი წყალდანი მძლავრად შეეტაკება ქიმიურ ნათესაობის ძალით. ახლ ამ შეტაკებით აღძრული რთოლვა წინანდელ რთოლვას მიემატება, მიმზიდველობით წარმომდგარს და მისუსტებულსა. ამ გვარად ჯგუფის ატომები ხელმეორედ დაიწყებენ რთოლვას და ბოლოს დაწყნარდებიან. აქამდინ ჩვენ ამ 4 ატომზე ისე ვლაპარაკობდით, თითქოს ეთერი არ არსებობდეს, ის ეთერი, რომელიც ყოველ ატომს გარს არტყია. რა მოუვა ეთერს ამ 4 ატომიან ჯგუფის გაჩენაზე? რადგან ჯგუფის ატომები ერთ ხანს რთოლვაში არიან, ამიტომ ეთერსაც შეეყრება ეს რთო-

ლვა; ჯგუფის გარშემო ეთერში ტალღები გაჩნდებიან და დაიშლებიან ყოვლის მხრით.

ამ გვარად 4 ატომისაგან წარმოსდგა ერთი ჯგუფი, მხოლოდ ეს ჯგუფი ორ ნაწილისაგანაა შემდგარი: წყლის მოლეკულისა და აზოტისაგან. ამ ორ ნაწილს მიმზიდველობის ძალა აერთებს ერთ ჯგუფად, მოლეკულას კი ქიმიური ნათესაობა. მოლეკულაში ატომების დამოკიდებულება ქიმიურ ნათესაობით წარმოსდგება; მოლეკულისა და აზოტის დამოკიდებულება კი—მიმზიდველობით.

როდესაც მატერია ერთადაა, ისე, რომ მისი ნაწილები ერთმანერთის დამოკიდებულებაში არიან, მაშინ ამ შეერთებულ მატერიას სისტემა ჰქვიან. მაშასადამე, ჩვენი 4 ატომიანი ჯგუფი სისტემაა. თავის რიგზე წყლის მოლეკულაც სისტემაა; მთელ ჯგუფის სისტემა მიმზიდველობითაა შემდგარი და მოლეკულის სისტემა კი ქიმიურ ნათესაობით.

წარმოვიდგინოთ ახლა, რომ იმ დროს, როდესაც ჩვენი 4 ატომიანი სისტემა ჩნდება, მის ახლოს სხვა სისტემა არსებობს, მაგ., სხვა რამ მოლეკულა; ადვილად მისახვედრია, რომ თრთოლვა ჩვენი სისტემის ატომთა, შეხლებით აღძრული, ერერზე გადავა, იქ ტალღებს გააჩენს, რომლებიც ირგვლივ გაიფანტებიან და სხვათა შორის მეზობელ მოლეკულასაც მიეხლებიან, მის ატომებს შესძრავენ და აათრთოლებენ. თუ ეს მოლეკულა ჩვენს მოლეკულას ძლიერ შორს უდგა, იქამდინ მისულ ტალღებს იმდენი ძალა აღარ ექნებათ და ამიტომ ძლიერ სუსტი თრთოლვა შეეყრება იმ მეზობელ სისტემას. ამ გვარად, ორ სისტემაში ერთის თრთოლვა მეორეს ეყრება და ამ შეყრილ თრთოლვის მეტ ნაკლებლობა ამ შემთხვევაში ორ გარემოებაზედ დამოკიდებული: მანძილზე, რომელზედაც ერთმანერთზეა დაშორებული ორი სისტემა და აგრეთვე თრთოლვის სიძლიერეზე, რადგან თუ ერთი სისტემის ატომები სუსტად თრთოლვენ—სუსტ თრთოლვასვე შეჰყრიან მეორე სისტემას ეთერის შუამავლობით.

ვსთქვათ ახლა, რომ ჩვენ 4 ატომიან სისტემის სიახლოვეს რომელიმე სხვა დიდი სისტემაა გაჩენილი, რომელიც მრავალ ათას მოლეკულებისაგანაა შემდგარი; ვსთქვათ აგრეთვე, რომ ეს დიდი სისტემა ახლათაა გაჩენილი და ამიტომ მისი მოლეკულები ჯერ ისევ სწრაფად რთოლვენ. ძნელი არ იქნება წარმოვიდგინოთ, რა დიდ ღელვას გააჩენს ეს სისტემა გარე მყოფ ეთერში. სისტემა მრავალ ათას ატომებისაგანაა შემდგარი; ყოველი ატომი თრთის და ეთერს აღელვებს და მრავალი ათასი ატომი ხომ მრავალ ათასჯერ მეტ ღელვას გააჩენს ეთერში და მაშასადამე ჩვენ 4 ატომიან სისტემასაც დიდ ღელვას შეჰყრის. ამ 4 ატომიან სისტემაში, როგორც უკვე ვსთქვით, ორი ძალა მუშაობს: მიმზიდველობა, რომელიც აზოტს და წყლის მოლეკულას ერთად აკავშირებს და ქიმიური ნათესაობა, მჟავდანისა და ორ წყალდნის მაერთებელი. ქიმიურ ნათესაობის ძალა მიმზიდველობაზე გაცილებით უფრო მძლავრია; ამიტომ ამ 4 ატომიან სისტემას დიდი სისტემის თრთოლვა რომ შეეყრება, შეიძლება, ეს შეყრილი თრთოლვა ისე ღონიერიც არ იყოს, რომ წყლის მოლეკულას რამე დააკლოს, რადგან მისი 3 ატომი მძლავრათაა შეერთებული. ამ შემთხვევაში შეყრილი თრთოლვა აზოტისა და წყლის მოლეკულისაგან შემდგარ სისტემას ავნებს, რადგან მათ შორის მიმზიდველობა ძლიერი არაა. დიდ სისტემიდამ წარმოსული თრთოლვის ტალღები აზოტსა და წყლის მოლეკულას აათრთოლებენ და თუ ეს ეთერის ტალღები საკმაოდ ღონიერებია, რამდენიმე მიხლებაზე ორთავეს გაჰფანტავენ და სისტემა დაიშლება. შეიძლება მთლად არ გაჰფანტოს და მხოლოდ ერთმანერთს მოაშოროს რამე მანძილზე. შემდეგ, ღიდ სისტემის თრთოლვის შესუსტებაზე, აზოტისა და წყლის მოლეკულა ისევ შეერთდებიან მიმზიდველობით; ასე რომ ხელმეორედ მიეხლებიან ერთმანერთს და ისევ შეთრთოლდებიან. მოლეკულების თრთოლვა და ღელვა დიდ სისტემაში შეიძლება ისეთი დიდი ძალისაც იყოს, რომ მისგან წარმოსულმა ეთე-

რის ტალღებმა არამც თუ მიმზიდველობას დააკლონ რამე, არამედ თვით ქიმიურ ნათესაობასაც გადააჭარბონ. მაშინ ჩვენი 4 ატომიანი სისტემა მთლად დაიშლება და ატომებათ დაიფანტება სივრცე-მანძილში. ერთი გარემოება განგებ დავივიწყეთ ამ ჩვენს ახსნაში. ჩვენ წარმოვიდგინეთ ორი სისტემა: ერთი 4 ატომიანი და მეორე მრავალ ათას მოლეკულებისაგან შემდგარი; დიდ სისტემის გავლენა პატარაზე იმაში გამოიხატება, რომ თავის რთოლვას ჰყრის პატარასა ეთერის შუამავლობით. რამდვილათ კი სხვა რამ მოხდება: დიდი და პატარა სისტემა შორიდამვე მიიზიდავენ ერთმანერთს მიმზიდველობის ძალით, ერთმანერთს მიეხლებიან და ერთ სისტემად შეერთდებიან; პატარა სისტემის ატომები დაიშლებიან და შეერევიან დიდ სისტემის ატომ-მოლეკულებს, სწრაფად მთრთოლვარებს. თუ ორი სისტემა ერთმანერთს მოშორებით უდგას და არ ერთდება მიმზიდველობის ძალით, ამისი მიზეზი უნდა რამე იყოს, მაგ., ორი სისტემის იქით სხვა სისტემები დგანან და ისინიც იზიდავენ მათ თავისკენ და არ უშვებენ მათ შეერთდნენ. მიზეზი შეიძლება სხვაც იყოს: პატარა სისტემა დიდს გარს უვლის დიდის სისწრაფით. ჩვენ ერთგან ავხსენით ეს გარემოება და მაგალითად წისქვილის ქვა მოვიყვანეთ. წისქვილის ქვის ნაპირზე ლუკმა პური ან კენჭი რომ დავდოთ, წისქვილის ქვა მას განზე გადისვრის ტრიალის დროს. მაშასადამე, დიდ სისტემას რამე მიზეზით პატარამ გარს რომ დაუაროს, ამ პატარას განზე გადავარდნის ძალა ექნება, ე. ი. ეცდება დიდს მოშორდეს. მაგრამ რადგან იმავ დროს მათ შორის მიმზიდველობაც მუშაობს, პატარა დიდს ვერ მოშორდება და მუდმივ გარს დაუვლის. რაღა თქმა უნდა, რომ ამ შემთხვევაშიც დიდ სისტემის ატომ-მოლეკულების თრთოლვას იგივე გავლენა ექნება პატარაზე.

ყველა ის, რაც ავხსენით, როგორც ვხედავთ, ადვილად გასაგებია და ძლიერ გამოგვადგება ეს წინასიტყვა იმის ახსნაში, თუ როგორ გაჩნდა ქვეყნიერება, რომელზედაც ახლავე

დავიწყობთ მოკლე საუბარს. ქვეყნიერების გაჩენაზე ჩვენ იქნება შემდეგში მოგვიხდეს ვრცელი საუბარი, აქ კი ამაზე ახლა მოკლეთ მაინც უნდა ვსთქვათ ორიოდე სიტყვა. ამას იქით ჩვენ კარგა ხანს სხვადასხვა ძალებზე უნდა ვისაუბროთ და რადგან აწინდელ ძალთა დასაბამი უმეტეს ნაწილად პირველ-ყოფილ მატერიის მოძრაობაშია, ამიტომ ამ დასაბამით უნდა დავიწყოთ ეს საუბარი და ავხსნათ, როგორაა, რომ ახლანდელ ძალთა სათავე უმეტეს ნაწილად იმ პირველ-ყოფილ მატერიის მოძრაობაშია. ამის ახსნა და ქვეყნიერების გაჩენაზე საუბარი ერთი და იგივეა, როგორც ახლავე ვნახავთ.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ დედა-მიწის მასალა 80 ელემენტის ატომებისაგანაა შემდგარი. შემდეგში მკითხველი ნათლად გაიგებს, რაგვარ ხერხით (სპეკტრულ ანალიზით) მიაგნეს მეცნიერებმა, რომ არამც თუ ჩვენი დედა-მიწა, არამედ მთელი სამყაროც, თვის უთვალავ ვარსკვლავ-ქვეყნებით, იმავ ქიმიურ მასალისაა, რომ მთელი სამყარო მასალით ერთ-გვარია. ზოგიერთმა მოსაზრებამ აფიქრებინა სწავლულებს, რომ მთელი ქვეყნიერების მატერია ყოველთვის ვარსკვლავ-ქვეყნებად არ უნდა ყოფილიყო დანაწილებული და მთელ სამყაროს სივრცე-მანძილში ერთგვარად იყო გაფანტული რიცხვ-უთვალავ მილიონ თავისუფალ ატომებათ. ამ მოსაზრებამ შემდეგი კითხვა წარმოაყენა: როგორ მოხდა, რომ ასე ერთგვარად გაფანტული მატერია როდესღაც სხვადასხვა ვარსკვლავ-ქვეყნებად დანაწილდა და შეგროვდა? შეიძლება თუ არა ქვეყნიერების ეს გაჩენა მატერიისავე ძირეულ თვისებით აიხსნას—მიმზიდველობით და ქიმიურ ნათესაობით?

ქვეყნიერების გაჩენის მეცნიერულად ახსნა რამდენიმე სწავლულმა სცადა და მათში ყველაზე მეტად სამჯა გაითქვა სახელი: გერმანიელ ფილოსოფოსმა კანტმა (რომელიც წინ მეცნიერების მიმდევარი იყო, შემდეგ კი გადუდგა მას და ფი-

ლოსოფოსობა დაიწყო), ფრანგმა სწავლულმა სიმონ ლაპლა-სმა და ამ ბოლოს დროს ფაიმაც (Faye). სწავლულთა უმეტეს-ობას ფაის სწავლის უფრო სჯერათ, რადგან ჩვენი დროის მეცნიერულ სწავლა-თეორიებს ეს უფრო შეეფერება, საზო-გადოთ კი სამივე სწავლა ძლიერ წააგავს ერთმანერთს.

ამ წერილის დასაწყისში ჩვენ წარმოვიდგინეთ, რომ მთე-ლი ქვეყნიერების უსაზღვრო სივრცე-მანძილი, რომელიც ეთე-რითაა დაჭერილი, 4 ატომს გარდა არა რა საგანს არ შეი-ცავს. ვსთქვათ ახლა, რომ მთელი ეს სივრცე-მანძილი რიცხვ-უთვალავ მილიონ ატომებითაა სავსე; ეს ატომები 80 ელემე-ნტის ატომებია. როგორც ახლად დაგვილი ოთახი ბუქითაა სავსე, მტვრის ნამცეცებით, აგრეთვე მთელი ქვეყნიერება ამ თავისუფალ ატომებითაა გავსილი. ასეთ ყოფაში იყო როდეს-ღაც სამყაროს მასალაც. ამ ატომებს ორი ძირეული თვისება სჭირთ: ქიმიური ნათესაობა და მიმზიდველობა. ამ ორ თვი-სებაში, როგორც უკვე ვსთქვით, გარჩევა ისაა, რომ ატომები მიმზიდველობას შორიდგანვე იჩენენ, ქიმიურ ნათესაობას კი მხოლოდ მაშინ, როდესაც ძლიერ ახლოს არიან ერთმანეთზე. მაშასადამე, ასე დაფანტულები რომ წარმოვიდგინოთ ეს ატო-მები, ქიმიური ნათესაობა დადუმებული იქნება და იმოქმე-დებს მხოლოდ მიმზიდველობა,—ატომები ერთმანერთისკენ გა-იწევიან დასაახლოვებლად,—გაჩნდება ატომების მოძრაობა.

აქ ერთი რამ უნდა ავხსნათ, რომლის ცოდნა ძლიერ საჭიროა სამყაროს გაჩენის შესაგნებლათ. ყველას უნახავს წყლის მორევი; რომ დავაკვირდეთ ამ რგვლათ მოტრიალე წყალს, ვნახავთ, ამისი მიზეზი ისაა, რომ იმ ალაგას, სადაც მორევი ჩნდება, წყალს რამდენიმე მხრის დენა აქვს. მაგ., თუ მომდინარე წყალს გზაში კლდე დახვდა, წყალი უკუ-ვარდება და მის შემდეგ მოსულ წყალს უხვდება წინ. ამ შემთხვევაში წყალში ორი პირის-პირი დენაა. ყოველთვის, როდესაც წყა-ლში რამდენიმე მხრის დენა ერთმანერთს უხვდება, მორევი ჩნდება, ე. ი. წყლის რგვალი ტრიალი. იგივე ხდება ჰაერ-

შიც, როდესაც ორ მხრის ქარი, ე. ი. ჰაერის ორ-მხრივი დენა ერთმანერთს შეხვდება და გრიგალს და კორიანტელს აჩენს, რომელიც იგივე მორევია, მხოლოდ ჰაერისა და არა წყლისა.

ქვეყნიერების გაჩენაც სწორეთ ასე მოხდა. პირველ-ყოფილი მატერია, ერთგვარად ატომებათ დაფანტული ქვეყნიერების სივრცე-მანძილში, მიმზიდველობის ძალით აქა-იქ შეგროვდა რადგან ერთად შეგროვილ მატერიაში ატომები სხვადასხვა მხრით იყვნენ წამოსულები, ამიტომ ეს სხვადასხვა მხრის დენა შეგროვებაზე მორევად გარდაიქცა. ეს იყო პირველი დანაწ-ლება ქვეყნიერების მასალისა. ერთგვარად დაფანტული მატერია მიმზიდველობის ძალით გუნდ-გუნდად დანაწილდა, შეგროვდა აქა-იქ სივრცე მანძილში. ამ ატომების ხროვას გუნდი დავარქვათ.

ყოველი გუნდი სივრცით მრავალ მილიონ ვერსტებათ იზომება. ამისთანა გუნდები მრავალ მილიონია. ყოველ გუნდში ატომები შეჩერებული კი არ არიან, არამედ ყველანი რგვლათ მოძრაობენ. წყლით სავსე ქვაბში ფეტვი ან ღომი რომ ჩავყაროთ და კოვზით მოვურიოთ, მარცვლები ერთის მხრიდამ მეორისკენ დატრიალდებიან. რომ გუნდშიც ასე წარმოვიდგინოთ ატომების ტრიალი, გუნდი გარედამ უზარ-მაზარ ბურთს ეგვანება, რგვლათ მოსრიალეს. ამ გვარი გუნდები, როგორც უკვე ვსთქვით, მრავალი მილიონები წარმოსდგა იმ დროს ქვეყნიერების უსაზღვრო სივრცე-მანძილში, ერთი მეორეზე მრავალ ათას მილიონ ვერსტობით დაშორებული. ასეთ სურათს წარმოადგენდა ქვეყნიერება თვის გაჩენის პირველ ხანას.

მივყვეთ ახლა იმის განხილვას, თუ რა ემართება შემდეგში ყოველ გუნდს და საამისოთ ნიმუშათ ჩვენი მზის სისტემა ავიღოთ.

მზეს, როგორც ვიცით, რვა ქვეყანა უვლის გარშემო სხვადასხვა მანძილზე, და მათში ერთი ჩვენი დედა-მიწაა. მიწის გარშემო რკინის გზა რომ იყოს შემოტარებული, მაშინ

მის შემოვლას 80 დღე მოვუნდებოდით დაახლოვებით. იმავ სისწრაფით ტარებაში მზის შემოვლას 24 წელიწადი მოვუნდებოდით,—ასე დიდია მზე მიწაზე. რიცხვით კი ეს სიდიდე ასე ითქმის: მზე მიწაზე 1300000-ჯერ დიდია. წარმოვიდგინოთ, რომ რომელიმე კალოზე შუაში დიდი ბურთი ძევს, მოზრდილ არყის ქვაბის ოდენა. ბურთი ბზრიალასავით ტრიალებს ერთ ალაგას. ბურთს კალოზე რვა მარცვალი უვლის გარშემო სხვადასხვა მანძილზე; მათში ზოგი სიმინდის მარცვლის ოდენაა, ზოგი ამაზე პატარა და ზოგიც კვერცხის ტოლია. ყველაზე შორეული მარცვალი კალოს ნაპირზე ტრიალებს. დაახლოვებით ამას წააგავს ჩვენი მზის სისტემა თავის რვა ქვეყნით. ასე პატარად, კალოს ოდენათ, რომ წარმოვიდგინეთ მზის სისტემა, საჭიროა სხვა სისტემა და ქვეყნების სიშორეც ამის კვალობაზედ დავიხატოთ. სამყაროს ათას-გვარ სისტემასა და ვარსკვლავ-ქვეყნებში მზის სისტემასთან ყველაზე ახლოს ცენტავრის სისტემაა. კალოზე წარმოდგენილ მზის სისტემასთან ერთად ცენტავროს სისტემის წარმოდგენაც რომ მოვიწადინოთ, საჭირო იქნება კალოს ას ვერსტზე მოვშორდეთ და ამ სიშორეზე ცენტავროს სისტემა წარმოვიდგინოთ. სხვა რიცხვ-უთვალავი სისტემები უფრო შორს არიან.

იმ რვა ქვეყანაში, რომლებიც მზეს უვლიან გარშემო, ექვსს მათგანს საკუთარი პატარა ქვეყნები ჰყავს,—თანამყოლები; დედა-მიწის თანამყოლი მთვარეა და ამ მთვარიანად გარს უვლის მზესა; მარსს თანამყოლი ჰყავს, იუპიტერს—ოთხი, სატურნს—რვა, ურანსაც—ოთხი და ნეპტუნს ერთი.

დავუბრუნდეთ ახლა ჩვენი მზის სისტემის გაჩენას. პირველ-ყოფილი გუნდი, რომლისაგანაც მზე წარმოსდგა თავისი 8 პლანეტით და მათი თანამყოლებით, ისევ კალოს ოდენათ წარმოვიდგინოთ. ეს კალოს ოდენა გუნდი, რომელიც 80 ელემენტის ატომებისაგან შესდგება, ბზრიალასავით რგვლათ ტრიალებს. გუნდში ატომები ერთად შეერთებული კი არ არიან, არამედ ყოველი ცალ-ცალკედ რგვლად მიისწრაფის. ყოველ

ატომს ორი თვისება სჭირს: მიმზიდველობა და ქიმიური ნათესაობა. ეს მკორე თვისება ჯერ დადუმებულია, რადგან ატომები ძლიერ ახლოს არ არიან ერთმანერთზე და ყოველი მათგანი თავისუფლად ტრიალებს. მოქმედებს მხოლოთ მიმზიდველობა. მიმზიდველობასთან ერთად მეორე მიზეზიც მოქმედებს—ატომების რგვლად ტრიალი. ამ ორი მიზეზის მეოხებით გუნდის უმეტესი ნაწილი შუა-გულში შეგროვდება და ერთ ბურთს გააჩენს,—არყის ქვაბის ოდენა მზეს. ზოგი ნაწილი კი რგვლათ ტრიალისაგან შუა-გულს განზე გადუდგება სხვადასხვა მანძილზე და რკალისავით იტრიალებს მზის გარშემო; და რადგან ამ განზე გამდგარ ნაწილშიაც იმოქმედებს მიმზიდველობის ძალა, ამიტომ იქაც ატომები პატარა ბურთებად შეგროვდებიან აქა-იქ. ეს პატარა ბურთები წარმოადგენენ გუნდებს ბზრიალასავით რგვლათ მოსრიალებს და იმავ დროს მზის გარშემო მავალებს მხოლოდ შემდეგში მიმზიდველობის ძალით ზოგი ნაწილი პატარა გუნდის შუა-გულში შეგროვდება და პლანეტებს გააჩენს და ზოგიც რგვლად ტრიალისაგან განზე გადუდგება და მიმზიდველობითვე თანამყოლებად შეერთდება. ასე მოხდა დაახლოვებით ყოველ გუნდის დანაწილება. რაც მზის სისტემის გუნდში მოხდა, იგივე სხვებსაც მოუვიდათ.

იმის გამოსაცნობათ, თუ რამდენადაა ჭკვასთან ახლო ამ გვარი სწავლა სისტემების გაჩენაზე, რომელიც ჩვენი დროის მეცნიერებაშია შემოღებული და რომელიც წარმოუთქვამს ზოგიერთი განსხვავებით კანტს, ლაპლასს და ამ ბოლოს დროს ფაისაც, ერთმა ბელგიელმა სწავლულმა, გვარად პლატომ, შემდეგი ცდა მოახდინა:

ყველას შენიშნული ექნება, რომ შუშაში ზეთი და წყალი თუ ერთადაა ჩასხმული, ზეთი შუშის შენჯღრევით პატარა ბურთებად ნაწილდება, რომლებიც წყალში ცოტა ცურვის შემდეგ მაღლა ამოდიან და იქ იშლებიან, რადგან ზეთი წყალზე სუბუქია და მოტივება იცის. ავიღოთ ახლა რამე მო-

ზრდილი შუშა, ვედროს მსგავსი და მის ოდენა; ჩავასხათ შიგ წყალი და ზეთი; ზეთი წყალს ზემოდამ მოექცევა, რადგან, როგორც ვსთქვით, წყალზე სუბუქია. მაგრამ შეიძლება წყალი შევამსუბუქოთ და იმავ წონის გავხადოთ, რა წონისაც ზეთია; საჭიროა მხოლოდ წყალს სპირტი შევურიოთ, რომელიც წყალზე სუბუქია; ამ გვარად წყალი ზეთის სიმძიმის ეახდება. გრძელ-პირიან ძაბრის საშუალებით ზეთი რომ ჩავუშვათ ამ წყალში ისე, რომ ზეთი წყლის შუა-გულში შეგროვდეს, ზეთი ბურთის ფორმას მიიღებს თავის თავად, ბურთსავით დაგრგვალდება. შუშას გარედამ რომ შევხედოთ, ზეთი რაღაც ბურთს ეგვანება, წყალში ჩამოკიდულსა. ავიღოთ ახლა შაური და შუა-გულს კარანდაში მივაწებოთ როგორმე, ასე რომ კარანდაში პატარა ბოძს ეგვანება, შაურზე დადგმულსა. ჩავუშვათ ეს კარანდაშზე მიწებებული შაური ბურთის შუა-გულში და დავატრიალოთ,—ბურთიც ტრიალს დაიწყებს. დაახლოვებით ასე მოახერხა ეს ცდა პლატომ, მხოლოდ შაურისა და კარანდაშის ნაცვლად გრძელი მართული და ზედ შემაგრებული რგვალი შაურის ოდენა ფესტი იხმარა. ჯერ წყნარად დაატრიალა მართული; მართულის და ფესტის ტრიალს ზეთის ბურთიც მიჰყვა და რგვლად დატრიალდა. ტრიალის აჩქარებით ბურთიც აჩქარდა და თანდათან გაპრტყელდა, თითქოს ზემოდამ ვინმემ ხელი დააჭირაო. შემდეგ ტრიალის გაძლიერებით გაპრტყელებულ ბურთს ნაპირები შემოეცალა. გაჩნდა რკალი, რომელმაც შუაში მოქცეულ ბურთსავით რგვლათ ტრიალი დაიწყო. ბოლოს, ტრიალის უფრო მეტ გაძლიერებით, რკალი რამდენიმე ნაწილად დაირღვა, ყოველი ნაწილი დამრგვალდა და პატარა ბურთებსავით სწრაფათ დაუტრიალდა აქა-იქ შუაში მოქცეულ და მოსრიალე დიდ ბურთს. როგორც ვხედავთ, ეს პლატოს მიერ მოხდენილი ცდა ძლიერ ეთანხმება სისტემების გაჩენაზე სწავლას და ნათლად ამტკიცებს, რომ ეს სწავლა ჭკვასთან ძლიერ ახლოა.

II

დედა-მიწის ქერქის გაჩენა.

დავადგეთ ახლა იმის განხილვას, თუ რა მოსდის შემდეგ დროთა სვლაში ყოველ გუნდს და რა ცვლილება ხდება მის ბუნებაში მატერიისავე ორ ძირეულ თვისებისაგან,—მიმზიდველობისა და ქიმიურ ნათესაობისაგან. საერთო გუნდის სისტემად გარდაქმნაში ერთად-ერთი ფაქტორი, ე. ი. მომქმედი ძალა—მიმზიდველობაა. პირველ-ყოფილ რგვლად მოსრიალე გუნდში ზოგი ნაწილი შუაში გროვდება მიმზიდველობის ძალით, და ზოგიც განზე უდგება შუა-გულს; განზე გადგომა რგვლად სრიალისაგან ხდება და რადგან გუნდის ამ გვარი ტრიალი მორევსავით შედეგია სხვადასხვა მხრით დენისა, რომელიც გუნდში ერთად იყრება და რომელიც ისევ მიმზიდველობითაა გამოწვეული, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ გუნდის გაჩენაში და მის სისტემად გარდაქმნაში მხოლოთ ერთ ძალას უმუშავია—მიმზიდველობას.

წარმოვიდგინოთ ის დრო, როდესაც მზის სისტემა ჯერ ახლად გაჩენილი იყო. შუაში დიდი მზეა და გარს რვა მასზე პატარა ბურთი, ან როგორც ამბობენ, რვა სფერა უვლის. რა სურათს წარმოადგენდა ყოველი მათგანი, მაგალითად, ჩვენი დედა-მიწა? ამ წერილის დასაწყისში ჩვენ წარმოვიდგინეთ 4 ატომის შეჯგუფვა მიმზიდველობის ძალით და ვსთქვით, რომ ეს შორიდამ გამოქანებული ატომები ისე მძლავრად მიეხლებიან ერთმანერთს, რომ მყისვე უკუ-გადავარდებიან, ისე, როგორც ბურთს მოსდის იატაკზე დაცემის დროს. იგივე დაემართათ იმ რიცხვ-უთვალავ ატომებს, რომლებიც ჩვენ დედა-მიწაში შეჯგუფდნენ მიმზიდველობის ძალით. შორიდამ გამოქანებული ატომები საოცარის სისწრაფით ერთმანერთს მიეხალნენ და ამ მიხლებით მათი უკუ-გდება წარმოდგა. ვინ იცის რამდენი ათასი საუკუნე გასტანა ამ არეულ-

დარეულ ატომების ახტომ-დახტომამ. ეს დედა-მიწის უზარ-მაზარი სფერა გარედამ შეხედვით ყოვლის მხრით ზღვას წარ-მოადგენდა, საოცრად მღელვარეს და ადუღებულსა. ეს იყო მიწის დამდნარ მასალის, 80 ელემენტის არეულ-დარეული მოძრაობა, საოცარ სიცხოვლის გამჩენი.

დედა-მიწა და სხვა შვიდი ქვეყანა იმ დროს პატარა მზე-ებს წარმოადგენდნენ მზის გარშემო მავალებს და მხოლოდ შემდეგში, მრავალ ათას საუკუნის შემდეგ, გაჰქრნენ და გა-ნელდნენ მზეზე ადრე, რომელიც აქამდინ პირველ ყოფაშია თვის დამდნარ და გაგაზებულ მასალით. დედა-მიწის სფერის დამდნარი და მღელვარე მასალა ერთ გვარად არ იყო არეუ-ლი იმ დროს, რადგან 80 ელემენტის ატომებს ყველას ერთი და იგივე წონა არა აქვს. მძიმე ელემენტები, მაგ., რკინა, სფერის შუა-გულში იყვნენ მოქცეულები, სუბუქები კი, მაგ. წყალდანი, მჟავდანი და აზოტი სფერის განაპირას; მძიმეებმა სუბუქები მოიტივტივა.

ბოლოს ატომებინ უკუ-ქცევის ძალა თანდათან შესუს-ტდა, მიწის მასალის მღელვარება დაწყნარდა და მიმზიდვე-ლობის ძალამ თავისუფლად იწყო მუშაობა და მთლად დაუ-ახლოვა ერთმანეთს ატომები. სწორეთ ამ დროს ქიმიურ ნა-თესაობის ძალამაც იჩინა თავი და ათას-გვარ მოლეკულებად შეაკავშირა მონათესავე ელემენტები. ატომების ეს ქიმიური შეკავშირება პირველად მიწის ზურგზე მოხდა, რადგან ყვე-ლაზე ადრე მიწის განაპირა ნაწილი განელდა და რადგან ამ ზურგს წყალდან-აზოტთან ერთად მჟავდანიც ერტყა, რომელ-მაც დიდი ნათესაობა იცის თითქმის ყველა ელემენტებთან, ამიტომ პირველი ქიმიური შეკავშირება მჟავდნისა და მიწის ზურგის ელემენტებთან მოხდა; გაჩნდა სხვადასხვა გვარი მჟა-ვდანისანი: მჟავი და საფუძვი, რომელთა შეერთებით სხვადა-სხვა მარილი წარმოსდგა. ზურგი თანდათან ნელდებოდა და ბოლოს მთლად გამაგრდა,—გაჩნდა დედა-მიწის პირველი ქე-რქი. შემდეგ მჟავდანი წყალდანსაც შეუერთდა და წვიმად და-

ეცა ახლად გაჩენილ ქერქს,—გაჩნდა ზღვა, რომელიც მიწას შემოერტყა ყოვლის მხრით. მიწის ქერქი თანდათან აქა-იქ ჩაიკეცა და დანაოჭდა ისე, როგორც ვაშლის ქერქს მოსდის როცა ხმება,—აქედამ გაჩნდნენ მთები. ქერქის ქვეშ დამდნარი და მდუღარი მასალა ხანდისხან აქა-იქ ამოხეთქავდა ხოლმე ქერქს, მაღლა ამოიღვრებოდა და იქ მჟავდანს იერთებდა. ახლაც ხდება ზოგ ქვეყნებში ეს ამოფეთქვა დამდნარ მასალისა.

ასე წარმოდგა მიწის ქერქის ქიმიური ბუნება: ნახევრად მჟავდანია და ნახევრად სხვადასხვა ელემენტი, მჟავდანთან შეერთებული: ტალმანი, ალიუმინი, რკინა, კალციუმი, მაგნიუმი, სოდიუმი და სხვ.

ზოგიერთი ელემენტიცაა, რომ მჟავდნის ნაცვლად სხვასთანაა შეკავშირებული, მაგ., ნატრიუმი და ხლორი (NaCl), რომლიდგანაც საჭმლის მარილია გაჩენილი; ან რკინა გოგირდი (FeS_2), ცინკი და გოგირდი (ZnS).

თავისუფალი ელემენტი მიწის ქერქში ძლიერ ცოტაა: ოქრო, ვერცხლი, პლატინა და პალადი; თავისუფლად იმიტომ არიან ესენი, რომ ძლიერ ძნელად იკავშირებენ მჟავდანს, არა ჟანგდებიან და ამიტომაც ძვირად ფასობენ. თავისუფალია აგრეთვე ზოგგან ნახშირმანი და გოგირდიც; დანარჩენი ელემენტები კი ყველანი ქიმიურად არიან შეერთებულნი დედა-მიწის ქერქში. მიწის ქერქის უმეტესი ნაწილი წყლითაა დაფარული, რომელიც, როგორც ვიცით, მჟავდან-წყალდნიდანაა შემდგარი; წყლის მაღლა ჰაერია, მჟავდან-აზოტისაგან შემდგარი ერთად შერევისაგან.

თუ ქერქის შექმნაში დიდი წილი ქიმიურ. ნათესაობას უდევს, სამაგიეროთ წყალს (და ცოტად ჰაერსაც) უპირველესი მნიშვნელობა აქვს ამ ქერქის გარეგან სახის შეცვლაში. წყალში იხსნება სხვადასხვა მიწა, წყლის დენით იფხვნება და ილეწება ათას-გვარი საგანი: ქვა, კლდე და მაგარი მიწა. ილეწება და იფხვნება ჰაერის ჩქარ დენითაც, ე. ი. ქარით. ძნე-

ლი არ უნდა იყოს ამიტომ წარმოვიდგინოთ, რა დიდი ცვლილება უნდა მოეხდინა მიწის ქერქში წყლისა და ჰაერის მუშაობას მრავალ ათას საუკუნეთა განმავლობაში. ქერქი, რომელსაც ყოვლის მხრით ზღვა ერტყა, გაცივებით თანდათან ანაოჭდა, აიკეც-ჩაიკეცა, ზოგგან მაღლა ამოვიდა წყლიდამ და მატერიკები და მთები გაჩნდა და ზოგგან უფრო ღრმად ჩაიკეცა ზღვაში. ზღვის წყალი მზის სიცხოვლით ორთქლად იქცევა, მაღლა ღრუბლად ადის; იქ ცივდება და წვიმად ჩამოდის მიწაზე. წვიმის წყალი მთებიდამ დაბლობზე მოდის და გზაში სხვადასხვა მიწეულობას ხსნის, კლდეს ლეწავს და ამ დაფხვნილ და დაშლილ მასალას დაბლობზე ანამებს. მაშასადამე, პირველ-ყოფილ ქერქს აქა-იქ ზღვიდამ ამოსულს და ხმელეთად გარდაქცეულს ზემოდამ ნანამი მიწა ეფინებოდა მრავალ კეცად. ქერქი დრო-გამოშვებით ახლად და ახლად იზნიქებოდა და უფრო სცვლიდა თვის გარეგან სახეს. საქართველოს ზოგიერთი ნაწილი ძლიერ მთიანია, ამიტომ ყველას შეუძლიან შეხვდეს ისეთ კლდეებს, სადაც ადვილად შენიშნავს პირველ-ყოფილ გამაგრებულ ქერქს და მასზე მოყოლებულ მრავალ-კეციან მიწის თუ ქვა-ქვიშის კეც-კეცებს.

ასეთია ეს მოკლე ისტორია ჩვენის მზის სისტემის გაჩენაზე და კერძოთ მიწისა და მის ქერქის წარსულზე. ზოგიერთ მეცნიერს (უილიამ ტომსონს, ტეტს, ჯორჯ დარვინს, ნიუკომბს, ჰოუტონს და სხვ.) გამოუანგარიშნია—რამდენი ხანი გასულა მის შემდეგ, რაც პირველ-ყოფილი გუნდი მზის სისტემად დანაწილდა და რა ხნისაა დედა-მიწის ქერქი, მაგრამ მათ ანგარიშს ისეთი სხვადასხვა დავკვნა მოჰყვა, რომ ძნელია ითქვას, რომელია მათში უფრო მართალი. ერთი რამ კი უეჭვოა ამ გამოანგარიშებაში: მის შემდეგ გასული დრო მრავალ მილიონ წლებათ ითვლება.

მოვიგონოთ ახლა, რასა ჰქვიან სისტემა: ერთად შეერთებულ მატერიას, რაოდენობის განურჩევლად, რომლის ნაწილები ერთმანერთის დამოკიდებულებაში არიან, სისტემა

ჰქვიან. მზეს გარს უვლის რვა ქვეყანა, რომლებიც მასთან მიმზიდველობის ძალით არიან დამოკიდებულები და ამიტომ არ შორდებიან მას. მზე და ეს რვა ქვეყანა ერთ სისტემას წარმოადგენს. ამ რვა ქვეყანაში ექვსს საკუთარი თანამყოლები ჰყავთ; მიწას ერთი მთვარე უვლის გარშემო, მარსს—2, იუპიტერს—4, სატურნს—8, ურანსაც—4 და ნეპტუნს—1. ამ ექვს ქვეყანაში, ყოველი ცალ-ცალკეთ რომ განვიხილოთ, მაგ., ჩვენი დედა-მიწა მთვარიანად, ან სატურნი თავის რვა თანამყოლით, ვნახავთ, რომ ესენიც სისტემებს წარმოადგენენ, რადგან თანამყოლები იმიტომ თან დასდევენ პლანეტებს და გარს უვლიან, რომ მათთან არიან დამოკიდებულები მიმზიდველობის ძალით. მაშასადამე, მზის სისტემა პატარა სისტემებისაგან ყოფილა შემდგარი. განვიხილოთ ახლა ამ თვალითვე დედა-მიწის საგნები; ავიღოთ ნიმუშად რიყის ქვა, რომლითაც ქუჩებსა ჰფენავენ. ვსთქვათ ეს ქვა მუშტის ოდენაა; ქვა რთული საგანია, მრავალ მილიონ მოლეკულებისაგან შემდგარი; თითო მოლეკულა შეიცავს ერთ ტალმნის და ორ მჟავდნის ატომს (SiO_2), მოლეკულაში ეს სამი ატომი ქიმიურ ნათესაობიდაა შეკავშირებული, მაშასადამე, თითო მოლეკულა სამ ატომიან სისტემას წარმოადგენს და ქვა ამ სისტემებისაგანაა შემდგარი. ქვაში ეს მრავალ მილიონი სისტემა მიმზიდველობითაა შეკავშირებული; მაშასადამე, თვით ქვაც ერთ რთულ სისტემას წარმოადგენს, მრავალ მილიონ სისტემებისაგან შემდგარსა.

იგივე ითქმის ყოველგვარ რთულ საგანზე, რომლისაგან დედა-მიწის ქერქია შემდგარი, მაგ., წყალი—H_2O, მარილი—$NaCl$, საკირე ქვა და ცარცი—$CaCO_3$, ლურჯი შაბი—$CuSO_4$ და სხვ.; ყოველი მათგანი მოლეკულების სისტემას წარმოადგენს და მოლეკულები ატომებისას. მარტივ საგნებშიც, მაგ., ოქრო, რკინა, ვერცხლი ან თითბრის რამე ნაჭერი რომ ავიღოთ, იგივე სისტემიანობაა, მხოლოდ მათში

მოლეკულა ერთის ელემენტის ატომებისაგანაა შემდგარი, ზოგში წყვილ-წყვილად, სამ-სამად და ზოგშიც ოთხ-ოთხად.

ხშირად ხდება ისიც, რომ ზოგი რთულ საგნის მოლეკულა, ე. ი. სისტემა თავის რიგზე უფრო პატარა სისტემებისაგანაა შემდგარი, მაგ., ამგვარ ფორმულებით:



როგორც ვხედავთ ეს რთული მოლეკულები ძლიერა ჰგვანან მზის სისტემას: იქაც და აქაც რთული სისტემა პატარა სისტემებისაგანაა შემდგარი. ასე დანაწილდა სისტემებად პირველ-ყოფილი მატერია, რომელიც ერთს დროს ერთგვარად იყო დაფანტული ქვეყნიერების სივრცე-მანძილში. ამ სისტემებად შეკვრის მიზეზი მატერიის ორი ძირეული თვისებაა: მიმზიდველობა და ქიმიური ნათესაობა. მატერიის სისტემებად შეკვრაში ჯერ მიმზიდველობამ იმოქმედა: მატერია გუნდებად შეაგროვა და გუნდები ქვეყნების სისტემებად გარდაჰქმნა. შემდეგ ქიმიურ ნათესაობამაც იჩინა თავი და თავისუფლად არეულ-დარეული ატომები მოლეკულებად შეჰკრა, მიმზიდველობამ კი მოლეკულები საგნებად შეაკავშირა. რაღა თქმა უნდა, რაც მზის სისტემის გაჩენაში მოხდა, იგივე დაემართათ სხვა გუნდებსაც და ვარსკვლავ-ქვეყნებად დარიგდნენ, რადგან მატერიას ყველგან ერთი და იგივე თვისება სჭირს და ერთგვარ მიზეზს ერთგვარი შედეგი მოსდევს.

რაა მატერიის ეს ძირეული თვისება—მიმზიდველობა და

ქიმიური ნათესაობა, რომელიც მატერიას ერთად სისტემებად აკავშირებს? როგორ შევიგნოთ ეს საკვირველი თვისება, რომლის მეოხებით ატომი, მოლეკულა თუ საგანი ერთი-მეორეს იზიდავს თავისკენ?

გენიოსმა ნიუტონმა, რომელმაც მიმზიდველობის თვისება აღმოაჩინა და გამოიკვლია მისი მოქმედება, ვერც კი გაბედა ვარაუდით მაინც ეთქვა რამ ამ თვისების ძირეულ მიზეზზე.

მხოლოდ ჩვენი საუკუნის მეორე ნახევარში ორმა გენიოსმა სწავლულმა ტომსონმა და ჰელმჰოლცმა გაბედა ამ სამყაროს ამოცანაზე ლაპარაკი და თუმცა მათი მოსაზრება ამის შესახებ ვარაუდულია, მაგრამ მაინც სწავლულთა აზრით, ჭკვასთან ძლიერ ახლოა.

რაშია აქ საქმე, ამას მკითხველი შემდეგში გაიგებს, მანამდინ კი ჩვენ ჯერ დიდი შარა-გზა გვაქვს გასავლელი სამყაროს რაობა-ვითარების მეცნიერულ შეგნებაში.

ს. კვერკველაძე.

(დასასრული იქნება).

ცნობები

ქართველთ კათოლიკეთა შესახებ.

კარგა ხანია მას შემდეგ, რაც ქართველ კათოლიკეთა შესახებ ისტორიულს ცნობებს ვაგროვებ. არა მცირედი ისტორიული ცნობა შევკრიბე ამ გვარად და იმედი მაქვს, რომ კიდევაც შეიკრიბება, თუ მოინდომეს ყველა იმათ, ვისაც ამისთანა ცნობათა მოგროვებაზედ ხელი მიუწვდებათ.

ეხლა შევიტყე, რომ ქალაქ ახალციხეში, ვინმე მღებრიშვილების ოჯახში, შენახული ყოფილა ძველი ქართული ბარათები, რომის პაპისაგან მოწერილი და ქართულად ნათარგმნი მე-XVIII საუკუნეში ქართველ კათოლიკეთა შესახებ. ამ წერილებში მოხსენებულია, რომ ეს კათოლიკენი შთამომავლობით ქართველები არიან და მათი ენაც ქართული ენაა. შევიტყე, რომ ეს ბარათები ახალციხეშივე მცხოვრებ ბ-ნ ნიკო ასათიანს გამოურთმევია პატრონისთვის, რომ ამ წერილს წერა-კითხვის სამმართველოს გარდავსცემო. მივმართავ ბ-ნს ასათიანს და ვსთხოვ, რომ ეს ქაღალდი როგორმე მოგვაწოდოს; ამ რამდენისამე წლის წინად კიდევ ტფილისში შეუძენია რამდენიმე ხელთ-ნაწერი წიგნი მამა ბენედიქტე ბარკალაიას და ეს წიგნები ათონს წაუღია; ამ წიგნებში სხვათა შორის რეულა ერთი ხელთ-ნაწერი წიგნი სახელდობრ: „მე მხოლოდ სულიერი", რომელშიაც ცნობები ყოფილა საბა ორბელიანისაგან ჩამოყვანილ რომის პატრების შესახებ. სანატრელია და

დიდათაც საჭურველი, რომ მამა ბენედიქტე ბარკალაიამაც ეს წიგნი რამდენისამე ხნით დაგვითმოს.

ამათ გარდა საჭიროა რაიმე ცნობები შემდეგ მოღვაწეთა და საქმეთა შესახებ, რომელთ შესახებაც არა მგონია, რომ სადმე რაიმე ცნობები არ იყოს დაშთენილი, ნამეტურ ქართველ კათოლიკებში.

ჟამთა ვითარების მეოხებით ძველად ქართველ კათოლიკეთა შესახებ არაფერს სწერდნენ, რისგამოც მათ გვაროვნობის შესახებ ჩვენში ძალიან ცოტა ცნობებია დაშთენილი. თუ რამ იკრიბება დღეს და იწერება, ისიც უმეტეს ნაწილათ ქართველ კათოლიკეთაგან ნაამბობია, ხალხში ზეპირსიტყვაობად დაშთენილი. რა გაეწყობა, ჩვენც უნდა ვისარგებლოთ იმით, რაც კი ამ საგნის შესახებ ზეპირან მწერლობით დაშთენილა. საუბედუროდ, ამ ნაკლს არც თვით ქართველი კათოლიკენი აპყრობდნენ ყურადღებას.

ჩვენ, ქართველნი, მარტო ამ სარბიელზედ არ გახლავართ უკან ვრდომილნი; სხვა ასპარეზზედაც უფრო დიდი ნაკლი გვაქვს, მაგალითად: აქამომდის თვით ქართველ მაჰმადიანთ გადაბირების, სჯულისა და გვარ-ტომობიდგან განდრეკის ცნობებიც არ ვიცით. ნახევარ საქართველოზედ მეტი გამაჰმადიანდა, გამაჰმადიანებულ ქართველთა ოცდა-ორმა ნაწილმა თავისი დედა-ენა დაჰკარგა, იგი თავის მოძმის დაუძინებელ მტრად შეიქმნა!.. ჩვენმა ძველებმა კი ამ ქართველთ განდრეკის, სჯულიდგან განსვლის და გვარტომობის უარის-ყოფის მიზეზები და ცნობებიც კი არ აგვიწერეს. ამდენის ხალხის შესახებ თუ რამ დაიწერა და ითქვა, ისიც მხოლოდ ამ ბოლოს დროს.

დღეს, როგორც ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა არის ჩვენთვის საყურადღებო და გამოსარკვევი, ამაზედ ნაკლებ საყურადღებო და გამოსაკვლევი არც ქართველ მაჰმადიანთა შესახებ არის... მაშ ჩვენ აქედგან დავიწყებთ ქართველ კა-

თოლიკების შესახებ წერას და დრო და დრო აღვნიშნავთ ყველა იმ ცნობას, რაც კი ამათ შესახებ ზეპირ ან ძველ მწერლობით სადმე რამე მოიპოვება.

მოხუცებულთაგან ნაამბობი ამბები.

ქართველი კათოლიკენი არტაანის ხეობებში.

დასავლეთ-სამხრეთ საქართველოში არტაანი შესანიშნავს კუთხეს წარმოადგენდა. ძველად მას ერუშეთი ეწოდებოდა. შემდეგ დროებში ოსმალთაგან მთელს ამ კუთხეს „ზარუშეთი“ დაერქვა, თვით ერუშეთის ქალაქ არტაანს კი არდაგანი. ძველად ერუშეთი ქართველის ტომით იყო დასახლებული, აქ ერთი მტკაველი ალაგიც არ იყო უხალხოდ დატოვებული. იგი ქართველებით ისევე მჭიდროდ იყო დასახლებული, როგორც იმერეთი, ქართლი და კახეთი. ოსმალთაგან დამორჩილების შემდეგ კი არტაანის ქართველთ შემცირება იწყეს: ზოგნი ქართველთ მეფეთა სამფლობელოში გადმოდიოდნენ და ზოგნიც სხვაგან. ვინც იქ დაშთნენ, იმათ დევნა დაუწყეს ოსმალებმა სჯულის გამო და უკანასკნელ გაამაჰმადიანეს კიდეც. ასე და ამ გვარად მთელს ერუშეთში მოისპო ქართველთ გვარის ხსენება და ქრისტიანობაც.

ვიდრე ქართველნი გამაჰმადიანდებოდნენ, მათ დიდი ტანჯვები გამოიარეს. ზოგმა სოფელმა მეტად საშინელი ტანჯვებიც ნახა. მაგრამ საბოლოოდ კი მაინც ვერ დარჩნენ. ყველა გამაჰმადიანდა, დარჩა მხოლოდ რამდენიმე სოფლის ხალხი ქართველთა, რომელთაც არ მიიღეს მუსლიმანობა, ყველაფერი ტანჯვა აიტანეს, დასთმეს ყველაფერი და არ გამაჰმადიანდნენ კი. ზოგნი ამათგანნი გაკათოლიკდნენ და მით გადირჩინეს თავი, მაგრამ საბოლოოდ არც ეს ქართველი კათოლიკენი დაშთნენ ქართველის გვაროვნობით.

ამ დროს არტაანში ფაშად ვილაც გათათრებული ქართველი მჯდარა.

შავშელთა და იმერ-ხეველთა გარდმოცემით, არტაანის პირველ ფაშად მიქელაძე იყოო, რადგანაც პირველად აქეთ მიქელაძეები გამაჰმადიანდნენო. ერთ დროს ეს ფაშა ავად გამხდარა, სენი ძრიელ „გასძალუანებია“. აქეთ-იქით უვლიათ, მკურნალები უძებნიათ, მაგრამ მკურნალთ განკურნება ვერ მოუხერხებიათ. ამ დროს ბატონთან მოსულა ერთი გამაჰმადიანებული ქართველი და მოუხსენებია ფაშისთვის:

— ფაშავ! ახალციხის ფაშის კარზედ სცხოვრებს ერთი ექიმი პატრი, რომელიც ხალხს ძრიელ ადვილად არჩენს. მისწერეთ ფაშას წერილი და სთხოვეთ იმ პატრ ექიმის აქ გამოგზავნა, ის უსათუოდ მოგარჩენსთ თქვენ. ფაშას მოხსენება მოუსმენია და მერე ახალციხის ფაშისთვის წერილი გაუგზავნია და იმ ექიმ პეტრის გამოგზავნა დაუვალებია.

ფაშას მალე მიუხმია პატრი და უამბნია თხოვნა. პატრი ფაშის ბრძანებით წასულა არდაგანში და სნეული ფაშა მოურჩენია ავადმყოფობისაგან. მორჩენის შემდეგ პატრს ახალციხეში დაბრუნება განუზრახავს, მაგრამ ფაშას არ გაუშვია. უთქვამს:

— პატრო, მოიცადე, სრულიად კარგად გავხდე, ფეხზე ავდგე და მერე წადი, რა გეჩქარება?

— მე, ბატონო, ექიმად არ გახლავართ რომიდგან დანიშნული; მე მქადაგებელი ვარ. ექიმობაც ვიცი, რადგანაც ქადაგების დროს ეს ჩვენთვის საჭირო არის. ჩემი საქმე ის გახლავსთ, რომ ხალხში კათოლიკობა განვავრცო.

— კეთილი. აი რას გეტყვი, პატრო! მთელი არტაანის ქართველნი გავათათრეთ, მხოლოდ ვერ გავათათრეთ სამი სოფლის ხალხი, დღევანდლამდის იგინი გაუთათრებლად არიან დაშთენილნი. წადი იქ, ისინი გააფრანგე და მე ამისთვის დახმარებასაც მოგცემ,—ესეც ხომ საქმე გახლავთ. შორს რალას მიხვალ, აქვე აგიჩენ ასეთ საქმეებს.

პატრი დასთანხმებია და იქ დარჩენილა. ფაშა კარგად გახდა, ფეხზე ადგა და სიარული დაიწყო. ამ დროს კი პატრი განემგზავრა აღნიშნულის სოფლის ხალხისკენ და მცხოვრებნი გაიცნო კარგად. ქრისტიან ქართველთ პატრი დიდის პატივით მიიღეს და თანაგრძნობაც აღმოუჩინეს.

პატრი დასახლდა იქ და დაიწყო ხალხში მოქმედება, სიტყვების წარმოთქმა და ქადაგება, თუ ქრისტიანი ქართველები როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, რომ მათ ქრისტიანობა არ დაეკარგათ და შეენახათ. ამიტომ პატრი ეუბნებოდა მცხოვრებთ:

— შვილებო და ძმებო! მთელი არტაან-ერუშეთის ქართველნი გათათრდნენ. ოსმალთ სასტიკად სძულთ ქართველნი, ესენი თქვენის რჯულით არ დაგტოვებენ; უსათუოდ, როცა იქმნება, დღეს თუ ხვალ, თქვენ სჯულს დაჰკარგავთ. ამიტომ მე გირჩევთ, რომ თქვენ წმიდა პეტრეს ბჭეს, კათოლიკობას, რომის ტახტს შეუერთდეთ; მერე თქვენ ვერავინ რას დაგაკლებსთ. პაპსა და სულთანს შორის ხელშეკრულობა არის დადგენილი, კათოლიკეების დევნა და გათათრება ოსმალებს არ შეუძლიათ. თქვენ ამით ისარგებლეთ და ქრისტიანობა დაიფარეთ.

ქართველნი დაფიქრდნენ. პატრის რჩევა სიამოვნებით მიიღეს და მალე გაფრანგების სურვილიც განაცხადეს. რამდენიმე ხნის განმავლობაში ეს სოფლის ხალხი პატრმა შეუკავშირა კათოლიკობას და ამის შესახებ მოხსენებაც გაგზავნა რომში. რომში ეს ახლად შეძენილნი კათოლიკენი ქართველის გვარ-ტომობით იქმნენ ცნობილ მიღებულნი. სამღვდელმოქმედო პირად აქ იქმნენ განწესებულ ლათინთ წესის რიგის პატრები; რომიდგან მოსული პატრები ყოველთვის ქართულს ენას სწავლობდნენ და ამ ენით ესაუბრებოდნენ მრევლს. მათში ქართულ ენას და გვარტომობას თავის სრული უფლება და პატივისცემა ჰქონდა მინიჭებული.

განვლო დრო-ჟამმან, საქართველოს ერის საქმეებს ცუ-

დი დარები უდგებოდა; ოსმალნი ძლიერდებოდნენ. ამათ აზრად ჰქონდათ, რომ ტასისკარიდგან, და გურიიდგან მთელს იმერეთს, ქართლს და კახეთს ავიღებთო, დაღისტანს შევუერთებთ და მერე თბილისში ჩვენს ფაშას, ლეკთა ბელადს დავსვამთო. ეს იყო მათი პოლიტიკა, მათი სარწმუნოებრივი ქადილი. ამიტომ ამათ ლეკებს დიდი ძალა და დახმარება მისცეს; ლეკებთან ათასობით გადადიოდნენ ჩუმად დაღესტანში და იქ დიდს დახმარებას აძლევდნენ ქართველთ დასაღუპად. ლეკებმა და ოსმალთა უსამართლო კაცებმა მთელი დასავლეთი საქართველოს ქართველნი დაარბიეს, საქმე გაუჭირეს, ერთის სიტყვით, ყველა შეაწუხეს და ტანჯვას მისცეს.

ამ შავსა და ბნელს დღეებში, ვერც კათოლიკენი გადარჩნენ უდევნელნი და ვერც ლათინთ პატრები. პატრებს ხშირად ეცემოდნენ და სცარცვავდნენ. პატრები ყოველთვის შიშში იყვნენ. მთავრობა თუმც მომხრეობას უწევდა, მაგრამ უფრო ცალ მხრივ, თორემ იმავ დროს მათ გამცარცვავ ლეკს და თათრებს კიდეც ჰფარველობდა. ოსმალნი ამას იმიტომ ჩადიოდნენ, რომ, უკანასკნელ, მათ შეიტყეს პატრების ჭკვიანი მოქმედება ქრისტიანობის სასარგებლოდ. ქრისტიანობისთვის კეთილად შრომა კი მათთვის დაუძინებელი მტრობა იყო.

უკანასკნელ, პატრებს მობეზრდათ წვალება, ოსმალეთის ყაჩაღ მოხელეებთან კამათი, ბრძოლა და დავიდარაბა. ამის შესახებ მათ ბევრ-გზის გზავნეს რომში მოხსენება, მაგრამ მათ თხოვნას და გარემოებას არა ეშველა-რა. ამიტომ პატრებმა გარდასწყვიტეს თავიანთ სამწყსოს დატოვება და რომში გადასახლება. ეს მალე ასეც იქმნა, მეტი გზა არ ჰქონდათ. პატრების შემდეგ ყველა ეს ქართველ გვარის კათოლიკენი ჩაბარდნენ სომეხთ კათოლიკეთა სამღვდელოების უფროსს ეპისკოპოსს, რომელიც მაშინ უკვე სტამბოლში იჯდა. იქ საეპისკოპოზო კათედრა უკვე არსებობდა. სომეხთ კათოლიკეთა სამღვდელოებამ ყურადღება მიაქცია ამ ხალხს და დაუწყეს

პატრონობა. იმ დროში რა ენაზე სრულდებოდა ამ კათოლიკეებში წირვა-ლოცვა, ეს ჩვენ არ ვიცით.

რაც დრო მიდიოდა, მით ქართველთ გვარ-ტომობის ხსოვნა მკვიდრთ შორის მცირდებოდა; ნელ-ნელა საქმე ისე მოეწყო ოსმალთა მეოხებით, რომ იქაურ ქართველ მაჰმადიანებმა დაივიწყეს თავიანთი გვარ-ტომობა, დაჰკარგეს ქართული ენა, მთლად გადაგვარდნენ. ამ უძლურებას ვერც ქართველი კათოლიკენი ასცდნენ, ამათაც დაჰკარგეს ქართული ენა და მთლად ოსმალურად იწყეს ბნობა; დროის მეოხებით სრულიად გაოსმალდნენ, ყველაფერი დაჰკარგეს, გარდა ქრისტიანობის—კათოლიკობის...

გავიდა რამდენიმე ხანი, დრონი იცვალნენ. ამ საუკუნეში, როცა რუსებმა ახალციხე აიღეს და მერე არზრუმს მიადგნენ, ამ დროს მთავარ-მმართებელთან გამოცხადდნენ ზემოხსენებული სოფლის კათოლიკენი და ითხოვეს მფარველობა, რომ თქვენს საბრძანებელში მიგვიღეთო. თხოვნა შეწყნარებულ იქმნა, იგინი გადმოსახლდნენ და ახალციხის მაზრაში დასახლდნენ, სამს სოფელში, დღევანდლამდე ეს ხალხი ამ სოფლებში სცხოვრობს.

დღეს, ეს ქართველ ტომის შთამომავალნი რასაკვირველია თავიანთ თავს ქართველად უნდა სცნობდნენ, რადგანაც იგინი ქართველები არიან. დღეს ესენი სახლში და გარედ დედა-ენად ოსმალურ ენას ხმარობენ, ქართულისა აღარავინ რა იცის. თუმც ის კი იციან, რომ იმათი წინაპრები ქართველები ყოფილან. ეს ხალხი გვარტომობის შთამომავლობით ქართველია, სამშობლო ენად თათრულ ენას ხმარობს და სარწმუნოებით კათოლიკეა..ასე რომ დღეს ამ ხალხთა ძველის გვარტომობის ხსოვნის და ნატამლობის აღარაფერია დაცული. დღეს ეს ხალხი მიწერილია სომეხ კათოლიკეთა სამღვდელოების კანსისტორიაზე; იგინი იგულისხმებიან სომხად „არმიანე კათოლიკად“; მათ ენიშნებათ სომხის რიგის მღვდელნი, ესენი მღვდელ-მოქმედებას სომხურ ენაზე ასრულებენ,

შემდგომ ამას თათრულის ენით უხსნიან და უთარგმნიან. თან აუწყებენ, რომ იგინი სომხის გვარის შთამომავალნი არიან, მათი დედა-ენა სომხურია, მათ საეკლესიო ენად ეს ენა უნდა მიიღონ. მათმა მომავლებმაც ეს ენა უნდა შეისწავლონ, რადგანაც იგინი შთამომავლობით სომხები არიანო. საქმე ისეა მოხერხებულ-მოწყობილი, რომ ამ ხალხის ძირეულ გვარებსაც კი ასხვაფერებენ, მაგალითებრ: მიქელაშვილი—მიქელიანცი, ნიკოლაშვილი—ნიკოლოსოვი, მამულაშვილი—მამულოვი, თურმანიძე—თურვანდოვი, ზაქარიაშვილი—ზაქარიანი და ათასიც სხვა ამგვარები.

ეხლა ჩვენ ვიკითხავთ, თუ ეს ხალხი რა ტომის ხალხად უნდა ვიწამოთ ჩვენ, და ან მომავალში რა მოელის ამათ, რანი იქნებიან ესენი, თუ ქართველ კათოლიკეთაგან მათ არაფერი მხარის მიცემა არ აღმოუჩნდათ?—რასაკვირველია, ჩანთქმა, თათრულის ენიდგან სომხურზე გადასვლა და გაქრობა!..

ასეთია, ბატონებო, ჩვენი გვარტომობის ვითარება!..

ქართველი კათოლიკენი ლაზისტანის კუთხის ჩხალის ხეობაში.

ჭოროხის ხეობაში, ბორჩხას ახლოს, დასავლეთად მიდის ერთი ხეობა, რომელსაც ჩხალის ხეობა ეწოდება. ეს ხეობა მიემართება ლაზისტანში. ლაზისტანის სოფლებში რუსეთს სულ რამდენიმე სოფელი უჭირავს—ერთი სამამასახლისოა. დანარჩენი ადგილები მთლად ოსმალეთს ეკუთვნის. ლაზების რიცხვი დღეს 20,000-დე იერიცხება. ყველა ესენი ადრე ძალით გაუმაჰმადიანებიათ, ზოგნი კი გაფრანგებულან, ნამეტნავად ჩხალის ხეობის ლაზ-ქართველნი.

ჩხალის ხეობის შესახებ ჩვენში ბევრნაირი ამბავია დაშთენილი. ლაზისტანის გამაჰმადიანების შემდეგ, ოსმალთ ლივანას ჩხალის ხეობიდან დაუწყეს გამაჰმადიანება. მთელმა ხე-

ობამ იუკადრისა გამაჰმადიანება. აქეთ იქით კაცები დაჰგზავნეს და ოსმალეთს ემუდარებოდნენ, რომ სჯულის გამო დევნისაგან ხელი აეღო. ოსმალთ არ შეისმინეს მოციქულთა მუდარება და ჩხალელებს სასტიკის ბრძანებით აუწყეს ქრისტიანობის დატოვება. მეტი გზა აღარა ჰქონდათ, ქრისტიანობა უნდა ეგმოთ, მაჰმადიანობა მიეღოთ. ზოგმა ადვილად დასთმო სჯული და ზოგმა არა,—დღეს-ხვალიობით ატყუებდნენ მტერს.

ამ დროს ქალაქ ართვინის (ართვანი) ქართველნი უკვე გაფრანგებულნი იყვნენ. იგინი ადრევე იქმნენ მართლმადიდებლობიდგან გადაყენებულნი კათოლიკობაში; იმათი კათოლიკობასთან დაკავშირების მიზეზი რომიდგან მოსულნი ლათინთა მოძღვრები ყოფილან. მაშინდელ ქართველ გვარის კათოლიკეთა ეკლესიებში წირვა-ლოცვა ლათინურს ენაზედ სრულდებოდა. სახარება, „წმიდაო ღმერთო“ და ზოგიერთი სხვა ლოცვები და ქადაგება კი ქართულად იცოდნენ. რომიდგან მოსული მოძღვრები დიდს მფარველობას უწევდნენ დევნილ ქართველებს; ქართველ კათოლიკების დევნა ოსმალეთსაც აღკრძალული ჰქონდა, რადგანაც პაპისა და ოსმალთ შორის ამისთვის ხელშეკრულობა იყო დადგენილი და კათოლიკეს დევნა არავის შეეძლო.

ჩვენ კარგად ვიცით, რომ ართვინის კათოლიკეების მოძღვრებმა დიდი გავლენა იქონიეს ჩხალის ხეობის გასამაჰმადიანებელ ქართველებზედ. ქართველნი მალე წავიდნენ ართვინში და ლათინთ მოძღვრებს მოახსენეს:

— ქებულის იესო ქრისტესთვის ჩვენ ვიხოცავთ თავებს და შველა არსაიდგან გვეძლევა. ჩხალის ხეობის უმეტესი სოფლები გამაჰმადიანდა, ქრისტიანობა მოისპო, ახლა მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ, რომ ჩვენ მაინც გვიშველოთ რამე, გამაჰმადიანებისაგან დაგვიხსნათო.

მოძღვართ მოისმინეს დევნილთა მუდარი და აუწყეს შემდეგი:

— აბა რა გიყოთ, შვილო, ჩვენ კათოლიკენი ვართ, მფარველობას გაგიწევთ, მაგრამ როდემდის? ხომ ხედავთ, რომ ოსმალნი ქართველთა სისხლსა სმენ, იგინი თავიანთ საბრძანებელში ქართველს აღარ სტოვებენ. ოსმალნი ამბობენ, რომ ჩვენს სამეფოში ქართველის ხსენებას არ დავტოვებთო. ბერძნებისაც დიდი ჯავრი სჭირთ და რადგანაც თქვენ იმათი მერჯულენი ხართ, ამიტომ უფრო გდევნიან. ცხადი საქმეა, რომ დღეს თუ ხვალ თქვენც მიგაღებინებენ მაჰმადის სარწმუნოებას.

— კათოლიკობას მივიღებთ,—მოახსენეს ჩხალის ხეობის ზოგიერთ სოფლის ქართველთა.

— კეთილი! თქვენ კათოლიკობა მიიღეთ, ჩვენ ამ საქმეს პაპსაც ვაცნობებთ და მთავრობასაც, მერე თქვენ აღარავინ რას გიზამთ, ქრისტიანობა თქვენში მტკიცედ დაშთება.

ჩხალელებმა მოიწონეს მოძღვართ რჩევა, საჩქაროდ წავიდნენ და ყოველისფერი დარიგება შინაურებს და ჩუმ ქრისტიან ქართველებს მოახსენეს. რჩევა ყველას მოეწონა და რამდენიმე ხნის განმავლობაში ყველა ესენი საიდუმლოდ გაფრანგებულ იქმნენ. რამდენსამე ხნის შემდეგ ამათ ოსმალთაც აუწყეს:

— ჩვენ რჯულს არ გამოვიცვლით, ჩვენ ამის ამბავს პაპს ვაცნობებთ და რასაც ის გვიბრძანებს, ჩვენც იმ ბრძანების კვალად მოვიქცევით, რადგანაც ჩვენ კათოლიკენი ვართ სარწმუნოებითაო.

ოსმალთ ჯავრი მოუვიდათ და ჩხალელებს დევნა დაუწყეს, რადგანაც იცოდნენ, რომ ეს ქართველნი წინად სხვა სჯულისანი იყვნენ, ქართულის ეკლესიის აღმსარებელნი, რასაც თვითონ მალავდნენ. დიდი აურ-ზაღრი ასტყდა და გაკათოლიკებულ ქართველებსაც სასტიკად დაუწყეს დევნა, სიცოცხლეს უმწარებდნენ და ძალას ატანდნენ კათოლიკობა უარ ეყოთ. ამ სასტიკობის გამო პატრებმა დავა დაიწყეს, მაგრამ ოსმალთა მახვილი მაინც ვერ შეაჩერეს. გაფრანგებულთ

ისე გაუჭირდათ საქმე, რომ თავიანთ სოფლებიდგან აიყარნენ, ზოგი ართვინში გადასახლდა, ზოგი სხვა დაშორებულ ქალაქებში, სადაც კი კათოლიკის სარწმუნოების ხალხი ეგულისხმებოდაო. უმეტესი ნაწილი კი ართვინში დარჩა.

დროის განმავლობის მეოხებით დასავლეთ საქართველოში რომის ლათინთა მოძღვართ გავლენა შესუსტდა შიშისა და უგზო-უკვლობის გამო. ამიტომაც მაშინდელ ქართველ კათოლიკეთ პატრონად სომეხ გვარის კათოლიკე მოძღვარნი აღმოუჩნდნენ, რომელნიც ლათინთ პატრებზედ არა ნაკლებ ჰფარველობდნენ ამ ახალ და ძველ გაფრანგებულ ქართველთ.

ეკლესიებში ლათინურ ენის მაგიერ სომხურ ენაზედ დაიწყეს წირვა-ლოცვა. ხალხსაც უხაროდა ეს ცვლილება, რადგანაც ქართველ კაცთან სომხურ ენას უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდა, ვიდრე ლათინურს. ქართველნი ადვილად სწავლობდნენ სომხურს ენას და ამ ენაზედ ლოცვებიც კარგათ ესმოდათ. დროის განმავლობის მეოხებით ქართველებმა ისე შეისწავლეს სომხური ენა, როგორც თავიანთის ეკლესიის ენა, როგორც თავიანთი სამშობლო ენა. მაშინ მათგან უამისობა არ შეიძლებოდა. ასეთი შესწავლა საშიში არ იყო, რადგანაც იმ დროის ქართველთა და სომეხთ შორის სადავო და სადავიდარაბო არა იყო-რა. ხოლო იმ ცვლილებამ და წესების შეტანამ ქართველებში რა გავლენა იქონია და მერმისისათვის რა ცვლილება მოახდინა, ამისას ჩვენ არას ვიტყვით, ამისი დასკვნა იმათთვის მიგვინდვია, ვინც ხსენებულ კუთხეში დასახლებულ კათოლიკეთა აწინდელი ცხოვრება-ვითარება კარგად და მიუფერებელად იცის.

ჩვენი ამბები რომ ყოველივე მართალია, ამას დაასაბუთებს შემდეგი მაგალითიც.

აჭარაში მგზავრობის დროს, დაბა ქედაში, გავიცანი ერთი ართვინელი სომეხ-კათოლიკეთაგანი აშტრაკიანცი, ყმაწვილი კაცი. ერთმანერთს ვინაობა ვკითხეთ. მან სთქვა:

— მე აქეთკენ ვმგზავრობ, აქა-იქ მთებში მადნებს ვეძებ,

მერე ამ მადნების ცნობებს ევროპის ზოგიერთ მდიდარ მემადნე ვაჭრებს ვატყობინებ, ისინი მომყავს აქ და იჯარით იღებენ. ამის შემდეგ ართვინელ კათოლიკეების შესახებ ჩამოვარდა სიტყვა და მან განაგრძო:

— „უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი ძველები ამბობდნენ, რომ ჩვენ გვარ-ტომობით ადრე ქართველნი ვყოფილვართ, ჩვენ თურმე ჩხალის ხეობაზედ ვსცხოვრებდით ერთს სოფელში, იქ გავფრანგებულვართ და მერე იქიდგან გადავსახლებულვართ ართვინში. ართვინში, დაგვიწყებია ქართული ენა და ჩვენი გვარიც იქ გამოგვიცვლია, — დღეს ამტოაკიანცად ვიწოდებით. საკვირველია, ასე როგორ შევიცვალეთ, ასე როგორ გადავსხვაფერდით ყოველივეთი, რომ ქართველობის აღარაფერი შეგვრჩა, არც ენა, ვინაობის გარდა გაგება და ძველი გვარის ხსოვნა. ძალიან მიკვირს, ძალიან ჩვენი ასე გადავიწყება და გადაგვარება... აბობენ, რომ სხვა ქართველ კათოლიკობასაც ჩვენსავებ დავიწყებიათ ყველაფერი.

ახლა აქ მე ამაზე მეტს არას ვიტყვი, ვიმოწმებ თვით სომეხთ კათოლიკეთა ყოფილს გვამს და მან დააჭეშმარიტოს იმის შესახები ცნობები, რომ ჩხალის ხეობის ქართველთ ძველად კათოლიკობა მიიღეს თუ არა და თუ მიიღეს, მაშინ ეს ქართველთ კათოლიკენი რა იქმნენ, სად წავიდნენ და სად სცხოვრობენ დღეს მათი მომდევარნი? ამიტომ მე ჩვენის საბუთების დასამტკიცებლად თვით სომეხ კათოლიკებს ვასახელებ, რომელთაც მრავალი რამ ცნობები შემოაქვსთ ჩვენს მწერლობაში თავიანთ გვარ-ტომობის შესახებ.

ართვინის ქართველ-კათოლიკენი.

ნაამბობი ართვინის კათოლიკეთა ეპისკოპოზისაგან ზაქარიანის და იოან სათვარიანისა.

მოხუცებულთაგან გამიგონია, რომ ერთ დროს, აჭარაში

ქართველ ქრისტიანებს ოსმალთაგან ძლიერ გასჭირებიათ საქმე, ოსმალები ქართველთ გაუთათრებლათ არ სტოვებდნენ. გაჭირდა საქმე, თათრობისათვის დიდი ძალი ქართველობა გამწყდარა. რაღაც შემთხვევით, ერთ დროს, ევროპის კათოლიკის ერთი მოგზაური პატრი ბათუმში მოსულა, იქ კარგა ხანს დარჩენილა, იქ იგი კათოლიკეებს ერთ სახლში ალოცებდა, შემდეგ ევროპაში დაბრუნებულა, მაგრამ ზღვით კი არა, არამედ ხმელეთით, ლივანის გზით. მგზავრობა მაჭახლის პირისკენაც მოხდენია; რამდენსამე დღეს აქა-იქ ქართველებში რჩებოდა და ცნობებს სწერდა. სხვათა შორის იგი მაქასელშიაც დარჩენილა. ამ დროს იქ ქართველთ დიდი დევნა ყოფილა, მაქასლის ნახევარი გათათრებული ყოფილა, ნახევარსაც ათათრებდნენ. ამ გათათრებულებს პატრმა მიმართა და უთხრა: —„შვილებო! რა გაწუხებთ, რად თათრდებით, კათოლიკობა მიიღეთ, ქრისტიანებად დაშთებით და ოსმალნიც ვერას გიზმენ". ტანჯულ ქართველთ შეუსმენიათ და ერთ დღეს სამ სოფელს განუცხადებიათ ოსმალთათვის, რომ ჩვენ კათოლიკეები ვართ და არა ქართველებიო. ოსმალთ გაუნთავისუფლებიათ ესენი დევნისაგან.

რამდენიმე დღის შემდეგ ხსენებულის პატრისაგან სამ სოფლის ხალხს მიუღია კათოლიკობა. ამ სამ სოფლის ხალხში 90 მეტი კომლი ზაქარიაძეები და საფარიძეები ყოფილან. დღეს ზაქარიაძეები სომეხ-კათოლიკეთ ირიცხებიან და ზაქარიანცათ იწოდებიან და საფარაშვილები—საფარიანცებათ. ყველა ესენი და ჩვენც ქართველთ გვარისანი ვართ, მაგრამ დროის და სომეხ-კათოლიკეთ მეოხებით ჩვენ ჩვენი გვარი დაგვიტოვებია და სომხებს მივკედლებივართ, გავსომხებულვართ. დღესაც მაქასელში რამდენსამე სოფელში სცხოვრებენ ზაქარიაძეები და საფარაშვილები, ყველა იგინი მაჰმადიანები არიან. რაც ართვინში და ასეთ დაშორებულ კუთხეებში სომეხ კათოლიკენი არიან, მათი რიცხვის ნახევარი ქართველ-გვარისაგან შესდგება. ასეთ კათოლიკეებს თავიანთ გვარები ძველი-

დგანვე გადუკეთებიათ სომხურათ, მაგალითებრ: დღევანდელი სომეხთ კათოლიკეთ მოძღვრის ლაზიანი ძველი გვარი ლაზიშვილია, ქართველი მალხაზაშვილი—მალხასიანი, ჭონიშვილი—ჭონიევი, აჭარიშვილი—აჭარიანცი, მამაცოვი—ფაფაზიანცი და მრავალიც სხვანი ამგვარნი.

მე ვკითხე:

— საკვირველია, რომ ეს ქართველნი ისე გადაგვარდნენ, რომ ქართველობის აღარაფერი შერჩათ, ნეტა როგორ მოხდა?

— გადაგვარება ერისა ადვილია, თუ ეს სადმე დაიწყო და მას ხელის შემშლელი არავინ გამოუჩნდა; ქართველთ გადაგვარებას ოსმალეთის საქართველოში ყველაფერი უწყობდა ხელს. ოსმალთ დევნა და სომეხთ კათოლიკეთ ოსტატურ-ქრისტიანული მოქმედება. მაგრამ მაინც ქართველთ გვარის დამკარგავ კათოლიკეთ შორის ცნობები არის დაშთენილი, რომ ისინი ოდესმე ქართველ გვარს ეკუთვნოდნენ და ქართულადაც ლაპარაკობდნენ.—მაგალითებრ?—მე ვკითხე.

— მაგალითებრ: მცენარეებს, პირუტყვებს და ბევრს კიდევ ასეთ არსებათა დღევანდლამდე ართვინის გასომხებულ ქართველ კათოლიკენი ქართულ სახელებს უწოდებენ. მაგალითებრ, ქართული ქირძი დღესაც ასე იწოდება მათში, ქონდარი, ნიახური, რეჰანი, ბადრიჯანი, ცერცვი, წიწმატი, პილპილი, ბევრიც სხვა, ნამეტურ სახლის ავეჯეულობის; დედა, მამა, ბიძა, დეიდა, მამიდა და სხვა ასეთ სახელწოდებანიც ხშირია მათში დღევანდლამდე დაშთენილი. საუბრის დროს ზოგჯერ მთელს წინადადებას ამბობენ ქართული სიტყვებით. დღეს რაც ართვინის სომეხ-კათოლიკენი არიან, იგინი მთლად ქართველ გვარის კათოლიკებისაგან შესდგებიან, ხოლო დროის მეოხებით გასომხებულან, ქართული ენა დაუკარგავთ და მის მეოხებით გვარ-ტომობაც დაჰვიწყებიათ, თუმცა ამბები ამის შესახებ აქ ბევრმა მოხუც სომეხ-კათოლიკემაც იცის, რომ ისინი ქართველთ შთამომავალნი არიან. ეს

რომ მართალია, ამას ცხადათ ამტკიცებს შემდეგი გარემოებაც: ქართველები ისე სომეხ-კათოლიკებს არა სძულთ და არ ეჯავრებათ, როგორც სომეხ გრიგორიანებს.

ნეტავი შემატყობინა, თუ ამ მღვდელ-მთავრის ცნობებს როგორ შეხედვენ ზაქარიანები და სომეხთ კათოლიკეთ მოძღვარი საფარიანი, რომელსაც თავის გვარ-ტომობა, ე. ი. ქართველობა ჭირივით სძულს და ქართული ენაც დავიწყებული აქვს. ერთმა მოხუცმა კათოლიკმა შემდეგი გადმომცა:—„დღევანდელ სომეხ-კათოლიკის მოძღვრის პუჩიანის ძველი გვარი პუ-ჭპუჭაშვილია, რადგანაც იგინი ძველად ქართველნი იყვნენ და ახალ-ციხეს სცხოვრებდნენ, კათოლიკობის შემდეგ ართ-ვინში გადმოსახლდნენ, აქ ენით და გვარ-ტომობით გასომხ-დნენ, ყოველივე დაივიწყეს თავიანთი, დღეს ამას ვინ სჩივის, მათ ქართველობაც კი სძულთ სასტიკად.

მაშინ' იმათთან ერთად ახალ ციხიდამ რამდენიმე კომლი გადმოსახლებულან, ყველას მათ აქ ართვინში დაუკარგავთ ქარ-თული ენა და გვარ-ტომობაც ისევე, როგორც მთელ ართვი-ნის ქართველ-კათოლიკობამ დაკარგა ქართული ენა და გვარ-ტომობა.

მთელის ართვინის სომეხ კათოლიკენი შთამომავლობით ქართველნი არიან, მათში ქართული ენა ძირიანად შეირყა 1800 წლებში, შემდეგ 1840 წლებამდე ყველგან ამოვარდა, დიდმა, პატარამ ყველამ დაივიწყეს, მხოლოდ შიგა და შიგ მრავლად მაინც დარჩა ქართული სიტყვები, რომელსაც კა-თოლიკენი დღევანდლამდე ხმარობენ და არ ივიწყებენ. XVIII საუკ. გასვლამდე, ამათში ქართული წერა-კითხვაც არ-სებობდა, სიმღერები, ხატობა, ღამის თევა, ჭიდაობა, ფერ-ხული, თამაში და მრავალიც სხვადასხვა წეს-ჩვეულებანი. თა-მარ მეფის და ერეკლე მეფის ამბებიც მრავლად იცოდნენ.

ასეთი კათოლიკები ართვინიდამ მოყოლებული სტამბო-ლამდის ძლიერ მრავლად ყოფილან. XVIII საუკ. მარტოდ

სტამბოლში 1500 კომლი ქართველი კათოლიკე ყოფილა, დღეს იგინი სულ სომეხ-კათოლიკეთ ირიცხებიან, რადგანაც მათ სომეხ-კათოლიკეთ სიმძლავრით ქართველობა დაკარგეს, ქართული ენა დაივიწყეს, სომხურათ იწყეს საუბარი და გვარებიც სომხურის სიტყვების რიგით გადააკეთეს. ეს რომ ჭეშმარიტია, ამას ასაბუთებს შემდეგი მაგალითი: 1860 წლამდე კოსტანტინეპოლის კათოლიკეთა სასაფლაოზედ მიცვალებულთ ქვების უმეტესს ნაწილზედ ქართული წარწერები იყო. ასეთი ქვების უმეტესი ნაწილი შემდეგ სულ გაქრა. იქ დღესაც შეხვდება კაცი ასეთს ქვებს ხსენებულ სასაფლაოზედ აქა-იქ. შავშეთის კათოლიკენიც ქართველ გვარის შთამომავალნი არიან. იქ მათში სომხის გვარის არავინ ურევია. ჩვენ ყველანი ქართველთ შთამომავალნი ვართ და ძველ საქართველოშიაც ვსცხოვრებთო. ჩვენი ძველებისაგანაც ასე გაგვიგონიაო.

3. პატრის აღუშოვის ნაამბობი.

3. შაჰყულიანი იტყოდა ხოლმე შემდეგს: „მე როცა რომში წავედი, ართვინზედ მომიხდა გავლა და მაშინ კორგულის ეკლესიაში ზოგიერთ მოხუცებულებს ქართული ხელთნაწერი ლოცვები ეკავათ და კითხულობდნენო. მაშინდელ კორგულს ართვინელ ქართველ კათოლიკეთ მოხუცებულებს უთქვამსთ, რომ XVIII საუკ. ნახევრამდე აქაური ქართველი კათოლიკენი სულ ქართულ ლოცვის წიგნებს კითხულობდნენო. მას შემდეგ კი შემცირება იწყო, რადგანაც წიგნები ცვდებოდა, გადაწერას აღარ ასწავლიდნენ სტამბოლიდამ მოსული სომეხ-კათოლიკის ხუცები და აბა სხვას საიდამ რას იშოვნიდნენ, ისევ სომხურ ლოცვის წიგნებს ეწყობოდნენ და 1800 წლამდე მთელი ართვინის ქართველ-კათოლიკობა კარგად შეეჩვია სომხურ ლოცვების კითხვას, სომხურ ენის და სომხობის დაჩემებას. შემდეგ ამ ცნობას პატივცემულმა პატრმა აღუშოვმა დაუმატა: შეიძლებოდა ეს გარემოება ქართველ

კათოლიკეთ არ მოსვლოდათ, რომ მათ ერთგული პატრონი და ქართული წიგნენი ჰქონოდათ, მაგრამ საიდამ, იმ დროს ქართველთ ამის დრო არ ჰქონდათ. XVIII საუკუნეში, სომეხ-კათოლიკეთ მრავლად იწყეს კათოლიკეთათვის საჭირო ლოცვების და სამღრთო შინაარსის წიგნების ბეჭდვა, ამ წიგნებს იგინი ყველგან ავრცელებდნენ, ქართველი კათოლიკენიც სიამოვნებით ეწაფებოდნენ ამ წიგნებს, რადგანაც ოსმალეთის ქართველ კათოლიკეთ ქართულ ენაზედ დაბეჭდილი წიგნები სულ არ ჰქონდათ, მაშ რას იზამდნენ, ლათინურს ხომ ვერ შეისწავლიდნენ, ისევ სომხურს დაუახლოვდნენ, ეს ენა მათთან ახლო იყო და მის შესწავლა-სიადვილეს გარდა ესიამოვნებოდათ კიდეც. ესეც ჭეშმარიტება გახლავსთ.

ია—ძე.

გამდელი

(ისტორიული მოთხრობა)

ვუძღვნი მარიამ კაუხჩევს.

I.

— აბა, ამდენი დრო არა მაქვს... ღვთის გულისათვის... —ეხვეწებოდა ახალგაზდა, 28—30 წლის დედა-კაცი ფოთის ფაშის ერთს კარის-კაცთაგანს....

— მოითმინეთ, ჯერ ადრეა...—უპასუხა კარის-კაცმა და ჩვეულებრივ ულაზათოთ ჩაიღრიჯა...—რა ლამაზია!—ჩასჩურჩულა ამხანაგებს და უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა, რომ ფეხის ხმა მოესმა... კარის-კაცმა უკან მიიხედა და შემდეგი გაიგონა:

— ფაშა მზათ არის. . ცხენების შეკაზმვა ბრძანა...

კარის-კაცი ოთახში შებრუნდა, ხოლო დედა-კაცს კი ურჩია გამოსვლის დროს ფაშას დახვედროდა და თავის სათხოვარი იმისთვის მოეხსენებინა... ცოტა ხანი და დიდებულად შეჭურვილ-შეიარაღებული ფაშაც გამოვიდა... გარს შემოსდგომოდა რამდენიმე ჯარის-კაცი. ეზოში მის მბლებლებს რამდენიმე შეკაზმული ცხენი უცდიდათ...

აივანზედ გამოსულის ფაშის ყურადღება პირველადვე დედა-კაცმა მიიპყრო.

დედა-კაცმა სიტყვის თქმაც ველარ მოასწრო, რომ ფაშის ბრძანებით მას ერთი მხედართაგანი შეეკითხა:

— რა გინდათ...

— დედა-კაცმა პასუხად მუხლები მოიკეცა და ფაშას დაჩოქვით დაუწყო:

— ერთი საწყალი დედა-კაცი ვარ... ფიდანი მქვიან... ჩემი შვილი ჯარუ დაგიტყვევიათ... გთხოვთ გამითავისუფლოთ...—დედა-კაცმა მეტის თქმა ველარ მოახერხა.

— ფიდანი... გქვიან... თქვენის შვილის სახელი?..

— ჯარუ, დიდებულო ფაშავ!..

— ჯარუ ..—განიმეორა ჩაფიქრებით ფაშამ და ერთიც იქითკენ გაიხედა, საიდგანაც მეგრული მწყობრი დამაღონებელი სიმღერა მოისმოდა... ესენი იყვნენ რამდენიმე დამწყვდეულნი ვაჟ-კაცნი, ტყვენი ფაშის სასახლეში.

— ჯარუ... მისი განთავისუფლება არ შეიძლება, სანამ ოტია დადიანი არ გამომეცხადება და ალექსანდრე მეფესთან და ჩემთან ერთად არ მიიღებს მონაწილეობას ურჩთა დამორჩილებაში...

— დიდებულო... ფაშავ... ის... ის არაფერ შუაშია... ერთად-ერთი შვილია დედ-მამისა... მისი ბრალი არაა, დადიანის ბრალია... გთხოვთ... გთხოვთ გამითავისუფლოთ...— დედა-კაცი დაჩოქილი მივარდა ფაშას და კალთებს კოცნა დაუწყო. ფაშას ეს არც კი შეუმჩნევია; იგი ამ ჟამად ტყვეებისკენ იხედებოდა და მათს დამაღონებელ სიმღერებს ყურს უგდებდა...

— გთხოვთ არ დამიკარგოთ... ერთად-ერთი შვილია... —განიმეორა ხმა-მაღლა ფიდანმა და ფაშის ყურადღებაც მიიპყრო... ფაშა ფიქრებიდგან გამოერკვა და დედა-კაცს ერთხელ კიდევ განუმეორა:

— დადიანზეა შენის შვილის ხსნა დამოკიდებული...— ბოლოს მისს გარშემო ხმა-გაკმენდილად მდგარ ჯარის-კაცთ შემდეგის სიტყვებით მიჰმართა:

— ტყვეებს ცოტა საზრდო მიეცით... კარ-ფანჯრები ჩაუკეტეთ და უთხარით, ნუ ჰყვირიან...

რამდენიმე ჯარის-კაცი ბრძანების ასასრულებლად გაქა-

ნდა, ხოლო სხვები ისევ გარს შემოერტყნენ და ნელად მისთვის შეკაზმულ ცხენისაკენ წაიყვანეს.

— ასე...—განუმეორა უკვე ცხენზედ შემჯდარმა ფაშამ დედა-კაცს და საჩქაროდ გაიარა ეზო... მას რამდენიმე შეიარაღებული ჯარის-კაცი გაჰყვა.

ფიდანი გულდაწყვეტილი ტირილით მოჰშორდა იქაურობას.

II.

რამდენიმე ხნის სიარულის შემდეგ ფაშა თავის ამალით მივიდა იქ, სადაც ფოთიდგან რამდენიმე ვერსის მანძილზედ, მდინარე რიონის ნაპირას დაბანაკებული იყო თავისჯ არით იმერეთის მეფე ალექსანდრე მე-V. ბანაკის მახლობლად ფაშა ჩამოხტა ცხენიდგან და მეფესთან შევიდა... ეს იყო 1732 წლის ზამთრის გასულს. მეფე ალექსანდრე მეგობრულად მიეგება ფაშას, სახლში შეიპატიჟა და გულსმოდგინედ დაიწყო მასთან და ვეზირებთან რჩევა, თუ როგორ სჯობდა საქმის მოწყობა, როგორ დაემორჩილათ შავის-ზღვის ნაპირად მცხოვრებნი ოდიშარნი და აფხაზნი... რჩევის შემდეგ გარდასწყვიტეს, მეორე დღეს, განთიადისას, მეფეს და ფაშას შემოეკრიბათ ჯარი და ერთმანეთთან კავშირით გზას გასდგომოდნენ... ამასთან ისიც მოიხსენიეს, თუ როგორ გარდაეხადათ მაგიერი ოდიშის მთავრის ოტია დადიანისთვის, რადგან უკანასკნელი არამც თუ თვითონ წინააღუდგა ოსმალოებს და მათი მორჩილება აღარ ისურვა, პირიქით ოსმალოებთან შემწედ გამგზავრებულ მეფე ალექსანდრესაც ურჩევდა აღარ წასულიყო ფაშასთან...

დადიანის სიურჩემ და კადნიერებამ უფრო აამხედრა მის წინააღმდეგ ოსმალონი... ისინი უღმერთოდ იკლებდნენ სო-

ფლებს, ჰკაფავდნენ ურჩით და წინააღმდგომთ, ზოგთ ატყვევებდნენ და სხვა... თვით ფაშის დაკითხავად ბევრ რამ უსამართლოებას სჩადიოდნენ ჯარის-კაცნი: ართმევდნენ სოფლელთ დედა-კაცებსა, იპარავდნენ საქონელსა და სხვ.

ერთ დღეს ასეთი აღვირ-წახსნილი ოსმალოების ბრბო შევარდა ერთს წისქვილში, რომელიც მდ. ტეხურიდგან გადაყვანილ შტოზედ იყო აშენებული... მეწისქვილედ იმ ჟამად სამეგრელოს ერთის თავადის დაყენებული კაცი იყო...

ახლად-შელამებული იყო... მოწმენდილ ცაზედ ცქრიალა მთოვარის ერთი ნახევარი მოსჩანდა... მას გარს შემოჰკრებოდნენ ურიცხვნი ცის მნათობნი, რომელნიც საგრძნობლად ციმციმებდნენ გაზაფხულის ღამეში... მახლობელ მიდამოებიდგან ნელი ნიავი უბერავდა და წისქვილის წინ განმარტოებით მდგარის ორის ჭანდრის ახლად გაფურჩქვნილ ფოთლებს საგრძნობლად აფარფატებდა. მდინარის შხუილი და წისქვილის ქვების გუგუნი ერთმანეთში ირეოდა...

სწორედ ეს დრო იყო... მეწისქვილემ რამდენიმე ფუთი სხვისგან მობარებული სიმინდი დაჰფქვა და გადაჰსდო, წყალი გამოუშვა, წისქვილი მოასვენა და შემდეგ ცოლთან ერთად ვახშამს შეექცეოდა... უცბად წისქვილის კარი გაიღო და შიგ ოსმალოთ ბრბო შემოვიდა... ჯერედ ახედ-დახედეს სახლს და შემდეგ კი მოსთხოვეს მეწისქვილეს გარეთ გასულიყო. უკანასკნელმა იუკადრისა ეს და წინააღმდეგობა გაუწია ოსმალთ... მეწისქვილე ძალათი გაიყვანეს... ცოლის კივილზედ გარეთ გაყვანილმა მეწისქვილემაც მოართო ღრიალი... უცბად შორით მომავალ ურმების ჭრიალი მოისმა... მეწისქვილე ჰყვიროდა... შიგნით დროგამოშვებით ქალის კივილი გაისმოდა... მეურმე მოუახლოვდა წისქვილს...

— ჯარუ! ჯარუ!.. მიშველე!..—დაუწყო მეწისქვილემ ყვირილი და ყელზე მოეხვია მეურმეს...—შეხე... უსჯულო ოსმალოები შემომიცვინდნენ სახლში... მალე...

ამის გამგონე მეურმე ავარდა, თვალები გაუცეცხლდა,

ყურები სცქვიტა...—წამოდით!—შესძახა მასთან ერთად მომავალ ამხანაგ მეურმეებს და საჩქაროდ წისქვილის კარს მივარდა. რამდენს არ ეცადნენ მეურმეები, მაგრამ კარების ჩამტვრევა ვერ შესძლეს. კარებს რამდენიმე ოსმალო მოსწოლოდა, სხვები კი ტომრებს ავსებდნენ წასაღებ ფქვილით, მზა ვახშამს შეექცეოდნენ და სხვა საზიზღრობასაც სჩადიოდნენ...

— კარი... უსჯულოებო!..—დაიყვირა უკანასკნელად ჯარუმ და ერთიც ღონივრად მიაწვა კარებს... ამ დროს კარიც გაიღო და რამდენიმე გაბრაზებული ოსმალო თავზედ წაადგა ჯარუს... მოწინააღმდეგენი შეტოტდნენ... ჯარუს ამხანაგები მიეშველნენ, მათ—მეწისქვილე და ამნაირად გაჩაღდა ცხარე ბრძოლა...

— ურჯულო! ურჯულოებო!—იძახოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჯარუ და ჩვეულებრივ დაწვნილ მუშტებს ჰგზავნიდა მტარვალთ ლოყა-ყბებისკენ... ოსმალებიც სამაგიეროს უხდიდნენ მოწინააღმდეგეთ... ბრძოლა გათავდა იმით, რომ ოსმალებმა ერთის მხრით გადაისროლეს შუბლ-გახეთქილი, კამარა სისხლით ცხვირ-პირზედ შელესილი ჯარუ, ხოლო მეორე მხრით უარეს მდგომარეობაში მყოფი მეწისქვილე... ჯარუს სხვა ამხანაგებს კი თავიანთ თავისთვის ეშველათ. ისინი გაქცეულიყვნენ და მახლობელ მცხოვრებთათვის შეუტყობინებინათ უბედურების ამბავი. წამოსულ მცხოვრებთ წისქვილში ნახეს მხოლოდ შუბლ-გახეთქილი უგრძნობლად მწოლარე მეწისქვილე და მის მახლობლად ცხარე ცრემლებით მტირალი ცოლი. მეწისქვილე რამდენიმე დღის შემდეგ გარდაიცვალა... ჯარუ და მისი ერთი ამხანაგი მეურმე კი ოსმალებმა ტყვედ წაიყვანეს და ფაშას წარუდგინეს, როგორც მისს წინააღმდეგ შემდგარის შეთქმულების უფროსები. ფაშამ მათი დატყვევება ბრძანა.

III.

სამეგრელოს ერთის თავადის პორფირე ...ს სასახლე მდი-

ნარე ტეხურის პირად იყო აშენებული. სწორედ იმ ადგილას, სადაც პორფირეს ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ორი ვერსის სიშორით მოკამკამე ტეხურს გადაჰყურებდა, უკანასკნელს რამდენიმე წყარო-ველები უერთდებოდნენ. ერთი ამ ღელეთაგანი იმ სოფელშიაც გადიოდა, სადაც თავად პორფირეს გამდელი ფიდანი და ამის ქმარი მაქსიმე სცხოვრობდნენ.

ერთი უბრალო ხის შტოებიდგან დაწნული მეგრული ფაცხა, დაბალ ქვის გალავანზედ დაშენებული, გვიმრით გარდახურული დაწნული ნალია-სასიმინდე და საღვინე-მარანი, ისლით გარდახურული, სადაც მაქსიმე ბატონის მონდობილობით ყოველწლივ ოჯალეშის ღვინოს აყენებდა,—აი მთელი ქონება მაქსიმესი და მისის ახალგაზდა მეუღლის ფიდანისა... ცოლ-ქმარნი სულ თვრამეტის წლის შეუღლებულნი იყვნენ, მაგრამ დროს არც ერთისა და არც მეორესათვის არც სილამაზე წაერთმია და არც ერთმანეთისადმი სიყვარული... თვრამეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც სულ ოცის წლის ცელქმა მაქსიმემ თავის ბატონის სასახლეში ცქრიალა, ნაზი, მზესავით ეშხიანი ფიდანი ნახა.,. ფიდანი!.. როგორ გულში ჩაუჯდა პირველ-გაგონესისათანავე ეს სიტყვა საბრალო მაქსიმეს... სწორედ იმ გულის სიმს მოხვდა იგი, რომლიდგანაც მისი ამოგლეჯა ისე არ შეიძლებოდა, თუ თვითონ გულიც არ ამოჰყვებოდა თან... საბრალო მაქსიმე... როგორ მოიგონებს იმ დღეს, როდესაც მან პირველი საჩუქარი მიართვა თავის გულის სატრფოს... ჯერ მაქსიმე ბატონს დაეკითხა—როგორ მოქცეულიყო ამ შემთხვევაში... ბატონის გული დიდი-ხანი მოკვებული ჰქონდა მაქსიმეს, იგი ერთგული მოსამსახურე იყო ბატონისა და აი, ამიტომაც ბატონმა ნება დართო მაქსიმეს, იმ პირობით კი, რომ შეუღლებულნი ცოლ-ქმარნი მასთან დარჩენილიყვნენ მოსამსახურეებად...

ფიდანი აფხაზის ქალი იყო. მას დედ-მამა ადრე დაეხოცა და მისი აღზრდა მათს შემდეგ ერთის აფხაზ თავადის პირ-

ფარეშის ცოლმა იკისრა... როგორც იყო თავად პორფირეს ოჯახში მშვენიერი ფიდანიც მოხვდა... აქ ბედმა გაუღიმა მას და იმას შეაკავშირა, რომელსაც თავად პორფირეს მოსამსახურეებში ბადალი არა ჰყავდა. ეს იყო მაქსიმე .. სხვა ამხანაგებს დიდათ შეშურდათ მაქსიმეს ბედნიერება და რომ ბატონის თვალში დაემცირებინათ იგი, სხვადასხვა მისს სახელზედ შეთხზულ ჭორებს აგონებდნენ ბატონს... პორფირე გულ-კეთილი და მასთან ჭკვიანი კაცი იყო... თავის დღეები, სულ 50 წელიწადი, მას მარტო სმა-ჭამაში და ლხინში არ გაუტარებია, როგორც ამას სხვა მისს ხნის და მისსავე ქვეყნის თავადები სჩადიოდნენ... არა. პორფირეს სწამდა მუდამ შრომა, მუდამ საქმიანობა და ჯაფა... თუმცა თვითონ სუსტის აგებულობისა იყო და ხანგრძლივი მუშაობა არ შეეძლო, მაგრამ ხშირად უნახავთ თავადი პორფირე შუა-დღეზედ მინდორში მომუშავე, რომელიც ძალზედ სცემდა თოხს და აყვავებულ სიმინდს ბლომად უყრიდა ძირში მიწას და თან მეგრულადვე შემოსძახებდა რომელიმე დაკვანძულ სიმღერას.

— შეხედეთ ჩემს ბატონს, რას შვრება!..—ხშირად უთქვამს სხვებისთვის ქალ-ბატონს სალომეს, თავად პორფირეს მოხუცებულს მეუღლეს, როცა დაუნახავს თავის მაღალ შენობიდგან შორს ჭალაში მომუშავე ქმარი... პორფირე, რასაკვირველია, ბევრს ხანს ვერ მუშაობდა, თავის თოხს რომელიმე ბიჭს გარდასცემდა, ზურგზედ ორ-ლულიან თოფს გადიკიდებდა, დაუსტვენდა თავის ძაღლს „ყურჩას“ და მახლობელ ტყეში შეიმალებოდა...

— რა ბატონი გვყავს, გამჩენისა!—იტყოდნენ მომუშავე ბიჭები და ჩვეულებრივზედ უფრო გულმოდგინედ დაუწყებდნენ თოხებით ბრძოლას დედა-მიწას.

IV.

პირველად ადგილი დაიკავა ბატონის გულში მაქსიმემ.

შემდეგის შემთხვევით. ერთხელ თავადი პორფირე ჩვეულებრივ სანადიროდ წავიდა თავის ტყე-მამულებში, ყურჩა და რამდენიმე რჩეული ძაღლები და ბიჭები თან შორით მიჰყვებოდნენ ბატონს, რომ მის ნიშნებაზედ მოსალოდნელს ნადირს არა-ჩვეულებრივის სისწრაფით დასცემოდნენ... შემოდგომა იყო. აქა-იქ ყანებში სიმინდის კალოები იდგა. ტყე კვნესაშხუილით აძლევდა ბანს მოსისინე ზამთრის წინამორბედ ქარს. ჭალაში მომუშავეთ დროგამოშვებითი სიმღერა გაისმოდა. მდინარე ტეხური ნატეხ ჭალებში აქა-იქ გამოსჩანდა თეთრ ზოლად.

იმ დღეს, როცა პორფირე თავის ამალით მდინარის ნაპირა ტყეს დაადგა, ტეხურის მიდამო არა-ჩვეულებრივის სქელის ნისლით იყო მოცული... თვით მდინარის კალაპოტში ნისლი ბოლივით ირეოდა, თითქოს ქვევით მოხითხითე ტალღებს ებრძვისო... ერთი საკრმე გზა-ტკეცილი, რომელზედაც გამოვიდნენ მონადირენი ცოტახნის სიარულის შემდეგ, ჭალაში მიდიოდა, შემდეგ კი თვით სოფლისკენ მიიკლაკნებოდა. მაშასადამე, ეს უხმო იყო მონადირეთათვის... ეს იყო მიზეზი, რომ პორფირე ამ გზას გასცილდა და მის მარცხენა მხარით მიმავალს ვიწრო ბილიკს დაადგა...

საღამო ჟამი იყო... მონადირენი ფრთხილად მიაბიჯებდნენ წინ და თან ფრიად დიდს თვალ-ყურის გდებაში იყვნენ—ნადირი-რამ არ გაგვეპაროსო... არაჩვეულებრივი სიჩუმე ჰქონდა დაცული პორფირეს ამალას, მხოლოდ რაღაცნაირად თვით პორფირე ვერ იცავდა სასურველ სიჩუმეს... იგი ხშირად ცხვირს აცემინებდა... მის ყოველ ცხვირის დაცემინებაზედ გავარდებოდნენ ყურჩა და მასთან სხვა ძაღლები, გასცილდებოდნენ ბილიკს, შესცვივდებოდნენ ტყეში, გამოუდგებოდნენ ბატონს და მის წინ ტყეშივე ბილიკის გასწვრივ გაითამაშებდნენ...

დიდი ხანი იარეს მონადირეებმა .. ბოლოს ერთს უშნოდ დაკვანძულ, გულ-გამოლპებულს ბებერს მუხას მიადგნენ. მის

ძირს ბალახი დატკეპნილი იყო და მასში რაღაც ცხოველთა კვალი ირეოდა... პორფირეს ეს შეუმჩნევლად არ დარჩენია... იგი დაიხარა და დიდხანს უყურა ნაკვალევს, მაგრამ ჯერ-ჯეროობით მაინც არრას ამბობდა.

— მელიას კვალია!—გაბედა თქმა ერთმა მონადირეთაგანმა და თან თოფის კონდახით უჩვენა ბატონს კვალი...

— ა,—თავი ჩაიქნია ბატონმა და საჩქაროდ იქითკენ გაიხედა, საითაც ამ დროს ძაღლების არეული ყეფა მოისმა. ყურჩა მუხაზედ ასულიყო, ფეხებით ხვეტდა და ჰყრიდა ძირს მასზედ შეგროვილ გამხმარ ფოთლებს...

— აბა! დაიძახა დაბალის ხმით პორფირემ და თოფი ხელში მიიმარჯვა...—მარჯვედ, ყურჩა!..—განუმეორა ოდნავ გასაგონად ძაღლს და სმენა-მზერად გარდაიქცა. ბიჭებიც მოემზადნენ და გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს ძაღლების ყეფა კნავილსა... ყურჩა ზევით იჯდა მუხაზედ და გამოღადრულ მუხის გულიდგან დედა-მიწისაკენ იხედებოდა; სხვა ძაღლები—ზოგი შიგ შესულიყვნენ მუხის ღია ქერქიდან და ძალზედ მოხშირებით ჰყეფდნენ, ზოგნი კი გარედგან უგდებდნენ ყურს სხვა ძაღლებს... ცოტა ხანს ყველა ძაღლებმა შესწყვიტეს ყეფა... ყველას სული მიენაბა და უშნოდ დაკვანძულ მუხას შესცქეროდა... მხოლოდ ერთი ძაღლი შიგნიდგან გაჭირვებულად ჰყეფდა-კნაოდა... უცბად მანაც შესწყვიტა ყეფა და აი, ამ დროს მუხიდგან დედა-მიწისაკენ გასრიალდა ვეებართელა ცხოველი, რომელიც არა-ჩვეულებრივის სიგრძისა იყო და თან გრძელსავე კუდს მიატრიალებდა... პორფირემ და მისმა ამალამ კარგად გაარჩიეს ტყის კატა... კატა ზევიდგან გადმოვარდნილ ყურჩასაც გაუსხლტა კბილებიდგან, სხვა ძაღლებსაც, პორფირეს გაგდებული თოფის კვამლიც უკან დასტოვა და ტყეში შეიმალა... ძაღლები უკან დაედევნენ... პორფირემ ერთი დაღონებულად გადახედა ამალას და ნელად გაუდგა იმ გზას, საითაც ძაღლები მიჰყეფდნენ... არ გასულა სულ რამდენიმე წუთი, რომ შორს, სადღაც ტყეში,

თოფმა იგრიალა, გამოხმობა ერთხანს გუგუნებდა ხევ-ხევში. მონადირეებმა ეს კარგად გაიგონეს, საჩქაროდ გამოვიდნენ მინდორზედ და მის ბოლოს ვიღაც ბიჭი შენიშნეს, უბრალო ტანისამოსში, თოფით ხელში; ის რაღაც სიბრალულით დაჰყურებდა დედა-მიწაზედ... ყურჩა და სხვა ძაღლები კუდ-ამოძუებულნი შეჰყურებდნენ თოფის მსხვერპლს... პორფირე სულ რამდენიმე წუთში დაუახლოვდა ბიჭს და არაჩვეულებრივის გულკეთილობით მიესალმა... მისს მხიარულებას საზღვარი არა ჰქონდა, როცა იგი დედა-მიწაზედ გაშხლართულ იმ ნადირს აკვირდებოდა, რომელიც ამ რამდენიმე წუთის წინეთ მხოლოდ მოელანდა...

— ყოჩაღ, ჩემო მაქსიმე... ყოჩაღ, მე ვიცი... რადგან ასე მარდი ყოფილხარ...— ამბობდა პორფირე და გულმოდგინებით აკვირდებოდა მაქსიმეს, რომელიც ამ ჟამად სხვა მონადირე-ბიჭებისაკენ იხედებოდა.

მაქსიმემ მოკლული ნადირი ეკალზედ გადაჰკიდა. შემდეგ ყველანი შინისკენ გაემართნენ.

საღამო ჟამი იყო. ტეხურში სარკესავით მოსჩანდა ტყიანი მიდამო... მტირალი მზის სხივები უკანასკნელად ეთხოვებოდნენ მთის მწვერვალს... შეშინებული შაშვები კვნესა-ჭახჭახით გარბოდნენ ხიდგან ხეებზედ... ცაზედ დაქანცულ წეროთ მწყობრი წრე მოსჩანდა. არაფერი მიჰქონდა სახლში პორფირეს, მაგრამ მაინც მომხიარულებული იყო...

V.

სახლში მისულს პორფირეს სალომე დაუხვდა.

— დღეს ბევრი ვიარე, ჩემო ქალ-ბატონო, მთელი ჭალა სიგრძე-სიგანით...— მიემხიარულა პორფირე აივანზედ გადმომდგარს სალომეს და საჩქაროდ ზევით ავიდა.

— არაფერი მოგიტანიათ?..— შეეკითხა ქალბატონი პორფირეს და ბიჭებს გარდაჰხედა.

— არაფერი გინახამთ?.. შეეკითხა ხელახლავ სალომე ბიჭებს, მაგრამ ამ დროს სახლიდგან პორფირე გამოვიდა.

— მაქსიმე!—მაქსიმე გამოერკო.—აი ესეც შენთვის მიჩუქებია, მარდი ყოფილხარ და ბატონის ერთგული.—ბატონმა ერთი თათრული დამბაჩა გარდასცა მაქსიმეს.—ეს მე ერთ აფხაზს გამოვართვი, შესანიშნავია... სახსოვრად იქონიე,—გაანაგრძო პორფირემ. მაქსიმემ მოწიწებით გამოართო ბატონს საჩუქარი, ხელზედ აკოცა და საჩქაროთ ამხანაგ ბიჭებისაკენ გამობრუნდა; უკანასკნელნი შურით ულიმოდნენ მაქსიმეს...

აი, ამ დროდგან იყო, რომ მაქსიმე დაუახლოვდა თავად პორფირეს და მისს ოჯახში, მოსამსახურეებში, პირველი ადგილი დაიჭირა... ქალბატონიც არა ნაკლებ მომადლიერებული ჰყავდა მაქსიმეს; იგი ჰპირდებოდა უკანასკნელს სხვადასხვა საჩუქრებს და სხვათა შორის იმასაც, რომ საუკეთესო ქალს შეგრთამო...

დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ, რომ პორფირეს ერთმა აფხაზეთის თავადმა საახალწლო საჩუქრად რამდენიმე გოგოებიც გამოუგზავნა... მათში ერია ისიც, რომელმაც სულ რამდენიმე დღეში მოასწრო მის შემხედავ მაქსიმეს მოხიბლვა.. მაქსიმემ ისე მოაწყო საქმე, რომ ეს ძვირფასი არსება თავისთვის დაისაკუთრა...

თვით მაქსიმე პორფირეს მამის ნამსახურის შვილი იყო... მამა მისი ადრე გარდაიცვალა... დედაც, სულ შვიდის წლისა იყო მაქსიმე, რომ მოსცილდა წუთისოფელს... სხვა არც და, არც ძმა არ გააჩნდა მაქსიმეს. მისი გაზრდა იკისრა მოხუცებულმა ბებიამ, რომელიც სწორედ მაშინ გარდაიცვალა, როცა მაქსიმე 18 წლისა შესრულდა...

ჯერ კიდევ პატარა იყო მაქსიმე, როცა იგი ბატონის სახლში წაიყვანეს... ბებიას სიკვდილის შემდეგ კი იმან სულ მიატოვა სახლკარი და ბატონის შინა-ყმებში გაერია... დაკეტილ ოჯახს მხოლოდ მაშინ დაუბრუნდა მაქსიმე, როცა ფიდანი დაისაკუთრა... ფიდანი და მაქსიმე ბედნიერად, უშფოთველად სცხოვრობდნენ მამა-პაპეულ სახლში და გულის

ტოკვით ელოდნენ თავიანთ ერთად-ერთის შვილის ჯარუს მოსწრებას... ჯარუ ბატონის უფროსის ვაჟიშვილის ზოსიმეს მონათლული იყო და ამიტომ, როგორც მაქსიმეს უწინ, ჯარუსაც სხვაზედ არა-ნაკლებ განსაკუთრებული ადგილი ეჭირა შინა-ყმებში. . თვით მაქსიმე არა-ნაკლებ გულსმოდგინედ ემსახურებოდა ბატონს... უმეტესად იგი ბატონის სახლში იყო, მხოლოდ ხანდისხან ჩამოივლიდა ხოლმე თავის სახლში სოფელში... ფიდანიც ხშირად იარებოდა ბატონისას და გამდელის თანამდებობას ასრულებდა... თუმცა სხვა გამდელებიც ჰყავდათ ბატონებს, მაგრამ ერთხელ შერჩეული სახელი ფიდანს ვერ მოაცილეს, პირიქით მას ნამდვილის სახელით არავინ იცნობდა... სულ თორმეტის წლის შეუღლებულნი იყვნენ მაქსიმე და ფიდანი, როცა ქალბატონი სალომე გარდაიცვალა... პორფირეც მოხუცებული იყო... სალომეს სიკვდილმა დიდი გავლენა იქონია მაზედ... იგი დაავადმყოფდა და დღედაღამ ელოდა სიკვდილს... სამარის კარზედ მიმდგარი პორფირე იმითღა იმედოვნებდა, რომ თავის სიკვდილის შემდეგ ორი ვაჟი რჩებოდა: ზოსიმე და სილო, პირველი 29 წლისა, ხოლო მეორე ოცისა...

VI.

გაბრწყინვებული, წაბლის ფერი თმა, გაშლილი, ცოტა-ნაოჭებიანი შუბლი, მის ქვეშ ცოტათი მსხვილი და მასთან ბოლო-მოწეული ცხვირი, ირგვლივ შავ-შავი თვალები, მოკლე შავი წვერ-ულვაში,—ძალზედ უხდებოდნენ თავად ზოსიმე პორფირეს ძეს... მეგრულ ჩოხა-ახალუხში და საცვეთებში, როცა პატრონი კარგ ცხენზედ შეჯდებოდა, ერთი ათად მოსჩანდა ზოსიმეს სილამაზე...

მეორე ძმა ზოსიმესი, სილო, ძლიერ წაგავდა უფროსს იმ განსხვავებით, რომ მას ყველაფერში ჯერ უფრო ახალგაზდობის ბეჭედი ეტყობოდა...

თავის სახლში მოხუცებულ მამის შემდეგ ზოსიმეს ყველას თავის გამდელი ფიდანი ერჩია... თუმცა, როცა ფიდანი შეუღლდა მაქსიმესთან და ამნაირად გამდელად გახდა, კარგად ახსოვს ზოსიმეს, რადგან იგი მაშინ უკვე თორმეტის წლისა იყო, მაგრამ ამ დროდგან დაწყებული მაინც მოასწრო გამდელმა მისი და მაშინ სამის წლის სილოს გულის მოგება... ბოვშვები-ბატონები უგამდლოდ ერთ წუთსაც ვერ მოითმენდნენ, არც სჭამდნენ და არც სვამდნენ უმისოდ... საკუთარს დედას ბავშვების აღზრდაში არაფერი ნაწილი ედო, გარდა უბრალო ბრძანებით თვალ-ყურის გდებისა. მისდა მიუხედავად ბავშვები პატარაობიდგანვე კარგად იცნობდნენ თავიანთ დედას და სიყვარულის ნიშნად ხშირად მიეარდებოდნენ და ჰკოცნიდნენ...

ფიდანის მოვალეობასთან არც მაქსიმე იყო უსაქმოდ ბატონის სასახლეში, შინაურ ცხოვრების მომართვაში მას პირველობა ჰქონდა მინიჭებული; შინაურ ფრინველ-ცხოველების, შემოსავალ-გასავლის ანგარიშის და მოსამსახურე გოგო-ბიჭების თვალ-ყურის გდება—ყველაფერი ეს პორფირესგან მინდობილი ჰქონდა მაქსიმესათვის... უკანასკნელიც კარგად ასრულებდა მონდობილ საქმეს და ეს იყო მიზეზი, რომ ბატონის ყურადღება დაიმსახურა და მისგან სხვა საჩუქრებს გარდა მიიღო ისიც, რაც მაქსიმეს შემდეგის ცხოვრებისათვის ერთად-ერთი უტყუარი სახსარი შეიქმნა—ეს იყო რამდენიმე ქცევა ნაყოფიერი ჭალა და სამი თვალი მდინარიდგან გადაყვანილ შტოზედ გაშენებული წისქვილი საკუთრად, მათის შემოსავალ-გასავლით...

ამასობაში ბატონიშვილებიც წამოიზარდნენ; ერთი მათგანი უკვე დავაჟკაცდა, მეორეც კარგა მომწიფდა... გამდელი ამის შემდეგ დიდი საჭირო აღარ იყო პორფირეს ოჯახში და ამიტომ თავისს სახლში გადავიდა საცხოვრებლად. მას თან მიჰყვა მაქსიმეც. მისი ადგილი დაიჭირა ჯანით სავსე ახალგაზდა ჯარუმ. იგი ერთგულათ ემსახურებოდა ბატონს, კარ-

გად ჰქონდა შესწავლილი შინაური საქმეები, ოჯახის შემოსავალ გასავალი, სხვა გოგო-ბიჭების ცხოვრებაში თვალ-ყურის გდება, სიმინდის წაღება წისქვილში... მაგრამ მოხუცებულ ბატონთან მაინც ვერ აღწევდა მიზანს... მიზეზი ერთის მხრით სხვა ბიჭები იყვნენ, რომელნიც ბატონის თვალში ჩრდილავდნენ ჯარუს და მეორეს მხრით თვით ჯარუს ახალ-გაზდობა...

— კარგი ახალგაზდაა... მოურავად გამომადგება ერთ დროს, თუ ვიცოცხლე... მაგრამ ჯერ გამოუცდელია...—ბევრჯელ უთქვამს პორფირეს ჯარუზედ.

VII.

ერთს შემოდგომის საღამოს მოხუცი პორფირე თავის საზამთრო ქურქით-წამოსხმული სასახლის აივანზედ გადმომჯდარიყო და წინ გადაშლილ ტრიალს მინდორზედ თვალებს აფოთირებდა... შემოდგომის სუსხიანი ნიავი სისინებდა და ძალზედ არხევდა მაღალს გატიტვლებულს ტირიფებს, რომლებიც მინდორს იქით მოჩანდა. ცა მოღრუბლული იყო, დედა-მიწის ზედაპირი კი სველი... ნიავის სისინი და ბეღურების ჭიკჭიკი მკაფიოდ გაისმოდა...

მოხუცი რაღაც ცუდ გუნებაზედ იყო, ხშირად ახველებდა და ხშირადვე იწმენდდა პირს სუფთა ცხვირ-სახოცით, რომელიც არხალუხის სახელოში ჰქონდა შენახული... პორფირეს გვერდზე გოგო ეჯდა... უკანასკნელს უნდოდა მოხუცის მოსამხიარულებლად რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ ბედავდა...

— ჰაა,—დაამთქნარა მოხუცმა და იქითკენ გაიხედა, სადაც ჯარუ სიმინდით დატვირთულ ურმის ახლო დაბმულ ხარებს ჩალას აძლევდა და რაღაც მზადებაში იყო...

— მოდის...—ბოლოს ჩაჰლაპარაკა პორფირეს გოგომ. პორფირემ ჯერ გოგოსაკენ მიიხედა და შემდეგ დაინახა, რომ ეზოს

ჭისკარი გაიღო და ზედ გაშლილ მინდორზედ ერთი ცხენოსანი შემოიჭრა...

— ზოსიმე ყოფილა?—დაბალის ხმით შეეკითხა ბატონი გოგოს და საჩქაროდ უბრძანა წადიო... გოგო წუთის უმალ გასრიალდა და მოსამსახურეებში გაერია...

ცხენოსანი დაუახლოვდა, საჩქაროდ ბიჭს გადასცა ცხენი და აივანზედ ავიდა.

— საშინელი ამბავი...—დაუწყო მამას ზოსიმემ,—ფოთში ახალი ფაშა ჩამოსულა ახალის ურიცხვის ჯარით. უნდათ ჩვენი დაპყრობა... სულთანი ძლიერ გაბრაზებულია თურმე, რომ აქამომდე ვერ დაიმორჩილა ჩვენი ხალხი...—აქ ზოსიმე ცოტა შეჩერდა, შეჩერებული სუნთქვა ერთბაშად ამოუშვა, ცხვირ-სახოცით ოფლი მოიწმინდა და განაგრძო... პორფირე ადგილიდგან არ დაძრულა; მას თვალები გამსხვილებოდა, წარბები გადმოეყარა, შეეჭმუხვნა და შვილს დასჩერებოდა... ყურს უგდებდა... გახსნილი არხალუხის ქვეშიდამ სუფთა პერანგი და ჭაღარა მკერდი გამოსჩანდა...

— ოტია დადიანი... ჰო, ის... ალექსანდრე მეფე უკვე ჩამოსულა და ფაშისათვის თაყვანი უცია, მისი მორჩილება განუცხადებია და ახლა შემწეობას აძლევს თურმე ფაშას... ეჭვი არ არის დაგვიპყრობენ... ჩვენი მთავარი წინააღმდეგია თურმე და უომოდ არ ნებდება არავის. იმან ურჩია ალექსანდრეს, როცა იგი ფაშასთან მიემგზავრებოდა მორჩილების გამოსაცხადებლად—ნუ წახვალო, მაგრამ მეფემ არ დაიჯერაო. აქ ზოსიმე ცოტა შეჩერდა, სარტყელი მოიხსნა, თვალები მოიფშვნიტა, ფანჯრიდგან გაიხედა და ჭისკარში დატვირთულ ურმით მიმავალს ჯარუს უზრუნველად გააყოლა თვალები...

— ოო, ეს კი ცუდი ამბავია!.. ფაშა!.. შეჩვენებული... ალექსანდრე მეფე არ დამორჩილდებოდა, მე... მე ვიცნობ მას... არ შეიძლება...—დაიწყო მოხუცმა,—ფაშას არ დამორჩილდებოდა... შეიძლება ისე აძლევს შემწეობას... მაგრამ

ეგეც ხომ უარესი... ვინ სთქვა ეს?..—შეეკითხა ბოლოს შვილს.

— როგორ თუ ვინ? მამა ნუ მომიკვდება მართალი ამბავია, შენ ნუ მომიკვდები... მე დადიანისას ვიყავი...

— მთავარი რას აპირობს?

— მთავარი დიდს მზადებაშია... ომი აუცილებლად მოხდება...

— ღმერთო!..—მოხუცმა დაბლა დაღუნა თავი და ფიქრს მიეცა...

VIII.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა სილოც, რომელიც ერთ თავის ამხანაგ თავადიშვილთან ყოფილიყო და ამანაც სულ დაწვრილებითი ამბავი მოიტანა...

მამის კითხვაზედ:—დადიანი, როგორ შეიტყე, რას აპირობსო?—სილომ განაგრძო:

— მთავარი ეხლავე მზადებაშია... მისი ძმა კაცო კვარას ციხეშია დატყვევებული... ყველგან თავად-აზნაურობასთან დაგზავნილია კაცები: მთავარი შემწეობას სთხოვს ყველას... ალექსანდრე მეფე და ფაშა ურიცხვი ჯარით რიონის ნაპირას არიან დაბანაკებულნი ფოთის მახლობლად, ფაშას ფოთის ციხე გაუმაგრებია...

ამ ამბავმა უფრო აუჩქროლა გული მოხუც თავადს... მან დიდის ხნის ფიქრის შემდეგ ერთი გმირულად ამოიკვნესა, ვითომ შესტირისო წარსულ დროებას, როცა თვითონ იგი მრავალჯერ გამოსულა ბრძოლის ველზედ და მრავალჯერვე გამარჯვებით დამტკბარა...

ბევრი ამხანაგ-გმირების სახელი ახსოვს დღემდე პორფირეს, მაგრამ ყველაზედ მეტად საყვარელი სახელი მარტო ერთია... ბეჟან დადიანი... აი სახელი, რომელსაც კარგად იცნობს თავადი პორფირე და რომელიც კაეშნიანად ჩასწივის

მუდამ მოხუცს ყურში... ბეჟანი იყო ახლანდელის მთავრის ოტიას მამა... ახსოვს პორფირეს, თუ როგორ მოჰკლა იგი ღალატით იმერეთის მეფე გიორგიმ, სვიმონ აბაშიძემ (1720 წ.)... მისი შვილი ალექსანდრე ქართლს გაიქცა მეფე ვახტანგთან... ახალციხის ფაშამ, ისაყმა, შავშეთის ბეგს უბრძანა ალექსანდრე გაამეფე იმერეთშიო.

იმერეთში მაშინ, მოკლულ მეფის გიორგის შემდეგ, სამი მთავარი დათარეშობდა: სვიმონ და გიორგი აბაშიძენი და ბეჟან დადიანი... ალექსანდრე გადმოიყვანეს იმერეთში... ამ სამს მთავარში მხოლოდ სვიმონ აბაშიძემ განაცხადა მეფის მორჩილება, სხვებმა კი უარი უთხრეს... ყველაფერი ეს კარგად ახსოვს პორფირეს... ისიც ახსოვს, თუ როგორ მოადგნენ ცუცხვათის ციხეს ოსმალნი ალექსანდრე მეფესთან ერთად... ერთი თვე იბრძოლეს... ჰო, მაშინ ხომ პორფირე შიგნით ციხეში იყო... სხვებთან ერთად მტრობის ცეცხლს ჰყრიდა თვალებიდგან... მაგრამ საუბედუროდ ვერას გახდა. მთავარი ბეჟან და სხვებთან ერთად გაქცევა მოუხდა... ცუცხვათის ციხე დასტოვეს და მას ალექსანდრე მეფე დაეპატრონა... შემდეგში ერისთავი გიორგი აბაშიძეც დამორჩილდა მეფე ალექსანდრეს და ფაშას... მან გააგზავნა ფაშასთან მძევალი—თავმდები ოტია ჩხეიძე... ოო, ამ სახელს კი ნულარ გააგონებთ პორფირეს. მის გაგონებაზედ მას ტვინი ერყევა, მოხუცებულობის სისხლი ეწამლება... ოტია ჩხეიძე... იგი შესანიშნავი მეგობარი იყო პორფირესი, მაგრამ მასთან დაუძინებელი მტერი თვით მთავრის ბეჟან დადიანისა... ამისათვის, როცა ბეჟანი დაჰმორჩილდა ალექსანდრეს და მორჩილების ნიშნად ძღვენი მოართვა, ისაყ-ფაშას სთხოვა ოტიას სიკვდილით დასჯა... ოტია!.. მისი თავი როგორ გატრიალდა ცულის უბრალოდ მოქნევაზედ... კიდევ ბევრი რამ ახსოვს წარსულიდგან პორფირეს... თვით სიკვდილი ბეჟანისა ხომ ულმერთო იყო... ზურაბ აბაშიძის დასმენით უსუფ-ფაშამ ბეჟანი ქუთაისს მოიწვია... ფაშამ წინდაწინ აღუთქვა ბეჟანს უვნებ-

ლობა და ამიტომ უკანასკნელს არაფრის არ შეჰშინებია, გამოეცხადა ფაშას და თან ოავის ძეც წამოიყვანა... ფაშის მესაჰურჭლემ კი თავი გააგდებინა (1728 წ)... და ამ ბეჟანის შვილია ახლანდელი მთავარი ოტია... ის ოტია, რომელსაც ისევ ოსმალოებთან უხდება ბრძოლა... ისევ ფაშები და ისევ ოსმალები... ან ალექსანდრე ვის მიეკედლა!?. როგორ იკადრა...

მოხუცი ღონე-მიხდილი შევიდა ოთახში და სანთლის სინათლეზედ რაღაც ძველის წერილის კითხვა დაიწყო.

მეორე დღეს დილა-ადრიანად პორფირეს ოჯახს რამდენიმე ცხენოსანი თავად-აზნაური მოადგა. მათში სხვათა შორის ერივნენ პორფირესთან მთავრისგან გამოგზავნილნიც; მათ დავალებული ჰქონდათ დადიანის ყველა ხელ-ქვეითისთვის შეეტყობინებინათ,—მზად ყოფილიყვნენ, რადგან ოსმალებისგან ყოველს წუთში და წამში მოსალოდნელი იყო თავდასხმა... მოხუცი პორფირე ჯერ კიდევ არ იყო საწოლიდგან წამომდგარი... მაგრამ სხვების თქმით ერთმა მოსამსახურე გოგომ გაბედა თავადთან შესვლა და წერილის მირთმევა. წერილის მიმტანისათვის არ უკითხია მოხუცს—თუ საიდგან იყო გამოგზავნილი, საჩქაროდ გახსნა და შემდეგი წაიკითხა:

„სამეგრელოს მთავარი მისს ბრწყინვალებას პორფირე... ეს უსჯულო ოსმალონი კვლავ გვარბევენ, სურთ ჩვენი სრულიად დაპყრობა... ფოთში ახალი ფაშა ჩამოვიდა... იმერეთის მეფე ალექსანდრე დამორჩილდა და განძრახულ საქმეში ჰშველის ფაშას... ჩვენი ვალია სამშობლოს მტერი განვსდევნოთ... ამისათვის გთხოვთ თქვენი შვილები აახლოთ შეკრებილ ჯარს: მე მათ ჯარში უფროსობას მივსცემ... თქვენთვის საშიშო არაფერია... მეფე და ფაშა ამ ჟამად აფხაზეთისკენ გაემართნენ“...

მოხუცს გული ჩაუვარდა, შესაბრალისად თვალის წამწამები შეანძრია, ნაძალადევად დაახველა, ბოლოს გარდასწია

ფანჯრის ტილოს და ეზოს ჭისკარში რამდენიმე ცხენოსანი შენიშნა...

IX.

არ გაუვლია ბევრ ხანს, პორფირე ზეზე წამოდგა, წამოისხა უბრალო ჩოხა, ხელი მოჰკიდა ჯოხს და ჩვეულებრივ საჩქაროდ ეზოს გვერდით ბალისაკენ გაიარა... მოხუცი ულონოდ მისდგამდა ფეხებს; მას თავში სხვადასხვა ფიქრები ერეოდნენ.

— „ორი შვილი... ორივე შვილი... იქნებ უდროოდ ჩამიწყონ სამარეში... ან იქნებ“...—ჰფიქრობდა პორფირე და თანდანავ შესამჩნევი ცრემლები ურბენდა თვალების კაკლებზედ... პორფირემ გაიარა ბალი, მეორე ბოლო მდისინაც მივიდა... იგი მოუთმენლობით აფოთირებდა აქეთ-იქით თვალებს, უნდოდა რომელიმე წერტილზედ თავისი მხედველობა შეეჩერებინა, მაგრამ გატიტვლებული მცენარეულობა გარშემო სრულიად არ აინტერესებდა პორფირეს... მას უნდოდა საჩქაროდ მოსცილებოდა იქაურობას... ამ დროს უცბად ეზოს ჭისკარში ვილაც ბიჭი შემოიჭრა. ის ჩქარად მოსდგამდა ფეხებს, ხელებს აფოთირებდა აქეთ-იქით და რაღაცაზედ მწარედ მოსთქვამდა... ბიჭი საჩქაროდ დაუახლოვდა პორფირეს... ტირილი-მოთქმა შესწყვიტა ბატონის შეხედვაზედ და ცრემლიანი თვალები სახელოების ბოლოთი მოიწმინდა...

„რა იყოვო“,—უნდოდა ეკითხა პორფირეს, მაგრამ უცბად ნერწყვი გადაუვარდა სასულეში და ხველა აუტყდა... მისდა მიუხედავად ბიჭი ლაპარაკობდა... პორფირე, თუმცა დრო-გამოშვებით ახველებდა, მაინც გულმოდგინედ უგდებდა ყურს ბიჭს...

— ბატონო, წუხელ, ჯარუ მოუკლავთ, მეწესქვილეც... მკვდარია... მისი ცოლი გაუუპატიურებიათ... რამდენიმე კა-

ცი ტყვედ წაუყვანიათ ოსმალებს...—ბიჭს თვალები ცრემლებით აევსო, მეტის თქმა ვერ მოახერხა.

— შენც მიჰყვებოდი ჯარუს?

— მეც ვიყავი ბატონო, წუხელ... რამდენიმე კაცი იყო ოსმალები, ჯარუ დაჭრილია, ფოთში წაიყვანეს ოსმალებმა ცოცხალ-მკვდარი...

მოხუცს ელდა ეცა. სისხლი პირის კანს გაეცალა, სული მიენაბა... სდუმდა მოხუცი...

— ჯარუ წაიყვანეს? სად?..—განაგრძო არევით მოხუცმა.

— წაიყვანეს, დაჭრილია,—დაუმატა ბიჭმა სლოკინით...

— კარგი, წადი...—ბიჭი საჩქაროდ გატრიალდა...

პორფირემ ერთიც ხმელად დაახველა და საჩქაროდ გაჰყვა ბიჭს...

ამის შემდეგ პორფირეს არად ენაღვლებოდა თავისი შვილები... მას სწყუროდა ოსმალების სისხლი, სურდა, სულით და გულით სურდა შურის-ძიება... გულის ტოკვით ელოდა პორფირე იმ დროს, როცა ზოსიმე და სილო სახლს მოსცილდებოდნენ და დადიანის ჯარში ჩადგებოდნენ...

X.

სოფელ ...ს ერთის მხრით გრძელი და ხშირ-ხეებიანი მტევრი ახლავდა... მტევრს იქით ერთი ძველი სახურავ-ჩამოფხრეწილი მარანი იდგა, რომელსაც გვერდით ჩქრიალით პატარა მფინარე უვლიდა და ქვევით რამდენიმე ვერსის მანძილზედ სწორედ იმ წისქვილს აბრუნებდა, სადაც ოსმალებმა ამ რამდენიმე თვის წინეთ მეწისქვილე მოჰკლეს და საიდანაც თვით ჯარუ, სასიკვდილოდ დაჭრილი, ფოთში წაიყვანეს. ამ წისქვილიდგან ზევით სოფლისკენ ფართო სასოფლო გზა-ტკეცილი მიემართებოდა... იგი ძველს მარანს გვერდს უვლიდა

და სწორედ იქ უხვევდა აღმოსავლეთით, სადაც თავად პორ-ფირეს სასახლე ამაყად გადასცქეროდა მიდამოს...

მზე უკვე ამოსული იყო და ჰორიზონტზედ ძალზედ მაღლა შეჩერებული, როდესაც ძმები ზოსიმე და სილო სახლიდგან გამოვიდნენ და სხვა პატივსადებ სტუმრებთან ერთად ეზო გაიარეს... ისინი ცდილობდნენ უკანასკნელად გამოსთხოვებოდნენ მიდამოს და ამიტომ ფაციცათ აკვირდებოდნენ ყველაფერს... ზოსიმე ყველაზედ უფრო ყოჩაღათ იყო და თამამად მიათამაშებდა თავის მერანს... ნაკლებ თამამობდა და გულიგონებაც ათასნაირ მწარე ფიქრებით ჰქონდა შეპყრობილი სილოს... იგი ჩამორჩენილიყო სხვებს და ჭისკართან თითქმის შეჩერებულ თავის ცხენის გარეკვას ველარც კი მიმხვდარიყო, ისე შეეპყრო გამოურკვეველ ფიქრებს...

— წადი, შვილო!..—მოესმა სილოს მამის ავადმყოფი ხმა... სილო გამოერკო, ერთიც უკანასკნელ გაიხედა მშობლისაკენ და საჩქაროდ ცხენით იქითკენ გაეჩქარა, საითაც ამ რამდენიმე წუთის წინედ ამხანაგები მიიმალნენ... ათიოდე წუთის ჭენების შემდეგ სილომ თვალი მოჰკრა შორით მიმავალ მგზავრებს... კიდევ რამდენიმე წუთი—და სილო მათში გაერია...

მგზავრები ნელა მიდიოდნენ, უნდოდათ რამენაირად მომხიარულებულიყვნენ, მაგრამ ვერც სიმღერას ახერხებდნენ და ვერც სხვა რამეს... ყველას პირისახეზედ რაღაც მოწყენილობის ბეჭედი ეტყო... მოწყენილ ამხანაგებს თავისი მოსწრებულ სიტყვა-ზღაპრებით მარტო ერთი მგზავრთაგანი, ცოტა არ იყოს უკვე ხშირ ჭაღარა გარეული, წვერ-ულვაშიანი ნიკოლა ამხიარულებდა... ხანგრძლივის სიარულის შემდეგ ყველა მომხიარულდა... გამოურკვეველი მჭმუნვარება ყველას ცხად სიმხიარულედ შეეცვალა, ყველას დაავიწყდა მომავალი, ოსმალოებთან ბრძოლა, გამარჯვება თუ დამარცხება... ცოტა ხნის შემდეგ სიმღერაც შემოსძახეს.

მგზავრები ჩვენს ნაცნობს მარანსაც დაუახლოვდნენ. მა-

თი მწყობრი სიმღერა სმენად იწვევდა ყველას და საგულისხმოდ ებეჭდებოდა გულში... ამხანაგების სიმღერაში სილოცღებულობდა მონაწილეობას... უცბად მგზავრების წინ გადაიშალა თვალ-გადუწვდენელი მინდორი, რომლის ერთ კუნჭულზედ შარა-გზის გასწვრივ ერთი თმა-გაშლილი, მხარზედ მანდილ-გადაგდებული დედა-კაცი მოსჩანდა... იგი ჯერ კიდევ თუმცა შორს იყო, მაგრამ მისი სიმშვენიერებით შორიდამაც კარგად დასტკბებოდა ადამიანი... დედა-კაცი ხან დაინძრეოდა, ხან მინდორს გადახედავდა და რაღაც მწუხარების ღიმი გადურბენდა სიცოცხლით სავსე სპეტაკ პირისახეზედ...

მგზავრებს იგი შორიდამ ვერ უცვნიათ... ამიტომ მისის ვინაობით დაინტერესებულებმა ნამდვილს გზას გადაუხვიეს, რომ დედაკაცის ახლო გაევლოთ და მერე ისევ თავიანთ გზას დასდგომოდნენ.

— ვიღაც ისე ლამაზად მოსჩანს, რომ... ღმერთო, შემინდევ... ახალგაზრდობა გამახსენა,—იხუმრა ნიკოლამ და მაგრად შემოჰკრა მათრახი ცხენს.

— სუუ, ნიკოლა!..

—სსსუუუ...—დააყარეს ნიკოლას ხუმრობით მგზავრმა ამხანაგებმა და გაიცინეს.

— რას მომცემთ ცხენიდგან ჩამოვიდე და ნაცნობივით ხელი ჩამოვართვა,—დაელაპარაკა ამხანაგებს ერთი...

— შენ არ ვიცი და მგონი ზოსიმე უფრო ივარგებს მაგისთანა საქმეებში... ჩემს ცხენს გაჩუქებ, დედაჩემს ვფიცავ, ზოსიმე, თუ ჩამოხტები ცხენიდგან, ხელს ჩამოართმევ, აკოცებ და უკან გამობრუნდები... ღმერთო, რა ლამაზია... შეხედეთ,—დაათავა ხუმრობა ნიკოლამ და ამხანაგების ყურადღება მომავალ დედა-კაცს მიაპყრო...

— ღმერთო! გამდელი!—ამხანაგების გასაგონად ჩაილაპარაკა ზოსიმემ და საჩქაროდ ცხენიდგან ჩამომხტარმა ბავშვურის სიყვარულით გადაჰკოცნა ფიდანი... ზოსიმეს სილოცდაედევნა...

— დედა! მამაჩემს ვფიცავ, ტყუილს არ გეუბნები... ჯარუ ცოცხალია... იგი დიდაცურად სცხოვრობს თურმე ფოთში, ფაშის სასახლეში... შენ ნურაფრის გეშინიან...—ანუგეშებდა ზოსიმე გამდელს, რომელსაც მის სიტყვებზედ ცხარე ცრემლები ულოკავდნენ ლოყებს...

— მართალია, დედი... გამდელი ნუ მომიკვდება... ჩვენ... აი ამხანაგები აგერ მთავრის სასახლეში მივდივართ ახლა... ეჭვი არ არის დღეს, რა დროსაც იქნება მივალთ... თუ ახლა არ მოისურვა მთავარმა ფოთში ფაშის სასახლეზე დაცემა და მაგიერის გადახდა, ჩვენ ორი, სხვა ამხანაგებთან ერთად, ან ხვეწნით გამოვიხსნით ჯარუს და ანუ ძალით...—ანუგეშებდა გამდელს სილო.

— ალექსანდრე მეფე და ფაშა ახლა აფხაზეთში არიან... ეჭვი არ არის, მალე დაბრუნდებიან... ან ჯარუს რა უჭირს... მთავარი აგერ არ არის? ჩვენც აგერ არ ვართ?..— დაათავა ლაპარაკი ზოსიმემ და იკითხა:

— აქით სად იყავი?.. მაქსიმე სად არის?..

— მაქსიმე სახლშია, მაგრამ ზოსიმე ნუ მომიკვდება ისე დაჯავრიანებულია, მეტი არ იქმნება... ბატონთან მისვლასაც ვერ ახერხებს...

— მივიდეს მამაჩემთან... სიმართლეს ეტყვის... დაამშვიდებს ..

— ვერ ახერხებს ხოლმე, სულ მე მიბრაზდება... თუ ჯარუ დამეკარგა, შენ მოგკლავო... ღმერთო! ჯარუ... ჩემი ჯარუ!.. ვინ იცის, რა უყვეს უსჯულოებმა...—და ფიდანს ისევ ცრემლებით აევსო თვალები...

— ჩვენ ხვალვე შევიტყობთ... შენც შეგატყობინებთ... მანამდინ დამშვიდებულად იყავით... უთხარი მაქსიმეს—ნუ შეეშინდება... მამაჩემთან გაუშვი... ის დაამშვიდებს... შენ მარტო ხარ?—დაათავა ზოსიმემ.

— არა... მე აქ ნათესავ ქალთან ვიყავი... ბიჭი მომყვება...

— მაშ ასე... ხვალ ყველაფერს შეგატყობინებთ... მშვიდობით...—გადაჰკოცნა ზოსიმემ გამდელი.

— ხვალ, ან ზეგ... ნუ შეგეშინდებათ... მშვიდობით... —სილოს გული აუჩქროლდა...

ძმები მოახტნენ ცხენებს, შემოჰკრეს მათრახები და საჩ-

ქაროდ მინდვრის მეორე მხარეს შავ წერტილებად მომჩინარე ამხანაგებში გაერევნენ... გამდელმა ტირილით თვალი გააყოლა ორივეს. რამდენიმე წუთის შემდეგ, ყველა თვალს მიეფარა, ტყიდგან მხოლოდ გამდელის ბიჭმა, რაღაც შეხვეულით ხელში, გამოაბიჯა და მინდორს დააადგა... შორით მწყობრი სიმღერა მოისმოდა... დღის მნათობი უფრო ზევით და ზევით იწევდა...

ია ლ ო ნ ი.

(დასასრული იქნება).

ᲑᲐᲑᲣᲐ.

ბაბუა, შენი ჭირიმე,
ომში მიდიხარ ხვალაო,
მოხვალ და სახლში დაგხვდება
სატოლე შავი თვალაო.
ბედნიერი ხარ, ბაბუა,—
შენია მომავალიო,
გამაგრდი, როგორც სალი კლდე,
მტერს არ არიდო თვალიო.
წარსულთა დროთა ცხოვრება
ნიმუშად გაიხადეო,
მოკლე ჩაქური ჩაიცვი,
მაზარა გაიხადეო.
ილოცე, ღმერთი ადიდე,
გამხნევდი, გაიხარეო,
ან მტლად დაედე სამშობლოს,
ან მიწა გაითხარეო.
რისი უფროსი, უმცროსი,
რისი პატარა, დიდიო,
გულში ჩაარჭე ხანჯალი,
მოსპე ოხერი, ფლიდიო.
წადი, ბაბუას ჭირიმე,
გწყალობდეს ანგელოზიო,
შენთვის ყვავანი ვილოცავთ,
ბერი და დეკანოზიო.

ივ. ბეგია.

პროვიზორს ი. ალხაზიშვილს.

„კუმ ფესი გამოჭეო, მეტ ნახირ-ნახირაო“.

(ხალხური).

პროვიზორმა ი. ალხაზიშვილმა გაარჩია ჩვენ-მიერ თარგმნილი „საუნჯე ავათმყოფისა“ და ქართული ენა დაგვიწუნა, წიგნის კორეკტურული შეცდომებიც კი ენის უცოდინარობაში ჩამოგვართვა. კეთილი და პატიოსანი. მაგრამ ქართულად ნათქვამია: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომ ჩემზედ მეტს იწველიდესო“. ახლა თქვენს ენასაც დაჰხედეთ, ბ-ნო ალხაზიშვილო, და ისე დაგვიწუნეთ თარგმანი! ამოვწეროთ რამდენიმე მარგალიტი თქვენის ვითომცდა ქებულის ქართულისა:

1) „ეს სიფრთხილე, მეტადრე საექიმო წიგნში, საჭიროა იმიტომა, რომ მდაბიო მწიგნობარი არავითარ ნიშნებს მართალ წერისას არ დაგიდევსთ“.—უნდა იყოს: „ეს სიფრთხილე, მეტადრე საექიმო წიგნში, საჭიროა იმიტომ, რომ მდაბიო მკითხველი არავითარ ნიშნებს მართლ-წერისას არ დაგიდევს“. 2) „ოტკას ჩვენში იმდენათ ვინა სვამს ხალხს უძაგოთ და კვასი ურჩიოთ“,—უნდა იყოს: „არაყს ჩვენში იმდენათ ვინა სვამს, რომ ხალხს ვუძაგოთ და კვასი ვურჩიოთ“. 3) თუმცა ჩვენს თარგმანში, სადაც კი ნათარგმნი გვაქვს სიტყვა „ძონძი“, თან ზედ-შესრული სახელიც „სუფთა“ ახლავს ყველგან, თქვენ მაინც მთელს იერემიადას სწერთ ამ სიტყვის წინააღმდეგ და ბოლოს ამბობთ: „ყველაზედ უკეთესია აფ-

თიაქში იყიდოთ (რატომ არ დაუმატეთ: ჩვენს სააფთიაქო საქონლის მაღაზიაში!) ჭიგროსკოპიული ბომბა და მარდა სტერილიზაცია ნაქმნარი". ღმერთი იწამეთ, ალხაზიშვილო! სადაური ქართულია ეს? რა უყავით თქვენ-მიერ დიდად ქებული ძველი ქართული სამკურნალო ტერმინოლოგია?!... ჩვენც მთელი წიგნი შეგვეძლო აგვენუსხა თქვენის ყოყოჩურის ქართულის ასეთის მარგალიტებით, მაგრამ ჩვენ ეს დროს უბრალოდ დაკარგვად მიგვაჩნია და ამიტომ მარტო ამას მოგახსენებთ:

თქვენ არ სჯერდებით თარგმანის მარტოოდენ ნაკლთა განხილვას და თან ჩემს მრავალ-ფეროვან შრომას, ენციკლოპედისტობას, მიკიჟინებთ. არ მეგონა, რომ ასეთი მოკლე და ვიწრო შეხედულობის პატრონი ბრძანებულხართ, არ მეგონა, რომ სააფთიაქო სპეციალობას თქვენთვის ასეთი ვიწრო ხარაზული დაღი დაუსვამს!.. ახლა კი მესმის, რატომ ასე დაჟინებით თხოულობს პედაგოგია, რომ სწავლა-აღზრდის უპირველესი ვალი იმაშია, რომ მან თანაბრათ გახსნას ადამიანში ყოველი მისი ნიჭი, რათა მით ააცდინოს მას ვიწრო ხარაზული მომაკვდავი შეხედულობა და მიმართულება!..

ერთი ესეც გვიბრძანეთ, სპეციალისტო ალხაზიშვილო: თქვენ ხომ პროვიზორობაში დაბერდით, სააფთიაქო საქმეში და სააფთიაქო საქონლით ვაჭრობაში დამცხოვანდით... როგორ მოხდა, რომ ამდენს ხანს ვაჭრობა ვერ ისწავლეთ და იმდენი უნარიც ვერ გამოიჩინეთ, რომ ათას მანეთობით სულ უმნიშვნელო და უვარგისი საქონლით არ აგევსოთ თქვენ-მიერ დაარსებული, ვითომდა ქართველთა ფარმაცევტთა საამხანაგო, სააფთიაქო მაღაზია? დიახ, იმას მოგახსენებთ, როგორ მოხდა, რომ თქვენს სპეციალს, და მასთან საზოგადო საქმეს, ასე უდროოდ ყელი გამოსჭერით, რისგამოც ახლო აღარავინ გეკარებათ?!. გამოდის, რომ სპეციალობა აქ არაფერს შუაშია და მე თავის დღეში არც გიკიჟინებდით თქვენს ასეთს დამარცხებას, რომ თქვენს უსამართლო გამოლაშქრებას არ გამოვეწვიე; არ გიკიჟინებდით იმიტომ, რომ ყოველი მაგგვა-

რი მარცხი ხშირათ სულ უბრალო და უწყალო გარემოების ბრალია და სხვა არაფერი!.. განა, სიმართლე რომ იყოს სადმე, ასეთს უწყალო გარემოებაში, როგორშიაც იმყოფება დღეს ჩვენი ბეჩავი ხალხური მწიგნობრობა, როდესაც ჩვენში უკვე ასობით და ათასობით მოიპოვება ქართველი აქიმები და ხრეგიზორები (!), მაგრამ არც ერთი მათგანი კი არა თუ მთელს რომელიმე სამკურნალო თუ საჰიგიენო შრომას არ თხუზავს ანუ არ სთარგმნის, არამედ სულ უბრალო, ათ და ოც სტრიქონიან, სამკურნალო და საჰიგიენო წერილსაც არ გვაწვდიან თავიანთ ცოდნა-გამოცდილებიდამ ჩვენ უბრალო მომაკვდავთა რამოდენათმე მაინც შესამცნებელად ამ დიდათ საჭირო მეცნიერებათა... დიახ, იმას მოგახსენებდით, ასეთს უწყალო გარემოებაში, რატომ თაყვანს კი არ უნდა გვცემდეთ, რომ ჩვენ, მიუხედავათ ათას-გვარ დაბრკოლებათა, კიდევ იმდენს ვახერხებთ, რომ ავათ თუ კარგათ, მაგრამ მაინც ვწერთ, ვთარგმნით და ვბეჭდავთ კიდეც სახალხო წიგნებსა... აიხსნება ასეთი უმადურობა თქვენის ველურობით, გაუნათლებლობით, სპეციალისტის გაყინულის გულით...

ჩვენ მაინც კვლავაც არ მოვიშლით ჩვენს შრომას, თუნდაც რომ ათასი სხვა შეცდომაც ჰქონდეს მას, რადგანაც მხოლოდ ასეთის შთომით და შეცდომებით იბადება სისრულე, ხოლო თქვენ?—ბძანდებოდეთ მძიმედ სპეციალ საგნის უნაყოფოდ შემყურე!.. ბძანდებოდეთ ხელ-გაუნძრევლად დედა-ზარდლის ბუდის სიღრმეში მიმალული ახალი მსხვერპლის უკბილო ლაშებში ჩაგდებამდის...

ივანე ბოსტომაშვილი.

კიდევ ბ-ნ სიტყვას.

„ცნ. ფ.“-ის წრევანდელი საახალწლო წლიური პატარა ამბების ფელეტონია ბ-ნ სიტყვასი. როგორც მგელი დაერიოს ცხვრის ფარას, ისე დაჰრევია იგი ღვთის-მშობლის ხვედრის საქართველოს ქრისტეს სამწყსოს და მუსრი გაუვლია, ვისაც კი მისწდომია თვისი გესლიანის ენით. აქ უნებლიეთ გვაგონდება ღვთის-მეტყველების ერთი წვლილი: „ენა პატარა ასოა, მაგრამ რამდენ ძვირფას ნივთებსა სწომს იგი!“. სწორედ ასე არის „ცნ. ფ.“-ის საახალწლო ფელეტონში ცილის-წამებით დამწვარი ბ-ნი ივ. როსტომაშვილი, ვითომცდა 14-ს იანვარს ყოფილ სამეურნეო საზოგადოების კრებაზედ მის-მიერ სამშობლო ენის წინააღმდეგ ლაპარაკისათვის,—მაშინ როდესაც მხოლოდ ივანე როსტომაშვილის მოძღვრებაა ნამდვილი კაცობრიული და პედაგოგიური სამშობლო და უცხო ენათა სწავლების შესახებ. აბა ვის რა შეუძლიან სთქვას იმის წინააღმდეგ, რომ მთელი სწავლა-განათლება, ყოველი თვისი წვლილით, მხოლოდ და მხოლოდ სამშობლო ენაზედ უნდა სწარმოებდეს და ყოველი უცხო ენა კი მარტო სამშობლო ენაზედ შესწავლილის თვალ-საჩინო ნაწილის შეთვისებით უნდა კმაყოფილდებოდეს! რატომ არ გინდათ შეიგნოთ, რომ მხოლოდ ამ სისტემით შეიძლება ნამდვილად განათლებული ადამიანის გამოზრდა, ერისა და კაცობრიობის უმეტესი ნაწილის ნამდვილის წევრის შექმნა! რატომ არ გინდათ ირწმუნოთ, რომ როსტომაშვილის ამ სისტემით თუნდა ოთხი და ხუთი უცხო ენის წერა-კითხვისა და ლაპარაკის შესწავლა შეიძლება სულ ადვილად ყველგან და მა-

რად და მეტი არც არის საჭირო მოსწავლისათვის, რადგანაც შემდეგში იგი თვითონაც კარგად შეივსებს დანარჩენს, ცხოვრებისა და საქმის გარემოების მიხედვით. როსტომაშვილის ეს მოძღვრება, მართალია, ჯერ არსად არის სავსებით განხორციელებული, მაგრამ ბრმაც კი დაინახავს, რომ მარტო იგია კაცობრიული და პედაგოგიური. თვისი ამ მოძღვრებით როსტომაშვილმა უკვე შეურყეველი ადგილი დაიჭირა ჩვენს პედაგოგიაში და ამიტომ ვერცარაფერს დააკლებენ თუნდა ასი და ორასი სიტყვასებური ცილის-წამებანი.

ამის შემდეგ სიტყვას საპასუხოდ, ვგონებთ, ესეც უნდა კმაროდეს: „ჩვენ არ მოგვდის ჭკუაში მისი ერთისა და იმავის ათასჯერ გამეორება და ამიტომ ვერც ვუსმენთ, თუმცა კი იმავე დროს არ ვუშლით მას ტყუილების ლაპარაკს და წყვდიადით მოცულ ნეტარ სასუფეველში ყოფნას".

ვინმე.

მაისი და ივნისი, №№ V და VI, 1904 წ.

მოგზაური

1904 წელს ჟურნალი

„მოგზაური“

გამოვა იმავე პროგრამით, ე. ი. ჟურნალში დაიბეჭდება **პედაგოგიური, სამეურნეო, სამკურნალო, სამეცნიერო** და **ისტორიულ-გეოგრაფიული** წერილები. რედაქცია სთხოვს მასწავლებლებს, მეურნეებს, მკურნალებს და სამეცნიერო საგნების მიმდევართ მოაწოდონ მას ყოველგვარი წერილები მოხსენებულ საგნებიდამ. 1904 წელს ხელის-მომწერნი, ჟურნალს გარდა, მიიღებენ **ხუთს პრემიას**: 1) ნიკოლოოზ ბარათაშვილის დიდს სურათს; 2) სურათებიანს დამატებას, ე. ი. თექვსმეტ-თექვსმეტს სურათს ჟურნალის ყოველ წიგნთან; 3) ვახუშტის „სრულიად საქართველოს გეოგრაფიას“, მის საკუთარ ხელ-ნაწერიდან მ. გ. ჯანაშვილის რედაქციით დაბეჭდილს 4) სამეურნეო-საოჯახო ნარკვევს და 5) სამკურნალო-საჰიგიენო ნარკვევს.

ფასი ჟურნალისა იგივე 5 **მანეთია**, ხოლო ბარათაშვილის დიდი სურათის დაგზავნისათვის უნდა დაემატოს ერთი აბაზი. პირველი და მეორე პრემიები მარტო იმათ გაეგზავნებათ, ვინც მოხსენებულს ხუთს მანეთს და ერთს აბაზს ერთად შემოიტანს.

ადრესი ფოსტით:

Тифлисъ, Редакціи „МОГЗАУРИ“ (Межевая улица, № 72).

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

თბილისი

სტამბა ა. ქუთათელაძისა, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

1904

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Мая, 1904 года.

მშობიარეთა და ახლად-შობილ ბავშთა სამზრუნველო საზოგადოებანი.

გაგონილი გექნება მკითხველო, რომ საფრანგეთში ხალხი მეტის-მეტად მძიმედ მატულობს, თითქმის ერთ წერტილზეა იქ ხალხის რიცხვი გაჩერებული. ამ გარემოებამ დიდად დააფიქრა საფრანგეთის მამულიშვილები და მედგრადაც შეუდგნენ ხალხის გამრავლების დამაბრკოლებელ მიზეზის შესუსტებას. ბევრსა ჰგონია, რომ ასე თვალ-საჩინოდ შემცირება საფრანგეთის ხალხისა აიხსნება იმით, რომ ფრანგის ქალები ერიდებიან შვილიერებას, შვილების ყოლას, მაგრამ ნამდვილი მიზეზი კი იმაშია, რომ საფრანგეთში და სხვაგანაც მეტის-მეტათ მრავლად იხოცება წვრილ-ფეხობა და განსაკუთრებით ახლად-შობილი ბავშვები და თვით მშობიარენი.

ამის შეგნება და მრავლად დაარსება საფრანგეთში ზემოთ დასახელებულ საზოგადოებათა ერთი იყო.

პირველი ასეთი საზოგადოება საფრანგეთში დაარსდა 1894 წელს ერთს პატარა ქალაქ მოლლში. მას მალე ყურადღება მიაქცია მთელმა საფრანგეთმა და სულ მცირე ხანში დაარსდა ასეთი საზოგადოებანი მთელი ასობით. მოთავეთ იყო დოქტორი პეკერი, რომელსაც სამართლიანად ეძახიან დედების მოტიქულად. ბევრი შრომა და სიყვარული დაუდვა პეკერმა ამ საქმეს და ბოლოს აკი გაიმარჯვა კიდეც: დღეს მის-მიერ მოწესრიგებულ ამ საზოგადოებათა წყალობით საფრანგეთს ყოველწლივ რჩება ცოცხალი—ასი ათასი ბავშვი (100,000), რომელ-

თაც უსასყიდლოთ უვლიან და თვით მათ დედებსაც ყოველ-გვარ შემწეობას და დახმარებას აძლევენ წევრნი ამ საზოგადოებათა.

ადვილათ მიხვდება მკითხველი, თუ, მართლაც, რა სწორი და უებარი საშუალებისათვის მიუმართავს საფრანგეთის მამულის-შვილებს თავისი ერის დასახსნელად, რომ საუკუნოდ დედამიწის პირიდამ არ აღიგავოს იგი! წარმოიდგინეთ საწყალი ოჯახის დედა: მას არ მოეპოვება არც საშუალება და არც ცოდნა, რომ ნასწავლი ბებია მოიწვიოს; არ მოეპოვება სულ უსაჭიროესი ნივთებიც კი, რომ მცირედაც არის ადამიანურად მოშობოს შვილი; არ მოეპოვება ტანსაცმელი ახლად შობილისთვის; არ მოეპოვება ხეირიანი საზრდო და, რა საკვირველი იქნება, თუ ასეთს გარემოებაში, ორიოდე თუ ათიოდე კვირაზე, არა თუ მარტო ახლად-შობილი გამოესალმოს ნათელს ქვეყანას, არამედ თვით დედაც!

სულ სხვაა ახლა იქ, სადაც დაარსდა ასეთი საზოგადოებანი. წევრნი ამ საზოგადოებათა იწოდებიან დედების დებად. ესენი შესანიშნავის თავგამოდებით და სიყვარულით ეძებენ ყველგან თავისს ქალაქში თუ სოფელში ღარიბ დედებს, რომლებსაც სჭირია დახმარება, უმეგობრდებიან მათ და ერთის-თვის წინ, მშობიარეობამდის, ყველაფრით ჰმზითავენ მას, ე. ი. მოაქვთ მასთან მუქთად ყველაფერი, რაც კი საჭიროა წესიერად მშობიაროობისა და დედისა და ბალღის მოვლა-პატრონობისათვის, ხოლო მშობიაროობის ღღეს მოჰყავთ საზოგადოების ხარჯით ნასწავლი ბებია, აქიმი (ვინიცობისათვის) და გამოცდილი ხელ-მაღი ერთგული დედაკაცი. ეს უკანასკნელი რჩება მშობიარესთან ათ ღღემდის განუშორებლად და ნებას არ აძლევს ამაზედ ადრე ადგომისა, მაშინ როდესაც საწყალს ოჯახებში მშობიარენი იძულებულნი არიან მესამე-მეოთხე ღღეზე უკვე აღგნენ ხოლმე. „დედების დანი“ დაიარებიან ამათთან შინაურულათ, არიგებენ და ასწავლიან — როგორ უნდა მოუარონ თავიანთ თავს, ბალღს და სხვა. ძნელია თქმა, რა-

მდენი ასი ათასი და მილიონი სიცოცხლე—დედებისა და ახ-ლად-შობილთა—აჩუქეს ამ საზოგადოებებმა სამშობლოს, რომ-ლებიც უიმისოდ, დამტკიცება არ უნდა, ჩვეულებრივ უდ-როვოდ გამოესალმებოდნენ ამ ნათელს ქვეყანას!..

რადგანაც ჩვენში გაცილებით უფრო უარეს მდგომარე-ობაში იმყოფებიან მშობიარენი და ახლად-შობილნი, რომე-ლთაგან ნახევარზედ მეტი სიცოცხლის პირველსავე წელი-წადს ესალმება ამ ნათელს ქვეყანას, ამიტომ ურიგო არ იქ-ნებოდა, რომ ჩვენშიაც *დავაარსებდეთ ასეთა საზოგადოე-ბებს, ჯერჯეროობით ქალაქებსა და დიდს დაბებში მაინცა.

ივანე როსტომაშვილი.

მოსწავლეთა მოქანცვა.

ჯერ კიდევ მე-XVI საუკუნეში დიდებულმა რეფორმა-ტორმა ლიუტერმა სთქვა მწუხარებით: „ხანგრძლივ ჯდომი-საგან კლასებში ბავშვები ჩლუნგდებიანო“. შემდეგ, მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში, დაიბეჭდა დიდ-მნიშვნელოვანი წერილი მკურნალ ლორინზერისა „ჯანმრთელობის დაცვა სასწა-ვლებლებში“, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მაშინდელს საზოგადოებაზედ და ბევრი მითქმა-მოთქმა და რეფორმებიც გამოიწვია გერმანიის სწავლა-აღზრდის საქმეში. ლორინზერი ამტკიცებდა, რომ მოზარდი თაობა საშინლათ იქანცება იმ აუარებელის სწავლისაგან, რომლითაც სტვირთავენ დღეს სკო-ლები სახელმწიფოს მომავალ მოქალაქეთ და თხოულობდა რეფორმებს. მისმა წერილმა თვალ-საჩინო გავლენა იქონია რუსეთის პედაგოგიაზედაც. გამოჩნდნენ აქაც მწერლები და პროფესორები, რომლებმაც ყურადღება მიაქციეს ლორინზე-რისაგან აღძრულ კითხვებს და რამდენიმე შესანიშნავი დაკ-

ვირვება და გამოცდაც მოახდინეს. მაგ., 1879 წელს, კიევის უნივერსიტეტის პროფესორმა სიკორსკიმ მოახდინა შემდეგი გამოცდა 8—17 წლის მოსწავლეებზედ: მან დააწერინა მათ 1500 კარნახი და აღმოაჩინა, რომ იმ კარნახებში, რომლებიც ბოლო გაკვეთილებზედ უკარნახა მან მოსწავლეთ, პირველ გაკვეთილებზედ დაწერილ კარნახებთან შედარებით იმავე მოსწავლეებს 33% მეტი შეცდომა გაეკეთებინათ. ასეთივე გამოცდა მოახდინა ნემეცთა მეცნიერმა ფრიდრიხმა და აღმოაჩინა, რომ შეგირდებმა დილის კარნახში გააკეთეს 47 შეცდომა, ხოლო შუადღის ორ საათზედ, სამი საათის შესვენების შემდეგ, იმავე მოსწავლეებმა—67 შეცდომა გააკეთეს. შესანიშნავია უფრო შემდეგი გამოცდა: გიმნასტიკის გაკვეთილამდის დაწერილს კარნახში მოსწავლეებმა გააკეთეს 62 შეცდომა, ხოლო გიმნასტიკის გაკვეთილის შემდეგ კი—152, ე. ი. თითქმის ერთი ორად მეტი. წარმოსდგა ეს, თქმა არ უნდა, იქიდამ, რომ გიმნასტიკის დროს მოსწავლეთ საშინლად ექანცებათ გულის-ყური, გრძნობა და საზოგადოთ გონება. მოსწავლეთა მოქანცვას მშვენივრად ასურათებს შემდეგი დაკვირვებაც ეგზამენების დროს: 242 მოსწავლისგან, ეგზამენების დროს, 191 მოსწავლემ (ე. ი. 79%-მა) დაკარგა წონაში თვითეულმა $3^1/_2$ გირვანქა; ცხადზე უცხადესია, რომ მოსწავლეთა ორგანიზმი ამ დროს რაღაც უხილავ ტანჯვა-წვალებაშია. შესანიშნავია აგრეთვე მოქანცვის გავლენა მადისა და ჭამის შემცირებაზედაც. გამოიძიეს-გამოიკვლიეს და აღმოჩნდა, რომ მოსწავლენი ენკენისთვესა და ღვინობისთვეში გაცილებით მეტსა სჭამენ პურსა, ვიდრე სასწავლო წლის შუა და ბოლო თვეებში. აიხსნება ესეც, რასაკვირველია, სრულის მოქანცვით მოსწავლეთა იმ ერთმხრივი წიგნურის სწავლისგან, რომელიც გამეფებულია ჩვენს სასწავლებლებში: მოქანცულის თავის ტვინს ველარ გამოჰყავს გარეთ გონებრივი შრომის პროდუკტები და იწამლება-იქანცება. რით და როგორ უნდა ეშველოს ამ სამწუხარო მოვლენას? შეიტანეთ სასწავ-

ლებლებში სამეურნეო-სამრეწველო საქმეები *), შეამცირეთ საკლასო მეცადინეობის საათები, დაკმაყოფილდით მარტო იმ სწავლით, რის სწავლებასაც მოასწრობთ კლასში, მოსპევით ეკზამენები, შემოიღეთ მოსწავლეთა გადაყვანა და სწავლა კლასებში მისგან თვითეული და არა ყველა საგნის ცოდნის კვალად და ნახავთ, რომ მოსწავლეთა დღევანდელი მოქანცვა და დაწვრილმანება-გადაგვარება სრულს დავიწყებას მიეცემა!..

ივ. როსტომაშვილი.

ღვთისა და კაცთა ნათესავის გულისათვის.

ამ დღეებში შემთხვევა მქონდა დამევლო ჩემის ერთის განათლებულის ნაცნობის დიდებულად აგებული სასახლე. სასახლის მეორე, მესამე და მეოთხე სართულების მომეტებულმა ნაწილმა სავსებით დამაკმაყოფილა, ისე უხვად იყო ძათში სინათლე, ლაზათი, სიმშრალე და სხვა ყოველი ხელის-შემწყობი მოწყობილობა, თუმცა უმთავრესი კი აკლდა: შესაფერი ეზო და ბაღი იმოდენა დგმურების წვრილ-ფეხობისათვის მაინცა... მაგრამ ყველა ეს სიამოვნება მალე სრულ უსიამოვნებად შემეცვალა, როდესაც ჩავეშვი ძირის სართულში. ხუროთ-მოძღვარს ეტყობა ყოველი ღონე ეღონა, რომ სასახლის ეს ნაწილიც რამდენადმე დაჰმსგავსებოდა ადამიანთა საცხოვრებელს, მაგრამ ამაოდ! გოდლოვანი კედლები სასახლისა მთლად ცივი და ნოტიოებია, მაგრამ რა სათქმელია ყველა ეს მაცოცხლებელის მზის სინათლის სრულ უქონლობასთან! ბევრს ოთახებში ისე ბნელა, რომ ცეცით დადიხარ, სადმე არ ჩავი-

*) იხ. ტ. ართმელაძის ახალი წიგნი: „რამდენს მიდიონს მანეთს ჭკარგავს მარტო იმერეთი, რომ სახალხო განათლება და მეურნეობა-მრეწველობა დროს შესაფერად არა აქვს მოწყობილი? ფასი 10 კაპ. ისყიდება „მოგზაურის“ რედაქციაში.

ჩეხოო!.. ასეთი ჯოჯოხეთია, მკითხველო, ამ სასახლის ძირის სართული და სულ სავსე კია გონიერი ადამიანებით! ერთი ოთახი რა არის, ერთი ოთახიც ვერა ვნახე ცარიელი, ისეა ყველა გამოჭედილი იმ ორ-ფეხა ცხოველებით, რომელსაც ჰქვიან მეფე ბუნებისა! ყვითელნი, დაღვრემილნი, ნახევრად თვალ-მოხუჭულნი, ტლანქნი, მძიმენი—აი საერთო სურათი აქაურ მცხოვრებთა... დრო კია ღმერთმანი ჩვენც შევიგნოთ, რომ ყოვლად წინააღმდეგია სვინიდისისა და განათლებისა ასეთი ჯურღმულების გაქირავება ადამიანთა სადგომად! დროა შევიგნოთ, რომ ჩვენი ასეთი ქცევა პირდაპირ ადამიანის მოკვლას უდრის და ამიტომ, სანამ ჩვენშიაც შემოვიდოდეს კანონით აღკრძალვა ასეთის სადგომების გაქირავებისა, როგორც ეს ბევრს განათლებულს ქვეყნებშია უკვე შემოღებული, თვით ჩვენ უნდა ერთხელ და სამუდამოთ ავღკრძალოთ მიწაში აგებულ სადგომების გაქირავება რაღაც რამდენიმე ასი მანეთის გულისათვის!.. ჩვენ ბევრსა ვსტირით, რომ ვერა და ვერ მოვსპევით თბილისში ხუნაგი, სახადი და მისთანა მოარულები და იმას კი აღარ ვკითხულობთ, რომ ამათი უმთავრესი ბუდე ეს სარდაფებია და სანამ ერთხელ და სამუდამოთ არ ავღკრძალავთ ამათში ცხოვრებას—არც ეს მოარული სენები მოისპობიან...

ივ. რუსტომაშვილი.

დედები შესანიშნავ ადამიანებისა *)

წმიდა ავგუსტინი

(354—430 წწ.).

წმიდა ავგუსტინის მამა წარმართი იყო, დედა კი ქრისტიანი, წმიდანათ ჩარიცხული წმ. მონიკას სახელით. ადვილი მისახვედრია, თუ ვისი გავლენით აღიზარდა ავგუსტინი ეკლესიის სვეტად. გასაკვირველი არაა, რომ შვილი შეიქმნა თავის კეთილ-მორწმუნე, წყნარი და გულწრფელის დედის მსგავსი.

ავგუსტინის დედა იყო ქრისტიანი დედმამის შვილი. ის ბავშვობიდანვე დიდს სიყვარულს იჩენდა ცოდნისადმი და დიდის გულ-მოდგინებით ისმენდა ბაბუას საუბრებს ქრისტიანების წვალებაზედ.

საკმარისია წაიკითხოთ წმ. ავგუსტინის აღსარება, რომ დარწმუნდეთ ამაში. ამ წიგნის ავტორი დიდის აღფრთოვანებით იხსენიებს თავის კეთილ-მორწმუნე და წმიდა დედას. ის ამტკიცებს, რომ დედაჩემი ძალიან პურადი ადამიანი იყო და ყოველ კაცს შეძლებისა დაგვარად დახმარებას უჩენდაო. მან ჩამინერგა მე ღვთისადმი სიყვარული, შემაძულა ბოროტებაო.

პატარაობისას წმ. ავგუსტინი ცელქი და ზარმაცი ყოფილა. მას სძულდა ბერძნული ენა და განსაკუთრებით მათე-

---

*) იხ. „მოგზაური“ 1903 წლისა.

მათიკა: „ჩემთვის სწორეთ აუტანელია, როცა მესმის, რომ ორჯელ ორი ოთხია“-ო, იტყოდა ის. მასთან ის პატარა ქუ-რდიც ყოფილა და დედას ხშირად ჰპარავდა განჯინიდამ ხი-ლსა, რითაც დიდათ განაწყენებდა ღვთის-მოყვარე მშობელ-სა. ძნელი იყო ასეთის ბუნების შვილის აღზრდა, მაგრამ სუ-ლგრძელმა დედამ ყველაფერი დასძლია და შვილი კეთილ გზაზედ დააყენა.

— „ყოვლად შემძლებელო უფალო! შენ რომ არ მომიძუ-ლე, ეს დედაჩემის წყალობით იყო, რომელიც დღე და ღამე სტიროდა ჩემთვის და უნდოდა ჩემი კეთილ გზაზედ დაყენება“, — ამბობს თავის აღსარებაში წმ. ავგუსტინი. ის მარად მხოლოდ ამას ეხვეწებოდა ღმერთს: ოღონდ ჩემი შვილი კეთილი და პატიო-სანი გამოიყვანე და სიმდიდრე და ოქრო არ მინდაო“. ის ცრე-მლებით ეხვეწებოდა ერთს ეპისკოპოსს, რომ მას ჭეშმარიტ გზაზედ დაეყენებია მისი შვილი.—„კმარა, უთხრა ეპისკოპო-სმა: მე დარწმუნებული ვარ, რომ ის შვილი, რომლის დე-და ასეთის მწარე ცრემლებით სტირის და სწუხს მისს სიცუ-დეს, შეუძლებელია ჭეშმარიტ გზას არ დაადგესო“.

სწავლის განსაგრძობად ავგუსტინი იძულებული იყო მშო-ბლებისთვის თავი დაენებებინა და სხვა ქალაქში ეცხოვრა. წი-გნების კითხვამ, გართობა-თამაშობამ და საზოგადოებამ დიდი გავლენა იქონიეს მასზედ, ასე რომ მან სიყმაწვილეშივე გა-მოსცადა ყველაფერი, რაც კი შეხვდება ახალგაზდა ყმაწვილ კაცს. ერთხელ ავგუსტინმა უთხრა დედას: „რომში მინდა წა-ვიდეო“. დედა ტირილით ეხვეწებოდა შვილს ნუ დამტოვე-ბო, მაგრამ შვილმა არ გაუგონა და მხოლოდ იმით დაამშვი-და მოსიყვარულე დედა, რომ უთხრა: „მეგობრის სანახავად მივდივარო“.

როცა მარტო დარჩა წმ. მონიკა, ჯავრისაგან კინაღამ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა და გადასწყვიტა თითონაც წა-სულიყო რომში, თუმცა ბევრი გაჭირება მოელოდა მას, რად-განაც ღარიბათ იყო. რომში მისვლისას, მონიკამ გაიგო, რომ

მისი შვილი მილანში გადასახლებულიყო. მონიკა მილანს გაემგზავრა და მივიდა შვილთან, რომელსაც იქ უკვე გაეცნო წმ. ამბროსი და დიდის სიბეჯითით ისმენდა მის ქადაგებებს. დედისაგან პატარაობიდგანვე გაპოხიერებულ'ა გულს ძალიან მოუხდა წმ. ამბროსის სიყვარულით გამჯდარი ქადაგებანი და იგი ერთბაშათ დაადგა ჭეშმარიტ გზას...

ერთხელ ავგუსტინმა ჰკითხა დედას: „ბედნიერია ის კაცი, რომელმაც თავისს საწადელს მიაღწია?"—წმ. მონიკამ უპასუხა: „თუ იმას მიაღწია, რაც სწადდა, მაშინ ხომ კარგია, ხოლო თუ რამე ცუდს გადაეყარა ამ დროს, არ არის ბედნიერებაო". ამის შემდეგ შვილმა გადაწყვეტით სთქვა, რომ დედაჩემის ჭკუამ ფილოსოფიურ ჰაზროვნებამდის მიაღწიაო.

სიკვდილის წინ შემდეგი სიტყვები უთხრა დედამ შვილს: „აწი მე აღარ მიხარიან სიცოცხლე; მე მინდოდა ჩემს სიკვდილამდე შენ ნამდვილ ქრისტიანათ დამენახე. უფალმა შეიწყნარა ჩემი ლოცვა და აწ მე ქვეყანაზედ აღარაფერი დამრჩენიაო".

გავიხსენოთ ისიც, რომ წმ. მონიკამ ჯერ ადრევე შეასრულა ერთი კეთილი საქმე, რომელმაც ის ძალიან გაახარა. მისმა წარმართმა ქმარმა, ცოლის ჩაგონებით, ქრისტეს სარწმუნოება მიიღო. წარმართ მამას თავიდანვე უნდოდა, რომ შვილი მისი ქრისტიანი არ ყოფილიყო, მარა დედამ დასძლია. აი როგორი გავლენა აქვს დედას შვილზედ! წმ. ავგუსტინი მამის შესახებ ლაპარაკობს: „მას არაფერის გზით არ შეეძლო იმ გავლენის ჩემში გაქარწყლება, რომელიც დედაჩემს ჰქონდა ჩემზედ. მიუხედავათ იმისა, რომ მისი მაგალითები საინტერესონი იყვნენ, მან მაინც ვერ შემაძულა მე ქრისტე, რომელიც მას არ სწამდაო".

საჭირო არაა ვილაპარაკოთ წმ. ავგუსტინის ჯავრზედ დედის სიკვდილის გამო. ვიტყვით მხოლოთ იმას, რომ მან მთელი ღამე მომაკვდავის თავთან გაატარა.

ჯავრი დედის სიკვდილის გამო მას მთელ სიცოცხლე-

ში არ მოშორებია; ის ყოველდღე ლოცულობდა დედის სულისათვის და ძლიერ ხშირად ლაპარაკობდა მასზედ მეგობრებთან. გაიარა ოცდა ათმა წელმა ამის შემდეგ; ერთხელ ის მუსაიფობდა ხალხთან იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ვიხსენიებდეთ ჩვენს მიცვალებულებს; ამ დროს ის ისე აღელდა, რომ წინ წარმოუდგა დედის სურათი ცოცხალივით...

წმ. მონიკას სახელმა ბევრი საუკუნოები იცოცხლა. ეკლესიამ არ დაივიწყა მისი საქმენი და ღირსეულათ დააფასა ის. მარა ღარიბი ქვრივი თავის დღეში ვერ მოიხვეჭდა ასეთს სახელს, რომ მას არ აღეზარდა უღირსეულესი მამა კათოლიკე ეკლესიისა. წმ. მონიკასი და წმ. ავგუსტინის სახელები მარად ერთმანეთთან არიან შეკავშირებულნი.

ვ. მალაქიაშვილი.

წიგნთ-საცავები საფრანგეთში.

•

საფრანგეთის სოფლის სკოლებთან ყველგან არსებობს წიგნთ-საცავები, რომელთა საშუალებით ბავშვებს და მოზრდილებსაც შეუძლიათ შეივსონ განათლება. ამის გამო განვითარება ამ დაწესებულებათა ითვლება პატრიოტულ და საყურადღებო საქმედ, არა მარტო საზოგადოებისა, არამედ თვით მთავრობისაც, რადგანაც წიგნთ-საცავებს დიდი მნიშვნელობა აქვთ მოსწავლეთა, მეურნეთა და ხელოსანთათვის. ზოგიერთი პედაგოგები ურჩევენ, შეავსონ წიგნთსაცავები სამეურნეო მოთხრობებითაც, რადგანაც ამ გვარი წიგნები გაავრცელებენ სოფლის ხალხში გაუმჯობესებულ წესებს მიწის დამუშავებისასო. წიგნთ-საცავისათვის წიგნების ამორჩევა მინდობილი აქვს მასწავლებელთ, რომელთაც კარგად იციან საჭიროებანი და მოთხოვნილებანი ხალხისა. მასთან მასწავლებლები მოვალენი არიან ზედ-მიწევნით იცოდნენ შინაარსი სახალხო წიგნთ-საცავების წიგნებისა, რათა შეეძლოთ მკითხველის დახმარება წიგნების არჩევაში ასაკისა და გემოვნების შესაფერად. პირველდაწყებითი სკოლათა მასწავლებელნი ხშირად მიმართავენ წიგნებით და ფულით დახმარებისთვის სხვადასხვა საზოგადოებებს, დაწესებულებებს და კერძო პირებს.

სოფლის ხალხთან დაახლოვებული პირები ამბობენ, რომ საფრანგეთის გლეხები ბევრს კითხულობენ, მაგრამ უფრო გაზეთების ფელეტონებს, რომანებს, რომლებიც შედის რა მათს ოჯახებში, სტოვებენ ბავშვებში ღრმა კვალს უზნეობისას. წიგნთ-საცავები უნდა ებრძოდენ ამ ბოროტებას სასარგებლო

და კარგი შინაარსის წიგნების მოპოებით, რომლებიც ავითარებენ ადამიანის გონებას, ზნეს და ხასიათს. კარგი და სასარგებლო კითხვა შეადგენს ძალას და დიდებას ხალხისას.

—

საფრანგეთის წიგნთ-საცავებთან მჭიდროთ არის შეკავშირებული სკოლის დღესასწაულები, რომლებიც ძლიერ ვრცელდება ამ ჟამად მასწავლებელთა ინიციატორობით. ამ დღესასწაულების პროგრამაში შედის მწყობრი გალობა, მუსიკა, საუკეთესო მწერალთა მოთხრობების და ლექსების წაკითხვა, სათეატრო წარმოდგენების გამართვა და სხვა. მონაწილეობას ამ საქმეში იღებენ, როგორც მოსწავლენი, ისე მოზრდილნი.

ვლადო ბზვანელი.

სასტიკობა ოჯახსა და სკოლებში.

(ბატარა შენიშვნა).

პეტრე დიდამდე რუსებს ნაკლებად ჰყვანდათ მეცნიერულად განვითარებული საზოგადო მოღვაწენი. არა ჰქონდათ მათ არც საზოგადო სწავლა-განათლების სასწავლებლები და არც საერო ლიტერატურა. მაშინდელი მასწავლებლები და ხალხის დამრიგებლები ფიცხლად უფრთხობდნენ ბავშვებს აზროვნებას და აფასებდნენ მარტოოდენ ზნეობასა და სიმშვიდეს. ერთ ამ გვარ მასწავლებლებისა და ხალხის დამრიგებლების რაზმს ეკუთნის რუსების თანამედროვე რეფორმატორი ბ-ნი მენშიკოვიც, რომელიც, როგორც ამას წინად გაზეთს „ცნ. ფურცელშიაც“ იყო ნაამბობი, სულითა და გუ-

ლით ცდილობს დაამყაროს სკოლებში უკიდურესი სასტიკობა ჰუმანიზმის ნაცვლად. აქ უნებლიეთ ებადება კაცს თავში კითხვა: ნუთუ შვეიცარიის გენიოსის პედაგოგის პესტალოცის დაუცხრომელი ქადაგება,—რომელმაც საქმით დაუმტკიცა მთელს ქვეყანას, რომ სათნოებისა და ჭკუის სწავლება ბავშვებისათვის შეიძლება უცემატყეპოთაც საკუთარის მაგალითით და კეთილის ალერსიანის სიტყვით,—მარტოოდენ ცარიელი სიტყვების რახარუხი იყო და სხვა არაფერი?

ყოველ სასჯელს შეუძლიან განარინოს ბავშვი ცუდი ჩვეულებისაგან, მაგრამ ვერასოდეს კი ვერ აღმოფხვრის ფესვიანად ბოროტებას. ბავშვს, რასაკვირველია, რიდი ექნება ჩაიდინოს უფროსების წინ ის, რისთვისაც იგი უთუოთ დაისჯება, მაგრამ ზურგს იქით კი ცუდი ჟინი მას უფრო უორკეცდება, ანუ თავს იჩენს იგი იმაში სხვა სახით. ბოროტების გასწორება შეუძლებელია ბოროტებითვე და შურისძიებით. ისტორია სავსეა მაგალითებით, რომ ბრიყვული ზნეების მოლბობა შესაძლოა მხოლოდ სიწყნარით და განათლებით. ყველა საუკეთესო ფსიხოლოგები ამტკიცებენ, რომ ზნეობა კაცისა სავსებით დამოკიდებულია მის გონებით განვითარებაზედ. ამ გვარად საუკეთესო საშუალება განსამტკიცებელად ზნეობისა და ნებისა არის კარგი წრე და წესიერი გონებითი განვითარება, თუმცა არც ის აზრი უნდა დავივიწყოთ ღვთის წინაშე, რომელსაც ასე აშკარად ქადაგებს ქართული ბრძნული ანდაზა: „შვილი მტრულად გაზარდე, მოყვრულად გამოგადგებაო“.

გ. ელგანდაშვილი.

რამდენიმე სიტყვა ბავშვების სწავლა-აღზრდაზედ სკოლაში მიბარებამდე.

მეტი იქნებოდა სიტყვის გაგრძელება მაზედა, რომ ჩვენი სკოლა სავსებით ვერ აკმაყოფილებს პედაგოგიის მოთხოვნილებას მოსწავლეთა აღზრდაში. ამისი მიზეზი სხვათა შორის ჩვენის ოჯახის გონებრივად, ზნეობრივად და ნივთიერად უნუგეშო მდგომარეობაც არის და სანამ სავსებით განკარგებული არ იქნება ეს დედა-ბოძი აღზრდისა, ვერც მოზარდი თაობის საუკეთესო აღზრდას შევესწრებით. უკეთუ მოსიყვარულე მშობელთა მეთვალყურობის ქვეშ ცოტათი მაინც განმტკიცდება ყრმაში ჯერ შეუმჩნეველად, ხოლო შემდეგში ცნობიერადაც, აზროვნება და ზნეობითი ჩვეულებანი, მაშინ სკოლაშიაც ადვილი იქნება მისთვის შეთვისება იმ სათნო მისწრაფებათა, იმ მხურვალე სიყვარულისა მეცნიერებისადმი, რომელთაც შემდგომად მარტოოდენ შეუძლიანთ მისი ფეხზე დაყენება მძვინვარე ცხოვრების ბრძოლაში. უკეთუ ოჯახში, სკოლაში მიბარებამდე, ყრმა არ ყოფილა გონივრულად მომზადებული, შემდგომად მხოლოდ განსაკუთრებით ნიჭიერთ შეეძლებათ მიღება საფუძვლიან ცოდნათა. ან კი როგორ შეუძლიან ბავშვს ყურადღებით მოსმენა საათის გაკვეთილისა კლასში, როდესაც სახლში არა ყოფილა იგი მიჩვეული არც ფიქრსა და არც თვისი ყურადღების ძალის ხმევასა ათ წუთსაც არის გაბმით.

ამნაირად ყოველი ჩვენი წარუმატებლობა აღზრდაში წარმოსდგება იმისგან, რომ იგი იწყობა მხოლოდ სკოლის მაგი-

დიდგან, როდესაც ხასიათი უკვე დონეზედ დამდგარა, ხოლო უქმობას მიჩვეულს გონებას სრულიად უკუღმართი მიმართულობა მიუღია.

მომავალ ისტორიკოსს, შემსწავლელს ჩვენის პედაგოგიკისას და საყმაწვილო ლიტერატურისას, ალბად მეტად გაუძნელდება გამოხატვა იმ აღზრდისა, რომელიც ეძლევა ჩვენს დროში ქართველ ყრმებს სკოლის მაგიდამდე. ვერც ფიზიკურისა და ვერც გონებით-ზნეობითის აღზრდისათვის ჰპოვებს იგი რასმე თვალ-საჩინოს. ფიზიკური აღზრდისათვის, როგორც მოგეხსენებათ, არსებობს ნიკოლოზ ავალიშვილის-მიერ ჩინებულად ნათარგმნი კომბის სახელმძღვანელო, სახელწოდებით „ბავშვების მოვლა“, ხოლო გონებითისა და ზნეობითის აღზრდისათვის—ობოლი მარგალიტი ალ. ნათაძისა „ჩვენს დედებს“ და ივანე როსტომაშვილის წერილი: „რა არის გონებითი აღზრდა-განვითარება“. გასაოცი არ არის, რომ ქართველ მშობლებს არა აქვთ ნათელი წარმოდგენა რაციონალურ აღზრდაზედ, როდესაც ჩვენი პედაგოგიკა მაგდენად არაფერს ჰგონობს მისთვის. დრო კია ღმერთმანი, რომ ჩვენმა პედეგოგებმა დროებით მაინც თავი ანებონ მარტოოდენ საკუთარი კუჭის სამსახურს და ცოტათი ამ ...რსებითის ნაკლის შევსების თვინაც გაისარჯნენ

ჯეშმარიტების მოყვარე.

იაპონიური სკოლა.

(შრეიდერის მოგზაურობიდამ).

სასწავლო ოთახის იატაკი დაგებულია ლაფანის წმინდა ჭილობებით. ამ ჭილობებზედ ჩამწკრიებულნი სხედან მოწაფენი დაბალი მაგიდების წინ, რომლებზედაც წყობისად დალაგებულია წიგნები, სახაზავები, ბეწვის კალმები, შავი სამხატვრო წამალი და სხვადასხვა ქაღალდი. მოწაფეები მხიარულად არიან, თავი სრულებით თავისუფლად უჭირავთ. სჩანს, რომ ფესვი სწავლისა მათთვის სრულებით მწარე არ არის. ბეწვის კალმები სრულიად და უჩუმრად მიცურამენ ქაღალდზედ. ძრიელ ძნელია, მართალია, დაწერა რომელიმე ნიშნისა, მაგრამ სამაგიეროთ როგორ საინტერესოა! პაწიებს მოშავგვრემანო პირის სახეები წითლად დაჰკრახვიათ, თვალები უბრწყინამენ, მეზობლები შესცქერიან ერთი-ერთმანეთს და გატაცებით და მახვილად საუბრობენ და კამათობენ რომელიმე საგანზედ. აქა-იქ ისმის ხარხარი, სასწავლო ოთახში ჩვენთვის წარმოუდგენელი ალიაქოთი სდგას, მაგრამ გამხდარი პირ-მოპარსული მოხუცი მასწავლებელი ამ ყმაწვილურს ჟივილ-ხივილში არაფერს ცუდს არა ჰხედავს, მხოლოდ ხანდახან, როცა თავ-დავიწყებულ პაწია მობაასეთ წყნარი ლაპარაკი ყვირილათ გადაექცევათ, იგი სრულებით თავს იყრუებს, ყურებში თითებს იკრომს და საცოდავად გადაჰყურებს მოწაფეებს... ალიაქოთი წყნარდება.

ბ-ნი შნეიდერი და მასწავლებელი ლაპარაკში გაებნენ.

მასწავლებელმა განუზიარა უმთავრესნი წეს-რიგნი იაპო-

ნიურის სწავლებისა: „უწინარეს ყოვლისა საჭიროა ბავშვებისათვის თავისუფლება. იგინი თვით უნდა ცდილობდნენ სწავლასა. საჭიროა ხელმძღვანელობა და არა ძალადობა. ძალადატანებით და დასჯით ვერაფერი კარგი ვერ გარიგდება...

— სჯით ხოლმე თქვენ მათ ოდესმე?—ჰკითხა ბ. შრეიდერმა.

— ძალიან ხშირად. დასჯა მდგომარეობს იმაში, რომ მე ვუცხადებ მათ ჩემს უკმაყოფილებას. შეურაცხყოფა ანუ გაუგონრობა უფროსისა ჩვენში დიდ ცოდვად ითვლება, და ერთი საცოდაობაა საბრალო ბავშვის ყურება, როცა უკმაყოფილებას ვუცხადებ მას, ისე საგრძნობელია მისთვის ჩემი უკმაყოფილება.

— ბევრი გყავთ თქვენ ცუდი მოწაფეები?

— მე ცუდები სრულებით არა მყვანან: იაპონური ანდაზაა: „თუ მოწაფე ცუდია—ცუდია მასწავლებელი“. საჭიროა მხოლოდ ცოდნა ბავშვის წახალისებისა სწავლით—და იგი ისწავლის რამდენიც შეეძლება.

ასეთია იაპონური სკოლა: გონივრული, თავისუფალი, მხიარული, რაღაა უკეთესი?.. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ იაპონიაში ყველანი სწავლობენ და ძლიერ გულ-მოდგინეთ, სწრაფათ და საფუძვლიანადაც სწავლობენ.

ბ. ელგანდაშვილი.

ზღაპრების მნიშვნელობა.

ხუთი წლის ბავშვებისათვის საჭიროა ზღაპრების თხრობა, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ მთხრობელს გეეგებოდეს ზღაპრების გამორჩევა და მათი განმარტება. ამაოდ ამტკიცებენ ზოგიერთი პედაგოგები, რომ ვითომ ზღაპრები აძლევენ ბავშვებს არა სწორ შემეცნებათ ბუნებაზედ. ზღაპარი მაშინ მოუტანს ბავშვებს ვნებას, როდესაც ხელმძღვანელი კარგად ვერ აუხსნის მას. ამგვარ შემთხვევაში ბავშვები აქცევენ ყურადღებას მხოლოდ მის გარეგან, მოლანდების, ფორმას. ამიტომ არამცა და არამც არ უნდა ვაწვდიდეთ იმისთანა ზღაპრებს, რომელნიც მხოლოდ აშინებენ ანუ ართობენ ოცნაური ოცნებითი სიცრუით. გარნა რამდენია იმისთანა ხალხური ზღაპრები, რომლებშიაც იხატება მშვენიერი მსოფლიო, ჭეშმარიტება, გონივრული ჰაზრი, დახასიათებულია რომელიმე ცხოველი, პოეტურად აწერილია ბუნება. ზღაპრები იდეიით მშვენიერნიც, ხანდახან შეიძლება ჯერ კიდევ ვერ იყვნენ მათთვის მისაწდომნი. ამნაირებს ეკუთვნიან იმისთანანი, რომლებშიაც გამოხატულია მეტად რთული კაცობრიული დამოკიდებულებანი, ანუ მახვილი სატირა საზოგადოების ნაკლულევანებებზედ. უნდა ვიწყებდეთ სრულებით გასაგები ზღაპრებიდან, სადაც უმთავრეს განთვისებულ მოქმედებას ასრულებენ ბავშვებისათვის ცნობილი ცხოველები, სადაც ვპოვებთ ნამდვილ აღწერას ბუნებისას, ანუ რომლებშიაც აღწერილია მარტივი, ბავშვებისათვის გასაგები დამოკიდულებანი. ცოდნა ამისთანა ზღაპრებისა არ განაშორებს ბავშვს საკვ-

ლავოდაც ბუნების კვლევისაგან, პირიქით, გაუღვიძებენ სიყვარულს მისას. შემდგომ საბუნების-მეტყველო ისტორიულის ბაასისა, ზღაპრული ოცნება მხოლოდ განაცხოველებს საგანს და არ მოგვცემს წინააღმდეგ ცნებათ ბუნებაზედ. არ უნდა გვეშინოდეს ფანტაზიური ალლეგორიისაც აგრეთვე დიდად. ბავშვისათვის ეს ყოვლად უბრალო და ადვილ-მისაწდომი ფორმაა, რომელშიაც შესაძლებელია გატარება იდეიისა ჭეშმარიტებაზედ, მოწყალებაზედ, სიბრალულსა და სიყვარულზედ მოყვასისადმი. როდესაც ჰსურთ ბავშვისათვის შეთვისება კარგის გრძნობებისა, ჩვეულებრივის მოთხრობის სახით, უმეტეს ნაწილად შედიან შეცდომაში: მოთხრობა გამოდის ანუ მშრალი, მისი დიდაკტიკური ხასიათის მიზეზისა გამო, ანუ ისე ღარიბი შინაარსით, რომ ვერ ახდენს ვეთავითარს შთაბეჭდილებას. სხვა რომ არა იყოს-რა, ფანტაზიას უნდა ვავითარებდეთ უფრო იმიტომ, რომ იგი საფუძველია შემოქმედებითის ნიჭისა! უიმისოდ კაცი იქნებოდა მარტო წარამარა მკვლევარი მოვლენათა, რომლის გონება ვერ მისწვდებოდა იდეიებსა, ცხოვრების ერთიანად და მთლიანად შესაგნებად. აქ ფანტაზია გონებასთან ერთად მოქმედებს და მათი კანონიერი და ჰარმონიული განვითარება შეადგენს იდეალს აღზრდისას. მცირე-წლოვანი ბავშვების აღზრდა, რასაკვირველია, უნდა იწყოდეს ბუნების კვლევით, რომელსაც ეგოდენ დიდ მნიშვნელობას აძლევენ ნამდვილი პედაგოგები. მაგრამ, თუ ბავშვს ჩვენ მარტო ბუნებას ვაკვლევინებთ და განკერძოებით მივკერძავთ სხვადასხვანაირ ცოდნათ მისას, ამით ჩვენ, მართალია, გავუხსნით მათ გონებას და მსჯელობას, მაგრამ თუ გვინდა აღზრდა სრული იყოს, ბავშვებს იმისთანა შემეცნებანიც უნდა მივცეთ, რომელნიც განავითარებენ გრძნობასაც, რათა ჩვენი ბავშვები ვითარდებოდნენ ჰარმონიულად და არა ერთმხრივად.

გ. ელგანდაშვილი.

ბერიკაცის წერილები.

წაკითხული და გაგონილი.

15 თებერვალსა. ქართველები დაუდევრები ვართ, გულდამჯდარი საქმე გვეჩოთირება. აიღეთ ჩვენი ყოველდღიური გაზეთები: ტელეგრამმებს ბარბაროსული სიტყვებითა სთარგმნიან, ჰკითხულობ, ჰკითხულობ და ვერა გაგიგიარა, თუ თან რუსული გაზეთი არ წაიკითხე, აზრს ვერ მიუხვდები. მაგალ., „დილით მობძანდა დიდი მთავარი კირილე ვლადიმირის ძე, მიეგება ამ ქვეყნის მთავარ-უფროსი“. ან კიდევ: „ტფილისში ჩამოვიდა და „სევ. ნომრებში“ ჩამოხტა ბაქოს გუბერნატორი. ამას დაემატება კიდევ ამწყობების უთვალავი (კორექტურული) შეცდომები, ვერა გაგიგია-რა—გორია, თუ ღორი, ან ღომი. ხან ისეც არის, რომ აზრითაც ვერას მიუხვდები, ნამეტნავად ვერას შეისმენ საკუთრივ სახელების გადარეულობაში: ყუბანის უფროსი გენერალი მალაშა (მალამას მაგივრად) და სხვა მრავალი. წარმოსდგება იმისაგან, რომ საქმის მუყაითობას არა ვართ მიჩვეულნი, უგულოთ ვმუშაობთ, ღონე-მოწყვეტილებით ვსაქმობთ. ქალაქელებს კიდევ არა გვიშავს რა, რუსული გაზეთებით წავალთ იოლას; ვინც მარტო ქართულ გაზეთებზეა დამყარებული, ნამეტნავათ სოფლებში, იმათთვის გაზეთი წასაკითხათ მოუხერხებელი გახდება და კითხვაზე გულს აუცრუებს. ისეც ნაკლები მკითხველები ჰყავს ჩვენს გაზეთებს და უგულო ბეჭდვითაც უფრო ერთიანათ დაფთხებიან...

18 თებერვალს. ღარიბებზე ფული დაარიგეს, გათბითო-

ძრიელი სიცივეები დაიჭირა, ღარიბსა და ღატაკს არც შეშა აქვს, არც რიგიანი სახლი და სადგომი ბინა. სია, ვისაც დახმარება ერგოთ, არ გამოქვეყნდება ხოლმე და არც რიგია, რომ გამოცხადდეს. ისე კი რომ ვიცოდეთ, ვის რა არგუნეს, ურიგო არ იქნებოდა, მომეტებუტად უფრო ის, თუ რა ხალხის ღარიბებს უფრო მეტი შემწეობა და დახმარება მიაწოდეს. საზოგადოთ ჩვენი ქალაქები სავსეა ღარიბი ხალხით. უქონელი და შეუძლებელი უფრო მეტია, ვინემ შეძლებული და გაუჭირებელი. ღარიბებში დიდი წილი, რასაკვირველია, ქართველებს უჭირავთ და სიღარიბის მიხედვით გაღატაკებულ ქართველობას უფრო მეტი წყალობა უნდა ერგებოდეთ ხოლმე, ნამდვილად კი ვიცით, რომ საწყალობელ წყაროებიდამ ქართველებს უფრო ნაკლები ლუკმა ეძლევათ, ისიც ყველა გაჭირებულს არა, ათასში რომ ერთი მოჰყვეს, დიდი ღვთის წყალობაა! ტფილისშიაც ქალაქის მცხოვრებთ შორის ქართველები შეადგენენ გაღატაკებულ წრეს, მაგრამ მათს სიღარიბეს ვერავინ ხედავს, განძრახ თვალს აშორებენ და დასარიგებელ ფულიდგან საცოდავ და შეწუხებულ ქართველ ღარიბებს არას აძლევენ ხოლმე, დიდი და ბევრი შემწე და დამხმარებელი პატრონი უნდა გამოუჩნდეს ქართველს, რომ წყალობა ერგოს სიღარიბესაც ისეთი ჩხრიალი უნდა, როგორც კაკალსა და ბამბას. ასეთივე წესი სწარმოებს სასწავლებლებში: ქართველები ხომ ღარიბები არიან და არიან, ქვეყანამ იცის, შინაურმაც და გარეულმაც, ბატონმაც და მეზობელმაც, რომ კავკასიაში ქართველებზე ღარიბი არავინ არის, მაგრამ რასა ვხედავთ: სასწავლებლებში სახელმწიფო და საზოგადოების ხარჯზე ყველაზე ნაკლები ქართველები ითვლებიან, სასწავლო ხარჯიდგან განთავისუფლებული ყველაზე ნაკლებად ქართველი ყმაწვილები არიან. ჩვენში იციან, რომ ქართველების ბადლად რუსებს აძლევენ უპირატესობასაო, მაგრამ ეს სრული სიმართლე არ არის, რუსებს თავისი წილი დასახმარებელი თანხა და სტიპენდიებიც ბევრი აქვთ; არა,

რუსებს გარდა, სასწავლებლებში უპირატესობას უფრო აძლევენ ყველას, ქართველების მეტს, და სომხებს ხომ დიდი შეღავათი აქვთ. ვინ არ იცის, რომ სომეხს არავისი დახმარების და ნუგეშის ცემა არ უჭირს, საკუთარი ჯიბე სულ გატენილი დააქვს. პირველ გიმნაზიაში სომხის მოხელეთა (ჩინოვნიკების) შვილებს სახელმწიფო სტიპენდიები აქვთ, ქართველებს კი არა... რომ იკითხოთ რა მიზეზიაო, გიპასუხებენ— ისაო, რომ სომხები არიანო. ქართველები პირველ გიმნაზიაში მარტო თავად-აზნაურები ირგუნებენ ხოლმე სტიპენდიებს, ისიც მცირე ნაწილი; ქარრველ არა თავად-აზნაურის მოხელის შვილს არას გზით არ აღირსებენ სახელმწიფო ხარჯს, სომეხს კი დაუბრკოლებლივ აძლევენ სახელმწიფო სტიპენდიებს. ისიც ვიცით, რომ სომხის ბევრი გლეხის და უბრალო კაცის შვილებიც იზრდებიან სახელმწიფოდ პირველ გიმნაზიაში, ერივანში და ქუთაისში, ქართველებს კი გზა დახშული აქვთ.

წარმოსდგება ყოველივე ეს იმისაგან, რომ ღარიბები ვართ ყოველი მხრით და სხვათა შორის იმისაგანაც, რომ ქართველებმა თხოვნა არ ვიცით, ე. ი. არ ვიცით რომელ კუთხიდგან გასჭრის თხოვნა. მასთან ძრიელ გვეზარება და გვემძიმება თხოვნა: თუ ძრიელ გაჭირებული არ არის ქართველი, არასდროს არ ითხოვს, და ღვთისწინაშე არც პატივსა სცემენ: ჩვენს თხოვნა-მუდარებას ბანზე შეასრიალებენ ხოლმე. სომხების და რუსების საქმე სხვაა: სომეხი სთხოვს მაშინაც, როცა არ უჭირს და ჯერ ეზო-კარებს გაშინჯავს და მერე სახლის პატრონს ისე ეახლება გზა-გაკვლეული. რუსების საქმე ხომ სულ ალჩუზეა, ყველა უწყებაში და სასწავლებლებშიაც „ხაზიაინები" ისინი არიან, ვისაც უნდა იმას აჩუქებენ და რა საკვირველია, თავისი პერანგი—„სვოია რუბაშკა"—ყველას ურჩევნიათ!..

მარტის 4-სა. თელაველი კორრესპონდენტი იწერება, რომ თელავის სტაროსტის თანაშემწის ამოსარჩევად გაიმართა აქ ბევრი მითქმა-მოთქმა, ზედ სადილები მოჰყვა და ბოლოს ამოარჩიეს თანაშემწეთ „სომეხიო", ე. ი. გაიმარჯვეს იმათ, ვის ხელშიაც ქალაქიაო. ყოველივე ჩვეულებრივია, მოულოდნელი არაფერი მოხდარა, თელავიც ხომ სომხების აშენებულია: „ერთმა ქოსა სომეხმა გულმოდგინეთ აგვიხსნა, რომ თელავი სომხებისაო, რადგან „თე—ლავ" სომხურათ ითარგმნებისო: „კარგი ალაგიაო". ყური მოჰკრა ამას ერთმა ძვე-

ლმა სემინარისტმა და უთხრა: რას მიჰქარავ, კარგი ალაგი კი არა, კარგათ გაგ-თელავგ-ს ნიშნავსო. დიახ, ყოველი ადრინდელია და სამუდამო, ხოლო ქართველებისათვის შეუგნებელი საგანია ის, რომ საცა სომეხი გაერევა, იქ ქართველს აღარ ედგომება, ის, რომ სომეხს ასდევს „ეხიც“ თავის კეთილისმდომის მეზობლის, ქართველის, დასამხობად. კორრესპონდენტი უმატებს, რომ სანამ არჩევანზე საქმე მიდგებოდა, სომხები სახლ-კარ დადიოდნენ და ყველას ემუდარებოდნენ და ზოგს ემუქრებოდნენ, არამცა და არამც ქართველი არ ამოარჩიოთო. ესეც ძველია, ახალი არა არისრა, ქართველს კი ვერ შეუგნია და ვერ უცვნია თავისი შინაური მტერი. სომხური და რუსულ-სომხური გაზეთები ამგვარ ახალ ამბებს დიდის სიამოვნებით კითხულობენ, მაგრამ თავისდღეში არ გამოაქვეყნებენ, ისე ჩაჩქლამავენ, ვითომ არც კი გაუგიათ და ჩუმათ კი აქეზებენ, ბარაქალა თქვენაო. როცა კი „ივერია“ გაბედავს და დაბეჭდავს ხოლმე, მაშინვე მიესევიან უბნის ბიჭებივით, ერთ პირს იზამენ და იწყებენ წივილ-კივილს: „ივერია“ ხალხის მჭამელია, კაცთ მძულვარეო“. სომხების გაზეთებმა ცრუ ლათაიები ისე ხშირად და ვრცლად იციან, რომ ეხლა აღარავინ უჯერებს და მართლაც რომ ტიროდნენ და ჩიოდნენ—ყველას სიცრუეთ და ყალბათ მიაჩნიათ. საკუთარი მკითხველებიც კი აღარ უჯერებენ და როცა ქართველებზე ენაგაქონილ ლათაიეებს კითხულობენ, გაკრეჭილ ულვაშებ ქვეშ იცინიან ხოლმე, რა ფანდი უგდო „კუზიანმა“ გიჟ ვრაცუებსო მეზობლობაც ხომ პატიოსანია და კაცთმოყვარეობის ფანდიც მოწონებული!

მარტის 10-სა. შარშან დაგვერივა მწარე ჟამი ეკლესიების მტვრევისა და ცარცვისა. დანაშაულები დაიჭირეს. წლეულს დასრულდა ავკაცთა გასამართლება. ყველას ხვედრი საასჯელი იკუთნა; საზოგადოება კი როგორლაც გულგრილად დახვდა ამ საძაგლობას და სასამართლოს სასტიკ გადაწყვეტილებას. საუბედუროთ და ჩვენ შესარცხვენად ავაზაკები სულ ქართველები გამოდგნენ, ერივა ერთი ორი სომეხიც, როგორც გამქეზებელნი და მიმმალავები ნაპარავისა და ნაცარცვისა. უფრო სამწუხაროა, რომ ეს ავაზაკები სულ ყმაწვი-

ლი ხალხია და სულ იმერლობა, ე. ი. საკუთრივ იმერელი, გურული და მეგრელი. დიდი უბედურობაა, რომ ქართველმა ხალხმა ზურგის შექცევა დაუწყო ეკლესიას, ვითომ და აღარ სწამს მას აღარც ჯვარი, აღარც სახარება, აღარაფრად რაცხს თავის სულის მოძღვარს და უპატიოთ ხდის და იხსენიებს მღვდელსა და საყდარს. განა ქართველ კაცს არ უნდა ახსოვდეს, რომ საყდარი იყო და არის ერთათ-ერთი მისი პატრონი და დამბოგინებელი, ქვეყანაზე მისი მაცოცხლებელი; განა არ იცის, არა სჯერა, რომ ქართველმა, თუ თავისი ეკლესია დაკარგა, თითონაც ქვეყნის ქარსა და ნიავს გაჰყვება? საყოველთაო ჩვენი სენია ის, რომ ჩვენი ახალთაობა ეკკლესიას პატივს არა სცემს და ამაში ჩვენი დედ-მამების ბრალია და მერე ჩვენი შკოლებისა. სახლის, შინაური აღზრდა არა აქვთ ჩვენს შვილებს, შვილების თვალში დავკარგეთ აღმზრდელის ავტორიტეტი, ამიტომ რომ ვერა ვზრდით ღვთის შიშით და სარწმუნოების პატივისცემით. შკოლებში კიდევ სრულიად ეხშობათ სიყვარული და პატივი საეკკლესიო წესისა და სარწმუნოებისა. თუმცა სჯულისა და საღმთო წერილის სასწავლებლად მღვდლებიც არიან განწესებულნი, მაგრამ მღვდელნი ასრულებენ თავის მოვალეობას ისე, როგორც უბრძანებენ, ე. ი. დანიშნულ საათობით აძლევენ გაკვეთილებს. ჩვენს ყმაწვილებს გაკვეთილებისა ბევრი წილი არა ესმითრა, სლავიანურად ლოცვებისა და ტექსტების სწავლა სრულიად გაუგებარი და შეუგნებელი საგანია იმათთვინაც კი, ვინც რუსული კარგათ იცის. ამისთანა სწავლა გულს ვერ განათლავს, სულსაც ვერ აცხონებს და გულგრილობა და უპატიობაც საწარწმუნოებისა მათ თან და თან ეპარებათ და ეთვისებათ. ქართველი ბიჭები, რომელნიც მალაკნების ცხოვრებას მოხვედრიან, სამალაკნოში გადადიან რჯულით. ეხლაც იტყვიან ჩვენი მსწავლულები, რათაც სთვლიან ივ. ჯავახიშვილს, რომ „ჩვენში მწვალებლობას თავი არ უჩენია და თავი მოგვაქვს უცთომელობითაო, რასაც ამტკიცებს, რომ

ქართველები ნიჭმოკლებულები ყოფილან და თავი არა ჰქონდათ სარწმუნოებრივ ბრძოლაში და პაექრობაში მონაწილეობის მიღებისაო".

სჯული, ჯვარი და სახარება საძირკველია ქართველი ხალხის ცხოვრებისა, უპატიობა და გულაყრილობა, როგორც ჩვენი ახალთაობა და ხალხიც ეპყრობა ეკკლესიას, ურიგობა და განუსაზღვრელი უბედურობაა ჩვენი მომავლისათვის. უნდა ვეცადნეთ, რაც მოხდა, აღარ მოხდ ს, „რაც ვართ, ნულარ ვიქნებით", და ეს სამარცხვინო ავაზაკობა, საცა გაჩნდა იქავე ჩაიღუპოს უფსკრულ საფლავში და აღარ იყოს ხსენება მისი საქართველოს შვილთა შორის. ერთი ბრბო უბედურთა, რომელთა მიმბაძავი აღარ ეყოლება, მეტეორივით გაჩნდა და ისევ სწრაფათ გაჰქრა, და ღმერთმა ნულა გაგვაგონოს რამ ამგვარი!

მარტის 15-სა. იმერეთიდამ იწერებიან ქართულ გაზეთებში, რომ ყ-დ მეუფე ლეონიდემ განკარგულება მოახდინა, რომ იმერეთის ეკკლესიებში თოთხმეტს იანვარს უთუოდ წირვა იყოს შესრულებული და ეს დღე დადებულ იქმნას სადღესასწაულოთ საეკკლესიო წესით. ჩანს წინათ არა ყოფილა მიღებული წესად თოთხმეტს იანვარს ეწირათ, ან თუ იყო ნაბძანები—არ ასრულებდნენ საერთოთ, ან ზოგი ასრულებდა და ზოგს ავიწყდებოდა ეს ქართველთათვის დაუვიწყარი დღეს პატიოსანი და წარჩინებული განკარგულებაა, ლეონიდე ეპისკოპოსმა და შემდეგ კირიონმა დააჩვიეს ხალხი სიონში ტარებას თოთხმეტ იანვარს წირვა-ლოცვაზე და ეხლაც მიჩვეულობით მრავალი მლოცავი მისდევს. წინათაც ვამბობდით, ეხლაც ვიმეორებთ, რომ ყოველი სიკეთე და სიავე ჩვენის გულის სიფაქიზისაგან წარმოსდგება, თუ ჩვენ სულით მდაბალნი არ ვიქნებით, ვერავინ დაგვიშლის ქართულად ვერც ლოცვას, ვერც სწავლას, თუ ჩვენ მტკიცეთ ვიდგებით საერო ვალის შესრულებაზედ, წინ არავინ გადაგვიდგება,—ასე, ამას ნუ ჩადიხარო. არც ეკკლესიისა, არც ჩვენი ეროვნობისა, დაიჯე-

რეთ, არავის არ ეშინიან, არცა რა ეფიქრება, არც ვისმე ვსძულვართ, იმიტომ რომ მორჩილნი და კეთილმორწმუნენი ვართ და არავის რას ვუშლით ზოგი გამოძვრება ხოლმე საიდამღაც და ჩვენს ეროვნებას, ეკკლესიას და შკოლას, ე. ი. ქართულის ენის სწავლების წესს, ტუქსვას დაუწყებს ხოლმე, მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ იგინი არიან დაუპატიჟებელი დარაჯები და თავის გამორჩომის გულისათვის ყოყოჩობენ, ჩვენ კი „ერთობას დაკარგულთ“ გული გვისქდება და სოროებში ვიმალებით და არ ვიცით არც დრო, არც ალაგი —როდის და სად უნდა შეტევა, ან დახევა და თავისდახრა. სულ სამუდამოთ თავდაკიდულები დავდივართ და მტერსაცა და მოყვარესაც ლაჩრები ვგონივართ. თითო-ოროლანი მარტო ენით, მარტო ხელით, თუ სიტყვით შეუბრუნებენ—უბედურობის მსხვერპლად გადიქცევიან ხოლმე, იმიტომ რომ მარტოხელაა,—და მარტო კაცი, მოგეხსენებათ, პურის ჭამაშიაც ბრალიაო.

ჩვენ დიდად პატივცემულ და ღრმად მიჩნეულ მღვდელმთავარს ამ ფრიად წარჩინებულ განკარგულებაში ღმერთმა ხელი მოუმართოს. კეთილი თესლი ნაყოფსაც კეთილს მოიყვანს, კეთილი მწყემსი სამწყსოსაც კეთილად უვლის.

მარტის 17-სა. გარეთ გასული ყ-დ მეუფე კირიონი დაუდგრომელ შრომასა და სამწყსოს წვრთნაში არ ივიწყებს თავის წინანდელ სამწყსოსაც, არ ივიწყებს საყვარელ საქართველოს. მას ქართველთა კვალისათვის ხერსონის ეპარქიაშიაც მიუგნია.

ეპისკოპოზი კირიონი ერთგული და შეურყეველი მონაა მართლმადიდებელი ეკკლესიისა, კეთილ-მოწყალე მღვდელმთავარი, უშიშარი და მხნე მხილებელი საცა ჯერ არს. შეურყეველი მხილებელი მწყემსი ძრიელ ესაჭიროება ეხლანდელ ჩვენს გულგაგრილებულ მრევლს, ჩვენს უგზო-უკვლოთ მავალ წევრთა მოწინავე საზოგადოებისას, ჩვენს გაქსუებულს ერსა. მტკიცე წესის აღსრულება და მხურვალე ლოცვა ამკვიდრებს

მრევლში სარწმუნოებას და ჭეშმარიტების გზას აფართოვებს, ხოლო საქმე, მხნეობა, შრომა და არა ცალმხრივი ლტოლვილება ჰბადებს ხალხის უკეთეს მომავალსა. მუდმივ მხნეს და დაუდგრომელს წინამძღვარს ბევრი ჭირი და ვაგლახი ეფერხებოდნენ წინ საქართველოში მოღვაწეობის ჟამსა, სადიდებელად და აღსადგენად საქართველოს ეკკლესიისას, ბევრი რამ ხილული და უხილავი, შინაური და გარეშე მიზეზები ხელს უშლიდნენ, მაგრამ მაინც ვერ შეაყენეს იგი: ეკლიანი გზით მგზავრობა ხვედრია წმიდათა მოღვაწეთა და მშრომელთა; თავის ქვეყნის, საქართველოს მოშორებამ, არ შეუმცირა დაუცხრომელი ლტოლვილება სამშობლოს სამსახურისა და იქაც, შორს ქვეყანაშიაც, სამუდამოთ ახსოვს იგი, იღვწის იქაც და ადიდებს წმიდათა საქართველოს ეკკლესიისას და მისი შრომა და ღვაწლი ჰფენავს სიმართლის ნათელს ჩვენს წარსულ ცხოვრებას და ისტორიას. ღმერთი მოწყალეა ყველა ადამიანისა, ხოლო ჩვენც უნდა ვიმხნეოთ, ვიღვაწოთ, რომ ღმერთიც შეგვეწიოს და კაცმაც მოგვიწონოს. საქმიანობით შევიძენთ მეზობელთა პატივს და ბატონთა წახალისებას. ისეთ დროსა ვსცხოვრობთ, რომ განვითარების გზაზე სვლა თითო კაცისათვის ყ-დ დაუბრკოლებელია, ყველა ჩვენგანს შეუძლიან შეითვისოს და დაიმსახუროს „სპეციალისტობის“ სახელი, რომელსაც გინდა მეცნიერების დარგში, ღვთისმეტყველებაში, ისტორიაში, საექიმო საქმეში, ადვოკატობაში. არაფერი წინ არ გვიდგა, რომ კერძოთ, ვინც უნდა იყოს, გავხდეთ გამოჩენილი მსწავლულნი, მეცნიერები და „სპეციალისტები“, მაგრამ საუბედუროთ ვერავისა ვხედავთ, არის ორი თუ სამი სწავლული პროფესორი ქართველობაში—და მეტი არა! ეს ასი წლის განმავლობაში! მხნეობა და შრომა რომ გვიყვარდეს და ვიცოდეთ, მაშინ სულ სხვანი ვიქნებოდით. აბა გადაშინჯეთ რამოტელა ნაწერები და ნაშრომი გამოიცა კირიონ ეპისკოპოზისა ამ ბოლო დროს, და ბევრი გვყვანან მშრომელნი კირიონები და ხახანოვები? ყველამ იცის, რომ არა,

და არა გვყვანან, იმიტომ, რომ შრომა, მუშაობა რიგიანად არ ვიცით. არა ვართ გაწვრთნილნი ცოდნის შეძენაში და გაფართოებაში.

ეპისკოპოზი კირიონი სამსახურის აღსრულებაში და თანამდებობის ერთგულობაში მკაცრი და მოურიდებელი უფროსი იყო და ჩვენს გულ-აცრუებულ და დაუდევარ მღვდლებს როდი მოსწონდათ! ერთ დამსახურებულ ბლაღოჩინს, ისევ ისიდორის დროისას, საყვედური შემოუთვალა, რატომ ძველ-ძველ ხატებს, ეკკლესიის არხივებს და ქონებას რიგიანად ყურს არ უგდებო, რადგან ბევრი რამ ყურადღების ღირსი, თუ დოკუმენტი, თუ განძი ძველი დროისა, წახდა, შეირყვნა, ან დაიკარგა და გაფუჭდა დაუდევრობით. კანონიერი საყვედურია! მაგრამ რა ჩაიდინა ბლაღოჩინმა: საჩივარი გასცა დამსახურებულს კაცს—უპატიობა მოშაყენაო!

ყველამ თანადებული ვალი სინიდისიანათ უნდა ვათავოთ, ყველანი უნდა ვშრომობდეთ, თავთავის წრეში, დაწინაურებულ პირთ ქართველთა პატივი ვსცეთ, მაშინ ღმერთიც აღარ დაგვივიწყებს, მტერიც პატივს დაგვდებს და მოყვარე ხელს დაგვახმარებს.

მარტის 27-სა. „მ. ვ.“ სწერია, რომ „ზაკავკაზიაში“ ასიათასი დესიატინა დაიმიჯნა ხაზინამაო და ამ ალაგზედ დაეტევა ხუთმეტი ათასი სახლობა რუსეთის შიგნითა გუბერნიებიდგან გადმოსახლებულთაო. ამ განწირულ დამიჯნულში, რასაკვირველია, ჩატანებულია მეტი წილი საქართველოს მამულებისა. ერთმა ნაცნობმა მითხრა, რომ ნიკო გამრეკელი ამბობსო, საქართველო აკროშკაოო“! აკროშკა ჩვენებურად რომ ვსთარგმნოთ ხომ ცხრა წვენა გამოვა. მართლაც ჩვენში —ქართლში, თუ კახეთში ერთი სოფელი არ არის, რომ უცხო არავინ ერიოს, წმინდად ქართველებიდგან შესდგებოდეს, ყველგან უთუოთ ურევია სომეხი, ურია, ოსი, თათარი, ლეკი, მალაკანი, მუღალო, რუსი, ესტი, ნემეცი.

ყველაზე ნაკლებად მაინც კიდევ მართლმადიდებელი რუსები არიან, ისინიც ცალკე არიან დასახლებულნი, არ არიან ქართველებში დარეულები. ოსები ბატონებად გადაქცეულან ქართლში და პატრონებს აღარ უშვებენ თავიანთ მამულებში, სულ ჩვენიაო, ჩვენ ხიზნები კი არა პატრონები ვართო. კახეთში ოსები არ არიან და, როგორც ალაზნისპირელი იწერება გავაზიდამ, კახურ თავადისშვილებს მიუპატიჟნიათ იგინი, ვეზიროვი ხომ მოჰკალით ქართლში, ეხლა ჩვენ დაგვასხედით თავზეო.

თათრები ხორუმებათ არიან დასახლებულები და ძრიელ აწუხებენ ქართველ ხალხს: ქურდობენ, ავაზაკობენ და ქართველები იგერიებენ, იგერიებენ და ვერას გზით ვერ იცილებენ თავიდგან.

სომხები გლეხებათ არიან მიწერილნი ქართველების სოფლებში, სომხის სჯულისანი არიან, ჩამომავლობით ქართველები, ქართული გვარები, ქართული ენა, ზნე, ჩვეულება. ამის მიუხედავად „გიტარიანი“ და თვალ სათვალებიანი ტერტერები, შავად გატრუხულები, აჩვევენ ქიშპობას, მტრობას ქართველებთან; საცა ხელი მიუწვდებათ წყალს ამღვრევენ და ნებას არ აძლევენ ქართველებთან ნათესაობისას და დამოყრობისას, ქართველ ქალს არ ათხოვნინებენ, არც ქართველს დაასიძიანებინებენ—გარუსდებითო. ქართველებმა თავისი ქვეყანა გადაყლაპესო, ეხლა ჩვენც შეგვაჭმევინებენო. ახჩალოსა და ჯავახეთში სომხებს უკეთესი მამულები უჭირავთ. სომეხმა ხატისოვმა თავის გამგებლობის დროს რაც საუკეთესო მამულები იყო ხაზინისა სომხებს დაუთმო, ქართველები კი გორაკებზე დაატყვევა. იმის მოადგილეთ ქართველი გამრეკელი დანიშნეს და დალოცვილმა ხალხს ხომ არა არგორა და იმის დევნაში იყო, თავადიშვილებს რაც უჭირავთ წავართვათო და ხაზინაში ჩავწეროო!

მალაკნები დარეულები არიან ქართველ სოფლებში და მამულებში. მალაკანი მავნე ხალხია, უგულო, შეუბრალებე-

ლი და არა მალაკნის-მეზობლის დაუძინებელი მტერი. ქართველებს მალაკნებთან არა კავშირი არა აქვთ. მამულები კი უკეთესი ქართველებს ჩამოართვეს და მათ მიუზომეს—წყლით, სათიბით, სახნავებით გამოწყობილი, სწორე და ვაკე ალაგზე.

დუხაბორებიც მიუკარებლები არიან, სინიდისიანი და პატიოსანი ხალხია, მეზობლის მოყვარული, ქართველები არ მოსწონთ: უწესო ხალხიაო და ხელთუყარიო.

მართლმადიდებელი რუსები ჯერ ეხლა დასახლდნენ, ვინიცის ქართველებთან როგორ მორიგდებიან. ვინც წინ დასახლდა, ისინი „ოსტავკაში“ გამოსული რუსები არიან, ნასალდათარები. იმათთან ქართველები კარგათ მოეწყვნენ, ქართველებთან მისვლა-მოსვლა აქვთ, ქართულად ლაპარაკობენ, ქართველ ქალებს ირთავენ. ქართველებს კი არ მოსწონან ისინი: „პიანიცები“ არიანო.

მართლა რომ საქართველო „აკროშკად“ გადაქცეულა და ცხრაწვენიაობაში ყველაზე მჭლე ნაჭერი ქართველია: ყველანი მსუქნათ ცხოვრობენ, ქართველი კი ღარიბია! მომავალში უფრო გაღარიბდება, ამოტელა არეულ ხალხს სულ ქართველების მამულზე ასახლებენ, ქართველებს აჭრიან და გადმოსახლებულთ ჰკერძავენ. მარტო რომ რუსებს აძლევდნენ, კიდევ არა უშავდა რა, როგორც იქნება ქართველი კიდევ იოლას წავიდოდა, საქართველოს მამულს ყველას უჭრიან, ყველას აძლევენ ქართველების მეტს: მალაკანს, სომეხს, ესტონს. საქართველოს არტანის მხარეში ქართველებმა ითხოვეს მამული და არ მისცეს, დაასახლეს სხვადასხვა ჯურის ხალხი. ამის გარდა მეტი უარესობა უყვეს ქართველ ხალხს: მამულები დამიჯნეს, რაც მამულები გლეხებს ეჭირათ სრულიად ჩამოართვეს, ხაზინისაო, და ზომით დაუნიშნეს ყველა საზოგადოებას სათემოთ სახმარებლად ცოტა-მატა ალაგები, სადაც ჯერ ეხლაც ვერ მოტრიალებულან.

გლეხებში მღვდლებიც ერევნენ და აზნაურებიც. მღვდლებს მამაპაპითვე დიდი მამულები ეჭირათ საკუთრებად და

სასოფლოშიაც წილი ედვათ. ეხლა საკუთრება ჩამოართვეს და სათემოშიაც წილი აღარ მისცეს. გლეხებს ბევრი თუ ცოტა მაინც მოუჭრეს რამე, და სასულიერო წოდების ხალხი კი პირცარიელები გაუშვეს, ასე რომ, უნდა თუ არა, ღვდლის ან დიაკვნის შვილმა უნდა აიკიდოს გუდა-ნაბადი, დახუჭოს თვალები და ჯანაბის გზას გაუდგეს: გაშორდეს თავის დედმამის ძვლებს. მამაპაპეულ არემარეს, ნათესაობას, თავის სოფელს, თავის ძმასა და მეზობელს. სოფელში მამულს გლეხისგან ვერ იყიდის, გლეხის მამული ხაზინისაა და ჰაერში კიდე ხომ ვერ იფრენს ჩიტივით. მწარეა სასულიერო წოდების მდგომარეობა, აგრეთვე აზნაურებისაც, რომელნიც თავიდამვე თავის სოფელში გლეხებთან ერთათ ცხოვრობდნენ, მოქმედობდნენ საკუთრივ შეთვისებულ სახლ-კარში, სახნავ-სათიბში და სასოფლო მამულში. გაუგებარი დრო და ჟამი დადგა და მარქსი კი არა—ჩვენს ქვეყანას ეშმაკებიც რომ დაეპატრონნენ, საკვირველი არ იქნება. ამ გაჭირებულ დროს და შეწუხებაში ხალხს ისევ თავადიშვილუბმა უნდა უწინამძღვრონ: თავისი მამულები ოსებსა, თათრებსა და სხვას კი არ უზომონ, ისევ ჩვენს ხალხს, თავის მოდგმისას, ქართველ უმამულო ხალხს დაუთმონ ფასით, ვალით და შელავათიანი გადახდით და სყიდულობით, დაუთმონ რაც თითონ არ ესაჭიროებათ, რასაც ველარ იმაგრებენ და რაც უსხლტებათ ხელიდამ. პრიკაზში დაგირავებულ მამულებს დღე-დღეზე დაურღვეველი და აუცილებელი ხიფათი მოელით, ეხლავე სჯობია შეუდგნენ საქმეს და რაც ხელიდამ ეცლებათ, თავის ნაყმევებს, თავის მეზობლებს, ერთი სიტყვით ისევ ქართველებს შეაძლიონ და შეაძენინონ.

აპრილის 6-სა. სწორეთ ამავე საგანზეა დღევანდელ „ივერიის“ ნომერში წერილი ა. ნ—სა ქიზიყის მამულების დავაზე ხაზინასთან. 23-ს მარტს სუდში ჰქონდათ დავა ქიზიყიდამ მაღაროველ აზნაურშვილებს—ნაცვლიანებს, ნასიძეებს და მღვდელ-დიაკვანთა ჩამომავალთ და გლეხებს— ჭრელაანებს,

მესტიაშვილებს და დოდაშვილებს. როგორც წერილიდამა სჩანს ნაცვლიანთ, მესტიაშვილებს და დოდაშვილებს მოუგიათ და დაუსაკუთრებიათ მამულები მაღაროში, ნასიძეებს და ჭრელაანებს კი სულ ერთიანათ ჩამორთმევიათ რაც რამ ჰბადებიათ, თან ბ. ა. ნ—ი განმარტავს, რომ ნასიძიანთ და ჭრელაანთ ისე ვერ დააყენეს საქმე, როგორც წესი იყოო და იმასაც, რომ ვინც მოიგო, იმ მხარეს ადვოკატათ ჰყვანდათ კალანტაროვიო. ეს ადვოკატი კალანტაროვი რადა მეტი აბრაა! განა მდარეებს კი არ ეყოლებოდათ ადვოკატი? ან რა საჭიროა ადვოკატი საქართველოს სახალხო მამულების დავაში!

საქართველოს მამულები სულ სახელმწიფოა: ერთია სახალხო, მეორე სათავადო. სათავადო მამულები ნაბოძებია თავადიშვილების მამა-პაპებისათვის ერთგული და თავდადებული სამსახურისათვის მეფისა და სამშობლოსადმი. ნაბოძები მამულების დოკუმენტები შეამოწმა რუსის მთავრობამ და იცნა ნამდვილად და ღირს შესაწყნარებლად.

რაც საქართველოს მეფეებმა უბოძეს თავადებს—ეს ამათი საკუთრებაა ხელშეუვალი, დანარჩენი მამული ხალხისაა, ქართველებისაა. მეფეების დროს ქართველი ხალხი დასახლდა და დაბინავდა თავის მამულებში და ყველა უბანს და სოფელს ეჭირა იმოტელა მამული, რასაც მოიხმარებდა და მოერევოდა. ვისაც რა შეეძლო, იმოტელას ღობავდა, ხნავდა, სთიბავდა, საქონელს აძოვებდა და მამულის და შეძლების დაგვარად სახელმწიფო და სასოფლო ხარჯს იღებდა და ბეგარას ეწეოდა. ზოგმა თავი ისახელა, ქვეყანას ასიამოვნა და მეფეს ერთგულობა და სამსახური მოაწონა, მეზობელიც არ მოიმდურა; ესენი მეფემ ამის გულისათვის გააყალაღნა, ახადა ამათ ხარჯი და ბეგარა, ე. ი. აზნაურებად აქცია. გაყალაღნებულნი იყვნენ ამგვარად ჩვენში მღვდლებიც, დიაკვნებიც და მათი ჩამომავლობაც. რუსებმა აზნაურების ყალაღნობა „დვორიანსტვოთ“ მიიჩნიეს და თავადებთან გაათანასწორეს და მამუ-

ლების მხრივ კი ვერ გამოიკვლიეს, რა ეკუთნით და რა არ ეკუთნით. ასე, რომ აზნაურები, მღვდლები, დიაკვნები—ყველანი თავთავიანთ სახალხო-საქვეყნო მამულებში დარჩნენ და წილიც ჰქონდათ ხვნაში, თიბვაში, მინდორში, საძოვარში, წყალში, გლეხებთან ერთათ, ისე, როგორც ეს უკანასკნელები, იმ განსხვავებით, რომ გლეხი ბეგარასა და ხარჯს იხდიდა, მღვდელი, დიაკვანი და აზნაურები კი ისევ გაყალაღნებულნი დარჩნენ. ასე იყო და მიმდინარეობდა რიგიანათ ცხოვრება აზნაურისაც, გლეხისაც და მღვდელ-დიაკვნისაც და არავის ფიქრადაც არ მოსდიოდა, რომ სახალხო მამულებიდგან აზნაურებს და მღვდელ-დიაკვნებს გამოლალავდნენ, ტაბარუკათ აქცევდნენ და ჯანაბის გზას გაუყენებდნენ. მამულების გამიჯვნამ კი საცოდავად გაამწარა იგინი. გათავდა მამულების გამიჯვნა, ყველამ თავისი საკუთრება მიიზომა და მიიკუთნა. წავიდა „ზემლემერი“, მოვიდა ახლა სახელმწიფო მამულების მოხელე და დავა დაიწყო,—„არც აზნაურსა და არც მღვდელსა და დიაკვანსა თქვენს მამულებში წილი არ გიძევთო, უმამულონი უნდა ეყარნეთ და საითაც გინდათ დაიღუპენითო; გლეხკაცობას კიდევ, რომ „გლეხს“ საკუთრება არა აქვსო, რაც ეხლა მოგიჭრა—იმას უნდა დასჯერდეთო სიკვდილამდი, დანარჩენი სულ ჩვენია, ვისაც გვინდა იმას მივსცემთო“. აზნაურებმა და მღვდელ-დიაკვნებმა დავა დაიწყეს, საქმე სასამართლოში—სუდში—გადავიდა. გლეხებმა სუდს არ მიმართეს, მაინც არას მოგვცემენო და ხარჯი და მოცდენა მეტი იქნებაო, თავი გაანებეს. ქართველს ხომ ცოტა უნდა, სანამ ცოცხალია ეყოფა რაც მოუჭრეს და როცა მოკვდება —ღმერთმა იცის, შვილს არგუნებენ-ღა რასმე თუ არა—ამაზე აღარა ფიქრობს. სუდმაც აიღო, დაიღო და სუყველას კისრები დასწყვიტა, მწვადიც დასწვა, შამფურიც. ხალხიც აზარალა, ხაზინაც. სუდმა ზოგ აზნაურს არგუნა და დაუმკვიდრა: რაც გიჭირამს ეგ ხომ შენია და შენიაო და რაც არა გჭერია ეგეც შენიაო; ზოგს კი პანღური უჭირა, რაცა გჭე-

რია—შენი არ არის, ხაზინისაო. მღვდელსა და დიაკვანსაც ეს პასუხი მისცა: ზოგს, რომ შენ მღვდელი და დიაკვანი კი არა, გლეხი ხარო და შენ მამული ვინ მოგცაო, ზოგს კი დაუბეჭდა დავა, შენ მღვდელი და დიაკვანი ყოფილხარო და როგორც გიცხოვრია, ისე იცხოვრეო შენს სოფელში, რაც მამული სოფელში გჭერია და გიხმარია, სამუდამოთ შენი იყოსო და შენი ჩამომავლობისაო. თავის ორჭოფა დადგენილებას ჩვეულებრივ სუდი იმით ასაბუთებს ხოლმე, რომ მოდავემ მოწმები გამოჩეკაო, რომელთაც აჩვენესო, რომ ესა და ეს მამული მავნისაო! ზოგის მოწამეს კი არც ჰკითხავენ, სახელმწიფო მამულს რა მოწმები უნდაო. ეს იმისთანა მოდავეები არიან, რომლებსაც „პირისანახავი“ არ გაუღიათ, ამიტომ ხრიკებიც არ აცრიან. როცა გამიჯვნა ხდება, გაიძვერა აზნაურები და ვირეშმაკი მღვდელ-დიაკვნები „ზემლემერთან“ „პირსანახავად“ ხშირად დაიარებიან და „პატივსა“ სცემენ ხოლმე; სოფლის ამორჩეულ კაცებს და მამასახლისს ყელს უსველებენ, ჩვენი მხარე დაიჭირეთო, ზოგს ქალამნებში სახლის კერის მიწას ჩაუყრიან ხოლმე, თქვი ფიცს ქვეშაო, რომ მიწამ შემჭამოსო, თუ ამის მიწაზე არ ვიდგეო. ამ მღვდლებსა, დიაკვნებსა და აზნაურებს „ზემლემერმაც“ და სუდმაც აკუთნა საქვეყნო მამულები, ე. ი. დაუმტკიცა რასაც ხაზინისას ეძახიან.

მეორე ჯურის აზნაურები და მღვდელ-დიაკვნები არ მიეკარნენ არც „ზემლემერს“ და არც ამორჩეულ სოფლის კაცებს და სუდში სინიდის ქვეშ განაცხადეს, რომ რაც გვიჭირავს ჩვენია, როგორც ქვეყანა, ისე ჩვენ მკვიდრი მცხოვრებლები ვართ ათასი და ათიათასი წლობით, როგორც დანარჩენი ჩვენი მეზობლები—გლეხი, აზნაური, მღვდელი. ამათ არა არგუნეს რა, სულ პირცარიელები დაჰყარეს.

დიდი უსამართლობაა! საქართველოში თავადების მეტს დასაკუთრებული მამული არავისა აქვს; ყველას თავისი წილი ეჭირა და ხმაროობდა სათემოში. ეს წესი არ უნდა დარღვეუ-

ლიყო და ყველას თავისი დარჩომოდა. ზოგი ხმაროობდა მამულს, ზოგი ვერა, ვინც არა ხმაროობდა, არას აშავებდა, თითონ არა, შვილი მაინც მოიხმარებდა და სამუდამოთ სოფლის ბინადრად ითვლებოდა. ეხლა კი, გინდა თუ არა, უნდა ასდგე, გამოეთხოვო სამუდამოთ შენს სოფლის მტვერსა და გზათა უკან იხეტიალო. სუდი იმას არგუნებს, ვისაც დიდიხნის ჭირნახული უძევს მამულშიო, ვინც დიდიხნის ყალაღანიაო, ვინც გლეხის წოდებას მოშორებია და თავი სასულიერო წოდებისათვის შეუფარებიაო, ვისაც დოკუმენტები აქვსო. სულ ტყუილია! ქართველი ხალხი და კერძოთ ყველა ქართველი დასახლებულია თავის მამულში ათასი წლობით და ყველას თავის მამულში ოფლი კი არა ზღვისოტელა სისხლი ჩაუნთხევია, შვილს თუ არა, მამა-პაპას მაინც, მაშასადამე, რუსული „ზემსკაია დავნოსტი“ ვისიმე კუთვნილების დასამტკიცებელი საბუთი არ არის. ამასთანავე ჩვენი მამულების საქმე სუდში კი არ უნდა სწყდებოდეს, არამედ ადგილობრივი ადათით, ხალხის მიჩვეული წესით და რიგით. მამულების გამიჯვნამ სოფელი სოფელს მართალია მოარიგა, მაგრამ ბევრი უსამართლობა კი დაატრიალა, ბევრი ტაბარუკათ აქცია, ბევრი ოჯახი დაღუპა, გაიძვერებს და ქრთამის მძლეველთ არგუნა, რაც არ ეკუთნოდათ, მართალთა და სინიდისიანთ კი მოსწყვიტა, რაც შეულახავ საკუთრებას შეადგენდა. რუსებმა იციან—ღმერთი მაღლაა და მეფე შორსო, ქართველს კიდე შორს ტარება სიღარიბის გამო ვერ მოუხერხებია, ღმერთიც ამ ბოლო დროს დაივიწყა და საყდრების მტვრევას მიჰყო ხელი, და დგას ეხლა გზა-დაკარგული. აქამდის მამულს იყო მიკერებული, ბევრი იყო თუ ცოტა ყველას თავისი ბინა, თავისი თავშესაფარი რამ ებადა, ეხლა ისიც აღარავისა აქვს: გიყვარდა, მამავ, გუთანი, დაწე და დაიძინეო. ჩვენი გზაკვალდაკარგულები თავგადაგლეჯილები უქადაგებენ მუშებს, სოფელს მოშორდითო, ფაბრიკების მყრალს ჰაერს დაეწაფენითო და ეხლა უქადაგებლადაც ყველას სოფლიდამ პანღური

ჰკრეს: გადით, თქვენ ბადლად ბევრი გვყავს დასაბინავებელიო...

აპრილის 10-სა. გაზეთებიდამ გავიგეთ, რომ ყ დ მეუფე ლეონიდემ ქართველთა წერა-კითხვის საზოგადოებას მოულოცა ოცდახუთი წლის იუბილეიდა ათი თუმანი შესწირაო. ეგრეთვე ცნობილმა ქველმოქმედმა ს. კ. ზუბალაშვილმა მიულოცა და გამოუგზავნა საჩუქრად ათასი თუმანი. სხვებისგანაც კერძო პირთაგან, თუ დაწესებულებათაგან, მოსვლია მოლოცვის წერილები, ტელეგრამები. ქალაქმა კი, ე. ი. ქართველმა საზოგადოებამ ქ. ტფილისში და სხვა მაზრის ქალაქებმა, უჩუმრად ჩაატარეს ეს დღე. გაზეთებმა აცნობეს მარტოთ საზოგადოებას, რომ 31 მარტს წერა-კითხვის საზოგადოებას უსრულდება ოცდახუთი წელი დაარსებისა, გამოსცეს დამატებით საზოგადოების წესდება და სია საზოგადოების დამფუძნებელთა. სიაში ჩაწერილნი ყოფილან წარმომადგენელნი მთელი მალალი წრის ქართველ საზოგადოებისა, განურჩეველად ხარისხისა და ჩამომავლობისა. „ცნ. ფურც." ნახატებიც დაუმატა ოთხი სურათით და დახატულებს დამფუძნებელნი დაარქვა. რა საბუთით გადაარჩია ეს ოთხი და ამოტელა მაღალ-ხარისხოვან ხალხში მარტო ამათ რათ დაარქვა დამფუძნებელთა სახელი—არა ჩანს ნაწერებიდგან. ღმერთმა ხელი მოუმართოს ჩვენ ხალხსა და კერძო პირთა საქვეყნო საქმის წარმოებაში და გაფართოებაში. ღმერთმა მხნეობა და წმინდა ლტოლვილება განუძლიეროს მუშაკთა და მოღვაწეთა სახალხო შკოლის დასაცავად და აღსადგენად. წერა-კითხვის საზოგადოების საქმიანობაზე ცოტა რამ ისმის, არცა რამ რიგიანი და გულისგამკეთებელი ამბები გაგვიგონია მის შკოლებზე, რიცხვითაც მცირეზე; თუმცა თავათვე საზოგადოებამ საქმის მწარმოებლათ დააყენა განვითარებული მოთავე პედაგოგი ბ. ლოლობერიძე და გატაცებული საქმიანი და მხნე მუშაკი დ. ყიფიანი, რომელთაც დაუდვეს მკვიდრი სათავე მომავალ ქართულ შკოლას,—ჩვენს ქვეყანას მოედვა ეკალივით მრავალი

ჯურის შკოლები, მათ მოსდევენ მოპატიჟებული პატრონები, რომელთაც არც კი სჯერათ, რომ საქართველოს შეეძლოს ქართული შკოლის დაარსება და წარმოება. წერა-კითხვის საზოგადოების წარსულმა გამჭრიახობამ ვერ წარმოუდგინა ვერა საბუთი ცოცხალი მოქმედებისა, ვერ შეჰქმნა მან ნიმუში ქართული შკოლისა, რაც სოფლებში ანუ სხვაგან სადმე პირველდაწყებითი შკოლები აქვს და დაუარსებია, ყველა თვალყურმადევნებლებს ჰგონიათ, რომ სამინისტრო შკოლებიაო. გუთნის დედებმა თავათვე კარგა გაუწყეს გუთანი, ღოლობერიძე და ყიფიანი კარგი გუთნისდედები იყვნენ, მეხრეებმა კი ვერ შესძლეს ბეჯითათ და გულმხურვალეთ ეტარებინათ დანიშნულ კვალზე. მარჯვე დროს დაარსდა ქართული წერა-კითხვის საზოგადოება, რუსეთში გაღვიძებული იყო პედაგოგიური საქმე, წერა-კითხვის საზოგადოებები ბევრგან იჩენდნენ თავს და სამაგალითოთ მუშაობდნენ, თუნდა ავიღოთ ხარკოვის საზოგადოება. ჩვენშიაც ყველანი ერთპირად ღაღადებდნენ შკოლების გავრცელებას, ხალხის განათლებას. ბ. ღოლობერიძე თავის დირექტორობის დროს სოფელ-სოფელ დადიოდა, ხალხს, საზოგადოებას, სასულიერო წოდებას—ყველას ამხნევებდა, შკოლები დახსენითო; ს. მესხის „დროება“ პირველს ალაგს ხალხის განათლების და სკოლების მოწყობას აძლევდა, ქართველი მაღალწოდების კაცნიც და ქალნიც ეხმარებოდნენ, მთავრობაც უფრო ხელს უწყობდა, და კარგი დრო ჰქონდა საზოგადოებას, რომ, რაც სასოფლო შკოლები იყო და ან ღოლობერიძემ დახსნა ქართლში და კახეთში, თავის მფარველობის ქვეშ მოეთავსებინა. ეხლა ყველა ქართულ სოფელში სკოლაა, ყველა საზოგადოება ხარჯს ეწევა შკოლების შესანახისას, გამგეობა კი და საქმის წარმოება აბარიათ იმათ, ვინც ქართულის სწავლებას არ დასდევენ, და სკოლადამთავრებული ყმაწვილები გამოდიან უცოდინარნი ქართულის ენისა და ქართული ყოველდღიური ლოცვებისა, ბევრი—წერა-კითხვისაც. ჩვენი სოფელი, ჩვენი ხალხი წერა-კითხვის

საზოგადოებაზე უფრო ახლოა, და თუ რამე დახმარებას და ხარჯს ეწევა, წერა-კითხვის საზოგადოების უფრო უპრიანია, მას უფრო გულიანად უბოძებდა, თუ კი მოთავედ გამოვიდოდა საქმის გამკეთებელი ადამიანი, რომ სოფელი თავისკენ გადაებრუნებინა. სოფლის აქეთ-იქით ტრიალი ამ ოცდახუთი წლის წინათ უფრო ადვილი იყო, ყოველი უფლება ქართველებს ხელში ეჭირათ, სხვა რომ არა იყოსრა, მაზრის უფროსები სულ ქართველები იყვნენ, მაღალი წოდებაც ჯერ გაღატაკებული არ იყო და პატივში ჰყვანდათ მაინც კიდე. თბილათ ოთახში ჯდომა და დაუსვენებელი მუშაობა საქებური საქმეა და ნამსახურობა, ხოლო ზოგმა ხალხშიაც უნდა იტრიალოს, როგორც ნ. ნიკოლაძე. ეს თვისება გვაკლია და ამიტომ ჩვენს არე-მარეს დაშორებული დავრწნივართ, ბევრს და მომეტებულს ჩვენგანს კიდევ საქმის გაძღოლა ვერ მოუხერხებია და იმის ბადლად „კოსმოპოლიტობას და მარქსისტობას“, იარმუკაზე ნაპოვნ დამპალ ქრისტომატიიდგან ამონაკითხს ავდევნებივართ, გაუგებარნი და შეუსმენელნი.

აპრილის 11 სა. დღევანდელ „ივერიის“ ნომერში სამაცხვინო და სასაცილო ამბავია დაბეჭდილი. ჩვენი კეთილისმყოფი ნათლია-მეზობლები ქადაგათ დაცემულან და გაზეთებში გაიძახიან, რომ ინგილოები სომხები არიანო, ასე რომ მოსე ჯანაშვილი და მღვდლები დ. ჯანაშვილი და ივანიცკები სულ სომხები ყოფილან. საკვირველია, რომ ყველგან სომხები ელანდებათ, სომხის სულს მგელივით სდევენ. ხახანოვილა იყო გაულანძღავი, ეხლა იმასაც უშვერი პირით ლანძღვა დაუწყეს. მალე იმასაც წავიკითხავთ, რომ მალაკნები, უდები, ოსები—სულ სომხები არიანო და დასაბუთებულ დოკუმენტებს გამოიტანენ ეზოვის ან ერიცოვის არხივიდგან, შარშანდელ დაწერილს, მეხუთე საუკუნის დატით ქრისტეს წინ. გაზეთი რასაც ასწავლით, ყველანი იმას გაიძახიან. მეფურნეთლახოები კი ეხლა იკვეხიან, რომ ადმირალი ალექსეევი სომეხიაო და ვიტტეც სომხის ჩამოშავალიო. მალე ოდესაც

და ასტრახანიც ოდესაკალათ და ასტრაკალაკათ გადაიქცევა და ვახტანგ მეფე, ასტრახანში სომხის ღვთისშობლის ეკლესიაში დასაფლსვებრლი, სომხების ვართანათ და ასტრახანი სატახტო მის ქალაქად. უდიერი რამ ხალხია: ფულიც ბევრი აქვთ, ვგონებ ჭკვაცა, მაღალ სასწავლებლების დიპლომებიც ბლომათ, თავზედ ევროპიული „კოტელკები", ტანზე ინგლისის „კოსტიუმები" და რამ ჩაუნერგათ მათ მეზობლის, მეტადრე ქართველებისა, გაუნელებელი სიძულილი, შური, ქიშპობა, მტრობა, თავხედობა და უსირცხვობა!? მერე ხელში რა უჭირავთ: ის, რომ სომეხი საცა კი გაჩნდება, ყველგან და ყოველჟამს ზიზღით იხსენიება. რათა? და იმიტომ, რომ სომხებს თავისთავის მეტი არავინ რათ მიაჩნიათ, მიტომ, რომ ისტორიას, სინიდისს და მეზობლობას დაურიდებლივ ფეხქვეშ სთელამენ. ვერც მაღალი სასწავლებელი, ვერც განცხრომილი ცხოვრება, ვერც სიმდიდრე—ვერაფერი ვერ შეაკეთებს მათს წამხდარ ხასიათს...

აპრილის 17-სა. საწყალი ლადო აღნიაშვილი, იმასაც მიწა მიაყარეს, ჯერ ისევ ყმაწვილ კაცს. სიკვდილით კი ოთხი წელიწადია რაც მკვდარი იყო ის საცოდავი!

მშრომელი, მუშა, თავგამოდებული მოღვაწე, მამულის ერთგული მოტრფიალე და მოსიყვარულე; ბევრი ფიქრები, მიუხწეველი სურვილები, განუზომელი ლტოლვილება, უჩირქო განცხრომილობა—ყველა თან ჩაიტანა, საფლავში გაიყოლა. მაკალითი ქართველი კაცის შემოქმედობითი ღონისა და უძლური შესრულებისა; გულკეთილი ამხანაგი, ზრდილი თანამშრომელი, ბევრის მოთავე, თავის ღონისა და სიცოცხლის ხნის შეფერებით ბევრის გამკეთებელი; გარეკნობითაც ფაქიზი და პედაღოგიაში ესტეტიკი!

უქონელი და შეუძლებელი შეძლებასაც შოულობდა და თავის თავს არას ახმარებდა, საქვეყნო საქმეს აძლევდა: აქ ქართულ გალობის და სიმღერების საქმის ვარაუდს ეწეოდა, ადგენდა და თავის ხარჯით წიგნებს აბეჭდინებდა, სპარსეთში სამას-ოთხასის წლის დაკარგულ ქართველებს ეძებდა! სამუდამო იყოს ხსენება მისი. ემსახურებოდა თავის ქვეყანას რამდენიც ძალა და ღონე ჰქონდა!..

***

გამდელი *)

(ისტორიული მოთხრობა)

ვუძღვნი მარიამ კაუხჩევს.

XI.

ბევრი ეთამაშეთ... ა?.. თქვე შეჩვენებულებო... არ გრცხვენიათ...—მიეხუმრა ამხანაგებს ნიკოლა. ამ ხუმრობას სხვებმაც ააყოლეს სიცილის ხმა.

— სუ... არ გრცხვენიან, ნიკოლა, მაგას 'რას მეუბნები...—იუკადრისა ზოსიმემ და ჩოხა კარგად გაისწორა...

— აა, რას ამბობ თუ ძმა ხარ... ის ჩვენი გამდელია... ეშმაკობა როგორ შეიძლება...—კრძალვით პასუხი უგო ნიკოლას სილომ...

— არა, არა... დაეთხოვეთ თუ ღმერთი გწამთ... გამდელი რა ის ვგონიათ თქვენ...—განაგრძო ნიკოლამ და როცა ხმა არავინ გასცა, ისევ დაიწყო:—რა კარგი რამ იყო, არა?—შეეკითხა ზოსიმეს. ზოსიმე ცოტა ხანს ჩაფიქრდა და მხოლოდ შემდეგ უპასუხა ნიკოლას:

მართალია, შესანიშნავი ლამაზია... მაგრამ გათხოვი-

---

*) იხ. „მოგზაური" №№ 3—4, 1904 წლისა.

ლია...—რაღაც სხვანაირად ჩაიცინა... იმნაირად, როგორადაც ამ დრომდე მას არ გაეცინა.

— გათხოვილია?.. მით უკეთესი...

ზოსიმეს ისევ ვაეცინა და ფიქრს მიეცა ..

საღამო ჟამზედ მგზავრები უკვე დანიშნულ ადგილას იყვნენ.

სამეგრელოს მთავრის ოტიას სასახლეში მრავალი ხალხი ირეოდა ერთმანეთში... თავად-აზნაურობა მთავრის მოწოდებაზედ მთლად ფეხზედ დამდგარიყო და დამზადებულიყო მტრის საწინააღმდეგოდ, რომელიც ჯერ კიდევ არ ჩამოსულიყო აფხაზეთიდგან... მთავარი ბრძანებას იძლეოდა, ხალხი კარგად დ`ემზადათ ბანაკებად, იარაღები რიგიანად დაერიგათ, ცხენებიც ეჩვენებინათ და თან სარდლებსაც ნიშნავდა.

სამი დღის ლოდინის შემდეგ ვარდასწყვიტეს კაცი გაეგზავნათ ფოთში ამბის შესატყობად ფაშის სასახლეში... აღმოიჩრჩიეს, და კიდეც გააგზავნეს რამდენიმე კაცის მხლებელობით, ზოსიმე...

ზაფხულის ის თვე იდგა, რომელმაც ხშირად იცის კოკისპირული წვიმა... იმ დღეს, რა დღესაც ზოსიმე თავის მხლებელებით ფოთში გაემგზავრა, კარგი დარი იდგა... თუმცა მზე არ სჩანდა, მაგრამ დედა მიწის ზედაპირი მშრალი იყო და მასთან ა`რცა იყურებოდა მაწვიმრად, მრისხნედ... მგზავრებისთვის ასეთი დარი მით უფრო სასიამოვნო იყო, რომ მზისაგან უზრუნველად შეეძლოთ დაეფარათ თავი...

ხანგრძლივის სიარულის შემდეგ მგზავრებს წინ გადაეშალა ტყიანი ნაპირი ჩქარარის რიონისა, რომელიც ჩვეულებრივ მიგრიალებდა შავი ზღვისაკენ... საღამოს ჟამი იყო უკვე... დასავლეთით ცის კიდე გაბრწყინვებული მოსჩანდა... ღრუბლების ნაგლეჯები ისევ ზღვისაკენ მიჰქაქანებდნენ... ტყეებში მგლების ყმუილიც გაისმა... მგზავრები დაუახლოვდნენ მდინარეს და მის ნაპირზედ ფართო გზას დაადგნენ... სინათლე ნელ-ნელა კლებულობდა. რამდენიმე წუთი სიარუ-

ლის შემდეგ მგზავრებმა შენიშნეს გზაზედ რალაც შავი წერტილები...

— მეთევზეები იქნებიან,—გაიფიქრა ზოსიმემ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ აზრი შესცვალა... კიდევ ცოტა ხანი და ყველას თვალ-წინ წარმოუდგა ხარ-ურემზედ მჯდარი ფედანი, რომელსაც თან რამდენიმე ბიჭი მოჰყვებოდა.. მგზავრებს აქ შეეჩერებინათ ურემი, რომ ღამისათვის თხევზი ეყიდათ იქვე მდგარ მეთევზისაგან .. ურემზედ რალაც-რალაცეები ეწყო.

— ზოსიმე!—სიხარულით მიეგება ფედანი. ზოსიმე ცხენიდგან გადმოხტა და გადაეხვია ფედანს...

გამდელთან ლაპარაკიდგან ზოსიმემ გაიგო, რომ მას ვერ მოუთმენია მალე არ გაეგო თავის შვილის ამბავი... რამდენი უხვეწნია მაქსიმესათვის, ფოთში წამომყეო, მაგრამ მაქსიმე ბატონის რჩევას დაჰყოლია... ბატონი კი ჯერ-ჯეროობით მოთმინებას ურჩევდა თურმე ცოლ-ქმარს...

— აბა წავიდეთ... მაგრამ უკეთესი იქნება, შენ გარედ მოიცდიდე... მე ყველაფერს შევიტყობ... ან შეიძლება კარისკაცები მოვისყიდოთ როგორმე და ჯარუ დაგვითმონ.—ურჩია გამდელს ზოსიმემ... გამდელი დასთანხმდა... ჩავიდნენ კიდეც დანიშნულ ქალაქში, გაუარეს ფაშის ციხეს და ქალაქის ერთ ბნელს და ვიწრო ქუჩაში შევიდნენ, ერთის სახლის წინ შეჩერდნენ... მახლობელ სახლიდგან ცხენის და ურმის ფეხების ხმაზედ ვიღაც გამოვიდა... სიბნელეში ზოსიმეს იგი პატარა წერტილად მოეჩვენა.

— ღმერთმა გაგზარდოს, აქ სადმე ღამის გასათევი ადგილი არ იშოვებაᲘ..—შეეკითხა ზოსიმე დაბალის ხმით და განცვიფრებაში მოვიდა, როცა უცნობმა ბოხის ხმით დაიწყო ლაპარაკი... უცნობმა ყველა თავისას მიიწვია, რადგანაც მას თვითონ ჰქონოდა სასტუმრო ოთახები... მგზავრები შევიდ.ნენ... მასპინძელმა ყველას უჩვენა ოთახები... ზოსიმემ გამდელს მოხერხებული ადგილი აღმოურჩია... ბიჭებს დააბარა

საქმელები მოეთხოვათ, თვიონ კი ფაშის სასახლისკენ წავიდა... ბოლოს ქალაქში, რომელიც სოფელს უფრო ჩამოგავდა ვიდრე ქალაქს, მხოლოდ აქა-იქ მოჩანდნენ ოდნავ-მბჟუტავი სანათები... ჰაერში ჯუჯუ-ყალიების ჭრიჭინი ირეოდა მდინარის ნაღვლიანს გრგვინვასთან... დიდხანს უყურებდა გამდელი უკვე წასულს ზოსიმეს და თვალ-მოუწყვეტლივ შეჰყურებდა ქალაქის ერთ კუნჭულში მაღალ სერზედ ამართულს კოცონს, რომელიც სახლის პატრონის თქმით, იქვე დატყვევებულთ უნათებდა!.. ბოლოს ბიჭებმაც თავიანთი ადგილი დაიჭირეს ოთახებში... ზოსიმეს თანამხლებლები ცხენებს უგდებდნენ ყურს ეზოში, ხის ძირას, სადაც შესაფერი საწოლიც იშოვნეს...

XII.

შემოდგომის ნესტიანი ჰაერი სუნთქვას უჭირვებდა ადამიანს. მტირალი, გატიტვლებული მიდამოები მოსჩანდნენ ფოთიდგან. მდინარე ისევ ძველებურად მოგრიალებდა.

იმ ღამეს, როდესაც ფიდანი და ზოსიმე ფოთში ჩავიდნენ, კარგი დარი იდგა. მთვარე გვიან ამოვიდა და სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ მხოლოდ შუაღამე გადასრულს შეანათა მან გამდელის ოდნავ მქვარტლიანის სანათით განათებულს ოთახში, რომელსაც ერთი ვიწრო ფანჯარა აღმოსავლეთისკენაც ჰქონდა... დიდი ხანი ჰფიქრობდა ფიდანი თავის ჯარუზედ... მას თვალებში ძილი არ ეკარებოდა; გულზედ ხელებდაკრეფილი იჯდა რამდენიმე წუთი თავის ლოგინზედ და დაღონებული შეჰყურებდა მქვარტლიან სანათს, რომელსაც თავს დაჰფარფატებდა შემოდგომის სიცივისაგან დაღონებული ფარვანა... ფანჯარაზედვე დაფრუტუნებდა ბუზანკალი, რომელსაც ღამის წყვდიადში ერთად-ერთ მახლობელ სანათისაკენ გამოემართა... გამდელის ყურადღებას ფანჯარაზედ ბუზანკალის

დრო-გამოშვებითი ფრატუნი მაინც ვერ იპყრობდა... სდუმდა ფიდანი: მის თავში სხვადასხვა ფიქრები ირეოდნენ...

„მეწისქვილე მოჰკლეს ოსმალებმა... ჯარუ მას მიეშველა და ამისათვის ტყვედ წაიყვანეს... ფაშა ალექსანდრე მეფესთან ერთად აფხაზეთისკენ არის წასული... ჯარუ... მორჩა... იქნება ფაშის ჯარშიაც ურევია... ან იქნება აქ არის... საბრალო ჩემი მაქსიმე... ის ხომ სულ გარდარეულია... რა ქნას არ იცის... თავის ერთად-ერთის შვილის ხსნას ელის... მე. . რა ვქნა... ნეტავი ზოსი...—ფიდანს ასეთ ფიქრებზედ თვალები ცრემლებით აევსო, გული აუძგერდა, აუხმაურდა, თვალები ერთს წერტილს მიაპყრო; რაღაც მოუთმენლობის ცეცხლმა გადაჰკრა დედაკაცს პირისახეზედ...

შორიდგან ხმაურობა მოესმა... ზევით წამოდგა, ფანჯრისაკენ გაიხედა, მაგრამ ვერაფერი დაინახა და ისევ თავის ალაგას დაჯდა. ხმაურობა განმეორდა... ფიდანმა ახლა კი კარგად გაარჩია ეზოში ცხენების ფრატუნი... ღონე მოიკრიბა, ყურები სცქვიტა, მახლობელ ოთახიდგან ბიჭები დაღლილობისგან ხვრინავდნენ... მჭვარტლიანი სანათის ალი აქეთ-იქით იზლა ზნებოდა ფანჯრის თაროებიდგან შემოსულ ნიავის სისინზედ... ფანჯარაზედ ბუზანკალა ისევე ფრატუნებდა...

„კიდევ არ მოდის... იქნებ ახლა ჯარუს ესაუბრება... ჩემი ძვირფასი ზოსიმე... ჯარუ!... მას დაენაცვლოს დედა მისი... ჩემის ოჯახის მომვლელი ის უნდა იქნეს ჩემის სიკვდილის შემდეგ... მეტი ვინლა გვყავს... ამდენი ხანი ბატონის მსახურება... ერთი პატიოსანი ცხოვრებაც არა... ჯარუ...“ —დედაკაცმა უკანასკნელი სიტყვები ჩაიჩურჩულა და დასაწოლად მოემზადა... დაწვა კიდეც.

შორით სადღაც მიბნედილი ყეფა ისმოდა დავრდომილის ძაღლისა... ყეფაც შესწყდა და მის მაგივრად რამდენიმე წუთში ეზოს ჭისკარმა დაიგრიალა... ფიდანი მოუთმენლობით მიესალმა ზოსიმეს...

— ფაშა ჯერ არ ჩამოსულა, დედი... მის სასახლეში დი-

დი ამბავია, ჰკვირობენ—ამდენი ხანი რატომ დაიგვიანა ალექსანდრე მეფესთანო... ფიქრობენ—ალექსანდრეს ხომ არ ულალატნიაო... ᲮᲐᲠᲣ იქ არის დამწყვდეული სასახლეში... მე არ მინახავს, მაგრამ ისეთმა კაცმა მითხრა, რომ მისი ამხანაგიც არის და ჩემი ნათესავიც... სარწმუნო კაცია... იმან სთქვა—კარგად არისო... ვინც მითხრა ანდრონიკე ჰქვიან...

— შენ თვითონ არ ნახე, ღმერთო!

— გამდელი ნუ მომიკვდება... იმას რა უჭირს... ის... სამი დღის შემდეგ მე ვარ მოპასუხე... შენს შვილს სახლში მოგიყვან... მე ვამბობ ამას—ზოსი...

— შენ ამბობ...—დედა-კაცს თვალებიდგან ცრემლები გარდმოსცვივდა.

— ნუ... ნუ ტირი...—ზოსიმე ახლო ჩამოᲮᲓᲐ და ნელა დაუწყო ცრემლების წვეთებს ხოცვა სუფთა სახოცით...

გამდელი ფიქრს მიეცა. ზოსიმეს სანათის სინათლეზედ გამდელის ანგელოზებრივი სახე ერთი ორად მოეჩვენა... მთელი მისი აზრი, გონება მხოლოდ გამდელის ეშხმა შეიპყრა, იგი თითქმის არაფერს არ ხედავდა გარშემო... ბედითმა წუთმაც დაჰკრა და ზოსიმე უგრძნობლად ჩაეხვია გამდელს...

სანათის ალი უფრო მეტად იზლაზნებოდა აქეთ-იქით, თითქოს სურსო ამ წუთში გაჰქრესო... ფარვანა ისევ თავს დასტრიალებდა მას... ბუზანკალამ ფანᲯარაზედ ერთიც უკანასკნელად დაჰფრუტუნა და... მიჩუმდა... ნაღვლიანმა ჰაერმა ერთიც საგრძნობლად შეჰკივლა ცოდვის ოთახში...

მეორე დილა ადრიანად მინდორზედ, მასპინძლის ეზოში შემოკრებილიყვნენ ბიჭები და ცხენები აღეკაზმათ, თანაც ხარ-ურემიც დაემზადათ... ბიჭებში ზოსიმეც ერია... მას რაღაც უკმაყოფილება—სევდიანობის ღიმი უკრთოდა პირისახეზედ... ღმერთო!.. მან მოატყუა გამდელი. ფაშა ჩამოსულია აფხაზეთიდგან... და საბრალო ᲮᲐᲠᲣᲪ უკვე მოცილებული წუთისოფელს... ზოსიმეს მეგობარ-ამხანაგმა ანდრონიკემ, რომელიც იმერეთიდგან ჩამოჰყვა ალექსანდრე მეფეს და ფაშის

სასახლეში დარჩა მეფისაგან იქ დატოვებულ ნივთ-საქონლების დროებით მეთვალყურედ,—ყველაფერი უამბო მას... უამბო ისიც, თუ რა სიტყვებს იმეორებდა ტანჯული ჯარუ, რომელიც თავში ყოფილიყო სასიკვდილოდ დაჭრილი, თავის სიკვდილის წინ...

— სამი დღე არაფერი უჭამია... სხვა ტუსაღებთან ერთად სატუსაღოს ერთ ბნელს კუნჭულში მიაგდეს ღვთის და უცნობ ამხანაგების ამარა... მე შევნიშნე იგი, შემეცოდა და მისი მოვლა განვიზრახე. მოსამსახურე დავუყენე, თან ექიმსაც ვუჩვენე... მაგრამ ამაოდ... იმ სამ დღეში ის ისე შეიცვალა, რომ თვით დედაც ვერ იცნობდა... ხშირად ახველებდა, თავს მაღლა ვერ იღებდა, საჭმელსაც ვერ სჭამდა... მე რაც შემეძლო მოვლას არ ვაკლებდი... მაგრამ ფაშის შინა-კაცების უკმაყოფილება-საყვედური არ მაკლდა ასეთის საქციელისათვის... მე ყველაფერს ვუძლებდი ჯერ-ჯეროობით და საქმის გაუმჯობესობას გულის ტოკვით და ღვთის იმედით სიხარულით მოველოდი... მაგრამ ამაოდ... მეშვიდე დღეზედ ჯარუ გარდაცვლილიყო... ანუ შეიძლება იგი უსჯულო სახლისკაცებმა—ოსმალებმა ძალათი დაახრჩვეს, რადგანაც თავი მოძულებული ჰქონდათ მის სამსახურით... საბრალო ჯარუ მე აღარ დამხვდა ადგილზედ აღარც მკვდარი:—სადღაც მდინარეში გარდაეგდოთ. ფაშამ ეს ჯერ არ იცის... იგი ერთი დღეა, რაც მოვიდა... გარდა ამისა ფაშას ჰგონია, რომ ჯარუ და ზოგიერთი მისი ამხანაგები იმიტომ იყვნენ დაჭერილები, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობას ღებულობდნენ... მაგრამ საბრალო ჯარუ მეწისქვილეს მოეხმარა და იმიტომ დაიჭირეს, შენც თვითონ იცი...—ეს უამბო ნაღვლიანად ზოსიმეს ანდრონიკემ... ზოსიმე გაშეშდა, პირველად კრინტიც ვერ დასძრა, თუმცა ენდოდა კი რამე ეთქვა; ცოტა ხნის შემდეგ ღონე მოიკრიფა და ანდრონიკეს ჰკითხა:

— ჯარუ მოკვდა აბა?..

— მოკვდა .. საბრალო დედა მისი ფიდანი... გამდელი...

მე იმას ვიცნობ—რა საოცნებოა! მასთან... გულადი, თავგანწირული... აფხაზის ქალია...—ზოსიმე გაშეშებული იდგა ცოტა ხანს... შემდეგ კი გამოეთხოვა ანდრონიკეს... ის იყო იმ ღამეს დაქირავებულ ბინაში დაბრუნდა, ხოლო მეორე დილას წასასვლელად ემზადებოდა თვითონაც და გამდელსაც ამზადებდა...

მზე უკვე ამოსულიყო.. გამდელი აივანზედ გამოვიდა... ერთიც გადაიხედა წინ და ნახა ზოსიმე, რომ სახლის-პატრონს რაღაცას აძლევდა... ძირს ჩამოვიდა და ბიჭებს შეეკითხა:

— ყველაფერია დაწყობილი ურემზედ?

ბიჭებმა პასუხი მისცეს. შემდეგ ფიდანმა ფაშის სასახლეში მოინდომა ცოტა ხნით წასვლა და ზოსიმესაც სთხოვა წაჰყოლოდა, მაგრამ უკანასკნელი არ დასთანხმდა... გამდელი წავიდა... ის იყო სასახლეში, ფაშა ნახა და თავის შვილის განთავისუფლება სთხოვა... როგორც ჩვენის მოთხრობის დასაწყისში გვქონდა ნათქვამი, ფაშამ ფიდანის თხოვნა არ შეიწყნარა და სამეგრელოს მთავარზედ უთხრა,—თუ ის დამმორჩილდება, შენს შვილს და მასთან სხვა ტყვეებსაც განვათავისუფლებო... ანდრონიკე ფაშის სახლიდგან უყურებდა ამას, მაგრამ ფიდანს მაინც არ სჩვენებია... ფაშა ცხენზედ შეჯდა და თავის გზას გაუდგა... ფიდანიც მოშორდა იქაურობას და საჩქაროდ იმ გზას დაადგა, სადაც ზოსიმე და სხვები მოსჩანდნენ...

XIII.

იგივ შემოდგომის ერთი უკანასკნელი თვე იდგა... კეკლუც ბუნებას ნელ-ნელა ჩამოეცალა ძვირფასი სამოსი და ზამთრის დაღი დაედო... ხშირი წვიმები იდგა... უკანასკნელად წვიმებს ერთნაირი სიცივე მოჰყვა, რომელმაც ერთხელ კიდევ დააფიქრა ადამიანი იმაზედ, თუ როგორ უნდა დაჰხვედროდა მოსალოდნელს სუსხიანს ზამთარს...

შეღამებული იყო, როდესაც სოფელ ...ის ცნობილ სასოფლო შარა გზაზედ ჩოხა-არხალუხში გამოწყობილი ახალგაზრდა გამოვიდა და ცხენით პირის-პირ დადიანის სასახლისაკენ გაემართა... პირისახეზედ რაღაც უკმაყოფილება-დაღონება ეტყობოდა... ნაბადი განზედ გადაეგდო და ტყავში გახვეული თოფი გვერდზედ მოედვა...

რამდენიმე ხნის სიარულის შემდეგ ცხენოსანი ერთის მოსახლის ეზოს ჭისკარს დაუახლოვდა. ჭისკართან სოფლის დედაკაცები შემოკრებილიყვნენ და რაღაცაზედ ცხარე ლაპარაკი შეექმნათ... ანდრონიკეს, რომელსაც ჩვენ ფაშის სასახლეში გავეცანით, შემდეგი მოესმა დედა-კაცთა საუბრიდგან:

— ფიდანს ჰგონია თურმე ჯარუ ცოცხალია, ზოსიმე კი, მისი გაზრდილი, ატყუებს — თურმე... გარდა ამისა, ქალო... ღმერთმა დასწყევლოს ეშმაკი... ცოდვა იმის პირველად მთქმელს, ამბობენ ფიდანი და ზოსიმე...

— ნუ... ქალო, შენს პირს მაინც ნუ ათქმევინებ ასეთს უსჯულოებას... განა მეგრელთ როდესმე სჩვევიათ ასეთი ცოდვა!.. დედა და შვილი!.. ღმერთო!!. გამდელი იგივ დედაა ზოსიმესი, რავუყოთ რომ ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და ახლანდელ სხვა ახალგაზრდა ლამაზებსაც სჯობიან... ღმერთო!..

მოსაუბრეთ სიტყვებიდგან ანდრონიკე მიხვდა, თუ რაში იყო საქმე... მიხვდა, რომ ზოსიმეზედ ცუდი ხმა იყო ხალხში გავარდნილი... მიხვდა, რომ საბრალო ჯარუს სიკვდილზედ ჯერ არავინ არაფერი იცოდა... სხვადასხვა სურათი დაეხატა მას ამასობაში თვალწინ საბრალო ჯარუს ცხოვრებიდგან; უკანასკნელმა მისმა წუთმაც ერთიც გაიტრიალა ჯარუს მახსოვრებაში... ანდრონიკე მოიღრუბლა... ორივ ფეხები ძალზედ შეახო თავის ცხენს, თან მათრახიც დაჰკრა და სასახლისაკენ გაჰკურცხლა... არც კი შეუნიშნავს, რომ მას უკვე გაევლო ის წისქვილი, სადაც ამ რამდენიმე თვის წინედ საბრალო მეწისქვილე მოჰკლეს, მეუღლე მისი გააუპატიურეს... ჯარუც დაატყვევეს... ყველაფერი ეს ხელახლად წარმოუდგა

ანდრონიკეს თვალს-წინ; პირისახეზედ მოწყენილობის ბეჭედ-მა გადაჰკრა... მართალია, დიდიხანია, რაც აქეთ ის არ ყოფილა, არც იმის მოწამე იყო, თუ როგორ დაატყვევეს ჯარუ ოსმალებმა და მოჰკლეს მეწისქვილე, მაგრამ ხალხის სხვადასხვა თქმულებას მეწისქვილეზედ სჩანდა დაეფრთხო მისი წარმოდგენა და გონება... ხალხში ბევრნაირი თქმულება იყო ამ სულ რამდენიმე თვის უკან უსჯულოდ მოკლულ მოხუცზედ... ამბობდნენ—მისს საფლავს, მას შემდეგ ღამ-ღამობით ნათელი ადგებოდაო; ხანდისხან საფლავიდგან ხმაურობაც მოისმის, ვიღაცას უძახისო... ზოგი მასაც კი უმატებდა—ცოლს გამოეცხადა იმ ღამეს, როცა იგი გარდაიცვალაო... აგრეთვე ის თეთრი ჭუჭყიანი სუდარა, რომელსაც აქამომდე ყველა ეკკლესიის ჭისკართან ხედავდა და ახლა კი ეკკლესიის ეზოშივე იყო ბზის ტოტებზედ ჩამოკონწიებული, ხალხი ამბობდა—მეწისქვილე წამოდგა საფლავიდგან და იმან დაჰკიდაო...

ანდრონიკე რამდენიმე ხნის სიარულის შემდეგ დანიშნულ ალაგას მივიდა... მთავრის სასახლეში ფაშის და ალექსანდრე მეფის გამოგზავნილი ანდრონიკე დიდის პატივით მიიღეს...

XIV.

ანდრონიკესგან მთავრის სასახლეში ყველამ შეიტყო დაკარგული ჯარუს თავ-გადასავალი... ბევრს ახალგაზრდა მხედარს, საომრად დამზადებულს, დასწყვიტა გული ჯარუს უდროოდ და უსჯულოდ დაკარგვამ. ჯარუს ნამდვილად დაჭერის ამბის შეტყობის შემდეგ ერთი ორად გარდაიქცა მეოთმართ გულში თათართადმი სიძულვილი .. ყველა გულის-ტოკვით მოელოდა ომის დაწყებას... თვით ანდრონიკე მთავრის სასახლეში იმ მიზნით მოვიდა, რომ შეეტყობინებინა მისთვის ფაშისა და მეფე ალექსანდრეს სურვილი...

— მეფესა და ფაშას სურთ, დიდო მთავარო, უცბად და-

ეცნენ თქვენს სასახლეს, მეგრელთ ჯარი ტყვედ წაიყვანონ და ასე დაგვიმორჩილონ... მართალია მე თქვენთან ეს ცბიერი წერილი გამომატანეს, მაგრამ არ შემიძლია ეკკლესია და მამულს ვულალატო და ნამდვილი ამბავი არ შეგატყობინოთ —ამ სიტყვებით გარდასცა ანდრონიკემ მოხუცებულს მთავარს ოტია დადიანს ფაშისაგან გამოგზავნილი წერილი... თარგმანი მოწმობდა, რომ წერილი ფოთში იყო დაწერილი... წერილში ფაშა ემშვიდობებოდა სამეგრელოს მთავარს, რადგანაც ვითომ სამშობლოში აპირობდა წასვლას... შემდეგ არწმუნებდა, მისის მხრით არაფრის შიში-რიდი არ ჰქონოდა, და სხვ... მთავარმა წერილი ჩაიკითხა და ფიქრს მიეცა...

— მეც ქართველი ვიყავი ერთ დროს, თუმცა ახლა თათრებში ვარ და...—განაგრძო გულწრფელად ანდრონიკემ.

დადიანმა მადლობის ნიშნად მხარზედ ხელი შეახო ანდრონიკეს და პირველ შესაფერ შემთხვევაში ასეთის სამსახურისათვის დიდს საჩუქარს დაჰპირდა... ანდრონიკე უკან აღარ გამობრუნებულა, იგი მეგრელთ ჯარში ჩაერია...

მთავრის სასახლეში რამდენიმე პირი დატრიალდა. შეიქმნა განკარგულების მოხდენა, ჩოჩქოლი... ყველას უნდოდა ომის წეს-წყობილება თვითონ გარდაეწყვიტა და ამით თავისი ერთგულება დაემტკიცა დადიანისა და სამშობლოსათვის... უკანასკნელად გარდასწყვიტეს რამდენიმე ალაგას ციხეების გამაგრება და მათში ჯარის ჩაყენება. იმ ადგილას, სადაც ფაშას შემოსასვლელი გზა ჰქონდა, ციხის ძველ ნანგრევებიდგან ახალი ააშენეს. გამაგრებული ციხეები რამდენიმე იყო. ისინი ერთმანეთიდგან რამდენიმე ვერსის მანძილზედ იყვნენ დაშორებულნი, მაგრამ რადგან მოხერხებულ და მთა-გორიან ადგილებზედ იყვნენ აგებულნი, მათი ნახვა დღისითაც კარგად შეიძლებოდა და ღამითაც სანათზედ, რადგანაც ფანჯრები ერთმანეთისაკენ ჰქონდათ გამოკვეთილი. თუ ფაშა ღამით შემოვიდოდა, პირველ ციხეს, რომელიც ყველაზედ უწინ შეიტყობდა ამ ამბავს, მეორე ციხისაკენ მიმართულ ფანჯარაზედ

კოცონი უნდა აენთო მტრის შემოსვლის სანიშნებლად. ამ-ნაირად მეორე ციხეც მესამეს აუნთებდა კოცონს, მესამე მეოთხეს და სულ რამდენიმე წუთში დადიანის ციხეც შეიტყობდა ფაშის შემოსვლას. უკანასკნელ ციხესთან იმდენი ჯარი იყო შემოკრებილი, რამდენიც მთავრის ფიქრით საჭირო იყო მტრის მოსაგერებლად. თუ მტერი დღისით შემოვიდოდა, მაშინ პირველს ციხეს ზარბაზნის სროლით უნდა ეცნობებია, მეორისათვის, მეორეს მესამისათვის და ასე უკანასკნელამდე.

ერთის მხრით ტრიალი მინდორი, მეორეს მხრით მთა-კლდე დაღარული გულ-მკერდით, საიდანაც რამდენიმე გამა-ცოცხლებელი წყარო-ანკარა გადმოსჩქეფდა, მშვენიერ სანა-ხავად ხდიდნენ დადიანის ციხეს... თვით ციხე მთის კალთა-ზედ იყო გაშენებული, მდებარეობა ფრიად ხელს უწყობდა ომის დროს შესაფერი საფარი ყოფილიყო. უკანასკნელ დღე-ებში ეს ციხე რაღაც ახმაურებულ მიდამოს წარმოადგენდა, მრავალ ხალხს მოეყარა მასში თავი მახლობელ დაბა-სოფლე-ბიდგან და მოსალოდნელ ომზედ შეექმნათ სჯა-ბაასი.

ახლად შეღამებული იყო, როდესაც ციხის მახლობლად ფერდობზედ ჩამომდინარე წყაროს პირას ორი კაცი მოუჯდა და რაღაცაწედ ცხარე ლაპარაკი შეექნათ... სინათლე ნელ-ნელა კლებულობდა, მაგრამ მათ უკმაყოფილებაც აღარ ეტ-ყობოდათ ამითი; ნელი, ტკბილი და თან უდარდელი მათი საუბარი გაგრძელდა მანამდის, სანამდის აღმოსავლეთით თავი არ ამოჰყო ღამის სავსე გუშაგმა და ციხის მახლობელი გაუ-ვალი მტევრი თავის მკრთალის სხივით ერთობ არ გაანათა. რამდენიმე ხანი კიდევ ისხდნენ მგზავრები ხსენებულ წყაროს პირას და ისევ ტკბილად ლაპარაკობდნენ... უცბად ერთმა მოსაუბრემ შესცვალა ხმა და ჩვეულებრივზედ უფრო ხმა-მა-ღლა და თან ცხარედ დაუწყო ლაპარაკი მეორეს... მთვარე ნელ-ნელა იწევდა ზევით... მოსაუბრე უფრო და უფრო სცხარდებოდა...

— ან გამდელი... ან შენ და ან მე... ჩვენი სიცოცხლე

ერთად ამ ქვეყნად, ჩემო ანდრონიკე, მოუხერხებელია... ვნახოთ, მარტო მე ვარ „თავ-მოჭრილი“, თუ სხვასაც მოეჭრება თავი...—უკანასკნელად დაემუქრა მოსაუბრე და გზას გაუდგა ამხანაგი...

— შორს! შორს!.. შეჩვენებულო...—ერთიც, თუმცა ჩუმის, მაგრამ მგრძნობიარეს ხმით მიაძახა სიბრაზისაგან თმებაწეწილმა ანდრონიკემ ზოსიმეს, რომელმაც საიდუმლოებით მოცულ ტყეში ერთი ნაძალადევად დაახველა და თვალს მიეფარა. ზოსიმეს ანდრონიკეც გაჰყვა უკან... რამდენიმე ხნის შემდეგ ისინი ციხეში იყვნენ...

სრულიად მოიწამლა ზოსიმეს მთელი არსება, განჩაკუთრებით მას შემდეგ, რაც მას მთელმა ციხემ იჭვის თვალით დაუწყო ცქერა. ყველაში რალაც უცხო იჭვი შეჰქონდა ზოსიმეს ავადმყოფს სინიდისს და რწმენას. ავადმყოფი მხედველობა ავადმყოფსავე სმენას ღალატობდა,—ყველა კი ერთად ერთსა და იმავ საგანზედ გაჰკიოდნენ საგრძნობლად ზოსიმეს უდროოდ დამჭკნარ მკერდში და უდროოდვე დასერილ გულში. სწუხდა ზოსიმე, მწარე ნაღველი ნელ-ნელა ავსებდა მისს ავადმყოფ ფილტვებს... მისი ანდრონიკესადმი სიძულილი დღითი-დღე ერთი-ათად მატულობდა, სძულდა ანდრონიკე. მაგრამ რისთვის, თვითონც არ იცოდა, მისთვის მხოლოდ, რომ უნებლიეთ ხალხი ჯარუს ნამდვილ თავგადასავალს გააცნო... თვით თავისი ღვიძლი ძმა სილოც ვერ ანუგეშებდა ზოსიმეს... ამის შემდეგ მას სძულდა ამხანაგ-ხალხში გარევა, უყვარდა განცალკევება, დროებით ომის დაწყებამდე ამ მშვენიერ, სანეტარო ციხის ფერდო-კლდეებში გასეირნება და მარტოდ-მარტო ტანჯვა... ყოველი ხე მტევრისა თვითეულად ჰქონდა დათვლილი ზოსიმეს... თითქმის ყოველი ხის ძირი მისი საჯდომი, მოსასვენებელი ადგილი იყო... ერთს უშნოდ დაკვანძულ ტოტებ ჩამოთვლილ წიფელას გვერდზედ დანის წვერით შემდეგი საიდუმლო ასოებიც კი ჰქონოდა ამოთლილი: „გამ—ზ—ცოდ—“...

XV.

— სოფელში მივალ... მთავარს ვსთხოვე, რამდენიმე დღით... რამეს ხომ არ უთვლი მამას?—რაღაც დაღონებულად დაეკითხა ერთ დილას სილო ძმას, როდესაც უკანასკნელი ციხის გალავანში ერთ ადგილას იდგა და ჩვეულებრივ მჭმუნვარებით შორს გაჰყურებდა...

— მამას მოკითხვა... მეც ვნახავ მალე... სხვა... სილო, თუ ღმერთი გწამს...—სიტყვები ველარ დაათავა ზოსიმემ, ხმა ჩაუწყდა, აზრი აერია, ველარ დააწყო და ისევ წარმოთქმული სიტყვები განიმეორა—„მამას მოკითხვა“... სილო მოსცილდა ძმას.

— „ესეც ერთი... და გამდელი შეიტყობს, რომ ჯარუ... ან რასი მეშინიან... ნუთუ ანდრონიკეს ვერ გავუსწორდები... ან ჯარუს სიკვდილმა უნდა შემაშინოს?.. მე ხომ არ მომიკლავს!.. ან... არა, ისევ ჩემი თავი მირჩევნია კარგად მყავდეს... მოვკლავ გამდელს, ანდრონიკესაც, თუმცა საწყალი კაცია, ჩემთვის არაფერი დაუშავებია... მაგრამ ხომ მოღალატეა... ხომ ოსმალების მოღალატეა... ღმერთო!“—ზოსიმე ჩვეულებრივ გაჰყკა ვიწრო ბილიკს, კლდის ფერდოებზედ, თვალებს იფშვნეტდა, გული ძალზედ უძგერდა, ფეხები ერთმანეთს ეკვრებოდა... ერთის ხის ძირში შეჩერდა, კენჭები აკრიფა რამდენიმე და თითო-თითოდ შორს სროლა დაიწყო... დილა იყო... ლაჟვარდ ცაზედ აქა იქ გაკვრულიყვნენ ღრუბლების ნაფლეთები... ახლად ამოსულ მზის სხივებს წინ ჯერ არაფერი შეჰფარვებია. თვალგადუწვდენელი მიდამო, რაღაც საიდუმლოებით მოცული, ერთობ შეეღებათ ვეებერთელა მზის სხივებს... კენჭების სროლაზედ რამდენიმე შაშვი ახმაურდა. ზოსიმემ თვალი გააყოლა ფრინველთ... შორს, რამდენიმე ნაბიჯის მანძილზედ, სადაც ორი გზა ჯვარედნად ეკვროდა ერთმანეთს, დამფრთხალი კურდღელი მიხტუნავდა.

ფიქრებით მოცულმა ზოსიმემ ახლა კი ჩვეულებრივზედ

მეტი ჩამოსცილდა კლდეს... აუჩქარა ნაბიჯებს—და რამდენიმე წუთის შემდეგ გამოვიდა იმ შარა-გზაზედ, რომელიც მთავრის სასახლისკენ მიემართებოდა... ზოსიმე მიდიოდა, უნდოდა სიარული, უნდოდა სულ ეარა და ეარა... უცბად თვალის წინ წარმოუდგა შემდეგი სანახავი: შარა-გზით გამდელი და მაქსიმე მოემართებოდნენ... არის ხოლმე ისეთი წუთები კაცის ცხოვრებაში, როცა მას სინიდისის მხილებით შეპყროობილს, სურს მოსპოს თავისი სიცოცხლე, სურს არ იყვეს... და ეს გრძნობა მით უფრო მეტია კაცში, რაც უფრო იგი მგრძნობიერია... ზოსიმეს მთელს თავის სიცოცხლეს ერჩივნა, რომ იმ წუთს, რა წუთსაც გამდელი და მაქსიმე ნახა, მაწა გაღებულიყო და იგი თან ჩაეტანა... გამდელი და მაქსიმე მოუახლოვდნენ. ორივეს რაღაც უკმაყოფილება ეტყობოდა პირისახეზედ... ზოსიმე ვითომ გამოერკო და პირფერი ღიმილით მიეგება ორივეს.

— შენი ჭირიმე!—გადაჰკოცნა მაქსიმემაც, როგორც ფიდანმა, ზოსიმე... ზოსიმემ ყველა მოიკითხა და ბოლოს შეიტყო, რომ მამა მისი პორფირე ავად გამხდარიყო.

— დიდი ხანი არაა... გუშინ ყოფილა, გული წასვლოდა და თუ მოახლეები არა, უწყლოდ დაიხრჩვებოდა თურმე, მისი მტერი...

— ჯარუ... ჯარუ... რას შვრება,—მეტი ველარ მოითმინა მამამ და მოუთმენლად ჩააჩერდა ზოსიმეს .. ზოსიმეს გული ერთიც უკანასკნელად გაიგუდა... ფერი წაუვიდა, აზრი აერია, მაგრამ ამის თქმა მაინც მოახერხა:

— ჯარუ კარგად არის... სულ კარგად... აი მალე ომი იქნება და... ყველაფერი გარდაწყდება... ჯარუ უსათუოდ განთავისუფლდება... ჩვენ გავიმარჯვებთ უეჭველად... მთავარს ჯარი, უკეთესად აღარ შეიძლება, ისე ჰყავს დაწყობილი... თქვენ ნურაფრის გეშინიათ... მე აგერ არ ვარ?—დაასრულა ნიღაბ-აკრულმა ზოსიმემ...

— შენი ჭირიმე!—გულის სიღრმიდგან აღმოისუნთქვა მა-

ქსიმემ და ხელების საკოცნელად მივარდა ზოსიმეს... მთელი აზრი განუქარდა მაქსიმეს... იგი ამ ჟამად თავის მხსნელს და მშველელს მარტო ზოსიმეში ხედავდა... „ჯარუ არ მომკვდარა“, — ინუგეშებდა ჩურჩულით თავს მაქსიმე, თუმცა ბევრგან გაიგონა და დაუმტკიცეს, რომ ჯარუ დიდი ხანია მოსცილდა წუთისოფელს...

— ნუ გეშინიანთ, — უფრო თამამად წარმოსთქვა ზოსიმემ, როცა ცოლ-ქმრის გულში ჩაიხედა და დაინახა ჯერ კიდევ იმედი...

— მამა ავათ არის? მე უნდა ვნახო აბა... უსათუოდ.

— კარგი, შვილო, თქვენი ნებაა; ახლა კი ერთი სილო და ანდრონიკეს რომ ვნახავდეთ ძალიან გაგვიხარდება, ჩემი ანდრონიკე იქ ყოფილა, მე კი იგი რამდენი ხანია არ მინახავს, ღმერთო... დაათავა მაქსიმემ.

— არა... ანდრონიკე და სილო სახლში არიან წასული... აქ არ არიან, — მიუგო ზოსიმემ, — ამ დილას წავიდნენ, ახლა სახლში იქნებიან. ფიდანსა და მაქსიმეს ძალიან ეწყინათ ეს გარემოება, მაგრამ რა უნდა ექნათ! ბოლოს ისევ სახლში გაიფიქრეს წასვლა... მაქსიმე უკვე გამოემშვიდობა ზოსიმეს და გზას გაუდგა... გამდელი კი ზოსიმეს აღარ სცილდებოდა, აბარებდა მას ყველაფერს, აბარებდა თავის შვილის ხსნას, ჯარუს სიცოცხლეს... უკანასკნელად ფიდანმა ახლად გამომცხვარი პურის კვერი, ყველ-შერეული, წმინდად შეხვეული, მორიდებით გარდასცა ზოსიმეს...

— ეს, შვილო, აქ... მიიღე შენის გამდელისაგან... დრო იყო, როცა ამაზედ უმცირესსაც სჯერდებოდი, როცა ჩემს ხელში იზრდებოდი... ახლაც მიიღე... ალბად ამდენ ხალხში შენ შესაფერი პატივისცემა აღარ გაქვს...

ზოსიმემ მოწიწებით გამოართვა კვერი გამდელს და ხელში დაიჭირა...

— აბა, მშვიდობით!.. — ხელი ჩამოართვა გამდელსა, გული ისევ აუჩქროლდა, გონება ისევ აერია, ხელი ხელს

ლარ გაუშვა... ერთობ სული მინაბა და გულის სიღრმიდგან მხოლოდ ეს სიტყვები-ღა გააგონა გამდელს.

— ამა-ღამ, ჩემო ძვირფასო... ფიდან, შენთან მოვალ...

—ფიდანს ფერი დაეკარგა, გული აუხმაურდა, სიტყვები კი ასე გამოაკეთა:

— კი, გენაცვალე... მე, როდის იყო, რომ შენ და სილოს არ გღებულობდით...

— უსათუოდ! მოვალ!—ზარ-დაცემულივით ჩაიჩურჩულა ზოსიმემ და ერთიც საგრძნობლად მოუჭირა ხელი ფიდანს და... გამოემშვიდობა... გაიარა რამდენიმე ნაბიჯი, უკან მიიხედა—ფიდანი უკვე მიჰფარვოდა ტყეს... ერთიც ჩაფიქრდა, სული ერთობ აღმოითქვა. მარჯვენა ხელი გაშალა და მახლობელ თხრილისკენ გარდაისროლა გამდელის საჩუქარი... ცოტა ხანი და იგი ციხის ფერდოებს აჰყვა ზევით...

— როგორ შემიძლიან,—ისევ გარდიფიქრა ზოსიმემ,— როგორ შემიძლიან ამაღამ სახლში წასვლა... უნდა დავიმალო სადმე, ან ანდრონიკე უნდა მოვკლა... იშან... გაავრცელა ხმა... ჯარუს სიკვდილზედ... თორემ...“—ზოსიმეს ავადმყოფ წარმოდგენას ახლა წინ ეხატვოდა ცრემლებისაგან ლოყებ-დაღარული, ღონე-მიხდილი ჯარუ, რომელსაც ხუჭუჭ თმებში ჩამოსდიოდა და ძალზედ შეეღება მისი პირისახე.

— იქნებ ანდრონიკე ...-შვილს იცნობთ... თუ კაცი ხართ...—მორიდებით შეეკითხა თათრულს ტანისამოსში გამოწყობილი ერთი ახალგაზდა, სუფთა წვერ-ულვაშიანი საშვალო ტანის მსედარი ზოსიმეს. უკანასკნელი უცნობის შეკითხვაზედ გამოერკო, კარგად ჩაუკვირდა პირისახეში, მაგრამ ეუცნობა.

— მე თქვენ არ გიცნობთ, ვინა ბრძანდებით?..

— მე ქართველი ვარ, იობ ...ძე... შემიძლიან გემსახუროთ, მხოლოდ ცოტა-რამ...—უცნობმა ზოსიმეს ვითომ იჭვის განსაფანტავად საჭიროდ დაინახა ვთქვა, მე ქართველი ვარო...

— რისათვის უნდა მემსახურათ?—ეუცხოვა უცნობის სიტყვა ზოსიმეს.

— არის ერთი საქმე, მაგრამ ჯერ ვერ გაგანდობთ, არ გიცნობთ, ეგებ...

— არა, არა, ძმობილო, მე... ჩემში იქვი ნუ შეგაქვს ნურასფერში... მე კაცი ვარ... ჩემს ტომს არც ღალატობა სჩვევია და არც სხვა რამ ავკაცობა; მითხარ რაშია საქმე, იქნებ გამოგადგე...—დაათავა ეს სიტყვები და მთელი თავისი ყურადღება უცნობს მიაპყრო, ცნობის-მოყვარეობა აღეძრა ზოსიმეს...

— ეგებ...—უცნობი ისევ ყოყმანობდა.

— ნუ... თუ ღმერთი გწამს...—უნდოდა განეგრძო ზოსიმეს, მაგრამ უცნობმა დაასწრო:

— აბა გეტყვი, შენთვის მიმინდვია ჩემი დალუპვა და სიცოცხლეც... როგორც სინიდისმა მოგცეთ და ვაჟკაცურმა გულმა გირჩიოთ, ისე მოიქეცით... მომისმინეთ: ამ რამდენიმე დღის წინეთ ფაშას აქ, მთავრის სასახლეში, კაცი გამოუგზავნია, ტომით ქართველი... თან წერილი გაუტანებია, რომელშიაც ატყობინებდა თურმე დადიანს—შენთან ომი არ მწადიან, მეგობრად მიგულებდეო... ნამდვილად კი ფაშას ომი სურვებია. გაგზავნილს ქართველს ფაშის ყველაფერი მოსაზრება-წადილი სცოდნია და ყველაფერი მთავრისთვის უცნობებია; ამნაირად უღალატნია ფაშისათვის. უზომო საჩუქარს ჰპირდება ფაშა იმას, ვინც მოღალატეს ცოცხლად მიჰგვრის და მის თავს მიუტანს... იქნებ რამე გავაწყოთ... ვსცადოთ...—მორიდებულათ დაათავა სიტყვა მხედარმა და თან მთელი თავისი ყურადღება გონებით თვალებში ჩააჩერდა ზოსიმეს, ვითომ სურსო მათში თანაგრძნობა აღმოიკითხოსო. ზოსიმემ სიხარულის ნიშნად ერთი ჩაიღიმა, ხელები გაშალა და დაიწყო:

— ანდრონიკეს მე ვიცნობ... ის მართლა მოღალატეა... ჩვენ ადვილად მოვახერხებთ ფაშის სურვილი აღვასრულოთ...

ოლონდ... ის ამ ჟამად მთავრის სასახლეში კი არ არის, ციხეშია, მთავრის ჯარის ერთის ნაწილის უფროსად... მაგრამ არაფერი: მოვინდომოთ და ყველაფრის მოხერხება შეიძლება... ისე მოაწყვე საქმე, რომ არ შემიტყონ, იცოდე.. შენ ვინმე კიდევ მოიყვანე... მე ადგილს გიჩვენებთ, საითაც ის იქნება.

— აგერ არიან... რამდენიმე კაცი მოვიყვანე... კი, მაგრამ ეგ როგორ მოხერხდება...

— ნუ გეშინიანთ, რომ შელამდება, აი აქ ამ ხის ძირში დამხვდით, მე იმას ,ქ მოგიყვანთ... მერე შენ იცი...

უცნობს ძლიერ უკვირდა ზოსიმეს ასეთი აღთქმა, ვერ წარმოედგინა, თუ რისათვის სურდა მას ანდრონიკეს ღალატი, სხვა დროს სხვას ეტყოდა, მაგრამ ახლა კი მადლობა გარდაუხადა და საღამოსათვის ხელახლავ საქმის შესრულება სთხოვა.

საღამო ჟამი იყო, როდესაც ზოსიმემ ტკბილი საუბრით კარში გაიტყუა გულუბრყვილო ანდრონიკე... მზე უკვე ჩასულიყო, ჰაერში ზამთრისებური სიცივე იგრძნობებოდა... ცა მოღრუბლული იყო; ფრინველები საღამოზედ ბუდეებში ჭახჭახებდნენ. მტევრს საიდუმლო შიშინი გაჰქონდა... ანდრონიკე და ზოსიმე მტევრს უკვე გასცილდნენ... ცოტა ხნით ლაპარაკი შესწყვიტეს და შორს, ჰაერის სივრცეში იწყეს მზერა... ზოსიმეს გული უტოკავდა, ფეხებზედ ველარ ჩერდებოდა, ვითომ გრძნობდა, რა საძაგლობას სჩადიოდა... იგი ხედავდა ცალის თვალით, თუ როგორ მოემართებოდა ნელ-ნელა, ფიქრებში გართულის ანდრონიკეს შესაპყრობად რამდენიმე შეიარაღებული კაცი—თათრები, ზოსიმეს ძველის მოსაუბრის იობის მეთაურობით... ხელ-ფეხ შეკრული ანდრონიკე წუთის უმალ მოაგილეს იქაურობას.

— ხა, ხა, ხა,—ერთიც გადიხარხარა ტყეშიც ზოსიმემ და გამობრუნდა. ბნელოდა. სწორედ ის იყო, ციხის გალავანში კარები შეალო, რომ რაღაც ყაყანი და ჩოჩქოლი მო-

ესმა... მეომრები ერთმანეთში ირეოდნენ, ფუტკარივით ბზუილი გაჰქონდათ... ზარბაზნის საზარო ხმამ ერთობ შეანძრია იქაურობა და ყველას შეატყობანა თათართ ჯარის მოახლოვება. აქა-იქ ნაღვლიანად გაიზუზუნეს ტყვიებმა. ზოსიმეს თმა ყალყზედ დაუდგა და გმირულად ჯარში ჩაერია... ციხის თავზედ ამართულმა, მოკიდებულმა კოცონმა ერთობ გაანათა ნთელი მიდამო... მას პასუხს აძლევდნენ სხვა ციხეების კოცონები

მთავარმა ბრძანება გასცა, ჯარი მიეშველებინათ ყველა ციხეებისათვის. იმ დრომდე სალაყბოდ შემოკრებილი ახალგაზდობა ყველა საომრად გაეშურა.

XVI.

იმ საღამოს, როდესაც ანდრონიკე შეიპყრეს, სილომ ყველას შეატყობინა ნამდვილი ამბავი. ყველამ გაიგო, რომ ჯარუ უკვე მოცილებული იყო წუთის-სოფელს... ფიდანს გრძნობები აეშალნენ, რამდენიმეჯერ შეჰკივლა მიდამოს, თმები დაიგლიჯა, პირისახე დაიკაწრა... მაქსიმე მთავრის სასახლეში იყო წასული...

შელამებულზედ გამდელი მარტო დარჩა თავის ქოხში, რომ ლიკ ვითომ რაღაცას გლოვობსო, მარტოკა ამალვოდა ეზარ-მაზარ ხეებს... გარშემო მტევრში ბუს დამაღონებელი ხმა ისმოდა. დიდხანს უყურებდა ცეცხლს კერაზედ სხვადასხვა მწუხარე ფიქრებში გართული ფიდანი... ბოლოს უკანასკნელი ნაპერწკალიც მიჰქრა.—„მოვა... ზოსიმე... არა... არ მოვა . რა პირით მოვა... მე მატყუებდა ცბიერი... როგორ მოვუშვებ აქ მატყუარას... უნდა მოვკლა,—დედაკაცმა მუჭი დაწვნა და ზეზე წამოდგა,—უნდა მოვკლა, უნდა შევატყობინო ქვეყანას, რომ მე ქვეყანაზედ სული მედგა... მე აფხაზის ქალი ვარ... ნამუსის ახდას...—დედაკაცს გააჟრჟოლა, ვითომ ტვინში რაღაცამ უკბინაო, თავზედ ხელი იტაცა და

ლონემიხდილმა ჩურჩულით განიმეორა,—ნამუსი... ნამუსის ახდას... მოტყუებასაც... მერმე ვისგან?.. ჩემის გაზრდილისგან... ღმერთო! რათ არ გაიღება დედა-მიწა, რომ ჩამიტანოს ამ დღის მომსწრე... ჯარუ! ჯარუ!.. შვილო!..—დედაკაცმა ერთიც ჩამოისვა ხელები თავის მშვენივრად დაწვნილ თმებზე და რამდენიმე ბღუჯა ჩამოიტანა... უცბად მოთქმა შესწყვიტა...—„არ მოდის, ისევ არ მოდის... მაგრამ... მოვიდეს...“ —კუთხეში მაქსიმეს ორლულიანი დამბაჩა ეკიდა. ფიდანმა ფალია ახადა—წამალი ეყარა, კაჟი დაათვალიერა—რიგზედ იყო... სმენად გარდაიქცა... სამარისებურს სიჩუმეს ისევ ბუს ნაღვლიანი დრო-გამოშვებითი კივილი არღვევდა სადღაც შორს, ტყეში... დედაკაცმა დამბაჩა ლოგინზედ დადო და გარეთ გამოიხედა. ცა მოღრუბლული იყო... ერთის მხრით მოსჩანდა სავსე მთვარისაგან წითლად შეღებილი თხელი ღრუბელი, ნაღვლიანი ნიავი ფოთლებს აფარფატებდა შორს, ტყეში...—„არავინ არაა“;—ისევ გაიფიქრა გამდელმა და სახლში შევიდა, თან კარები მაგრად ჩაიკეტა...

დიდიხანი ლოდინი არ დასჭირდა ფიდანს: უცბად კარებს ვიღაც მოადგა... „იგია, ზოსიმეა... ვნახოთ“...—დედაკაცმა დამბაჩა აიღო, ჩახმახს ასწია და შეაყენა, ოდნავ მბჟუტავი სანათი მთლად დააქრო და კარიც გააღო... შესაზარმა დამბაჩის ხმამ საშინელი გამოხმობა გამოიწვია ტყეში.

— ფიდან!—და შემოსულმა სული დალია...

ამავ ქოხს და ქოხიდგან ტყეს მეორე დამბაჩის ხმაც მოედვა, მხოლოდ უფრო ყრუდ...

გათენდა მეორე დილა. განთიადზედ აღმოსავლეთი წითლად შეიღება, ხოლო დასავლეთით ცივმა ნიავმა ძალზედ დაჰბერა და შეანძრია მცენარეები... სოფელ ...ში რაღაც ჩოჩქოლი შეიქმნა ობოლს ქოხში, თითქმის მთელი სოფელი შემოკრებილიყო და თავს დასდგომოდა უსულოდ მიწაზედ გაშხლართულ ცოლ-ქმარს, ფიდანს და მაქსიმეს. მათ მახლობ-

ლად ფალია დაშავებული და ჩახმახ-დაცემული დაჩბაჩა ეგ-
დო... ეს ამბავი ცოტა ხანში მთელს მიდამოს მოედო.

საღამოზედ აქ ოჯახის მეგობარ-ნათესავები შეიკრიბნენ
და დასაფლავებისათვის სამზადისს შეუდგნენ... სამზადისს მა-
მის სანახავად სოფელში წამოსული სილოც დაესწრო; იგი
ყველაზედ უფრო გულ-საკლავად სტიროდა გამდელსა და მა-
ქსიმეს... თავადი პორფირე ძლიერ ავადმყოფი ლოგინში იწვა
და ეს იყო მიზეზი, რომ თავის ერთგულს გამდელს და მაქ-
სიმეს დასაფლავებას ვერ დაესწრო... მესამე დღეს ფიდანი და
მაქსიმე ერთმანეთის მახლობლად მიაბარეს ცივს სამარეს...
მათ სიკვდილზედ სხვადასხვა ხმა დადიოდა ხალხში, მაგრამ
უმეტესობა სიმართლისაკენ იწეოდა და ყველაფერში ზოსიმეს
ამტყუნებდა... ზოსიმეს ტანჯვას ბოლო არ ეღებოდა... მან
შეიტყო ყველაფერი... მიხვდა, თუ როგორ უნდა მოეკლა
ფიდანს უცაბედად თავისი მაქსიმე... იტანჯებოდა ზოსიმე...

სოფლიდგან სილოც ღაბრუნდა და მამის უარესად მყო-
ფობის ამბავი მოუტანა ძმას. ზოსიმემ აღარ ისურვა მამის ნა-
ხვა და სილოსთან ერთად დადიანის რაზმში დარჩა... ბრძო-
ლა გაგრძელდა... დღე-დღეზედ სხვადასხვა შემაძრწუნებელი
ამბავი მოდიოდა ბრძოლის ველიდგან დადიანის სახლში; და-
ჭრილთა და მოკლულთ რიცხვს საზღვარი არა ჰქონდა... ზო-
სიმე მახლობელ ტყეებში იმალებოდა და არ უნდოდა ჯერ-
ჯეროობით ომში მონაწილეობა მიეღო...

ერთს დილახ ის ჩვეულებრივ ერთს აღმართს აჰყვა და
მთის სიმაღლიდგან დაბლა გადაიხედა... ნახა, რომ ბარად
აურაცხველი ხალხი იბრძოდა... მრავალი იჟლიტებოდა ქარ-
თველი ჯარი .. მტრის ბანაკიც ახლოს იყო... შორით მტრის
კარავიც მოსჩანდა და მის წინ აურაცხველი მოკლული თა-
ვები, სარებზედ წამოცმულნი... უცბად გააჟრჟოლა ზოსი-
მეს, ცივმა სისხლმა კანებში დაუარა და იგი, რაღაც უხილა-
ვის ძალით შეპყრობილი ქვევითკენ გაჰქანდა... საჩქაროდ გა-
იარა მინდორი, მიუახლოვდა მტრის კარავს უკანიდგან... უც-

ბად, ვითომ ელდა ეცაო, წინ წამოიწია და ერთიც საგრძნობლად შეჰყვირა: „ანდრონიკე! ჩემო ანდრონიკე!“—სარზედ წამოცმული თავი გულზედ მიიდო და ცხარე ცრემლებით კოცნა დაუწყო... თან გაქცევაც მოინდომა თავიანად, მაგრამ მტრის ბანაკიდგან გამოსროლილმა ტყვიამ ფეხები მოუკეცა.

—

ბრძოლა დასრულდა. დადიანმა გაიმარჯვა, თუმცა კი ჯარი ბევრი დაჰკარგა. იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ემ გაქცევით უშველა თავს, ხოლო ფოთის ფაშა ახალ-ციხეში გადაიკარგა... დადიანის სასახლე რამდენიმე თვე დაჭრილ-ავადმყოფთ სამკურნალოს წარმოადგენდა. მთავარი დიდის გულსმოდგინებით და სიყვარულით ადევნებდა თვალ-ყურს ავადმყოფებს... ამასობაში დადიანის სასახლეში ამბავი მოვიდა თავად პორფირეს გარდაცვალებისა... სილო სახლისაკენ მიეჩქარებოდა, რომ მამის დასაფლავებას დასწრებოდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მთავრის სასახლის ეკკლესიაში ომში გარდაცვალებულთათვის პანაშვიდი გარდაიხადეს... ომში გარდაცვალებულთ გარდა სასახლის მღვდელმა სიაში ვიღაც უცნობის ხელით მიწერილი შემდეგი სახელებიც მოიხსენია: „თავადი პორფირე, თავადი ზოსიმე, ჯარუ, ერთგული ფიდანი, ერთგული მაქსიმე“...

ივლონი.

წერილი სოფლელ მუშას *).

ჩემო მეზობელო ბეჟან!

შენს წერილში შენ ღვინის მოსავალსაც ესაყვედურები: „ვენახები უწინდებულათ აღარ ისხამენო, ამბობ შენ, და თუ ოდესმე კარგად მოისხა, იმათაც ფილოქსერი ახდენსო“. იქნება სხვაგან \მართლაც საფუძვლიანი იყოს ასეთი საჩივარი, მაგრამ გურიაში ღვინის მოსავალზედ საყვედური მე კი სწორეთ უადგილოთ მიმაჩნია. რატომ?—იმიტომ, რომ ჩვენში ვენახის რიგიანათ მოვლა-მოშენებისა აქნობამდის არავის შეუწუხებია თავი!..

თუ სადმე ვინმეს ბაბუასეული ვენახები გააჩნდათ, ისინი უკვე მობერდნენ, ხოლო ახლის რიგიანათ მოვლა-მოშენებას თითქმის აღარ ვინ ეტანება... ამიტომ, ვფიქრობ, რასაც ვღებულობთ დღეს ვენახებიდგან, იმისაც მადლობელნი უნდა ვიყვნეთ; აქაც ბუნების სიუხვეს უნდა დავუმადლოთ, თორემ უშრომლათ და უტანჯველად სხვა რა იძლევა სარგებლობას?!..... რაც შეეხება ფილოქსერისგან ვენახების დაზიანებას, ამაზედ აი რას მოგახსენებ: ჩვენში, გურიაში, საზოგადოთ ღელეების [1]) და მოზრდილი მდინარების სიმრავლის გა-

---

*) იხ. „მოგზაური“ №№ 3—4, 1904 წ.

[1]) ღელე ჰქვიან პატარა მდინარეს, რომელიც ჩამოსდის გო-

მო, ხშირია სილა-ნარევი მიწა (ადგილები). აი, ასეთ სილა-ნარევ მიწაზედ მოშენებულ ვენახებს ვერაფერს სწყენს ფილოქსერა. ისეთ სილა-ნარევ მიწას, რომელზედაც მონაშენი ვენახი უზრუნველ ყოფილია „ფილოქსერის“ ენგბისაგან, ანტი-ფილოქსერიანს მიწას ეძახიან. ასეთი სავენახე მიწის გამოცნობა ამნაირად შეიძლება: უნდა აიღოთ ასეთი სავენახე ადგილიდგან ერთი მუჭა მიწა, ჯერ დაასველოთ და დაკუმშოთ ხელში, შემდეგ გააგრძელოთ და თან გაამრგვალოთ თითის ოდენა ჯოხივით. ამის მერმეთ გამოდევით მზეზედ და როცა კარგად გახმეს, გაშინჯეთ მისი სიმაგრე: თუ ხელის ნელა შემოჭირებით (ძალა-დაუტანებლათ) ის დაიფშვნა, ეს იმის ნიშანია, რომ ასეთ სილა-ნარევ მიწაზედ გაშენებულ ვენახს „ფილოქსერა“ ვერას ავნებს, ხოლო თუ არ დაიფშვნა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ „ფილოქსერა“ ჩვეულებრივათ ავნებს ასეთ ადგილზედ გაშენებულ ვენახებს. გარდა ზემოხსენებულისა, ვენახის სილიან ადგილზედ გაშენება უფრო საადვილოც არის, კარგადაც ხარობს და ამასთან ადრეც მწიფდება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დამმუშავებელთათვის [1]). ადგილის დასამუშავებლათ უფრო თავისუფალი დრო უნდა აირჩიო (მაგ., ადრე გაზაფხულზედ ან შემოდგომაზედ, როცა სხვა საქმეები არ არის მოცხუნებული). სავენახე მიწას ერთი ალაბის სიღრმეზედ უნდა გადაბრუნება. მაგრამ, რადგანაც გურია-მეგრელიაში და საზოგადოთ იმერეთში ასე ღრმათ მოხვნილი გუთნები ჯერ კიდევ იშვიათია, ამიტომ ისინი ბარით უნდა დაიბაროს. სანამ დაბარვას შეუდგებოდეთ,

---

რას და გორას შუა. ამათგანში ისეთებიც ურევიან, რომლებიც ზაფხულობით შრება, ხოლო უმეტესი მათგანი კი მხოლოდ კლებულობს და არა შრება.

[1]) სილას თუ მარილი ურევია, არ ვარგა; ასეთი სილა ზღვის პირათ იცის ხშირათ.

სავენახე ადგილი წინდაწინვე უნდა დაჰყოთ ნაჭერ-ნაჭრებათ. თითვეულ ნაჭერს შეგიძლიათ მისცეთ ოცდაათ ფეხის ნაბიჯამდის სიფართე და ამასთან შესავალ-გამოსავალი გზა, რომელზედაც თავისუფლად შეიძლებოდეს ნაკელისა და ან ყურძნის გატან-გამოტანა ურმით. ვაზების დასარგავ თხრილებს (კვლებს) იმდენი სიფართე უნდა ჰქონდეს, რამდენიც მას სილრმე ექმნება. ხსენებული თხრილები, თავიდგან-ბოლომდის მარჯვეთ უნდა იყოს გაყვანილი ბაწრის შემწეობით.

ვაზების დასარგავათ თხრილებს ამნაირად აკეთებენ: „მუშაობას ადგება ერთად ხუთი კაცი [1]). პირველს გააქვს ერთი ბარის პირი და ნაბარს ზევით ამოისვრის, ხოლო რაც თხრილში ჩარჩება, იმას მეორე მუშა ამოჰყრის. მესამე მუშა იწყებს მუშაობას იქიდამვე, საიდგანაც დაიწყო პირველმა და გააქვს მეორე ბარის პირი მიწა; მეოთხე თხრილს ძირს უწმენდავს (ე. ი. რაც თხრილში ფშვნილი მიწა დარჩება მესამე მუშა ყველა იმას ზევით ამოისვრის). და ბოლოს მეხუთე მუშას გააქვს მესამე ბარის პირი, რამდენი მიწაც ბარის პირს მოჰყვება, ზევით ამოისვრის და დანარჩენნი კი თხრილშივე რჩება ამოუწმენდელათ. ასეთ თხრილს, სამი ბარის პირით, მიწის ამოყრის შემდეგ, ერთი ალაბის სილრმე ეძლევა. ამნაირადვე შეგიძლიათ თქვენ დანარჩენი კვლების (თხრილების) ამოღებაც მხოლოდ იმ პირობით, რომ მეორე თხრილიდგან ამონალები მიწა პირველში უნდა ჩაყაროთ, მესამიდგან მეორეში, მეოთხე თხრილიდგან—მესამეში და ასე ბოლომდის სილიანი ადგილის გასასუქებლათ კარგია ხარ-ძროხების ნაკელი (ნეხვი, ნაგავი) [2]).

---

[1]) ამავე საქმის გაკეთება ერთ მუშასაც შეუძლია, რასაკვირველია.

[2]) ქტეგა ადგილს ოთხმოცდ ჭვირთამდის ასეთი ნაკელი სჭირდება.

გარდა სხვადასხვა მრავალგვარ ვაზისა, სილიან ადგილზედ კარგად ჰხარობს ადესის ვაზიცა და ამიტომ უფრო საჭიროთ ვცანი ასეთის ადგილების თვისების გაცნობა შენთვინ. მოსაშენებლათ (დასარგავათ) შენ ვაზები კარგი ბუჩქებისგან უნდა ამოარჩიო და ამასთან ისეთები, რომლებიც უკვე ისხამენ ყურძენს. საზოგადოთ ძირზედ ამონაყარი ვაზი ან და რაიმესაგან დაზიანებული [1]) მოსაშენებლად არაოდეს არ ვარგა. გასაშენებლათ ამორჩეული რქები იმ დროს უნდა გამოსჭრათ, როცა იმათ ფოთლები უკვე ჩამოცვივნული აქვთ [2]).

დასარგავ ვაზებს ალაბის სიგრძე მაინც უნდა მისცეთ. ძირისკენ ისინი კვირტის ქვემოდგან უნდა გადასჭრათ, ხოლო წვერი კი—თითის დადებაზედ კვირტს ზემოთ. ამასთან თავი ისე უნდა გადუჭრა, რომ ჩანაჭერმა კვირტის მეორე მხარეს მოუწიოს. ასე დამზადებული ვაზების დარგვა შემოდგომაზედაც შეიძლება, მაგრამ უფრო უკეთესია, თუ იმათ გაზაფხულამდის შეინახავთ; შენახული ვაზების გაზაფხულზედ დარგვა ყოველ შემთხვევაში უფრო ხელსაყრელი იქნება შენთვინ და ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა ნაირად შეიძლება შემოდგომაზედ დაჭრილი რქების გაზაფხულამდის შენახვა. დასარგავათ ამორჩეული და გამოჭრილი რქები შეჰკარით კონებათ [3]). შემდეგ ამოსთხარეთ თხრილი სიღრმით ალაბ ნახევრიანი და ჩააყუდეთ შიგ ამ ვაზის კონები ისე, რომ სხვილი თავები ზევით დაურჩეს აღერილი; მერმე დააყარეთ იმდენი სილა, რომ ეს უკანასკნელი, მიწის პირას ზევით ალაბის სიმაღლეზედ შეიზვინოს. ამ ნაირად დასტოვეთ გაზაფხულამდის. როცა გაზაფხულდეს (თუ დარეგია მარტში, თუ არა და აპრილის დამდეგს) გადაართვით თავზედ იმდენი სილა, რომ ამ

---

[1]) ჯოხისაგან ან და საქონლისგან.

[2]) შემოდგომაზედ.

[3]) კონაში ასიდგან ორას ღერამდის შეგიძლია მოათავსო.

უკანასკნელის სიმაღლე ვაზებიდგან მოკიდებული ოთხ ვერშოკზედ დადგეს და თან მორწყევით კარგად. ამის შემდეგ ისინი თავისთავათ გაიკეთებენ ძირებს და მაშინ კი დაუყოვნებლად გადარგევით. იმათ დასარგავათ გამზადებული კვლები სამი ფეხის ნაბიჯით უნდა იყვეს ერთმანეთზედ დაშორებული, ხოლო დანარგავი რქები კი ალაბ-ნახევრით.

თვითეული ვაზის ჩასარგავი ადგილი წინდაწინვე უნდა დანიშნოთ. ასეთ დანიშნულ ადგილას ჯერ თოხით უნდა ამოალრმავოთ მიწა და მერმეთ თავ-წამწვეტებული სარით ნახვრეტი გააკეთოთ. შემდეგ ამ უკანასკნელში უნდა ჩაასოთ (ჩარგოთ) ხსენებული რქა და სარისავე შემწეობით ისე მაგრათ უნდა შემოუბეკნოთ მიწა გარშემო, რომ მერმე მისი მიწიდგან ამოძრობა ადვილათ აღარ შეიძლებოდეს [1]). ასეთ დანარგავ ვაზებს პირველ წელიწადს ძირი უნდა გაუთოხნოთ ხოლმე, რომ ბალახმა არ შეაწუხოს. მეორე წელიწადს კვლებს და კვლებს შუა მიწა უნდა მოუხნათ და შემდეგ (მარტის დამლევს) ასე უნდა გასხლათ: ვაზის ბუჩქს, გარდა ერთი ღერისა, ყველა უნდა შეაჭრათ. ზედ დანარჩენებული ტოტი კი მესამე კვირტის (თვალის, ან მუხლის) ზევიდგან გადასჭერით. მაისის დამლევს ყველა ზედმეტი ამონაყარი ხელ-მეორედ უნდა შეართვათ (შემოაჭრათ) ფრთხილათ.

ასე გასხლულ ბუჩქების ძირებს, ზაფხულში ორჯელ მაინც უნდა გაავლოთ თოხი. მესამე წელიწადს (მარტშივე) მიწა დაუბარეთ; აპრილში კვლავ გასხალით; ამას შემდეგ მიუსვით თვითეულ ბუჩქს სარი და მიაკარით იგი ზედ. ამავე ზაფხულში, რომ ვაზები ნამეტნავათ არ აიჩხოტოს ზევით, ამ უკანასკნელთ წვერები უნდა გადუჭრათ—ორი ალაბის სიმალ-

---

[1]) უმჯობესი იქმნება, თუ ჯერ წყალს დაუსხავთ ვაზს და შემდეგ შემოუბეკნით მიწას.

ლეზედ [1]). მესამე წლის დამლევს ასეთი ვაზები უკვე ყურძენს მოისხმენ. როცა ბუჩქები კარგად დაიზრდება, შენ შეგიძლია შეარჩინო თვითეულ მათგანს ექვსამდის რქა თვითეული ამ უკანასკნელთაგანი უსათუოთ მესამე კვირტთან უნდა გადასჭრა. მეოთხე წელიწადს შეგიძლია, თვითეულ ჩირგვს თითო-თითო გრძელ-გრძელი რქაც დაუტიო. ამნაირად ამოარჩიე ვაზის ბუჩქში ისეთი მოზრდილი რქა, რომელსაც ამონაყარი აქვს ამოშვებული. გრთი ამ უკანასკნელთაგანი გადუჭერი პირველ კვირტთან (ძირში) და მეორე ამონაყარი (რომელიც უფრო ზევით იყოს ამოყრილი) მეთორმეტე კვირტთან (ზევით); ეს უკანასკნელი მოხვიე რგოლივით და მიაკარი იქვე ჩირგვს. მომავალ წელს ის ამონაყარი, რომელიც შენ ძირში (პირველ კვირტთან) მიაჭერი შარშან, უეჭველად ამოიყრის; ეს ამონაყარი შენ, წრეულს, მესამე კვირტთან უნდა გადასჭრა, ხოლო შარშან დანატევი გრძელი (მოხვეული რგოლივით) რქა კი ამ ახლად ამონაყარი ვაზის საპირდაპიროთ უნდა გადიჭრას. ამის შემდეგ იმათ გასხვლა-გადამაგინებას თქვენ ადვილად მოახერხეთ.

რაკი ვენახის მოვლა-მოშენებაზედ ჩამოვარდა ლაპარაკი, ამიტომ ვგონებ არ იქმნება მეტი, აქვე გავეცნოთ ბ. „მონიკას“ (ექიმია) აზრს იმის შესახებ, თუ რანაირად შეიძლება ზამთრობით საჭმელი ყურძნის შენახვა. ზამთარში. შესანახათ დაკრეფილი ყურძენი, ამბობს ბ-ნი მონიკა, უნდა ჩააწყოთ თბილ წყალში [2]) და გააჩეროთ შიგ ხუთმეტ წუთს, აქედგან უნდა გადააწყოთ ადუღებულ წყალში და დააცალოთ შიგ ხუთი წამი. ხუთი წამის შემდეგ ისინი ისევ ცივ წყალში უნდა გადილოთ. როცა ყურძენი კარგათ გაცივდეს, ამოიღეთ

---

[1]) ძირადგან მოკიდებული ორი ადგილის სიმაღლეზედ, ზევით.

[2]) წყლის სითბო 35 გრადუსამდის (ცელსის ტერმომეტრით) უნდა აიევანოთ.

ისინი იქიდგან, გააწყეთ წმინდა ტილოზედ და გააშრეთ ჰაერზედ. გაშრობისათანავე შეიძლება იმათი ჩაწყობა სკივრში (შესანახად) ამნაირად: ძირში ჩაუყარეთ ხის ნახერხალი; ამ ნახერხალზედ დააწყევით მწყობრად მტევნები. გაიაროთ თუ არა ერთი წყობა, ისევ მოაყარეთ თავზედ ნახერხალი და ამ უკანასკნელზედ გააწყეთ მეორე წყობა ყურძნისა. ამნაირად იქამდის უნდა განაგრძოთ სკივრში ყურძნის წყობა, სანამ სკივრი თავამდის (პირამდის) არ ამოიმსება. ასე შინახული ყურძენი, ამბობს ავტორი, გაზაფხულზედ ახალ მოკრეფილივით იქმნებაო.

—

ახლა დავუბრუნდეთ ისევ ხეხილების შესახებ კითხვებს.

შენ იწერები, რომ ხილეულობის გაყიდვა კარგ ფასში, უმეტეს ნაწილად, შემთხვევაზეა [1]) დამოკიდებულიო; ბევრჯერ იმათ იმის ნახევრადაც ვერ გაჰყიდით, რამდენსაც თქვენ ანგარიშობთ თავიანთ წერილშიო და სხვა..... მჯერა, ჩემო ბეჟან, მარა აბა ახლა შენ დამისახელე ისეთი რამ, რომლის გაყიდვა ყოველ დროს ერთ და იმავე ფასში შეიძლებოდეს? განა სიმინდის გაყიდვა კი ყოველთვინ ერთ და იმავე ფასში შეიძლება? მისდღემჩიაც არა და ამიტომ ასეთ საერთო მოვლენაზედ ჩივილი შენგან მეც მეტათ მიმაჩნია.

— „ჩვენში საზოგადოთ ძლიერი ქარი იცის, რომლისგანაც ძნელი დასაფარავი იქმნება ხეხილებიო“,—იწერები შენ. მე ეს პირველ წერილშიაც გითხარი და ახლაც გაგიმეორებ, რომ ქარს, ჩვენში, ახალგამოსული ნაყოფის ძირს ჩამოყრა არ ძალუძს, ან თუ ჩამოჰყრის, ისეთ დროს ჩამოჰყრის, როცა მათი (ნაყოფის) გამოყენება უკვე შეიძლება. თუ რომელიმე

---

[1]) მოთხოვნილების მიხედვით.

წელიწადს ხილეულობის მაზანდა დაიწევს ნამეტნავათ, ასეთ შემთხვევაშიაც მოახერხებს მცოდნე ადამიანი თავიდგან ზარალის აცილებას. ის ასეთ დროს ან ახმობს ნაყოფებს და ისე ინახავს მაზანდის აწევამდის, ან და იმათგან (ნაყოფებიდგან) აკეთებს სხვადასხვა ტკბილეულობას (კონსერვებს), სასმელებს და მერმე ღებულობს იმათში გაცილებით მეტს, ვინემ ხილად გაყიდვით აიღებდა. ქარისგან უდროვოთ ჩამოყრილ ხილეულობისგან ის აკეთებს ეგრედწოდებელ „ჟელეს“, ან და ხმარობს იმათ პირუტყვების გამოსაკვებათ და სხვა... თუ რანაირად შეიძლება ხილეულობის გახმობა ან და იმათგან კონსერვების გაკეთება, ამაებზედ ქვემოთ მექნება შენთან ბაასი და ეხლა კი მინდა შევაჩერო შენი ყურადღება ჩვენში ხეხილების გამრავლების მნიშვნელობაზედ.

ხეხილების გაშენება რომ დიდ მნიშვნელოვანია ქონებრივის მხრით, ეს ახალი ამბავი ალარავისთვინ არ არის დღეს, ჩემო ბეჟან; ამიჯომაც იმათის გაშენებით ისეთ სახელმწიფოებშიაც კი სარგებლობენ, სადაც მიწაც გაცილებით უფრო ძვირია, ბუნებაც მკაცრი და თვით მუშა ხელიც უფრო ძნელი საშოვნი, ვინემ ჩვენში!.. ხსენებულში დასარწმუნებლათ მოვიყვან აქ რამოდენიმე შენიშვნას ბ. ზემლერის წიგნაკიდგან: „ამერიკას მარტო ხილის კონსერვებისგან ას მილიონ მანეთზე მეტი შემოსდის ყოველ წლობითო, ამბობს ავტორი. ხილეულებისგან შემოსავალი საფრანგეთში სამოცდა ხუთმეტ მილიონ მარკას აღემატება; ამ უკანასკნელში ხშირია ისეთი მეურნე, რომელსაც მარტო გამხმარი ქლიავიდგან ოთხმოცი ათას მარკამდის შემოსდის წელიწადში! ლუარისა და გარონის დეპარტამენტში მარტო მსხალის გამხმარი ნაყოფებისგან წლიური შემოსავალი ექვს მილიონ მანეთს აღემატებაო... ინგლისის ერთ-ერთი ქარხანა ექვსას ათას გირვნქამდის მარტო მაყვალს ასაღებს (ტკბილეულობას აკეთებს იმათგან); ოთხასი ათას გირვანქამდის მარწყვს და ერთ მილიონ გირვანქამდის კიდევ სხვადასხვა ხილეულობას!.... დეპარტამენტის ოფიცი-

ალური ცნობებიდგან სჩანსო, რომ შეერთებულ შტატებში მარტო ხილეულობისგან წლიური შემოსავალი ექვს მილიონ მარკას აღემატება, რომლის შემწეობითაც ტკბილეულობის მაკეთებელ ქარხნებში ხუთას-ათას მუშებამდის შოულობენ ღებულობენ) საგრძნობელ დღის ქირას, მთელი ზაფხულის განმავლობაშიო და სხვა..... ყველა ზემოხსენებულიდგან ცხადია, თუ რამდენად ხელ-საყრელი ყოფილა საზოგადოთ ხეხილების მოშენება. მაგრამ სამწუხაროთ ჩვენში ვერ არის ეს საქმე სასურველ გზაზედ დამდგარი, და თუ სადმე ეკიდებიან ხეხილების მოშენებას, იქაც ვერ ახერხებენ იმათგან სარგებლობას ისე, როგორადაც ამას ახერხებენ სხვა ქვეყნებში. მიზეზი?—მიზეზი, რასაკვირველია, ყოველის მხრით ჩვენივე გაუნუვითარებლობა და უცოდინარობა-მიუხდენლობაა.

ჩვენში მოიწევს მეურნე ხილს თუ არა, მაშინვე უნდა გაჰყიდოს მის ფასოვნობის მიუხედავათ, რადგანაც წინაალმდეგ შემთხვევაში მას სულ დაეღუპება მთელი ნაშრომი (დაულპება). ამიტომ თუ ვინიცობაა ვინმე შეეცილა მას ამ საქმეში, ის ხშირათ იძულებული ხდება, ნახევარს ფასშიაც გასცეს თავისი ნაოფლარი!.....

სხვა ქვეყნებში ხომ ასე არ იქცევიან. ახალ მოწეულ ხილს იქ მარტო მაშინ ჰყიდის მეურნე, როცა ხელ-საყრელ ფასს ღებულობს მასში. წინაალმდეგ შემთხვევაში ის ახმობს მოწეულ ნაყოფს მზეზედ ან ფეჩში და ინახავს მანამდის, სანამ იმათი ღირებულობა ერთი-ორად არ აიწევს. ასეთი მოქმედების შემწეობით ისინი იმდენ ნაყოფში (ხილში), რამდენშიაც თავდაპირველად (როცა ახალი დაკრეფილი იყო) ორ-მოც სამოც მანეთზედ მეტის აღება არ შეეძლოთ, დღეს (ასეთი მოქმედებით) ოთხმოციდგან მოკიდებული ას-ოც მანეთაჰდის ღებულობს!.. გარდა ამისა იქ არც უდროვოთ ჩამონაყარ ნაყოფებს სტოვებენ ისე, რომ იმათგანაც რაიმე სარგებგებლობა არ გამოადნონ და ამიტომაც არის, რომ იქაურ სოფლელ მუშას გაცილებით მეტი (ქონებრივი) შეძლება აქვს,

ვინემ ჩვენებურს, მიუხდენლობისა და დაუდევრობის გამო მისუსურებულ, სოფლელ მუშას. .... მაშ დროა, მეზობელო, ჩვენც შევიგნოთ და ხელი გავაქნიოთ.

რაც შეეხება ხეხილების მოვლა-მოშენებას, ამაების დაწვრილებით ახსნა ჩემს მიზანს არ შეადგენს [1]). მე აქ მსურს მხოლოთ გაგაცნა შენ ზოგიერთ ისეთ საშუალებებს, რომლების შემწეობითაც ხსენებული მოქმედებიდგან შეგეძლება მეტი სარგებლობის გამოტანა. მაგალითად, თუ როგორ შეიძლება ხილეულობის გამოხმობა (გამოშრობა) და მის შემწეობით, როცა გესურვება მაშინ იმათი გაყიდვა. 2) რანაირად შეიძლება უდროვოთ ჩამონაყარ ხილიდგან ეგრედწოდებული „ჟელეს“ გაკეთება; 3) რანაირად შეიძლება ყოველ-გვარი ხილეულობიდგან ტკბილეულობის (კონსერვების) დაკეთება და 4) რანაირად შეიძლება ნაყოფებიდგან სხვადასხვა სასმელების მომზადება?

დავიწყოთ. ხილის გასახმობათ ეხლანდელ დროში ისეთი მანქანებია გამოგონილი, რომლების შემწეობითაც სამას ფუ-

---

[1]) მოგვაკვს აქ მხოლოდ ერთი უბრალო საშუალება, რომლითაც ქიზიეში, ბ. მ. ნა—ძის სიტყვით, ძველურ ადვილათ აშენებენ იქ ხეხილს. აი ეს საშუალება: მოსწერით ადრე გაზაფხულზედ ხეხილს, რომლის შომრავლებაც გინდათ, ისეთი ტოტი, რომ ამას ზედ მეორე ტოტი ჰქონდეს; ქვემო ტოტს მოსწერით მარჯვნივ და მარცხნივ ბოლოები და ზედ წამოაცვით თან მოტანილი კარტოფილები; ზევით ამართული ტოტი კი გადასწერით ორ კვირტზედ, დაკარით გადაწერილ ადგილზედ წმინდა სანთელი და ასე მოწყობილი ტოტი ჩარგეთ წინათვე მომზადებულ კარგს მიწაში. ეური უგდეთ, თავის დროზედ მორწყეთ, გამარგლეთ და გაგეზრდებათ სწორეთ ის ხე, რომლიდამაც მოსწერით ტოტი. ჩვენს დაწინაურებას ამ საქმეში ამას იქით წინ ადარაფერი უდგას, რადგანაც საჭირო ადარ არის ადარც მუნობა და ადარც გადაწვენით თუ ძირებით ხეხილის გაშრავლება.

რედ.

თამდის ნაყოფის გახმობა შეიძლება ათი საათის განმავლობაში.. მაგრამ, რადგანაც ასეთი მანქანის შეძენა და თან მოხმარებაც შენგან საგრძნობელ ხარჯთან ერთათ ცოდნა-გამოცდილებასაც მოითხოვს, ამიტომ უმჯობესი იქნება, გავეცნათ ჯერ შინაურულად გახმობას, რომელიც არავითარ ხარჯს არ მოითხოვს შენგან [1]). შინაურულად ხილეულობის გახმობა შეიძლება ან მზის, ან და ფეჩის შემწეობით. მზეზედ უფრო ადვილათ ხმება შემდეგი ნაყოფები: ვაშლი, მსხალი, ქლიავი, ყურძენი და ქვიშნა-ბალი. თვითეული მათგანი ამ. ნაირად უნდა მოამზადოთ: 1. ვაშლი და მსხალი ჯერ უნდა გაფცქვნათ, შემდეგ შიგნიდამ გული ვამოუწმინდოთ (გამოუქუთნოთ), დათალოთ თხლად, [2]) ააცვათ ძაფზედ და გამოჰკიდოთ მზეზედ. ღამ-ღამობით თუ ცუდი დარია, სახლში უნდა შემოიტანოთ და დილით (მზის ამოსვლისათანავე) ისევ უნდა გაჰკიდოთ მზეზედ. თუ ასეთ დროს კარგი ამინდები დაგესწრა, ხუთი დღის განმავლობაში ჩირი უკვე მზათ იქნება შესანახათ.

2. კარგ ნაყოფსაც იძლევა და თან უფრო ადვილათაც ხმება მზეზედ ქლიავი. კარგად მომწიფებული ქლიავი მოკრიფეთ კარგ დარში, გაშალეთ ლასტებზედ ერთ წყობათ და გამოდგით მზეზე. მზეზედ ხმობის დროს რამდენჯერმე აურ-დაურიეთ და რამოდენიმე დღის შემდეგ ქლიავის ჩირიც მზათ გექნებათ შესანახათ.

ასევე შეგიძლიათ დაახმოთ ლეღვი, უნაბი და სხვა ამ-

---

[1]) ასეთ მოქმედებასთან გაცნობა მალე დაგარწმუნებს შენ როგორც ასეთი მოქმედების ნაყოფიერებაში, ისე (როცა ხელს მოითბობ) შემდეგისთვინ ზემოხსენებული დიდი მანქანების შეძენის საჭიროებაშიაც.

[2]) თავიდგან უნდა მოსდგეთ და რგვალ-რკვალ ნაფეტებათ დასჭრათ.

გვარები..... მაგრამ აქ საქმე იმაშია, რომ იქნება ყოველთვინ ასეთი სასურველი დარი (ამინდი) არ დაგვირჩეს! ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, თუ რანაირად შეიძლება ნაყოფების გახმობა რუსული ფეჩის შემწეობით. ასეთი ფეჩების საჭიროება-მნიშვნელობა ჩვენებურ ოჯახებში მე უკვე აღვნიშნე მეორე წერილში ჟურნალ „მოგზაურში“.

ეხლა შეგვიძლია დავიძინოთ მაშინდელ ოქმულს კიდევ შემდეგი: ამნაირ ფეჩებს მწვანილისა და ნაყოფების გამოხმობაშიაც დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ჩვენთვის.

მსხალ-ვაშლის გამოხმობა რუსულ ფეჩში ამნაირად შეიძლება:

1. ნაყოფი ჯერ გაფცქვენით, მერე დასჭერით ნაწილ-ნალილათ [1]) და დააწყეთ ამათთვინ მომზადებულ საცერის მაგვარ მართულის ცხრილზედ, რომელიც ხელის დადების სიმაღლე ფეხებზედ უნდა იდგეს და შედგით გაცხელებულ ფეჩში. ფეჩის მეტ ნაკლებ სიმხურვალის გამოსაცნობათ უმჯობესია შეიძინოთ ეგრედ-წოდებული რეომიურის გრადუსნიკი, რომლის ფასოვნობა ხუთ ექვს შაურს არ აღემატება. ასეთი გრადუსნიკი ცოტა ხანს გააჩერეთ ფეჩში, მერმე გამოიღეთ და თუ ფეჩის სიმხურვალე სამოცთახუთმეტ გრადუსამდის ადის ან და ცოტა ნაკლები იყოს, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ფეჩი სასურველად გახურებულია და მაშასადამე შეგიძლიათ ხილის გახმობის დაწყება, ხოლო მისი სიმხურვალე თუ ამაზედ ან მეტია, ან და გაცილებით ნაკლები, მაშინ კი პირველ შემთხვევაში ცოტა უნდა დააცალოთ ფეჩს, რომ გაგრილდეს, და მეორე შემთხვევაში კი სითბო მიუმატოთ. ამნაირად გახურებულ ფეჩში ნაწილ-ნაწილათ დაჭრილი მსხალ-ვაშლი ოცდაოთხ საათში საკმაოთ გამოხმება. ხოლო, თუ

[1]) თუმცა მათი გამოხმობა დაუჭრელათაც (მთელ-მთელათ) შეიძლება.

ისინი მთელ-მთელია ან და შუა-შუაზედ დაჭრილი, მაშინ კი იმათ გამოხმობას ორი დღე და ღამე სჭირდება. ასევე შეგიძლიათ გამოახმოთ რუსულ ფეჩში ქლიავი და ქვიშნა-ბალიც.

პოლონეთში მსხალს ცოტა სხვანაირად ახმობენ. კარგად მომწიფებულ მსხალს გაფცქვნიან. გამოუქუთნავენ გულს და ჩააწყობენ ცივ წყალში. ამას იმიტომ შვრებიან ასე, რომ მსხალმა ფერი არ შეიცვალოს. შემდეგ ამონაქუთნ გულს და ნაფცქვენს ჩაჰყრიან ქვაბში და ადუღებენ კარგად დარბილებამდის. როცა დარბილდება, ამოიღებენ, დაჰყრიან საცერზედ, რომელსაც შემდგარი ექმნება წინდაწინვე გობი; ამ უკანასკნელზედ რაც წვენი ჩამოიწურება, იმას შეურევენ ცოტა თაფლს; ასეთ თაფლნარევ ნახარშში ჩააწყობენ ხსენებულ დაფცქვნილ ნაყოფებს (მსხალს) და ადუღებენ იმათაც დარბილებამდის. დარბილებისათანავე ნაყოფებს ამოიღებენ, დააწყობენ გობებედ ან საინჭედ, წააყრიან თავზედ ფშვნილ შაქარს და შესდგამენ გამოსახმობათ საშუალოთ გამთბარ ფეჩში.

ქვიშნა ბალიც და ქლიავის გამოხმობა ჩვენში თავიანთ კურკიანა შეიძლება [1]).

ტ. ართმელაძე.

(შემდეგი იქნება).

---

[1]) ასეთი მოქმედებით ბევრი ხილის გამოხმობა ძნელია და ამიტომ ვისაც კი სურს ასობით და ათას ფუთობით იმათი დახმობა გასაყიდათ, იმის უსათუოთ ზემოხსენებული დიდრონი მანქანის შეძენას უნდა შეეცადოს.

ბუნება და ადამიანი.

ვილასთვის არის საეჭვო, თუ როგორ წარმოუდგენია საერთოდ ადამიანს ბუნება?—ეს არის, სივრცე, რომლის სიგრძესა და სიგანეს არა აქვს დასასრული. ამ უსაზღვრო სივრცეში გაფანტულია ვეებეროელა სხეულები, რომელთ სიმრავლეს არა აქვს სათვალავი. ეს არის მზე, მთვარე, დედამიწა და ვარსკვლავები. თვითეულ მათგანს აქვს თავ-თავისი დანიშნულება, რომელსაც უნდა ასრულებდნენ.

ესე სჯი და სჯის საერთოთ უბირი კაცი, ესეთია იმისი წარმოდგენა. დადგა ხანა, რომ რწმენამ დაუთმოს ალაგი კვლევა ძიებას. ეს წესი ადამიანმა შეიტანა ყველგან, მით უმეტეს ბუნების შესწავლაში. გამოიგონა სხვადასხვა საშუალება შორს ცის სივრცეში გაეხედა, გაეგო იქაურობისა რამ. მერე რას ვხედავთ? უბირი ხალხის წარმოდგენა იყლაპება ამათ საბუთიან წარმოდგენებში. ასი ათასი მილიონი ვერსით იერიში მიაქვს ცის სიღრმეზედ, მაგრამ რა გამოვიდა? ეს ბუმბერაზი გავლილი მანძილი ისე მოსჩანს შემდეგთან, როგორც უჩინარი წვეთი დიდ ოკეანესთან

— რამდენიც გინდა ამისთანა მანძილი გაიაროვო, ყოველთვინ რწმუნდები, რომ მხოლოდ ისევ კარების ბჭესთან დგეხარო,—ამბობს ერთი ვილაც ვარსკვლავთ-მრიცხველი.

ასეთია მეცნიერების წარმოდგენა სივრცეზედ, ასეთივეა ამისი წარმოდგენა სხეულთა რაოდენობაზედ: როგორც უზო-

მოა სივრცე, ისე უზომოა, დაუთვლელია სხეულთა სიმრავლეც ამ სივრცეში.

ჰკვირდება ადამიანი ამათ სიმრავლეს, მაგრამ არა ნაკლებ აკვირვებს ადამიანს ამათი სიდიადეც. ავიღოთ თუნდ დედა-მიწა. აბა შეხედეთ, რამდენ მილიონ ადამიანს, რამდენ ათას მილიონს სხვა ცხოველს და მცენარეს აფუსფუსებს თავის კალთაზედ. ვჭიჭგნით, ვთელავთ და დედა-მიწა კი თითქმის ისევე ხელ-უხლებია, როგორც ყოფილა. ახლა რას ვიტყვით იმისთანა სხეულზედ, რომელთანაც შედარებით ჩვენი მიწა პატარა ფეტვის მარცვალია. და ეს ბუმბერაზიც სხვასთან შედარებით ისეთივე ან იმაზე უფრო მომცრო მარცვლად მოგვეჩვენება! აი ამისთანა სხეულებით ყოფილა მოჭედილი ეს სივრცე. ზოგ იმათგანზე, რომ დედა მიწა დააგდო, ისევე გამოჩნდება, როგორც ლიმონზე მტვრის ფერფლი.

ესეთია წარმოდგენა მეცნიერებისა ბუნებაზედ. მაშ რა ყოფილა ჩვენი დედა-მიწა? ერთი უმცირესი სხეულთაგანი, რომელიც თავის სიმცირის გამო, იქნება, ბუნებასაც დავიწყებოდეს, როგორც ამბობდა ვიღაც ოხუნჯი.

აი ვის ვრგებივართ ჩვენ წილად, აი ვინ აღმოგვაცენა ჩვენ თავისზედ და ჩვენთან ერთად აღმოაცენა ყველა ის, რასაც მაზედ ვხედავთ. ამ პაწია ბურთზე ვფუსფუსებთ და ვჟღრიამულობთ. „აღმოგვაცენა, ვჟღრიამულობთ“ ადვილი სათქმელია, მაგრამ, როგორ აღმოგვაცენა, რათა? რით იწყება ჩვენი წარსული და რით თავდება მომავალი?—აი ორი კითხვა, თავი და ბოლო ჩვენი სვე-ბედისა! დავიბადენით—არ ვიცით როგორ, ვცოცხლობთ—არ ვიცით რათა?—ეს ფიქრი ხომ ჩაუქრობელ ალს უჩენს თვითეულ შეგნებულ ადამიანს?! ეს კითხვა ხომ არსებითი კითხვაა—რათა და რასთვის? წარმოიდგინეთ, ვაკეთებდეთ რასმე და არ ვიცოდეთ კი რათა, მივდიოდეთ და არ ვიცოდეთ სადა? ამგვარი საქციელი ხომ ვიცით ვისი ხვედრიც არის... თუ შედარებით ამისთანა წვრი-

ლმანში ესე სასტიკები ვართ, მაშრალა ითქმის ჩვენზე მაშინ, როდესაც მთლად ჩვენს სიცოცხლეს გარეშე ვატარებთ!?.

ასე და ამ გვარად დღეს ჩვენ არ ვიცით ჩვენი წარსული, არ ვიცით ჩვენი მომავალი. წინაც უფსკრული, უკანაც უფსკრული... დღეს ცხადია მხოლოდ ეს: რაც კი ადამიანს თავი შეუსწავლია, მოდის და მოსტირის თავის ყოფას. მდუღარე ცრემლით, უზომო სისხლით იკაფავს გზას და ამ შრომით იკავებს სიცოცხლეს; ბოლმა-შემოწოლილი არა ერთხელ შებღავის ბუნებას, მშობელ მიწას, მაგრამ ტყუილად: შეღავათი, პატიება არ არის, მისთვის ხმა-კრინტი არსაიდგან და ყოველთვის ისევ ადამიანს და ადამიანს მოსდომნია შებმა სასტიკ პირობებთან!.. წარმოიდგინე ამისი ყოფა, როცა ხედავს, რა სისხლად, რა ცრემლად უჯდება თვითეული წინ გადადგმული ნაბიჯი და ამ დროს მას თვალ წინ ეხეჩება უცნობი ცა, უცნობი მშობელი მიწა, უცნობი თვით თავისი თავიც და ამასთან ათას გვარი მოთხოვნილება და შველა კი არსაიდგან!..

ერთად-ერთი რამ მოუცია ჩვენთვის ბუნებას: ეს გონება. ამის შემდეგ კი პირზე კლიტე დაუდვია, ყველაფერში პასუხის-მგებელი ჩვენვე გავუხდივართ...

ცა გვიქადის განადგურებას სეტყვით, წვიმით, სიცივით, გვალვით და სხვა; დედა-მიწა—ნიადვრით, შერყევით, მოუსავლობით; ჩვენივე თავი—ათას გვარი სენით და ვინ იცის კიდევ თვითეული ამათგანი რამდენი რამით... მოდი და მოიგერე ყველა ეს! აი, რა პირობებში იბრძოდა და იბრძვის ადამიანი, რა წამებით აღწევს იგი მათ თავსა, რა ზღვა სისხლითა აქვს მას გამოსასყიდი თვითეული ლუკმა...

— სძლევ—დარჩები, იძლევი—განადგურდები, როგორც განადგურდნენ ბევრნი, რომელთაც ვერ შესძლეს ბრძოლა, —ამას დაგვძახის ბუნება. ადამიანს კი სიცოცხლე უნდა. მაღალია მისი მისწრაფება და კიდევაც ამიტომ ეჭიდება ძლიერად ბუნებას. მხოლოდ დღევანდლამდე ეს ჭიდილი არ გარდასცდენია არსებობის ლუკმას. ამას აკლავს იგი თავის საუ-

კეთესო ძალას; მაგრამ ჭამა, სმა, დახურვა—ეს ხომ მხოლოდ საშუალებაა სიცოცხლის დასაკავებლად. სიცოცხლე კი ადამიანს უნდა, როგორც შევნიშნეთ, რომ შეიგნოს თავისი ვინაობა—ვინ არის, სად არის, რათა? შეიგნოს მთლად ბუნება, რომლის წინაშეც ეგრე პატარები, უჩინარი ინფუზორივით, ვჩანვართ, რომლის სიდიადე, ღრმა საიდუმლოება შიშსიხარულით გვაცახცახებს ჩვენ...

ეს არის პასუხი ჩვენის არსებობისა. უნდა გავარკვიოთ, გავითვალისწინოთ ყველა ეს. ამისთვის კი საჭიროა საერთო ძალა, საერთო მოქმედება, როგორც საერთოა თვით ეს კითხვა, მისწრაფება. ამ საერთო ბედმა უნდა შეადუღოს მთელი კაცობრიობა ერთ რაზმად და თანახმად მიიტანოს იერიში ყველა ამაზედ. ეს არის უზენაესი მიზანი. ამის თანხმად უნდა შეეწყოს ხელი თვითეულსაც. უნდა მიეცეს თვითეულს ყველა, რაც გააძლიერებს მას. ამათ შორის პირველი და უპირველესი თავისუფლებაა გონებისა. ამან მოგვიყვანა აქამდე, იგივე უნდა გაგვიძღვეს წინ მოსეს სვეტივით უდაბნოში. თვითეულის განათლება, თვითეულისთვის თავისუფალი სიტყვა, აზრი—ერთის კიდიდგან მეორემდე გასანდობათ—საღმვთო ვალია ვისიც ჯერ არს. მოსპობა ამისი ანუ მარტოოდენ ხელის-შეშლაც კი, საშინელ პასუხის მგებლად ჰყოფს ყოველს ჩვენგანს თუ სახელმწიფოს წინაშე კაცობრიობისა...

ტ.

მატერიისა და ძალის ევოლიუცია საქართველოში *).

II. მზის ძალა და ბუნების მოვლენანი.

ცოცხალი ბუნება, როგორც ვიცით, ორის დარგისაგან შესდგება,—მცენარეებისაგან და ცხოველებისგან. ორთავ დარგის მასალა, ძირეულად რომ გამოვიკვლიოთ, ერთგვარია, რადგან აქაც და იქაც უმთავრესად ოთხის ელემენტის ატომებისაგან შესდგება ეს მასალა: ნახშირმანისა, მჟავდანისა, წყალდანისა და აზოტისაგან, რომლებიც სხვადასხვა გეგმაზე აგებულ მოლეკულებად არიან შეკრულნი ცოცხალ ბუნებაში. ამ სხვადასხვა სახის მოლეკულებისაგან შესდგება ის აუარებელი სიმრავლე მარცვლებისა, რომლისაგანაც ასხმულია მცენარეთა და ცხოველთ სხეული. ცოცხალ ბუნების მასალის ერთ-გვარობა, როგორც ვხედავთ, მკვდარ ბუნებამდინ

---

*) იხ. „მოგზაური“ №№ 3—4, 1904 წ.; ხოლო, რადგანაც ამ წერილს ძლიერ ახლო კავშირი აქვს ამავ ავტორის წინა წერილებთან: „მეცნიერების დედა-აზრი“ და „ქვეყნიერების მასალა“ (დაბეჭდილია „მოგზაურის“ 1902 და 1903 წლის ნომრებში), ამიტომ ვურჩევთ მკითხველთ ერთხელ კიდევ გაიხსენონ იგინი.

რედ.

ჩადის, რადგან ზემო-დასახელებულ ელემენტების ატომები მკვდარშიაც აუარებელი სიმრავლეა. გარჩევა მხოლოდ მასშია, რომ მცენარე-ცხოველებში ეს ატომები განსაკუთრებულ გეგმაზე არიან აგებულნი. რომ განვიხილოთ ახლა რომელიმე ცხოველი, მაგ., ადამიანი, ვნახავთ, რომ ის ერთის მხრით ძლიერ წააგავს ორთქლის მაშინას. მაშინის მუშაობისათვის რამე საწვავ მასალის შეკეთება უნდა, მაგ., ნავთისა, რომელიც ფეჩში იწვის, ე. ი. ჰაერის მჟავდანი უერთდება წყლის (H_2O) და ნახშირმჟავის (CO_2) მოლეკულებად იშლება და ბუხრიდამ მაღლა ჰაერში იფანტება. ადამიანის სხეულსაც თავისი ფეჩი აქვს, მხოლოდ სხვა გვარად მოწყობილი. სხეულის დიდ და წვრილ ნაწილებს ყოვლის მხრით სისხლი უვლის. რომელიც შიგ ძლიერ წვრილ მილებითაა გაყვანილი, ძარღვების წვრილ შტოებით. ამ შტოების დედა-ძარღვი ფილტვებშია გამოსული. ფილტვებში სუნთქვით ჩასულ ჰაერის მჟავდანი სისხლს ერევა და აქედამ მთელ სხეულს ურიგდება ძარღვების წვრილ შტოების საშუალებით. მოტანილი მჟავდანი სხეულის მოლეკულებს უერთდება, რომლებიც ამ შეერთებით წყლისა და ნახშირმჟავის მოლეკულებად იშლებიან, სისხლში იხსნებიან და იქიდამ ფილტვების საშუალებით პირიდამ ჰაერში ამოდის ორთქლად და ნახშირმჟავად. ამ გვარად ორთქლის მაშინაში და ცოცხალ სხეულშიაც ერთი და იგივე ხდება: მაშინაში საწვავი საგანი მჟავდანს უერთდება და წყლად და ნახშირმჟავად იშლება, ხოლო ადამიანში და ყოველ სხვა ცხოველშიაც სხეულის მასალა სისხლით მოტანილ მჟავდანს იერთებს და, წყლისა და ნახშირმჟავის მოლეკულებად დაშლილი, პირიდამ ჰაერში გამოდის. გარჩევა აქ მხოლოდ იმაშია, რომ მაშინაში ეს დაწვა სწრაფად ხდება, სხეულში კი ძლიერ წყნარად, ამიტომ პირველი ცხელდება, მეორე კი, ე. ი. სხეული, მხოლოდ თბება. ფეჩი რომ გამქრალია, მაშინა სდგას და აღარ მუშაობს, საწვავ მასალის შეკეთებით კი ძალა ეძლევა,—ტრიალებს და მოძრაობს. სხეულ-

შიც მასალის მოლეკულები მჟავდანს რომ არ იერთებდნენ, ე. ი. დაწვა რომ არა ხდებოდეს, სხეული მკვდარი იქნებოდა და უძრავი; მხოლოდ ამ დაწვითაა, და არა სხვა რამ ძალის მეოხებით, რომ სხეული სცოცხლობს, ძალა აქვს და თვისს ასოებს ამოქმედებს.—სხეულის სიცოცხლე სხეულის მასალის დაწვაოა,—უთქვამს ერთ ღრმა სწავლულს.

სხეულის მასალა მჟავდანთან შეერთებით წყლად და ნახშირმჟავად იშლება და ამოსუნთქვაზე გარეთ გამოდის, მაშასადამე, სხეულს თანდათან თვისი მასალა აკლდება და უნდა დაილიოს; ასე თუ არა ხდება, ამის მიზეზი სხეულის კვებაა. კუჭში ჩასული საჭმელი ინელება და ზოგიერთ შეცვლით სხეულს ერთვის სხვადასხვა მოლეკულებად, ასეთია მასალის ეს შემოსავალ-გასავალი, რომელიც საღ სხეულში ერთი მეორეს უნდა უდრიდეს.

ყველამ ვიცით, რომ ცხოველებში ზოგი ხორცით იკვებება და ზოგი მცენარითა (ბალახ-ფოთლეულობით), მაგ., თხა და მგელი. მცენარეები კი თავის საკვებ მასალას მიწიდამ, წყლიდამ და ჰაერიდას ითვისებენ ფესვებისა და ფოთლების საშუალებით. ამ გვარად, ცხოველთ საკვები ცოცხალი ბუნებაა (ხორცი და მცენარე), მცენარეებისა კი—მკვდარი. ცხოველების მასალა ცოცხალ ბუნებისაგან წარმოსდგება, მცენარეების კი—მიწისა, წყლისა და ჰაერისაგან. რადგან ცხოველების ძალა და სიცოცხლე მათი სხეულის მასალის დაწვისაგან წარმოსდგება და ეს მასალა შეჭმულ და მონელებულ მცენარის მასალაა, რომელსაც მცენარე მკვდარ ბუნებისაგან ჰქმნის, ამიტომ ცხოველთ ძალის სათავე ამ მკვდარ ბუნებისაგან მცენართ მასალის შექმნაში უნდა გამოიძებნოს. როგორაა, რომ მკვდარი მატერია—მიწა, წყალი და ჰაერი, ფესვებისა და ფოთლების საშუალებით მცენარის მასალად ხდება, მცენარის სხვადასხვა მოლეკულებად? რისგანაა, რომ ამ მოლეკულებისაგან შემდგარი მცენარე იწვის? ეს რომ გავიგოთ, მაშინ ადვილად მივხვდებით ცხოველთ ძალისა და

და სიცოცხლის სათავეს, რადგან ეს ძალა, როგორც უკვე ვსთქვით, ცხოველთ მასალის დაწვისაგან წარმოსდგება და ეს მასალა მცენართ მასალაა, შეჭმული და კუჭის საშუალებით შეთვისებული.

ცოცხალ ბუნების მასალა, ე. ი. სხეულის სხვადასხვა გვარი მოლეკულა ოთხი ელემენტის ატომებისაგანაა შემდგარი: ნახშირმანისა, მჟავდანისა, წყალდანისა და აზოტისაგან. წყალდანს ერთი შემაერთებელი ძალა აქვს—ერთ-ატომიანია, მჟავდანს—ორი, აზოტს—სამი და ნახშირმანს—ოთხი. რომ სიტყვა გრძელი არ გამოგვივიდეს, აზოტი განგებ დავივიწყოთ და მხოლოდ დანარჩენ სამ ელემენტის ატომებზე და მათ შეერთებაზე ვილაპარაკოთ.

რადგან ნახშირმანის ატომი ოთხ-ძალიანია და წყალდნისა ერთიანი, ამიტომ ერთ ნახშირმანის ატომს ოთხი წყალდნის დაკავშირება შეუძლიან,—გაჩნდება ამგვარი მოლეკულა, რომელსაც მეტანი ჰქვიან:



წარმოვიდგინოთ, რომ ორ მეტანის მოლეკულას თითო წყალდნის ატომი წაერთვა, მაშინ ნახშირმანს, რომელსაც 3 წყალდანი შერჩა, ერთი შემაერთებელი ძალა მოკლილი ექნება და ამიტომ ეს ორი მოლეკულა ერთად შეერთდებიან, როგორც ორი ერთ-ძალიანი ატომი:



(მოკლეთ C_2H_6)

ამ ახლად გაჩენილ მოლეკულას ეტანი ჰქვიან. შეიძლე-

ბა ეტანს ერთი წყალდანი წავართვათ, და მის ნაცვლაც ერთი მეტანი შევუკავშიროთ,—გახდება უფრო რთული მოლეკულა:



(მოკლეთ C_3H_8)

რა თქმა უნდა, ეს მოლეკულაც შეიძლება გავადიდოთ იმგვარ ხერხითვე, რომ შევადაროთ ეს მოლეკულები ერთმანერთს CH_4, C_2H_6, C_3H_8, C_4H_{10} და სხვ., ვნახავთ, რომ მათში თითო ნახშირმანის ატომის მომატებაზე ემატება ორი წყალდნისა, ე. ი. CH_2. ამგვარ მოლეკულებისაგან ნავთია შემდგარი. ამ გვარ მოლეკულების გარდა, რომლებშიაც მხოლოდ ნახშირმანი და წყალდანი იღებს მონაწილეობას, ბევრი ისეთი მოლეკულაცაა, რომელშიაც მჟავდანი იღებს მონაწილეობას და აზოტიცა. ამ სხვადასხვა ჯურის მოლეკულებში, რომლებისგანაც შესდგება ცოცხალი ბუნება, ე. ი. მცენარეები და ცხოველები, განვიხილოთ რომელიმე, მაგ., $C_6H_{12}O_6$, რომელიც ყურძნის ტკბილსა ნიშნავს, ან როგორც ამბობენ, ყურძნის შაქარს. ამ მოლეკულაში, როგორც ვხედავთ, თითო ნახშირმანის ატომზე ორი წყალდნის და ერთი მჟავდნის ატომი მოდის; ორი წყალდანი და ერთი მჟავდანი ხომ წყლის მოლეკულას ნიშნავს—H_2O; მაშასადამე, ამ შაქრის მოლეკულაში თითო ნახშირმანს თითო წყლის მოლეკულა აკრავს CH_2O, და ექვს-ექვსი წყლის მოლეკულა შეუკავშირებია და ასე ერთი რთული ჯგუფი გაჩენილა ტკბილის მოლეკულა—$C_6H_{12}O_6$. ყურძნის მარცვალი ამ მოლეკულებითაა სავსე და ამ მოლეკულების შიგადაშიგ წყალია გამჯდარი, ასე რომ, ყურძენი რომ იწურება, ამ მოლეკულებთან ერთად წყალიც ჩადის ქვევრში.

რამე ხერხით ეს მოლეკულები რომ გავწუროთ, ე. ი.

წყალს რომ მოვაშოროთ და შემდეგ თითო მოლეკულას ერთი წყლის მოლეკულა რომ წავართვათ, მაშინ მასში ექვს ნახშირმანს 5 წყლის მოლეკულა შერჩება. ეს ყურძნის ტკბილი აღარ იქნება და სახამებლად შეიცვლება:

$$C_6H_{12}O_6 — — H_2O = = = C_6H_{10}O_5$$

ყურძნის ტკბილი წყალი სახამებელი.

ათასგვარ მცენარეთ მასალა უმეტეს ნაწილად ამ სახამებლის მოლეკულებისაგანაა შემდგარი, მაგ., ლობიო, სიმინდი, კარტოფილი, ხორბალი, ხილი და ბალახეულობაც. ესაა მძოვარ-ცხოველთ თავი საკვები საგანი, რომელსაც მათი კუჭი ინელებს და ზოგიერთ შეცვლით სხეულს უერთებს—ხორცად ჰქმნის.

დავუბრუნდეთ ისევ ტკბილის მოლეკულას. ქვევრში ჩასხმული ყურძნის წვენი ამ მოლეკულებისაგანაა შემდგარი და აგრეთვე წყლისაგანაც, რომელიც ყურძნის მარცვალს ჰქონდა გამჯდარი. ერთგვარ მიზეზით, რომლის ახსნა აქ მოუხერხებელია, ყოველი ტკბილის მოლეკულა დუღილის დროს იშლება და ახალ მოლეკულებს აჩენს, სხვა გვარად აგებულებს; ეს რეაქცია ასე ვამოიხატება:



$$C_6H_{12}O_6 = = = \begin{matrix} C_2H_6O \\ C_2H_6O \end{matrix} + \begin{matrix} CO_2 \\ CO_2 \end{matrix}$$

ტკბილი 2 სპირტის მოლეკულა 2 ნახშირმჟავის მოლეკულა.

ტკბილის რთული მოლეკულა ორ სპირტის და ორ ნახშარმჟავის მოლეკულად დაიშალა. ნახშირმჟავი ქვევრიდამ მაღლა ამოდის და ჰაერში იფანტება. ტკბილი ღვინოდ გადაიქცა, რომელსეც სიმაგრე ამ სპირტის მოლეკულებისაგან აქვს. გაშლით დავწეროთ ეს სპირტის მოლეკულა:



```
  H   H
  |   |
H—C—C—OH
  |   |
  H   H
```

წარმოვიდგინოთ, რომ ამას მჟავდანი მიეკარა; სპირტი მაშინვე დაიშლება ძმრისა და წყლის მოლეკულად:



სპირტის მოლეკ. 2 მჟავდნის ატომი ძმრის მჟავი წყალი.

ამგვარად ღვინო მჟავდება,—ღვინო დაძმარდაო,—ამბობენ. რომ განვიხილოთ ახლა ძმრის მჟავი $C_2H_4O_2$, ვნახავთ, რომ ეს მოლეკულა ორ ნახშირმანის ატომს და ორ წყლის მოლეკულას შეიცავს $2C + 2(H_2O)$. იგივე ითქმის ყურძნის ტკბილზე—$C_6H_{12}O_6$, მხოლოდ ეს უკანასკნელი უფრო რთულია: ექვს ნახშირმანს ექვსი წყლის მოლეკულა დაუკავშირებია თავისთან. ორთავეშივე ერთი და იგივე დასაწყისია: ერთი ნახშირმანი და მასზე მიკრული წყლის მოლეკულა—CH_2O. ძმრის მჟავში ამგვარი ჯგუფი ორია ($C_2H_4O_2$) და ტკბილში—ექვსი ($C_6H_{12}O_6$). ამ ჯგუფს ფორამალდეიდი ჰქვიან, და რთულ მოლეკულებს, რომლებიც ამ ჯგუფების შეერთებისაგან წარმოსდგებიან—წყალ-ნახშირები. მცენარეთ მასალა ამ წყალ-ნახშირებისაგან შესდგება, რომლებიც ცხოველთა კუჭში სხვადასხვა გვარად ერთვიან სხეულს. ცხოველების სიცოცხლე და ძალა მათი მასალის მჟავდანთან შეერთების შედეგია; ეს მასალა წარმოსდგება მცენარეთ მასალისაგან, რომელიც კუჭში ჩადის და ინელება; მცენარეთა მასალა წყალ-ნახშირისაგან შესდგება და წყალ-ნახშირი რამდენიმე ფორამალდეიდის (CH_2O) შეერთებისაგან. ამგვარ კვლევა-ძიებას კვალდაკვალ რომ მივყვეთ, ბოლოს და ბოლოს, როგორც ვხედავთ, ფორამალდეიდს წავაწყდებით; ამაშია ცხოველთ ძალის და სიცოცხლის სათავე. მკვდარ ბუნებაში ეს ფორამალდეიდი არსად არ მოიძებნება და მხოლოდ ცოცხალ-ბუ-

ნებაშია. ეს მოლეკულა CH_2O, როგორც ვხედავთ, ნახშირ-მანის, წყალდანის და მჟავდნისაგან შესდგება. ამ ელემენტ-ების ატომები მკვდარ ბუნებაშიც ძლიერ ბევრია, მხოლოდ იქ სხვაგვარად არიან შეერთებულები—წყლად და ნახშირმჟა-ვად—HO_{20}, CO_2. საიდამ და როგორ ჩნდება ეს ფორამ-ალ-დეიდი მცენარეში, რა ძალა ჰქმნის მას? ამის გამოცნობას ზოგიერთი მეცნიერი (პრისტლეი, სებენიე, სოსიური, ლიბიხი და სხვ) *) შეუდგა, კარგა ხანია მას აქეთ, და მათმა კვლე-ვა-ძიებამ აღმოაჩინა, რომ ამ ფორამ-ალდეიდს მცენარეში მზის სხივი ჰქმნის ნახშირმჟავისა და წყლისაგან, რომლებიც ბუნებაში, როგორც ვიცით, მრავლად მოიპოვება. ჰაერში, რომელიც, როგორც ვიცით, მჟავდნისა და აზოტის თავისუ-ფალ ატომებისაგანაა შემდგარი, ცოტად ნახშირმჟავის CO_2 მოლეკულაცაა აქა-იქ დაფანტული. წვიმა რომ მოდის, მალ-ლიდამ წამოსული წვეთი გზაზედ ჰაერში დაფანტულ ნახშირ-მჟავის მოლეკულებს ხვდება და თავისში იერთებს. წვიმის წყალი მიწას რწყავს, მცენარის ფესვებამდინ ჩადის და მათი საშუალებით მთელ მცენარეს უჟენთდება. მზიდამ მოსული სხივი, ე. ი. ეთერის ტალღა, მცენარის ფოთოლს ხვდება, წყლით გაჟენთილსა და ამ წყალში გახსნილ ნახშირმჟავის მოლეკულებს ათრთოლებს. რადგან ეს თრთოლვა ძლიერია, ამიტომ ნახშირმჟავი ორად იშლება, $CO_2 = C + O_2$; მჟავდნის ორი თავისუფალი ატომი ფოთლიდამ გარეთ გამოდის და ჰა-ერში იფანტება, ნახშირმანის ატომი კი იქვე ფოთოლში წყლის მოლეკულას უერთდება,—ჩნდება ფორამ-ალდეიდი—CH_2O. ამგვარი მოლეკულა მრავალ ათასობითა ჩნდება მცე-ნარეში და მათი სხვადასხვა გვარი შეერთება, სხვადასხვა მო-ლეკულას აჩენს. ახლად გაჩენილი მოლეკულები ძველებს

*) Wurtz—Evolution des matières organigues. R. Scient. № 2?—72 ‰. Lanessan—Botanigue.

უერთდებიან და ასე მცენარის მასალას ამრავლებენ, მცენარე იზრდება. მცენარეს სხვა ცხოველი სჭამს, რომელთა კუჭი ამ მასალას ინელებს და სხეულის ნაწილებს მოლეკულებად ურიგებს ზოგიერთი შეცვლით: ზოგი ტვინის მოლეკულად იცვლება და ტვინს უერთდება, ზოგი ხორცის მოლეკულად, ძვლად, ქონად და სხვა. იმავ დროს ფილტვებში ჩასუნთქებულ ჰაერის მჟავდანი ფილტვებში მოსულ სისხლს უერთდება და აქედამ წვრილი ძარღვების საშუალებით სხეულის მასალის რთულ მოლეკულებს ეგზავნება. მოლეკულები მოსულ მჟავდნის მიკარებაზე წყლის და ნახშირმჟავის მოლეკულებად იშლებიან, სისხლში შედიან, რომელიც ფილტვებში მიდის, და აქედამ ამოსუნთქვაზე გარეთ ჰაერში იფანტებიან. როგორც ვხედავთ, ცოცხალი ბუნების მასალის დასაბამი და ბოლო ერთი და იგივეა: წყალი და ნახშირმჟავი; ამისაგან ჩნდება ეს მასალა მზის სხივის ძალით და იმადვე იშლება მჟავდანის მიკარებაზე. ცხოველთ ძალა იქიდამ წარმოსდგება, რომ მათი სხეულის მოლეკულებს მჟავდანთან შეუძლიანთ შეერთება; რომ გამოვიძიოთ ახლა, რისგანაა, რომ ამ მოლეკულებს მჟავდანი ერთვის, ვნახავთ, რომ ამისი მიზეზი ისაა, რომ ეს მოლეკულები მკვიდრი შენობის არ არიან. ჯამას ახლავე ავხსნით.

წარმოვიდგინოთ ცხრა ატომი; მათში ერთი ნახშირმანია, ოთხი მჟავდანი და ოთხიც წყალდანი. ეს ატომები ყველანი მონათესავენი არიან, ე. ი. მათში ერთი ელემენტის ატომებს სხვა ორის დაკავშირებაც შეუძლიანთ. მაგრამ მჟავდანი ნათესაობით ყველასა სჯობნის, ყველაზე ძლიერია. ამიტომ ეს ატომები თავის ნებაზე რომ მივუშვათ, მხოლოდ მჟავდნის ატომებს შეუერთდებიან,—გაჩნდება ერთი ნახშირმჟავი—(OCO) და ორი წყლის მოლეკულა 2 (HOH). ახლა ვსთქვათ, რომ ამ ცხრა ატომს მჟავდნის ატომები გამოვაკლეთ,—დარჩება ოთხი წყალდანი და ერთი ნახშირმანი, რომელიც ამ 4 წყალდანს შეიკავშირებს—გაჩნდება მოლეკულა

—მეტანი. მივუშვათ ისევ ამ მეტანზე ოთხი დაშორებული მჟავდანი; მჟავდანი ნახშირმანზე მძლავრია, ამიტომ მასზე მიკრულ 4 წყალდანს წაართმევს და თითონ დაიკავშირებს წყვილ-წყვილად,—გაჩნდება ორი წყლის მოლეკულა 2 (HOH), სხვა ორი მჟავდანი კი ნახშირმანს შეუერთებს და ნახშირმჟავის მოლეკულად შესდგება—OCO. როგორც ვხედავთ, მეტანი მკვიდრ შენობის არა ყოფილა და მჟავდნის მიკარებაზე მკვიდრ მოლეკულებად იშლება მასთან შეერთებით. მოსამსგავსებლად შეიძლება ითქვას, რომ წყლისა და ნახშირმჟავის ატომები კირით არიან ერთად შეკრულნი, მეტანის კი უბრალო ტალახით. ცხოველთ სხეულის მასალა ამ მეტანისავით უმკვიდრო შენობის მოლეკულებისაგან შესდგება, მხოლოდ ეს მოლეკულები უფრო რთულებია.

მზიდამ მოსული სხივი, ე. ი. ეთერის ტალღა მცენარის ფოთოლსა სცემს და მასში გამჯდარ წყალსა და ნახშირმჟავს ათრთოლებს; ნახშირმჟავის მოლეკულას ორი მჟავდანი ერთმევა და განთავისუფლებულ ნახშირმანის ატომს შეძლება ეძლევა იქვე ფოთოლში წყლის მოლეკულას შეუერთდეს და გააჩინოს უმკვიორო ფორამ-ალდეიდი—CH_2O, ცოცხალ ბუნების მასალის დასაწყისი. შემდეგ ამ ფორამ-ალდეიდისაგან წარმომდგარ უმკვიდრო მოლეკულებს მჟავდანი ერთვის ცხოველთა სხეულში და ისევ მკვიდრ ნახშირმჟავ და წყლის მკვიდრ მოლეკულებად ჰშლის.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ მჟავდნისა და სხვა რამ საგნის ერთად შეერთება დაწვას ნიშნავს, რომელიც სითბოსიცხოვლეს აჩენს. ცხოველთა სხეულშიაც, მჟავდანი მასალის მოლეკულებს რომ უერთდება, სითბოს აჩენს და ამიტომაა, რომ ეს სხეული თბილია. მაშასადამე, სხეულში მხოლოდ სითბო უნდა იყოს და სხვა არა რა ძალა; მაშ, როგორაა, რომ სხეულს ძალა აქვს, ღონის მქონებელია—დადის, მოძრაობს, საქმეს აკეთებს? ყველამ ვიცით, რომ ჩაქუჩის დარტყმით რკინა, მაგალითად, ქვაზე დადებული ლურსმანი, ცხელდება; ეს

ჩაქუჩის დარტყმისგან გაჩენილი სიცხოვლე, რომელიც ჩვენ ხელის მიკარებით შეგვიძლიან ვიგრძნოთ, მოჩვენებაა და ნიშნავს ლურსმის ატომების რთოლვას; რთოლვა ხომ მოძრაობაა, მხოლოდ ერთ ალაგას. ეს ატომების მოძრაობა მთელი საგნის მოძრაობითაა გაჩენილი—ჩაქუჩის დარტყმით; საგნის მოძრაობამ ატომების მოძრაობა გააჩინა. შეიძლება იგივე უკუღმათ მოხდეს: ატომების მოძრაობამ საგნის მოძრაობა გამოიწვიოს; ამას ყოველი ორთქლის მაშინა გვიჩვენებს. ავიღოთ ერთი მათგანი, მაგ., ორთქლ-მავალი, რომელსაც რკინის გზაზე ხმარობენ, ფეჩში იწვის საწვავი მასალა—ნავთი, შეშა ან ქვა-ნახშირი, ე. ი. ამ მასალის მოლეკულები ჰაერიდამ მომდინარე მჟავდანს უერთდებიან. ერთმანერთის მიხლებით წარმომდგარი ატომ-მოლეკულების რთოლვა, ე. ი. სიცხოვლე, ფეჩის რკინის კედელს ეყრება, რკინა ცხელდება და, რადგან ამ კედლის იქით წყალია, ამიტომ ეს რთოლვა წყლის მოლეკულებზედაც გადადის, რომლებიც რთოლვის გაძლიერებაზე ორთქლად იქცევიან, ე. ი. თავისუფალ მოლეკულებად, ქვაბზე მომართულ მილში ადიან და აქედამ გამოსვლაზე სწრაფად ეცემიან თვლებზე მიბმულ რკინას, რომელიც ამ მიზეზით სწრაფად ქანაობს, თვლებს ატრიალებს და წინ მიჰყავს მთელი მაშინა და მატარებელიც. მაშასადამე, მაშინისა და მის ნაწილთა მოძრაობის სათავე ატომების მოძრაობაშია, რომელიც ფეჩში საწვავ მასალის მოლეკულების მჟავდანთან შეერთებისაგან ჩნდება.

იგივე ითქმის ადამიანის თუ სხვა რამ ცხოველის სხეულზედაც, სადაც მჟავდანი უმკვიდრო მოლეკულებს ერთვის და ამ მიხლებით ატომ-მოლეკულების რთოლვას აჩენს, ე. ი. სითბოს; ეს ატომ-მოლეკულების მოძრაობა სხეულის ნაწილის მოძრაობად იცვლება, სხეულის ძალ-ღონედ.

მზის მასალის საოცარი ღელვა-მოძრაობა ეთერში ტალღას აჩენს, რომელიც ირგვლავ იფანტება სივრცე მანძილში და სხვათა შორის დედა-მიწასაც ხვდება. ფოთოლში ეს ტალ-

ღა ნახშირმჟავს ჰშლის და ნახშირს შეძლებას აძლევს იქვე წყლის მოლეკულას შეუერთდეს, ჩნდება ფორამ-ალდეიდი; ეს მოლეკულები ერთად გროვდებიან და აჩენენ მცენარის უმკვიდრო მოლეკულებს. მცენარის მასალას ცხოველი ითვისებს; ცხოველში მჟავდანი ჩადის და ამ უმკვიდრო მოლეკულებთან შეჯახებით ატომ-მოლეკულების რთოლვას აჩენს, რომელიც სხეულის ნაწილების ღონედ დბ მოძრაობად იცვლება. ცოცხალი ბუნება მკვდარ ბუნებისაგან წარმოსდგება და ამის გამჩენი და მასში ძალის ჩამდგმელი მზეა. ჰელმ-ჰოლცს უთქვამს: „ჩინეთის მეფეს თავისთავი მზის შვილი ჰგონია; მეცნიერული გამოანგარიშება გვიჩვენებს, რომ არც ჩვენ ჩამოუვარდებით მას გვარი-შვილობითაო“.

არამც თუ ცოცხალი, არამედ თვით მკვდარ ბუნების ათასგვარი მოვლენა, რომელიც დედა-მიწაზე ხდება, იმავ ძალის ნამოქმედარია—მზიდამ მოსულ ეთერის ტალღებისა. როგორც ვიცით, დედა-მიწის ზურგის ერთი წილი ხმელეთია და დანარჩენი ორი— წყლითაა მოფენილი, ზღვა-ოკეანებითა. ეს ორი წილი, მზე რომ არ ათბობდეს მას ყოველ დღე, მოკლე ხანში ყინულ უდაბნოებად გარდაიქცეოდა. მზე ამ წყალს ათბობს და ორთქლად აქცევს, რომელიც მაღლა ღრუბლად გროვდება და გაცივებაზე წვიმად მოდის დედა-მიწის ზურგზე. ჩვენ რომ ერთგან ავხსენით, რა დიდი გავლენა იქონია წვიმის წყალმა დედა-მიწის გარეგან ქერქის სახესა და ბუნების შეცვლაზედ ძველ გეოლოგიურ ხანებში, როდესაც ახლად გამაგრებულ ქერქზე მოტივებულ მჟავდან-წყალდანს შეძლება მიეცათ შეერთებულიყვნენ და წყალი გაეჩინათ. ამ წყალს თვის ყოველ-დღიურ მუშაობაში ძალა მაღლობიდამ ჩამოდენით ჰქონდა ხოლმე შეძენილი და ამით შეეძლო მიწის გარეგან მასალის ლეწვა-დაფხვნა და დაბლობში ჩატანა. რადგან მაღლობიდამ მომდინარე წყალი ღრუბლის ნაშობია, რომელიც მზის სითბოთია ზღვათაგან გამონაცემი, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ დედა-მიწის პირველ-ყოფილ ქერქის სა-

ხე, ბუნების შეცვლის ძირეული მიზეზი მზის ძალაა, ულომ-ლოდ ზღვები გაიყინებოდნენ, ორთქლს ვერ გამოსცემდნენ და წვიმას ვერ გააჩენდნენ.

რაღა თქმა უნდა, ეს მზის ძალის მოქმედება დედა-მიწის ზურგზე ახლაც იგივეა, რაც გეოლოგიურ ხანებში იყო, ახ-ლაც სცვლის მის გარეგან სახეს, მხოლოდ მოკლე ხნის ნა-მოქმედარი ისე საჩინო არაა, როგორც მრავალ ათას საუკუ-ნეთა ნაღვაწი.

მაგრამ მზის ძალის აუცილებლობა უფრო ცხადათ ადა-მიანთ ცხოვრებაში სჩანს. თვით ადამიანი და მასთან ერთად ყოველი ცხოველი და მცენარე, როგორც უკვე ავხსენით, მზის ძალის ნამოქმედარია.

ადამიანი თვის ყოველ დღიურ და ყოველ წლიურ ცხო-ვრებაში მუდმივ სხვადასხვა ძალის ხმარებაშია: თვის სხეუ-ლის, შინაურ საქონლის, მაშინის საწვავ მასალის და სხვა. სოფლის მეურნეობა, ქალაქების სხვადასხვა ხელობა და ხე-ლოვნება,—ყველა ამაში ან ადამიანის, ან შინაურ საქონლის და ან საწვავ მასალის ძალა იხარჯება და ყველა ამის გამჩენი ისევ მზის ძალაა. საწვავი მასალა, რომელსაც ადამიანი ქარ-ხანასა და ფაბრიკებში ხმარობს, შესდგება შეშისა, ნავთეუ-ლობისა, ქვა-ნახშირისაგან. შეშა ხომ მცენარის უმკვიდრო მოლეკულებისაგან შესდგება, ქვა-ნახშირიც იმავ მცენარის მასალაა, ძველ დროში დამპალი და გაქვავებული; ვგონებ, იგივე ითქმის ნავთეულობის შესახებაც, რომელიც ძველ დროში დაღუპულ და მიწაში ჩამარხულ მცენარეთა და ცხო-ველთა გამონაცემია. ყველა ეს, როგორც ვხედავთ, მცენართ მასალაა და მცენარეები ხომ მზის ძალის ნაღვაწია.

„ყოველ დაწვის, ყოველ ცეცხლის სიცხოვლე და სინა-თლე მზის ძალისაგან წარმოსდგება. იგი ჰქმნის მცენარ-ცხო-ველებს, ხორცს, სისხლს და ტვინს. ლომის და ვეფხვის ნა-ვარდობა, არწივის ფრენა, გველის სიცქვიტე, ტყის გაჩენა და მისი მოჭრა, ბალახის მოსვლა და ნამგლის მოქნევა, მი-

წიდამ მადნეულობის ამოტანა, რკინის ჭედვა, წყლის ადუ-ღება, რკინის გზის მუშაობა, ქარხნებში მაშინების ტრიალი და ჩით-ფარჩეულობის ქსოვა, ნავ-ხომალდის ცურვა,—ყველ-გან და ყოველთვის იგივე მზის ძალაა და მისი გამოყენება. ჩვენს დროში საომარ იარაღის ახალ-ახალი გამოგონება, სამ-წუხაროდ, იშვიათ ამბავს არ წარმოადგენს და ყოველთვის ერთი და იგივე მიზანი აქვთ აჩენილი მათ გამომგონებელთ: ადამიანის მოსაკლავად მზის ძალის უკეთესად გამოყენება. ომში ნაღარის ყვირილი, თოფ-ზარბაზნების გრიალი, ტყვია-თა სეტყვა, ყუმბარის ცეცხლი—ყველი ეს მზის ძალის გამო-ყენებაა“ (ტინდალი).

რა იქნებოდა დედა-მიწის ზურგი უმზეოდ? წარმოვიდ-გინოთ, რომ მზე უცბათ გაჰქრა და განელდა. ამას ჩვენ 8 წამის შემდეგ ვიგრძნობთ, რადგან მზიდამ მიწამდე ეთერის ტალღებს 8 წამი უნდებათ გზაში. როგორც პლანეტს, მზის სისტემის წევრს, ჩვენს დედამიწის არსებობას არაფერი დაა-კლდება: იგივე რგვალი სფერა, თვის მასალისა და სისწრა-ფის დაუკლებლად, იმავ გზით ივლის მზის გარშემო!.. ცვლი-ლება მხოლოდ ამ სფერის ზურგზე მოხდება, რომელიც მო-კლე ხანში წყვდიადით მოცულ სამარედ გარდაიქცევა, სა-დაც გამქრალ ცოცხალ ბუნებისა და მოვლენათა უთვალავ მრავალ-ფერობის ნაცვლად მხოლოდ სიკვდილი იმეფებს თვის ჯოჯოხეთურ სიბნელით...

ასეთია ეს მზის ძალის ზედ-მოქმედება დედა-მიწის ზურ-გის მასალაზე. მისგან შექმნილა ცოცხალი ბუნება და მისგა-ნვე ჩნდება მკვდარი ბუნების ათას-გვარი მოვლენა. ამას გვე-უბნება მეცნიერული კვლევა ძიება, მაგრამ ადამიანის გონე-ბას ძველათვე მიუგნია ამ ჭეშმარიტებისათვის და ამიტომაა, რომ ასე ხშირია მზის ქება-დიდება და გაღმერთება სხვადა-სხვა ერებში, როგორც მოწმობს მათი ზეპირი თუ ჩაწერილი გარდმოცემა. მათგან ჩვენ აქ მოვიყვანთ მხოლოდ ერთს, რო-მელიც ძველ ინდოეთის არიელ ერის საღმრთო წერილშია

მოყვანილი, სახელ-განთქმულ „რიგ-ვედაში“, თუმცა ვშიშობთ უხერხული თარგმნით ძრიელ არ გაუშნოვდეს ეს თვალ-მარგალიტი ძველ პოეზიისა *).

ჰიმნი მზეს.

ადმოდის ზეცას ბრწყინვალე მზე თვალი ქვეყნისა,
ვინ სხივით ავსებს სამყაროს და ცის კამარასა;
იგი თან მოსდევს განუერელად დილის ცისკარსა,
ვითა ჭაბუკი მოტრფიალე თვის საყვარელსა...
ბრძენი, წმინდანი თაყვანს სცემენ მას დიდებულსა,
ყოვლისა შემქნელს და ზეციერ ცხოველ-მყოფელსა;
მას დმერთსა ძლიერს შევევედროთ, ყოვლისა მნათსა,
დიდებულს მფარველს და ჩვენ ცოდვილთ უხვ მოწყალესა...

ალ. კვერკველაძე.

ბაქო.

---

*) Rig-vèda-trad. par Langlois.

ჯორდანო ბრუნო.

მისი ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა *).

ჯორდანო ბრუნო დაიბადა 1548 წელს, იტალიის ქალაქ ნოლში, ნეაპოლის ახლო. მისი მამა, ჯოვანი, იყო მხედარი. ბრუნოს მონათვლის დროს დაარქვეს ფილიპე, ჯორდანო კი უწოდეს შემდეგ, როცა შედგა ბერად.

ათი წლის ბრუნო გაგზავნეს ნეაპოლს და მიაბარეს ბიძა მის სასწავლებელში, საიდამაც იმავ დროს დადიოდა ნასწავლ ბერების გაკვეთილებზედ. ცოტა ხნის შემდეგ ბრუნოს ვხედავთ დომინიკელთ მონასტერში, რადგან მაშინდელი მონასტრები იმავე დროს წარმოადგენდენ აკადემიებს, ბერები კი იყვნენ ერთად-ერთი განათლებული პირნი.

მონასტერში ბრუნო სწავლობდა ფილოსოფიას და სხვადასხვა მეცნიერებას. 12—15 წლის განმავლობაში მან მიიღო ვრცელი განათლება და შეისწავლა მტკიცეთ საბერძნეთის ფილოსოფია.

მონასტერშივე გაძლიერდა და აყვავდა ბრუნოს დიდებული სული, იქ გაიღვიძა და განვითარდა მისი ჭკუა-გონება, იქ შეიმოსა იგი მძიმე იარაღით—მრავალგვარი სწავლით.

ბრუნო მიმადლებული იყო აგრეთვე პოეტურის ნიჭით,

---

*) იხ. „მოგზაური“ № 1—2 1904 წლისა.

მაგრამ როგორ გაჰშლიდა ფრთებს მისი ოცნება მონასტრის კედლებში! მან მაინც დასწერა იქ ერთი კომედია, სახელათ. „სანსთა“ და ერთი სატირა—„ნოეს კიდობანი“. ამ მეტათ ხელოვნურ კომედიაში იგი შოლტავს ნეაპოლელთ დაცემულ ზნეობას და საზოგადოთ მათ ცრუ-მორწმუნეობას, ალქიმიის და კუდიანობის რწმენას.

„ნოეს კიდობანში“ კი, რომელმაც ვერ მოაღწია ჩვენამდე (მაგრამ ვიცით ბრუნოს სხვა ნაწერებიდგან), გამოყვანილი ჰყავდა პირუტყვთა შორის დავა, თუ რომელმა უნდა დაიკავოს პირველი ადგილი ნოეს კიდობანში. ბოლოს დამტკიცდა, რომ მხოლოდ ვირს ეკუთვნის საუკეთესო ადგილი.— „ოჰ, მტკნარო სიბრიყვევ და უგუნურებავ! ოჰ, სირეგვნევ და ღვთის მოსაობავ! თქვენ ხდით კაცის სულს იმდენათ სათნოთ, რომ თქვენთვის არაფერია ჭკუა და სწავლა-განათლება!“—ათავებს ამ სატირას ბრუნო დაცინვის კილოთი.

1572 წელს ოცდაოთხი წლის ბრუნო გახდა მღვდლათ კამპანიის პაწია ქალაქში. აქ იგი გაეცნო იმისთანა თხზულებათ, რომელთა კითხვა აღკრძალული იყო მონასტერში, მაგ., კოპერნიკის ნაწერები და სხვანი, რისგამოც მალე იძულებული გახდა გაქცეულიყო აქედამ, რადგანაც დაასმინეს მღვდელ-მთავარს და შემდეგ რომის პაპსაც. იგი მოვიდა ჟენევაში (შვეიცარიაშია).

აქედან იწყება ჯორდანო ბრუნოს მოუსვენარი ცხოვრება, სიარული და თრევა მთელს ევროპაში, ქალაქიდან ქალაქში. დევნილი ერთიდან, იგი მიისწრაფის მეორეში; ყველგან ავრცელებს გატაცებით და თავგანწირვით თავის მაღალ აზრებს და ყველგანვე ჰფენს სიმართლისა და ჭეშმარიტების ნათელს.

დიდ ჭკუა-გონების გარდა ბრუნო ბუნებით უხვათ იყო დაჯილდოებული მდიდარი ფანტაზიით, ცოცხალი ხასიათით, მხნეობით, ზრდილობით და მასთან იყო ლამაზი და ხალისიანი.

ჟენევაში იმ დროს არსებობდა იტალიელთა ახალშენი

და მის წევრად სხვათა შორის იყო მარკიზ დე-ვიკო, პაპის ძმის წული, რომლის სტუმრად გახდა ბრუნო. მარკიზის შთაგონებით მან გაჰყიდა თავის საბერო სამოსელი და აღებულის ფულით იყიდა ჩექმები და საერო ტანსაცმელი, ხოლო სხვებმა, მისმა თანამემამულეებმა უთავაზეს ხმალი, ქუდი და უშოვეს კორრექტორის ალაგი.

ბრუნო დარჩა იქ ორ თვეს და გამოსცა ერთი თხზულება, რისგამოც მას და წიგნის გამომცემელს უკრეს თავი ციხეში; ამ წიგნში ბრუნო ეხებოდა კალვინის სჯულს.

გაანთავისუფლეს თუ არა, ბრუნომ იმწამსვე მიატოვა ჟენევა და წავიდა საფრანგეთს, ჯერ ლიონს და შემდეგ ტულუზას, რომლის უნივერსიტეტში იმ დროს ირიცხებოდა 10,000 სტუდენტი. ამ გვარად ბრუნო ჩავარდა განათლებულ და თავისუფალ მოაზრეთა წრეში, რომელმაც დააფასა მისი დიდი ნიჭი, ცოდნა და გახადა იგი ფილოსოფიის პროფესორად.

მთელ ორ წელიწადს იკითხა ბრუნომ ლექციები არისტოტელის წიგნებზე, სულზე და სხვა ფილოსოფიურ კითხვებზე.—„მაშინდელი სტუდენტები,—ამბობს ერთი იმ დროის მწერალი,—დგებოდნენ დილის ოთხს საათზე, მოისმენდნენ ლოცვას და ხუთ საათზე ისხდნენ აუდიტორიაში (სასწავლო დარბაზში) რვეულებით და სანთლებით ხელში". მათთვის ყველაზე უფრო სანუკველი იყო სელზე ბაასი, და როცა პროფესორი გაავრცელებდა საუბარს სხვა რაზედმე, ისინი შეაყენებდნენ მას ამ ყვირილით: „anima, anima!" (სული, სული") და გადიყვანდნენ იმაზე.

აი ამ ქალაქში იქუხა და წარმოსქდა ვით მთის ნაკადული ბრუნოს ამდენი ხნის დაგუბებული მაღალი აზრები, შემკული საოცარის მჭერმეტყველობით და მახვილის სიტყვებით, აქ დაეძგერა იგი თამამათ დიდებულ სტაგირიკს, ე. ი. არისტოტელს (დამახინჯებულს) და დაამხო კიდეც იგი.

ამით, რასაკვირველია, ბრუნომ გაიჩინა ბევრი მტერი

პროფესორთა შორის, რომელთაც აშკარათ გადაჰკრა მან, როცა სთქვა: „ყველაზე საცოდავნი არიან ისინი, ვინც ხელობათ იხდის ფილოსოფიას მხოლოდ ლუკმა პურისათვის“.

1580 წელს ბრუნო იძულებული შეიქნა დაენებებინა თავი ტულუზისათვის და წავიდა პარიზს.

აქ იმ დროს იყო ჟამი და, როცა შესწყდა ეს სენი, ბრუნომ დაიწყო ლექციების კითხვა სორბონში შესახებ „ოცდა ათთა ღირსებათა ღვთისათა თომა აქვინელის მოძღვრებით“. ამ კითხვამ ისეთი კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზედ, რომ ბრუნოს მაშინვე შეაძლიეს ორდინარული პროფესორობა, მაგრამ მან უარი სთქვა, რადგან მის გამო უნდა ეარა წირვა-ლოცვაზე.

„ბრუნო,—სწერს ბერტი,—იყო იმ დროის თავისუფალ პროფესორთა ნამდვილი ტიპი და ასწავლიდა დიდი ჯამაგირის, საჩუქრების და ჩინების შოვნის გულისათვის კი არა, არამედ როგორც ჭეშმარიტებისა და მეცნიერების მოყვარე-ბელი“.

ბრუნოს საოცარ განათლებისა და მეხსიერების ქებამ მიაღწია ჰენრიხ მესამემდე (საფრანგეთის მეფე), რომელმაც დაიბარა იგი და გამოჰკითხა:—„ჯადოქრობაზეა მისი ამგვარი მეხსიერება დამყარებული, თუ ბუნებითია იგი?“ ბრუნომ დააჯერა ის, რომ აქ არავითარი ეშმაკობა და ჯადოობა არ არის, რომ ეს მხოლოდ მეცადინეობისა და ბუნების საქმეა. ამასთანავე უძღვნა მას ერთი შესანიშნავი წიგნი, სახელად ეზრების ეჩრდილი (De umbris idearum), რომელზედაც დამყარებულია მთელი მისი ფილოსოფია.

ამ წიგნში ბრუნო ითხოვს მივაქციოთ ყურადღება მთელი ქვეყნიერობის შინაგან ერთობას, გადასხვაფერებისა და განვითარების შესაძლისობას.—„როგორც ბუნება თავის საზღვრებ შორის აჩენს ყველაფერს ყველაფრისაგან, ასხვაფერებს და ზრდის უბრალოს დიდებულათ და ავითარებს მას, ამგვარათვე კაცის გონებაც არ არის მოკლებული, შეიძინოს

ყოვლისფრისგან ყოველი ცოდნა, მაგრამ იგი სცნობს და ხედავს ქეშმარიტებას მხოლოდ ლანდად, აჩრდილად".

მადლობის ნიშნათ ჰენრიხ მესამემ გახადა ბრუნო ექსტრაორდინალურ პროფესორათ, რისგამოც ვერ დააძალებდნენ მას საყდარში სიარულს. იგი თავისუფალი იყო და არ დადიოდა ეკლესიაში იმ დროსაც, როდესაც ყოველ ქუჩაზე საზარლათ გაიძახოდნენ: „La messe ou la mort! (ან წირვა, ან სიკვდილიო!).

ეს შესანიშნავი იტალიელი კარგათ ცხოვრობდა პარიზში. ის იყო მიღებული საუკეთესო საზოგადოებაში. სხვა დიდ სწავლასთან მან იცოდა აგრეთვე კარგათ რამდენიმე ენა: ლათინური, ბერძნული, იტალიური, ფრანგული და ესპანიური.

მაგრამ პარიზშიაც ვერ მოისვენა ¦ბრუნოს სულმა. აქაც დაუწყო მან ქენჯნა და კიცხვა არისტოტელს, რისგამოც იძულებული გახდა, სრულიად დაენებებია თავი საფრანგეთისათვის და გადასულიყო ინგლისს, ქალაქ ლონდონში.

VII.

ლონდონში ბრუნო დადგა საფრანგეთის ელჩთან კასტელნოსთან, რომელთანაც მას ჰქონდა წერილი თვით მეფე ჰენრიხ მესამისგან.

აქ იგი დანიშნეს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორათ. გარშემო მამენელთა დიდი გუნდი, პროფესორთა კრება, შუაში კი ერთი ბეწო ნაკვთი (ბრუნო დაბალის ტანის იყო) ტრიალებს, კვიწიალობს, აქნევს ხელებს და ქადაგებს მას, რის მოსმენა თვით ოქსფორდის კედლებსაც კი აოცებდა.

იტალიის ფილოსოფოსი მოუთხრობდა სულისა და ხორცის უკვდავებაზე; როგორ იხრწნება და სხვაფერდება სხეული და სხვ.

— „სულის ბუნება, — ამბობს ბრუნო, — ერთგვარია ყო-

ველ ცხოველში და განსხვავება მხოლოდ იმაშია, თუ რამდენათ მეტათ ან ნაკლებათ სრული ორგანო აქვს ცხოველს. წარმოიდგინეთ, რომ გველის თავი იქცა კაცის თავად, გაუდიდდა ენა და პირი, გაუჩნდა მხრები, ხელები და ფეხები; მაშინ გველიც იწყებდა ისევე აზროვნებას, გრძნობას და მოქმედებას, როგორც კაცი და მით იქცეოდა ადამიანათო. ამგვარათ კაციც შეგვიძლია, ვაქციოთ გველათ. ადვილი შესაძლებელია, რომ ბევრს ცხოველს აქვს უფრო ნათელი ჭკუა და შეგნება, ვიდრე კაცს, მაგრამ დგანან ამ უკანასკნელზე დაბლა, რადგან არა აქვთ სრული იარაღები, ორღანონი. წარმოიდგინეთ, რა მოუვიდოდა კაცს, რომ მას ჰქონდეს თუნდ ორჯელ მეტი ჭკუა, ხელები კი ექცეს ფეხებათ. არამც თუ შეიცვლებოდნენ მაშინ ხალხში მშვიდობის დაცვის საშვალებანი, არამედ შეიცვლებოდნენ თვით ოჯახიც, საზოგადოებაც და სახელმწიფონიც. აღარ იქნებოდა აღარც მეცნიერება და ხელოვნება, ყველა ესენი, რომელნიც ხდიან ადამიანს დიდებულათ და ყველა ცხოველების მეფედ, ყველა ესენი არის დამყარებული ჭკუა-გონების უმჯობესობაზე კი არა, არამედ მასზე, რომ ჩვენ გვაქვს ხელები—ეს ყველა ორგანოთა ბატონი".

მეორე წელს 1583-ში ოკსფორდს ეწვია სტუმრათ პოლონელი დიდი თავადი ალბერტ ლასკი. იგი მიიღეს დიდის ყოფით უნივერსიტეტში და გაუმართეს დიდი ზეიმი.

უწინდელ დროს ევროპაში იცოდნენ სპარაზენი (ტურნირი). ორი შესანიშნავი ვაჟკაცი შეებმოდნენ ერთმანერთს და, ვინც აჯობებდა ჯილდოთ ქება-დიდებისა და საჩუქრების გარდა, მისი გულის სატრფო მოახვევდა მას ყელზე თავის ნაქსოვ შარფს; ეს ითვლებოდა მისთვის უძვირფასეს ჯილდოდ და ანიჭებდა მას წარმოუდგენელ ბედნიერებას; ეს ჯილდო იყო მისი გამაცხნევებელი, ეს იყო ყველას მაგალითი.

მაგრამ გაჰქრა ის დრო. ახლა ევროპის მოასპარეზენი თავს იქებდნენ ძალ-ღონით, გულადობით და სისწრაფით კი

არა, არამედ ჭკუა-გონებით, დიდის სწავლა-განათლებით, მჭევრმეტყველებით და მახვილ-მსჯელობით. აი ამგვარი სპარაზენი გაუმართეს ოქსფორდს ალბერტ ლასკის პატივისცემის ნიშნად.

ცალი მხრით გამოვიდა მოსპარაზნედ შეუპოვარი ჯორდანო ბრუნო. მის წინააღმდეგ უნივერსიტეტმა წამოაყენა თავისი საუკეთესო წარმომადგენელნი, რომელთაც უნდა დაეკვათ თავის კერპების სიმართლე, არისტოტელი და პტოლომე.

ბრუნომ გაიმარჯვა და საზარლათ დაამარცხა თავისი მოკამათენი. ცამეტჯერ აჯობა თავის პირველ მოკამათეს ნუნდინიუსს. ბრუნომ აიხსნა პირ-ბადე და დაანახვა ყველას თავისი გონების ძლიერება. შესანიშნავი მჭევრმეტყველობით და მახვილი სიტყვებით მან მოახდინა არეულობა ოქსფორდის ფილოსოფოსთა შორის. ბრუნომ უწოდა მათ „პედანტთა გროვა, რომელსაც შეუძლია თავის უგნურობით, თავხედობით და უშვერი სიტყვა-პასუხით მოთმინებიდგან გამოიყვანოს თვით იობი“. ეს სიტყვა ძვირად დაუჯდა ბრუნოს. ამიერითგან მისი ხმა შესწყდა ოქსფორდის აუდიტორიაში. იგი განდევნეს განუკითხავათ.

— ახლა ვიკითხოთ, რად ხდებოდა ბრუნოსა და იმ სწავლულთა შორის ცილობა, ან რაში მდგომარეობდა არისტოტელისა და პტოლომეს სისტემა და სწავლა-მოძღვრება?

ბერძენთ ფილოსოფოსთა აზრით, დედა-მიწა წარმოადგენდა მსოფლიოს შუა ალაგს, რომლის გარშემო ტრიალობდა მზე, მთვარე და ვარსკვლავები.

მათს მოძღვრებას სამღვდელოებამ შეაგლისა თავის ჭკუით გამოყვანილი ემპირეი, ანუ ოქროს ეთერის საუკუნო სუფევა. ეს ეთერი, მათის აზრით, არსებობდა დედა-მიწის სამზღვარ გადაღმა და აფრქვევდა მსოფლიოს ნათელს. ამ ემპიერეში ცხონებულნი დაუსრულებელ სიხარულში განცხრებოდნენ ყოვლად-მპყრობელის პირისპირ ჰვრეტით. იქვე არსე-

ბობდა შეურყევლად პეტრე მოციქულისა და მის მოადგილე რომის პაპების ტახტი.

ეჭვი არაა ამ გადამახინჯებულ და თავის სასარგებლოდ გადაკეთებულ სისტემის დარღვევა იყო სამღვდელოების და საყდრის უარყოფაც.

ბრუნომ პირველათ აღიარა ის სამექანიკო მოძღვრება ანუ თეორია, რომელიც ამ ბოლო დროს დაადგინეს კანტმა და ლაპლასმა. მართლაც საკვირველია, თუ როგორ შესძლო ამ შესანიშნავმა კაცმა მარტო თავისი გონებით გამოკვლევა და თქმა იმისა, რაც მხოლოდ ახლა დაამტკიცა მეცნიერებამ!

არ იქნება ურიგო გავიხსენოთ აქვე ბრუნოს რამდენიმე ამგვარი აზრები:

1. „დედა-მიწა თითქმის ბურთივით რგვალია, პოლიუსებთან კი ოდნავ წოწოლა“.

2. „მზე ტრიალობს თავის ღერძის გარშემო“.

3. „ციურ სხეულთა ურთიერთ შორის განუსაზღვრელ მიმზიდველობაში არ შეიძლება, რომ არ შეიცვალოს ცოტათი მაინც იმათი ურთიერთ შორის დამოკიდებულება. ამისათვის მიწაც შეიცვლის მიმზიდველობის ცენტრს და პოლუსთან მდგომარეობას“.

4. „უძრავი ვარსკვლავნი იგივე მზეებია“.

5. „ამ ვარსკვლავთ ირგვლივ ბრუნავს და ხაზავს წოწოლა წრეებს ანუ ელიპსებს უთვალავი პლანეტები, რომლებიც უხილავია ჩვენგან სიშორის გამო“.

6. „კვიმეტები (კუდიანი ვარსკვლავები) მხოლოდ სხვა გვარი პლანეტებია. რადგან კვიმეტებს ვხედავთ იშვიათათ ან სულ არა, ამის გამო ჩვენის მზის გარშემო მბრუნავ პლანეტთა რიცხვის გამოანგარიშება და დამტკიცება შეუძლებელია“.

7. „ქვეყნები და მათი სისტემები მუდამ იცვლებიან და ამგვარათ მათ აქვსთ დასაბამი და დასასრული. სამარადისოა მხოლოდ მათი დამამყარებელი გამჩენი ძალა. საუკუნოდ დარჩება მხოლოთ ყოველი ატომის (ხიმსალის) შინაგანი ძალა, ატომთა წყობიერება კი მუდამ იცვლება“.

ს. ქვარიანი.

(დასასრული იქნება).

ასტრონომიის

ანუ

ვარსკვლავთ-მრიცხველობის

მოკლე ისტორია.

ხანა პირველი: ძველი დროიდან პტოლომეოსამდი (130 ქ. შ. შემდეგ)

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა შორის უძველესი არის მეცნიერება სამყაროზე (დედა-მიწაზე და ვარსკვლავებზე) ანუ ასტრონომია [1]), ვარსკვლავთ-მრიცხველობა. ასტრონომიის დასაბამი იკარგება სამი-ოთხი ათასს წლის წინეთ ქრისტეს მოსვლამდე, მაშინ როდესაც გეოლოგია [2]), ზოოლოგია, ქიმია, ანატომია და სოციალური მეცნიერებანი, ვითარცა—სოციოლოგია [3]), პოლიტიკური ეკონომია და ისტორი-

---

[1]) სიტყვა ასტრონომია ბერძნულია და ნიშნავს ვარსკვლავთა კანონს.

[2]) პირველი სისტემატიზაცია გეოლოგიისა, როგორც მეცნიერებისას ეკუთვნის მე-XVIII საუკუნეს, როდესაც ლემანმა (1756 წ.) და ფიუხსელმა (1762 წ.) გამოსცეს ამ მეცნიერებაზე ძვირფასი წიგნები.

[3]) რაციონალური სოციოლოგიის და პოლიტიკური ეკონომიის

ის ფილოსოფია მეცნიერების პირველსახეს იღებენ მხოლოდ საშუალო საუკუნოებში. ძველი დროის მოწინავე ერნი—ეგვიპტელები, ქალდეველები, ასურელები, ფინიკელები, ჩინელები და სხვანი დიდად დახელოვნებულნი იყვნენ ასტრონომიაში. ეს ის ხანა იყო კაცობრიობის ცხოვრებაში, როდესაც ადამიანი ველური ცხოვრებიდან გადადიოდა თემიურ, კომუნალურ ცხოვრების საფეხურზე. პირველ საფეხურზე ამა ხანისას, როგორც გვასწავლის კულტურის ისტორია, ადამიანმა ხელი მიჰყო ბუკოლიკურ ცხოვრებას, მწყემსობას. აშკარაა, რომ მწყემსს უფრო ხშირად ეძლეოდა შემთხვევა—ეცქირნა ვარსკვლავებით საამურად მოჭედილ ცისათვის, სადაც თვალისთვის ოდნავ შესამჩნევად მიიზლაზნებოდნენ უთვალავი „ზეციური სხეულნი“. რაც უფრო და უფრო უკვირდებოდა მათ „პირველი ადამიანი“, მით უფრო მეტ მისწრაფებას გრძნობდა მათის შეგნებისას და გამოკვლევისას. ვის არ გამოუცდია, თუ რა დიად შთაბეჭდილებას ახდენენ გრძნობაზე და გონებაზე „ზეციურნი სხეულნი?!“. ვის არ უმზერია ვარსკვლავებით მოჭანდრაკებულ ცისათვის?!. ვინ არ დამტკბარა მაისის საამოდ მოციმციმე ზეციურ სხეულთა კრებით ცაზე?!. ამასთანავე, ვის არ აღძვრია კითხვა თავის გონებაში ცის ამ საოცარი მანათობლების ვითარებაზე და მათს მნიშვნელობაზე, მათის მოძრაობის მიზეზებზე და სხვა.

ასე და ამ რიგად მწყემსებმა და მათ შემდეგ ქურუმებმა დაიწყეს პირველად ზეციურ სხეულთა გამოკვლევა. მაგრამ ასტრონომიას, როგორც მათს, აგრეთვე მთელ აღმოსავლეთის ერთა ხელში, ყოველ შემთხვევაში, არ ჰქონდა ნამდვილი მეცნიერული მიმართულება. მათი გამოკვლევანი უფრო უბრალო, მშრალი ფაქტები იყვნენ, არავითარი მეცნიერუ-

---

მამამთავრებად ითვლებიან ფილოსოფოს პოზიტივისტი ოგიუსტ კონტი და ადამ სმიტი (შოტლანდიელი).

ლი კონსტრუქცია მათ შრომას არ ეტყობოდა; ჩვენ შევხდებით მათს ხელში მრავალ უბრალო ასტრონომიულ ჰიპოტეზებს, ჭეშმარიტ მეცნიერულ გამოკვლევას კი არც ერთს. უფრო ყოვლისა ძველები აღტაცებაში მოდიოდნენ განყენებული აზროვნებით. აწინდელ დროში კი, როდესაც ადამიანი ევოლიუციის სხვა ფაზისს გადის, ინტელექტი მისი სულ სხვაზეა მიმართული; მას არ აკმაყოფილებს უბრალო პიიტიკა ძველთა, ტყუილ-უბრალო ფანტაზიროვკა მწერალთა, მისი გონება უფრო მაღალ, ღრმა და ფილოსოფიურ-მეტაფიზიკურ აზროვნებით არის აღფრთოვანებული.

ამ ნაირად ასტრონომიას პირველ ხანებში არ ჰქონდა მეცნიერული სახე; ხოლო თუ კი აღვძარით კითხვა ასტრონომიაზე, როგორც მეცნიერებაზე, სახეში უნდა ვიქონიოთ მეცნიერული გამოკვლევანი და მისწრაფებანი ბერძენთა, თუმცა მათი შრომაც მარტო იოტის ოდენაა მათ შემდგომ ერთა და მეცნიერთა შრომებთან შედარებით.

ათასნაირი წარმოდგენა ჰქონდათ სამყაროზე ძველ ბერძენთ! პირველ ყოვლისა, დედა-მიწის ფორმაზე, მაგალითად, ერთნი [1]) ამტკიცებდნენ, რომ პრტყელია, როგორც ხელის გულია, მეორენი [2])—ცილინდრის მსგავსიაო, მესამენი [3])—სამ-კუთხიანი კუბიკიაო, სხვები კი ოთხ-კუთხედიან კვადრატად ჰსახავდნენ. მარტო არისტოტელი სცდილობდა დაემტკიცებია სიმრგვალე მიწისა. გარდა ამისა, ეგრეედ წოდებულ მზის სისტემაზედაც, შემცდარი წარმოდგენა ჰქონდათ; ცენტრალურ პლანეტად [4]) ჰრაცხდენ მიწას, რომლის გარშემო

---

[1]) ბერძენთ ფილოსოფოსი ქსენოფონტი.

[2]) ანაქსიმენი.

[3]) ჰლატონი.

[4]) სიტყვა ჰლანეტი ბერძნულია და ნიშნავს „მოხეტიალე სხეულს“, შოთა კი უწოდებს ბათ ცოცმილ ვარსკვლავად.

ჩვეულებრივი წეს-რიგით ვიდოდა სხვა პლანეტები და მათ შორის მზეც. რასაკვირველია, ამნაირი წარმოდგენა ქვეყნიერობის სისტემაზე უნიადაგო და მტკნარი შეცდომა იყო. ძველები ასტრონომიულ მოვლენებს ხსნიდნენ ისე, როგორც მათს უბრალო მხედველობას წარმოედგინებოდა: სჩანს პირდაპირ მზე რომ ამოდის და ჩადის, მაშასადამე, მზე დადის და ამასთან მიწის გარშემო, ხოლო დედა-მიწა კი გაუნძრევლად დგას, გაჩერებულია ერთ ადგილზე. ეს ოპტიკური შეცდომა დაედვა საარჩულად სხვა მრავალ ასტრონომიულ ფაქტების შეცდომით ახსნას, მაგ., ეპიციკლიური მოძრაობანი პლანეტებისა მიწის გარშემო და სხვა. მხოლოდ შესანიშნავმა კანტმა თავის „Критика чистаго разума"-ში დაამტკიცა, რომ ადამიანმა შეიმუშაოს ჭეშმარიტი წარმოდგენა სამყაროზე, საჭიროა დავივიწყოთ მუდმივი ჩვეულებრივი წარმოდგენა, რადგანაც, წინააღმდეგ ჩვენის მხედველობისა, ჩვენ ვითვისებთ მხედველობით არა „საგნებს თავისი არსებით", არამედ მარტო მოვლენას, გარეგან ფორმას, რომელიც (ფორმა) არა მუდმივია, რადგანაც იცვლება დროთა და ვითარებისა გამო.

ბერძენთა ფილოსოფოსთ შორის უფრო ჭეშმარიტ, გონებასთან შეთანახმებულს წარმოდგენას ქვეყნიერობაზე ჩვენ ვხედავთ პითაგორელთა შორის, რომლებსაც დედა-მიწა წარმოდგენილი ჰქონდათ ბურთის მსგავს სხეულად. ამ სკოლის მიმდევარი პლუტარხი შემდეგნაირად გვიხატავს პითაგორელთა წარმოდგენას სამყაროზე.

..."მიწას არა აქვს თვისება უძრავი პლანეტისა, და არც შუაგული ადგილი უჭერია სხვა პლანეტთა შორის; თვით ის გარშემო უვლის ვეებართელა ცეცხლს, ასე რომ დედა-მიწა არ შეგვიძლია ჩავრაცხოთ არც პირველ და უმთავრეს, და არც უკანასკნელ ნაწილად სამყაროსი" [1]). ამისთანა წარმოდ-

[1]) იხ. Древніе философы.

გენა დედა-მიწაზე დიდი ნაბიჯი იყო მეცნიერებისათვის. მარა ყველა ეს სანაქებო წარმოდგენანი პირთაგორელთა დედა-მიწაზე, როგორც ბურთის მაგგვარ და მმოძრავ სხეულზე „ვეებართელა ცეცხლის“ გარშემო, უბრალო ჰიპოტეზა იყო. საზოგადოთ უნდა ვსთქვათ, რომ აზროვნება და წარმოდგენა ძველ ფილოსოფოსთა უნიადაგო იყო: მათს მოძღვრებას აკლდა ის ჭეშმარიტი, რაციონალურად ახსნილი კანონები, რომლებსაც ჩვენ შევხვდებით შემდეგ საუკუნოების ფილოსოფოსთა ნაწერებში; ძველ მეცნიერ-ფილოსოფოსთა ხელში ბუნების დიადი კანონები არ იყო ახსნილი მექანიკური პრინციპებით, მაშინ როდესაც ეს უკანასკნელნი უუსაჭიროესი კრიტერიუმია პირველთათვის. ყოველ შემთხვევაში, ღირსშესანიშნავი არიან პითაგორელნი, როგორც ჭეშმარიტის, თუმცა განუმარტველის, წარმოდგენის მამამთავარნი ასტრონომიაში. ღირსშესანიშნავი არიან აგრეთვე მათი ადეპტებიც, მათი მიმყოლი ფილოსოფოსნიც: არისტოტელი, არხიმედი... არხიმედს, სხვათა შორის, ეკუთვნის შემდეგი შესანიშნავი ფრაზა: „მომეცით წერტილი, რაზედაც შემეძლოს დავაყრდნო აზარმაცი (ბერკეტი), და მთელ დედა-მიწას ბურთივით შემოვატრიალებო“. ყოველ შემთხვევაში, თუმცა პითაგორელთ უფრო საზრიანი წარმოდგენა ჰქონდათ სამყაროზე, ჩვენ მათს დოკტრინებში ვერ ვხედავთ უკვდავი კოპერნიკის სისტემას...

მეორე ხანა: პტოლომეოსიდან (130 წ.) კოპერნიკამდე (1473—1543 წ.).

ასტრონომიამ მიიღო ნამდვილი მეცნიერების პირველი სახე საბერძნეთში, მის დიდად სამახსოვრო ალექსანდრიის ეპოქაში. ეს ის დრო იყო, როდესაც ალექსანდრიაში, მსოფლიო სატახტო ქალაქში, პტოლომეთა დინასტიის მფარველობის ქვეშ დიდ აღყვავებაში იყო მეცნიერება და ხელოვნება. ამ-

ეპოქის ვარსკვლავთ-მრიცხველთ შორის უფრო შესანიშნავი არიან ქრისტეს შობამდის: ტიმოხარისა, არისტილა, ერატოსთენი, გიპპარხი [1]); ქრისტეს შობის შემდგომ კი—კლავდი პტოლომეოსი. პირველი ორნი იკვლევდნენ პლანეტთა გზას და მათს მიმართულებას; ერატოსთენმა კი პირველად სცადა „a priori“ გამოეანგარიშებია გარსი დედა-მიწისა [2]); ხოლო გიპპარხზე არავითარი ისტორიული ანუ გარდმოცემითი მოწმობა-საბუთები არ დარჩენილან, მარა იქიდამ, რაზედაც პტოლომეოსი თავის „ალმაგესტაში“ მოწმობს, აშკარად სჩანს, რომ გიპპარხი უცილობოდ თავის დროის პირველ-ხარისხოვანი მეცნიერი იყო. სხვათა შორის, გიპპარხმა პირველად განიზრახა ვარსკვლავთა რეესტრის (სიის) შედგენა, როგორც ახლა ვიცით ასტრონომიაში, მაგალითად,—ვარსკვლავთა კატალოგები. უკანასკნელ, გიპარხს ეკუთვნის პირველი აზრი და გამოკვლევა ეგრედ წოდებულ „პროცესიაზე, ანუ ბუნიაობის [3]) შესახებ. ამ კვლევათა მორევში ძველებმა მაინც ვერ გადმოგვცეს ჭეშმარიტი სისტემა სამყაროსი, ნამდვილი საზრიანი გამოკვლევა პლანეტთა მოძრაობისა და მათი ეკლიპტიკისა და ორბიტისა. საჭირო იყო მაღალი გონების ადამიანი, ჭკუა-მახვილი, მტკიცე ხასიათის და ამასთან შეუდარებელი ენერგიის. ამისთანა იყო კლავდი პტოლომეოსი, რო-

---

[1]) უველა ესენი, აგრეთვე პტოლომეოსიც, სწავლობდნენ შესანიშნავ ალექსანდრიის სკოლაში, სადაც მაშინდელი ახალ-თაობა დებულობდა უნივერსალურ სწავლა-განათლებას.

[2]) მასვე ეკუთვნის მომზადება ეგრედ-წოდებულ არმილიარულ სფერისა—ერთგვარი ასტრონომიული ინსტრუმენტია და წარმოადგენს სფერათა კომბინაციას, იხმარება ასტრონომიულ მოვლენათა პრაქტიკულად შესასწავლად.

[3]) Равноденствіе. იხ. „Астрономическіе вечера“ Клейна, გვ. 22.

მელიც ცხოვრობდა მეორე საუკუნეში ქრისტეს შობის შემდეგ. ვრცლად მისი ცხოვრების ამბავი ჩვენ დრომდი არ დარჩენილა. მის უმთავრეს შრომას შეადგენს „Medale sintaxis" (დიდი მენობა), რომელსაც შემდგომ გადაერქვა გაფუჭებული არაბული სახელი „ალმაგესტი". ეს მისი წიგნი მთელი თხუთმეტი საუკუნის განმავალობაში ითვლებოდა მთავარ ბურჯად ასტრონომიულ მოვლენათა შესასწავლათ, მათ ასახსნელად და განმმარტველად. ამ წიგნში, სხვათა შორის, მოთავსებულია პლანეტთა მოძრაობის სისტემა, რომელიც საზოგადო ხმარებაში იყო კოპერნიკის დროსაც და რომელიც თავის მამამთავრის საპატიოთ იწოდება „პტოლომეოსის სისტემა ქვეყნიერობაზე".

რაში მდგომარეობს დედა-აზრი ამ სისტემისა?

დედა-მიწა უძრავი, ცენტრალური სხეულია სამყაროსი. მის გარშემო ტრიალებენ ყველა სხვა მნათობნი, რომელთა შორის უფრო ახლო დედა-მიწაზე არის მთვარე, შემდეგ მერკური, ვენერა, მარსი, იუპიტერი და სატურნი [1]). თვითოეულ ზევით ჩამოსახელებულ ზეციურ სხეულთ აქვთ თავისი ცალკე სფერა; ხოლო ყველა ესენი მოთავსებულნი არიან მეორე სფერაში, რომელიც განაგებს მთელ პლანეტთა კომფლექტს.

ამნაირი იყო პტოლომეოსის შეხედულობა სამყაროზე, თუმცა ერთში შემცდარი, მაგრამ საერთოდ კი დიდად სოლიდარული და პატივსადები შრომა. ძაფი სიცრუვისა იქ იყო გასკვნილი, სადაც პტოლომეოსი დედა-მიწას ცენტრალურ პლანეტად უწოდებს. ამისდა მიხედვით შეცდომით არის ახს-

---

[1]) ურანოსი (Vranos) და ნეპტუნოსი (Neptinus) პტოლომეოსის დროს არ იყვნენ აღმოჩენილნი; ურანოსი აღმოაჩინა 1781 წ. 13 მარტს ინგლისელ ასტრონომმა ვილიამ ჰერშელმა, ხოლო ნეპტუნოსი კი—ფრანგმა ლევერიემ 1846 წ. 31 აგვისტოს.

ნილი სხვა ასტრონომიული მოვლენანიც. კვლავ საჭირო იყო ადამიანი უფრო მაღალის გონებისა, რომელსაც შეეძლო შეესწორებია ეს დიადი შრომა დიდისა კლავდიოსისა, რომლის სისტემის უვარგისობას და შეცდომას გრძნობდნენ მაშინდელი დროის ზოგიერთი განვითარებულნი გვამნი [1]). პირველად, რომელმაც, ხანგრძლივი ფიქრისა და სამეცნიერო პრინციპის ღრმა შეგნებით, აღიარა უვარგისობა და სიცრუე პტოლომეოსის სისტემისა—იყო ლეონარდო დე-ვინჩი, უდიადესი ხელოვანი, თანასწორი ღვთისნიერ მიქელ-ანჯელოსი [2]). ის ეკუთვნოდა გენიოსთა იმ კურთხეულ რიცხვს, რომლების მაღალ აზრის და გონების წინაშე ქედს იხრის და ადვილი ასახსნელი ხდება ყოველგვარი მოვლენა, მათი კანონი და საფუძველი. ყველაზე მეტად მიუახლოვდა ჭეშმარიტ მეცნიერულ შეხედულობას ქვეყნიერობაზე ლეონარდო დე-ვინჩი. იშვიათი გონება მისი ოთხი საუკუნის წინ იწვდის ხელს და ამტკიცებს, რომ დედა-მიწას არ შეუძლია უძრავი მდგომარეობა იქონიოს, რასაც მხოლოდ მე-XVI საუკუნეში ისააკი ნიუტონი ხსნიდა. საუბედუროდ, მისი ნაწერები არ იყო გამოცემული, და უკანასკნელ დრომდი არც არავინ ფიქრობდა, რომ „საიდუმლო სერობის“ შემქნელი ერთ და იმავე დროს ნამდვილი მეცნიერი იყო. მის თანამედროვეთათვის მისი გამოკვლევანი უნაყოფოდ დარჩნენ, და მხოლოდ ისევ პტოლომეოსის სისტემა მეფობდა სამეცნიერო ტახტზე მე-XVI საუკუნის გასვლამდი.

---

[1]) მაგალითად ალფონსი X კასტილელი. მისი შემდეგი სიტყვებისთვინ: „სამყაროს მქანდაკსა რჩევა რომ ეკითხა ჩემთვინ, მე ვუჩვენებდი მას სისტემას პტოლომეოსისაზე უფრო მარტივს, უბრალოს და უფრო ნამდვილს“ამ სიტყვებისთვის იგი—კინალამ ღვთის გმობელად ჩაჭრატხეს და კინალამ სიცოცხლესაც გამოასალმეს.

[2]) (1474=1564 წ.).

საქართველოშიაც იყო გავრცელებული პტოლომეოსის სისტემა სამყაროზე, დასამტკიცებლად რისა შეგვიძლია ვუჩვენოთ შოთა რუსთაველზე. ამ დიდებულს ავტორს უკვდავი ეპოპეისა „ვეფხის-ტყაოსნისა“ ზედმიწევნით სცოდნია ასტრონომია, რომელიც მან სისრულით შეისწავლა უეჭველია საბერძნეთში სხვა მეცნიერებასთან ერთად. ამის დასამტკიცებლად შეგვიძლია ვუჩვენოთ იმ ადგილზე „ვეფხის-ტყაოსნისა“, სადაც გზად ფრიდონისას მიმავალი შმაგი ავთანდილი ზეცას შესტირის და ვარსკვლავთ ეაჯება, უთხრან თინათინს—„რომ ავთანდილი მისია და მისთვის ჰსტირსა“.

„აჰა, მოწმობენ ვარსკვლავნი, შვიდნივე მემოწმებიან;
მზე, ოტარიდი, მუშთარი და ზუალ ჩემთვის ბნდებიან,
მთვარე, ასპიროს, მარიხი მოვლენ და მოწმად მყვებიან,
მას გააგონე, რანიცა ცეცხლნიც უშენოდ მდებიან [1])“ (კ. თავართქილაძის გამოცემა „ვეფ.-ტყ.“-ისა—გვერდი 143, ტაეპი I).

რუსთაველს გარდა, როგორც ანტონი I კათალიკოსი თავის „მზა-მეტყველება“-ში მოწმობს, იოანე პეტრიწიც [2]),

---

[1]) ა) ოტარიდი არაბულათ, ქართულად ერმი, ხოლო ლათინურად ვენერა (Wenera).

ბ) მუშთარი არაბ., ქართ. დია, ლათ. იუპიტერი (Iupiter).

გ) ზუალ არაბ., ქართ. კრონოს; ხოლო ლათ სატურნუს (Saturnus).

დ) ასპიროზ არაბ., ქართ. ათროდიტი; ლათ. მერკურიუს (Mercurius).

ე) მარიხ არაბ., ქართულ არია, ლათ. მარს (Mars).

ბერძენნი და ლათინნი თავიანთ მითოლოგიურ ღმერთების სახელებს დაასათლებდნენ ხოლმე ყველა პლანეტებს, ამიტომაც ციცერის ვარსკვლავს, რადგან ყველა ვარსკვლავზე კეკლუცია, მშვენიერე-

პირველი ქართველი გრამატიკოსი, სხვა მეცნიერებასთან ერთად ზედმიწევნით განსწავლული იყო ასტრონომიაში. „იოანე პეტრიწი, ამბობს ანტონი I, იყო დიადი ფილოსოფოსი, პოეტი, ღვთის-მეტყველი. გრამატიკოსი და ვარსკვლავთ-მრიცხველიო [1]).

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ შოთა რუსთაველს თავის უკვდავ „ვეფხის-ტყაოსანში“ აქვს გაყვანილი ის აზრიც, რომ მთვარე ანათებს არა თავისი საკუთარი სხივით, არამედ მზის:—

„მზე გამავსებს, მზევე გამლევს, ზოგჯერ ვსვლდები, ზოგჯერ ვმჭლდებიო“—ლაპარაკობს მთვარე (გვ. 142, ტ. 7). რასაკვირველია, აქ მთვარის სხვადასხვა ფაზზედაც არის ლაპარაკი („ზოგჯერ ვსვლდები, ზოგჯერ ვმჭლდები“). შოთას აქვს აგრეთვე ნაჩვენები მაზე, მიწა ბრუნავს თუ არა. როგორც პითაგორელთ მოძღვრების გავლენის ქვეშ მყოფი, ის მოძრაობას მიაკუთვნებს „ცას“, ე. ი. პლანეტ-ვარსკვლავებს, ხოლო დედა-მიწას კი მიაწერს უძრავ მდგომარეობას: „არ ვიცი, ღმერთი რას მიზამს, ანუ ცა მიწეიგ მბრუნავი“ (გვ. 139, ტ. I),—მიიმღერის გზად შმაგი ავთანდილი..

ს. ცომაია.

(შემდეგი იქნება)

ბის ღმერთის სახელი, ვენერა უწოდეს, აგრეთვე სხვა პლანეტებსაც.

[2]) ბლ. იოსელიანის სიტყვით პეტრიწი ცხოვრობდა 1120 წ. მახლობლებში.

[1]) იხ. „Очерки по исторіи грузинской словесности“ —А. Хаханова ч. II-ая, стр. 7.

ჭანკისის ხეობა*).

მდინარეები, ხეგები, ფშები და წყაროები. მთელ ხეობას ჩამოუდის ერთად-ერთი მდ. ალაზანი; სათავეს იღებს პირიქით დაქუცხის მთიდამ; ჩამოუვლის საყორნის მთას სამხრეთით,—მასარას (მთაა) ჩრდილოეთით; მომდინარეობს რკინის მთის ძირობაზედ წიფლოვნის ჭალა-ჭალა და ჩამოვა სპეროზიასთან. მდ. ალაზანს, როგორც საზოგადოდ, არცარა მაგდენი სარგებლობა პანკისის ხეობისთვის მოაქვს; სულ ზემოთ, ხეობის თავში, სადაც მდინარე მთის კლდე-ქანჩახებიდამ თავს გამოჰყოფს, ხეობის მცხოვრებთაკან წისქვილებისათვის გადმოგდებულია ერთი მოზრდილი რუ, რომელიც ჩამოუდის ხეობას დასავლეთის მხარეს მთა-გორების ძირობებზედ; ეს რუ ხეობის დაყოლება აბრუნებს რამდენსამე ორორ თვლიანს წისქვილს; ხეობის მცხოვრებლები ამასვე ხმარობენ ყველა მისადგომ ადგილებში ნათესისა, ბალებისა და ბოსტნეულობის სარწყავად და ზოგიერთნი სასმელადაც, ხოლო ქვემოთ, სათუშოში, ისევ მდ. ალაზანს ერთვის. თუმცა იქვე სათავეში მდ. ალაზანი ისე აქვს მთელ ხეობას პირდაპირ ზედ მიწოლილი, რომ ერთხელ მოიგიჟიანოს თავი და რიგიანად ადიდდეს, მთელ ხეობას წამოლეკავს კიდეც, მაგრამ ამ საწისქვილე რუს გარდა არ შეუძლიან ადამიანს სხვა ადგილიდამ ერთი ბეწვა, ბოსტნის მოსარწყავი, წყალი მაინც

---

*) იხ. „მოგზაური“ №№ 1—2, 1904 წ.

გადმოაცილოს თუ მანქანებით არა; ადიდებისას ამ საზოგადო რუს სათავესაც ისე გააფუჭებს ხოლმე, რომ ერთ დღეს რამდენიმე მუშა კაცი ძლივს ისევ გადმოუგდებს. მოქანავს ერთბაშათ ჩავარდნილი და დარუებული; ცოტაც რომ შეიმარეშოს, ძნელად შეიძლება იპოვოს იმისთანა ფონი, რომ გაჭირვებით რაც არა მგზავრი გავიდეს; არც აყენებს ხიდს, რაც უნდა მაგარი გააკეთონ—ხისა და რკინისას აბა ვინ გააკეთებს, რადგანაც რიყეს არც ნაპირებზედ და არც ძირს კლდე არ ეპოვება და სიგანე კიდე ორასი ნაბიჯიც მეტი ექნება; ამიტომ მდინარეს ბევრი უდროვოდ გამოუსალმებია წუთისოფლისათვის, კაცი, დედაკაცი თუ ბალღი და შინაურს საქონელს ხომ ანგარიში არ ექნება. ადვილად არ მოეპოვება იმისთანა ტოტი, რომ მცხოვრებლებმა დაწურონ ღა თევზი მაინც დაიჭირონ; არა აქვს ადვილად საბადევე ადგილები და ვერცა მუშაობს ადვილად იგი; აქ სათევზაოდ სამარჯვეეა უფრო მოსმა. შემოდგომაზედ, გიორგობისთვეში,—როცა მდ. ალაზანი დაპატარავდება და დაწმინდდება ხოლმე, მაშინ მცხოვრებლები, რამდენიმე კაცი, ადგილობრივი სატყეო მთავროობის ბილეთით ჩანჩქერებში აკეთებენ დიდს, საორაგულე ფაცხებს და ორაგულებს იჭერენ, მავრამ რაკი ამდროს ორაგული ნათხარი *) დაბრუნებულა, არც იმას აქვს სანუკარი სიმსუქნე და გემო. შუა გაზაფხულიდამ დაწყებული, თითქმის შემოდგომამდე, მდ. ალაზანი მუდამ მღვრიე მოდის და ამ დროს ხალხი სასმელად წყაროებით იოლად მიდის, ხოლო როცა დაწმინდავდება, მაშინ კი ალაზანი ძალიან საღი და გემრიელი წყალია.

მდ. ალაზანს მარცხნივ ერთვის: მახვალი, ჩხათანის წყა-

---

*) ამ დროს ორაგული ზემოთ ალაზნის პირებში და პატარა-პატარა ფშა-ხევებში ქვიშასა სთხრის და შიგ კვერცხებს აწყობს; ნაკრუხალიევით გამხდარია და ნათხარს ეძახიან.

ლი, ბუწუნხევი, დუმასტურის-წყარო, ხალაწნის ხევი, წინუ-ბნის ხევი და ქორეთის ფშა.

მახვალი სათავეს იღებს სპეროზიის ზემოთი მთებიდამ; გზა-გზა ერთვის მას სხვადასხვა ხევები, მაგ., ბარდამკიხის წყალი და სხვ. მომდინარეობს სპეროზიის აღმოსავლეთის ძირობაზედ და დიდ-გვერდის ქვემოდამ ხორეჯის დასავალში ერთვის მდ. ალაზანს.

ჩხათანის წყალი იღებს სათავეს ხორეჯისა, ჩხათანისა, ჭიქაურისა და ნაქერლის წყაროებიდამ; მომდინარეობს პირ-დაპირ დასავლეთისაკენ ხორეჯასა და ქორთა ბუდის ერთ-ერთ ზემოთა ტოტს შუა და სპეროზიის ქვემოთ, ასე ერთი ვერსის სიშორეზედ მდ. ალაზანს ერთვის; მოდის მუდამ წმინდა და ცივი; იცის მსხვილი და გემრიელი კალმახი; ზემოთ, თით-ქმის სათავეში, აბრუნებს ორ ბუჭულას და ამის მეტი არა-ვისათვის არც სარგებლობა მოაქვს და არც თუ ზიანი.

ბუწუნ-ხევი სათავეს იღებს ნაქერლის მთის აქეთა მხა-რეს; მომდინარეობს დასავლეთისაკენ ქორთაბუდესა და ბრუ-დი-გორს შუა, და პირველის ქვემოთა დასავალთან მდ. ალა-ზანს ერთვის. ამ ხევს დიდი სარგებლობა მოაქვს მის მახლო-ბლად მდებარე სოფლისათვის,—ურწყავს მინდვრებს-სათიბებ-ნამუშევრებს, ბაღებს, ბოსტნებს და უბრუნებს ორ პატარ-პატარა წისქვილს. სოფელი სასმელადაც ამასვე ხმარობს, რა-დგანაც მუდამ ცივი, ანკარა და საღი წყალია და ამასთანავე შესანიშნავია მთელ ხეობაზედ გემრიელის კალმახით, რომე-ლიც მასში ბლომად მოიპოვება.

დუმასტურის წყარო სათავეს იღებს იქვე დუმასტურის მთის ძირიდამ; მომდინარეობს დუმასტურისავე ჭალაზედ ასე ერთი ვერსის სიგრძით და მერე მდ. ალაზანში გადმოჰქუხს. ეს წყარო შესანიშნავია სიდიდით; ამოტელა წყარო პანკისის ხეობაზედ კი არა, არა მგონია ან კი მთელ კავკასიაში მოი-პოვებოდეს; მთის ძირში გამოდის ერთი სულ პატარა კალოს ტოლა ადგილას; სხვა არც ფშა და არც წყარო ამას არა ერ-

თვის რა, მაგრამ იმოტელაა, რომ ოთხ თვალიანს წისქვილს თამამად დააბრუნებს; როგორც უნდა მოჰრწყავს მთელ დუმასტურის ჭალას. ცივი, მუდამ ანკარა და შემრგო წყალია; ეს წყარო თითქმის მთელ დუმასტურის მთა-ჭალას უდრის. კალაპოტი მთლად შირიმის ქვითა აქვს მოფენილი და ქვეშ ადგილ-ადგილ 2—3 არშინამდე ფუღუროები ჰხვდება, რომლებშიაც საკმარისად ბუდობს გემრიელი და მურა კალმახი. როგორც ზემოთაცა ვსთქვით, ეს ადგილი და მთა მესაკუთრესია და იჯარით ოსებსა აქვს გადაცემული, რომლებიც წყაროს სათავეში მთის ტყესა ჰკაფავენ და შეიძლება ამისა გამო თუ სრულებით არ დაშრა ეს მშვენიერი წყარო, შესამჩნევად იკლოს მაინცა. ხოლო თუ დაშრა, მაშინ მთელი ურთნალ-დუმსტურის ჭალა-ადგილები ნახევარზედ მეტად დაჰკარგავენ თავიანთ ღირსებას.

ხალაწნის ხევი იქვე მახლობელს ტყიან მთა-გორებიდამ იღებს სათავეს; ჭალას შუა ჩამოუდის და დუმსტურის ქვემოთა გორის დასწვრივ მდ. ალაზანს ერთვის; ეს ხევი მეტისმეტ ვიწრო და ღრანტე კალაპოტზედ მომდინარეობს და ამისათვის მის ნაპირებზე მდებარე ნახნავ ნათესისათვის სარწყავად ბევრად გამოსადეგი არ არის. ზაფხულობით, ნამეტნავად თუ გვალვიანი დაემთხვა, თითქმის სრულებით შრება და ამისათვის არც თევზი იცის; გაზაფხულობით კი, როცა უფრო ხშირად ავდრები იცის, იმოტელა მოდის, რომ ერთი მოზრდილი თვალი წისქვილიც შეიძლება დააბრუნოს. არც თუ სასმელადაა სანუკარი; მცხოვრებლები სასმელად სარგებლობენ მხოლოდ მის აქეთ-იქით ნაპირებიდამ გამომდინარე პატარ-პატარა წყაროებით, რომელთაგანაც ერთი უფრო საკმაოდ მოზრდილი და კარგიც არი; ეს უკანასკნელი ძველადგან მილით არის გამოყვანილი და მისთვის მილის წყაროს ეძახიან.

წინუბნის ხევი იგივეა, რაც ხალაწნისა; ამ ხევის სიკვდილ-სიცოცხლე გაზაფხულის წვიმებზედაა დამოკიდებული.

მომდინარეობს გრძელისა და გაუჩეხავს ტყე-ჭალაზედ; მის ნაპირებზედ არც სოფლებია გაშენებული და არც ნათესებია, ისათვისაც იგი არაა საჭირო, არც სასმელად და არც სარწყავად და თუნდაც იყოს, არც ივარგებდა.

ქორეთის ფშა მოზრდილია, იქვე ჭალაში აქეთ-იქით ნაჟურ-ნაწურებიდამ შემდგარი. მომდინარეობა ჭყანტს-ბჟანტალს ნიადაგზედა აქვს და სასმელად ყოვლად უვარგისია; იქვე მახლობლად მდ. ალაზანს ერთვის და ამიტომ ალაზნიდამ შესული ცოტ-ცოტა თევზი—შხამა, ფიჩხული, ნაფოტა და სხ., მოიპოვება; სხვა სარგებლობა არა მოაქვს-რა და არც საჭიროა იქ არც ვისთვისმე და არც რისთვისმე.

მდ. ალაზანს მარჯვნივ ერთვის: ჩოჩადალა, ბაწარა, ძიბახევი, ცქვიტაძის ხევი, ჭობიოს ხევი, კაკლიანის წყალი, ყვარელთ-ხევი და ბრმა ფშა.

ხოჩადალა სათავეს იღებს რკინის მთის ბოლოში, ტბათანის სათავეში ერთ პატარა ტბიდამ; მომდინარეობს აღმოსავლეთისაკენ სუბუქსა და ტოლებს შუა და სპეროზიის ძირში, მახვალის შესართავთან მდ. ალაზანს ერთვის. ჯერ სხვა დროსაც, თორემ წვიმიანობას ხომ ახტალასავით ამღვრეული მოდის. მაინცა და მაინც ამ ხევის წყალს მუდამ შავი ფერი დასცემს, რადგანაც მისი კალაპოტი კუპრივით შავი ღორღითა და ლოდებით არის მოფენილი. სასმელად უვარგისია და არცა ხმარობენ მას მახლობელი მცხოვრებლები; მითი სარგებლობენ მარტო ნათესისა და ბოსტნეულის მოსარწყავად და სამიოდე ბუჭულასაც (მთის პატარა წისქვილს ეძახიან) უბრუნებს მათ. სხვადასხვა მთის წყლებივით არც თევზი იცის.

ბაწარა. ტყუილად კი არ დაურქმევია ხალხს ამ ხევისთვის ეს სახელი; იგი სათავეს იღებს რკინის მთის ბოლოში დასავლეთის მხარეს და ბაწარივით წვრილად მომდინარეობს ჯერ სამხრეთისაკენ ტბათანასა და ურანს შუა; შემდეგ, ილტოს გადასავალთან, ბრუნდება აღმოსავლეთისაკენ; ჩამოუვლის ტბათანის მთის წვრილ-წვრილ ტოტებს, რომლებიც ამ

ხევზეა ჩამოფანტული, მაგ., კაკლიანასა, საფლავების გორასა, წინა გორასა და სხვა; ბოლოს ტოლებისა და ძიბახევის ზემოთა გორას შუა პირდაპირ მდ. ალაზანს ერთვის. მომდინარეობს თუმცა ვაკესა, მაგრამ ისეთ ვიწრო ხეობაზედ, რომ იქ ადამიანს არ ეცხოვრება მისგან რაიმე სარგებლობის მისაღებად, თუმცა კი მის ნაპირად პირი-მზით მაღლობებზედ აქა-იქა გაკაფულს ველებში დროებით სცხოვრებს ათიოდე კომლი ფშაველი, ისიც საზამთრო ძროხის ბინებით და ცოტ-ცოტა ხვნა-თესვასაც მისდევენ, მაგრამ ამათ ეს წყალი იქამდე ვერა სწვდება და არცარა სარგებლობა მოაქვს მათთვის; სხვაფრივ ძრიელ კარგი და საღი წყალია; შესანიშნავია აგრეთვე მსხვილის და გემრიელის კალმახით. მდ. ალაზნიდამ შემოდგომის დამდეგებში ბაწარის წყალში შედის სათხრელად ორაგულიც, რომლებსაც მცხოვრებლები ბარჯითა ჰხოცავენ ხოლმე. ამ წყალს გზა-გზა უერთდება სხვაც პატარ-პატარა კალმახიანი ფშები, მაგ., შავ-ხევა, წიბო-ხევა, ტბათანის წყალი და სხვა. სიგრძე ექნება 30 ეერსი.

ძიბახევი პატარა წყალია, მაგრამ, შესაფერისად სარგებლობა მეტი მოაქვს მის ნაპირად ათიოდე კომლ მცხოვრებთათვის; სარგებლობენ იგინი ამ წყლით სასმელად და ყველაფრის სარწყავად; უკანასკნელს შემთხვევაში, ძალიან მორჩილიც არის იგი მათთვის. სათავეს იღებს იქვე მახლობელ ტყიან მთა-გორების წყაროებიდამ, მომდინარეობს ბირკიანის ზემოთა გორის ძირ-ძირ და ქვემოთ ხეობის წისქვილების რუვს უერთდება; დიდ წვიმიანობაში ხანდახან გამოჰრიყავს ხოლმე ქვემოთ მდებარე ნახნავ ნათესს და ხანაც გვალულობის დროს, კინაღამა შრება და ამიტომ არც თევზი იცის.

ცქვიტაძის ხევი და ჭობიოს ხევიც სათქმელი არა არისრა; ესენი შესდგებიან თითო-ოროლა პატარ-პატარა წყაროებიდამ და გარშემო ტყიანი მთების ნაწვეთ-ნაჟურებიდამ;—გაზაფხულიდამ შუა ზაფხულამდე, ისიც თუ ნოტიოა, თავიანთ კალაპოტში ძლივაც მოსჩანან, ხოლო შემდეგ მათი კალაპო-

ტიდამ გამაშვრალი ადამიანი წყლით პირსაც ვერ გაისველებს. ქვემოთ ტყის პირამდე ძლივს აწევენ და იქ კი წყალ-ღვარობას თავიანთაგან ჩამოყრილს ქვა.ღორღში იკარგებიან. წვიმიანობას ზარალის მეტი სხვა სარგესლობა არც ერთს მათგანს არა მოაქვს-რა მცხოვრებლებისათვის, არც რწყვითა და არც თევზით.

კაკლიანის წყლის სათავე, რომელიც აქვე, ერთი ვერსის სიშორიდამ იწყება, ბალთა-გორისა და ბაბურას გასაყარში, სხვა პატარა წყლებზედ წყაროიანია; ამიტომ იგი არას დროს არა შრება და ცოტ ცოტა მურწა თევზიც იცის; კალაპოტი მეტად ჩავარდნილი აქვს და ამისათვის მის პირზედ მოსახლე ათიოდე კომლი სარწყავად მითი ვერა სარგებლობენ; სასმელად თუმცა ცივი, წმინდა და გემრიელი წყალია, მაგრამ მცხოვრებლები მაინც მის ნაპირების წყაროების წყალს ხმარობენ, რადგანაც უკანასკნელები მას საკმარისად მოეპოვებიან. სოფლის თავში აბრუნებს მხოლოდ ერთ ბუჭულას და ბალთაგორის ბოლოში ხეობის წისქვილების რუვს ერთვის. ამ წყლის პირად მცხოვრებთა ქვემო უბანი სარწყავადა და სასმელადაც სარგებლობს ბალთაგორის წყაროთი, რომელიც სოფლის ჩრდილოეთით ზემოთ გორში გამოდის და ზედ უბანზედ ჩამოწანწკარებს.

ყვარელთ-ხევი იგივეა, რაც კაკლიანის წყალი, იმ გარჩევით, რომ ამას შესაფერისად მომეტებული სარგებლობა მოაქვს მცხოვრებთათვის, სახელდობრ ხმარობენ სარწყავად ეზოებისა, ბოსტნებისა, სიმინდებისა, ფეტვებისა და სხვა. ეს ხევი სოფლის ზემოთ, ბაბურასა და კუწახტის გორის გასაყარში, ერთი წყაროდამ იღებს სათავესა, თუმცა აქეთ-იქიდამ ცოტ-ცოტა ნაჟურებიც ემატება, და თითქმის ზედ შუა სოფელზედ ჩამოდის; სათავის წყარო სიშორისა გამო სოფლისათვის უსარგებლოა, ხოლო თვით ხევი თუმცა სასმელად არ არის სანუკარი წყალი, მაგრამ მაინც მცხოვრებნი უჩარაობისა გამო მითი სარგებლობენ; ავდრიანობას ძალიან ადიდება არ

იცის და მითი ზიანიც არ მოაქვს სოფლებისათვის; რადგანაც სარწყავად სოფლელები მალ-მალ აქეთ-იქით უგდებენ, რის გამო კალაპოტში სათქმელი წყალი აღარა რჩება და, რაკი ცოტა მაღლობი, დაქანებული მომდინარეობაცა აქვს, ამისათვის მასში თევზი ვერა ბუდობს, ვერა მაგრდება და არც იცის სათქმელი. ზემოთ, სოფლის თავში, აბრუნებს ერთ ბუჟულას, თუ წვიმის წყალიც ემატება და კუწახტის გორის ბოლოში ხეობის წისქვილების რუს უერთდება.

ბრმა ფშა—მართლაც რომ ბრმა არი; ერთხანად გამოჩნდება მძლეავარი გუგულივით და მერე კი მისი კალაპოტიც აღარ მოსჩანს; ვერ გაუგებს ადამიანი, სად იწყება, საით მიდის და სად რას ერთვის; თვით სათიბოში სუფევს, არც სარგებლობა მოაქვს, არც ზიანი შეუძლიან და არცარავისათვის გამოსადეგია.

სამკურნალო წყლები. მთელი ხეობის სამზღვრებში არ მოიპოვება იმისთანა სამკურნალო წყალი, რომლითაც საზოგადოდ მდიდარია კავკასია. არის მხოლოდ ხეობის მახლობლად, ნაქერალის მთის გადასწვრივ ფშავლის მთებში *) ამნაირი სამკურნალო ცხელი წყლები გოგირდისა, რომელსაც „თორღვის აბანო“-ს ეძახიან. ეს წყლები კაი ხანია მთისა და მახლობელ კახეთის ხალხმაც იცის, ხოლო მსწავლულთაგან გამოკვლეული, არა მგონია იყოს. ამ წყლების ნიმუში ბოთლებით სხვა ნივთებთან ერთად 1901 წელს თბილისის საშეურნეო გამოფენაზედაც გაგზავნა პანკისის მღვდელმა მ. მ. ალბუთაშვილმა, მაგრამ მგონია გამოფენის სხვაც ბევრ ნივთებთა ერთათ ისიც გამოუკვლეველი და უყურადღებოდ დარჩა. ეს წყლები, როგორცა ვსთქვით, მართალია, ს. ფშაველის მთებშია პირ-კახეთის მხრივ, მაგრამ ისეთ ადგილას, რომ მი-

*) ფშაველი სოფელია, პანკისის ხეობის მარჯვნივ, თელავის მაზრაში.

სავალი გზა მარტო პანკისის ხეობის მხრითა აქვს. გზა ს. ფშაველზედაც მიდის აბანოსკენ, მაგრამ მაინც ისევ ურთნალის მთაზედ, ბრუდიგორის თავში, დიყიანის ბოლოში, საპანკისოს გზას შეეყრება; აქედამ წასული გზა ნაქერლის მთაზედ გაიყრება ორად: ერთი გზა, საქვეითო, წავა პირ აქეთზედ, ფურთ-კალოს მთაზედ და მეორე საცხენო გზა, ცოტა მოშორებით, პირიქითისკენ წყარო-ვანაზედ (მთაა) უვლის. საქვეითო გზაზედ წასულმა მგზავრმა ცხენები ფურთ-კალოში უნდა დასტოვოს, რადგანაც იმას იქით ცხენი ველარ ივლის; აქედამ ზურგზედ აიკიდებს თავის ბარგი-ბარხანას, საგძალს და ჩავა ძირს იმ ხევში, სადაც წყარო ვანაზედ წასული ცხენიანი მგზავრიც უნდა მოვიდეს; აქედამ ის ცხენიც ისევ უკან დაბრუნდება, რადგანაც იმის იქითაც ცხენი ველარ იმუშავებს და საგძალ-ბარგ-ბარხანას გარდა იმისთანა ავათმყოფიც, რომელსაც ფეხით სიარული ვერ შეუძლიან, ამ ხევიდამ ასე ასი საჟენის სიშორეზედ ისევ მაღლა ზურგით უნდა აიყვანონ. აქ, ტყის თავში სამ ადგილას ახლო-ახლო გამოდის ის ცხელი გოგირდის წყლები, რომელსაც ჰქვიან „თორღვას აბანო“. მიმსვლელი იქვე წყლების მარჯვე ნაბდის ან ფარდაგების ქოხს, ალაჩოყს იკეთებს; თვითვე ირჩევს მოხერხებულს ალაგს, აგუბებს ქვებით ცხელ წყალს და შეგ ისე წვება მკურნალობის მხრით წყლებს თითქმის ყველა ემადრიელება და მართლაც არჩენს უფრო დაქარიანებულებს, წელ მტკივანს და ხველებიანს იმ პირობით, რომ დღე და ღამე ძომემეტებულ ნაწილად უნდა რჩებოდეს ავათმყოფი წყალში, ჭამოს მლაშე რამ საჭმელი, მაგ., თევზი და სხვა და სასმელად მუდამ იგივე წყალი იხმაროს; ჩაიც იმავე წყლისა იკეთოს. წყლიდამ ამოსვლისას გაციებას უფრთხილდეს და ამ წესით დარჩეს თუ ორი არა, ერთი კვირა მაინცა. ამნაირად, თუმცა ყოველი მხრით მოუხერხებელია იქ წასვლა და დარჩენა, ნამეტნავად ხამი ადამიანისთვის, მაგრამ მაინც ყოველ წლივ თუ ნოტიო წელიწადი არ იქნა, ხალხი, მთისა თუ ბ რისა, კა-

ცი თუ დედაკაცი, ბალღი თუ მოხუცებული, მრავლად დაიარება. ბევრი ზურგით აუყვანიათ და იქიდამ თვითონ წამოსულა. თვით წყალი იმდენად ცხელია, რომ ადამიანი მანამ არ შაეჩვევა, ვერც კი უძლებს. გამოდის ბლომად და გოგირდის სუნი უდის.

მადნები. სანადიროდ მოარულმა, ან ცხვარში მყოფმა ხეობის მცხოვრებთაგან, კაი ხანია ბევრმა იპოვა, აღმოაჩინა მაღლა იალაღებზედ, ტყეში, კლდეებში, მდინარეზედ, ხევებში, ჭალებში და სხვა—ნაირ ნაირი სამადნო ნიმუშები, მაგალითად: ოქროსი, ვერცხლისა, სპილენძისა, რკინისა, ვერცხლის წყლისა, ნიკელისა, შაბისა, ტყვიისა, ცინკისა, მარგანეცისა, ქვის ნახშირისა, душистое горное масло და სხვა; მაგრამ, ალბათ არც ერთი ამათგანი საკმაო ღირსებისა არ გამოდგა, რომ ჯერაც ამათთვის ყურადღება არავის არ მიუქცევია, თუმცა კი წინათაც ბევრმა მონიაზე და მცოდნე პირმა შინჯა, ნიმუშებიც ბევრი წაიღო, მაგრამ ამაოდ. ესევე თითქმის საუკეთესო ნიმუშები გაგზანა 1901 წელს თბილისის სამეურნეო გამოფენაზედ პანკისის მღვდელმა მ. მ. ალბუთაშვილმა, მაგრამ არცარა იქიდამ გამოვიდა. 1900 წელს ამ ნიმუშებს დიდი ყურადღება მიაქციეს და ძალიან ერთგულადაც მოეკიდნენ საქმეს ქ. თბილისიდამ გენერალ-მაიორმა ა. კოროლკოვმა და ინჟინერებმა ტოლმაჩოვმა და ვასილიევმა: დაიქირავეს რამდენიმე მუშა, ამოიღეს ბლომათ ნიმუშები, წაიღეს თბილისში და როგორც შევიტყეთ, პეტერბურგშიაც გაგზავნეს გამოსაკვლევად (для анализа). თვით უანგარიშოდ დაიარებოდნენ ადგილობრივ თითქმის ცოლშვილებითაც და კაი ხანიცა რჩებოდნენ; მისცეს სახელმწიფო ქონებათა სამმართველოში განცხადება გამოკვლევაზედ, რაზედაც მიიღეს კიდეც მოწმობა; მოიწვიეს იმავე სამმართველოდამ მიწის მზომელი, გვარად კარნო და აღნიშნეს დიდის იმედებით ყველა ადგილები განცხადების ნიშნებით და ყველა ამაებზედ, რა თქმა უნდა, კარგი ფულიც დაეხარჯე-

ბოდათ, მაგრამ დღეს კი ალარაფერი ხმა-ჭკვალაა იმათი. ნიმუშები სულ სახაზინო ადგილ-მამულებიდამ იყო. როგორც ეს მოხსენებულნი მკვლევარ-მაძიებელნი ამტკიცებდნენ და ჩვენცა ვეჭვობთ, უნდა იყოს: ოქროსი და სპილენძის ჩხათანის წყლის სათავეში, ვერცხლისა და ცინკისა—გარგარაში (ქორთა-ბუდის ტოტია), მდ. ალაზნის პირად, ხოხორას ნაბინავარში და ბრუდი-გორის დასავალში; რკინისა—ბუწუნხევში, ტოლეშაში, ბაწარაზედ და სხვა.—სხვადასხვა გვარი სამადნო ნიმუშები იპოვება აგრეთვე ხორეჯის მთის სამხრეთ კალთებზედ, ნაქერალში, ბაწარის წყალზედ ჩამოწოლილს ტბათანის მთის ტოტებში, სპეროზიაში და სხვ. საუკეთესო უნდა იყოს ბრუდი გორისა და სპეროზიისა. სპეროზიის ერთგვარი ნიმუში ცეცხლში რომ ჩაგდოთ, როგორც გამოყვანილი წმინდა შაბი, ისე დუღდება ხოლმე; ხოლო გაბიდან გორიდამ (ხორეჯის მთაშია) ნაზიდი ნიმუშები იქაურს ქისტს, თუნქო მაქვიანს, უდვნია ცეცხლში და თოფის ტყვიები უკეთებია. თვით კლდე, რომელშიაც ასეთი ნიმუშები ჩნდება, ზოგი ლურჯია და ზოგიც თეთრი,—თაგვ-მარილას რომ ეძახიან და შიგ გრძლად ზოლი და ზოლი ლითონი გასდევს ვერშოკის მერვედის სისქოდ—თეთრად, ყვითლად, მუქ-ყვითლად და სხ. ზოგგან კიდევ, მაგალითად, სპეროზიაში და ბრუდი-გორში კლდე მთლად თეთრად-ვერცხლის ფრად იყურება, ან მთლად ყვითლად. ასე, რომ თითქო ქვა არც კი ურევია. ხოლო ის ნიმუშები, რომლებსაც ოქროს მადნად ასახელებენ, მიწაა კლდისა ყვითელი, როგორც საღებავი რამე და შიგ წმინდა, ოდნავ შესამჩნევი, ქვიშა ურევია ცოტად მბრჭყვინავი. თვით მდ. ალაზანზედ ჰხვდება ერთგვარი ლიპი შავი ქვა და, რომ შუა გატეხოს, შიგნიდამ გადმოსცვივა კუთხე-კუთხე, თითქო განგებ მოჭრილი, ოქროს ფერი, ძრიელ ბრჭყვრიალა, ზოგი მსხვილი და ზოგიც წვრილი ლითონები და იმათი ამონაცვივნი ადგილები ქვაში განგებ ჩაჩვრეტილებივითა რჩებიან.

ᲭᲐᲒᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲐᲓᲐᲒᲘ. კედლებივით აქეთ-იქიდამ აფარებული მაღალი და ტყიანი მთები მტკიცედ იფარავენ ხეობას ორივე მხრის ქარებისაგან; ასე რომ, ძლიერი ქარი, —ქარიშხალი, აქ იშვიათია; ხოლო ნიავის მოძრაობა დიდი თუ მცირე, მუდამ ჩრდილო-სამხრეთისაა და უკუღმა. დილის ცხრა საათიდამ მოკიდებული, საღამოს ასე ექვს საათამდე უქრის კახეთისა, ე. ი. სამხრეთის თბილი ნიავი, ხოლო შემდგომ, დასაღამოებისას, როდესაც მახლობელს მთებში შესამჩნევად აცივდება, მოუბრუნდება ჩრდილოეთისა, ე. ი. მთების ცივი ნიავი და უბერავს ერთნაირად, წყნარად და შეუწყვეტლივ მეორე დღის იმ დრომდე. სწორედ იმ ჟამად, როდესაც ნიავის ამნაირი მოძრაობის ცვლილება უნდა მოხდეს, სუსტი კუდიანი ქარი (ураганъ) უნდა აჩნდეს ხოლმე. რომელ ამ ცვლილების ჟამსაც კახეთში ან მაღლა მთებზედ ძრიელი ნიავის მოძრაობაც შეხვდება, იმ მხრის ქარი ხეობასაც მცირედ მოჰხვდება ხოლმე. ნიავის ამნაირი მოძრაობისა გამო ხეობაზედ ჰავა თანაბარი არ არის. დილა-საღამო ისე ცივა შუა ზაფხულშიაც, რომ ადამიანი ტანზედ ამ დროს რამის წამოუსხმელად, ნამეტნავად შეუჩვევარი, ეზოში თუ მინდორში ადვილად ვერ გავა. ზაფხულში დღისით, მინდორში ნაშრომ-ნაოფლი ხეობის ხალხი, ან გზაში სამუშაოდამ შინ დაბრუნებისას და ან ღამე გარეთ სახლის აივანზედ ნაწოლი ცივდება ადვილად და ფილტვებით ავათა ხდება. ბუნების ამნაირი მოძრაობა ზამთარში თითქო იცვლება: სამხრეთის ნიავის მოძრაობა თავის ვადაზედ მაშინაც ჩვეულებრივად სწარმოებს და თოვლიც ამ ნიავს მოსდევს; ვადაზედ ისევ შეჩერდება და თუ ცა მოღრუბლული დარჩა, არც ერთი ნიავი აღარ მოძრაობს, ხოლო თუ მოიწმინდა, დაიძვრება ისევ მთის ნიავი თავის წესის და უქრის ისევ თავის დრომდე. აბა მაშინ იტყვიან ხოლმე სიცივეზე „ქვასა ჰხეთქავსო“, მთელი ღამე ცივა და ჰყინავს საშინლად. ზაფხულობით კი, თუ ეს ჩვეულებრივი ნიავის მოძრაობა აირია, უსათუოდ წვიმა მოვა.

მდ. ალაზანს ხეობის აღმოსავლეთის მხარე აქვს დატაცებული, თუმცა კი ეტყობა, რომ ოდესმე მდინარეს მთელ ხეობაზედ თავისუფლად უნავარდნია; ამას ამტკიცებს მთელ ხეობაზედ მინდვრებში გაფანტული წმინდა რიყის ქვა-ღორღი და თვით ნიადაგი, რომელიც ზოგიერთა მცირეოდენ ადგილებში ერთ ბარის პირზედ მიწაა და ისიც შლამგვარი, ხოლო იმის ძირს სულ წმინდა გარეცხილი ქვა-ქვიშა და შლამი; საჭიროებისათვის თვით მე მომითხრევინებია ერთ საჟენზედ და უფრო ღრმათაც, მაგრამ ხელის ტოლა არც თიხა და არც მიწა არ შემხვედრია ძირს; თხრაშიაც ერთ ბარის პირს რაკი დასცდება კაცი, განაღა ბარი უნდა, ან წერაქვი, როგორც რიყეზედ წყლისაგან ასე უბრალოდ მოლექილი შლამ-ქვიშა ჩვეტოს კაცმა,—ისე ამოჰყრის უბრალო ნიჩბით. ეს უფრო ზემოთ სათავის მხარეს, ხოლო ქვემოთკენ, კუწახტის დასწვრივ, ადგილ-ადგილ ზედა პირი ნიადაგისა თიხნარია; ეს უნდა იყოს წვიმების წყლისა და ღვარისაგან ჩამოტანილ-ჩამოლექილი მახლობელს ტყიან მთა-გორებიდამ, რომლების ნიადაგი თიხნარია. ეს გარემოება თითქმის აორკეცებს ხეობაზედ ზაფხულის სიცხეს, რომელიც უთუოდ სწვავს კიდეცა უფრო მოშუადღევებისას, როდესაც ხეობას მზე პირდაპირ დაჰხედავს ხოლმე; რა თქმა უნდა, ხურდება მზისაგან ქვიშნარი ნიადაგი, ზედ უბერავს სამხრეთის თბილი ნიავი და სიცხისაგან ადამიანს სული ეხუთება. გაზაფხულიდამ მოკიდებული, თითქმის შუა ზაფხულამდე, თუ თავთავის დროზედ წვიმა ექნა, მთელი ხეობა მწვანე ხავერდივით სასიამოვნოდ ღაღანებს და შუა ზაფხულიდამ კი არე-მარე მთლად გადატუსული ნაყანობივით თეთრად გამოიყურება, ნამეტნავად თუ ცოტა ხმელი ზაფხული დაუდგა. მთელს ხეობაზედ არ მოიპოვება არსად ხელის ტოლა ჭაობი, რომელიც დედაა სხვადასხვაგვარი ავათმყოფობისა. მთელი თვე რომ სულ გადულებელი წვიმდეს გზაზედ რაც არა, ისიც საქონლის ფეხის ან ურმისაგან აჭიჭყნილი, სხვა ვერც ლაფსა და ვერც გუბეს ვერა ჰნახავს ადა-

ბიანი. ალბათ ამისავე მიზეზია, რომ აქ არ იცის ადვილად არავითარი გადამდები სენი: წითელა, ყვავილი, ქუნთრუშა, ყივანა-ხველა და სხვა ამისთანები იშვიათია. იცის მხოლოდ „მალიარია“, რომელიც ხშირად არა ჰხვდება და ვისაც შეჰ-ხვდება ხოლმე, უფრო ახალგაზრდებს, ადვილად რჩება და დიდხანს არ გასტანს, თუ რაიმე საშუალება იხმარა. ეს ავათ-მყოფობა უჩნდება ზაფხულის დამლევს, და ზოგს დაუდევარს ზამთარშიაც შეჰყვება ხოლმე. ნიადაგს, ჯერ-ჯერობით, მუ-დამ წელს მოჰყავს მცხოვრებთა ყოველნაირი ნათესი და ნა-შუშევარი; ამას ხელს უწყობს ზოგიერთა ადგილების გარდა, სარწყავი წყლები; მოდის ყოველნაირი ბოსტნეული; ხარობს აგრეთვე ყოველნაირი ხეხილი, თუმცა კი ზოგიერთი მათგანი ადრეულა და ნაზ-ყვავილიანი, მაგ., ვაზი, ატამი, ნუში, ზო-გჯერ ალუბალიც და სხ. თუ ცივი გაზაფხული დაუდგა, ყვა-ვილშივე ფუჭდება, ნამეტან იმ ადგილებში, რომლებსაც ზე-მოთი მთები პირდაპირ დაჰყურებენ; ხოლო გვიან აყვავილე-ბულსა და ველურს ხეხილს კი ვერას აკლებს.

ტყე მვირფასი, მსხმოიარე, უბრალო და ჯაგნარი. ტყე, ერთ დროს მშვენიერი და მდიდარი, ვერც სახელმწიფო და ვერც სხვათა საკუთრება, ამ ჟამად შენახულობით ვერ დაიკ-ვეხავს; ორივეს ძრიელ ამჩნევია ადამიანის მმუსრავი ხელის ზედ გავლენა. სახაზინო ტყეს ხომ მაინცა და მაინც მთელი ხეობის ხალხი ზედ აწევს — შეშისთვის, ფიჩხისთვის, სახლების მასალისთვის, საქონლისთვის, სანეკრედ და სხვა შინაურ წვრილმან საჭიროებისთვის და მესაკუთრენიც სარგებლობის გულისათვის, ან იჯარით აძლევენ რამდენიმე წლობით სხვებს, რომლებიც შეუბრალებლად პირქვე ამხობენ მშვენიერს ტყეს და ან კიდე ნებას აძლევენ კერძოდ სხვადასხვა საჭირო მასა-ლისათვის. ამნაირად, ხეობის საუცხოვო ადამიჟმის ტყე დღი-თი-დღე ძირს ემხობა, იმუსრება და იქნება ერთ დროს ამ ლაზათიანი და ხელის თითებივით სწორედ აყრილ-ატეხილი ტყის მაგივრად კურდღლების სამალულაო ჯაგებიც აღარ

იყოს. ნახევარი საუკუნეც არ არის მას აქეთ, რაც ამ ხეობაზედ პირველად ხალხი დასახლებულა და იმ დროის მოხუცებულები გვიამბობენ, რომ სოფლების ზევით-ქვევით, სადაც ეხლა მომსხო ხის ძირიც აღარ იპოვება და მარტო საკურდღლაო პატარ-პატარა ბუჩქებიღაა,—კაცისაგან გაუვალი და მშვენიერი დაბურული ჭალა იყო და შიგ გარეული ღორი და ირემი ბუდობდაო. იქ ეხლა ირმები კი არა, კურდღლებიც ვეღარა ბუდობენ და კიკნელა ჩიტების მეტი და რომ მცხოვრებლებს შინაური საქონლის საძოვრად არა სჭირდებოდეთ, აქამდე ის ჯაგებიც გუთნისაგან ძირიანად ამოვარდნილი იქნებოდა. თითქო მოიჯარადრეებს სჯაბრობსო, თითო-თითო სოფლის კაცს, სახაზინო გლეხს, მოსწყინდება თუ არა ერთ ადგილას, მაგალითად შუა სოფელში, ან სოფლის ბოლოში ბინადრობა, აიღებს და ტყის პირად გორის ძირში სადმე მიაკრავს მერცხლის ბუდესავით თავის ფიცრულ ქოხს; მიადგება ტყესა და ნელ-ნელა ჰკაფავს დღე და ღამე. ტყის ყარაულიც თუ ვერ მოისყიდა, ის ოქმს შეუყენებს და სასამართლოში შვიდიოდე მანათს გადაახდევინებს, მაგრამ ის გაჯაგულგაჩეხილი მამული და შეშა ხომ იმასვე რჩება. სულ ათიოდე წელი იქნება მას აქეთ, რაც ერთ სოფელში, ყვარელ-წყალზედ, სულ თავში, ერთი ქვითკირის სახლი გაკეთდა; ეს სახლი მაშინ ზედ მიჯნაზედ იდგა, რომლის ზემოთ სოფლელებს ნება არა ჰქონდათ, უბილეთოდ ან სახრე მოეჭრათ; ეხლა ის სახლი შიგ შუა სოფელშია მოქცეული და იქნება დრო იყოს ახლა ბოლოში მოექცეს. სოფლების მახლობლად ტყიანი დაალი გორები გაზაფხულის თხებივით დაკრეჭილებია და ბოჭკის ფიცრისათვის მუხა ლამის უადგილო ადგილასაც თესლად გააქრონ. ჯერ-ჯერობით ძრიელ კარგად შენახულა დუმასტურის ჭალა-ტყე, რომელიც პაჭიჭაძეებს ეკუთვნით და ესეც იმ მიზეზით, რომ მგონია, როგორც შევიტყეთ, პატრონი საკახეთო რკინის გზას ალოდინებს. ჯერ მაინცა და მაინც, მანამ ადამიანის შეუბრალებელი ხელი ვერ დაჰრევია და ან კიდევ

ზოგიერთა ადგილებში ან სიშორისა, ან მიუდგომლობისა, ან გაუჭირებლობისა და ან მთავრობისაგან შიშისა გამო ცული ვერ მიუტანია, ხეობის ტყე შემკულია კიდევ ბევრი ძვირფასიანისა და სხვადასხვა ჯიშის ხეებით, რომლებიც კიდე ამშვენებენ მას თავისის სიდიადითა, სიმშვენიერითა და მოყვანილობით—მაგალითად არის—უნაყოფო: ბზა,—მარტო დუმასტურშია ცოტა ალაგას და არც ძაან მსხვილი, უთხოვარი—ბაწარის ჩრდილში, სადაც სახერხი მორებიც შეიძლება გამოიჭრას და ცოტ-ცოტა ბარკიანის პირიმზითში და ცქვიტაძეშიაც მოიპოვება; უნაბი—წინაგორში; ფიჭვი—მარტო სპეროზიის პირიმზითის ძირობაზედ; აქა-იქაა—ცაცხვი, თელა, თელამუში. ქარაფი და—უფრო ალაზნის პირად ჭალებზედ—მურყანი; პირველი სამი ჯიშის ხე უფრო ხშირია ურთნალში, დუმასტურში და ქორთა-ბუდეში. ნაყოფიერნი: წაბლი, რომლისა კარგი მომსხო სახერხი მორებიც გამოიჭრება, უფრო ხშირია დედის-ფერულის თავში, ხორეჯაში, ტოლეშაში, ქორთაბუდეში, ურთნალში და ბრუდი გორში; კაკალი—ადრევ, მანამ სატყეო კანონები ამ ხეობაზედაც განმტკიცდებოდა და ან ხალხი კაკლის ხის ღირსებას შეიტყობდა, არავინ რას დასდევდა და კაკლებს საკუჭრეთ ჩალის ფასად ჰყიდდნენ; ამ სიტყვებით ატყუებდნენ ბრიყვ ხალხს ჩარჩები: „კაცო! მე ერთი მუშტის ტოლა კუჭრი უნდა გამოვიხერხო და წავიღო, დანარჩენი მორებად და შეშად მთელი კაკლის ხე თქვენ არა გრჩებათ“? ჩემ პატარაობას სოფლელებს ერთი კაკლის კუჭრი, რომელიც რატო 80—100 ფუთი არ გამოვიდოდა, ჩარჩებმა 15 მანეთად გამოსტყუეს; ამ გარემოებათა ზედ გავლენით ამ ჟამად მსხვილი კაკლის ხე ბევრი აღარ მოიპოვება. ხოლო 4—8 ვერშოკამდე ბლომათ არის და თითქმის ტყეცაა ძიბახევზედ, ცქვიტაძეში და ბრუდი-გორის ბოლოში; ხშირად შეხვდება აგრეთვე ჭობიოში, კაკლიანის წყალზედ და კუწახტაში. წიფელა—ყველა ტყეებში ბლომათ არი და უფრო კარგი, სწორე და მსხვილი—სა-

ხერხ მორებად გამოსადეგი—ურთნალის დაბლა წიფლიან ჭალაში, მანამ მოიჯარადრე ოსებს არ გაუჩეხნიათ. მუხა—ჯერ-ჯერობით კიდევ მოიპოვება ხალაწანში, წინ-უბანში, ურთნალ-დუმასტურში, ქორთა ბუდეში და ცოტ-ცოტა ნორჩი გამოუსადეგარი თითქმის ყველგან. უბრალო ნაყოფიერნი: გარეული ვაშლი (მაჟალო), გარეული მსხალი (პანტა), გარეული ბალი (ბალამწარა), თხილი, შვინდი, ტყემალი, თამელი—ესენი ყველა ტყეებში ხშირია. უნაყოფონი: რცხილა, ჯაგრცხილა, ნაკერჩხალი, იფნი, წნორი (ტირიფი), ვერხვი, ხეჭრელა, ჭანჭყატა—ესენიც ყველგან შეხვდება. ჯაგნარი ნაყოფიერნი და უნაყოფონი: ჟონჟოლი—ბლომათ არი ძიბახევისა, ბირკიანისა და ცქვიტაძის პირიმზითებში, იპოვება კიდე ჭობიოში და ურთნალ-დუმასტურში; კუნელი, მაყვალი, გარეული კომში, ესკელა, ჟოლი, თრიმლი და სხვა ცოტ-ცოტა აქა-იქა ყველგანა ჰხვდება; ზღმარტლი—ბაღურივით მსხვილი და გემრიელი ხშირია უფრო ჩურიათახში (დუისოფლის თავშია).

გარეული ოთხ-ფეხა ცხოველები და ფრინველები როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, იყო დრო, როდესაც დაბლა ჭალებშიაც, სოფლების ახლო-მახლო, ირემი და **გარეული** ღორი ბუდობდა; გამოცდილ მოხუც მონადირისაგან ნათქვამია—რა ტყემაც ირემი იცის, ის ნადირის ბუდეაო—და მართლაც რომ პანკისის ხეობა ერთ დროს ნადირის ბუდე იყო—მანამ ეს ჩქარა სასროლი თოფები შემოვიდოდა. მთელი ხეობის მცხოვრებნი, ქისტები თუ ფშავლები, როგორც მთის ხალხი, ყველა იარაღის მონიაზეა და თითქმის ნახევარზედ მეტი წილი კარგი მსროლელი და მოყვარულიც. დღესაც ანდაზასავით დარჩომილა ხალხში—ერთმა ქისტმა თავის ეზოში ნადგომი ვეებერთელა მუხა თოფის სროლით წააქციაო და ეს მართალიც არის. ამისთანა ხალხი, რა თქმა უნდა, ნადირს უფრო ბევრს ესროდა და ბევრსაც მოჰკლავდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ჯერ ერთი ქართული თოფი შორს ვერ

ესროდა, ვერც იმოტელა ძალას მიიტანდა და, მეორეც ქართული თოფით მოჰკლავდა ერთს რასმეს—და წამოვიდოდა შინ, ხოლო ეხლა ჩქარა სასროლი თოფით ნადირობა სულ სხვაა,—სიშორეს არ დაერიდება, სისუსტეს და მის დაგვიანებას. გარდა ამისა, ნადირს თავისებური ხასიათიცა აქვს: მას, როგორც ყოველს ცხოველს, ამხანაგად, სხვებთან ერთად ყოფა-ცხოვრება უყვარს და ასე ჰგონია, სიკვდილის დროსაც თავი ამხანაგსვე უნდა შესწიროსო—თოფი რომ გავარდება, უეცრად გაფრთხება და ერთი მუხლი განზედ გადახტება; აქ შესდგება ერთს წამს ყურებ დაცქვეტილი, მერე მოიხედავს და ამხანაგს რომ მტრის თოფისაგან წაქცეულს დაინახავს, თითქო საშველად მობრუნდაო, გაშმაგებული სწრაფად ისევ ზედ შემოჰვარდება; ამ დროს მონადირეს თოფი მზათ გატენილი უჭირავს და იცის, რომ დაგვიანების დრო აღარ არი; ამოიღებს სწრაფად ნიშანში, რახვ—თოფი და იმასაც ზედ მიატოლებს. ასე შეხვედრილი უწყალო მონადირე ნადირის ხროს გათავებამდისაც არ შეიბრალებს, თუნდაც ათი დააწვინოს ერთსა და იმავე ადგილას. ეხლაც ბევრია იმისთანა მონადირე, რომელსაც სულ რამდენიმე წამის განმავლობაში ერთს ადგილას დაეწვინოს 3—6 მშველი, ან ჯიხვი, ან შუნი, თუ სხვა რომელიმე ნადირი. ახლა ავიღოთ მსხვილი, ძნელად დასაჭერი ნადირი, მაგ., ირემი, დათვი, გარეული ღორი და სხვა. ძალიან მარჯვე ადგილას უნდა მოჰხვდეს, რომ ქართულმა თოფმა ერთ-ერთი ამათგანი დაიჭიროს; წარმოიდგინეთ—ქართულ თოფს დათვსა და გარეულ ღორს შიშით ვერც კი ესროდნენ; ძალიან ყოჩაღი და გაბედული მონადირე უნდა ყოფილიყო, როს ამათთვის თოფი ესროლნა და, თუ ესროდა—ან ერთი მოკვდებოდა და ან მეორე; ბევრი მინახავს თვით მე, სოფლის ექიმბაშებთან მოსარჩენად მოსული მონადირე, რომელიც ქართული თოფით დაჭრილს დათვს ეჩეჩქვნოს და ებეგვნოს; და გარეული ღორისაგან მოკლულიც ბევრი გამიგონია. ეხლა? ეხლა ბერდანის თოფით

ერთი ლაწირაკი მონადირეც აღარ ერიდება ამ ნადირს და გულითაც კი უნდა, რომ უსათუოდ ამათ შეხვდეს და თავისი ბიჭობა სცადოს. ამ ბოლო ხანებში ბერდანის თოფით ბევრი მოუკლავთ ამ ნადირთაგანი, ე. ი. ირემი, გარეული ღორი, ან დათვი, რომელსაც წინანდელი ნასროლი ქართული თოფის ტყვიები 1—3-მდე ამოსჩენია ტანში სადმე ბუდე გაკეთებული. ეხლა კი, მონადირეები კიდევაც დაიკვეხავენ ხოლმე—თოფი რომ ვესროლე ნადირს, ნათოფარში სინათლე გაედინაო. მოდი და ნადირი ნუ შეეხელდება. ნათქვამია—ზღვა კოვზის პირით დაილევაო—ასე დღეს-ხვალიობით ნადირი ძალიან შეეხელებულა ამ ჟამად ხეობაზედ. მაინცა და მაინც იმ გარემოების წყალობით, რომ ხეობის მიდამოებს, ტყესა თუ მთებს, მოეპოვებათ იმისთანა სიმაგრეები და ღრანტე სამალავები, სადაც შეუძლიან ნადირს გამჭრიახი მონადირის თვალსა და თოფს ასცდეს და დაემალოს, ჯერ-ჯეროობით კიდევ მოიპოვება მსხვილი თუ წვრილი ნადირი—მაგალითად: ჯიხვი, შუნი (დედალ ჯიხვს ეძახიან) და ფსიტი სპეროზიაში, ხოლო მშველი, დათვი, მგელი, მაჩვი, მელა და კურდღელი ყველგან ტყეებში. ძალიან მცირედ ღა ჰხვდება ირემი, გარეული ღორი მარტო ურანში და ტურა; ხანდახან ჰხვდება ვეფხვი და ფოცხვერიც; კვერნა იპოვება ჩხათანისა და ბაწარის ხევებზედ მომეტებულად; დათვი კი ხშირია ალბათ იმიტომ, რომ წაბლი, შვინდი და პანტა-მაჟალო მისი საყოველთაო საჭმელი ბლომად იშოვება.

ფრინველი სასარგებლო და ხორცად გამოსადეგი არა იცის-რა აქ გარდა ქედანისა, მტრედისა და გვრიტისა და ესენიც მარტო ერთ-ხანად, მაგ., ზაფხულში, ყანები რომ გაიჭრება და გაზაფხულზედ, ფაცხობას, მარტო მტრედია, სხვა დროს ამათაც ადამიანი აქ თვალითაც ველარა ჰნახავს. მტაცებელი და გამოუსადეგარი ფრინველი კი ბლომათაა, მაგალითად: მთის არწივი, ორბი, სვავი, ძერა, ბუ, ქორი, მიმინო, ყვავი, ყორანი, ჭილ-ყვავი, მწყრებიჭერია, ბოლობეჭედა, ჭოტი,

ოლოლი, მინდა, ჯაფარა, და სხვები. არიან მგალობელი ფრინველებიც: შაშვი, ტოროლა, შროშანი, მწყერი, ჩხართვი, მოლაღური (ბიჭო-გოგია), წიფლის ჩიტი, ნარის ჩიტი, პრანწია, ლობემძვრალა, ბოლოქნია და ყველგან მოსახლე ბელურაც. მაღლა იალაღებზედაც მოიპოვება შურთხი (გარეული ინდაური) და კაკაბი. გაზაფხულობით მოდის: მერცხალი, გუგული, ოფოფი, წყალ-წყალა; ცოტა ხნობითა რჩება: გარეული იხვი, გარეული ბატი, სავათი, სასარაკი და მინდვრის ქათამი.

თევზები, ქვეწარმავალნი და მწერები. მთელ ხეობას მდ. ალაზნის მეტი სხვა სათქმელი წყალი არა ჩამოუდის-რა, გარდა პატარ-პატარა ფშა-ხევებისა, რომლებიც უკვე მოვიხსენიეთ. მდ. ალაზანიც, როგორცა ვსთქვით, ვიდრე ხეობას არ დასცილდება, ვერ მომდინარეობს იმოტელად გაშლით და დამშვიდებით, რომ თევზმა დაიბუდოს; არც მოეპოვება იმტელი მორევები, ან ჩინჩხილები, რომ ადიდების დროს თევზი შიგ გამაგრდეს და არ გამორიყოს. თითო ისეთი ლოდი გდია რიყეზედ, რომ კაცი ზედ ვერ გადახტება. ცოტაც რომ მოდიდდეს და ნაპირიდამ ამ დროს ადამიანმა ყური დაუგდოს, ეგონება ქვეყანა ინგრევაო, ისე გურგური გააქვს ლოდებს წყლის კალაპოტში; ამასთანავე თან მოაქვს უანგარიშო უშველებელი ხეები, ძირკვები და ჩონჩხები. ბევრჯელ, —როცა მდ. ალაზანი ადიდებული ჩამომჯდარა, სოფლელს კაცებს, ბალღებს და წყალზედ წასულ დედაკაცებსაც რიყეზედ უპოვნიათ წყლისგან ნახოცი მსხვილი თევზი და ორაგულებიც თითო 5—6 მტკაველი. ამისათვის მდ. ალაზანმა თევზი შესამჩნევად არ იცის, თუმცა ხეობის ბოლოში ბლომად იპოვება და ბევრსაც იჭერენ მახლობელი ს. მატნელები. ცოტ-ცოტა იცის კალმახი, როგორც ჩქარი წყლის მოყვარული თევზი და ორაგული, ისიც კალმახისა, ე. ი. ჭრელი და არა ბარისა—თეთრი ორაგული. მოიპოვება აგრეთვე თითო-ოროლა ფიჩხული, მურწა და გველანა. კალმახი

უფრო ხშირია, როგორცა ვსთქვით, მთის ხევებში, მაგალითად ბუწუნ-ხევში, ბაწარაში და დუმასტურის წყაროში. ეს თევზეულობა უფრო ბევრი იცოდა აქ ყველგან წინეთ, მანამ ხეობის მცხოვრებნი თევზაობას მიეჩვეოდნენ და ან თევზის გემოს გაიღებდნენ. ამ ბოლოს დროს ბალღებმაც კი ისწავლეს თევზაობა, თუმცა წინეთ არასფერს დასდევდნენ, მასთან პატარ-პატარა ბადეებიც გაიჩინეს და ამისათვის თევზიც ძალიან შეთხელდა. მთის კალმახს, რომელსაც უხერხო ჩანჩქერებისა გამო ბადე ვერ უდგება და ვერცარას აკლებს, ნემსკავითაც ადვილად იტყუებენ, მაგრამ მაინცა და მაინც მთის ხევებში და მათ უშველებელს ლოდებს შუა იმოტელა სიმაგრე და სამალულაო მოეპოვება, რომ შეიძლება თევზმა თავი შეინახოს და სამუდამოდ მაინც არ მოისპოს.

როგორც ზემოთაცა ვსთქვით, მთების სიახლოვისა გამო ხეობაზედ არამც თუ ღამე, დილა-საღამოთაც შესამჩნევადა გრილა, ნამეტნავად მაშინ, როდესაც ზაფხული ნოტიო შეხვდება. ამის მიზეზი უნდა იყოს, რომ ხეობამ არ იცის მცურავი არც ძალიან დიდი და არც ძრიელ შხამიანი; ძალიან დიდი რომ იყოს, ხუთი ჩარექი სიგრძე შესაფერისის სიმსხოთი და უფრო შავი. მცურავი, როგორც ცხელი ადგილისა და ჰავის მოყვარული, მომეტებულად ავია, მარდი და შხამიანი უფრო ცხელს ქვეყნებში და ძალიანაცა მრავლობს, ხოლო აქ არ გაგონილა აქამომდე, რომ მცხოვრებლებისათვის, ან პირში ჩაძრომით, ან დახვევით და ან კბენით-დაშხამვით, რაიმე ზიანი მიეყენებინოს. ზოგჯერ კაცი, რომ შეხვდეს, ეგონება მკვდარი—გაყინული გდიაო, ოდნავ გაცურებასა და მორიდებას ძლივს მოახერხებს. ჩემს პატარაობას, ხანდახან ისეთი მომიკლავს მცურავი, რომ მკვდარი მგონებია. ხეობაზედ ადვილადაც ვერ შეჰხვდება მას ადამიანი, მაშინ თუ, როცა ის გუბის ბაყაყს დაიჭერს შესაჭმელად და აჭყვირებს; ამ დროს ახალგაზრდა ბიჭები ეძებენ ბალახებში, რომ იპოვონ მცურავი, შოჰკლან და ბაყაყი პირიდამ გააშვებინონ. მცურავი აქ უფ-

რო ჰხვდება მთების დაბლა ქვა-ღორღიან ცხვირებში, ხოლო ისინიც უარესად წვრილები და მძინარეები. ერთხელ აქ ერთს სოფელში ხმა გავრცელდა, ვითომ ბალთაგორში ენახოთ უშველებელი, შავი—ჯაგრიანი მცურავი, მაგრამ ეს წმინდა სიცრუე უნდა იყოს; ბევრისგან მეც გამიგონია, აქა და აქ ბარძაყის სისხო გველი მოვკალიო, მაგრამ ესეც დაუჯერებელია და ის კი მართალია, რომ როგორც ანდაზა ამბობს—შიშს დიდი თვალები აქვსო, რადგანაც მცურავისაგან თითქმის ყველას უკიდურად ეშინიან, შეიძლება ნახა პატარა რამე და მოჰკლა კიდეცა, მაგრამ შიშმა დიდად მოაჩვენა.

ბაყაყი იცის უფრო გაზაფხულზედ, როდესაც გათბება რუვებში და შემდგარს პატარ-პატარა გუბეებში, ასე რომ ამ დროს იმათ ყიყინისაგან ყურთა-სმენა აღარ არის ხოლმე, მაგრამ მერე კი სადღაცა იკარგებიან. იცის აგრეთვე ერთი სხვა ჯურა ბაყაყი—წვრილი, მწვანე და ზოგიც მოყვითალო—ბალახებში; ამათ გაზაფხულზედ ხეზედაც, ფოთლებში იციან ჯდომა და ყიყინი. ხლიკვი იცის მცირედ, ისაც წვრილი და მწვანე. თაგვი ბევრი არ იცის, არც მინდორში და არც სახლებში; ორ-სამ ნაირი ჯიშისა ჩნდება ასე, რომ ერთი ჯიშისა გაჩნდეს, მეორე უკვე აღარა სჩანს; ერთნაირი ჩნდება, მინდვრისას ეძახიან, გულ-თეთრი, კუდ-მოკლე, მეორე წვრილი, თითის სიმსხო, გრძელ-ცხვირა და ბრუციანი, მესამე ჩვეულებრივი შინაური თაგვი, მაგრამ როცა მსხვილი თაგვი (ვირთაგვა), რომელსაც ქალაქურს თაგვს ეძახიან, გაჩნდება ხოლმე სახლებში, წვრილი თაგვის ხსენებაც აღარ არის. თაგვს ხეობაზედ შესამჩნევი ზიანი მცხოვრებლებისათვის არც ერთხელ არ მოუტანია. ბევრჯელა ყოფილა ზამთარი მშრალი და თბილი, რომელ შემთხვევასაც აწერენ ხოლმე მინდვრის თაგვის გამრავლებას, მაგრამ არ გაგონილა, რომ აქ ნამუშევარი თაგვს ეზარალებინოს.

ხეობის ნამუშევარს უფრო აზარალებს ყოველ წელს ერთნაირი მწერი, რომელიც გაზაფხულობით ჩნდება; როდესაც

ყანები, რომლებიც დაბლა ქვიშნარიანს ადგილებში მდებარეობენ, ყვავილში შევა, მოედება ეს მწერი და მაშინ-ღა გამოსახულს რძიანს მარცვალს ფუტკარივითა სწუწნის; თითო თავთავს ახვევია შეკუნწლული 3—6 მწერი და ხან კიდე ყანა მისგან მთლად შავად გამოსჩანს. მწერმა სხვადასხვა ადგილას გადასვლა-გადმოსვლა არ იცის; დაბლა მინდვრების ყანებს ზევით-ქვევით ყველგან ერთნაირად მოდებული აქვს, იმას არ აბრკოლებს არც ამინდი და არც უამინდობა; დაიყვავილებს ყანები თუ არა, უსათუოდ გაჩნდება და როცა გაუმაგრდება მარცვალი—დაიკარგება; ვერავის ვერ გაუგია, საიდამა ჩნდება და სად იკარგება. სოფლელებს ჩვეულებათა აქვთ—ერთს წელს რომ დაბლა ჭალებზედ დათესონ ყანები, მეორე წელიწადს ის ადგილი ან უნდა შეასვენონ და ან სიმინდი დასთესონ, ხოლო ყანებს გაღმა გამოღმა მთების ფერდობებზედ სთესენ; საკვირველი ის არის, რომ როცა დაბლა ყანები აღარ არის,—მწერი იმ წელიწადს აღარსადა სჩანს, ხოლო იქვე გვერდზედ, (შუა მარტო წყალი ან პატარა რუ ჩამოუდის) თიხნარიანზედ ნათეს ყანებს არ აჩნდება; არ გაიგება, წყალი უშლის გადასვლას, თუ მაინცდამაინც იქ ვერა გვარობს. ეს მწერი ხარა-ბუზას ცოტა წააგავს, მაგრამ იმასავით ძალიან მრგვალი და იმოტელა კი ვერ არი, ცოტა პატარაა და თითქო ოთხ-კუთხი ბოლო თითქო ცულით დაუჭრიათო; ზოგი მოწითალო ფერისაა და ზოგიც მოშავო. ესენი გარდა იმისა, რომ ფერით განირჩევიან ერთმანეთისაგან, ადამიანმა რომ ხელი შეახოს, მოწითალო თავს იმკვდარუნებს, ხოლო მოშაო არა; აგებულება კი ორივეს ერთნაირი აქვს; ზემოთი ქერქი მაგარი აქვთ, როგორც ხარაბუზას, ხოლო შიგნითი ფრთები ძრიელ ნაზი; თავ-პირიც ხარა-ბუზას უგავს, ხოლო რქები კი არა აქვს. ბაღლინჯოს (კედლი-ტილა) რომ ფრთები ჰქონდეს, უფრო ამას ეგვანებოდა. მფრინავია, მაგრამ ადვილად გაფრენა კი ვერ ეხერხება; ორივე ჯურა ყანას ერთნაირად ებრძვის; არც ისე ირჩევიან ერთმანეთისაგან, რომ მო-

შავო ცალკე ებრძოდეს ყანას და მოწითლო ცალკე; ამათი ნაჭამი ყანის მარცვალი ან მთლად გამოსუტული და ან ნახევარ გვერდ ჩამოცლილი; მარცვალი თუ ოდნავ შემაგრდა, ველარას აკლებს და მწერი იკარგება; კიდევ კარგი, რომ მწერი ძალიან არა სჭამს, თორემ შენი მტერი, თავთავს ერთ მარცვალსაც აღარ შეარჩენდა გამოუსუტავს. მარცვალს რომ შაებრძოლება მწერი პირველად გარეთა ფერფლს, რომელშიაც მარცვალია გახვეული, აღრღნის, მანამ მარცვლამდე ჩააწევს და ამასობაშიაც ძალიანა გვიანდება. შინაური ფრინველი ძალიანა სჭამს ამ მწერს—ქათამ-ინდაური ისე ჰყლაპავს, როგორც სიმინდის მარცვლებს. ბალღები და დედაკაცები თავიანთი ყანებიდამ ხოკრებით ეზიდებიან ხოლმე და შინაურს ფრინველს აჭმევენ; ყანას რომ ოდნავ წკეპლა შემოჰკრას, მწერი პანტი-პუნტით ძირსა სცვივა. ქისტესი ამ მწერს მოშაოს „ჯლაურგიშ"-ს ეძახიან და მოწითალოს „ბუმბურგიშ"-ს.

ერთი ჯურა კიდე სხვანაირი მწერი იცის, რომელსაც კახეთში ზოგი ბოსტანას ეძახის, მგონია რაკი ბოსტნეულს ებრძვის, და ზოგიც მჭრელს. აქამომდე ამ მწერს ხეობაზედ ნამუშევარისთვის ზიანი არა მიუცია რა ბოსტნეულისათვის ცოტ-ცოტად რაც არი, ხოლო 1903 წელს კი ძრიელ აზარალა სიმინდის ნათესები უფრო ხალაწანში. ნორჩს, მაშინლა ამოსულს სიმინდს მიწის პირად ძირს აღრღნიდა და აქცევდა; სალაწანში ზოგმა ერთსა და იმავე ადგილას მესამედ დათესა სიმინდი. თითქო შეჯანგულიაო, მწერისაგან გამოჭმულ-გამოღრღნილი ადგილი მცენარისა მწერის ფერად, მოწითალოდაა მომკვდარი. მიწის პირად, ღეროს რასაც მიადგება, გამოსჭამს, მცენარეს გადააქცევს და სხვას—არც ქვემოთ დარჩომილს და არც ზემოთ წაქცეულს ღეროს პირს აღარ ადებს. ეს მწერი ერთს მტკაველზედ ძირს მიწაში ვერშოკის სიგანე მოგრძო მრგვლათ—შესაფერი სიმაღლით,—ბუდეს იკეთებს და მსხვილი ჭიანჭველის კვერცხის მაგვარი კვერცხებით ბუ-

დეს პირამდე ავსებს. მერე ზედა წვება, სჩეკავს ამ კვერცხებს და წვრილი მწერები სანამ მიწის ბრძოლას შეიძლებდნენ, დედა რაც კაცის მსხვილი თითი გაეტევა, იმ სიფართოვე ბუდის გარშემო აქეთ-იქით გზები გაჰყავს ობობას ქსელივით და ყოველი ბილიკი მცენარეების ძირებთანაა მიყვანილი; ამ ბილიკების წყალობით პატარა მწერები თავისუფლად მიდი-მოდიან მცენარეთა ძირების საღრღნელად. ამათი ნაღირღნი მცენარე მარტო ოდნავ გარე კან შემოღრღნილია, ხოლო ვერკი აქცევს, რადგანაც ის კანი ისევ მალე შემოადუღღება ხოლმე. წვრილები მსხვილ ჭიანჭველას წააგვანან და მოყვანილობაც სულ იგეთი აქვთ; მოშავო ფერისანი არიან და მარდები. დიდი, დედა, ვერშოკის სიგრძეა, ცერა თითის სიმსხო; ოთხი ფეხი აქვს, ჭიანჭველასავით შუა წელში გაწყვეტაზედ გაწვრილებულია; წინ ლაყუჩებთან (ყბებთან) აქეთ-იქიდამა აქვს ამოსული დათვის ფეხივით ორი მომსხო თათი და წინ, პირთან, მარწუხებივით მოყრილი და რომ დადის ამეებსაც ფეხივით იშველიებს; მოწითალო ფერისაა და თავ-პირი მურწა თევზისავით მოგრძო იმ თათებს შუა აქვს მოქცეული. ნამსუქნ მიწაში უფრო ძალიან იცის, ნორჩი ხახვის მტერიც ძალიან არი — ახლად გადარგულ ყველანაირ ბოსტნეულს უფრო ებრძვის, და თუ მოერია, გადარგვის უმალვე ძირს დასცემს; კიდე კარგი, რომ ქათამი ძაან ებრძვის და მიო ბოსტნეულს მაინც ცოტა შელავათი აქვს.

შარშანწინ, ე. ი. 1901 წელს გაჩნდა ერთგვარი მწერი, რომელიც აქამდე არ იცოდა; მას აქეთია, ეს მწერი მუდამ წელსა ჩნდება, უფრო მაშინ, როცა გვალვიანი წელიწადი შეჰხვდება. ჭინჭრის ან სხვა რომელიმე ფოთოლს ქვეშ ერთგვარი მოყომსალო პატარა პეპელა სდებს ბლომად კვერცხებს, ზემოდამ ობობასავით მტკიცე ქსელს გადააკრავს და თვითონ ალბათ კვდება; ცოტა ხნის შემდეგ ამ ფოთოლზედ კიდე წმინდა მოლეგაო კვერცხებიდამ გაიშლება ნემსის წვერივით წმინდა, მოგრძო, ბურუსიანი და კუპრივით შავი უანგა-

-რიშო მწერი. რა თქმა უნდა, მანამ კარგად გამოიშუშებიან და მომწერდებიან, ადგილობრივ გადიან საჭმლით იოლას; მერე კი ბუზებისგან შეწუხებული ცხენივით თავს მალ-მალ იქნევენ მაღლა, მისდევენ მცენარის ფოთლებსა და ცეცხლში გამოვლილივით უკან მარტო გაროკილი ღეროებითა რჩება. საჭმელად მისთვის ბედენა არ არის ჭინჭარი, ვირის ეკალა თუ სხვა ფოთოლ-ბალახი. მწერმა პირველად აჩენა სოფლად ან მის პირად იცის და თუ ძალიან გახელდა და ახლო-მახლო შამბ-შუმბს მორჩა, გასცდა და მინდვრად გავიდა არც ნამუშევარს მოერიდება, მაგ., სიმინდს, ყანას და სხ. ერთს წელიწადს სიმინდიც აზარალა, თუმცა კი ვერ გააფუჭა. მწერი, როდესაც ვერშოკის სიგრძე და ჩვეულებრივ კალმისტარის სიმსხო ხდება,—მინდვრიდამ ბრუნდება ისევ სოფლისკენ—სახლების დერეფნებში, ბოსლებში და ან მსხვილი ხეების ტოტებში, ან მის რამენაირად გამოწეულ, აყრილ ქერქებს ქვეშ—სიმშრალეებში და სიმაგრეებში. ადის ერთი საჟენის მაღლა, უშვებს პირიდამ რაღაც ნერწყვს, რომლითაც მიეკვრება იგი ძირიდამ და იქ ჩამოეკიდება ქინთელასავით. ამ დროს იგი სულ ცოტა ხნის განმავლობაში მთლად იცვლება. ტანიდამ ბურუსი და წინანდელი შავი ფერი ეკარგება, სიგრძე უნახევრდება და ქათმის კვერცხის შიგნითა ფერფლივით რაღაც კანში იხვევა; შემდეგ ქათმის ნაღველასავით ბოლოში მომსხო და თავში მოწვრილო რჩება და მოყომრალო ფერს იღებს. ასე ჩამოკონწიალებულია იგი გაზაფხულამდე და თუ არაფერმა ჩამოაგდო და ან გაზაფხული დარიანი და თბილი შეჰხვდა, იმ ქინთელეებიდამ პეპელა გამოდის, რომელიც კვერცხებსა სდებს იმავე რიგად.

ტყეში იცის ერთნაირი შავი, მოზრდილი მწერი; ნახევარი ვერშოკი მეტი სიგრძე აქვს და თავისივე სიგრძო რქები და ფეხები; მაღლა ხეზედ ფოთლებში იცის ჯდომა და ერთი გაბმული ჭრიჭინი უფრო ცხელ ზაფხულში; ამ მწერს კახეთში მგონია ხარა-ჭიას ეძახიან.

გარდა ამისა იცის ბუზები: მსხვილი, ნწვანე—მატლისა, სახლის ბუზი, კოლო, ჭიაყელა, გლინა, გველაძუა; სხვადასხვა ჯურა პეპელეები: მომსხო, ფარვიანა, ბორა, რომელიც საქონელს ძალიან აწუხებს, ბუზალაკი, ჭიანჭველა, მუმლი და სხვა.

ქისტიჩობანი.

სურათები
ჟღავახთ ცხოვრებიდან.

სცენა წარმოადგენს გოგალაშვილის სახლს, გვერდით ყანა-ჭალებს და ტყეს. ლაზარე მტავარჯოხით (გუდით, საცა პური უწყვიათ, წელზე აგდია იგი) გულაღმა გაწოლილა ყანების თავში საყარაულოდ და მღერის თავისათვის, მის შორი-ახლოს ტყის პირათ ზის და პურსა სჭამს ტყის მცველი კაკო. ფარდა აიხდება.

კაშოსკლა პირველი.

ლაზარე. ქალი წავიდა წყალზედა, თან გავაყოლე თვალიო,
რა ვქნა და!..
აავსო კოკა კუტალი, შიდ გაუყარა თმანიო,
ორად მოკეცა ნაწნავი, ერთიან ერთი მხარეო,
წამოიკიდა წარბ-შერჭმით, აემღვრა თვალნი წყნარიო
და ჰაი. ჰაი...

(კაკო გააწყვეტინებს სიმღერას, როდესაც გაიგონებს).

კაკო. ბიჭო, ლაზარე! რამ გაგასევდიანა, კაცო, აგრე? (ლაზარე გასწყვეტს სიმღერასა და საჩქაროდ წამოჯდება) არ სჯობია, ყანები ბეჭრო? შენ საქმეს ყურს რატო არ ათხოვებ, რომ საქონელი ნათესს აფუჭებს. ეხლაც ფუზას ყანა ხბორებით ავსილიყო და ერთიან გაევერანებინათ, მე რომ არ ვყოფილვიყავი და არ გამომეყარა, შენ მტერს, რომ ისინი იქ ჩალასაც აღარ გაუშვებდნენ.

ლაზ. ბიჭო, ეჰაა! მოჩვენება ხარ, ბიჭო! მოდი აქეთ, საიდგან გაჩნდი ეშმაკივით? (კაკო ადგება, ყველ-ჰურს ხელში აიჩერს და ჭამა-ჭამით მივა შორი-ახლოს).

კაკო. ლაზარეს გამარჯვება!..

ლაზ. გააგიმარჯოს, ჩემო კაკო! მოდი აქეთ, სად ყოფილხარ?

კაკო. (კაკო მივა ახლოს და ჯოხს დაეყრდვნება) არსად, დეთვლევიდგან ეხლა მოველ. ჰური მამშივდა და იქ წყაროსთან ვსადილობდი, შენ რა ჰაი-ჰუიში ხარ გენაცვა, ბაბალე ხომ არ მოგაგონდა!

ლაზ. მომაგონდა რომელია, კაკო! დღიდგან დღეს ქორწილს ველი კაცი და, სირცხვილი ხომ არაა ბაბალეს მოგონება! ჯვრის-წერის დღეები მიახლოვდება და ეს დალოცვილი დღეები ხომ მიგძელდება. დღევანდელი დილა დამავიწყდა და მანამდინაც საღამომ მოაღწიოს, კიდევაც გადავირევი კაცი. ამ გალილიან დღეს მოდი და ნუ მოსწყინდები, ნუ მოიგონებ ბაბალეს და ნუ შეექცევი!..

კაკო. ეე, ლაზო, შენც ჩემ ტაფაში იწვი არა, ჰაი გიდი ყმაწვილობავ, სულ ეგრე უკეცხლოდ უნდა იწოდე? (და დაღუნავს თავს).

ლაზ. (ღიმილით) შენ რაღა ცეცხლები გატრიალებს კაკო, შენც ხომ სატრფო არა გყავს, არ ინიშნები!?.

კაკო. ეე, ძმაო! (ამოიოხრავს) არ ვინიშნები მაგრამ...

ლაზ. მაგრამ რაზ!

კაკო. მაგრამ ისა, ლაზაროჯან, რომ ვიწვი, ვიდაგვი!

ლაზ. ეგ, ვისზე, კაკო?

კაკო. (ამოიოხრებს) ეჰ!.. (და დაფიქრდება).

ლაზ. არ იტყვი, კაკო, ვინა გყაყს მაგრეთი საცეცხლო?

კაკო. განა არ იცი, ვინ იქნება, რა...

ლაზ. მე რა ვიცი, შენ ვინ გიყვარს, ის კი ვიცი, რომ ლამაზ ნინას ყველა ესაყვარლებიან! ის თუა. არ ვიცი!

კაკო. რაღა გითხრა, შენვე გცოდნია ვინც მიყვარს!..

ლაზ. (გაიცინებს) ჰამა, შენც ქალი მანდილოსანი შეგიყვარებია, ჰა�ა...

კაკო. ვითომ რატომაო! (ცოტა წყენით) შენ ბგონია ბაბალეზე გაგიცვლი ნინას, არა, თუნდაც თქვენი კატო ზედ ბაბალესთან სართათაც გამოატანო, მეხი არ დამეცემა, რომ არ გაგიცვალო, ნინა ოჰ!! (ალერსიანად) ის სხვა ვარდია!

ლაზ. მე გეტყვი, ჩემო კაკო, რომ პატიოსანი ყმაწვილი იმ თავს-ლაფ დასხმულზე თვალს არ დაიჭერს, იმას ჩემო კაკო, ლეჩაქი მოგლეჯილი აქვს თავიდგან და პირშიც ნამუსის წყალიც გაწყვეტილი აქვს. იმას კაცი როგორ შეიყვარებს, მერე ქმრიან ქალს, ისიც სახელ გატეხილს? ის რომ კარგი ნამუსის პატრონი ყოფალიყო, ერთი კვირის ჯვარ-დაწერილი პატარძალა ქმარს არ დასტოვებდა და არ გამოიქცეოდა, ისიც რამსიშორიდგან და სირცხვილი არ არის, რომ ყმაწვილმა კაცმა იმ სახელ-გატეხილ კახპასთან თავი დაიმციროს; თავი როგორ უნდა გაუყადრო იმ, იმ ბოზს, რომელსაც დიდი, პატარა სოხახ-სუხახბ ათასჯერ მოიხსენიებენ სიმღერაში, სულ არა, აღარ გაგიგონია, რომ მღეროობენ შენს ნინაზე:

მურჯახეთიდგან წამოველ მე პაშტა ქალიო,
უკან მაყრები მომძახდნენ, დაიცა ქალიო!
სოფლის კიდურს რომ მოველ, ავჩქარდი მალიო,
სახლობ თავს გადამიყვანეს, გავაღე თვალიო,
ოთხად მოვკეცე ნაბადი, ზედ დავსჯექ რძალიო,
ერბო-კვერცხი გამიკეთეს, მოასხეს თაფლიო.
დადესა ამოვეფარე, დიდიხევს ვსდევი ხელიო,
მეორე დღეს ვინცა მნახა, გამოვჰყე კარზეო,
კერასა ჩამოუარე, ჯამი გავტეხეო,
თაროზედ კოჭობი დამხვდა, თაფლი გავლოკეო,
ლედამთილი წავაქციე, მული გავჯოხეო,
მამამთილს წვერი ვაგლიჯე, თავზე ვაყარეო,

მამასახლისსაც ვაგინე, ქმარსაც ვაფურთხეო...
და ამდენი საქმის ჩამდენი, ჩემო ძმობილო კაკოჯან, რას გიზამს, ოოხ და ჰაა! ღმერთო, მიხსენ მეო!....

კაკო. (კაკო ჩაფიქრდება) ჰო და, შენც კაცი ხარ, და საქმეც კაცთან უნდა გქონდეს დაჭერილი და არა ამისთანა გადათრეულთან!..

კაკო. (ბევრი ფიქრის შემდეგ) ნუ თუ აგრე, ლაზარე! შვილიც შობა, ეგ ლექსიც იმაზეა, ჰა! პურის მადლმა ეგ ამბავი ახლა მესმის, რომ შვილიც ჰყავსო...

ლაზ. კაკო, ის გაწლეკნილი პრატს ცინტლივით რომ ათრევს, ვისია, აბა?..

კაკო. წირვის მადლი გამიწყრეს, ჯალზო, თუ ვიცოდე, იმას შვილიც ეშობოს ერთი კვირის პატარძლობაში! აჰ! აჰ!! გაკვირვებით ხელ-ხელს დაადებინებს. ეს რა მესმის!.. აჰ! აჰ!!. არ მინდა ეგ მეხ დასაყრელი, თუ რომ მაგრეა. მართლა მეხი კი დავაყარე, ოჰო და იმ უჩიქილო თავში! (და გაკვირვებული ფიქრებს მიეცემა, შემდეგ ფიქრებისგან) ხელი ამიღია, ლაზო, ნინასგან.

ლაზ. (ლაზრო ყანებში ხმოებს დაინახავს, ადგება და გამოეკიდება) ჰოოოო, ჰოჰო, ეგრე, ეგრე, კაკოჯან, შენ ტყვილს ხო არ გეტყვი; ჰოო, შე მამაძაღლისეულო, ჰეეე, ჰე, ჰე (და გავარდება სცენიდგან).

კაკო. (თავისთვის ფიქრებს შემდეგ) ჰჰჰჰ, დახე, დახე იმ უნა მუსოსა! თავს გაიქნევს და გავა).

გამოსვლა მეორე.

ჯერ სოსო მარხილზე ცოდვილებას დაიწყებს, შემდეგ **მაია.**

მაია. (სოსოს თავს დაუკრავს და სალამს მისცემს) სალამოს კარგად ყოფნისა, ვაუბატონო! (ჩამოჯდება გობზე თუ სკამზე).

სოსო. ოჰ! ღმერთმა გაცოცხლოს, გადღეგრძელოს ჩემო მაია! როგორაა საქმე, ჩემო მაია?

მაია. როგორ უნდა იყოს, ვაჟბატონო! საქმე მორჩენილია, ჰამა მზითევზე ცოტა ყოყმანობენ, როგორც ეტყობა, მზითევს თავ-ბოლო უნდა მოაჭამონ კატასავებრ.

სოსო. როგორ თუ მოაჭამონ. უმზითვო ქალი ხო არ უნდათ მოგვცენ, არა მამა, არა! ჩვენ გოკიელი თათრები არა ვართ, რომ ქალები ფულით ვიყიდოთ, თუ არ უნდათ მზითვის მოცემა, ქალიც ღმერთმა მოახმაროთ, ჩვენ კი უმზითვოთ ქალს არ ვირთავთ. (ამ დროს შემოდის მარო).

მარო. საღამო შვიდობისა, მაია!

მაია. ღმერთმა გაცხონოს, მაროჯან.

მარო. რაო, რაო?

მაია. არასფერი, ქალბატონო, საქმე კარგაა, იმას მოვახსენებდი ვაჟბატონს, ცოტა მზითევზე ყოყმანობენ მეთქი.

მარო. რას ტილიჭამიობენ (გაწიწმატებით) მართლა ეგ ტილი ჭამიები და ჰო, ქალი აღარავის გაგვითხოვებია, რომ ყოვლისფერისაგან მზითევი საჭირო მზითვობა თან წაგვიტანებია მზითევათ. ღმერთმა აცხონოს და რა ვიცი, ჩემ სოფიოს არც ჭურჭლებიდგან დაუზოგო, არც ტანსაცმელისაგან და არც არაფრისაგან, ეგენი რას მიქარებენ ჰო და ჰოო!

სოსო. მაია! იცი რას გეტყვი (აწყვეტინებს).

მარო. კაკათ ბოღოსა იმოდენა მზითევს იძლეოდა და თანაც 25 მანეთ ნაღდს ფულს, ოღონდ ჩემი ქალი აიყვანეთ, რაც გინდათ, მოგცემო და ეგ, ეგ არ ვიცი რა, ჩემ შვილს რა უთხრა, რომ მაგათ ქალისათვის სული და გული ამოსდის თორემ, მე არც კი ვიკადრებ მაგათ გვარის ქალს!

სოსო. მაია! აქ მეტი ლაპარაკის დრო არაა, წადი და კარგა

დაკრიალოსნებით შეიტყე. მზითევს სრულად იძლევიან თუ არა, თუ არა და...

მარო. ჰო, შენ გენაცვა! წადი და შეგვატყობინე.

მაია. კაი იქნება გენაცვათ, ახლავ წავალ (გადის).

გამოსვლა მესამე.

იგივენი მაიას გარდა და მამასახლისი.

მარო. დასწყევლოს ღმერთმა, ესეც გაგიგონიათ, თავიდგან ქალის მოშორება უნდანან და ტიტველა უნდათ გაასალონ, შე ოხეორე, ადამიანო, შენ ქალს პერანგს და პატივს მოვითხოვ, ემენს არ გაატანებ, რომ სასირცხოები დაიფაროს! (ამ დროს ისმის კარის რაკუნი!)

მამასახლისი. ბიჭო, სოსო! სოსო! სახლში ხარ? (სოსო გავარდება).

სოსო. ვინ არის, მოდი გნახო, (მამასახლისს რომ დაინახავს) მოდი შინ გენაცვა.

მამასახლისი. გამარჯვება თქვენი! (მაროც თავს დაუკრამს) მე შემოსვლისათვის არა მცალიან, მახთოსათვის მოველი, გაიკარ ჯიბეს ხელი ჩქარა, ჩქარა! მეშურება.

სოსო. მამასახლისო, მამასახლისო! მამა არ წამიწყმდება, რომ ახლა ფულები თვითონ მე მჭვირია, კაცი ქორწილს ვეპირები, დღეს-ხვალ შვილს ჯვარსა ვსწერამ და მე ფულები მომჭარბდება, რომ კიდევაც მქონდეს, ფულს ჯერ მე ვსესხულობ, ისე მიშველის ღმერთი და, თუ შენც მასესხებ ათიოთ მანეთს, ძალიან დაგიმადლებ პურის მადლმა!

მამასახლისი. აი, გაგიწყრა შენ ქრიტეს ძალი და მადლი, რის ქორწილი მოგიგონია, კაცო, თუ ღმერთი გწამს მომეცი, ნუ მაწვალებ, თორე მამაძაღლი იასიძისაგან მოსვენება არა მაქვს, ლამის სული ამომართვას, კაზნა

თხოულობს მალე შეკრიბეთო, ადე მამის სული გაგინათლდება მომეცი, ნუღა მაცდევინებ!

სოსო. (შეტევით) კაცო, მომეცი რომელია, შენ ქრიტიანი არა ხარ! გეუბნევიან ქორწილი მაქვსო, (ტკბილად) მართლა, მამა გიცხონდება რამდენიმე მანეთი მასესხე თუ გაქვს, სხვაგან ნუღა მათრევ, მოვრჩე ამ სესხას, მე რომ სესხ მეჯავრება?

მამასახლისი. (სიცილით) ჰო, დამესესხე, დამესესხე, იქნებას მახთო თავიდგან აიცდინო, (რიხით) თუ მამის სული გიყვარს, სოსო, ნუღა მაცდევიებ, დრო არა მაქვს, მომეცი რაცღა ტიელია, (ფეხს წაჰკრავს) ადე, ადე, ჩქარა ჰა! (წნელს გადუფაცუნებს, სოსო იცინის).

მარო. ვაუბატონო, ვაუბატონო! ხელს ნუ შეგვიშლი ქორწილზე, ეგრემც ღმერთი გადღეგრძელებს. შენ თვითონ არ იცი გლეხიკაცის ანბავი და მერე ქორწიანობაზე (მარტო მეორე კვირეს იყოს, ხვეწნით) ჰო, გენაცვა! ქორწილაში დაგპატიჟებ!

მამასახლისი. (დაპატიჟება ეამება და ღიმილით) სოსო, სოსო! რა გიყო, რომ შინაური ხარ თორემ... აბა შენ მაგიერ მახთოს მე მივცემ და როდესაც გექნეც, მომეცი აი, ამ სამ მანეთს გაძლევ, მეტიც არა მაქვს. (უჩვენებს, ამოიღებს ჯიბიდგან) ესეც შენი ხათრისათვის გაძლევ, რადგან შინაური ხარ.

მარო. შენ მოგეცა დდე, ვაუბატონო! ჩვენ მახთოსი რამდენი გვხვდება, სამი მანეთია, თუ მეტი?

მამასახლისი. არ ვიცი, ვნახოთ, სპისოკში ეწერება (დაეძებს ჯიბეში და ვერ იპოვის) ოჰ, ეს ტიელი და გასავერანებელი, სახლში დამრჩენია, წავალ შინ ვნახავ და რამდენიც იქნება მე მივცემ. მშვიდობით! (გავა).

სოსო. ჰო გენაცვა, ეგრე, ეგრე! (მიდრო კარში გაატერებს მამასახლისს).

გამოსვლა მეოთხე.

მარტო სოსო.

სოსო. დასწყევლოს ღმერთმა! ჯერამც არ მოუთხოვია ფულები, გუშინ იყო სოხრისა 4 მანეთი გამომართვეს, გაავლილ კვირას იყო იასიჯისა, ეს უჩიტლისაო, ეს გზისაო, ეს ბატონისო, ეს მამაძაღლისო და რაღა მექორწილება! ტყვილი არა, ჩვენი ოფლი მაგათ დასჭირვებიათ. რაღათ გვინდა ჩვენი თავები, სხვისი ვირები ვართ, თავი ვერ მოგვიფხანია ამოდენა ჯაფისაგან და ვისთვისაო ერთი არ იტყვით, ხალხნო! (პუბლიკას დამერე ფიქრდება და ამოიოხრავს).

გამოსვლა მეხუთე.

იგივ და მაია. შემდეგ მარო შემოვა.

სოსო. თუ კაი ამბავი მოგაქვს, მაია?

მაია. მგონებს კარგაა საქმე. თქვენც უარს იტყვით, იმედია.

სოსო. მაინც რაში მდგომიარეობს საქმის სიკარგე? (შემოდის მაროც).

მაია. საქმის სიკარგე იმაში მდგომარეობს, ჩემო კარგოჯან, რომ უწინ რასაც გაძლევდნენ, ათ იმდენს ახლა გაძლევენ. სწორე გითხრა, ვაჟბატონოჯან! ისინი მეტს აღარასფერს მოგცემდნენ წინანდელ მზითევზე, თუ რომ მე არ დამეფიქრიანებია, მე ვუთხარ, რომ სოსო თითქმის უარს არის, თუ კანონიერ მზითევს არ მისცემთ მეთქი, აბა თუ მაშინ დაფაცურდნენ! იფიქრეს, ემენი ჩვენი ქალის ბედი კარს მოგვდგომია და ნუღა დავკარგებთ ბედს, მზითევს ნუღა გამოვრჩებითო. ამაში როგორც არის გაბედეს მოცემა.

მარო. მაინც რას იძლევიან, არ დაგისახელეს!

მაია. კი, როგორ არა, დაასახელეს და კიდევაც მიგიწვიესთ,

ხვალ საღამოს ხუცესთან ერთათ მობრძანდით და ასწერეთ, ჩაიბარეთო!

სოსო. გვიამბე ერთი, მაიაჯან! მაინც რა დაასახელეს?

მაია. ძაან კარგი, ვაჟბატონო! აი, რა დაასახელეს: 5 ხელი თეთრი, ტანზე რო აცვია იმიანათ.

სოსო. (გაიღიმებს) ზედ რაც აცვია, იმას რაღას ათვლიან მერე?

მაია. 10 წყვილი წინდა, ხუთი წყვ. ჭრელი, 3 წვერა და 5 სადა.

მარო. დალოცვილებმა, წინდა რაღა იყო, რომ 15 წყვილიც ველარ მოახერხეს, სულ არა ჩვენმა სასძღომ ველარ დაიქსოვა!

სოსო. ჰგავს ზანტი ყოფილა, ჩვენი რძალი.

მაია. ოდენ, შენ გენაცვა!.. ჰჰ... (ფიქრობს) ჰო, ერთი წყვილი ყარაულები (წუღებს ეძახიან) და ერთი წყვილიც ქოში.

სოსო. დალოცვილებმა 2 წყვილი ყარაულაც ველარ ჰქმნეს.

მაია. (ფიქრობს) ჰო, 2 წყვილი ტანსაცმელი; ერთი ხასი საპატარძლო და ერთიც ალიბეზისა, საშინაო.

სოსო. შე დალოცვილო, საშინაო ალიბეზის იქნება, აბა ატლაშისა ხომ არა, რაღა საჭიროა ალიბეზის დატანება, თქვი, რომ საშინაოვო.

მაია. არ სჯობია სახელდობრ დაასახელოთ, რომ მერე...

სოსო. (გააწყვეტინებს) ჰოდე, ჰო, კარგი ალიბეზის იყოს, მერე?

მაია. 3-ც ფეშტამალი, 2 ხაზლისა და 1-ც სამოსლისა.

მარო. ფეშტამლებზე, არა უშავს, სვინდისიერად მოქცეულან.

სოსო. მერე! მერე! თქვი შენი, მაია?

მაია. 7 უბე ლეჩაქი, (ფიქრობს) ჰოდენ! 5 უბე იაზმა და 3-ც თავ წასაკრავი აბრეშუმი.

სოსო. დიდ-უბეებისა იქნება, რაღა კითხი უნდა.

მარო. არა და, მამა უცხონდათ! წვრილებს მივიღებ!

მაია. ორი ღასლით ნაქსოვი ბიღი და ერთიც წითელი თავშალი.

სოსო. მე ვიცი მაგათ წითელ თავშალზე ქვეყნის გული იქნება დახატული აი!..

მარო. დააცადე, კაცო, გაათავოს! ნახატი თავშალი რომელია, შენ შენს ქალს ქვეყანა ნახატი თავშალი როდის წაატანე, რომ შენ თხოულობ! (სოსო გაიცინებს).

მაია. ჰოდენ, თქვე გენაცვალე? ორიც ჩადრი.

სოსო. მე ვიცი, ერთი აბრეშუმისა იქნება.

მაია. (მასხრობითვე) ყურში უჩურჩულე გოგალაშვილს აბრეშუმის ჩადრი! მერე, ვაჟბატონო, (ფიქრობს). 2-ც წითური ჩითმანდილი ცხვირსახოცათ!

სოსო. (მაღლა) ჰაი, თუ ცხვირიც ჩვენი ცხვირსახოცებით მოვხოცეთ ქორწილში?

მაია. 7 ღილი (ჰერანგზე დასაგებათ დიდრონი ვერცხლის ღილი იციან), 4 სუფთა ვერცხლისა, 2 ვარშავისა და 1-ც თითბრისა.

სოსო. ჰოო! (გაკვირვებით) თითბრისა რაღა იყო, რკინისაც აღარ ჰქონდათ.

მაია. ლოგინი, 2 საბნით, მატყლის დოშაკით და 3 გერმის ბალიშით.

მარო. ჯეჯიმიო?

მაია. ჰო, უკაცრავათ დამავიწყდა, ჯეჯიმიც.

მარო. (კმაყოფილები) ლოგინს არა უშავს, კარგია.

მაია. ერთი დიდი ნაჭერის მუთაქა და 2 ბოლჩაც. (მოღალული პირს იწმენდს ცხვირსახოცით და შესასვენებლად გაჩერდება).

სოსო. მორჩი, გაათავე, მაია?

მაია. არა ჯერ!.. მოვიღალე, ადამიანო! მომასვენეთ ერთი...

სოსო. (მაროს) რასმე ჰგავს მითომ ეს მზითევი?

მარო. იმდენიც არასფერი, მაგრამ მაგაზე კარგსაც ვინ გვაძლევს.

მაია. არა, სვინდისით რომ ვილაპარაკოთ, მზითევი პატიოსანია, არა უშავს, ისე ღმერთი მიშველის.

მარო. რაცა სხვა კიდევ რაა, მგონებს ჭურჭლეულიდგან დარჩა?

მაია. ჰოდენ, სწორეთ ჭურჭლები დამრჩა. სამი სპილენძის ლანგარი (საინი), ერთი იბრიხი სპილენძისვე, ერთი გუგუმი, 2 ქვაბი, 10 ჯამი წითელი თიხისა ზოგი ჩიხურისა, ერთი ერბოს ქოთანი, 1-ც ყველის ჩასადებელი შანდამი, შიყაბო, 2 დოქი, კიდევაც დავასრულე მგონებს, ჰო, მართლა! ერთიც ცხრილი. სულ ეს გახლავს. ამან შეადგინა სულ 115 მან. და 25 კაპ. ახლა თქვენ იცით! მზითევი პატიოსანი კია, ახლა მე სახლში მეჩქარება, საქმე მაქვს და ხვალ საღამოს წავალთ ასაწერათ, ისე დაგვიბარეს და ჯვრის წერასაც ზეგ ემზადებიან, თუ თქვენც მოემზადებით.

სოსო. ეგ ადვილია, მე ხვალისთვინაც კი მოვემზადები.

მაია. ჰო ეგრე, ხვალ მზითევის ასაწერათ მეც თან წამიყოლეთ, (ადგება) მშვიდობით!

გამოსვლა მეექვსე.

იგივენი მაიას გარდა და ლაზარე.

ლაზ. (ლაზარე გარედგან ყვირის) ქალო, ქალო! (დედას) ამ მოზვერს რატომ არ გამოხედავთ, რომ პური სულ მთლათ შეუჭამია, (ჰო ქიჩ, გაუჯავრდება, ჰოოო, ჰოოო) არ გესმის, გამოხედე მეთქი, (შემოვა და კობალს დაეყუდება, შემდეგ მტავარჯოხს მოიხსნის, დააგდებს და ჭილობზე ქვეით გამოგორდება).

მარო. ჯანი გავარდეს თუ შეუჭამია, მაგის გაგდებისათვის არა მცალიან.

ლაზ. არა მცალიან რომელია? რა მარგალიტებს მასხამ! (დედა ხმას არ გასცემს, წინდას აიღებს და ქსოვს) ჰაჰჰჰ,

(ამოიფშვენს) ეჰ, მოვკვდი ამ მამაძაღლის ტიალში. ჩვენც უნდა ვთქვათ, რომ ვცხოვრობთო! რა ცხოვრებაა ჩვენი. არც მოსვენებავ, არც ძილო! დილიდან საღამომდისინ და საღამოდან დილამდე მთელ ღამესაც ძაღლივით ეთრიე და ყანები ბექჩე, არც ლოგინოვო და არც სახლოვო, ხან იქ ხის ძირში და ხან სად დაეგდე მოდალული. როდის წვიმაა, როდის სეტყვა, ღვარი-ღვარნამი, როდის სიცხე-პაპანებაა, თავს შეიფარავ სადმე, რომ არ დასველდე და დაგცხეს? საქმე არა გაქვს! (დაფიქრდება), მაგრამ რას იზამ, მამულებიც იმოდენა არ გაქვს, რომ იმედი გქონდეს ცოტაოდე მოსავალისა და ასცდე ამ ხელობას! (დაფიქრდება) მეველეობა! ოჰ! უკანასკნელი ხელობა აღარ შეიძლება, როგორც მეველეობა! აჰ! (ხელს კარებისკენ გაიშვერს) ცხოვრება ხუციანთ პეტემ დაიკვეხოს და კაციც ის არის, ჰო და ეგრე! კაცს 30 დესტატანი მიწა გადაჭიმული აქვს, თავისთვის მუშაობს, მოსდის აუარებელი პური; ათასი მოსავალი არ იყოს 25 სომარს (116 კოდია, ფუთი) ქერს, 20 სომარს სუფთა საკორკოტე (პურის ღომი) დიკას და 15 სომარსაც დოლს გაჰყიდის! შენ, (შემოირტყამს თავში) გაღლეტილი 3 დესტანი მიწა გაქვს, თან მეხბორეთ და მეველეთ დგები, თან სიცოცხლეს იმწარებ და ისიც რა, რა სარგებლობა გაქვს, დიდიც არასფერი.

სოსო. შვილო, შენ ბედს ტყვილა ემდურები, დღეს სახლში 3—4 სული ვართ, ესეც გეძნელება ჩვენი რჩენა და ახლა რომ ქალს მოიყვან, მეტი ტანჯვა და სიცოცხლის გამწარება არ დაგჭირდება? ჯერ რა გინახავს, ჯერ ქალი მოიყვანე! (ამატებს მარო).

მარო. ჰჰეეეი, შვილო! ჯერ რა გინახავს, სანახავი გიცდის?

ლაზ. ჩემს ახალგაზრდობას ისე როგორ წავიხდენ, რომ ერთი მომეტებული ქალიც ველარ ვარჩინო?

სოსო. ქალი, არჩინე კარგი, შვილებს ვის არჩენინებ?

ლაზ. ბიჭო! ჯერ ქალი შევირთო, რომ შვილების რჩენაზე შემდეგში ვილაპარაკო. ალბათ, მანამდინ შვილები მეყოლოს ღმერთიც ალბათ სხვა წყალობას მოგვცემს. თქვენ ერთი წელიწადია ქალის ლოდინში სულიც ამოგმხადეთ. აი, დღეს ქორწილი ვქნათო, აი ხვალო და კაცი კი ჩამოგმსანთლეთ.

მარო. ვინ გალოდინებს, შვილო, წლეობით. ქალი მზა არის, მაგრამ ცოტა მზითევზე ვერ მოვრიგებულვართ. ცარიელა ქალს რატომ წამოიყვან, შენ შენი და ცარიელი არ გაგითხოებია.

ლაზ. მზითევი კი არა, ჯანაბა, მე ქალი მინდა, ქალს უნდა მივუწვე, მზითევს კი არა! ჩემი ბაბალეს მოხვევნა ათას თუმანს მირჩევნია! მზითევი რათ მინდა.

მარო. (დედა იცინის) მზითევი არ გინდა და, მანდერ ქალი, მზაა, გაძლევენ, ცარიელა ქალზე დაიწერე ჯვარი, ვნახოთ, სად და ან რაზე მოუწვები, ლოგინი შენ არა გაქვს და ფიჩვი. ცარიელა ტიტველა დედა-მიწაზე თუ მოუწვები, აიგერ ქალის უარს ხომ არ გეუბნებიან.

ლაზ. (გაჯავრებით) ი მაგა ძაღლი ჩემი სიმამრი, ტეფოა თუ რაცლა ჯანაბა, ტიტველზე ხომ არ მიპირებს ქალის მოწვენას, გამატანოს რა!

მარო. შვილო, ულოგინო არ არის, კარგი წყობილობაც აქვს ამაზე, მაგრამ სხვა მზითევი ნაკლებია, კანონიერად არ იქცევა?

ლაზ. (ადგება, კობალს ხელში აიღებს, მტვარ ჯოხსაც მოიკრავს) დედაჩემო, მაინც და მაინც ნუ ჩამოუდგები მზითევს. ცოტაა, ბევრია, უარს ნუ ეტყვით, წელანაც გითხარი, მე ქალი მინდა და არა მზითევი, ჰოო და ეგრე, (მიდის) წავიდე ყანებში, ხბორებმა კი არ გამავერანონ.

ხოსო. მეტი რა ღონეა, შვილო, კაცი გვჭირვია სახლში. რაც არის, უნდა მოვახერხოთ.

ლაზ ეგრე, ეგრე (გადის).

მარია. (სოსოს სიცილით) გიჟ ბიჭებს დიადი ენაღვლებათ მზითევისა, მაგათ ქალებში იტრფიალონ, იმათ სიმდიდრეს მაგი შეადგენს.

სოსო. აჰა, რო ორ გინდა ქალბატონო! შენ ახალ რძლობის დროს, ჩემთან ხვევნა თუ სიმდიდრეს შეადგენდა, როდესაც გულ-მკერდში მეკრდი, თავში ჭკუასა კარგავდი მეტის ალერსობისაგან, მაგი რაღა არის, ჩვენი ნაშობი არ არის, მისი ტკბილი სიცოცხლის დროც ახლაა! (ადგება, დაიწყებს სიარულს და ფიქრობს, მარო კიდევ წინდას ქსოვს).

სოსო. (ბევრი ფიქრების შემდეგ) ჯანი გავარდეს (თავისთვის) მზითევის ნაკლოვანობას, ქალი კარგი იყოს, მოსაქმე, ცოცხალი, ხელი ხელს მოგვცეს საქმეში. ვინ ვართ, რამდენი. ერთი ულონო კაცი, და ეს, (მიითითებს ცოლზე) ან კი მაგას რა გამოუვა ხელიდგან, და ერთიც ბიჭი. მარტო ბიჭიც კი, ერთი ხელი რას გააკეთებს. სულ არა ჩვენი რძალი ჯილლაზე, თუ ყანის თესვაზე. სადილის გასაგზავნათ დაგვჭირდება, ეს თონეო, სარეცხიო, პურის გაკეთებაო, ზროხების ნახირში გარეკაო და სახლში მორეკაო, წყლის მოტანაო და ეს ჯანაბაო, ყანის მორწყვასაც მაინც მიეხმარება (დაფიქრდება), ჯანი გავარდეს მზითევს, ჩვენ ქალი, მორბედი გვჭირვია, (ცოლს) ქალო! მეტი ღონე არაა, ხვალ წავალთ მზითევის ასაწერად და ზეგაც ჯვარი დავიწეროთ ადე შეუდექ ქორწილის სამზადისს. წადი ეფრემა დამიძახე. ეგ დეკეული დაკლას და მეც ახლა ქალაქში წავალ და რაცღაებს ვიყიდი, ადე, ადე!

მარია. მეტი რა ღონეა, ეგრე უნდა ვქნათ (ადგება და მიდის).

სოსო. ხვალაც პური, ქადა დააცხეთ, მიი'ველე ვინმე. ქათმებიც დაგვჭირდება!

მარია. (კარებთან გაჩერდება) დვინო? არაყი?

სოსო. არაყი კმარა 3 ბოთლი და ღვინო კი დაგვჭირდება. ნახე, ღვინოც ეფრემს შეუკვეთე, იმან ეფრო იცის რამდენი დაგვჭირდება. ის მაგისთანებში უფრო გამოცდილია ჩემზე (გავა).

მესხი კ. გვარამაძე.

(შემდეგი იქნება).

ბიბლიოგრაფია.

ბაჩანას პოემა—„დიაკონიანა“—კამ. 1902 წ.

თუ არ გონება-მიხდილი და განუვითარებელი, სხვა ვერავინ აღუდგება წინ იმ დედა-აზრსა, რომ ყოველს საქმეში ერთფერობა მოსაწყენია. როგორც ოკეანეზედ მომცურავნი სულის კვეთებით ელიან ხმელეთზედ გადასვლას, როგორც ქვეშიანის უდაბნოს მექარავნენი გაორკეცებულის ნაბიჯით მიესწრაფვიან ბალახით შემოსილს კორდისკენ, როგორც ქალაქის მუშაკნი სულის შემხუთველის ერთფეროვანის ცხოვრებით აშომხვრჩალნი, მიილტვიან საგარაკოდ და უნდათ იქ ტანჯული და დაღლილი სული მოასვენონ, წმინდა ჰაერი ჩაყლაპონ; ისე მეც მინდა ჩემი სულიერი წყურვილი, უნიჭო მბლაჯნავთა სიმლაშით აღტყინებული, სიტყვიერების ნამდვილის ხუროთ-მოძღვარის ხელის-ხელ საგოგმანების ქმნილებით დავაშრტო. და რომ მთელს წარსულს წელს ჩვენს მშობლიურს ლიტერატურას არ აღმოუცენებია არავითარი არც დიდი და არც პატარა რამ ნიჭიერების ნიშან-წყლისა, მეტი ღონე არ არის, უნდა დავჯერდე ბ. ბაჩანას პოემას—დიაკონიანს, ამ პატარა ყვავილის კონასა. კარგია ყოფილიყო მდიდარი თაიგული, რომელსაც სუნნელებით აემსო მიდამო, მაგრამ ხომ გაგიგონიათ—სადაც არ იყოს, ცოტა კმარიყოსო. სადაც მთელს სიმშვენიერეს და მსოფლიო კაცობრიობის იდეის ვერ ვპოვებთ, იქ კერძო სიკეკლუცით და უსრულის აზრითაც

უნდა ვსტაბებოდეთ. ვგონებ ბაჩანას პოემაც არც ისე სუსტია, რომ მთლად სულ ეუბრუნოთ.

ყველამ ვიცით, რომ პირველი ნიშანი მგოსნისა, სიტყვიერების ხუროთ-მოძღვრისა, ეგრედ-წოდებულის ნიჟიერებისა არის მაღალი საკაცობრიობო იდეია, რომელსაც იგი თავის გონებაში გამოიხატავს, ხოლო მეორე—ჰარმონიულად, სასიამოვნოდ მისი სიტყვიერად განხორციელება. მგოსანი, შეპყრობილი რომლისამე მაღალის ზეშთაგონებულის აზრით, მაღალის გრძნობით, თითქოს სწუხს, იგვემება, მოსვენებას, სიამოვნებას ვერ ჰპოებს, სანამ არ ჰშობავს, არ შეახვევს სპეტაკსა და ბრწყინვალე სამოსელში, არ მისცემს სიცოცხლეს, არ შეასხამს ხორცს და სისხლს, არ განაცხოველებს, სულს არ ჩაუდგამს და ყველასთვის თვალსაჩინოდ არ გაჰხდის თავის ტკბილას ნაყოფს. მგოსანი თუ სიტყვიერების ხუროთ-მოძღვარი მუდამ იმის ცდაშია, რომ მისი ქმნილება სრული იყოს, არაფერში არ კოჭლობდეს, იყოს ჯეროვნად აკინძული და შეკონილი, როგორც ვარდის კონა, გამომტვერვა საუცხოვო სუნნელებისა;—ნამდვილი მგოსანი მუდამ ელტვის, რომ მისს ქმნილებას არ აჩნდეს კვალი ნახეალარას და ნაძალადევისა, თავით-ბოლომდის ჭეშმარიტ ბუნებრიობით. შეტყობილია, რომ ნიჟიერის კალმის ნაწარმოებში ყოველი სტრიქონი, სიტყვა და ხმაც კი თავიათ-თავისაა უნდა მოსჩქეფდეს, მომდინარეობდეს, თითქოს მგოსანს აქ მონაწილეობა არც კი მიუღიაო. კაცი სტკბება მხოლოდ მაშინ და იხიბლება მით, როცა ვერ ჰხედავს კვალს ძალადობისას, როცა მოქმედება მისდევს თანდათანობას, როცა ყოველი ნაწილი თავის ალაგას არის ჩაკერებული, როცა სურათი ოქროს ვარაყით არის მორთული და ჩარჩოში ჩასმული;—როცა მხატრობისათვის ნახმარია შეხამებული საღებავი, როცა სურათი ერთფეროვნობით, უბრალო აქა-იქ წოწიალით და აჩხირვით არ ღალატობს თვალთა-ხედვის სიამოვნებას. ნიჟიერების კიდევ ერთი დამახასიათებელი არის ის, რომ პატრონი მისი ჰხედავს

და ჰპოვებს აზრს და ბრწყინვალე მოვლენას იქ, სადაც ათასობით გაუვლია ხალხს და ვერ კი შეუმჩნევია, ვერ უგრძვნია სიამოვნება. აი პოეზიისა და პოეტის მოძღვრება, თუ დამეთანხმებით: მწერალი თუ ასრულებს ამას—პოეტია, არა და—არა.

რომ ვიხელმძღვანელოთ ყველა ამით, რაცა ვსთქვით და ისე შევეხნეთ ბ. ბაჩანას პოემას—**დაკვნიანს**, ცხადად დავინახავთ, რომ ავტორს გამოუსახავს თვის გონებაში მაღალი ჰიდეია,—მისს სულის წყვდიადში შეუშუქებია ელექტრონულს სხივს, პოეტი განუმსჭვალავს დიადს აზრს და აუმღერებია:

„კაცი იშობის ერთს დღესა
და ისევ ერთს დღეს კვდებაო,
კარგი ჭაბუკი სიკვდილსა
არროს არ შეუდრკებაო“.

თანახმად ბუნებითის მოთხოვნილებისა, პოეტი არ შეჩერებულა აქ, ის წასულა თავის იდეიის ანუ **ფკვიას** შესაფერის სამოსის მოსაპოებლად და კიდეც შეუძენია უძვირფასესი ოქროქსოვილი ხალხის გადმოცემაში **ილალოზედ**. აშკარაა, პოეტმა დაიცვა ორივე ღირსება სიტყვიერების ხუროთ-მოძღვრისა, შეჰქმნა ბრწყინვალე იდეა და შთააცო მას ბისონი. თუ გვინდა, რომ ვიცოდეთ ვის მოახვია ავტორმა თავისი დედ-აზრი, ურიგო არ იქნება მოკლედ მოვუთხროთ მკითხველს, ვინ იყო ილალო და რა ჰქმნა: ილალო სოფლელი ვაჟკაცია, ახლად ჯვარ-დაწერილი, ცოლი მოჰყავს სამშობლოდამ სახლში, გზა უდევს ალაზნის ბარდიანს ჭალაზედ, სადაც ბუდობენ დიდოელნი ტყვეების დასატაცებლად. ამინდი მეტად ცუდია და გზა უვალი. ცოლი უსაყვედურებს უეამოდ წამოყვანაზედ, თითქოს წინადვე გრძნობს ხიფათსა. ილალო ანუგეშებს თავის კარგუსელას, უღვთოთ არა იქნება რაო:

„ნუ სწოწიალობ ფიქრითა,
ნუ მარაგდება თვალები.

თავი დავლუპო, ან შენა,
წამოგიყვანე იმითა?
ბაღი მაქვს ხუროს ნაგები
და ლალ-გვრიტისა თაღები,
უჩემოდ ვერვის მიართვეს
იმის ჭისკარის საღები“...

თუმც ეს ასეა, მაგრამ დარიკოს გულის თქმა მაინც მართლდება და შეეხეჩებიან ექვს ლეკსა, რომლებიც მიყუჩულან ხის ძირას და მსხვერპლს ელიან. ცხადია აქ რაც უნდა მოხდეს და ილალოს ფრანგულმა მაშინვე ამოისტვინა. ბელადი და ილო ერთმანერთს შეემართნენ ხლმებით, დაზომეს ერთ-ურთი. ამ დროს მეშვიდე ლეკიც გამოჩნდა, ჩამოაგდო მორიგება და საქმე ამ ხელად უსისხლოდ გაათავა. ილოს მოსთხოვეს ოცდა ათათი თუმანი და ილომაც გულზედ პირჯვარი დაისახა, რომ სახლობას მიაცილებს სამშობლოში და ისევ დაუბრუნდებათ დროზედ. ილო თავისუფალია, ცოლი მიიყვანა უკან სამშობლოში, ვახშამიც მშვიდათ იგემა, ზედ ძილის პირიც წარმოსთქვა თავის სიმამრთან ერთად. შემდეგ გავიდა საწოლ ოთახში, დააძინა თავისი დარიკო, აისხა იარაღი, შეევედრა ღმერთს „ხსნილიყო საფრთხისაგან, რომ კაცის სისხლში არ გარეულიყო“ და ახლა დაალხეინებული, რომ ზეცამ უსმინა ვედრება, დაეხარა ქალს ნელა, მოჰპარა მძინარეს უკანასკნელად ტუჩებიდამ კოცნა და გაეშურა ბედის წერისკენ. გათენდა დილა, ამოვიდა მზე, ილოც მოვიდა ადგილს, მოთარეშენიც მარჯვედ დაუხვდნენ პირებ დაბანილნი და ნამაზ ნაქნარნი. ილალოს მოსთხოვეს სანუკარი და რომ ვერ ნახეს, საქმე გამწვავდა. ილალო მიიპატიჟეს დალისტანში, სთხოვეს იარაღის აყრა, მაგრამ ილალომ უპასუხა:

„მე აქ არ მოველ მადაო,
რომ მე თქვენთვის თავი დემევსა,
გამოგყოლოდით ყმადაო“.

მაშინ ხმალზედ მიდგა საქმე და ილალოს რჩევა, ცალო-

ბით გამეეჩინათ ვაჟკაცობა, მოიწონეს და თითოობით შეეზახ-ნენ. ხმალი ილოსი მეტად მარჯვედ ტრიალებს, პირველს აცვითა ფრანგული და ფეხები ამოაქნევინა, მეორეს შემოჰკრა და თავი გააგდებინა, მესამეს მოუსო და დიფჩასავით წააღებინა. ეს რომ ნახეს, აირივნენ, ყველანი ერთბაშად მისცვივ-დნენ, დაახალეს დამბაჩები, გაახვიეს ბოლში და დააფარეს ხლმები. აიკრიბა ბოლი და გამოჩნდა კიდევ ხუთი მკვდარი, რომელთა შორისაც იყო ილალოც ტყვიით გულ-გახვრეტი-ლი და ხლმით დაკოდილი. მოქმედება გათავდა. ილალო შე-საფერისად დაასაფლავეს. მისმა მემცხედრე დარიკომ არ ულა-ლატა სიკვდილამდის თავის კარგს ქმარსა: როგორც „ხე ხმე-ლი, თუმც შეიძლება ბევრჯელაც დანამულიყოს, სინედლეს ველარ მოეგო“; იგი თუმცა უძეო იყო, მაგრამ მაინც არ და-სტოვა ქმრის ქოხი და არ გაუქრო სანთელი.

როგორც ჰხედავ, მკითხველო, პოეტს საუკეთესო წარ-მომადგენელისთვის წაუვლია ხელი თავის იდეის განსახორ-ციელებლად. გმირი ილალო თავით-ბოლომდის წამებულია აზრისთვის: „კარგი ჭაბუკი სიკვდილსა არროდის შეუდრკე-ბაო“. პოემის გმირი ერთს წამსაც არ ჰღალატობს ვაჟკაცის მოვალეობას, მისი მოქმედება არსად არ ეწინააღმდეგება ლო-ლიკის და ბუნების კანონებს. ილალო სრული ხასიათია. სჯუ-ლი, ზნეობა და გონება შემტკიცებული აქვს, თანაბრად მო-ქმედებენ; იგი სისხლ-ხორცია თანამედროვე ცხოვრებისა, ერთ წამსაც არ ფერხდება, არ ჰღალატობს დროის მოთხოვნილე-ბას, მამულის და სჯულის ზვარაკად შეწირვას უბრალო შემ-თხვევაშიაც. ეჭვს წუთსაც არ ეძლევა, რომელი გასწიროს უნუგეშოდ—სამშობლო თუ კარგუსელა. ამგვარადვე შემოქ-მედებითის ნიჭით არის მეორე პირიც პოემისა დარიკო და-სურათხატებული. თუ ილალო სჯულისა და მამულის ფანა-ტიკოსია, დარო ლეჩაქისა, ცოლ-ქრმობისა; იგი აროდეს

ოჯახს არ შეურცხვენს, საწოლს არ შეუგინებს ლეშის მოსაკვდინებლად. თუ ილიკო

იტყვის: „ბალი მაქვს ხუროს
ნაგები და ლალ-ბივრიტის თაღები,
უჩემოდ ვერვის მიართვეს
იმის ჭის-კარის საღები“...
დარიკოც ხომ გამოეპასუხება:
„მე შენთვის მოვჰკვდე ის მიჯობს,
არ იყოს შენის თქმისაო,
განა თუ მქვიან სიცოცხლე
და ცოლი კარგის ქრმისაო!“.

ფინალი ხომ საუცხოოა, როდესაც მძიმედ დათალხული დარიკო გამოჩნდება ხელში წითელის კვერცხით და თავის ილალოს ულოცავს: „ქრისტე აღდგაო“, ილიკო! და ილიკოც შემოსძახებს, „ჭეშმარიტათო“—დარიკო!

პოეტს არც შემოქმედებითი ნიჭი აკლია აქ. იგი თანაბრად მშვენივრად ასურათხატებს ბუნებას და გმირებსაც. ამის მაგალითები მრავლად არის გაბნეული პოემაში.

საკმარისია ვსთქვათ, რომ ზოგიერთი ადგილი ისეთის სინაზით, სინამდვილით და ხელოვნებით არის დაფერადებული, რომ მათ ქვეშ პირველ ხარისხოვანი პოეტიც არ ითაკილებდა ხელის მოწერას. აიღეთ თუნდ ის ადგილი, სადაც სულთ-მობრძოლი ილალო ეაჯება:

„რომ ეგ ბრმა ძმები ჩვენები სამარეს მიაბარეთო,
თოფ-იარაღიც თავისი ყველას თან ჩაატანეთო“.

ვერ ვიტყვით, რომ ბ. ბაჩანას პოემა სულ უნაკლულო იყოს. არა. სუსტი მხარეებიც აქვს და ბევრიც პირველი ის, რომ ზოგი რამ ძალად მიკოსებულია, შეჩხირულია პოემაში, ესენი ისე ასხედან პოემას, როგორც ხორცმეტები; იგინი არამც თუ ჰშველიან რასმე ანუ გზას უკვლევენ მკითხველს და სიამოვნებას ჰგვრიან, პირიქით უფრო უბნელებენ,

მსვლელობას აჭიანურებენ, მოქმედებას აჩერებენ, შთაბეჭდილებას ასუსტებენ, უსიამოვნებას აგრძნობინებენ, ერთი სიტყვით, ქმნილებას ადუხჭირებენ. ამ გვარია სწორედ უადგილოდ და უაზროდ მიკოსება მეფის ირაკლის ღვაწლის დაუფასებლობა თანამედროვეთაგან. არ ვიცი ავტორს რად დასჭირდა ირაკლი მეფის საფლავის შერყევა. რა შეჰმატა პოემას, რა შუქი მოჰფინა იდეიას?.. ამგვარივეა უთავბოლო გოდება:

„რა ვუთხრა კიდევ იმ კაცსა,
სულელს და ბატის ტვინასა,
ვინც სივრცის საზღვარს ვერ ჰპოვებს,
სხვასაც ბევრს ამისთანასა
და ჰბეჭობს, ჰბეჭობს მაინც ღვთის ნების
საკვირველს გამოცანასა“.

ხომ უადგილოა ეს გოდება, მაგრამ რომ არ მრცხვენოდეს, უაზრობაც არის. რა არის ეს „საკრცის საზღვარა“, რომლის არ მპოვი ბატის ტვინა და სულელია? განა ბევრმა იპოვა ეს საკრცის საზღვარა? ხომ მაშინ ყველანი ბატის ტვინანი ვიქნებით! სხვაც მოეპოვება პოემას ამ გვარი ადგილები, მაგრამ საჭირო არ არის მათი ჩამოთვლა. ვიტყვით კიდევ, რომ ამ მუზურადებს დანა უნდა მოესოს და მაშინ პოემა შნოს და ლაზათს მოიმატებს; მოქმედება გაცხოველდება და საამოც შეიქმნება. პოემა მართალია შემოკლდება, მაგრამ სიგძეში რა ყრია. ეს მით უმეტეს საჭიროა, რომ პოემას სხვაგვარი ნაკლულევანებაც თავს დასტრიალებს. თვით ლექსის მიმოხვრა, სიტყვების ტრიალი, მიდრეკ-მოდრეკა ბევრგან კანონიერი არ არის, ქართულის ენის ბუნებას ჰღალატობს, ნაძალადევია. ზოგი ტაეპი ცარიელი უშინაარსო ლექსების გუდაა, სიტყვების რახა-რუხი; ზოგგან აზრების ერთმანერთის წინააღმდეგობა და განმეორება ტრიალებს; ბევრი სიტყვები მარტო ლექსის გამოსაწყობათაა მოტანილი და არა აზრის გამოსახატავად. სტრიქონები: „მალ-მალ-ბიბინებს ულრანი“ არ

ვარგა. ბიბინებს მალმალ მინდორი, ულრანი კი მაღალს გაუ-ტეხელს ტყეს ჰქვიან. ამგვარს ტყეზედ არც იტყვიან „მალმალ ბიბინებსო“ და არც უხდება. ის უფრო შრიალებს, ღმუის, ყმუის და სხ. ისიც სიმართლეს მოკლებულია, როცა პოეტი ამბობს, რომ იმ ჭალაში, რომელზედაც ილიკოს გზა გადიოდა, „დიოდა ჯოგი ირმისა და ბოლიქები მშვლებისათ და იქვე ძირს ხტება და ჭყივის ხოხობი, მიმოჰქრის თამაშობითო“. ძნელად თუ ოდესმე ალაზნის ღიჭიანს და ბარდიანს ჭალებში ირმის ჯოგები დაიარებოდნენ. როგორც ხოხობი მთაში ვერ იბუდებს, ქორი დაანელებას ისე ირემი ქაცვისა და ძეძვის ჭალებში მგლები თუ არა, ტურები დასჭამენ. ამისთვისაც არის ლექსი: ირემო მთასა მყვირალო, რამ ჩამოგაგდო ბარადაო (თუ სიკვდილი არ მოგწყურებიაო), მეუღლე ჩემი მომიკლეს, დავეხეტები ცალადაო (აღარა მასიამოვნებსრაო). აგრეთვე ანახრონიზმია, როცა პოეტი თავის ამბავს უკავშირებს მეფე ირაკლის დროს. არა, იმ დროს ლეკები ალაგმულები იყვნენ და ისე ტურებივით ვერ დაძვრებოდნენ შუაგულ კახეთში. ეგ დარი შემდეგ დაუდგათ. სიტყვები ცხენიანაცა, კაბიანაცა, სამოთხემურა, გამოხედულა, ვერ არის კარგი ქართული, ნატანჯი სიტყვებია რითმის გამოსაყვანად. ლექსი: „რა ცუდი დილა გათენდა, რა ფინთი იქმნა მწვადეული, თითქოს წვიმა და ავდარი ჩვენთვია შემოწყეული“ ვერ არის სწორედ აზრის გამომხატავი. სიტყვა მწვადეული,— უჩვენებს დილის ან ამინდის დამწყვდევას და არა მგზავრებისას, უნდა ეთქო მომწყვდევი, დამამწყვდევი, მაგრამ მა'შინ დააკლდებოდა ხმა „ული“ და რიფმა აღარ გამოვიდოდა. აი რისთვის გასტანჯა სიტყვა.

მაინც ავტორის სასარგებლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ უჯერო და ყალბი ტაეპები სჭარბობს დასაწყისში, შემდეგ, როცა მგოსანი შედის ეშხში, ლექსი სწორდება, აზროვნება თავს იჩენს, პოეზია გზას იკვლევს. მე ვგონებ ეს ბუნების ნაკლი არ არის, აჩქარების შედეგია, ეტყობა ავტორს თავის-

თავის იმედი მეტი ჰქონია. ამ შემთხვევაში ურიგო არ იქნებოდა, მიებაძნა ჟანჟაკ რუსოსთვის, რომელიც ასჯერ შეასწორებდა თავის ხელნაწერს, სანამ გამოიტანდა საჯაროდ და მაინც გენიოსის სახელს ატარებდა. ბ. ბაჩანა თუ არ გამიწყრება, მიმბაძველობასაც ვერ არის აცილებული; მისი პოეზია უწვრთნელია და უფრო გაკვალულს გზას ელტვის; ეს გზა რაფაელის გზაა. თვით სახელი დიაკვნიანი თუ არ მიბაძვა, სხვაფრივ ფუჭია. აქ სადიაკვნო რა არის, გარდა იმისა, რომ ილალო დიაკვნის შვილია და სოლომონ მღვდლის სიძე? ბევრად ემჯობინებოდა პოემისთვის ეწოდებინა „დიაკვნის ქვა", როგორც ეს ჰყავს ხალხს თავის მეხსიერებაში მონათლული და როგორც უწოდს იმ დაყუდებულს ქვას, სადაც ეს უბედურება მოხდა.

მე გავათავე და თქვენც ვგონებ თავი შეგაწყინეთ. ეხლა ისა ვსთქოთ, რაღა დაგვრჩა? დაგვრჩა ის, რომ ბ. ბაჩანაში და მისს პოეზიაში ღვივის ისეთივე ცეცხლი, როგორიც ვაჟას გულში; იმ გარჩევით, რომ ერთში პრიალებს და გუგუნებს, მეორეში დაკრძალულია სიწმიდით, ერთი მოსჩქეფს არაგვის ტალღებით და ღრიალებს, მეორე წყნარად და კამკამად მორაკრაკებს კაწალხევად (წყალია) და ორივენი ერთმანერთს შეამსებენ და შეამკობენ. ერთი სიტყვით, ბაჩანა არის ძმა ვაჟასი. აიღეთ ორთავეს უკანასკნელნი ლექსნი, შეადარეთ ერთმანეთს და მაშინ მითხარით, ვსტყუი თუ მართალს ვამბობ.

ხატიაშვილი.

ისტორია

ქართველ კათოლიკეთა

და

მამა თამარაშვილი.

ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველო რომის პაპებს ადრიდგანვე დაუახლოვდა, ქართველ მეფეთა და მთავართა მიწერ-მოწერა პაპებთან ადრიდგანვე გაიმართა. ამის დასაწყისი თითქმის პირველი საუკუნოებიდამ იწყება. XIII საუკუნის შემდეგიდამ კი არ გასულა წელიწადი, თვე და კვირა, რომ რომის პაპს, კარდინალებს და მათს „კონგრეგაციას“ საქართველოდამ რამე ცნობა არ წასვლოდესთ. ყოველი პატრი, ყოველი ძმობის წევრი მოწამე იყო საქართველოს მწარე ამბების და მასთანვე საუკეთესო მატიანე ჩვენის წარსულისა. მათ გაავსეს ვატიკანი ცნობებით საქართველოს შესახებ. მათის მეოხებით საქართველოს აქცევდნენ ყურადღებას არა მარტო საქართველოში მყოფი მოძღვარნი, არამედ საქართველოს გარეშე—სპარსეთს, ოსმალეთს და ევროპას ყოფილი მოძღვარნიც. XV საუკუნის შემდეგიდამ საქართველოს შინაგან ყოფა-ცხოვრების შესახებ იმდენს საჭირო ცნობებს თვით ქართველი მემატიანენი არ იძლევიან, რამდენსაც ლათინის ბერები. საკმაოა დავასახელოთ ლამბერტი, რომლის სიმპატიური შრომა სამეგრელოს შესახებ ქართულადაც დაიბეჭდა ზამპი, მოგზაური დელა ვალე, შარდენი და რამდენი კიდევ სხვანი. ყველა ამას ცხადათ ასაბუთებს მ. თამარაშვილის

შრომა „ისტორია კათოლიკობისა საქართველოში“, დაბეჭდილი ქ. თბილისს შარშან, სადაც მოყვანილია აუარებელი ძვირფასი ცნობები ჩვენის ძველის ცხოვრების შესახებ.

ჩვენ წინათაც ვიცოდით, რომ ვატიკანის წიგნთ-საცავში ასეთი მასალები მრავლად იყო დაშთენილი, ვიცოდით, რომ ამ მასალების პოვნა და გამოქვეყნება საქართველოს ერისთვის დიდს საჭიროებას შეადგენდა, მაგრამ საიდამ და რითი, ვისის საშუალებით უნდა მოგვეხერხებინა ეს, როდესაც საჭირო მასალები ჩვენ თვით საქართველოშიაც ვერ მოგვიგროვებია და აბა რომში ვინ წავიდოდა და ან რით? სხვა არა იყოს-რა ენების უცოდინარობა გაგვიძნელებდა საქმეს. ერთი სიტყვით, წინ დიდი დამაბრკოლებელი მიზეზები დაგვიხვდებოდა.

მოკლედ უნდა ითქვას, რომ ჩვენ ვერა ღონისძიებით ვერ მოვახერხებდით ამ ძნელი საქმის შესრულებას. ამის საჭიროებას ყველა კარგად გრძნობდა, ნამეტურ დ. ბაქრაძე. ეს რომ მოსწრებოდა მამა თამარაშვილის შრომას, იგი წელშიაც გაიშლებოდა და გულშიაც საიმედოს ცნობებით აღივსებოდა.

აი, ასეთის დიდის საქმის შესრულებას ხელი მოჰკიდა პატრმა მიხეილ თამარაშვილმა. მ. თამარაშვილი ქართველი კათოლიკე გახლავსთ, ახალციხელი, სწავლა რომის პროპაგონდოში დაამთავრა. იცის თითქმის ევროპიელთ ყველა ენები და მასთან აზიური ენებიც. იგი არის ღრმად მოსავი კათოლიკე და მასთან უწარჩინებულესი მამულისშვილი თავის ქვეყნისა. ეს 20 წელიწადი მეტი იქნება, რაც იგი რომში დასახლდა, პაპის წინაშე მოიპოვა დიდი პატივისცემა, უკანასკნელ ვატიკანის სამკითხველოში მეცადინეობაც დაიწყო და მასალების შეკრება და მათს ქართულად თარგმნას შეუდგა. რამდენიმე წლის განმავალობაში ეს მოძღვარი გულს-მოდგინეთ შრომობდა, კითხულობდა ძველს წიგნებს, იტანდა იქ დიდს მოთმინებას, შრომას და, უკანასკნელ, მიაღწია თავის

საწადელს, დასძლია ისეთ საქმეს, რაც სხვებისაგან მისი დაძლევა ყოვლად შეუძლებელი იქმნებოდა.

მ. თამარაშვილის შრომამ ჩვენ ცხადათ გვამცნო, რომ ქართველ კაცსაც აქვს შრომის ნიჭი და შნო მეცადინეობისა. ამას ცხადათ გვიმტკიცებს მისი შრომა „ქართველთ კათოლიკეთ ისტორია". იგი დიდ საუნჯეთ, დიდ განძათ უნდა ჩაითვალოს ჩვენს მწიგნობრობის ასპარეზზედ. იგი არის ჩვენი მეორე „ქართლის ცხოვრება", დაუფასებელი შრომა, მეტად დიდი ფასის მასალა განვლილ დროთა. მართლაცა და ასეთი ვრცელი შრომის გამოქვეყნება ჩვენში კი არა და ევროპაშიაც სასახელოდ ჩაითვლება. ადვილი საქმე კი არ არის, რომ ჩვენს უმადურს ქართველებში, ვინმემ ასეთ საგვარტომო საქმეს მოჰკიდოს ხელი და გააკეთოს. ამას ჩვენ თამამად ვიტყვით, რადგანაც კარგად ვიცით, რომ მ. თამარაშვილი ვატიკანის არქივებში დღესაც მეცადინეობს და მას მეტათ დიდი ძალი მასალები და საჭირო ცნობებიც შეუკრებია. ეს ახალი მისი ნამუშაკევიც ვეება წიგნი გამოვა თურმე, რომელშიაც მოთავსებული იქნება კერძოთ პოლიტიკური ნაწილის შესახები წერილები, როგორც რომის პაპების, ისევე ქართველთ მეფეების, რომლებიც მათ ერთმანერთისათვის უწერიათ საქართველოს შესახებ. ცხადი საქმეა, რომ ესეც ძვირფასი მასალა იქმნება ჩვენის ისტორიისა და ტომისათვის.

ყველა ესეთი შრომანი ცხადათ მოწმობენ, რომ მამა მ. თამარაშვილი უნდა იყოს არა მარტო წმინდა კათოლიკე, არამედ გულ-შემატკივარი ქართველი, უდიდესი მამულიშვილი თავის ქვეყნისა. ჩვენში ასეთი სამაგალითო გვამნი საშწუხაროდ ერთობ მცირე არის და საქმე კი ბევრია გასაკეთებელი. მ. თამარაშვილის შრომით ქართულს ისტორიას ბევრი ბრწყინვალე ნათელი მოეფინება. თვით ქართველებზედ აქამდის მრავალნი იმ აზრის იყვნენ, რომ საქართველოს ერის და მეფეების ხსენება ევროპის ერთა სულ არ იცოდნენო. ეხლა კი სჩნდება ცხადათ, რომ ძველადგანვე ევროპი-

ელთაც კარგად სცნობიათ ჩვენი მეფეები და ჩვენს ერსა და მეფეებსაც კაი წარმოდგენა ჰქონიათ მათზედ და ყველა ამაების შუამავალნი და ელჩებათაც ყოველთვის კათოლიკის თითქმის ყველა ორდენის მამანი ყოფილან.

ჩვენ სრული მოიმედენი ვართ, რომ მ. თამარაშვილი ჩვენს ისტორიას კიდევ ბევრს ძვირფას მასალებს შესძღვნის, იგი ბევრს ბნელს მხარეს გაანათებს, ბევრი მივიწყებული მხარე განახლდება და ჩაიდგავს სულს, ბევრი უცხო ცნობა გამოქვეყნდება. თვით მ. თამარაშვილსაც მთელი თავის შრომა, სიცოცხლე და ცხოვრებაც მხოლოდ ამის მსხვერპლად მიაჩნია. იგი ჯერეთ ახალგაზრდა მოძღვარია, გულით და სულით მაგარი, ჯან-გაუტეხავი და მაგალითი მრავლთა. თამამად ვიტყვით, რომ მომავალში მ. თამარაშვილი თავის დაუცხრომელის შრომით ქართველთა ალიშანი იქმნება, როგორც ალიშანი სომეხთათვის გახლდათ ვენეციის მხითარისტების კონგრეგაციაში, ისევე მ. თამარაშვილი გახლდებათ ქართველთა სასარგებლოთ რომში. იმის ცხადი საბუთიც გვაქვს, რომ მ. თამარაშვილი მარტოდ ისტორიულ ასპარეზზედ არ შეჩერდება. თუმცა იგი ბედმა რომში გადასტყორცნა, მაგრამ ეს მისი გადატყორცნა არ იყო უმნიშვნელო, მან დიდი ნაყოფი გამოიღო. მართალია დღეს, მ. მ. თამარაშვილი რომშია, მაგრამ სულით და გულით აქ არის, აქეთ უჭირავს თვალი და გული, მისი სული ყოველთვის სამშობლოს დასტრიალებს გარს. მე მათი პირადი ცნობა არ მაქვს და წერილების წერა და ჩვენს ისტორიაზედ საუბარი კი ადრიდგანვე გვაქვს დაწყობილი ერთმანერთში ყოველი მისი წერილი ნათელის სხივებით ბრწყინავს, ყოველ წერილს აქვს თავისებური, დიდი მამულისშვილური ღრმად ჩაბეჭდილი მნიშვნელობა. მ. თამარაშვილი ყოველთვის იქმნება ჭეშმარიტი მოსარჩლე, ჭეშმმრიტი მქადაგებელი, საქართველოს ერის საქმეების ჭეშმარიტებით პატივის-მცემელი, იგი ამ ჭეშმარიტებისათვის არც არავის შეუშინდება. მ. მიხეილ თამარაშვილის

მნახველთ მიამბეს, რომ მას დიდი სიყვარული და მიმართვა აქვს თვის სამშობლოსკენო. თვით ალ. ხახანაშვილმაც კი აღტაცებით გადმომცა შემდეგი: „მე პირველად ვხედავ ასეთ შრომის მოყვარე ქართველ კაცსა, რომელმაც ასეთს შრომასთან და ცდასთან ევრიპის ამდენი ენებიც იცოდესო“.

პირველ-დაწყებითი სწავლა მ. თამარაშვილმა ახალციხეში მიიღო, კათოლიკე მღვდლებთან, შემდგომ იგი სწავლობდა ახალციხის სამოქალაქო სკოლაში. როგორცა სჩანს, ახალციხის სკოლაში მ. თამარაშვილისთვის ქართული ენა საფუძვლიანათ ვერ უსწავლებიათ. იგი მწერს: — „შესახებ ჩემის ქართულის ნაკლებად ცოდნისა, გთხოვთ მომიტევოთ, რადგანაც საქართველოდამ ჩემი 10 წლის განშორებამ და მერე კიდევ რვა წლის შორს ყოფნამ ბევრი რამ დამავიწყა ქართულის და ესეც უნდა მოგახსენო, რომ ბევრი არაფერი ვიცოდი ქართულისა, რადგან ჩვენს ახალციხის სკოლაში ანბანის მეტი არასფერი მისწავლია“.

საქართველოში ყოფნის და სწავლის შემდეგ 1879 წ. მ. თამარაშვილი რომში წასულა იქაურს კათოლიკეთა სასწავლებელში სასწავლებლად, იქ დარჩენილა 1887 წლამდე და სამღვდელ-მოქმედო და საერო საგნები უსწავლია, უკანასკნელ, მღვდლათაც კურთხეულა და შემდგომ ამის საქართველოში დაბრუნებულა, რადგან თავის სამშობლოში ყოფნა და სამსახური ჰსურვებია. 1888 წ. იგი ტფილისში ჩამოსულა, იმ დროის საქართველოს კათოლიკეთა ეკკლესიის უფროს ვიზიტატორ პრელატ არლოვსკისთან და ნებართვა უთხოვნია მღვდელ-მოქმედების შესრულებისა ტფილისში, მაგრამ ქართველ ჯამიებისა და სომეხ კათოლიკეთა წყალობით უარი მიუღია. ამაზედ თვით მ. თამარაშვილი აი რასა მწერს:

„ამ ჩემს განდევნაში არც სომხები არიან უმანკო, რაც დმერთმა ყველას აჩუქოს“.

არლოვსკი ისე გადაჰკიდებია, რომ ტფილისში ყოფნაც კი აღუკრძალავს და გაუდევნია ახალციხეს, რომ ამას ეკკლესიებში არსად ეწირა, ხმა არ ამოეღო. უკანასკნელ, მ. თამა-

რაშვილს გადუწყვეტია საქართველოდამ რომში გამგზავრება და იქ დაშთენა, სწავლა, შრომა და სამსახური.

რომში საქართველოდამ მისული მ. თამარაშვილი კვალად შესულა იქაურს სასულიერო უმაღლეს სასწავლებელში და როგორც სწერდა ბ. ალ. ხახანაშვილი, მ. თამარაშვილს ამ სასულიერო უმაღლეს სასწავლებელში კარგის პატივით, ქებით და ღვთის-მეტყველობის ხარისხით კანდიდატობით დაუმთავრებია სწავლა და დღემდე იგი სებისტიანისკენ ერთს კათოლიკეთ ეკკლესიაში მსახურებს იქ. იქაურ მღვდელთა საქმე არა ჰგავს ჩვენ-ურ მღვდელთა საქმეს. კათოლიკეთ სასულიერონი უფრო შენიშნულნი არიან სათნოს ცხოვრებით, კაცად-კაცობით და მრევლის წინაშე ნამდვილ მამობით. ეს არის მათი დევიზი. კათოლიკის მღვდელი თავის მრევლის მღვდელიც არის, მასწავლებელიც, ვექილიც, მკურნალიც და პატრონიც ყოველ საქმეში.

მ. მიხეილ თამარაშვილმა რომში ყოფნა კარგად გამოიყენა, საერო და საღვთისმეტყველო საგნებს გარდა კარგად შეისწავლა ენები: იტალიური, ლათინური, ფრანგული, ქართული ხომ იცის, მცირედ სომხური, თათრული და მასთან რუსულიც შესაფერად. ევროპიული ენები ისე აქვს შესწავლილი, რომ მას თავისუფლად შეუძლიან ამ ენებზედ წერა-ლოცვა აასრულოს, იქადაგოს და სწეროს, ნამეტურ საყურადღებოა მისი ცოდნა და გარჩევა ძველი ლათინურის და იტალიურის გაურკვეველის ხელისა, რასაც ის თურმე ძრიელ ადვილათ არჩევს ისე, რომ კაცი განცვიფრდება. ერთმა საპატიო ქართველმა, რომელსაც მ. თამარაშვილი ენახა რომში და მისი საქმეები, მიამბო, რომ მ. თამარაშვილის შრომამ გამაკვირვა მეო. წარმოიდგინეთ, მას ისეთი ძველი რაღაც ლათინურად, იტალიურად და ფრანგულათ ნაწერები გაურჩევია, რომ მის გაგებას ეშმაკიც ვერ მოახერხებსო.

რომში დარჩენილს მ. თამარაშვილს დიდათ ეთანაღრე-

ბოდა გული ქართველ კათოლიკობის უარყოფაზედ და ამიტომ მან ამაზედ შრომაც დაიწყო, მასალების კრება. კათოლიკობის ცნობების ძიებამ მას თვალწინ გადუშალა ყველა ის ძვირფასი მასალები და ქართველ მეფეთა და მღვდელთმთავართა მიწერ-მოწერანი, რაც კი საქართველოდგან ადრიდგანვე იგზავნებოდა რომის პაპების, კარდინალების და ხელმწიფეების წინაშე. მან დაიწყო ქართველ კათოლიკობაზედ ცნობების შეკრება და 1893 წ. პარიჟის ერთს ფრანგულ გაზეთის სამს ნომერში დასტამბა წერილი: ქართველ კათოლიკობაზედ. მის შემდეგ ამ გაზეთსა და სხვა გაზეთებშიაც მ. თამარაშვილს ხშირად უწერია სხვადასხვა წერილები საქართველოს შესახებ. უწერია როგორც ფრანგულად, ისევე იტალიურად. რამდენიმე წერილი მეც გამომიგზავნა. საზოგადოთ მ. თამარაშვილი ქართველ გვარის სასარგებლოდ ევროპიულს გაზეთებში ხშირად სტამბავს წერილებს. ბ. ალ. ხახანაშვილი სწერდა, რომ მ. თამარაშვილის შრომამ მე ცხადლივ დამიმტკიცა ის უტყუარი ჭეშმარიტება, რომ ქართველ კაცსაც შესძლებია ვრცელი თხუზულების წერაო.

ვიმეორებთ, რომ ქართულის ისტორიულის მწერლობის ასპარეზზედ მ. თამარაშვილის შრომა ფრიად შესანიშნავია. გვითქვამს და კვლავაც ვიტყვით, რომ მ. თამარაშვილის შრომის გარეთ შეუძლებელია საქართველოს ისტორიის დაწერა... ეს ჩვენ ბევრჯელ გვითქვამს და დიახაც მეტად დიდი შრომა და ასპარეზი უძევს მ. თამარაშვილს წინ, მას დიდი დაუფასებელი სიკეთის მოტანა შეუძლიან ჩვენის ისტორიის წინაშე, დიდის ვალის შესრულება და გადახდა წინაშე სამშობლო ერისა და ისტორიისა, ხოლო ჩვენგანაც პატივსაცემია და ყურადღების მისაპყრობი. სამწუხაროდ ქართველებში ასეთ კაცთა შრომაც ისევე შთება დროებით, როგორც ადრე ერთის და ორის ქართველთ მშრომლების დაშთენილა. მადლობა ღმერთს, რომ ჩვენს ერსა და ქვეყანას მანანასავეს მოევლინა ერთი ქველი მამულის შვილი, რომელმაც მ. თამარაშვილის

პატივსადებ შრომას ჯეროვანი ყურადღება მიაქცია და გარდა იმისა, რომ მ. თამარაშვილს შესაფერი დახმარება გაუგზავნა, თვით მის შრომის დაბეჭდვისთვისაც 1000 მანეთზე მეტი დახარჯა.

ჭეშმარიტად, ქართველებს რომ მრავლად ჰყვანდეს ასეთი მეცენატები, მაშინ ჩვენს საზოგადო თანამშრომელთ რაღა გაუჭირდებოდათ, ბევრი გამხნევდებოდა შრომის დროს, ბევრი გამაგრდებოდა წელში და მით თავის ერსა და მწერლობასაც ერთი ათად მოუტანდა სარგებლობას, მაგრამ საუბედუროდ ასეთი კაცები ჩვენ ერთობ ცოტა გვყავს და მიტომაც არის, რომ ყოველს ჩვენს მოღვაწეს გული აქვს წამხდარი. რამდენ მშრომელს ამოუშრა პირში ნერწყვი, რამდენი გაიჭიმა უსახსროდ, რამდენი გამოესალმა და გამოესალმება უდროვოთ მზესა და მთვარეს, ამას რიცხვი არ ექმნება, რადგანაც ჩვენ ქართველნი სამაგალითო ქველ-მომქმედებით ერთობ ღარიბნი ვართ. ასეთ პირთა გარეშე თვით დრო-გამოცემითი მწერლობასაც კი რომ მივაქციოთ ყურადღება, იქაც კი ამასვე დავინახავთ, რომ ყოველს ასეთს გამოცემას სული კბილთ უჭირავს და რის ვაი ვაგლახით არსებობს. ამიტომ არის დიდი საქმე და ბედნიერება ერისათვის, სადაც შრომას მცოდნე დამფასებლები უჩნდებიან და მშრომელთ ახალისებენ. ასე და ამ გვარად წაახალისეს მ. თამარაშვილი მხოლოდ ერთმა თუ ორმა ქართველმა.

მ. თამარაშვილის შრომა ჩვენს მწიგნობრობაში არის უშესანიშნავესი შრომა, თვალთ-საჩინო, სადაც „ქართველის ცხოვრება“ იქმნება და სხვა მისთანა წიგნები, იქ არც ეს წიგნი ჩამორჩება უკან. ამიტომ ჩვენ სრულის სიამოვნებით და სიხარულით ვეგებებით მ. თამარაშვილის შრომას. მისი შრომის დაფასება დღეს ჩვენ არ შეგვიძლიან, ამის გადახდა მომავალში შეეძლება მხოლოდ ქართველ განათლებულს საზოგადოებას, რომელიც შეიგნებს მ. თამარაშვილის დაუფასებელი შრომის მნიშვნელობას. მოვალეა ყოველი ჩვენი გულშე-

მატკივარი, რომ ამ მოძღვრის შრომას თვალ-ყური ადევნოს, რადგანაც მის შრომაში საქართველოს შესახებ ბევრს ახალს, უცნობს და მეტად საინტერესო ცნობებს ამოიკითხავს. ცნობების უმეტესი ნაწილი თავთავის დროის ლათინის ბერებისაგან არის ნაწერი და იქიდამ მეტად კარგად სჩანს, თუ საქართველოს პოლიტიკურად უძლურება რა მიზეზებით და ვისის სწყალობით ევლინებოდა ხოლმე, კარგად სჩანს, თუ ჩვენი ქვეყანა რა მიზეზებით ეცემოდა და ემხობოდა. ვინც კი წაიკითხავს ამ შრომას, იგი ამაზედ ცხადათ დარწმუნდება, მას ამ ცნობებით გული და სული აუთრთოლდება, ბევრს გულის ასაძგერს ცნობას ნახავს, ბევრს უცნობს ვითარებას მიესალმება.

კითხულობ ამ ძვირფას შრომას, კითხულობ სხვადასხვა საუკუნეთა ლათინის მამებისაგან ნაწერს ცნობებს და ჰკვირობთ მასზედ, თუ ამდენ უბედურების გარეშე, ნეტა ეს ქვეყანა და ერი ან კი როგორ გადარჩა ამოდონა მოზღვაებულს მტრებს. ყოველი ცნობა, ყოველი სიტყვაც კი ამ ბერებისა თქვენს გულში სძრავენ ღრმა შთაბეჭდილებას, მწარე მგლოვიარობას ჩვენს ტომზედ, ჩვენს წარსულზედ, ჩვენს ბედშავს გარემოებასა და მდგომარეობაზედ. სწორედ საგლოველია ჩვენი წარსული, სავალალო და სატირელიც კი. გულით სწუხარ, სულით იტანჯები იმ დროს, როცა შენის სამშობლოს ასპარეზზედ ხედავ აუარებელს უძლურებას და იმავ დროს, შინათ გამცემთ, დამღუპავთ და ქვეყნის დამნაცრებელ ფარფარუჭობას. ასეთის სურათების ჭეშმარიტი თანმდებია მ. თამარაშვილის შრომა. ბევრი უცხო ცნობებია მოთავსებული აგრეთვე საქართველოს შინაურ საქმეების შესახებ. ვინც კი მოასწრო და გადაშინჯეს ეს შრომა, ყველანი აღტაცებულნი დაშთნენ. თვით ანტონ ფურცელაძე, რომელიც საუკეთესო მცოდნეთ ითვლება საქართველოს ერის მოსპობის დროის ანუ XVII საუკუნის, თვით ესეც კი აღტაცებულია ამ შრომით, მის მადლობას საზღვარი არ უძევს. ასეთისავე შეხედუ-

ლობის გახლავან ყველა ჩვენი წარჩინებული მწერლები და მოღვაწეები. ჰკვირობთ მასზედ, თუ ამოდენა დაგეშილ მუსულმანთა მტრობას როგორ გადარჩა საქართველოვ. ვკითხულობთ ამ შრომას და სხვათა შორის ერთ ალაგას ამის პასუხს გვაძლევს სიმონ მეფის წერილი, რომის პაპთან გაგზავნილი. აი რას სწერს სიმონ მეფე პაპს ერთს წერილში, ეს მხოლოდ წერილის ერთი ადგილია ამოღებული: „ჩემ თავს კავსწორავ ერთიანად და ეგრეთვე ჩემს ქორფა შვილებსა; დავდვრი ჩემს სისხლს, ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე, ვიდრე ბერში სული მიდგია და ხელს კი არ ავიღებ ოსმალებთან წინააღმდეგ და არც არაოდეს უქმად ვეოფ იმ დაუფასებელ სისხლს, რომელიც იესო ქრისტემ დადვარა ჩვენთვის“. აი, ასეთის გმირობით ოცნებობდნენ ქართველთ კეთილი ადამიანნი და ასე იცავდენ ჩვენს ქვეყანას მტრებისაგან. არ იფიქროთ, რომ ამ ჰაზრის მარტოდ სიმონ მეფე იყოს, ამ ჰაზრისავე იყო ყოველი კეთილი გლეხი, აზნაური, თავადი, მღვდელი და ბერი. ვინც უვარგისი იყო და წყეული, ქვეყნის გამსყიდავი და გაიცემი, იგი ქართველთ შორისაც იყო და სხვაგანაც. აი ეს გახლავთ ჩვენი ღირსება და სამკაული. მეორე მხარე, რომელმაც შეგვინახა ჩვენ აქამომდე და კვლავაც ამან უნდა შეგვინახოს, გაჰლდათ შემდეგი.

თუმც ნახევარი საქართველო გათათრდა, თუ ცა 300 ათასი მეტი სხვადასხვა დროს სპარსეთში იქმნენ ქართველნი გადასახლებულნი, თუმცა ჩვენს სამშობლოში ხშირად დიდს უბედურებაშიაც ვიყავით, მაგრამ მაინც ქართველი კაცის გული და სული საქართველოს ნიადაგზედ ისე იყო მიბმული და მიჯაჭვული, რომ იგი საქართველოს ბინას არას შემთხვევაში არ დასტოვებდა, არას გასაჭირში საქართველოდამ სხვაგან არ გადასახლდებოდა ისე, როგორც ეს სომხებმა იციან, რომ სომეხმა კაცმა, თუ კი გაიგო სადმე რამე ადგილის ვაჭრობა, თუნდ უშორეს ქვეყნებში, იგი მაშინათვე სტოვებს სომხეთს და საყოველთაოდ გარდასახლებას ეძლევა სხვაგან

და იქ სახლდება სამუდამოთ. სულ ამის წყალობა გახლავსთ, რომ სომხები დაბნეულნი არიან აქა-იქ და მით მათი სამშობლოც ცარიელდება სომეხთა რიცხვით, იქ სხვები მრავლობენ.

ქართველი კი ამას მოცილებული იყო ძველადგანყე, მათს საუნჯეს და დიდს დარგს მხოლოდ სამშობლოში დაშთენა შეადგენდა, თავის მიწაზედ ყოფნა, ცხოვრება და სიკვდილი და მიტომაც იყო, რომ იგინი ამისთვის მეტად დიდს ტანჯვასაც იტანდნენ და სამშობლო მიწას კი არ ესხლიტებოდნენ. ასეთის სისხლის ღვრით შეინახა ქართველმა თავის სამშობლო ქვეყანა და ასეთის გმირობით, სისხლის ღვრით და მწარის ცრემლებით მოაღწია ამ მშვიდობიან დრომდე. ჩვენი მოწმობის სრული თანამდებია მ. თამარაშვილის შრომა. აქ ქართველთა შესახებ არის ისეთი ცნობები, რაც სისხლის ცრემლით არის ამოსაკითხი. აქ ნახავთ ბევრს რასმე ქართველის ერის ვერაგობისას, ღალატისას, გაცემისას, მაღალთაგან დაბალთა ჩაგვრის, ყმების დაყიდვის, გათათრების, გასომხების, გაფრანგების და ვინ იცის რამდენ გულის და სულის საგრძნობი ცნობები არ მოიპოვება.

კითხვის დროს, მკითხველი რამდენიც უფრო მწარე ცნობებს და წუთებს ხედავს ქართველის ერისას, იმდენი მას უფრო უცხოველდება სიყვარული ჩვენის ბნელის ეტლისა, დატანჯული სამშობლოს არსებობისა. საჭიროა, ჭეშმარიტად საჭიროა, რომ ასეთი ისტორიული წიგნები ჩვენს ენაზედ ხშირად ისტამბებოდნენ. საჭიროა, რომ არამც თუ მარტოდ ეს ერთი წიგნი, არამედ რაც კი რომის არქივებში უცხო ენებზედ დაწერილი საქართველოს შესახები მასალები მოიპოვება, ყველა იგინი შეკრებილ იქსნეს და დასტამბულ, როგორც თავ-თავის ენაზედ, ისევე ქართულზედ თარგმანით. ეს მასალები ჩაითვლება უმთავრეს წყაროდ, უმთავრეს გასაღებათ ჩვენის ისტორიის მასალების გაცნობის, შემუშავების და საფუძვლიანი ისტორიის დაწერისთვისაც, უამისოდ კი შეუძ-

ლებელია, რომ საქართველოში ვინმემ საქართველოს ისტორიის წერას ხელი მოჰკიდოს. ამის სრული საფუძველია მ. თამარაშვილის შრომა, რომლისთვისაც ჩვენ, ქართველნი, ჩვენს თანამემამულე მ. თამარაშვილს წრფელს მადლობას ვუძღვნით და კვლავაც გვენატრება მისი შრომის გაგრძელება.

ფ. ჯ.

„ღალატი“

დრამა ს. სუმბათაშვილისა.

ნუ გავარჩევთ ბ. სუმბათაშვილის პიესას „ღალატს“ როგორც ისტორიულ პიესას, ნურცა მის დიადს იდეას, თუ რამდენად სწორედ არის იგი შეფარდებული ჩვენს ძველსა თუ ახალს ვითარებასთან, გავსინჯოთ მარტო პიესის რამდენიმე გმირის ავ-კარგიანობა.

ავიღოთ ზეინაბი და მოკლეთ გადავავლოთ თვალი მის ვინაობა ცხოვრებას. საქართველოს ყოფილი დედოფალი ზეინაბი ოცდაორ წელს სულეიმანის ჰარამხანაში იმყოფება და მის ბრძანების აღსრულებაში ამოსდის სული; ბოლოს ზეინაბი ღალატობს სულეიმანს, აგროვებს ქართველთა ჯარსა სამშობლოს დასახსნელად მტრის ხელიდამ და თავისი შვილის ირაკლის გასამეფებლად. მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი უღალატიბს სამშობლოს, ზეინაბი მაინც აღწევს თავის მიზანს, ქართველთა ჯარი იღებს მეტეხის ციხეს და მტერს მუსრს ავლებს; შერცხვენილი ირაკლი სახელის აღსადგენად ბრძოლის ველზე გადის და იქ კვდება, ზეინაბი რომ დაინახავს თავის მოკლულ შვილს, იკრავს ხანჯალს გულში და თითონაც სიცოცხლეს ისპობს.

ზეინაბი არის მრავალ-ტანჯული დედა ქართლისა, მაგრამ სრულიად არაჩვეულებრივი გმირი. იგი, მართალია, გმირულის აზრით არის აღჭურვილი, მას ჰსურს დაიხსნას სამშობლო მტრის ხელიდგან, მაგრამ თვის ამ აზრის განსახორ-

ციელებლად იგი ისეთ საშუალებებს ხმარობს, რომლებიც ძლიერ შორს აყენებენ მას გმირობაზე, რადგანაც ვერაფერი საშუალებაა, რომ ზეინაბი თავის აზრის განსახორციელებლად სულეიმანის ხასად ხდება და მასთან ერთად მკაცრ მტრად უდგება ქართველებს და ისედაც მტარვალ სულეიმანს შემ. დეგი ალერსიანი სიტყვებით აქეზებს ქართველების ტანჯვაში:

„სხივო ქართლისავ! შენ ხარ ჩემი საბშობლოც, ჩემი მეუფეც! ტყუილად არ გეევედრებოდი იმათს გასრესას, სისხლის დაღვრას და დამხობას! უნდა აწამო, იმათ ცბიერ გულს მხოლოდ მაშინ მოიგებ!!!

სრულებით მეტ საშუალებად მისაჩნევია ზეინაბის მხრივ მტარვალ სულეიმანის წაქეზება ქართველების ტანჯვაში; მართალია, ზეინაბს მომეტებული ტანჯვით ჰსურდა ქართველები გამოელვიძებინა, ეგრძნობინებინა გაჭირვებული მდგომარეობა, მაგრამ წაქეზება რაღა საჭირო იყო, როდესაც მტრები უიმისოდაც არ აკლებდნენ ტანჯვას... თუ მაინცა და მაინც ზეინაბს სწადდა, რომ ქართველთა ტანჯვის დრო შემოკლებულიყო, თვითონ უნდა მიეღო გმირულად რჯულისა და ხალხისათვინ სულეიმანისაგან წამება და არა სხვების ჟლეტით მოემკო საწადელის ნაყოფი?!.

შეუფერებელია აგრეთვე ცბიერებით, მოტყუილებით და ფარისეველობით მიზნის მიღწევა. ეს საშუალებები მატყუარა, ცბიერი ადამიანის ხვედრია და არა გმირისა. რა გმირია ის, რომელი გმირიც თავის გმირულ აზრის განსახორციელებლად მიმართავს უკანასკნელ ადამიანის საშუალებას, რა გმირია ის, რომელიც თავის გმირულ აზრს გმირულივე საშუალებით არ განახორციელებს!?.

არა გმირულია აგრეთვე ზეინაბის უდროოდ სიკვდილი, მერე რისთვინ? რომ მოღალატე შვილის სიკვდილს ვერ ითმენს. ნუ თუ გმირული გული უნდა შეაბრკოს იმ მოღალატე შვილის სიკვდილმა, რომელიც თავის ღალატით გან-

საცდელში აგდებდა თავის მიწა-წყალს და ყველა იმას, რაც მისთვის და მისი დედისთვინ წმიდათა-წმიდა იყო, მით უმეტეს არად უნდა მიეჩნია შვილის სიკვდილი, რომ მის მაგიერ აღადგინა საქართველო, იხსნა სამშობლო მტრისაგან, მიაღწია იმ მიზანს, რომელსაც მთელს სიცოცხლეს ესწრაფოდა. ნუთუ კაცი, როდესაც მიზანს აღწევს, სიკვდილით ეგებება გამარჯვებას და არა ამაყად და სიხარულით ფრთებ-შესხმული მის პატრონად ხდება?

არა, მკითხველო, ზეინაბი გმირი კი არა, აჩრდილიც არ არის იმ ძველებურ ქალთა გმირებასა, რომლების ხსოვნა და ქება დაუვიწყარია და ასეც იქნება მარად, სანამ იცოცხლებს ქართველთა ერი...

ზეინაბის კვალს მისდევს ოთარი, რომელიც ღალატობს ქართველებს და მტრის მხარეს იჭერს, რომ პიროვნული ღირსება ბოლომდინ შერჩენოდა და მით საყვარელი ქალი თავის მფარველობის ქვეშ ჰყოლოდა, მისის მშობლიურის სიყვარულით დამტკბარიყო.

აი ამ ქცევისთვინ ოთარს მრავალნი „პირველ ხანს სულით გახრწნილს უწოდებენ და გმირად ქცეულს შემდეგში“. ჩემის აზრით კი, როგორც პირველ ხანს არის ოთარი სულით გახრწნილი, ისე ბოლოში; ოთარს გმიროობისა არაფერი ეტყობა; სულით გახრწნილს კი არა, მე მისი ქცევა არაბუნებრივი მგონია: იგი მოსისხლე მტრად არის ქცეული იმ ჯგუფისა, რომელ ჯგუფსაც ეკუთვნის მისი საყვარელი ქალი. ნუთუ ამნაირ აღგზნებულ სიყვარულს შვილისადმი არ შეეძლო გაელვიძებინა მის გულში ადამიანური გრძნობა? გაიხსენეთ რას ჩადის „სამშობლოში“ აღმოსავლეთის მტარვალთ ტიპი —შაჰ-აბაზი თავის ქალის ფაიხოშის გულისათვინ?—იგი ანთავისუფლებს მოღალატე ლევან ხიმშიაშვილს. ოთარი კი იმის მაგივრად, რომ თავის საყვარელ ქალის პატივსაცემლად შელავათიანად მოექცეს ქართველებს, მით უმეტეს, რომ თითონაც ქართველია, ის ისე იქცევა, რომ ვერც კი შეატყობ,

ძალათია გადარჯულებული, თუ ბუნებრივი თათარია. მისი სიტყვები: „მამა-პაპათა სავანე გავანიავე და მგლები იმათ სასაფლაოზე ღმუიან, თვრამეტი წელია, რაც უწმინდურ ქრისტიანეთა სისხლით არაგვს და მტკვარს ვღებავ“... ამნაირი გადაგვარება ორმოცდა ათის წლის კაცისა ჩემის აზრით ყოვლად შეუძლებელია. არა: ოთარი ქართველთა ტიპს სრულებით არ წარმოადგენს, იგი უფრო სპარსელ მტარვალთა ტიპია.

შემდეგში რას ჩადის ოთარი გმირულსა? არაფერს. როდესაც ზეიზაბი უცხადებს სამშობლოს განთავისუფლების შესახებ, ოთარი თითქმის ყურსაც არ იბერტყავს, იმას არ აფრთოვანებს ზეინაბის გმირული აზრი, ვერ ავიწყებს ძველებურ მლიქვნელობას სულეიმანთან, ციხის აღების უკანასკნელ წუთამდინ იგი კვლავ თავს ევლება სულეიმანს და სამსახურს ჰპირდება. ოთარის გმირობა მხოლოდ იმაში იხატება, რომ ბოლოს, როდესაც ჯარი უკვე ციხეს უახლოვდება, იგიც გადის ბრძოლის ველზე და იქიდგან დაჭრილი შემოიტანეს სცენაზე..

მართალია, დათოს გმირული სისხლი უდუღს, ჰსურს მოიკრიფოს უკანასკნელი ძალ-ღონე და სამშობლოს მტერთან ბრძოლაში გმირულად სული დალიოს:

„დროა სირცხვილიდან გამოვიდეთ!.. ჩვენ ხალხნი კი არა, მაჰმადიანთა პირუტყვნი ვართო!“—ამბობს დათო, მაგრამ რა გამოვიდა. იმდენად ერთობა გაიანეს სიყვარულით, რომ სამშობლოს გაჭირვებული მდგომარეობა ავიწყდება და თავის გმირულ ძალას, ცოტა გაწყდა, ირაკლისთან ბრძოლაში არა ხმარობს (თუ გაიანე ირაკლის საყვარლად აღმოჩნდებოდა). „გაიანე რომ ყოფილიყო, ნამდვილ კაინად გადავიქცეოდი“,—ამბობს იგი. რა გმირია დათო, როდესაც ის მზად იყო პირადულ ინტერესებისათვინ შეეწირა თავისი თავი თუ ბატონიშვილი და მით მოესპო ყველა იმედი სამშობლოს განთავისუფლებისათვის? არა, დათას გმირულ გულს,

აღფრთოვანებულს იმ დიადის აზრით, როგორიც არის სამშობლოს მტრის ხელიდგან გამოხსნა, უნდა დეემორჩილნა ისეთი პატარა გრძნობა, როგორიც არის ქალისადმი სიყვარული შედარებით სამშობლოს განთავისუფლებასთან. გაიხსენეთ რას ეუბნება „სამშობლოში“ ლეონიძე თავის ცოლის საყვარელს ხიმშიაშვილს: „ამაზე კვლავ მოვილაპარაკოთ, ჯერ სხვა საქმე გვაქვს გასაკეთებელიო“.

ძნელი წარმოსადგენია აგრეთვე ის, რომ ვიღაც ჰარამხანაში გაზრდილ გოგოსთვის სამშობლო შეეწირა ისე ერთგულად გაზრდილ ოცდა ორი წლის ბატონიშვილს, რომელიც უკვე აღიარებული იყო საქართველოს ტახტის მემკვიდრედ და მის წინ დაჩოქილი ბოდიშს იხდიდა ოთარი, მტარვალი საქართველოსი. ნუ თუ ამის შემდეგ ირაკლიში არ უნდა გამოღვიძებულიყო პატივისა და დიდების მოყვარეობა, რომლებსაც უეჭველად აღძრავს ადამიანში ფსიხოლოგიური კანონი, და თუნდაც ტყუილი ყოფილიყო მისი ბატონიშვილობა, ირაკლის მაინც განა სერიოზულად არ უნდა მოეკიდნა ხელი ზეინაბისა და ოთარის წინადადებისათვინ და მედგრათაც დაეცვა იგი? მით უმეტეს ძნელი წარმოსადგენია ამნაირი ქცევა ირაკლისაგან, რომ იგი იზრდებოდა იმისთანა გმირთან, როგორიც იყო ანანია, რომელიც ერთის ფიქრით სცხოვრობს: ამ ქვეყნად—საქართველო თავისუფალი ნახოს! ამ აზრისთვის იგი არ ზოგავს თავის თავის თავს და თავგანწირულად მიდის მეტეხის ციხის ასაფეთქად; არ ზოგავს თავის ღვიძლ შვილს და ათელინებს სულეიმანის ცხენს, რომ მით გადაარჩინოს ბატონიშვილი, იმედი მომავალ საქართველოს განთავისუფლებისა... ამნაირ გმირთან ზრდის ბ. ავტორი ირაკლი ბატონიშვილს და შედეგად რას ვხედავთ?—ყოვლად უხასიათო და უფერულ ადამიანს...

გრიგოლ შალიბაშვილი.

1 თებ. 1904 წ.

ისყიდება ეფეფლეთან წიგნის მაღაზიებში

ბესხის კონსტანტინე ივ.-ძის გვარამაძის შემდეგი წიგნები:

1) „მესხური ლექსები", . . ფასი 5 კაპ
2) „გამოჯხერებული ქალ ვაჟის ლექსი", . . 5 კაპ.
3) მესხური ანდაზები და ამოცანები (ბიბლიოგ. ნაწ.) 5 კაპ.
4) 1900 წლის სახსოვარი „ანდაზა და გამოცანები" (მეორე ნაწილი) . . . . . 5 კაპ.
5) ბესალამ და ეთერი . . . 5 კაპ.
6) მგზავრი ამხანაგი (путеводитель) . . 10 კაპ.
7) სარგე გურეულთა ცხოვრებისა . . . 5 კაპ.
8) ედ ანმდგელთა რაბბი . . . . 30 კაპ.
9) რომის უწმიდესი ბაბა ბიო X . . . 20 კაპ.
10) ზუბალაშვილის ეკლესია ბათუმში ფოსტის ბლანკზე 5 კაპ.

„რაბბის" შეიდგელი მგზავრის ამხანაგი უეკასოდ დაეთმობათ. კისაც ჭსურს ოჯახში ქართული წიგნებიდგან საამოთხეველი შეიძინოს კატალოგისაგის მოგვმართოს ჩვენ ოზურგეთში კონსტანტინე ივ.-ძე გვარამაძეს

წიგნების გამომცემლების ყოველი თითო ცალი თავისთა გამოცემებისა გამოგვიგზავნონ საერთო კატალოგის შესადგენად მსურველთა წიგნების ფას დადებითაც გავუგზავნით.

ბატონისცემით ივ. გვარამ ძე.

გამოიდა და ისყიდება დიდი სურათი

„ჯგუფი ქართველთა მწერლებისა"

მესამე გამოცემა ტ. მომცელიძისა, ფასი 75 კაპ. ფოსტა ვანით ყველგან 90 კაპ (შეიძლება მარკებითაც)

ადრესი: Тифлисъ, Орив пл., фотографія Робинова Гарасію Момцелидзе

ახალი ოთ-ფასიანი წიგნები

ჟურნალ „მოგზაურის“ რედაქციაში იყიდება შემდეგი ოთ-ფასიანი წიგნები:

1. სახალხო სახლი და მისი საზოგადოებრივი და აღმზრდელობითი მნიშვნელობა, ფ. 5 კ.

2. ეკლეზიერება ანუ დიოტერიტი. ფ. 5 კ.

3. მეცნიერების დედა-ენა, ფ. 5 კ.

4. ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება, ფ. 5 კ.

5. რა არის გონებითი გახსნა-გასვითარება, ფ 5 კ

6. ბურის ბოსტანი ანუ მოუკანა ბურისა ჩინურ-ათინურის წესით, ფ. 7 კ.

7. ბავშვების გონიერი მოვლა ანუ რისთვის იხოცებიან ბავშვები უდროოდ, ფ. 5 კ

8. დასაშაულობა-დამნაშავენი და ახალი საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კ.

9 მეურნეობა და ახალი სკოლა, ფ. 5 კ.

10. შინაური ფრინველების: ქათმების, ინდაურების, ბატების, იხვების და ხოხბების მოვლა-მოშენება, სურათებით, ფ. 15 კ.

11. რა არის დასტაქრობა (ხარეურგია) ანუ როგორ არწენენ ექიმები დანით, ფ. 5 კ.

12. „შერია“, სურათებით, საუმაწვილო მოთხრობა, ფ. 5 კ.

13 თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა ქართულის ენის შემწეობით სურათებით, ფ 20 კ.

14. სულით ავადმყოფნი მასწავლენი ფ. 5 კ

15. ხეხილის გამრავლება და მოვლა, სურათებით, ფ. 7 კ.

16. შეუე ლამპა, საუმაწვილო მოთხრობა, სურათებით, ფ 7 კ.

17. საუნჯე ავადმყოფისა, ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავადმყოფობისა, ფ. 15 კ.

18. საუნჯე მეურნისა, ანუ აღწერა, მოვლა და გამრავლება, გა-

მოუნება ყოველ-გვარ ხეხილისა, ბუჩქისა და უბრალო ხეებისა, ფ. 15 კ.

19. მთვრალობა და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ფ 15 კ.

20. ცხვრის ყვავილი, ფ. 5 კ.

21. ქიმიერების მასალა ანუ მატერიის ქიმიური რაობა, ფ. 5 კაპ.

22. ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები, ფ. 5 კ.

23. გმირი როლანდი, მოთხრობა მოზრდილთათვის, ფ. 10 კ,

24. მეთევზის შვილი, სურათებით, საუმაწვილო ზღაპარი. ფ. 10 კ.

25. ხტუნია-ციყვუნია, სურათებით, საუმაწვილო წიგნი, ფ. 10 კ.

26. ლიჭნარდი და გერტრუდა, პედაგოგიური მოთხრობა პესტალოტიისა, ფ. 10 კ.

27. ცივილიზაციის ისტორია ინგლისში, ბოკლისა, ფ. 40 კ.

28. შიო თავადი, ლეგენდა ლექსად, ფ 10 კაპ.

29. ცხენის წურბელა, მოთხრობა ხალხის ცხოვრებიდამ, ფ. 10 კ.

30. მაჭმადი და მისი ცხოვრება-მოქმედება, სურათებით, ფ. 15 კაპ.

31. როგორ ცხოვრობენ ჩინელები. ფ. 10 კაპ.

32. დარვინიზმი, პირველი და მეორე წიგნი, ფ 20 კ.

33 სიფერთხილეს თავი არ სტკივა ანუ საქონლის ჭირის შესახებ, ფ 5 კ.

34 ადზრდა შვილისა, თხზ. ბემესი, ფ 15 კ.

35. ტეის გონიერი მოვლა-გაშენება, ფ 10 კაპ.

36, ახალი წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში, ფ 10 კ.

37. სარკე გურულთა ცხოვრებისა, ფ. 5 კ

38. ნიკოლოზ ბარათაშვილის დიდი სურათი, ფასი გაგზავნით 70 კაპ.

39. საქართველოს სრული გეოგრაფია ბატონიშვილის ვახუშტისა, გაგზავნით 2 მან.

ადრესი: Тифлисъ, Въ Редакцію „Могзаури“.

ივლისი და აგვისტო, №№ VII და VIII, 1904 წ.

მოგზაური

1904 წელს ჟურნალი

„მოგზაური“

[illegible]ამოვა იმავე პროგრამით, ე. ი. ჟურნალში დაიბეჭდება შე[illegible]ოგოგიური, სამეურნეო, სამკურნალო, სამეცნიერო და ისტორიულ-გეოგრაფიული წერილები. რედაქცია სთხოვს მასწავ[illegible]ებლებს, მეურნეებს, მკურნალებს და სამეცნიერო საგნების [illegible]ცოდნეთ მოაწოდონ მას ყოველგვარი წერილები მოხსენებ[illegible] საგნებიდამ. 1904 წელს ხელის-მომწერნი, ჟურნალს გა[illegible] აიღებენ ხუთს პრემიას: 1) ნიკოლოზ ბარათაშვი[illegible]ის [illegible]ილ სურათს; 2) სურათებიანს დამატებას, ე. ი. თე[illegible]ტ-თექვსმეტს სურათს ჟურნალის ყოველ წიგნთან; 3) ვა[illegible]ტის „სრულიად საქართველოს გეოგრაფიას“, მის საკუთარ [illegible]ერილან მ. გ. ჯანაშვილის რედაქციით დაბეჭდილს [illegible]ურნეო-საოჯახო ნარკვევს და 5) სამკურნალო-საჰიგი; [illegible] ნარკვევს.

[illegible]ესი ჟურნალისა იგივე 5 მანეთია, ხოლო ბარათაშვი[illegible]ის [illegible]ილ სურათის დაგზავნისათვის უნდა დაემატოს ერთი [illegible]აზი. პირველი და მეორე პრემიები მარტო იმათ გაეგზავნ[illegible]ნ, ვინც მოხსენებულს ხუთს მანეთს და ერთს აბაზს ერ[illegible]ად [illegible]ოიტანს.

[illegible]ესი ფოსტით:

Тифлисъ, Редакціи „МОГЗАУРИ“ (Межевая [illegible], № 72).

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

თბილისი

[illegible] ტამბა ა. ჭუთათელაძისა, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

1904

Дозволено Цензурою, Тифлисъ 26-го Іюня 1904 г.

†

სტეფანე კონსტანტინეს-ძე ზუბალაშვილი,

დაიბადა 1860 წელს, გარდაიცვალა 14 ენკენისთვეს 1904 წ.

დიდი სამწუხარო ამბავი მოგვიტანა ტელეგრამამ: „პარიზში 14 ენკენისთვეს გარდაიცვალა სტეფანე კ.-ძე ზუბალაშვილი".

სტეფანე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილი იყო უდიდესი ქველ-მოქმედი ჩვენს საუკუნეში. თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ განსვენებულს ბადალი არა ჰყავდა ჩვენში ამ მხრით და თვით მისი ქველ-მოქმედებაც სულ განსხვავებული იყო სხვა ამგვარ ქველ-მოქმედებათაგან. ზოგიერთ შეძლებულს ჰგონია, რომ კაცმა ქველ-მოქმედება მარტოოდენ საზოგადო საქმეში უნდა გამოიჩინოს, რომ კერძო პირის დახმარება იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რომ, პირიქით, შეიძლება კიდევაც ავცანცლოთ მას რამე, ოღონდ საზოგადო საქმეს მოვახმაროთ; მაგრამ ასეთი ქველ-მოქმედება ქველ-მოქმედება აღარ არის, რადგანაც აშენებულია მოყვასის ცარცვაზედ. სულ წინააღმდეგის შეხედულებისა იყო განსვენებული სტეფანე: ქველ-მოქმედება მისი არ არჩევდა კერძო და საზოგადო საქმესა, კერძო პირსა თუ საზოგადო დაწესებულებასა; იგი ერთგვარად ეხმარებოდა ორივეს და ამით, თქმა არ უნდა, ერთგვარადვე ხელს უწყობდა ხალხის საერთო სიკეთეს, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ კერძო პირის კეთილ-მდგომარეობის გაუკეთესება იგივე საზოგადოებისა და ხალხის კეთილ-მდგომარეობის გაუმჯობესებაა. ერთი სიტყვით, სტეფანეს ქველ-მოქმედება იყო ნამდვილი ქრისტიანული ქველ-მოქმედება და, ვგონებთ, კიდევაც მისი ასეთი თვისების ქველ-მოქმედება იყო მიზეზი იმისა, რომ მისმა უდროოდ გარდაცვალებამ ასე დიდად დაამგლოვიარა მთლათ ჩვენი მხარე.

სტეფანე კონსტანტინეს-ძე ზუბალაშვილი მამუ-

ლით თბილისელი იყო. დაიბადა 1860 წელს. დაამთავრა სწავლა აქაურს პირველს გიმნაზიაში თუ არა, მამა მისმა მაშინვე ბაქოში წაიყვანა იგი და ჩააბა თვისს სანავთო საქმეებში. მას აქეთ განსვენებული აღარ მოჰშორებია ამ საქმეს და ისე ჩინებულათაც აწარმოვა და მოაწყო იგი, რომ დიდი შეძლება შეიძინა. ცოლ-შვილი არა ჰყვანდა, თუმცა დედას ძლიერ ჰსურვებია მისი დაცოლშვილიანება. თითონვე იტყოდა ხოლმე:—„სანამ დრო მქონდა, სხვადასხვა გარემოებამ შემიშალა ხელიო, და მერე, რაკი დედაც გარდამეცვალა (1896 წ.), მეც სრულიად დავუტევე ზრუნვა ამაზედ და დავრჩი მარტო-ხელიო".

ხასიათით განსვენებული დიდად კაცთ-მოყვარე და სათნოიანი იყო, ბევრს კეთილს საქმეს აკეთებდა, დიდს მადლსა სთესავდა, მაგრამ სულ ჩუმად. იგი, მაგალითად, დიდს დახმარებას აძლევდა ჩვენს ჟურნალს და ქართულ სახალხო-საყმაწვილო წიგნების გამოცემის საქმეს, მაგრამ მარად იმას იხვეწებოდა, ნუ გამამჟღავნებთო, სანთელ-საკმელი თავის გზას არ დაჰკარგავსო... დაკარგვა ასეთის ადამიანისა მით უფრო სამძიმოა ჩვენის ქვეყნისათვის, რომ იგი იყო ერთად-ერთი ქველ-მომქმედი, რომელიც უხვს დახმარებას აძლევდა ჩვენს მწერლობა-მწიგნობრობას და არც სხვადასხვა საზოგადო და კერძო საქმეებს სტოვებდა უყურადღებოთ. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, სასიქადულო მამულიშვილო და სამაგალითო კაცო!..

სიტყვა,

თქმული ივანე როსტომაშვილის-მიერ 27 ენკენისთვეს 1904 წ. სტეფანე კონსტანტინეს-ძის ზუბალაშვილის დასაფლავების დღეს.

— პიროვნება ადამიანისა ჩემთვის უმაღლესია ყოველ ისტორიაზედ, საზოგადოებაზედ და თვით მთელ კაცობრიობაზედაკაო,—სთქვა ბელინსკიმ. ამ დიდებულის სიტყვებით ბელინსკიმ ცხადად და მკაფიოთ გამოსთქვა თავისი უაღრესი პატივისცემა საზოგადოთ ყოველი ადამიანის პიროვნებისადმი, დიდია იგი თუ პატარა, ღარიბი თუ მდიდარი, გამოჩენილი თუ უჩინო... მაშ რაღა უნდა ვსთქვათ ისეთის იშვიათის პიროვნების შესახებ, როგორსაც წარმოადგენდა პიროვნება აწ ჩვენს წინაშე მდუმარედ მდებარის, უდროვოდ გარდაცვალებულის და ყველასათვის ძვირფასის სტეფანე კონსტანტინეს-ძისა!? რაღა და—ჭეშმარიტად რომ თაყვანის საცემია იგი, როგორც თაყვანის-საცემია თვით ბელინსკის სიტყვები, თქმული იმათ წინააღმდეგ, რომელთაც ხშირად ჩხირათაც არ მიაჩნიათ ესა თუ ის ადამიანი და ზიზღითაც უყურებენ მათ...

ბელინსკის მოყვანილი სიტყვები რამოდენადმე ემსგავსება ძველი ბერძნების ათინის ერთის ტაძრის კარების თავზედ ამოჭრილ სიტყვას—„იცან თავი შენიო“! ბევრი გამოჩენილი მკითხველი ეცადა ამ წარწერის მნიშვნელობის ახსნას, მაგრამ იგი მხოლოდ ცნობილმა ფილოსოფოსმა სოკრატმა ახსნა.

ერთხელ სოკრატი ჩვეულებისამებრ ესაუბრებოდა ხალხს მოედანზედ და ჰკითხა:

— ჩვენის ტაძრის კარების თავზედ სწერია: „იცან თავი შე-

ნიო!“ რას ნიშნავს ესა? ყველა გაჩუმდა, არ იცოდნენ რა ეთქვათ. სოკრატმა განაგრძო:

— რა ძნელია მაგის პასუხი. მითხარით, ვის რა გინდათ, რა გენატრებათ? ახლა კი ყველა ალაპარაკდა და ერთმა ახლო მდგომმა უთხრა:-მე ბევრი რამ მენატრება, მაგრამ ყველაზედ უფრო სიმდიდრე მინდა, თუ სიმდიდრე მექნება, ყველაფერიც მექნებაო.

— არა, მე რო მკითხოთ, ხელის-უფლება ყველას მირჩევნიაო. ხელის-უფლება თუ მექნება, სიმდიდრეც მექნებაო, —სთქვა მეორემ.

— მე კი უფრო იმას ვირჩევდი, რომ გაუჭირვებლად ვცხოვრობდე და შემეძლოს მეცნიერებათა ტრფობაო,—სთქვა მესამემ.

— მე კი მარტო ის მინდა, რომ ქებული და დიდებული ვიყო და ყველა პატივსა მცემდესო,—სთქვა მეოთხემ.

— ეს რა ამბავია,—მიჰმართა ხალხს სოკრატმა:—კითხვა ერთი იყო და პასუხი კი სულ სხვადასხვა ნაირი; ცხადია, რომ ჩვენ ჩვენი თავი ვერ გვიცვნია, არ ვიცით, ვის რა გვინდა, თორემ ყველანი ხომ ერთს ვიტყოდით. ყველაზე ახლო კი ჩემს კითხვაზე და ყველაზედ მართალიც მეოთხისაა, რომელმაც სთქვა: „მე კი მარტო ის მინდა, რომ ქებული და დიდებული ვიყო და ყველა პატივსა მცემდესო, რადგანაც ესევე ყველასა გვსურს. შენ გწადიან, რომ მე შენ პატივსა გცემდე, მეც მოწადინებული ვარ, რომ შენც პატივსა მცემდე მე. მაგრამ, საქმე იმაშია, რით ვაიძულოთ, რომ ყველანი პატივსა გვცემდნენ? რითა და კეთილი საქმითა, კეთილი მოქმედებითა, რადგანაც მხოლოდ კეთილმა საქმემ იცის პატივისცემის აღძვრა ადამიანში,—დააბოლოვა სოკრატმა.

ჩვენ კვლავ მოვედით ჩვენს ძვირფას სტეფანესთან. ამან ზედ-მიწევნით „იცნა თავი თვისი“, იცნა, რომ იგი განხორ-

ციელებული კეთილი ანგელოზი უნდა იყოს ყოველთა დავრდომილთა, გაჭირვებულთა და სწორედ ასეც იქცეოდა...

ამერიკის გამოჩენილი ფსიხოლოგი ჯემსი ამბობს: ჰენიოსობა უსაზღვრო, მოუღალავი ყურადღება არისო! და მართლაც: იმ დროს, როდესაც ჩვეულებრივი ადამიანი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამა თუ იმ მოვლენას, ჰენიოსი ყველაფერს გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურსა, ყველაფერს აპყრობს თვისს ყურადღებასა.

ჩვენი საყვარელი სტეფანეც ასეთის იშვიათის ყურადღების პატრონი იყო: იგი გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს ჩვენი ქვეყნის მაჯის-ცემასა, მის ჭირსა და ლხინსა; მწუხარებდა, როცა ჭირისუფლად გვხედავდა და ხარებდა, როცა სიხარულს შეგვამჩნევდა; ხარებდა და ამ თავისს თანაზიარობას ჩვენთან იგი ხშირად უხვის შემოწირულებით აგვირგვინებდა. ამის მაგალითები ყველას თვალწინა გვაქვს: გაიხსენეთ მისი უხვი დახმარებანი ჩვენი ღარიბი ჟურნალ-გაზეთებისა და მწიგნობრობისა, გაიხსენეთ სათავად-აზნაურო სკოლის შენობისა, სახალხო სახლისა, ბათუმის ეკლესიისა და წერა-კითხვის საზოგადოებისათვის მისი სწორეთ რომ მეფური შემოწირულებანი, გაიხსენეთ მისი სხვა ათასი კეთილ-მოქმედებანიც და მიბრძანეთ — რის ნაყოფი იყო ყველა ეს, თუ არ განსვენებულის იშვიათის გულისა, მის გამთბარის ნიჭიერებისა, ყურადღებისა... დიახ, იშვიათის ნიჭისა და გულის პატრონი, იშვიათი მოტრფიალე ჩვენის ქვეყნისა დაეკარგეთ დღეს ჩვენ და კიდევაც ეს არის მიზეზი, რომ ასე საგრძნობლად დამგლოვიარდა მთელი ჩვენი მხარე!

სტაქანი რომ გაიბზარება, მას ველარაფერი ძალა და ხელოვნება ისე ველარ გაამთელებს, რომ ბზარი არ უჩანდეს; მაგრამ ტყუილად არ ეძახიან ადამიანსა ყოვლად შემძლებელის ღვთის ნაკვთსა!

სტაქნის ბზარის სრულიად გამთელება თუ არ შეუძლიან, ის ხომ შეუძლიან, რომ სტაქანი ხელ-ახლად გააკეთოს!?

ის ბეჯითად მოაგროვებს გატეხილის სტაქნის ყოველს ნაწილსა, გადაადნობს, გადაახალისებს მათ და სრულიად ახალს და უფრო უკეთესს სტაქანს გააკეთებს, რომელსაც აღარაკითარი ბზარი და ბრწკალიც არ ექნება... ასევეა დღეს ჩვენი ქვეყანა. დღეს იგი იგივე გატეხილი სტაქანია; ბევრსა ჰგონია, რომ მისი გამრთელება, ისე, რომ განატეხი არ უჩანდეს, ყოვლად შეუძლებელია; მაგრამ ჩვენ არც გვინდა ისეთი გამრთელება, რომ ბზარს მარტო დამალავდეს: ჩვენ გვინდა მისი სრულიად ახალ ქვეყნად, ახალ სპეტაკ ხალხად გარდაქმნა, და, როგორც გატეხილის სტაქნის ნაწილების გადადუღებით და გადახალისებით სრულიად ახალის სტაქნის გაკეთება შეგვიძლიან, სწორედ ასევე ახალის სწავლით, ახალის საქმით, ჩვენ სრულიად უზადო ხალხის შექმნაც შეგვიძლიან. ბევრი გზა მიდის ამ სასწაულისაკენ, მაგრამ უმთავრესი კი მწერლობა და მწიგნობრობაა. ეს ძალა უკვე უეჭვოა და გვრწამს, რომ ახლო მომავალში მწერლობა და მწიგნობრობა ნამდვილს სასწაულებს მოახდენენ ყველგან. განსვენებულის სტეფანეს გამოსვლით საზოგადო მოღვაწეობის ასპარეზზედ, მოულოდნელად სრულიად ახალი ხანა, ახალი ერა დაუდგა ჩვენს მწერლობას და მწიგნობრობას! მას სავსებით ჰქონდა შეგნებული —რა არის სახალხო წიგნი, რა არის ჟკვიანურად დაწერილი შაურიანი წიგნაკი, რომელიც ორი და სამი ათასობით იფინება ხალხში და დღეს-ხვალიობით აწვეთებს მის გულში საუკეთესო ცოდნასა და იდეალებსა... დიახ, შეგნებული ჰქონდა ყველა ეს და აკი სრულიად მოულოდნელად აამდინარა კიდეც ჩვენში სახალხო იაფ-ფასიანი წიგნების გამოცემის საქმე... მართალია წინათაც იყო ჩვენში ცოტ-ცოტა ცდა— შეექმნათ ეს ყოვლად შემძლებელი ძალა ხალხის ამაღლებისა; ამის მაგალითი თვით თქვენი უმორჩილესი მონა გახლავართ: მეც პირველმა, მეორემ თუ მესამემ ვცადე ამ საქმისათვის მტკიცე საძირკველი ჩამეყარა ამ ათიოდე წლის წინათ; ახალი მიმართულების წიგნების გამოცემა დავიწყე, მაგრამ სა-

ქმემ ფეხი ვერ მოიკიდა, რადგანაც... რა გითხრათ... თვითონაც კარგათ მიხვდებით... ჩვენ ლარიბნი ვიყავით და ის რამდენიმე ათი თუმანი, რომელიც ჩვენ ასეთის დიადის საქმის დასაწყობად გვქონდა, ათიოდევე წიგნის გამოცემით დაგვეშრიტა და საქმე შეგვიდგა... მაგრამ მხოლოდ შედგა, არ კი მოკვდა... საძირკველი ჩაყრილი იყო, მხოლოდ კედლებს ველარ ვაშენებდით... შენი დიადი დამსახურება ხალხის წინაშე, ჩვენო უდროვოდ დაკარგულო სტეფანე, აი აქ არის: შენ შეგვაძლებინე ამ საძირკველზედ კედლების აშენების განგრძობა. გამხნევებულნი შენით ჩვენ კვლავ დავიწყეთ მთელი ათი წლის განმავალობაში მიძინებული საქმე და ბედმა თუმცა არ გვაცალა საქმის სრულიად დაგვირგვინება, ოკონს მაინც ხომ გაგვიყვანე!? არ დამავიწყდება შენი ციური სიტყვები: „როცა კი დაგჭირდეთ, ნუ დამზოგავთო, ახლო ვიყო—პირადად მითხარითო, შორს ვიყო—წერილით მაცნობეთო, მე მზათა ვარ ვემსახურო მაგ საქმესაო.“. ეს ისეთი სიტყვებია, რომ არა თუ ჩემისთანა მოუსვენარს კაცს, სულ უსაქმურსაც ააღებინებდა წერაქვს ხელში... ეჰ, საყვარელო სტეფანე კონსტანტინეს ძევ! მე რომ შენზედ ვილაპარაკო, მთელს საათებს და დღეებს ვილაპარაკებ, იმდენად ტკბილ-შესანიშნავი პიროვნება ბრძანდები ჩვენთვის, მაგრამ რა ვქნა: რომ ხელები გულზედ დაგიკრეფია, თვალები დაგიხშვია და ბაგენი დაგიდუმნია!.. სჯობს მეც დავდუმდე, მაგრამ ორი სიტყვაც: სასოკვეთებას მაინც ნუ მივსცემთ თავსა; სტეფანემ აქაც უნუგეშოთ არ დაკვტოვა: მან დაგვიტოვა საწინამძღვროდ საქმენი სამაგალითონი და მემკვიდრედ ძმები, სრულიად თანაზიარნი მისნი, შვილები იმავ დედ-მამისა, რომლებმაც გამოზარდეს. თვით სტეფანე. იმედი ვიქონიოთ, რომ ესენი არ შეგვამჩნევინებენ დღეს ჩვენს თავზე მოვლენილს მწუხარებას.... მშვიდობით საყვარელო სტეფანე, საუკუნოთ იყოს ხსენება შენი ხალხის მადლიანს ხსოვნაში!..



სახალხო მოღვაწენი

ანუ

თვით-ნასწავლები

ჩვენში და რუსეთში.

გეცოდინებათ, რომ ჩვენში და რუსეთში ათობით და ასობით მოიპოვება ისეთი სოფლები, სადაც სკოლები სრულიად არ არსებობს და, მაშასადამე, სოფლელი ხალხი ვერც წერა-კითხვას ისწავლის ძალიანაც რომ უნდოდეს. ასეთს შემთხვევაში სწავლის მსურველს რჩება ერთი გზა: თითონ ისწავლოს და ყველაფერი თითონ შეიგნოს. მე ბევრი მინახავს და ალბათ თქვენც იცნობთ ბევრსა, რომლებსაც თვალითაც არ უნახავთ სკოლა, მაგრამ მაინც თავის-თავად ისე კარგათ უსწავლიათ წერა-კითხვა, რომ განთქმული მწერლის სახელიც კი დაუმსახურებიათ ხალხში. ასეთებია მაგალითად, ყველასაგან კარგად ცნობილი იოსებ დავითაშვილი, ზაქარია ჭიჭინაძე, მიხეილ გორდაძე, გიგო ხეჩუაშვილი, იოსებ იმედაშვილი, სოსიკო მერკვილაძე, ვასო თუმანიშვილი, და სხვანი. აი, ასეთ თვით-ნასწავლებზედ მინდა მოგითხრათ დღეს ცოტა რამ საგულისხმო, რომ ეგება შენც, ჩემო მდაბიო მკითხველო, ჭკუაში დაგიჯდეს იმათი მაგალითი და არა თუ თითონაც ეცადო მიჰბაძო მათ, არამედ სხვებსაც წაუკითხო ეს წიგნი და მით ისინიც წაახალისო თვით-სწავლაზედ. დავიწყოთ რუსეთის თვით-ნასწავლებიდამ.

ვიატსკის გუბერნიაში, სოფელ მერზლიაკოვში, სცხოვრობს გლეხი ოსიპ ჩუპრაკოვი. პატარაობაში ჩუპრაკოვს ძალიან უნდოდა სკოლაში მიბარება, მაგრამ იმის სოფელში სკოლა არ იყო

და აბა სად მიებარებოდა. მაშინ ჩუპრაკოვმა მიმართა ერთ მადლიან კაცს ესწავლებინა მისთვის ანბანის ასოები. კაცმა ასწავლა და ჩუპრაკოვმა სულ რამდენსამე კვირაში ისწავლა ჯერ კითხვა და მერე წერაც. ამას იქით, ჩუპრაკოვი სადაც კი დაინახავდა წიგნის თუ გაზეთის ნაგლეჯს, წაუკითხავად არ გაუშვებდა და თუ მოეწონებოდა, რვეულშიაც გადასწერდა თავიდამ ბოლომდის. მისმა სოფლელებმა რომ ნახეს ოსიპმა წერა-კითხვა ისწავლაო, მოსვენებას არ აძლევდნენ, ჩვენც გვასწავლეო. ჩუპრაკოვი დათანხმდა და დაიწყეს იმასთან სიარული სალამ-სალამოთი ანბანის სასწავლებლად. ჩუპრაკოვს პირველად მარტო ორი-სამი შეგირდი ჰყვანდა, მაგრამ მალე იმისი ღარიბი ქოხი ნამდვილ სკოლად გადაიქცა, შეგირდობა ძლიერ გაუმრავლდა. ჩუპრაკოვი სწავლისათვის ფულს არავის არ ახდევინებდა, რადგანაც დღისით თითონაც გლეხურად მუშაობდა, ჰხნავდა-სთესავდა და ამით ცხოვრობდა. შაგირდებს კი წინანდებურად სალამ-სალამოთი ასწავლიდა, ხშირად ღამის ცხრა და თერთმეტ საათამდის. ასევე ასწავლა ჩუპრაკოვმა წერა-კითხვა თავის 12 წლის ქალს, რომელიც ახლა დღისითაც ასწავლის შეგირდებს, რადგანაც მარტო მამა ველარ ასდის ამოდენა შეგირდების სწავლას. პირველ ხანებში ჩუპრაკოვს სკოლა თავის სადგომ ქოხში ჰქონდა მოთავსებული, მაგრამ ამ ორი-სამი წლის წინად იმან სკოლისათვის ცალკე დიდი ოთახი ააშენა და იქ ასწავლის ყველას. ამ გვარად ჩუპრაკოვი ცხოვრობს და იღწვის არა მარტო თავის ოჯახისათვის, არამედ მთელი თავისი და გარემო სოფლებისათვინაც. ამ ჟამად ჩუპრაკოვის სკოლაში სწავლობს 50 ქალი და ვაჟი; მათში ბევრნი ახლო-მახლო სოფლებიდამაც დადიან სასწავლებლად.

საქმის დღეებში ჩუპრაკოვი სხვებს ასწავლის, კვირაობით და სხვა უქმე დღეებში კი თითონა სწავლობს. თავის სწავლაში ჩუპრაკოვს მარტო ერთი მასწავლებელი ჰყავს, ეს არის წიგნები. ჩუპრაკოვს ძლიერ უყვარს წიგნების კითხვა: მთელს თავისუფალ დროს ის მხოლოდ წიგნების კითხვას ან-

დომებს და რომ ამ კითხვამ უფრო მეტი სარგებლობა გამოიღოს, ის ხშირად ჩამოჯდება ხოლმე თავისი სახლის კარების კიბეზედ და იწყობს ხმა-მაღლა კითხვასა. მეზობლები — ქალი თუ კაცი და ბავშვი თუ ,გამვლელ-გამომვლელი გაიგონებენ თუ არა, რომ ჩუპრაკოვი წიგნს კითხულობსო, შორი-ახლო მოუსხდებიან გარშემო და ხმა-გაკმენდილები ყურს უგდებენ. ამ გვარად ჩუპრაკოვი სწავლობს არა მარტო თვითონ, არამედ ბევრს სხვასაც უცხოველებს აზრსა და სწავლის სურვილსა.

სკოლა მართალია კარგი საქმეა, მაგრამ როგორც ხედავთ, უსკოლოთაც შესაძლებელი ყოფილა სწავლა. საჭიროა მხოლოდ პირველად გზის მაჩვენებელი, კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა, რომ აჩვენოს წიგნის შესწავლის მსურველს ასოები, ასწავლოს ასოების კითხვა, წერა და ამის მერე კი ლვთით საქმე გაადვილდება და კაცს თითონაც შეუძლიან ისე გაიწაფოს წერა-კითხვაში, რომ სკოლებში ნასწავლებსაც აღარ ჩამორჩეს. აი მეორე მაგალითიც ასეთის თავის-თავად ნასწავლისა.

* * *

ტვერის გუბერნიაში, სოფელ იამაში, სცხოვრობს გლეხი სერგეი ჟურავლიოვი. ახლა ის ოცდა ათი წლისა იქნება. წერა-კითხვა სერგეი ჟურავლიოვმა თავის მამისგან ისწავლა. თუმცა მამა მეტად უხეიროდ ასწავლიდა, სერგეი მაინც ისეთი ხალისიანი ბავშვი იყო, რომ მეტად უყვარდა წიგნების კითხვა და ამიტომ მალე გავარჯიშდა კითხვაში. მართალია წიგნების შოვნა ადვილი არ იყო ახალგაზრდა სერგეისთვის, მაგრამ სერგეი მაინც ახერხებდა მათს შოვნას და ხარბათ კითხულობდა. ამ გვარად სერგეიმ გადიკითხა ყველა წიგნი, რომელიც კი მოიპოვებოდა ვისთანმე იმის სოფელში და ძალიანაც განვითარდა. ახალგაზდა ჟურავლიოვი ახლა მახლობელ სოფლის მასწავლებელთან წავიდა და სთხოვა წიგნები წასაკითხად სკოლის წიგნთ-საცავიდამ. მასწავლებელმა სიამოვნებით აუსრულა ჟურავლიოვს თხოვნა და მცირე ხანში გადაიკითხა

თითქმის ყველა წიგნები, რომლებიც კი მოიპოვებოდა სკოლის წიგნთ-საცავში. ჟურავლიოვმა ახლა თითონაც დაიწყო კარგი წიგნების სყიდვა. წიგნებს ის თვალის ჩინსავით უფრთხილდებოდა, არ სთხუპნიდა, არა ფხრეწდა, უფრთხილდებოდა, ინახავდა და ამ გზით გაიჩინა პატარა წიგნთ-საცავი. წიგნების საყიდლად საჭირო ფულებს სერგეი ჟურავლიოვი დიდის წვალებით იზოგავდა თავის შრომით ნაშოვნ ფულებიდამ. ერთხელ მან მოისურვა ჯანმრთელობის წიგნის სყიდვა, რომელიც ღირდა სამი მანეთი და, რადგანაც ამოდენა ფული იმას არა ჰქონდა, იმან ეს ფული რამდენიმე თვე აგროვა კაპიკობით და როცა მოაგროვა სამი მანეთი, სურვილიც აისრულა—წიგნი იყიდა.

ამ წიგნებით ჟურავლიოვი მარტო თითონ არ სარგებლობდა. ის დაუზარებლად აძლევდა წიგნებს წასაკითხად ყველას, ვინც კი სთხოვდა. ამიტომ, სხვებმაც, ვისაც კი სახლში თითო-ოროლა წიგნი მოეპოვებოდა, იმათაც ჟურავლიოვს მოუტანეს თავისი წიგნები: „ჩვენ წაკითხული გვაქვსო, შენს წიგნებთან დააწყე და ვინც ითხოვოს, მიეცი, დეე სხვებმაც წაიკითხონო“. ჟურავლიოვის წიგნთ-საცავის ამბავი შორს გავარდა. შაიტყეს ეს პეტერბურღშიაც სამუშაოთ წასულმა იამელებმა, მოაგროვეს ფული და ხუთი თუმნის რჩეული წიგნები გამოუგზავნეს. ჟურავლიოვის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ნაკლებ არც ხალხს ესიამოვნა ეს ამბავი და იწყეს ყოველი მხრიდამ მოდენა ახალი წიგნების სათხოვნელად. წიგნების კითხვაში ჟურავლიოვი ხალხს არაფერს არ ართმევდა, ყველას მუქთად აძლევდა და მარტო იმას ავალებდა, რომ წიგნები სუფთად შაენახათ და არ დაეუხრიწათ. რადგანაც წიგნების მთხოვნელი ბევრი იყო, რომ არ დაჰვიწყებოდა ვინ რა წიგნი წაილო წასაკითხათ, ჟურავლიოვი წამლების გვარს და წიგნის სახელს ცალკე დავთარში ნიშნავდა და როცა ჯკან დააბრუნებდნენ წიგნს, ისევ წაჰშლიდა.

გლეხებს პირველად ისეთი წიგნები მიჰქონდათ, რომლე-

ბიც უფრო გასართობი და საშინელები ან გარეგნობით ლამაზები იყო. ასეთ წიგნებიდამ კაცი ბევრს ვერას ისწავლის, ტყუილათ ძვირფას დროსაც დაჰკარგავს და იქნება კითხვის ხალისიც ზედ მიაყოლოს, ე. ი. კითხვას სრულიად თავი მიანებოს. ჟურავლიოვმა კარგათ იცოდა ეს და რომ ააცდინოს ხალხს ასეთი უბედურება, ცდილობდა კარგი წიგნები აერჩია ხალხისთვის, რადგანაც მას უკვე წაკითხული ჰქონდა თავისი წიგნთ-საცავის ყოველი წიგნი. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ მკითხველებმა თითონაც ისწავლეს კარგი და უსარგებლო წიგნის გარჩევა. ზოგმა მათგანმა მოისურვეს წიგნის შემწეობით თავისი ცხოვრების და მეურნეობის გაუმჯობესობა და აი დაუწყეს ჟურავლიოვს თხოვნა სამეურნეო და სახელოსნო წიგნებისა. ასეთი წიგნები ბლომად აღმოჩნდა პეტერბურგიდამ გამოგზავნილ წიგნებში. თითონ ჟურავლიოვიც ძალიან ეტანებოდა ასეთს წიგნებს და მათის წყალობით ბევრი ცვლილებაც და უკეთესობაც შეიტანა თავის ცხოვრებაში და მეურნეობაში. მოხუცებულები ზოგჯერ ეტყოდნენ ხოლმე ჟურავლიოვს: „დაანებე, სერგეი, მაგ წვალებას, მამაშენი მაგრე თუ არ მეურნეობდა, ვერ ცხოვრობდაო?“ სერგეი კი ეტყოდა: „არა, მეზობლებო, ვერ დავანებებ! უწინ სხვა მოთხოვნილება იყო, ახლა სხვაა და ჩვენც სხვანაირათ უნდა ვიცხოვროთ, სხვანაირად უნდა ვიმუშაოთ, სხვანაირათ ვსთესოთ, სხვანაირათ ვიყიდოთ-გავყიდოთ... ამასთან ეს წიგნები ხომ სულ მეცნიერ ხალხისაგან არის დაწერილები და იმათ კი სიზმარიც დაეჯერებაო“.

წიგნებში ამოკითხულ დარიგებას ამა თუ იმ ახალ საქმეზედ, ჟურავლიოვი დიდის სიფრთხილით სცდიდა, და რომ ბევრი ხარჯი ან ზარალი არ მოსვლოდა, ჯერ ცოტა ადგილზედ, პატარა საქმედ სცდიდა, და როცა დაატყობდა, რომ საქმე კარგია, სულაც ისე გააკეთებდა. მაგალითად, იამელებმა სრულიად არ იცოდნენ, რა არის მებოსტნობა და მებაღობა, ერთს ხეხილს ვერ იპოვნიდით მთელს სოფელში და

ერთს ღერს მწვანილსა, ყველა მარტო პურისა და სელის თესვას მისდევდა. რა თქმა უნდა, ასეთს სოფელში მებოსტნობასა და მებაღობას ვერც ჟურავლიოვი შეისწავლიდა სადმე, მაგრამ ახლა ჟურავლიოვი მთელს იმ მხარეში პირველი მებოსტნე და მებაღეა. საიდამ, როგორა? იქიდამ, რომ ჟურავლიოვმა ეს საქმეები სულ წიგნებიდამ შეისწავლა და ჩინებულათაც. ბაღოსნობა, მაგალითად, მან შეისწავლა რიგოს წიგნიდამ და მეფუტკრეობა ბუტლეროვის წიგნიდამ. წიგნითვე შეისწავლა ჟურავლიოვმა წიგნების შეკერვა და ყდების გაკეთება. ჟურავლიოვი ამით არ დაკმაყოფილდა და ახლა იმის სწავლას შეუდგა, თუ როგორ არჩინოს ხალხი და საქონელი ავათმყოფობისაგან. თქვენც გეცოდინებათ, რომ ბევრი სნეულება ისეთი მძიმე და გაუგებარია, რომ თვით ნასწავლი აქიმებიც ვერას ხდებიან და ავათმყოფებს ვერ არჩენენ, მაგრამ არის ისეთი ავათმყოფობანიც, რომ ცოტათი გამოცდილს და ნასწავლ კაცსაც შეუძლიან მათი მორჩენა. აი ასეთი სნეულებების შესწავლას შეუდგა სერგეი ჟურავლიოვი წიგნით.

ჟურავლიოვმა ასევე ისწავლა ყვავილის აცრა. აცრის შესწავლა გამოიწვია იმან, რომ 1883 წელს იამაში და მის ახლომახლო სოფლებში ძლიერ გახშირდა ყვავილი, რომელიც მრავლად ხოცავდა ბავშვებს. ჟურავლიოვი ჩავიდა ქალაქში

ქართულათაც არის ერთი ასეთი წიგნი, ამას ჰქვიან: „საუნჯე ავათმყოფისა“, ღირს 15 კაპეიკი, ისყიდება ჟურნალ „მოგზაურის“ რედაქციაში. აქვე ისყიდება იაფათ სხვა სასარგებლო წიგნებიც. ჟურავლიოვმა ისე ზედ-მიწევნით შეისწავლა და გამოსცადა ყველა ასეთი ავათმყოფობანი, რომ სოფლის ყველა ავათმყოფი ამასთან მოდიოდა რჩევის საკითხავად და ესეც დიდის ხალისით და სიყვარულით შველოდა ყველას. ასევე არჩენდა და დღესაც არჩენს ჟურავლიოვი დაავადებულ საქონელსა. როცა ხალხმა დაინახა, რომ ჟურავლიოვი მკითხავებზე უფრო ჩქარა და კარგათ არჩენს ავათმყოფ საქონელსა და ხალხსა, ამათ თავის-თავად ანებეს მათ თავი...

და მიმართა სათემო (საერობო) გამგეობას, მიეცათ მისთვის ასაცრელი იარაღები, ჩირქი და ეჩვენებინათ, როგორ უნდა აცრა. აცრის სწავლას კი მოგეხსენებათ დიდი არაფერი უნდა: ერთი-ორი საათის სწავლა და უკვე ამცრელი-ხელოსანი ხარ! ჟურავლიოვიც სულ ორიოდე დღეს დარჩა სათემო აქიმთან, ნახა როგორ უცრის ის ბავშვებს და ხალხს, მიიღო მისგან მოკლე დარიგება, გამოართვა წიგნაკები ყვავილის შესახებ, ჩირქი, იარაღები და დაბრუნდა სოფელში, სადაც ბეჯითად დაუწყო ხალხს და ბავშვებს აცრა. მისმა შრომამ სულ მოკლე ხანში ძირიანად ამოაგდო ყვავილი. ერობა ისე მადლიერი დაურჩა ჟურავლიოვს, რომ მისცა მას კანონიერი მოწმობა ამცრელისა.

1889 წელს ჟურავლიოვმა მოისურვა მიწად-ზომის შესწავლა. გამოიწერა პეტერბურგიდამ საამისო წიგნი და შეუდგა საქმეს. ის სწრაფად მიხვდა რაშიაც მდგომარეობს მიწადზომის საქმე და კარგადაც შეისწავლა იგი. საჭირო იარაღები ჟურავლიოვმა ზოგი თითონ გააკეთა და ზოგიც იყიდა. ჟურავლიოვს მალე საქმეც აუჩნდა: სოფლელებმა იყიდეს მემამულისგან 107 დესეტინა მიწა; საჭირო გახდა ამ მიწის დანაწილება. მიმართეს ჟურავლიოვს. იმან სვინიდისიანად შეასრულა საქმე და გლეხები მადლობლები დაურჩნენ. ცოტა ხანს შემდეგ გამოჩნდა მეორე ასეთივე საქმე: კაზლოვის ამხანაგობამ მიანდო მას 36 დესეტინა ტყის დაყოფა; ჟურავლიოვმა ეს საქმეც კარგად შეასრულა და ერთის კვირის მუშაობაში მიიღო 15 მანეთი.

ასე და ამ გვარად, რასაც კი სწავლობდა ჟურავლიოვი წიგნებიდამ, ყველაფერს კარგათ იყენებდა. ის ხშირად ამბობდა: „მინდა დავუმტკიცო ჩვენს ხალხს, რომ წიგნების შემწეობით ყველაფრის შესწავლა შეიძლებაო“. ბევრნი ჰკითხავდნენ: „ნუ თუ ყველაფერი ეგ წიგნებიდამ ისწავლეო“?—„მაშ საიდამ, სკოლაში მე არ ვყოფილვარ და ხელოსნებთანაც არ ვბარებულვარო,“—უპასუხებდა ჟურავლიოვი.

ამ ჟამად ჟურავლიოვი ცხოვრობს სოფელში და კვლავ-ვინდებურად მისდევს სასოფლო მეურნეობას, მაგრამ ისეთი მოხერხებულია, რომ სხვა ყველა გვარ საქმისთვინაც იცლის. არც სასოფლო და სათემო საქმეებს გაურბის ის. 1884 წელს სოფლელებმა აირჩიეს ის თავინ მამასახლისად და ექვს-შვიდს წლამდის მუყაითადაც ასრულებდა ამ თანამდებობას. თავის მამასახლისობაში ჟურავლიოვი განსაკუთრებით ბევრს ეცადა სამიკიტნოების დახურვას და მათს მაგივრად სკოლებისა და წიგნთ-საცავ-სავაჭროების დამართვას. გარდა ამისა, კვირა და სხვა უქმე დღეებში ჟურავლიოვი უკითხავდა ხალხს რომელიმე სასარგებლო წიგნსა.—„მე ბედნიერათ ვსთვლიდი ჩემს თავსა, იწერებოდა ჟურავლიოვი, როცა ვხედავდი, რომ წიგნმა კარგი და ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზედაო. ეს წამები საუკეთესო წამები იყო ჩემს სიცოცხლეშიო. კითხვის დროს მე ხშირად ვუთითებდი ჩვენს ნაკლულევანებებზედაც საზოგადო თანამდებობის ასპარეზზედ, სამიკიტნოების დამღუპველ გავლენაზედ ახალ-თაობის ზნეობაზედ, შვილების ცუდად აღზრდაზედ და სხვაზედაო“...

* * *

მოვიყვანოთ კიდევ რამდენიმე მაგალითი, თუ რამდენი კარგი საქმის გაკეთება შეუძლიან თავის-თავად ნასწავლ კაცსაც.

სოფელ ანდრეევსკში, მოსკოვის გუბერნიაში, სცხოვრობს გლეხი სერგეი სემიონოვი. ეს სოფელი ძალიან მიყრუებულ ალაგას არის, მას არ აბადია არც სკოლა, არც წიგნთ-საცავი და არც სხვა რამ ამისთანა. წერა-კითხვა სემიონოვსაც თავისით უსწავლია. სადაც კი იპოვნიდა წიგნის ანუ გაზეთის ნაფლეთს, მაშინვე მიჰმართავდა გამვლელ-გამომვლელს და სთხოვდა ესწავლებინათ, რა და რა ასოა ამა და ამ სიტყვაში. მერე რაკი ისწავლა კითხვა, წიგნისთვის ხელი აღარ გაუშვია და მთელ თავისუფალ დროს მარტო წიგნების კითხვას ახმარებდა.—„წიგნებმა სულ ძირიანად შემცვალეს მეო“, „წიგ-

ნებს დიდი გავლენა ჰქონდათ ჩემზედაო", იწერებოდა სემიონოვი. „თექვსმეტ წლამდის წიგნს მე ვუყურებდი, როგორც გასართობსაო, მაგრამ აი ერთხელ შემთხვევით ჩამივარდა ხელში ლევ ტოლსტოის პატარა წიგნაკი „რით სცოცხლობს ადამიანი"? იმისი წაკითხვა იყო და ჩემი სრულებით გამოცვლაო. სულ ახალი კაცი გავხდი, ასე მეგონა ახლად დავიბადე, ახლად მომნათლესო. ეს იყო და ეს, რომ სრულებით შემეცვალა შეხედულობა წიგნზედაო. მე ვიგრძენ, რომ წიგნი მარტო გასართობი არ ყოფილა, რომ წიგნი იმავ დროს უდიდესი მასწავლებელი და მოძღვარი ყოფილაო". სემიონოვი განაგრძობდა წიგნების კითხვას და თან ყოველ წაკითხულს ძირიან-ფესვიანად არჩევდა, წაკითხულს აკვირდებოდა, ცხოვრებაში ნახულს და გაგონილს ადარებდა, დასკვნას აკეთებდა. მაგალითად, მან ამოიკითხა სახარებაში ეს სიტყვები: „გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი"; სახარება ამას ამბობს და რატომ არისო, რომ ადამიანებში ასე მცირედ არის ერთმანერთის სიყვარულიო?—ჰკითხავდა თავის თავს სემიონოვი. სახარებაში სწერიაო: „კეთილი მწყემსი თავის სულს გასწირავს ცხოვართათვისაო" და ასე კია ცხოვრებაშიო?

18 წლამდის სემიონოვი ცხოვრობდა პეტერბურგში.— „ახლა კი ვსცხოვრობ სოფელში და ვხნავ, ვთესავო; მყავს ცოლ-შვილი და შემიძლიან დაკარწყუნოთ, რომ ბედნიერად ვგრძნობ ჩემს თავსაო. მართალია, ზოგჯერ ვსცდები, რაიმე ცუდს ჩავიდენ ხოლმეო, მაგრამ მალე ვსწორდები და წარმოვიდგენ თუ არა ქრისტეს და სხვა გამოჩენილ კაცებს, ჭკვა მაშინვე მინათლდება და მე წინანდებურად სწორე გზას ყადგებიო".

დრო მიდიოდა. სემიონოვი ხანში შედიოდა, ის ბეჯითად აკვირდებოდა ცხოვრებას და ბოლოს აი მოესურვა სხვასაც გაუზიაროს თავისი ნახულ-ნაფიქრი. ამ მიზნით სემიონოვმა განიძრახა მოთხრობის დაწერა. შეთხუზვა საჭირო არ იყო, რადგანაც მას ის უნდა დაეწერა, რაც თვისი თვალით

ენახა და რასაც ამის გამო მისი თავი ფიქრობდა. ამ გვარად სემიონოვმა დასწერა, თუმცა დიდის წვალებით კი, თავისი პირველი მოთხრობა „ორი ძმა". ამ მოთხრობაში სემიონოვს გაჰყავს ის აზრი, რომ დაცემულის და ავის კაცის კეთილ გზაზედ გამოყვანა მხოლოდ სიკეთით და სიყვარულით შეიძლებაო. ეს თვისი მოთხრობა სემიონოვმა გაუგზავნა ერთს წიგნის მაღაზიას და თან მისწერა წერილი: „გასინჯეთ და თუ მოგეწონოთ, დაბეჭდეთო". აღმოჩნდა, რომ მოთხრობა მშვენიერია, შეასწორეს ცოტა და დაბეჭდეს. სემიონოვს ძლიერ იამა, როცა დაინახა თავისი პირველი შრომა დაბეჭდილი. მან დასწერა ახლა მეორე, მესამე, მეოთხე და ამ გვარად სემიონოვი გახდა ჩინებული სახალხო მწერალი. ამ წიგნებს ათიათასობით ჰყიდიან ძლიერ იაფად მთელს რუსეთში ოფენები —წიგნებით მოვაჭრე მოსიარულენი. ყოველ თავის მოთხრობაში სემიონოვი აღწერავს ადამიანის რომელიმე ნაკლს, მანკს. აი რას ამბობს სემიონოვი წიგნებზედ: „წიგნში გატარებული უნდა იყოს რომელიმე კარგი აზრი, დაკავშირებულად ხალხის რომელიმე ნაკლულევანებასთანაო, რათა ამ გზით ძირიან-ფესვიანად ამოვაგდოთ ეს ნაკლიო. უპირველესი ნაკლი ჩვენის ხალხისა არისო: ხალხისა და მისი ცხოვრების დაშორება-ჩამორჩენა ქრისტეს სწავლა-მოძღვრებაზედაო; მეორე: გადამეტებული სიყვარული სიმდიდრე-ფუფუნებისა და უკანონო, უსვინიდისო საშუალებებით სხვათა შრომით სარგებლობაო. სხვა ნაკლულევანებანი ჩვენის ხალხისა არისო: ლოთობა, გარყვნილობა და მრავალი ცრუმორწმუნოება, რომლებიც ძლიერ უშლიან კაცს და ქალს ამ ქვეყნად სიმართლით ცხოვრებასაო. აი ამათ წინააღმდეგ უნდა იწერებოდეს სახალხო წიგნებიო. სემიონოვი რასაც ამბობდა, იმასვე ასრულებდა: ის გასართობად როდი სწერს თავის წიგნებს, არამედ საყოველთაო სასარგებლოდ. სემიონოვი სწერს მარტო ზამთრობით. ზაფხულობით ამისათვის იმას არა სცალიან, რადგანაც მუშა-

ობს. სემიონოვს სახლში პატარა წიგნთ-საცავიც აქვს, რომელსაც ხმაროობს მთელი სოფელი.

* * *

მოვიყვანთ ერთს მაგალითსაც, თუ წიგნების შემწეობით ერთი გლეხი როგორ გახდა მეცნიერი: ნიჟეგოროდის გუბერნიაში, სოფელ ბოგოროდსკში სცხოვრობს ახლაც 55 წლის გლეხი კონსტანტინე ივანეს ძე. უწინ ის ყოფილა ბატონის ყმა. წერა-კითხვა თითონ უსწავლია, რისგამოც ბატონმა დაიყენა ის სოფლის მწერლად. მაგრამ კონსტანტინეს გული უფრო წიგნების კითხვისაკენ იწევდა და ბატონი თუმცა ძლიერ უწყრებოდა ამაზედ, ის მაინც თავ-გამოდებით კითხულობდა წიგნებსა. მის ბატონს სხვათა შორის მოსდიოდ გაზეთები, უფრო ფრანგული. კონსტანტინეს ძალიან უნდოდა შეეტყო საზღვარ-გარეთის ამბები და ამიტომ შეუდგა ფრანგულის სწავლას. ამაში იმას ხელს უმართავდა ბატონის ერთი მოსამსახურე, რომელმაც კარგათ იცოდა ფრანგული. ამ კაცის შემწეობით კონსტანტინემ ისწავლა არა მარტო ლაპარაკი, არამედ წერა და კითხვაც ამ ენაზედ. ერთხელ კონსტანტინეს შეხვდა ფრანგული წიგნი, რომელშიაც ეწერა ცისა, მზისა და ვარსკვლავების შესახებ. კონსტანტინეს ძალიან მოეწონა წაკითხული და მთელს ღამეებს ატარებდა ცის სინჯვაში, რომ გაეგო, როგორ აწყვია ვარსკვლავები ცაზედ, როგორა მოძრაობენ და სხვა. 19 თებერვალს 1861 წელს, ხელმწიფის ბრძანებით ბატონ-ყმობა მოსპეს რუსეთში და ჩვენი კონსტანტინეც განთავისუფლდა ბატონისაგან. ის დასახლდა სოფელში ცალკე და წინანდებურათ მთელს თავისუფალს დროს ვარსკვლავების შესახებ წიგნების კითხვას ანდომებდა. მაგრამ ერთი რამ აწუხებდა ძლიერ კონსტანტინე ივანეს ძეს. ეს ის, რომ ვარსკვლავების კარგათ დასანახად ამას არა ჰქონდა დურბინდი. კონსტანტინემ გადასწყვიტა იყიდოს ასეთი დურბინდი, მაგრამ კარგი დურბინდი იაფი როდია,—ორასი-სამასი მანეთიც ცოტაა. კონსტანტინემ დაიწყო ფულების გროვება და

რამდენიმე წელიწადში თავი მოუყარა საკმაო ფულს. მაშინ იმან მისწერა წერილი საფრანგეთის ერთს მსწავლულს და სთხოვა რჩევა, თუ როგორი დურბინდის სყიდვა იქნება საუმჯობესო. მეცნიერმა მოსწერა რჩევა. კონსტანტინეს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა მიიღო ფოჩტით საფრანგეთიდამ დიდის ხნის სანატრელი დურბინდი. თქმა არ უნდა, რომ კონსტანტინე ივანეს ძე ამას იქით უფრო მეტის გატაცებით შეუდგა საყვარელ საქმეს. შახვდებოდა თუ არა კრიალა ღამე, კონსტანტინე გაფაციცებით შეუდგებოდა ცის ცქერას და ვარსკვლავების თვალიერებას თავისი საყვარელი დურბინდით. კონსტანტინემ სულ დაწვრილებით იცის, როგორ არის აგებული ცა, როგორ მოძრაობენ მნათობნი, რა არის მზეზედ, ვარსკვლავებზედ და სხვა. გლეხებმა კარგათ იციან კონსტანტინეს ასეთი მეცნიერება და უქმე დღეებში ათობით და ოცობით მოდიან იმასთან, რომ მოისმინონ მისი ცოდნა ცაზე და მნათობებზედ. კონსტანტინე ივანეს ძეც სიამოვნებით უზიარებს მათ თავის ცოდნას და კარგს ღამეებში ხშირად დურბინდშიაც გაახედებს ხოლმე გაკვირვებულ გლეხებს...

* *
*

ვსთქვათ ორიოდე სიტყვა ჩვენს თვითნასწავლ თანამემამულე იოსებ დავითაშვილზედაც.

იოსებ დავითაშვილი იყო რუსელი გლეხი. მამა მისი იყო ხელობით ფეიქარი და მეწისქვილე.

დაიბადა 1850 წლებში. ერთხელ, თორმეტი წლის იოსები ეწვია თავის დას, რომელიც გათხოვილი იყო სოფელ ატენში და აქ პირველად ისწავლა მისგან ქართული წერა-კითხვა. აი როგორ ასწერს თითონ იოსები ამ ამბავსა:

„მე და მყვანდა ნიჭიერი,
თუმც არ იყო მსწავლულია,
იყო ტკბილი, გრძნობით სავსე
ოჯახის ბურჯი სრულია.

ერთხელ მითხრა: მოდი, ძმაო,
მინდა რამე გიზიარო,
კეთილ გზაზედ დაგაყენებ,
ვინძლო შენცა ზედ იარო!
წიგნის სწავლა ნათელია,
უსწავლელობა ბნელია,
ანბანს გასწავლი, ეცადე,
მაგრა მოჰკიდე ხელია.
ქვაბის მურის მონალესით
მომიმზადა მელანია,
ხარის ბეჭი დაფად მქონდა,
მასწავლიდა მელანია. (ეს იყო სახელი მისი დისა).

წერა-კითხვის შესწავლის შემდეგ, იოსები მუდამ იმის ცდაში იყო, რომ ჩქარი კითხვა ესწავლა და ყველა ქართული წიგნი წაეკითხა. იოსები თუმცა მეჩუქურთმე იყო, მაინც ხელოსნობას ისე რიგად არ ეტრფიალებოდა, როგორც მწერლობას. ამისი მუდმივი ფიქრი—კითხვა და წერა იყო. მაშინ იყო ხოლმე ამისი აღდგომა, როცა თავისს ნაწერს ჰნახავდა დაბეჭდილს. ამითვე აიხსნება ის ამბავი, რომ მას არ მოსწონდა მუშების ლოთობა და ქეიფი კვირა-უქმე დღეებში. ამის ასაცილებლად ის ცდილობდა თავი მოეყარა მუშებისათვის და რამე სასარგებლო წიგნი წაეკითხა მათთვის. მაგალითად მას ბევრჯელ წაუკითხავს დამსწრეთათვის: „გლახის ნაამბობი", „სურამის ციხე", „რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ" და სხვანი. თავისს ვინაობას იოსები აგვიწერს ასე:

„სოფლელი გლეხის შვილი ვარ,
მჭადითა გამოზრდილია,
უქუდო, ჩოხის ამარა,
ქალამნებ გაცვეთილია.
ობოლი დავრჩი დედ-მამას,
დრო მადგა გასაჭირია,
სადაც კი ვარდსა დავეძებ

იქ მხვდება ეკლის ძირია.
  მამაც ამ რიგად ტანჯულა,
ვით ვიტანჯები შვილია,
თუმცა სათქმელი ბევრი მაქვს,
ვერ გამოლია პირია...

იოსები იყო მეტად უანგარო, უხარბო და პატიოსანი გულის კაცი. ეს კარგათა სჩანს მის შემდეგი ლექსიდამ:

„თავზედ დამექცეს ცაჴრისხვით,
სხივი ვერ ვნახო მზისა მე,
მაღალი ღმერთი გამიწყრეს,
თუ რამ ვინდომო სხვისა მე“.

იოსები იმავ დროს იყო ყველას შემწყნარებელი და მიმტევებელი; მტრობა, ძულება, ჯავრი, შურის-ძიება შორს იყვნენ მისგან. იგი ამბობს:

„კაცი ხარ კაცად შობილი
კაცი გიყვარდესო...
  ეკლესიას დახვიდოდე
ყოველ უქმე დღესო;
დავითნი და სახარება
ორივ იქა ძევსო.
  იმათში ესე სწერია:
კაცი გიყვარდესო,
კეთილისათვის ბოროტად
თუ ვინმე გხდიდესო—
  სამაგიეროს ნუ უზამ,
  დეე თვით მიხვდესო!..

—

  არ დაივიწყოთ, გახსოვდეთ
ქრისტე და მისი ჯვარია,
რომლითაც სთრგუნა ბოროტი,
ყველა იუდას გვარია!..
  დაარიგა და ასწავლა

ძათ კაცობრივი ვალიო:
ყველა ერთი ხართ არსებით,
დაიცეთ სამართალიო.
არავის დაეჩაგვრინოთ
და არც იმონოთ სხვანიო,
ყველამ იშრომეთ ძმურათა,
არ დაიშუროთ ჯანიო!,.

იოსები ყველაზე უფრო იმას ქადაგებდა, რომ ჩვენის ხალხის ხსნა სწავლასა და განათლებაშიაო. ერთს თავისს ლექსში იოსები ასე ურჩევს გლეხებს სწავლასა:

„რალას უყურებთ, ვეცადოთ,
სწავლას მოვკიდოთ ხელიო,
ვეცადოთ სწავლა მივიღოთ,
ერთმანერთს მივცეთ მხარიო.
გლეხებმა წიგნი ვისწავლოთ,
ეს არის ჩვენი ვალიო;
გვეყოფა რაც რომ გვეძინა,
დროა გავაღოთ თვალიო...
მე კარგსა რასმე აგირჩევთ,
მიღება თქვენზედ ჰკიდია:
სწავლაა ბნელის ფარანი,
სწავლა ცხოვრების ხიდია“.

იოსები თითონაც მუდმივ ცდაში იყო ესწავლა. აი რას ამბობს ის ერთს თავისს ლექსში:

„კაცი არსად მოვკალი,
არსად რა მოვიპარე;
რაც რომ შრომით მოვიგე,
მით მოძმეც გავახარე.
მათი გადანარჩენი,
სწავლაზედ მოვიხმარე,
გარყვნილი კაცის ქცევა
ახლოს არ მივიკარე.

სადაც ცუდ საქმეს შევხვდი,
ავდექ და გავიპარე,
დავჯექ წიგნი ვიკითხე,
მით გული გავახარე.
გაზეთი და წიგნები
მუდამ ჯიბით ვატარე,
და იმათ შემაყვარეს
ჩემი სამშობლო მხარე.

უკანასკნელი ლექსი, რომელიც იოსებს სიკვდილის წინა დღეებში დაუწერია 1887 წელს ქ. თელავში, იყო შემდეგი:

„აწ განისვენე, მშვიდობით,
შენ, ჩემო სუსტო კალამო,
ბოროტი გულის გამგმირო,
მაგრამ კეთილის მალამო!
გამჭირებია ცხოვრება,
ვზივარ და მწარედ ვსტირია,
ბევრი რამა ვსთქვი საგრძნობი,
მაგრამ მსმენელი ძვირია!“.

—

ვინ ასწავლა სემიონოვს, დავითაშვილს, ჭიჭინაძეს და სხვებს წიგნების წერა? არავინ. ამათ თითონ ისწავლეს წერა, რადგანაც უყვარდათ კითხვა. ამათ რომ კითხვა არა ჰყვარებოდათ და წიგნები არ ეკითხათ, მათშიაც ისე ამოიკვეთებოდა ღვთიური ნაპერწკალი, რომელიც აადამიანებს ყოველს გონიერს არსებას, როგორც ბევრს სხვა ნასწავლებში; ამათ რომ არ ეკითხათ წიგნები და არ ეაზრათ წაკითხულზედ, ამათშიაც არ განვითარდებოდა მადლი, ნიჭი და ესენიც ისეთები იქნებოდნენ, როგორც ზოგიერთი სკოლებში ნასწავლები, რომლებმაც ბევრი სწავლა მიიღეს, კარგათაც კითხულობენ, მაგრამ მათს ყველა ამ ცოდნას აკლია ღვთიური მადლი—აზრი და სურვილი სხვასაც გამოვაყენოთ ეს ჩვენი ცოდნაო...

ივანე როსტომაშვილი.

---

*) ვსთხოვთ ჩვენი ქვეყნის თყათ ნასწავლებს, მოგვწოდონ თავიანთ ცხოვრებისა და თყით-სწავლის აღწერასა ყურნალ „მოგზაურში“ დასაბეჭდათ. რედ.

სწავლა-აღზრდის რეფორმა-ტორნი *).

ზოგიერთი მწერლები ლოკკის წინეთ.

XVII საუკუნის დასაწყისში ჩვენ ვამჩნევთ განსხვავებას აზრთა და ინტერესთა უმთავრეს მიმართულებაში. როგორც ზემოთაც ვიხილეთ XVI საუკუნე თაყვანს სცემდა ლიტერატურას და თავის აღტაცების ღირსად მხოლოდ იმასა სთვლიდა, რაც შორეულ წარსულს დაეტოვებინა ჩამომავლობისათვის. მართალია, ზოგიერთი ბსწავლულნი, მათ შორის შტურმიც, ოცნებობდნენ ახალ ლიტერატურულ ნაწარმოებებზე, რომელთაც უნდა დაეჭირათ ძველი სამაგალითო ნაწერების ადგილი, ბაგრამ იგინი თავიანთ მოლოდინში, დაებრუნებინათ ოქროს საუკუნე, მხოლოდ ერთში ეთანხმებოდნენ ერთმანეთს —სახელდობრ იმაში, რომ ოქროს საუკუნეს ხედავდნენ მხოლოდ შორეულ წარსულში. ახალმა საუკუნემ დაბადა ახალი შეხედულობანი და ახალი მიმართულება.

ძველი მწერლების ამნაირი თაყვანისცემა განა თავისებურ ცრუმორწმუნეობას არ შეადგენდა? ეჭვ გარეშეა, რომ ის ენები, რომლებზედაც სწერდნენ ძველი მწერლები და რომელთაც გუნდრუკს უკმევდნენ იგინი, შეადგენდნენ მშვენიერ ენებს, ბაგრამ მაინც ნაკლებ გამოსადეგნი იყვნენ ახალი დრო-

---

*) იხ. „მოგრაური“ № 11 და 12, 1903 წ.

ის აზრთა, გრძნობათა და მოთხოვნილებათა გამოსათქმელად და გამოსახატავად; ხოლო რაც შეეხება ძველ მწერალთა ნაწერების შინაარსს, მას არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა მოთხოვნილება თანამედროვე ადამიანის გონებისა.

იგი არ იძლეოდა პასუხს ჩვენის არსებობის უმთავრესს დანიშნულებაზე და ცოდნის მაგიერ იძლეოდა მხოლოდ სხვადასხვა მოსაზრებას, პოეტურ ოცნებათა და მჭერ-მეტყველობას. კაცს ჰსურდა გაეგო თავისი დამოკიდებულობა ღმერთთან და ბუნებასთან, მაგრამ კლასსიკები ამ კითხვებზე ან სულ ხმას არ იღებდნენ და ან თუ იღებდნენ, საკუთარი ახსნით და განმარტებით უფრო აბნელებდნენ ამ კითხვებს და უფრო მეტ შეცდომაში შეჰყავდათ კაცი. ამავე დროს კი მტკიცე კავშირი კაცსა და ბუნებას შორის ცხადად გამოსჭვიოდა და კაცს ჰსურდა მისი მალე შეგნება და გაგება. აქედგან დაიბადა რეალური ცოდნის მოთხოვნილება, ბუნების კანონების შესწავლის სურვილი. მე ვიცნობდი ერთს მათემატიკოსს, რომელმაც მილტონის „დაკარგული სამოთხის“ წაკითხვის შემდეგ წარმოსთქვა: „მაგდენად ძვირფასი არ არის ეს თხუზულებები, რადგან მასში არაფერი არ მტკიცდებაო“. სწორედ ამნაირივე თვალით უყურებდა კლასსიკებს მსწავლულთა რეალური სკოლა, რომელთაც ჰუმმანისტების ადგილი დაიჭირეს. მათ მხოლოდ ერთი სურვილი ჰქონდათ—გაეცნოთ ბუნების კანონები და ყოველ იმას, რაც არ იძლეოდა ამნაირ ცოდნას, შესწავლისა და გაცნობის ღირსად არა სთვლიდნენ იგინი. ამ გვარად აზრთა მიმართულებაში, რომელიც აღორძინების ეპოქის დროიდგან მოკიდებული ბატონობდა მთელს ევროპაში, დაიბადა რევოლიუცია, რომელმაც ხელი ააღებინა მსწავლულებს ოქროს საუკუნის ძებნაზე წარსულში. მეცნიერებისათვის ეს საუკუნე ჯერ კიდევ აღრე იყო. მეცნიერნი იკვლევდნენ ახალ-აღმოჩენათ და გულმოდგინეთ სწავლობდნენ; თვითეულ ახალ აღმოჩენას შეჰქონდა მეცნიერების სალარო-

ში თავისი განძი და ხდებოდა მის შესწავლის მსურველთ საკუთრებად.

რამდენადაც სიტყვიერების მიმდევარნი (словесники) პატივისცემით იხსენიებდნენ წარსულს, იმდენად მეცნიერების მიმდევარნი არაფრად აფასებდნენ მას; პირველნი შრომობდნენ კლასსიკთა უკეთეს ნაწერთა შესწავლაზე, მეორენი კი აფასებდნენ მხოლოდ ბუნების ჭეშმარიტებათა შესწავლას; სიტყვიერების მიმდევარნი ქედს იხრიდნენ თავიანთ ორაკულთა ვტორიტეტის წინაშე, რეალისტებს კი მხოლოდ ის სწამდათ, რაც მათ გონებას არ ეწინააღმდეგებოდა. ამ რევოლიუციის პირველი მოთავე იყო ფრენოს ბეკონი; რეალიზმის მეტად გულ-მოდგინე თაყვანისმცემელნი იყვნენ აგრეთვე რატიხი და ამოს-კომენსკი; ინგლისში კი ამ ახალი მიმართულების სულით გამსჭვალულია მილტონის, ლოკკის და სხვათა რავალთა მწერალთა სწავლა-მოძღვრება, რომელთა სახელებს ნაკლებ იცნობს კაცობრიობა.

აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის განსხვავება, რომელსაც ვამჩნევთ იმ მწერალთა ნაწერებში, რომელნიც თვითონ მოღვაწეობენ სწავლა-აღზრდის ასპარეზზე და იმ მწერალთა, რომელნიც მხოლოდ თეორიულად იკვლევდნენ პედაგოგიურ კითხვებსა. ისინი, რომელნიც მოქმედებენ პედაგოგიურ ასპარეზზე, იძულებულნი არიან ძალა-უნებურად მხარი დაუჭირონ არსებულ წეს-წყობილებას; მათ უეჭველად დანიშნულ დროს განმამავლობაში უნდა შეახწავლონ ყმაწვილებს ესა თუ ის გადაწყვეტილი საგანი; ამაზეა დამოკიდებული მათი სამსახური და ლუკმა პურის კითხვა. ამის გამო თვით ეს მოღვაწენი თავიანთ მდგომარეობის გამო კონსერვატორები არიან, და იშვიათად თუ რომელიმე მათგანი განიძრახავს იფიქროს უფრო თავის უაღრეს დანიშნულებაზე, ვინემ არსებული სწავლის სისტემის გაუმჯობესებაა. ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი მეცადინეობენ მარტო არსებულ წეს-წყობილების ძირიანად, რადიკალურად შეცვლას, რომელნიც მასწავლებელ-

თა გუნდში არასოდეს არ ყოფილან და ან თუ ყოფილან მალე დაუნებებიათ თავი, რადგან არ მოსწონებიათ არსებული სკოლის წეს-წყობილება.

XVII საუკუნის დასაწყისში ინგლისელ უკეთეს პედაგოგთა შორის, შემდეგ მიულ-კასტერისა, უნდა ჩაითვალნენ ჯონ ბრინსლეი და ჩარლზ გიულეი. მკითხველის ყურადღებას აქ ჩვენ მხოლოდ ამ უკანასკნელზედ შევაყენებთ.

XVII საუკუნის ნახევარში ჩვენ პირველად ვხედავთ რეალიზმის გავლენის კვალს პედაგოგის ჩარლზ გულიეს ნაწერებში, რომელიც იყო გიმნაზიის მასწავლებლად ჯერ როტტერდამში და შემდეგ ლონდონში. მან ბლომა სახელმძღვანელოები შეადგინა, გადასთარგმნა ამასთანავე ინგლისურად კომენსკის „orbis pictus“ და დაბეჭდა თავისი თხუზულება New pisccoaeri of the old art of teachivy shoole“, რომლიდგანაც ვტყობილობთ, რომ იგი ბევრში ეთანხმებოდა რეალისტებს და იმათსავით წინააღმდეგი იყო იმ გარემოებისა, რომ ინგლისური ენა სკოლებში უყურადღებოთ იყო მიტოვებული. კომენსკიო, ამბობს იგი, მართალი იყოვო, როდესაც თხოულობდა ყმაწვილების ჯერ გარეგან გრძნობათა განვითარებას და გავარჯიშებას და შემდეგ მათის გონების განვითარებას საგნების პირველ ელემენტარულ თვისებათა შესწავლით და მათ შორის გონივრული და ლოგიკური კავშირის დამყარებით. ჩვენს სკოლებში კი ასე არ ვასწავლითო: ჩვენ ვასწავლით ყმაწვილს როგორც თუთიყუშს, იმის ლაპარაკს, რაც თითონ არ ესმის და რაც კიდევ უფრო ცუდია, ვაწყებინებთ სწავლას პირდაპირ გრამმატიკით, ვუმსებთ ყმაწვილს თავს გრამმატიკის განყენებულის კანონებით, რომლისა მას არაფერი გაეგება, რადგან არ ესმის იმ ენის სიტყვები, რომელსაც იგი სწავლობს. ეს არის ვგონებ იმის მიზეზი, რომ მშობლები აძლევენ სასწავლებელში შვილებს მხოლოდ მეთერთმეტე წლებში. თქვენ, რომელთაც ვალად გადევთ პატა-

რა ყმაწვილების აღზრდა, ნუ შეაწუხებთ და ნუ მოლალავთ მათ გონებას, ნუ დაამძიმებთ მათს მეხსიერებას გრამმატიკის განყენებული ფორმა-კანონებით, რომელნიც ასე ძნელად დასამახსოვრები არიან და ასე ადვილად ჰქრებიან მეხსიერებიდგანაო. დაე ყმაწვილებმა ჯერ შეისწავლონ და გაიცნონ საგნები და სიტყვები, რომლითაც იგინი გამოიხატებიან და მაშინ შესასწავლელ ენის კანონებს უფრო ადვილად შეისწავლიან და შეითვისებენ და უფრო მაგრაც დაინახსომებენო *). ჩარლზ გულეი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ კითხვას, როგორც მათის პროფესიის საფუძველს.

— „ოხ, ღმერთო ჩემო, რამდენი ჭკვიანი და ნიჭიერი ყმაწვილი დაღუპულა მასწავლებლის უყურადღებობოთ და უგუნურებით!“ —ვკითხულობთ თომა ელლიოტის თხუზულებაში, მის Lavernor“, რომელიც 1531 წელს დაიბეჭდა. ვგონებ რომ ასეთ განცვიფრებას ადგილი ჰქონდა არამცთუ XVII საუკუნეში, არამედ ჩვენი XIX საუკუნის დასაწყისშიაც **) და დღესაც. თუმცა XVII საუკუნეში სწავლა-აღზრდის თეორიამ ძალიან დიდი ნაბიჯი წასდგა წინა, მაგრამ პრაქტიკაში კი სკოლის საქმეს ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლდა და ბევრის გაკეთება იყო ჯერ კადევ საჭირო. ძნელად თუ ვინმე მათგანი, რომელნიც თეორიულად თუ პრაქტიკულად იკვლევდნენ აღზრდათა კითხვებსა, დაჯილდოვებული იყო ჯეროვანი ლიტერატურულის ნიჭით, რომ თავის ნაწერებით დაემსახურებინა (გამოეწვია) საზოგადოებისა და პედაგოგიური წრის ყურადღება. ასეთი წარჩინებული მწერლები კი, როგორც რაბელიე, მონტენი, მილტონი, ლოკკი, რუსსო და გერბერტ სპენსერი

---

*) გულეის ეს სიტყვები ზედ გამოჭრილია ჩვენს დღევანდელს უოფაზედ, ჩვენის შვილების დღევანდელს ანტიპედაგოგიურს სწავლაზედ. რედ.

**) და დღესაც,—დავუმატებთ ჩვენ. რედ.

მხოლოდ სხვათა შორის ეხებოდნენ სწავლა-აღზრდის კითხვებსა. მასწავლებლები კი, როგორც ზემოთაც მოვისსენიეთ, კონსერვატორები არიან *); ამასთანავე მათ ძნელად მოეძებნებათ საჭირო მოცალეობა (დრო) და საშუალება დააბეჭდინონ თხუზულებანი იმ კითხვათა შესახებ, რომელნიც შეეხებიან მათს მოქმედებას. ამის შედეგი კი ისაა, რომ ვისაც ჰსურს სწავლა-აღზრდის კითხვათა შესწავლა და გაცნობა, იმან უნდა მიმართოს უეჭველად იმ წიგნებს, რომელნიც მხოლოდ დიდ წიგნთ-საცავებში მოიპოვებიან, იმ წიგნებს, რომელთა უკვე დავიწყებულნი ავტორნი იძლევიან რჩევა-დარიგებას, თუ როგორ უნდა მიდიოდეს სკოლაში სწავლა და რა უნდა იყოს იქიდგან განდევნილი. ერთი აწნაირი ორიგინალური მწერალთაგანი იყო პურიტანი დურუ, რომელსაც 1649 წ. დაბეჭდა თავისი თხუზულება და განმარტა მასში აღზრდა ორთავე სქესის ახალგაზრდობისა ქრისტეს სარწმუნოების მოთხოვნილების გვარად.

იგი ამბობს: „სწავლა ყმაწვილებისა არ უნდა იყოს ძნელი და მოსაწყენი, მათი შრომა შეძლების გვარად უნდა იქმნეს მასწავლებელთა მიერ გაადვილებული, რომელთაც ყოველი ღონე უნდა იღონონ და ყოველი საშუალება იხმარონ, რომ მათი სწავლა ადვილ გასაგები და სასიამოვნო იყოსო“.

სწავლა-აღზრდაში დურუ უმთავრეს საჭიროებად სთვლის: 1) ყმაწვილებში ღვთის-მოყვარეობის განვითარებას; 2) მათ ჯან-მრთელობის გამაგრებას; 3) კარგი ზნე-ხასიათის და ყოფა-ქცევის ჩანერგვას და 4) მეცნიერება-საგნების შესწავლაში გამარჯვება-წარმატებას.

„კეთილ-მორწმუნეობა და ჯან-მრთელობა, ამბობს იგი,

---

*) როგორც ბ-ნი ლ. ბოტვაძე, რომელიც დაუკითხავად საკუთარის მსჯელობისა, გამოდის „ივერიის“ ფურცლებზედ მოსარჩლედ იმ საზეპირო წიგნებისა და კაზეპირებით სწავლებისა, რომელმაც აუარებელ მოსწავლეს შუა გზაზედ დაატოვებინა სწავლა და კიდევაც აურიცხველს იმსხვერპლებს ესეთი სისტემა სწავლებისა. რედ.

შეადგენენ კაცის უსაჭიროეს მოთხოვნილებას: პირველი საჭიროა მისი სულიერი კეთილ-დღეობისათვის, მეორე კი მის მატერიალური კეთილ-ცხოვრებისათვის; ამიტომ საჭიროა გულ-დადებით მეცადინეობა ყმაწვილების სხეულის განვითარებაზედ, რომელიც დამყარებული უნდა იყოს მიწის მუშაობაზე, ხელოსნობაზე და სამხედრო ვარჯიშობაზე".

სწავლის შესახებ იგი იმავე საჩივარს იმეორებს: „ყმაწვილებს,—ამბობს იგი,—ასწავლიან ძველი ავტორების კითხვასო, ძლიერ ატანენ ზეპირად დაისწავლონ სიტყვები და თქმულებანი, როდესაც მათ წარმოდგენაც კი არა აქვთ იმ საგნებზე, რომელნიც გამოთქმულნი არიან ამ სიტყვებით და თქმულებებით. ყმაწვილები ზეპირად სწავლობენ საზოგადო კანონებს და ის კი არ იციან, თუ როდის და როგორ მოიხმარონ ეს კანონები. საზოგადოთ დურიე ქადაგებს სკოლიდგან რუტინის განდევნას. იგი ამბობს, რომ ნამდვილი მიზანი, რომელიც სახეში უნდა გვქონდეს სწავლა-აღზრდის დროს, ' გახლავთ იმ ნაკლულევანებათა მოსპობა, რომელთაც ვამჩნევთ ჩვენში და ჩვენს მეგობრებში და რომელნიც წარმოსდგებიან ჩვენი რეგვნობისაგან, ბუნებისა და თვით ჩვენი სარგებლობის უცოდინარობისაგან და აგრეთვე ჩვენი ჭკუა-გონებისა და ნიჭის უთავბოლოდ და ურიგოდ მოხმარებისაგან. როგორც საათში სწორედ ჩასმული პატარა თვალი თავის პატარა კბილებით ეჭერს მეორეს და ამას თავის მხრივ მოჰყავს მომრაობაში მესამე, და ამნაირად, სწორედ ჩასხმულნი, ეს პატარა თვლები ერთმანერთის დახმარებით ასრულებენ იმ დანიშნულებას, რომლისათვისაც საათია გაკეთებული; ამნაირადვე სწორედ განვითარებულ კაცის ნიჭიერებათაც მივყევართ იმ მიზნისაკენ, რომლისათვისაც გაგვაჩინა ჩვენ ღმერთმა. საათის მეხანიზმი თუ მოიშალა, საათი ჰკარგავს თავის ფასს და დანიშნულებას და პატრონისათვის ხდება გამოუსადეგრად. განა ესევე არ ემართება კაცის ნიჭიერებას? თუ იგი (ნიჭიერება) იმ მიზნისაკენ არ არის მიმართული, რომლისათვისაც გაგვა-

ჩინარე ღმერთმა, მაშინ მას არამცთუ სარგებლობა მოაქვს რამე ჩვენთვის, არამედ მძიმე ტვირთათაც და ბოროტების წყაროდაც ხდება იგი ჩვენთვინ".

ჩვენ ვხედავთ, რომ ბუნებაში ვარეგანი გრძნობანი თანდათანობით ამზადებენ გამოხატულებისათვის (воображеніе) მასალას, გამოხატულება ეხმარება მეხსიერების განვითარებას და ეს უკანასკნელი კი თავის მხრივ ხელს უწყობს გონების განვითარებასა, მეცნიერებისა და ხელოვნების შესწავლის დროს ჩვენ ყოველივე სამოსწავლო უნდა დაკალაგოო ისე, რომ ეს ნიჭიერებანი განვითარდნენ ბუნებრიულად. ამნაირად, დურეს მოთხოვნილება უმთავრესად იმაშია, რომ მისაღები განათლება დამყარებული იყოს მოსწავლეთა ნიჭიერების თანდათანობით განვითარებაზედ.

— „აი ჩვენი ცოდნის წყარონიო, ამბობს იგი: 1) გარეგანი გრძნობანი; 2) გარდაცემა; 3) ჭკუა-გონება. ის საგნები და ხელოვნებანი, რომელთა შესწავლა ყმაწვილებს შეუძლიანთ გარეგან გრძნობათა დახმარებით, სწორედ ამ გზით უნდა იქმნენ შესწავლილნი. რადგან ყმაწვილების ჭკუა-გონება მხოლოდ თანდათანობით ვითარდება მათის ფიზიკურად განვითარების გვარად, ამიტომ ყმაწვილთა პირველ-წლებში, როდესაც მათი გონებითი ნიჭიერებანი ჯერ კიდევ არ გამაგრებულან, უნდა ასწავლიდნენ მათ მხოლოდ იმას, რის შეთვისებაც შეუძლიანთ მათ გარეგან გრძნობათა და გამოხატულებათა დახმარებით".

გავიცანით რა ამ ღირსეული პურიტანელინის შეხედულობანი, არ შეიძლება არ ვაღვიაროთ, რომ მან თანამედროვე სწავლებას მეცნიერებისათვის უფრო ბევრი გააკეთა, ვინემ მისმა თანამედროვეებმა—სახელ-განთქმულმა მილტონმა და ლოკკმა.

მეორე იმ დროის მწერალი, რომელიც უფრო ცნობილი იყო, ვინემ დურუ, იყო ვილიამ პეტტე.

პეტტუს მიაჩნია საჭიროდ თანხმად მოქმედება და კავ-

შირი იმათ შორის, რომელნიც მეცადინეობენ მეცნიერებისა და ხელოვნების წინ-წაწევას; იგი ამბობს, რომ კაცობრიობის ბევრი ნიჭი იკარგება უსარგებლოდ და უკვალოდ მარტო იმიტომ, რომ მათ შორის არ არსებობს არავითარი კავშირი და თანხმობა, როგორც აქეთ-იქით გაფანტული ნაკვერჩხლები მალე ქრებიან, მაშინ როდესაც ერთად რომ იყვნენ შეკრეფილნი უეჭველად აენოებოდნენ და მოგვცემდნენ სინათლეს და სითბოს. ის გამო, რომ ზოგიერთებსა, რომელნიც შესდგომიან პედაგოგიურ მოღვაწეობას, არ იციან ის, რაც სხვების მიერ უკვე გაკეთებულა ამ სფერაში, ჩვენ ვხედავთ მათ იმ კითხვათა შემუშავებაში და გამორკვევაში, რომელნიც მათ წინაპართ-მიერ უკვე შემუშავებულნი და გამორკვეულნი არიან. ბევრნი, რაიმე უბრალო სიძნელის გამო, ვარდებიან გაჭირვებაში და არ იციან როგორ მოიქცნენ, მაშინ როდესაც სხვა უფრო გამოცდილი ადვილად დაიხსნიდა მათ ამნაირ გაჭირვებისგან. ამის გამო ძალიან ბევრი ძვირფასი დრო იკარგება უნაყოფოთ, როგორც ახალგაზრდა მასწავლებელთ-მიერ, ისე მათ მოწაფეთა მიერ".

პეტტუმ ბევრი გააკეთა სკოლის სასარგებლოთ იმითი, რომ მოითხოვა, რომ ყმაწვილებმა, ვინემ ლიტერატურის გაცნობას შეუდგებოდნენ, უეჭველად შეიძინონ რეალური ცოდნანი. ეს პეტტუს მოთხოვნილება დაიდო საფუძვლად შემდგომ სკოლაში შემოღებულ ესრედწოდებულ „საგნური გაკვეთილებისა".

პეტტუს ჰსურს, რომ ყმაწვილებმა ჯერ ის შეისწავლონ, რაც მათთვის უფრო სასარგებლო და საჭიროა; კითხვა შეიძლება იმ დრომდე გადაიდოს, ვინემ ყმაწვილები შეიძლებენ წაკითხულის გაგებას; წერაც შეიძლება გადიდვას იმ დრომდე, მანამ ყმაწვილები ისწავლიან თავიანთ აზრების ნათლად გამოთქმას. უცხო ენების სწავლებას კი მხოლოდ მაშინ უნდა შეუდგნენ, როცა იგინი კარგად გავარჯიშდებიან სამშობლო ენაზე კითხვაში. ამ წლოვანობაში უნდა ყმაწყილებში აღვზა-

რდოთ დაკვირვების ნიჭი და საგანთა და მოვლენათა დახსომება. ასეთ რეფორმის შემოღებას ურჩევდა პეტტუ იმიტომ კი არა, რომ პირადად თითონ გატაცებული იყო „საგნური გაკვეთილებით“, არამედ იმიტომ, რომ ამ დასკვნამდე მიიყვანა იგი ყმაწვილებზე დაკვირვებამ. „საგნების შესწავლა ყმაწვილებისთვის არამცთუ სასიამოვნო და ადვილია, არამედ პირდაპირ შეეფერება მათ ბუნებრივ მიდრეკილებასაო. ჩვენ ვხედავთ, როგორ აღტაცებაში მოდიან ყმაწვილები დალაბანდით, სტვირით, ჯოხისაგან გაკეთებული თოფით და სხვა სათამაშოებით; ყმაწვილების ერთ საუკეთესო და სასიამოვნო დროს გატარებას შეადგენს—ნადირობა, თევზაობა, ფრინველთ ჭერა, კაკანათის დაგება და სხვა.

ამასთანავე ჩვენ ვხედავთ, რომ პატარა ქალიშვილები რამდენსამე საათს წყნარად ატარებენ თავიანთ ტიკინების კაბების კერვაში, მათ ჩაცმა-დახურვაში და დაწვენ-აყვანაში; იგინი დიდის აღტაცებით და სიცილით რეცხავენ, სადილს აკეთებენ, ერთის სიტყვით, ცდილობენ ყოველ იმის გაკეთებას, რაისაც მათი დედები აკეთებენ, იქცევიან ისე, როგორც მათი დედები; ყმაწვილების თამაშობა უკეთესი დამამტკიცებელია მათი დაკვირვებისა და მათი დასამახსოვნებელი „და შესათვისებელი ნიჭისა“. პეტტუს ღვაწლი კიდევ ისაა, რომ ამტკიცებდა ყველა ყმაწვილებისათვის, განურჩევლად წოდებისა ხელ-საქმობის, მუშაობის საჭიროებას. მან განსაკუთრებული სასწავლებლის „Ergostula Literaria“-ს გეგმაც კი დაგვიხატა, სადაც ყველა მოწაფეთ, განურჩევლად წოდებისა და შეძლებისა, წერა-კითხვასთან ერთად უნდა შეესწავლათ სხვადასხვა ხელოსნობა.

ამ რეალურ ცოდნათა მოტრფიალეთა რეალისტებისაგან გადავიდეთ მათს თანამედროვე, სახელგანთქმულ და შესანიშნავ მილტონზედ.

ჯონ მილტონი მარტო შესანიშნავი პოეტი კი არ იყო, არამედ შესანიშნავი მსწავლულიც ამავე დროს; ყოველივე მი-

სგან თქმული და დაწერილი გვიმტკიცებს მის დიდ სწავლას; მისი ქვეყანა წიგნებით იყო სავსე; იგი თანამედროვე მწერალთა ნაწერებით, მათ შორის ბეკონის ნაწერითაც კი არ იყო გატაცებული, და მათ კი არა სწავლობდა, არამედ ძველ შესანიშნავ ავტორთა ნაწერებისა. მაგრამ როგორც სამართლიანად შენიშნავს პროფესორი ლორი, არავის, თვით მილტონსაც, არ შეეძლო ყურადღება არ მიექცია იმ აზრებისათვის, რომელნიც ჰაერში დაფრინავდნენ; თუმცა მილტონი არ იცნობდა იმათ, რომელთა მეოხებით იწყო დენა ახალ-მიმართულების ნაკადულმა, მაგრამ მან მაინც მოახმარა თავისი შეუდარებელი ნიჭი მათ იდეათა სამსახურს.

თავის მცირე შენიშვნებში, რომელნიც ეხებიან აღზრდას და რომელნიც შეადგენენ მრავალ წლების დაკვირვებათა და მოსაზრებათა ნაყოფს, მილტონი შეეხო მხოლოდ წარჩინებულ წოდების ახალგაზრდობის აღზრდას, მათს 12—20 წლამდე ცხოვრებას; ხალხის აღზრდას იგი უყურადღებოთ სტოვებს და ქალების აღზრდის შესახებ კი არაფერს ამბობს; მილტონის აღზრდის გეგმის ასეთი ვიწრო ფარგალი უკარგავს მას უმეტეს ღირსებას დი ინტერესს; ამასთანავე იგი ცდილობს გრძელი სიტყვა მოკლედ მოსჭრას, რის გამოც მისი აზრი ხანდისხან გაუგებარი და ბუნდოვანია ხოლმე.

მიუხედავად ამისა მის ტრაქტატში ჩვენ ვხედავთ საკმაოდ წინ-წადგმულ ბიჯსა.—„მსწავლულობა (ученость) აღზრდის მიზანი აღარაა, როგორც ამას ვხედავთ აღორძინების დროს; განათლების დანიშნულებაა, ამბობს მილტონი, გაასწოროს ჩვენთა წინაპართა დანაშაული; განათლება უნდა მოგვეხმაროს სიმართლით შევიგნოთ ღმერთი, შევიყვაროთ იგი და მივბაძოთ მას; ჩვენ უნდა ვეცადოთ დავემსგავსოთ ღმერთსა და ამისათვის საჭიროა დავთესოთ მოზარდ თაობის ნორჩ გულში თესლი სათნოებისა, რომელიც შეუერთდება რა წმინდა სარწმუნოებას, მიიყვანს უმაღლეს სისრულემდე. მხოლოდ ამ ქვეყნიური საგნების შესწავლით შეგვიძლიან გავიცნოთ ღმე-

რთი და უხილავი სამყარო და აი ამიტომ სწავლების საქმეში უნდა მივსდევდეთ ბუნებრივ მეთოდს; ამავე დროს ჩვენ უცხო ენების შესწავლის გულისათვის უყურადღებოთ ვტოვებთ საგნებს და გვავიწყდება, რომ ენები მხოლოდ საშუალებას შეადგენენ ამ საგანთა შესახებ სასარგებლო ცოდნათა გამოხატვაში. თუ ლინგვისტს შეუძლიან კიდევაც თავი მოიწონოს თითქმის მთელი ბაბილონის ენათა ცოდნით და ის კი არ შეუსწავლია, რაც მათ შორის უფრო საყურადღებო და საგულისხმოა და დაკმაყოფილებულა ცარიელი სიტყვებით და ლექსიკონით, იგი უფრო ნაკლებად ღირსია მსწავლულის სახელისა, ვინემ ხელოსანი, ანუ ვაჭარი, რომელთაც საფუძვლიანათ იციან მარტო თავიანთი სამშობლო ენა".

შემდეგ მილტონი გვიხატავს თავისუფალ და ჰუმანიურ აღზრდის იდეალს, რომელიც, მის სიტყვით, მხოლოდ მაშინაა პატივისცემის ღირსი, როდესაც აძლევს კაცს შეძლებას სიმართლით, გონივრულად და რიგიანად აღასრულოს თავის კერძო და საზოგადო მოვალეობანი, როგორც მშვიდობიანობის, ისე ომის დროს.

არ შეიძლება კაცი აღტაცებაში არ მოიყვანოს იმ პატიოსნურმა კილომ, იმ დიდსულოვანობამ და ადამიანის იმ სულის ძლიერების რწმენამ, რომლითაც გაჟღენთულია მილტონის მთელი თხუზულება აღზრდის შესახებ. აი სწორედ ამაში და მის ფორმალიზმისა და სხოლასტიკისადმი სიძულვილში ვხედავთ მის ტრაკტატის უმთავრეს ღირსებას. რაც შეეხება მის აღზრდაზე მოსაზრებათა პრაქტიკული მხრივ გამოყენებას და მოხმარებას, უნდა ვაღვიაროთ, რომ იგინი უკარგისნი და ნაკლებ მოსაზრებულნი არიან. იგი შემცდარია, როდესაც იძლევა რჩევას, რომ თვითეულმა ქალაქმა ააგოს იმისთანა სასწავლებელი, რომელშიაც შეიძლებოდეს გიმნაზიისა და უნივერსიტეტის ერთად მოთავსება, სადაც ყმაწვილებმა 12—20 წლამდე უნდა მიიღონ განათლება. მე ვეთანხმები პროფესორს ლაურეს, რომ ასეთი კაზარმული ცხოვრება ახალგაზრდობი-

სათვის სასარგებლო არ იქმნება და რომ მისი პროექტი სამხედრო სპარტანული აღზრდისა და ათინურ ჰუმანიურ აღზრდას ერთმანეთთან შეერთების შესახებ ოცნების მტკნარ ნაყოფად უნდა ჩაითვალოს.

გატაცებული საკუთარი და ძველ ფილოსოფოსთა აზრეპით, იგი ნაკლებ აკვირდებოდა ახალგაზრდობის გონების განვითარებას; იგი არ თხოულობდა მისგან თვით ბუნების დაკვირვებას და შესწავლას და ჰსურდა მხოლოდ, რომ საჭირო ცოდნანი შვეძინა მას სამოძღვრო წიგნებიდგან; მილტონს უნდოდა, რომ მოსწავლეებს ვირგილიისა და კოლუმალლას შესწავლით შეესწავლათ მეფუტკრეობა და მეურნეობა.

ყოველ შემთხვევაში მილტონი მაინც დარჩება კაცობრიობის ერთ უუდიდეს აღმზრდელად.

ს. ტატუსაშვილი.

დედები შესანიშნავ კაცთა *).

ლიუდოვიკო წმიდა

(1215—1270).

ბიანკა კასტილიელი, დედა წმ. ლიუდოვიკოსი, შესანიშნავი ქალი იყო როგორც ხასიათით, ისე ნიჭითა და ჭკუა-გონებით. ის მშვენივრად იყო აღზრდილი: მას ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი მრავალი ხელოვნება და ენები: ესპანიური, ფრანგული, ინგლისური და ლათინური. ამ უკანასკნელს ენას, როგორც ვიცით, საშუალო საუკუნოებში ყველა მეცნიერები ხმარობდნენ და საზოგადოებაშიაც ძალიან იყო გავრცელებული. ამას გარდა ბიანკა იყო ძალიან ბეჯითი, შრომის-მოყვარე და საკვირველის მსჯელობის პატრონი. ის იყო გამბედავი, მჭევრმეტყველი და მასთან ცოტა ამპარტავანიც, აგრეთვე ჰქონდა ჭეშმარიტი მოქალაქის ძლიერი სული და შორს-მჭვრეტელი ჭკუა-გონება. როცა მის ქმრად შეიქმნა საფრანგეთის მეფე ლიუდოვიკო მე-VIII, მან დიდი გავლენა იქონია ქმარზედ. ბიანკა ახლდა ქმარს ომების დროს და აძლევდა სხვადასხვა რჩევებს. თვითონ მისი მამამთილიც, ფილიპპე ავგუსტი, ბევრჯელ სთხოვდა ხოლმე რძალს რჩევებს. მამამ და შვილმა სავსებით მიანდვეს ბიანკას შვილის აღზრდა და მან მართლაც შესანიშნავად აღზარდა ის კაცი, რომელსაც წმიდა ლიუდოვიკო ეწოდა.

---

*) იხ. „მოგზაური“ № 5—6, 1904 წ.

ბიანკა კასტილიელმა თვითონ აღზარდა თავისი შვილი საფრანგეთისათვის. ის გულმოდგინეთ შეუდგა თავისი შვილის ჭკუისა და გულის აღზრდას და კიდეც მიაღწია თავისს მიზანს. შემდეგის ორის თვისების გავლენით დახასიათდება ლიუდოვიკოს მეფობა: „ღვთის შიში და მოვალეობისადმი სიყვარული. მოვისმინოთ, რას ლაპარაკობს ისტორიკოსი ჟუანვილი პირველ გრძნობის შესახებ: „რაც შეეხება მისს სულს, ის ღმერთმა დაიფარა ბოროტებისაგან კეთილ-მორწმუნე დედის დარიგებებით, რომელმაც შეათვისა მას ღვთის სიყვარული; დედა ყოველთვის ცდილობდა მისი შვილი მოქცეულიყო ღვთის მოყვარულ საზოგადოებაში, რისგამო პატარაობიდანვე დაჰყავდა წირვა-ლოცვაზედ. ლიუდოვიკო ხშირად იხსენებდა დედის სიტყვებს, რომელმაც უთხრა მას, რომ მე მირჩევნია მოვკვდე, ვინემ შენს შეცოდებას დავინახავდეო.

ამ სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება იქონიეს ლიუდოვიკზედ; მას მუდამ ახსოვდა დედის სიტყვები და ცდილობდა რამე ცუდი არ ჩაედინა. მის ახლო მუდამ იყვნენ ღვთის მოყვარული ადამიანები, რომლების ქადაგებას ლიუდოვიკო დიდის მოწიწებით ისმენდა.

ლიუდოვიკო მისმა დედამ თავისი აღზრდით არამც თუ მარტო წმინდანათ გახადა, არამედ შესანიშნავი მმართველის ნიჭიც მისცა თავის დარიგებებით, როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა ქალმა. ის ხშირად უმეორებდა შვილს, რომ მეფისათვის მარტო ლოცვა და მოსვენება არ კმარა, არამედ ის უნდა ცდილობდეს თავისი მოქმედებით სახელი გაიუკვდავოს ხალხში. დედა უთითებდა ხოლმე შვილს მისს წინამორბედებზედ, აფასებდა მათ მოქმედებას, თვისებებს და სხვ. აგრეთვე არ ივიწყებდა მათ ცუდ მხარეებს და ბიწიერებებს, ეუბნებოდა შვილს, რომ ის მოფერებას არ აჰყოლოდა, მუდამ სიმართლით ემოქმედნა და კეთილსინდისიერათ ეცხოვრა. ამას გარდა ის ცდილობდა შეეთვისებია შვილისათვის მოვალეობისადმი სიყვარული და აგრეთვე თითონ ასწავლიდა შვილს ის-

ტორიას, რომელსაც ტყუილად არ უწოდებენ კეთილ რჩევა. თა წყაროს, მაფრთხილებელს, ყოფაქცევისა, ზნეობისა და ჭეშმარიტების მაჩვენებელს.

ბიანკა მარტო წარსულ საქმეებზედ არ უამბობდა შვილს. ის აგრეთვე დაწვრილებით ეხებოდა საფრანგეთის მაშინდელ მდგომარეობას, უყურადღებოთ არ სტოვებდა სხვა სახელმწიფოებსაც; ებაასებოდა ხალხის ზნე-ჩვეულებაზედ და ხასიათზედ. ის არამცთუ აგებინებდა შვილს ყველაფერს, არამედ აჩვევდა მას მსწრაფლ მსჯელობას ამა თუ იმ შემთხვევისათვის. სხვათა შორის ბიანკა აწერინებდა ხოლმე შვილს უბის წიგნში კარგ აზრებს, რაც, რასაკვირველია, დიდათ სასარგებლო იყო ლკანასკნელისათვის. აგრეთვე აჩვევდა მკაფიოთ გამოთქმას მსჯელობის დროს. ცხადია, რომ ბიანკა კასტილიელს კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ ადამიანი ბავშვობიდან უნდა შეეჩვიოს ზნეობრივად და გონებრივად განმავითარებელის წიგნების კითხვას.

შვილის ჭკუა-გონების ვარჯიშობის დროს, ბიანკას არ ჰქონდა დავიწყებული ფიზიკური შრომა შვილისა. ლიუდოვიკო დახტოდა თხრილებზედ, ადიოდა ხეებზე, კედლებზედ, არ ეშინოდა არც წვიმის, არც თოვლის და არც ქარის. ბიანკას ძალიან უყვარდა სოფელში ცხოვრება და ხშირათ შორდებოდა სასახლეს: წავიდოდა სოფელში და თვითონ მოჰკიდებდა ოჯახობას ხელს. როცა ის სოფელში იყო, მისსა და გლეხების შვილებს ერთმანეთში ვერ გაარჩევდით. ის ამუშავებდა შვილებს და თვითონაც იქ იყო. არა ერთხელ უნახავთ ბიანკას ქალი ერთ ხელში კალათით და მეორე ხელში დანით ყურძნის მკრეფავი, მისი ძმა კი, ლიუდოვიკო წმიდა, აგროვებდა მოკრეფილ ყურძენს. ჭკვიანი დედა აგონებდა შვილებს, რომ შრომა ყოველ კაცს, განურჩევლად წოდებისა, ამაღლებს და აფაქიზებს, მარა ის მარტო სიტყვებს არ ამბობდა, ამას მაგალითითაც უჩვენებდა შვილებს. მისი შვილების აღზრდაში ყველაფერი სერიოზული იყო. უსარგებლო საათამაშო-

ებს და სხვა რამეებს ის სასტიკათ უკრძალავდა შვილებს. ხშირათ, სეირნობის დროს, ახალგაზრდა პრინცი შედიოდა საავადმყოფოში და მით ახალგაზრდობიდან ეჩვევოდა გლახებისა და გაჭირვებულების შებრალებას. სახელმწიფოზედ ზრუნვა არ ავიწყებდა ბიანკა კასტილიელს შვილებს აღზრდას. მას მუდამ თვალ-ყური ეჭირა შვილების ყოფა-ცხოვრებაზე და საქმეზედ, დღე და ღამე შედიოდა მათ ოთახში და თუ საჭირო იქნებოდა დარიგებას აძლევდა, ხანდისხან კიდეც სჯიდა.

განა გასაკვირველია, რომ ასე აღზრდილი კაცი დიდებული შეიქმნა? რასაკვირველია ეს ყველაფერი დედის აღზრდით იყო. ლიუდოვიკო თუ ახალგაზრდობაში მუდამ საავადმყოფოებს ათვალიერებდა და გაჭირვებულებს ეხმარებოდა, არც მეფობის დროს აკლებდა ამეებს ყურადღებას. მან ბევრი საქველმოქმედო დაწესებულებანი დააარსა. სადაც უნდა წასულიყო ლიუდოვიკო წმიდა, სწერს მისი ბიოგრაფი, ის მუდამ იშოვიდა დასასაჩუქრებლად ქვრივ-ობლებსა და გაჭირვებულებს. სასახლეში ის მუდამ აქმევდა ბუერს გლახებს თავისი ხელით, უსხავდა დვინოს და ასაჩუქრებდა მათ. ასეთის მოქცევისათვის მას დასცინოდნენ, მაგრამ ის იტყოდა ხოლმე: „ათასჯერ უკეთესია გლახებს დავახარჯო რამე, ვიდრე მე ბალ-ვეჩერებში ვფლანგო ფულებიო“. უნდა ისიც შევნიშნოთ, რომ მას ასეთის შენიშვნის დროს გული არ მოსდიოდა, რადგან დედისაგან ისე იყო აღზრდილი. ისტორიკოსს ჟუანველს ამის შესახებ აქვს მშვენიერი ანეგდოტი: როცა ჯვაროსნობის ომიდან დაბრუნდა აბბატ კლიუნი, მეფე ლიუდოვიკოს მოართვა წყვილი ცხენი. მეორე დღეს აბატი კიდევ მოვიდა სასახლეში რაღაც საქმისათვის და მეფემ მას დიდის მოწიწებით მოუსმინა ყველაფერი. როცა აბბატი წავიდა, ლიუდოვიკთან შევიდა ჟუანველი და ჰკითხა: „თქვენო უდიდებულესობავ, მე მსურს გავიგო, თუ რათ უსმენდით თქვენ ასე ყურადღებით აბბატ კლიუნს, იმისათვის ხომ არა, რომ მან თქვენ ორი ცხენი გაჩუქათ?“ მეფემ ცოტა მოფიქრების შემ-

დეგ უთხრა: „დიახ, ამისათვის“. „იცით თქვენო უდიდებულესობავ, რისთვის მოგეცით მე თქვენ ეს კითხვა?“ „რისთვის?“ „იმისათვის, რომ მე მინდოდა თქვენთვის მერჩია, რომ თქვენ აღუკრძალოთ მსაჯულებს საჩუქრების მიღება, თორემ ისინიც, როგორც თქვენ, უფრო მოუსმენენ დამსაჩუქრებლებს და...“

ბიანკა კასტილიელის მოწაფე გულ-ახდილათ გამოტყდა, რომ მან მართლაც დიდის გულდასმით მოუსმინა აბბატს, რომელმაც ის დაასაჩუქრა, მაგრამ მას სრულებით გული არ მოჰსვლია ჟუანვილზე.—„ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქმნება შენ მკვდარი დაგინახო, ვიდრე ცოდვილიანი“,—ეუბნებოდა ხოლმე მას დედა. თითონ ლიუდოვიკმაც შემდეგში ასე უთხრა თავისს შვილს: „მე ვამჯობინებ საფრანგეთის მმართველათ იყოს ვინმე შოტლანდიელი, თუ შენ ცუდი მეფე იქნებიო“.

მეტი იქნება მგონი მკითხველებს გავახსენოთ ლიუდოვიკო წმიდის სხვა თვისებანი. ყველამ იცის შესანიშნავი ვენსენის მუხა, რომლის ძირში ჯდომა ძალიან უყვარდა მეფეს. იქ იკრიბებოდნენ მისი ქვეშევრდომნი განურჩევლად წოდებისა და ხელობისა და როგორც თავისს მეგობარს, ისე უსმენდნენ მეფეს ქადაგებას და ესაუბრებოდნენ მას ის ყველას გულდადებით უსმენდა, ზოგს ეხმარებოდა, ზოგს ნუგეშს აძლევდა და ამნაირათ უმოწყალოთ მისგან არავინ წავიდოდა. აქ ნათლათ სჩანს ის მაღალი თვისებანი ლიუდოვიკოსი, რომლის გულში ეს ყველაფერი შესანიშნავმა დედამ ჩანერგა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ბიანკა, ლიუდოვიკოს გარდა, სხვა შვილებსაც ზრდიდა. მისმა ქალმა, იზაბელამაც თავის ძმასავით კარგი აღზრდა მიიღო; ის თავისუფლად კითხულობდა ლათინურს და მშვენიერის ნიჭის პატრონი იყო. დედა მაზედაც ბევრს ზრუნავდა. ერთხელ, როცა ახალგაზრდა იზაბელა ოავისი ხელების სილამაზით აღტაცებაში მოდიოდა, დედამ, რომელიც ამ დროს ოთახში შევიდა, უთხრა: „შვილო, შენი ხელი ლეშია, საუკუნო არ არის; ეცადე სული გექნეს ლამა-

ზი და მხოლოდ მაშინ იქნ ბი ადამიანებისათვის დახსომების ღირსი". დედა მუდამ ცდი; ობდა შვილები დაერიგებია ჭკუაზე. არც ერთს მეფის დედას ისე ღირსეულათ არ ჰქონია შეგნებული თავისი მოვალეობანი, როგორც ბიანკა კასტილიელს, ლიუდოვიკოს დედას. ძნელათ მოიპოვება აგრეთვე ისეთი მეფის დედა, რომელსაც ბიანკასავით ჰქონოდეს შეგნებული მეფის დედის მოვალეობა. როცა ის შვილის მაგივრად სამეფოს მართავდა, მისთვის ყველაზე უფრო სასიამოვნო იყო, როცა მას დედას უწოდებდნენ და არა რეგენტს.

ჩვენთვის საჭიროსაგანს არ შეადგენს ბიანკას პოლიტიკურ როლზედ ვილაპარაკოთ. ლიუდოვიკო წმინდას მოუკვდა მამა, როცა შვილი ჯერ თორმეტის წლისა იყო. თქმა არ უნდა, რომ თუ არ დედას, მას არ შეეძლო სამეფო სახლი დაეცვა, რომელსაც ბევრი მტრები ჰყავდა. ყველგან ვასალთა და ფეოდალთა შორის უსიამოვნება ხდებოდა. ბიანკამ მშვიდობიანათ დააწყნარა მეამბოხენი და დაამშვიდა სამეფო. როცა ლიუდოვიკოს საჯვაროსნო ომებში წავიდა, ტახტი დედას დაუტოვა, რომელმაც შესანიშნავათ შეასრულა შვილის დავალება. ჯვაროსნობის ომიდან დაბრუნების დროს, ლიუდოვიკომ დიდი სულგრძელობა გამოიჩინა კუნძულ კიპრის ახლო მისი ხომალდი დაშავდა და დაღუპვა მოელოდა. ყველა იქ მყოფნი სასოწარკვეთილემამ შეიპყრო, დაჰკარგეს ხსნის იმედი და სთხოვეს მეფეს სხვა ხომალდში გადამჯდარიყო. ლიოდოვიკომ ცივათ უპასუხა: „მე თუ ხომალდიდან ჩამოვედი, ხუთასი კაცი, რომელნიც აქ არიან, ყველანი კუნძულზედ გადავლენ სიკვდილის თავიდან ასაშორებლად და ყველაფერ იმედს დაჰკარგავენ სამშობლოს ნახვაზედ. მე ცოლშვილის დაღუპვას ვამჯობინებ, ვიდრე ამდენი ხალხი დავაკლო სახელმწიფოსა"-ო.

ამ მგზავრობის დროს ლიუდოვიკომ გაიგო თავისი დედის სიკვდილი. მისს მწუხარებას საზღვარი არ ჰქონდა. ისტორიკოსი ჟუანვილი სწერს, რომ ლიუდოვიკო ისე იტანჯე-

ბოდა დედის სიკვდილის გამო, რომ ორ დღეს არავის დაჭ-ლაპარაკებიაო. ამის შემდეგ მან მე კაცი გამომიგზავნა და რომ დამინახა, მომაძახა: „ეს რა უბედურება მეწვია: მე დავკარგე მეგობარი და მაგალითიო“.

მართლაც ბიანკას მთელი თავისი სიცოცხლის განმავ-ლობაში დიდი გავლენა ჰქონდა შვილზედ.

არა თუ შვილი, არამედ ქმარი და მამამთილიც ამ შესა-ნიშნავი ქალის აზრებით ხელმძღვანელობდნენ. ღვთის სიყვა-რული არ უშლიდა ბიანკას ტახტის ინტერესების მეფგრათ დაცვას. თუმცა მან შვილი ღვთის მოყვარეობაში აღზარდა, მარა ყოველთვის ეუბნებოდა, რომ ის არ დათანხმებოდა სა-სულიერო პირებს პოლიტიკურ საქმეებში და თვითონვე ან-ვენა შვილს ამისი მაგალითი: მან მოსთხოვა „კანონიკებს“ შატენის მცხოვრებლების ტყვეობიდან განთავისუფლება, რო-მლებიც გადასახადებს არ აძლევდნენ მათ და ამიტომ დაატ-ყვევეს. კანონიკებმა უპასუხეს, რომ მას ნება არა აქვს მათ საქმეში ჩარევისა და ამის შემდეგ დატყვევებულების ცოლ-შვილიც დააპატიმრეს. ბევრი მათგანი საპატიმროში დაიხო-ცნენ. მაშინ ბიანკა შეუდგა დატყვევებულების განთავისუფ-ლებას ჯარების დახმარებით. მიუხედავად იმისა, რომ მას ეკ-ლესიისგან განყენება მოელოდა, არ შეშინდა და პირველათ მან მიიტანა იერიში ციხეზედ, რომელშიაც ისხდნენ დატყვე-ვებულები.

მარკ ავრელიოს და ლიუდოვიკო წმიდას ხშირათ ადარე-ბენ ერთმანეთს. მეფე წარმართი და მეფე ქრისტიანი იყვნენ ყველაფერში კეთილის სრული განხორციელება. ორივეს უყ-ვარდათ სულით და გულით სარწმუნოება და თავიანთი მო-ვალეობანი, ორივენი მხოლოდ თავიანთი სინიდისის ჩაგონ-ებით მოქმედობდნენ, ორივემ გაითქვა სახელები, როგორც ხა-ლხის მოყვარულებმა და სიმართლის მიმდევრებმა; პირველი იყო ფილოსოფოსი, მეორე წმიდა, მარა ორივენი თავიანთი დედების მაგალითებით ხელმძღვანელობდნენ, რომლებმაც ასე სახელოვან კაცებად აღზარდეს ისინი.

ვ. მალაქიაშვილი.

აღზრდა.

უძველესი მაზანი აღზრდასა ძველთა რწმენით ამ სიტყვებით გამოიხატებოდა: „სად ხელოვნებაში სული სულია“.—„კარგად აღზრდა“—ამბობდა რუსსო „ემილიში“,—ნიშნავს მას, რომ ჩვენ მიჩვეულნი ვიყვნეთ მარჯვედ მოვიხმაროთ ჩვენი ყოველი ორგანო, გრძნობები, ყოველი ჩვენი ალო, ყოველნი წვლილნი ჩვენის არსებისა“. „აღზრდა ბავშვებისა“.—განმარტავს პესტალოცი,—სხვა არა არისრა, როგორც მიპყრობა ყურადღებისა სხვადასხვა საგნებზე, რომელნიც გარშემო ახვევია მათ; იგი სხვა არა არისრა, როგორც წესიერად ვარჯიშობა გრძნობათა და ლტოლვილება ჰაზროვნებათა, გულისა, ენისა და საზოგადოთ ადამიანის ყოველ ნიჭთა და სხეულის ნაწილთა.

აი რას ამბობს ამავე საგნის გამო სპენსერი თავის წიგნში აღზრდაზედ: „როგორ უნდა ვუვლიდეთ სხეულს, როგორ უნდა ვუვლიდეთ გონებას, როგორ უნდა მიგვყვანდეს საქმეები, როგორ უნდა ვმართავდეთ ოჯახსა, როგორ უნდა ვეწეოდეთ მოქალაქეობას, როგორ უნდა ვსარგებლობდეთ ბედნიერების წყაროებით, როგორ უნდა ვხმარობდეთ ჩვენ ჩვენს ყოველ ნიჭთა უხვად სასარგებლოდ ჩვენთვის და სხვათათვის, როგორ უნდა ვცხოვრობდეთ უფრო სავსებით.—აი დიადი ამოცანა, რომლის გამოსარკვევადაც უნდა მოგვამზადოს ჩვენ აღზრდამ“.

ამნაირად ყველა მოაზრეთაგან მიჩნეულია, რომ ფიზიკური, ზნეობრივი და გონებრივი აღზრდა მარად ხელი ხელ ჩაკიდებულნი უნდა მიმდინარეობდნენ, მარად ურთიერთს უნდა ეხმარებოდნენ, მისაღწევად რაც შეიძლება სავსეთ აღმზრდელობითთა შედეგთა.

ჯეშმარიტების მოყვარე.

ჯორდანო ბრუნო.

მისი ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა *).

ლონდონში ბრუნო დაბინავდა თავის გულღია მეგობართან, საფრანგეთის ელჩთან და ორ წელში დასწერა შემდეგი თხზულებანი:

1, „La cena delle ceneu".

2, „De la cauca, Prinùpio et uno" მიზეზი (ყველაფრის დასაწყისი და ერთობა).

3, De l'ynfinito, universo e Mondil" (მსოფლიო დაუსრულებელი და ციერი სხეულები).

4, „Degli oroici furoi" (გმირული აღმაფრენა ანუ აღფრინვა).

5, „Spaccio de la bestia trionfente" (გამარჯვებული ცხოველის განდევნა).

6, „Asino cillenico" (პეგასის ცხენის და სილენის ვირის საიდუმლო მოძღვრება)

ბრუნოს აზრით არსებობს უსამზღვრო სივრცე და საუკუნო შემომქმედი ბუნების ძალა, რისგამო მსოფლიო უნდა იყოს დაუსრულებელი, რადგან დაუსრულებელ მიზეზს უნდა მოჰყვეს დაუსრულებელი შედეგიც მთლათ მსოფლიო გამსჭვალულია ერთის სიცოცხლით, რომელიც მუდამ იცვლის გარეგან ფერს და ვითარდება.

---

*) იხ. „მოგზაური" №№ 5—6, 1904 წ.

შეუძლებელია ცის სხეულებს სინათლის მოცემის გარდა სხვა წეს-წყობილებაც არ ჰქონდეს. უფრო სარწმუნოა ვიფიქროთ, რომ ის ქვეყნები დასახლებულია იმგვარ და უფრო განვითარებულ ცოცხალ არსებანით, როგორიც არის დედამიწაზე. ყოველი ციური ქმნილება, თავის თავად აღებული, არის ცოცხალი სხეული (ორგანიზმი). ამ სიცოცხლით სავსე ქვეყნებზე ფიქრსა და წარმოდგენაში ბრუნო ჰპოებდა უუდიდეს სიამოვნებას და ურიგდებოდა ამ ქვეყნიურ ბიწიერებას. —„ვინც აქცევს ყურადღებას მხოლოდ ნაწილებს, ის ჰკარგავს მხედველობიდგან მთელს სიმშვენიერეს, ამბობს ბრუნო, და აი ის ფილოსოფია, რომელიც ამაღლებს გრძნობას, აკმაყოფილებს სულს, აბრწყინებს გონებას და გვანიჭებს იმ ბედნიერების ნაწილს, რომელიც ეკუთვნის ადამიანს. ეს ფილოსოფია ან ანთავისუფლებს კაცს, როგორც მწვავე ფიქრებისგან ნეტარების მოპოვების შესახებ, აგრეთვე ტანჯვა-წვალების ბრმა გრძნობისაგან“.

ახლა გავარჩიოთ ბრუნოს მეტაფიზიკა ანუ ზესთა-ბუნება. ამ დიდებულ ფილოსოფოსის აზრით ყოველივე ნივთიერების შინაარსი არის სულიერი ძალა, რომელიც, თუმც ძლიერ წააგავს გონებას, მაგრამ უმაღლესია მასზე. ბრუნო, როგორც პლატონი, არქმევს მას ქვეყნის სულს.

ეს სული აჩენს ნივთების გარდამავალ ფორმას. ეს სულიერი ძალა მითვისებული აქვს ყოველ საგანს და იმგვარადვე ულეველია, როგორც თვით მატერია. ბუნების შინაარსი კი არ სხვაფერდება, არამედ მისი გარე ფორმა და მოქმედეა. მატერია და ფორმა არიან არსების ორი განუშორებელი კუთვნილება ანუ ელემენტი. პირველი—როგორც მომქმედი ძალა, მეორე კი—როგორც ნიადაგი (სუბსტრატი), რაზედაც მოქმედობს პირველი. ღრმათ რომ განვიხილოთ, ორივე შეიცავს ერთობას. მათი განსხვავება არის მხოლოთ მოქმედების განსხვავება. თავისთავათ კი მთელი ქვეყნიერობა სულ ერთია. ბუნება თავის კერძო ნაწილებში ემორჩილება დაუსრუ-

ლებელ ცვლილებას და განვითარებას (ევოლიუციას), მაგრამ აღებული როგორც მთელი, ის უკვე განვითარებულია და ყოვლად სრული. უმაღლესი არსება აკავშირებს და არიგებს ყოველ ცვლილებას და ხადის ერთად. სიკვდილი და მოსპობა, ბოროტება და უგვანობა არ არსებობენ თავის თავათ. ისინი მართლა არსება კი არაა, არამედ ნაკლი, სიკეთის არყოფა, ამის გამო ისინი კუთვნილებაა კერძო ქმნილებათა, რომელნიც, რადგან არ არიან იმად, როგორიც უნდა იყვნენ, მუდამ იცვლიან სახეს და გადადიან ერთი ფორმიდან მეორეში".

სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ ეს აზრები მარტო ბრუნოს არ ეკუთნის. ამასვე ქადაგებდნენ ბერძნის ფილოსოფოსნი: ელეიელები, ნეოპლატონიანები და სხ. ბრუნომ მხოლოდ შეაერთა ყველას აზრები და შესცვალა ცოტათი. ბრუნო არის მხოლოდ ვარსკვლავთ-მრიცხველობის ფილოსოფოსი და კოსმოლოგიაში წარმოთქმული აზრები ეკუთვნის მთლათ იმას. მისი დედა-აზრია ქვეყნიერობის დაუსაბამობა.

— „თუმც აურიცხველია ინდივიდების (თვითებათა) და ნივთების რიცხვი, ამბობს ბრუნო, მაგრამ ისინი შეადგენენ ერთობას, და ამ ერთობის შეგნება არის მთელი ფილოსოფიისა და ბუნების მეტყველობის მიზანი და საზღვარი. უდიდესი სიკეთე, უდიდესი სურვილის მიზანი, უუდიდესი სისრულე და ბედნიერება მოთავსებულია ერთობაში, ამაშივე არის შეზავებული ყველაფერი".

ამ შესანიშნავ სიტყვებშია წარმოთქმული ის კითხვები, რის ახსნისათვის ტყუილ-უბრალოთ იტეხდნენ თავს შემდეგი ფილოსოფოსნი — დეკარტისა და სპინოზიდგან ლაწყებული ვიდრე ფიხტე, შელლინგ, ჰეგელამდევ.

ამ დიდ იტალიელს ფიქრათ ჰქონდა ეთიკის ანუ ზნეობის განახლებაც. იგი იყო დარწმუნებული, რომ ჭეშმარიტი ზნეობა უნდა დამყარებული იყოს იმ ვარ შეუცვლელ ბუნების კანონებზე, როგორც არის ვარსკვლავთ-მრიცხველობა. ბრუნომ გაანთავისუფლა ჩვენი წარმოდგენა ქვეყნიერობაზე იმ

შეცთომათაგან, რომელნიც მოგვათვისა ჩვენმა გრძნობებმა. მასვე უნდოდა გაენთავისუფლებია ზნეობა ავტორიტეტის, ანუ ბრმა რწმენის დამოკიდებულობისაგან, მაგრამ წამებით-სიკვდილმა დაუშალა ამ განძრახვის შესრულება.

„გმირულ ადმოფრენაში“, ამ მშვენიერ ლექსით დაწერილ დიალოგში, ბრუნო პოეტურის გატაცებით და ცოცხალის სურათებით გვისახავს იდეალისაკენ ადამიანის მისწრაფებას.

— „მშვენიერების გამოსახვა ხელოვნებაში გვაშორებს ჩვენ პირად-მოყვარობის ვიწრო სფერას და გადავყევართ იდეალის თავისუფალ სამეფოში, სადაც კაცი პირველად პოულობს თავის სულის ჭეშმარიტ სამშობლოს. რამდენადაც გაგვმსჭვალავს ეს იდეალი, ეს შეგნება, იმდენათვე გვიცავს ჩვენ აღგზნება და ენტუზიაზმი იმ იდეალის განსახორციელებლად, ამისათვის სულის სიმაღლე, მხნეობა და გაბედაობა ამ მისწრაფების შესასრულებლად, არის უმაღლესი სათნოება. ამ გვარად მშვენიერების საშუალებით ჩვენ მივაღწევთ ჭეშმარიტებას და სიკეთესაო“.

ბრუნოს აზრით არ იყო საკადრისი კაცისათვის, რომ მას დაესახა იდეალათ მხოლოდ ქალისადმი სიყვარული და მისთვის შეეწირა მსხვერპლად თვისი დიდებული სული, მთელი თავისი მხნეობა, რასაც სჩადიოდა, მაგ., დიდი პოეტი პეტრარკა. აი, რას ამბობს ამაზე ეს ფილოსოფოსი: — „სიბრძნე, რომელიც მასთანვე არის ჭეშმარიტება და შვენიერება, აი იდეალი (სანატრიონი), რასაც უნდა თაყვანს სცემდეს ნამდვილი გმირი. შეიყვარეთ ქალი, თუ გსურთ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ხართ მასთანვე დაუსრულებელის თაყვანისმცემელი. ჭეშმარიტება საზრდოა ყოველის გმირის სულისა; ჭეშმარიტებისკენ მისწრაფება კი არის გმირის ერთად-ერთი საკადრისი საქმეო“.

ბრუნო სასტიკად სდევნიდა პატარა იდეალებისადმი მისწრაფებას და მეტადრე პეტრარკიანებს: — „აპრილში შეუყვარდა პეტრარკას ქალი და ამ თვეში ვირებიც ოცნებობენო“.

ბრუნოს საყვარელი ქალი სოფია (სიბრძნე) არის მისი ფილოსოფიის იდეალური სახე. იგი იყო პოეტიცა და ფილოსოფოსიც.

— „მეც ვუყვარდი ნიმფებსაო“ (ე. ი. ქალებს), ამბობს ბრუნო ერთ ალაგს, და ეს მართალიც იყო.

IX.

ლონდონში ყოფნამ შეჰმატა საუკეთესო ფურცლები ბრუნოს ცხოვრების წიგნს. მას ჰქონდა ახლო ცნობა და მიმოსვლა განათლებულ და შესანიშნავ პირთა შორის. მაგრამ ყველაზე უფრო საყვარელ მეგობრათ ჰყავდა ფილიპე სიდნეი, რომელსაც მიუძღვა თავისი ორი შრომა.

ეს შესანიშნავი ყმაწვილი კაცი, სიდნეი, იყო ყველასთვის მეტათ საყვარელი, როგორც თავის ძვირფასი ხასიათით და მაღალის ზნეობით, ეგრეთვე შესანიშნავის ნიჭით და სწავლა-განათლებით. ხალხი ხომ აღმერთებდა მას, რადგან იგი თავგანწირვით იცავდა მთავრობის წინაშე მათს ინტერესებს. სიდნეი იყო სარდალი, პოეტი და სახელმწიფო მოღვაწე. ყოველ დაჩაგრულ და საწყლის მშველელი და მფარველი.

თავისი აზრების გასავრცელებლად ბრუნომ ამოირჩია საჯარო კამათი; ამის გამო, 1586 წელს გაუგზავნა მან სორბონს, პარიზის უნივერსიტეტს, 120 ტეზისი არისტოტელის, პლატონის და პითაგორის მოძღვრების წინააღმდეგ და სთხოვა მიეცათ მისთვის მათი საჯაროთ დაცვის ნება. ტეზისებში ნათლათ იყო გამოყვანილი მისი ყოველი მოძღვრება.

მიიღო ნება. 25 მაისს 1586 წელს უნივერსიტეტის დიდი დარბაზი მთლათ გაივსო ხალხით, რომელიც წინეთ ისე მიისწრაფოდა და უყვარდა ამგვარ პაექრობის ყურება, როგორც ახლა თეატრის, ცირკის და მარულასკენ მიისწრაფის. გამარჯვებული ამ სიტყვიერ ბრძოლაში ჯილდოვდებოდა მა-

ყურებელთაგან გაუთავებელი ტაშით და ქება-დიდებით შემკულ სიტყვებით.

დარბაზი დიდი ხანია სავსეა; უცდიან მხოლოდ ფილოსოფოსს. აი ისიც: გაიღო კარი და გამოჩნდა ტან-მორჩილი ბრუნო, რომელმაც სალამის შემდეგ მიანდო პაექრობა (დისპუტი), ე. ი. თავის მოძღვრების დაცვა, მაშინდელ ჩვეულებისამებრ, თავის უუნიჭიერეს მოწაფეს—ჟან-გენნეკენს.

გენნეკენმა დაიწყო დაცვა დიდის ოსტატის ქება-დიდებით და სთქვა, რომ იგი არის წინამორბედი ახალის ხანის დადგომისა კაცობრიობის ცხოვრებაშიო.

— „როგორც სხეულს,—სწერდა ბრუნო საპაექრო განცხადებაში,—შეუძლია შეეჩვიოს ნელნელა საწამლავს, აგრეთვე კაცის გონება და აზრები ეჩვევა ტყუილს და დაძველებულ შეცდომებს. რა ჭკუაა ვგონებდეთ და ვვაზროვნობდეთ უმრავლესობასთან ერთად მხოლოდ მისთვის, რომ ის უმრავლესობაა. არაფრათ არ ღირს ის ქება, რომელიც გამოდის უგნური ხალხის პირისაგან. თუმც არისტოტელი დიდებული ფილოსოფოსი იყო, მაგრამ შეუძლებელია მასაც არ ჰქონოდა შეცდომანი; ამის გამო უნდა ვერწმუნოთ კაცს კი არა, არამედ მხოლოდ ჩვენს გონების თვალს, და მის საშვალებით გამოკვლევას (ე. ი. კრიტიკას). გთხოვთ და გაფიცებთ ყველას, სწავლულს და უსწავლელს, მოიდრიკეთ ქედი ჭეშმარიტების წინაშე და ერწმუნოთ ჩემს საფუძვლიანს და დასაბუთებულ მოძღვრებას“.

სამწუხაროთ, დარჩა შეუტყობელი ამ მსოფლიო ისტორიის სამნიშვნელო დისპუტის შედეგი, სადაც შეეტაკნენ და შეებრძოლნენ მწვავეთ ერთმანერთს ორი შეურიგებელი მტერი, ძველი და ახალი ხანა. ვიცით მხოლოდ, რომ ამ დისპუტმა გამოიწვია ისეთი დიდი არეულობა პარიზსა და მთელ საფრანგეთში, რომ თუ დროზედ არ გაჰქცეოდათ გერმანიაში ეს საოცარი და მოუსვენარი იტალიელი, შეიძლება მისი სიცხლით მორწყულიყო პარიზის ქუჩები.

X.

გერმანიაში იწყება ამ იტალიელ ფილოსოფოსის მოგზაურობა და ქალაქით-ქალაქში სიარული. ყველგან ავრცელებს იგი თავის სწავლას, ყველგან ჰფენს სინათლეს. ჯერ მივიდა ქალაქ ვირტემბერგში, სადაც მიიღეს აღტაცებით და მისცეს პროფესორის კათედრა.

ვირტემბერგში, რომელსაც უწოდა გერმანელთ ათინა, ბრუნომ გამოსცა ორი-სამი წიგნი. აქ იგი იყო სრული თავისუფალი, თამამად აცხადებდა თავის აზრებს და ხელს არვინ არ უშლიდა. მაგრამ ვერც აქ მოიდგა ფეხი. ავიდა ტახტზე ახალი მეფე, ამ ახალ აზრების წინააღმდეგი და ბრუნოც უნდა გამოსთხოვებოდა ამ ქალაქს. უკანასკნელ დროს მან წარმოსთქვა შესანიშნავი სიტყვა, სადაც მადლობას სწირავდა ვირტემბერგელებს და აქებდა ლიუტერის მოღვაწეობას.

აქედან ბრუნო მივიდა პრაგას. აქაც ვერ გაჩერდა დიდხანს და გადვიდა ისევ გერმანიაში, ქ. ჰელშტეტს, ხოლო შემდეგ ფრანკფურტს, სადაც დაბეჭდა შემდეგი თავისი თხზულებანი:

1, „სამგვარი უუპატარაესი ზომა და გაზომვა“.

2, „მონადა (ცალფა) რიცხვი და ნაკვთი“.

3, „ურიცხვი, უსამზღვრო და უსახო, ანუ მსოფლიოთა ქვეყნიერობა“.

4, „სახიერობის, სიმბოლების და გონებლობის შეწყობა“.

პირველი და მეორე წიგნი შესანიშნავია მით, რომ მათში ბაასი იმისთანა საგანზეა, რომელსაც დიდი ადგილი ეჭირა შემდეგ ფილოსოფიაში, — ეს არის მონადა (ცალფა), რომელიც ერთსა და მასვე დროს არის მათემატიკური წერტილიც, ფიზიკური ატომიც და ფსიხიური არსებაც; ფსიხიურ არსებას კი აქვს გრძნობა და სურვილი. ეს შესანიშნავი აზრი დაებადა ბრუნოს, რადგან სურდა ეპოვნა ერთმსგავსება ყვე-

ლაფერში და ქვეყნისა და სიცოცხლის მგვანება. მისი ფიქრით თითეული მატერიის ნაწილი არის ერთ დაიგივე დროს ობეკტიც და სუბეკტიც.

მეოთხე თხზულებაში ბრუნო ამტკიცებს, რომ ჩვენს გონებაში ნივთები მთლად ექვემდებარებიან თავიანთ აჩრდილებს, ამის გამო სულიერი ცხოვრება დამოკიდებულია მგონებლობის აღძვრაზე. ზოგი ადამიანი სცნობს მსოფლიო ჰარმონიას მხოლოდ ხედვით, სხვანი, თუმც ნაკლებად, სმენის საშუალებით. ამის გამო არსებობს სულის საოცარი მსგავსება ნამდვილ პოეტთა, მუსიკის მცოდნეთა, მხატვართა და ფილოსოფოსთა შორის. ყოველი ნამდვილი ფილოსოფია არის მუსიკაც, პოეზიაც და მხატვრობაც, ნამდვილი მხატვრობა არის მუსიკა და ფილოსოფია, ნამდვილი პოეზია და მუსიკა კი არის ღვთაებრივი სიბრძნე და მხატვრობა.

მესამე თხზულება წარმოგვიდგენს ჩვენ მშვენიერს ლექსებს, სადაც პოეტური სურათით ისახება ბუნების მოვლენანი. ეს შესანიშნავი თხზულება არის ნამდვილი ლირიკა, ნამდვილი ჰიმნი ბუნების შვენებასა და დიდებაზე. აქ ბრუნოს ოცნების მაღალ ფარდებში ფრენას არა აქვს საზღვარი. აქ ბრუნო წარმოგვიდგება დიდებულ პოეტათ. ეს არის „კოსმოლოგიისა და მეტაფიზიკის ეპოსი", ბერტის სიტყვით. თამამად შეიძლება ვსთქვათ, ბრუნოსთანა აღტაცებული მგოსანი არ ჰყოლია ჯერ ფიზიკურ და სულიერ მოვლენებს და მათ ურთერთ შორის განწყობასა და დამოკიდებას.

ამ ლათინურ ნაწერებში ალაგ-ალაგ შეხვდებით ბრუნოს სევდას სამშობლოზე. მას სწვავს და არ ასვენებს სურვილი და მიზიდულება სამშობლოსადმი, მისი განუსაზღვრელი სიყვარული. თვალ-ცრემლიანი მწარეთ გაიძახის: „ჩემო სამხრეთის ცხოველო მზევ, ჩემო სამხრეთის ტურფა ბუნებავ"!...

მართლაც არ გაივლის დიდი ხანი და დიდებულ იტალიელს ვხედავთ თავის საყვარელ სამშობლოში.

XI.

სცხოვრობდა ამ დროს ერთი უსინდისო დიდი გვარის კაცი, სახელად ჯოვანი მოჩენიგო. მან შემთხვევით გაიცნო გერმანიაში ბრუნო და ახლა სწერდა ფილოსოფოსს მოსულიყო მისას ვენეციაში, სადაც დახვდებოდა კარგი ბინა და დიდი პიტივის ცემა.

ამ მოპატიჟებამ გაიტაცა ბრუნო. როგორ? ჩვიდმეტი წლის შემდეგ მას შეუძლია დაბრუნდეს და კიდევ ნახოს თავის სამშობლო, თავის იტალია! ეს ნეტარებაა!.. მით უმეტეს, რომ ვენეცია თავისუფალი, განათლებული და მდიდარი რესპუბლიკაა, იქ არაფრის ხიფათი არ მოელის.—„მოვალ, მოვალ ეხლავე! კიდევ ვნახო ჩემი მხარე, კიდევ დამათბოს მისმა მზემ!“—სწერს ბრუნო თავის მასპინძელს.

ბრუნო მსწრაფლ გაჩნდა ვენეციაში და გახდა მოჩენიგოს მასწავლებლად. საუბედუროდ ოსტატსა და მოწაფეს შორის მალე დაიბადა უთანხმოება. ფილოსოფოსი მიეხვდა მის ცუდ განძრახვას. მოჩენიგოს და მის მოძღვარ იეზუიტს შეეკრათ პირობა, თუ რა რიგ ჩაეგდოთ ხელში ბრუნო. ბრუნო მიხვდა ამას, მიხვდა თუ რა განსაცდელი მოელის და მოინდომა ისევ გერმანიაში წასვლა, მაგრამ გვიანდა იყო, ბოროტებს უკვე გაებათ უხილავი ბადე. ყოველი ფიქრი თავის შველაზე ამაო იყო.

ერთ დღეს ბრუნომ შეკრა და გაგზავნა თავისი ბარგი ფრანკფურტს, მეორე დილით თითონაც უნდა გაპარულიყო, მაგრამ შეუტყეს განძრახვა, შეაღეს შუალამისას მისი ოთახის კარი მოჩენიგომ და ექვსმა ლონიერმა ბიჭმა, შეკრეს იგი, აიყვანეს სხვენზე, დააგდეს იქ და დაუკეტეს კარი. მეორე დილით ინკვიზიციის კაპიტანმა წაიყვანა ბრუნო და დაამწყვდია ციხეში.

ინკვიზიციის მსაჯულებმა მიჰყვეს ხელი ფილოსოფოსის განსჯას და მოწმეების ჩვენების ჩამორთმევას. მოწმეებში ზო-

გმა გაამტყუნა ბრუნო და მათში ყველაზე მეტი სულის სიდაბლე იხმარა მოჩენიგომ. შეადგინეს საქმე და გაგზავნეს რომს მთავარ ინკვიზიტორთან.

XII.

პაპიდან მოკიდებული მთელი რომის სამღვდელოება, გაცოფებულ მხეცივით ეცა თავის მსხვერპლს. მათს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. მოითხოვეს ვენეციიდან დიდებული ტყვე, რომელიც მათის აზრით უბრალო ერეტიკი (ეკლესიის მოღალატე) კი არ იყო, არამედ ერეტიკების ბელადი, რომელმაც დასწერა მრავალი წიგნი და მოსდო მთელს ევროპას.

— ბრუნო, სწერდნენ ისინი ვენეციის მთავრობას,—დიდი ხანი ცხოვრობდა ერეტიკთა ქვეყნებში და ატარებდა გარყვნილ, ეშმაკის მსგავს ცხოვრებას. იგი ძლიერ დამნაშავეა და ცოდვილი, თუმც მასთან იგი არის ერთი საუკეთესო ტვინი, შესანიშნავად ნაკითხი და აუარება ცოდნის კაცი, და რადგან წინეთ ბერადაც იყო, ამის გამო მისი განსჯა კანონის ძალით ეკუთნის პაპის იურისდიკციას".

17 თებერვალს 1593 წელს ბრუნო უკვე ჩაგდებული იყო რომის საპყრობილის დილეგში.

მთელი შვიდი წელიწადი გაატარა ამ დიდმა ფილოსოფოსმა ციხეში, წვალებაში და ტანჯვაში; მთელი შვიდი წელიწადი დაეხშო მას მზის სხივი და მისი ქვეყნის შვენება; დაეხშო ის მზე და ის ქვეყანა, რომლის ნახვის გულისათვის მისცა თავი ამისთანა განსაცდელს. გამოვიდა მერვე წელს, მაგრამ გამოვიდა მისთვის კი არა, რომ ახლა მაინც დამტკბარიყო ტურფა ბუნების ცქერით, არამედ იმისათვის, რომ მოეკრა თვალი მხოლოდ რაოდენსამე საათს ამ შვენებისათვის-ასტოკებოდა სიამით გული, აღფრთოვანებულიყო მისი ოცნება და ისე გამოჰსალმებოდა ყველაფერს.

სამღვდელოებამ მოსთხოვა დაეწერა წიგნი თავის წინან-

დელ მოძღვრების წინააღმდეგ და საჯაროთ უარი ეთქვა თავის პირვანდელ აზრებზე, იმ აზრებზე, რომელთაც დაბადეს ისტორიაში ახალი ხანა, გააღვიძეს კაცობრიობის გონება და გახადეს ბრუნო უკვდავი.

ან ეს და სიცოცხლე, ან არა და ცეცხლში დაწვა და სიკვდილი!

როგორ? ბრუნომ უარი უნცა ჰყოს საჯაროთ თავის მოძღვრება, თავის აზრები?! ის დიადი აზრები, რითაც სულთქვამს იგი, რითაც ცოცხლობს ამ ქვეყნათ, რასაც შესწირა ახალგაზრდობა, სიმდიდრე, დიდება და ბედნიერება, რომელნიც არიან მისი მაცოცხლებელი სტიქიო, მისი სიყვარული და ჭეშმარიტება?!. ამის საჯაროთ უარი?! არა, არ შეიძლება! დეე ისევ ცოცხლათ დაწვა და სიკვდილი!.. კვლავ გაიღვიძა ფილოსოფოსში სულის ძალამ; მას შეზარდა ხორცი, შეზარდა გალანძღული და გათელილი სიცოცხლე, შეზარდა დაცემული სული, ძალით გონების დახშობა, თავის სურვილის წინააღმდეგ სვლა; შესძაგდა თავისუფალ აზრის მტრების დახმარება, კაცობრიობის გონების დახშობა. ჭეშმარიტებისადმი აღტაცებულმა სიყვარულმა გაიმარჯვა სიცოცხლის დაცვის ქვენა წადილზე. ბრუნომ უარჰყო პაპის წინადადება, მტკიცეთ მოსჭიდა ხელი თავის წინანდელ აზრებს, უშიშრათ შეხედა თვალში სიკვდილს, გახდა მსხვერპლი და მასთან უკვდავი გმირი.

როდესაც 21 დეკემბერს 1599 წელს ბრუნოს კვლავ ჰკითხეს, სურს თუ არა მას უარჰყოს თავისი შეცდომანი, დიდებულმა ტუსალმა ხმა მაღლა და მხნეთ უპასუხა: „არ შეიძლია და არ მსურს უარი ვყო ჩემი აზრები; არ ვიცი და ვერ გამიგია, თუ რისათვის მდებთ ბრალს“.

ბევრს ეხვეწნენ, ნუ სჩადიხარ ამ საქმეს, დაფიქრდი კარგათო; მაგრამ არა: იგი ისევ მტკიცეთ, ისევ მაგრად იყო.

ბოლოს, რომ ვერას გახდნენ, მსაჯულებმა 20 იანვარს 1600 წელს უკანასკნელათ გამოუცხადეს ფილოსოფოსს გა-

ნაჩენი; ეს იყო სუბუქი დასჯა, უსისხლოთ—ცოცხლათ დაწვა.

მოისმინა რა ეს საზარელი სიტყვები, ფილოსოფოსმა გულგრილათ უპასუხა: „შეიძლება თქვენ უფრო მეტის შიშით კითხულობდეთ მაგ განაჩენს, ვინემ მე ვისმენ მასო“.

17 თებერვალს კი, როგორც უკვე ვსთქვით, იმ დროს, როდესაც გაზაფხული მეფობდა იტალიაში და იწვევდა ყველას სასიცოცხლოთ, სწორედ იმ დროს იწოდა დიდებული „გვამი ქრებოდა ის ტვინი, რომელშიაც ისახოდა შესანიშნავი აზრები და ფერფლად ქცეული ედებოდა მიდამოს.

XIII

„ბრძნულის სიცოცხლით ცხოვრება, ჭეშმარიტებისაკენ გატაცება მთელის არსებით, მშვენიერების გრძნობა და გამოთქმა, სისრულისადმი მისწრაფება ყოველი სულიერის ძალით, აი ადამიანის ერთად-ერთი დანიშნულება. სხვა ყველაფერი არის ამაოება და ჭკუა-გონების საწყენი“, ამბობს რენანი, და რომელი კაცი ასრულებდა ამას სრული სიმართლით თუ არა ჯორდანო ბრუნო!..

ეს დიადი კაცი ცოცხლობდა მხოლოდ სიბრძნით, მას უდგამდა სულს მხოლოდ ოთხი სიტყვა: ჭეშმარიტება, სიმართლე, სათნოება და შვენიერება. იგი იბრძოდა მათ მოსაფენათ მთელ ქვეყანაზე. ჩვიდმეტი წლის განმავალობაში ეს დიდებული ფილოსოფოსი მოუსვენრათ უკიჟინებდა მთელს ევროპას, ამცნევდა ამ ოთხს სიტყვას და მათს მნიშვნელობას. ჩვიდმეტი წელი დარბოდა ეს მოჯღალავი იტალიელი სახელმწიფოდან სახელმწიფოში, ქალაქიდან ქალაქში, უხელდა ყველას გონების თვალს, უმაღლებდა სულს, უბადებდა ახალ აზრებს და ჰგრძნობდა კაცის ნამდვილ ღირსებას. მაგრამ რას ნიშნავს ჩვიდმეტი წელი იმ საუკუნოებთან, რომელთ განმავალობაშიაც ალბობდა კაცის გაყინულ ღვინს მისი წიგნები!..

აგერ მესამე საუკუნე გადის მას შემდეგ, რაც შესწყდა ამ დიადი კაცის ხმა. მისგან შექმნილმა ახალმა ხანამ, მის გამო გაღვიძებულმა კაცობრიობამ წარსდგა მას შემდეგ წინ დიდი ნაბიჯი. განვითარდა მეცნიერება და ფილოსოფია. ახლანდელი ევროპა გამსჭვალულია უფრო მაღალი აზრებით, უფრო დიდი ფიქრებით და სურვილით. იგი უფრო დაუახლოვდა ჭეშმარიტებას, უფრო განახორციელა სიმართლე; გაძლიერდა და აყვავდა მისი სული. კაცის აზრმა მიიღო სრული თავისუფლება; ის გაბატონდა. სწავლა-განათლებამ დაიჭირა პირველი ადგილი; მან გაამდიდრა ხალხი ნივთიერათ და შეამკო სულიერათ, მან კაი ხანია მოსპო დიდი უსამართლობა,—მონობა. მან დაბადა ამ ქვეყნათ თავისუფლება, სადაც მხეცურ ძალადობას აღარ აქვს ადგილი, და ჰსურს შესცვალოს ხალხის ეკონომიური მდგომარეობა, მოსპოს კლასსთა ბრძოლა და დააარსოს სრული ძმობა, ერთობა და სიყვარული, რითაც სამუდამოთ მოისპობა უსამართლობა, ცარცვა-გლეჯა, უმეცრება, სიღარიბე და ცრემლები.

— „სიკვდილი ერთ საუკუნეში ხდის მეცნიერს უკვდავათ შემდეგ საუკუნოებში და დადგება ის დრო, როდესაც ყველა დაინახავს მას, რასაც ჰხედავ ახლა მხოლოდ შენ“,— ამბობს ბრუნო.

და მართლაც, უსამართლოთ ტანჯულო, შენ დაგაფასა და გაგხადა უკვდავი შემდეგმა საუკუნოებმა და რამდენი დრო გადის, იმდენი უფრო გემატება ქება-დიდება. მართლაც დადგა ის დრო, როცა ყველამ დაინახა ის, რასაც ხედავდი მაშინ მხოლოდ შენ, და მადლიერმა შთამომავლობამ დააფასა შენი ღვაწლი და თავდადება.

9 ივნისს, 1889 წელს მთელი ევროპის წარმომადგენელთა თანადასწრებით იმ ალაგას, სადაც ფერფლათ იქცა ბრუ-

ნოს გვამი, დაუდგეს მას ძვირფასი ძეგლი და რომის კურიის ახლო ღაღადებდნენ ხმა მაღლა მის ქება-დიდებას.

ძეგლს გარშემო ამშვენებს ძვირფასი ადრიანტები მისებრ ტანჯულ სერვესი, რამუსის, გუსის, ვანისის, კამპანელის, სარტის, ვიკლევის და პალიარიოსი. თვით ბრუნო კი ყველას თავი, ყველაზე ბრძენი და დიადი დგას ამაყათ შუაში მთელის ტანით და მისი დიდრონი თვალები თითქო ფიქრობდენ კვლავ უთვალავ ქვეყნებზე და მათ ცოცხალ არსებებზე.

დიახ, რომის მოედანს დღეს ამშვენებს შენი მატური, ტანჯულო ფილოსოფოსო, მაგრამ რას ნიშნავს ეს ხელთქმნილი ტაგრუცი იმ დიდებულ ძეგლთან, რომელიც შეჰქმენ შენვე ჩვენს გულში და გონებაში!.. სანამ არ შესწყდება ამ ქვეყნათ ადამიანის სიცოცხლე, მანამ კაცის გამომთქმელი ენა დიდებით მოიხსენებს მის გონებითს მხსნელს, მისთვის ტანჯულს, დიდ გენიოსს, ჯორდანო ბრუნოს.

ს. ქვარიანი.

7 აპრ. 1903 წ.

დიდი ნათელი ძველის ქვეყნისა

სოკრატი.

I

ვინ იყო სოკრატი?

სოკრატი იყო ბერძენი. დაიბადა ქ. ათინაში 469 წელს და გარდაიცვალა 399 წელს ქრისტეს შობამდე, 70 წლის მოხუცად. მამა მისი იყო ქვის მთლელი, დედა—მეანი (ბებია), რისგამოც სოკრატი ხშირად იტყოდა ხოლმე: „დედაჩემი მეანი იყო, ჰშველოდა ადამიანებს მშობიარობაში; მეც ამას ვაკეთებ, იმ განსხვავებით, რომ აზრების შობაში ვშველი ხალხსაო“.

მამა ასწავლიდა შვილს თავის ხელობას, მაგრამ ამით არ კმაყოფილდებოდა და იმავ დროს სკოლაშიაც ატარებდა სასწავლებლად. ათინაში იმ დროს ყველა ნასწავლი იყო და ბევრნაირი სკოლაც არსებობდა იქ: იყო ისეთი სკოლები, რომ მარტო წერა-კითხვას ასწავლიდნენ, მაგრამ ისეთი სკოლებიც იყო, სადაც ყველა მეცნიერებას ასწავლიდნენ. სოკრატი პატარაობიდამვე დიდს გონებას იჩენდა და ამიტომ, როცა ამან წერა-კითხვის სკოლა გაათავა, მამამ იგი ახლა უმაღლეს სასწავლებელში მიაბარა.

სოკრატმა გაათავა ეს სკოლაც და წინანდებულათ შველოდა მამას ქვების თლაში. სოკრატი ბეჯითად მუშაობდა, მაგრამ იმავ დროს ხშირად ძალიან დაფიქრდებოდა ხოლმე.

ფიქრობდა ის აი რაზედ: „სკოლაში მე ყველაფერი მასწავლეს, ყველა მეცნიერება გამაზეპირებინეს, მაგრამ უმთავრესი კი არ მასწავლეს—არ მასწავლეს, როგორ უნდა ცხოვრობდეს ადამიანი? კიდევაც ამიტომ არის, რომ ბევრი არაფერი ხეირია ჩვენს სწავლაში. თუნდაც ყველა ვარსკვლავები შევისწავლოთ და ყველა მცენარე და ქვანი გავიზეპიროთ, ადამიანთა ცხოვრება ამით მაინც არ გაუკეთესდება. ყოველი ჩვენგანი ეძებს თავისთვის სიკეთეს, მაგრამ რომ კარგათ გავსინჯოთ, სიკეთე კი არა და ავს ვუმზადებთ თავსა. და არ ვიცით, რაშია ნამდვილი სიკეთე ადამიანისა. აი მე ბევრი ვისწავლე, მაგრამ აბა მკითხე—როგორ უნდა სცხოვრობდეს ადამიანი, და მე სიტყვასაც ვერ გეტყვი ამაზედ, რადგანაც არ ვიცი. ეს კი უმთავრესია, უწინარეს ყოვლისა ეს უნდა იცოდეს ყოველმა ადამიანმა. სწავლამ მარტო ის სარგებლობა მომიტანა, რომ თვალ-ნათლივ დამანახვა, რომ მე არაფერი ვიცი; წინათ, სანამ უსწავლელი ვიყავ, მე მეგონა, რომ რამე ვიცი, ახლა კი დარწმუნებით შევიტყე, რომ მე არაფერი არ ვიცი".

ასე და ამ გვარად ფიქრობდა სოკრატი, მოსვენებას არ აძლევდა თავის თავს და მუდამ ამას ეკითხებოდა თავს: „ვის ან რას დავემყარო, რომ თავის დღეში არ შევცდე და კეთილის მაგივრათ ავი არ მოვიქმედო.—ფიქრობდა ამაზედ სოკრატი, ბევრნაირათ გასაჯა ეს კითხვა და ბოლოს მიაღწია კიდეც ნამდვილ პასუხამდის. მან შეიტყო, რომ ყოველ ადამიანს დაბადებითვე თან დაჰყვება სვინიდისი, დაემყარეთ ამას, დაუჯერეთ ყოველი რჩევა ამ ღვთიურს რჩევას; თუ სვინიდისი გეუბნება გააკეთეო, შენც გააკეთე, რადგანაც იცოდე, რომ კარგია, ხოლო თუ გეუბნება—ნუ გააკეთებო, შენც ნუ გააკეთებ, რადგანაც იცოდე, რომ ეგ საქმე უთუოდ ცუდიაო. სოკრატმა ბევრნაირად გამოსცადა თავისი სვინიდისის ასეთი წმიდათა-წმიდაობა, შეუცდომლობა და დარწმუნდა, რომ ეს მართალია, რომ სვინიდისი ერთად-ერთი და საუკე-

თესო გზის მაჩვენებელია ჩვენის ყოფა-ქცევისა და კეთილის ცხოვრებისა, დარწმუნდა, რომ სვინიდისი ნამდვილი ღვთიური ხმაა ადამიანში.

მივიდა რა ამ დასკვნამდის, სოკრატმა სთქვა: „რაკი შევიტყე, რაშია ჭეშმარიტება და კეთილი, საჭიროა სხვებსაც ვასწავლო, რომ სხვებსაც კარგად ეცხოვრებოდესო". სწორეთ ეს დრო იყო, რომ სოკრატს მამა მოუკვდა. სოკრატი დარჩა სახლის უფროსად. მას უკვე ცოლი და შვილები ჰყვანდა. ეს თავისი განზრახვა სოკრატმა პირველად ცოლს გაუზიარა. ცოლს არ ესიამოვნა და უთხრა: „დაანებე, სოკრატ, თავი მაგ შენს განძრახვას, მუშაობა (ქვის თლა) უკან დაგრჩება და ჩვენ გაჭირვებაში ჩავცვივით. დაანებე თავი შენს გადაწყვეტილებას, მასწავლებლები უშენოთაც ბევრი ჰყავს ჩვენს ხალხსაო".

მაგრამ სოკრატმა არ დაუჯერა ცოლს. ის ხედავდა, რომ ხალხი მის თვალწინ იტანჯება, რადგანაც არ იცის, როგორ უნდა ცხოვრება. უთუოდ საჭიროა სწავლება, თორემ რა კაცობაა, გულში დავიმარხო ეს ღვთის ხმა ჭეშმარიტებაზე და კეთილზეო.

უნდა გითხრათ, რომ უწინ, სოკრატამდე, ბერძნები ძლიერ კარგათ და ბედნიერათ სცხოვრობდნენ. მიწა კარგი და მომცემი ჰქონდათ, ჰაერი თბილი. ყველა მათგანი სიამოვნებით ამუშავებდა მიწას—ჰხნავდა, სთესდა, აშენებდა ბაღებსა, ფუტკარსა, ფრინველსა, საქონელსა. არ იყო მათში მდიდარი და ღარიბი, ბატონი და ყმა, ყველანი თანასწორათ სცხოვრობდნენ. მაგრამ შემდეგში კი ბერძნებმაც დაიწყეს ომები, დაუწყეს მეზობელ ხალხებს შეწუხება—ხოცვა, ცარცვა, ტყვევნა. გამდიდრდნენ ბერძნები უსამართლო სიმდიდრით და ბათი ცხოვრებაც სულ მთლათ გაფუჭდა: ვინც თავხედი იყო, ჯარში იწყვდა, ვინც მცოდნე—მთავრობაში, ვინც მოხერხებული—ვაჭრობაში. მუშაობას აღარავინ კადრულობდა; მიწის შემუშავება, ბაღოსნობა, მეფუტკრობა, საქონლის მოვლა-მო-

შენება ბერძნებმა მთლათ თავის ტყვეებს, ყმებს დააკისრეს.

თუ სადამდის მიდიოდა ბერძნების უსამართლობა, სჩანს იქიდამ, რომ სოკრატის დროს ათინის ქვეყანაში ითვლებოდა ასი ათასი ბერძენი და ოთხასი ათასი მონა! აი ამათ აკეთებინებდნენ ბერძნები ყველა სამუშაოს და თითონ კი მარტო იმას ცდილობდნენ, რომ ვაჭრობით და ომით თუ მოხელეობით რაც შეიძლება ბევრი ფული ეშოვათ, მონები და მხევლები გაემრავლათ და ეცხოვრათ თვისდა სასიამოვნოთ.

სცხოვრობდნენ ასე ბერძნები და სულ გაფუჭდნენ; აღარავინ ფიქრობდა სიმართლით ცხოვრებაზე, ძმისა და მეზობლის დახმარებაზე, მონების შეწყალებაზე, ყველა მარტო იმას ფიქრობდა, რომ ოდგორმე სხვა დაემორჩილებინა, სხვისით ნარი ეგლიჯა.

ნახა, სოკრატმა, რომ ხალხი სულ გადარეულა, რომ თითონვე ჰლუპავს თავის თავს და აი, დაიწყო სოკრატმა დროგამოშვებით მეიდანზე გამოსვლა და აქ ხმა-მაღლა ლაპარაკი, რომ ასე ცხოვრება არ ვარგა, ადამიანი გონიერი ქმნილებაა და ცხოვრებაც გონიერი უნდაო.

II.

საუბარი იმაზედ, თუ როგორ უნდა ცხოვრება.

ერთხელ სოკრატს შეხვდა მეიდანზედ არისტონი, კაცი მდიდარი, ჭკვიანი და კეთილი.

— გამარჯობა, არისტონ,—უთხრა სოკრატმა.—სადა ხარ, არა ჩანხარ, ალბათ სამუშაო ბევრი გაქვს და ხეტიალისთვის არა გცალიან?

— არა,—უპასუხა არისტონმა.—მე არაფერი სამუშაო არა მაქვს, ან რათ უნდა ვიმუშაო, მე უიმისოთაც დიდი შეძლება მაქვს, რათ შევიწუხო თავი, მე იგრეც სიამოვნებით და მხიარულათ ვატარებ დროს, სხვა რაღა მინდა?

— ეგ მართალია, არისტონ, რომ მუშაობა შენთვის საჭირო არ არის,—უთხრა სოკრატმა,—მაგრამ ის კი კარგია, რომ მთელი შენი სიცოცხლე მაგრე უსაქმობაში გაატარო?

— რატომ არ არის კარგი, იმაზედ უკეთესი რა არის, რომ მუდამ სიამოვნებაში იყო,—უპასუხა არისტონმა.

— არა მგონია,—უთხრა სოკრატმა.—აქაო და სიამოვნებაში ვატარებ დროსაო, განა უკეთესი ცხოვრებაც ეგ არის? ჰერაკლესზე მაინც არ გაგიგია?

— როგორ არ გამიგია, ის გმირი იყო, ბევრი დიდებული საქმე გააკეთა და დიდი სახელიც გაითქვა,—უპასუხა არისტონმა.

— ის კი არ გაგიგიათ, როგორ აირჩია ჰერაკლესმა ცხოვრების გზა,—ჰკითხა სოკრატმა.

— არა, ეგ არ გამიგია, უპასუხა არისტონმა.

— მაშ ყური დამიგდე, გიამბობ.—უთხრა სოკრატმა.—გიამბო?

— გვიამბე, გვიამბე,—დაიძახეს აქეთ-იქიდამ.

— მიამბე,—უთხრა არისტონმაც. სოკრატმა დაიწყო.

ი საქმე როგორ იყო. როცა ჰერაკლესი წამოიზარდა, დაფიქრდა იმაზედ, რა გზას დაადგეს, რა ცხოვრება აირჩიოს. წავიდა სასეირნოთ და სულ კი ამაზედ ფიქრობდა: რა გავაკეთო, როგორ ვიცხოვრო? ამ ფიქრში ჰერაკლესი გავიდა მინდვრად. ჰხედავს მოდიან ორი ქალი: ერთი არც დიდი იყო, არც პატარა, არც მსუქანი, არც გამხდარი, არც მორთული, არც ჭუჭყიანი, ბოდის ერთნაირად, ნელა, აუჩქარებლათ, თავს არავის აწონებდა; მეორე კი იყო—მაღალი, მსუქანი, მორთული, ფერ-წასმული და მედიდურათ, თავ-მომწონეთ მოდიოდა. ეს ქალი მიესალმა ჰერაკლესს და უთხრა: მე კარგათ ვიცი, რაზედაც ფიქრობ, ჰერაკლეს: შენ იმაზედ ფიქრობ, თუ რა ცხოვრება აირჩიო და რა გზას დაადგე! მე მოველ, რომ გასწავლო საუკეთესო გზა; თუ მე მომყვები—ადვილად და მხიარულად იცხოვრებ, არ გეცოდინება შრომა,

ზრუნვა და მწუხარება; პირიქით, სიამოვნება, ტკბილ-ტკბილი საჭმელები და გემრიელი სასმელები, რბილი ქვეშაგები და განცხრომა, აი, რა იქნება შენი ყოველ-დღიური ხვედრი. შენი საქმე მარტო ის იქმნება, რომ უბრძანო და ყველაფერი მოგერთმევა. მოეწონა ჰერყულესს და ქალს სახელი ჰკითხა.

— ჩემი სახელი არის აწმყო და ბედნიერება—მიუგო მსუქანმა.

პირველი ქალი ჩუმად იდგა და ყურს უგდებდა. ახლა ამან დაიწყო:

„ჯერ ჩემს სახელს გეტყვი; მე სიმართლე მქვიან.—არ მოგატყუებ და პირდაპირ გეტყვი რაშიაც არის საქმე, რაშია ბედნიერება ადამიანისა! შენ თითონაც იცი, რომ მიწამ რამე მოგიყვანოს, ბევრი უნდა იმუშაო; თუ გინდა, რომ საქონელი გვყვანდეს, უნდა მოუარო; რომ სახლი კარგი გქონდეს—ქვები დათალო ანუ აგური მოსჭრა; რომ ადამიანებმა პატივი გცენ—იშრომო მათთვის; რომ ღმერთს უყვარდე—მისი ნება შეასრულო; მისი ნება კი ის არის, რომ ადამიანებს მათის შრომისათვის შრომითვე გადაუხადო! ამ გზით გატარებ, ჰერყულეს, მე შენ, მარტო ეს გზაა ღირსი ღირსეული ადამიანისა.

— არა, ჰერყულეს,—ჩაერია ლაპარაკში მსუქანი;—ეგ მარტო შრომას, შრომას და შრომას გპირდება შენ, სიამოვნება კი იქნება თუ არა, ამაზედ არაფერს ამბობს. არა, ჩემთან გირჩევნია წამოსვლა, ჩემთან არც შრომა გექნება, არც მწუხარება, პირიქით, სიამოვნება-სიტკბოებით აგავსებ მე შენ: ტკბილათ სჭამ, გემრიელათ დაჭლევ, რბილათ დაიძინებ, წამო ჩემთან...

— მოიცა,—შეაყენა ის მეორე ქალმა.—შენ ეუბნები: ტკბილათ სჭამ და დალევო და გგონია, რომ ეს სიკეთეა; მაგრამ შენ ხომ არც ჭამა-სმა იცი: სჭამ უდროვოდ—როცა არა გშიან და სვამ—როცა არ გწყურიან, რისგამოც თვით იშვიათი საჭმელები და უძვირფასესი სასმელები იოტის ოდენა სი-

ტკბოება-სიამოვნებასაც ვერ გაძლევენ; შენ ჰპირდები მაგას ტკბილს ძილსა, მაგრამ შენ არც ძილი იცი, რადგანაც იძინებ მხოლოდ მოწყენილობისაგან... ტკბილათ მოსვენება მარტო იმას შეუძლიან, ვინც იმუშავა, შენ კი რისაგან უნდა მოისვენო? კარგათ გიცნობ მე შენ, რამდენი დაღუპე შენის მაცდურობით და უსაქმური ცხოვრებით; აბა გაიხედე, რამდენი გიჩივის, რომ უნაყოფოთ გაფლანგეს თავისი ქონება და ახალგაზდობა. ამიტომაც გდევნიან შენ ყველა პატიოსნები და გეძახიან ცხოვრების გამხრწნელათ. მე კი არავისთვის მომიტყუებია, ვინც პატარაობიდამვე მომდევს მე, ყველა განმტკიცდა სულით და ხორცით, ყველამ იპოვნა მეტი სიხარული, ყველა პატივსა სცემს მათ, ყველა სიამოვნებით იგონებს შრომით და წვალებით სავსე განვლილ დღეებს და წყნარად მოელიან სიკვდილსა. შენზედ ჩივიან, ჩემზედ კი ძვირი არავის უთქვამს და ყველა მართალს მეძახის. აი, რა ცხოვრებისთვის მოვიწოდებ, ჰერყულეს, მე შენ!..

ჰერყულესმა ბევრი აღარ იფიქრა, აიღო და გაჰყვა მართალსა: იშრომა ხალხისათვის, ასიამოვნა ხალხსა და ღმერთს და ამით თითონაც კეთილი მოიპოვა და გმირი და სახელოვანიც გახდა ხალხის ხსოვნაში.

მიუბრუნდა სოკრატი არისტონს და უთხრა: „ახლა თითონ გასაჯე, არისტონ, ამ ორში რომელს მიჰყვე: შრომას თუ ცუდაობას, საქმეს თუ უსაქმურობას, გახრწნას თუ სიწმინდეს. ესწრაფე ისე არ მოკვდე, რომ არც-არა ღმერთს ასიამოვნო და არც-არა თავის თავს და ხალხს არგო!..

III.

საუბარი გლავკონთან.

ერთხელ სოკრატი შეხვდა მეიდანზედ მდიდარს გლავ-

კონს, რომელსაც აზრად ჰქონდა გამხდარიყო ათინის მმართველად.

— გამარჯობა, გლავკონ,—უთხრა სოკრატმა.— მე გავიგე, რომ შენ აზრად გაქვს გახდე ათინის მმართველად.

— იმედი მაქვს ასე იქნება,—უპასუხა გლავკონმა.

— კარგი საქმეა: როცა უფროსი იქნები, დიდი უფლებაც გექნება და შეგიძლიან ბევრი სიკეთე მოუტანო ხალხს. მაგრამ ერთი ეს გვითხარ, გლავკონ: კარგი მმართველი ის არის, ვინც დიდს სიკეთეს უქადის თავის ხალხს; გვითხარი, რა სიკეთე გწადიან მოუტანო ხალხს, საიდამ დაიწყობ?

გლავკონი აირია, ვერაფერი უპასუხა და ჩაფიქრდა.

— რატომ გაგიძნელდა, გლავკონ! რა ძნელია იმის თქმა, თუ რითი დაიწყობ ხალხის სამსახურს. ხალხი იგეთივე ადამიანებია, როგორც ყველა ჩვენგანი. შენის მეგობრისათვის რომ სიკეთე მოინდომო, მგონი ყველაზე წინ იმას ეცდები, რომ იმას სიმდიდრე შეჰმატო, არა?

— მართალია,—უპასუხა გლავკონმა.

— ასევეა ხალხის სიკეთე,—უთხრა სოკრატმა.—ხალხისათვის სიკეთის მოტანაც იმაში მდგომარეობს, რომ ყველა გაამდიდრო, მართალია თუ არა?

— მართალია, სოკრატ,— უპასუხა გლავკონმა.

— ახლა ის მითხარ, გლავკონ, რა უნდა გავაკეთოთ, რომ ყველა გამდიდრდეს? მე მგონია, ამისთვის ყველაზე წინ ის არის საჭირო, რომ ხალხს მეტი შემოსავალი ჰქონდეს და ნაკლები გასავალი. აგრეა თუ არა?

— მგონია აგრეა,—უპასუხა გლავკონმა.

— ახლა ის მითხარ, გლავკონ, საიდამ აქვს ხალხს შემოსავალი და რამდენი, შენ უთუოთ უკვე იცი ეს?

— არა, მაგაზე მე ჯერ სულაც არ მიფიქრია.

— მაგაზე თუ არ გიფიქრია, ალბათ იმაზე მაინც იფიქ-

რებდი, თუ რა გასავალი აქვს ჩვენს ხალხს მეტი და რომელი შეიძლება გამოიტოვოს, რომ შემოსავალი მეტი დარჩეს?

— არც მაგაზე მიფიქრია,—უპასუხა გლავკონმა.

— იმაზე ხომ უეჭველათ იფიქრებდი, რით გაამდიდრო შენ ხალხი, გვითხარ, ოით აპირობ ხალხის გამდიდრებას?

— ხალხის გამდიდრებას ყველაზე მალე და ადვილათ მე ომით ვფიქრობ. დავიპყრობ სხვა ხალხებს, ავიკლებ, იმათ სიმდიდრეს და გავუნაწილებ ჩემს ხალხს,—სთქვა გლავკონმა.

— ეგ მართალია, გლავკონ, ეგ ყველაზე ადვილი საშუალებაა, რომ ხალხი გაამდიდრო, მაგრამ ისიც ეჭვს გარეშეა, რომ დაპყრობის მაგიერ შეიძლება მარტო ტყუილ-უბრალოთ ხარჯი გასწიო ომზე, ხალხი ამოწყვიტო, ათასობით გააუბედურო ოჯახები და სიმდიდრის მაგივრათაც, უარეს სიღარიბეში ჩააგდო ქვეყანა.

— ეგ მართალია, სოკრატ,—მაგრამ ომს მარტო მაშინ დავიწყობ, როცა დარწმუნებული ვიქნები, რომ გავიმარჯვებ.

— მაშასადამე, რომ ომი დაიწყო, საჭიროა ზედ-მიწევნით იცოდე ძალა შენის ხალხისა და მტრისაც,—უთხრა სოკრატმა.

— მართალია,—სთქვა გლავკონმა.

— მაშ გვითხარ, გლავკონ, რა სამხედრო ძალა გვაქვს მზათა და რა სამხედრო ძალა აქვს მტერსა, რომელთანაც აპირობ ომის დაწყებას?

— დანამდვილებით ვერ გეტყვი, სოკრატ, ზეპირათ ვერც დაიხსომებს კაცი ყველაფერს.

— მაშ უთუოთ დაწერილი გექნება, მოიტა გეთაყვა და წაგვიკითხე,—უთხრა სოკრატმა.

— არა, მე დაწერილი არა მაქვს და არც დათვლა შეიძლება მტრის ძალისა,—სთქვა გლავკონმა.

— მაშ საეჭვო გზა აგირჩევია ხალხის გამდიდრებისათვის,—უთხრა სოკრატმა. დავანებოთ ამას თავი, გვითხარ

შენი ჭირიმე, რამდენი პურია წელს საჭირო ჩვენი ხალხის გამოსაკვებად, როგორიმოსავალია წელს ჩვენში და ეყოფა იგი ხალხს ახალ მოსავლამდის, თუ არა? შენ უთუოთ უკვე მოიფიქრე ამაზედ?

— არა, მაგაზედ მე ჯერ არაფერი მიფიქრია,—სთქვა გლავკონმა. ყველაფერი რომ მაგრე დაწვრილებით გამოვიძიოთ, სად წავალთ, ეგ ადვილი საქმე არ არის...

— ერთი ესეც გვითხარი: მე მითხრეს, რომ შენ ჰშველოდი ბიძაშენს მის მეურნეობაში და ახლა თავი დაგინებებია მიატოვაო, რათა!

— ძნელი იყო,—უპასუხა გლავკონმა,—მამულიც დიდია და ბიძაჩემიც არ მიჯერებდა.

— ჰხედავ, გლავკონ! შენ ერთს ოჯახსაც ვერ მოუარე და მთელი ხალხის გამგკბლობა კი გინდა! ხელს რა საქმესაც გინდა მოჰკიდებ, მაგრამ კარგათ წაყვანა კი მარტო იმას შეუძლიან, ვინც იცის საქმე. უფრთხილდი, რომ დიდებისა და სახელის მაგივრათ უბედურება არ დაიტეხო თავზედ. წადი, ჯერ კარგათ შეიტყე ყველაფერი, რაზედაც მე გკითხე და მერე მოინდომე ხალხის მმართველად გახდომა...

IV.

საუბარი არისტარსთან.

სოკრატის მეზობლად ცხოვრობდა ვინმე არისტარხი. მოვიდა ის ერთხელ სოკრატთან და შესჩივლა: „არ ვიცი რა ვქნა. წინათ შეძლებული ვაჭარი ვიყავ, კარგი ვაჭრობა მქონდა, მაგრამ საქმე როგორღაც ცუდათ წამივიდა და გავღარიბდი. ამას ზედ დაერთო ომი, ნათესავები დამიხოცეს და იმათი შვილებიც ჩემი შესანახები გახდნენ. ჩემს სახლში ახლა თოთხმეტი სულია სულ და არ ვიცი როგორ გამოვკვებო!?

— მებრალები, მეგობარო,—უთხრა სოკრატმა,—მაგრამ მაინც როგორ ფიქრობ უშველო თავს?

— მინდოდა ფული მესესხა და ისევ ვაჭრობისთვის მიმეყო ხელი, მაგრამ იციან, რომ ჩემი საქმეები ცუდათ არის და ფულს არავინ მაძლევს.

სოკრატმა თავი გაიქნია და უთხრა: „თოთხმეტი სული მართალია ცოტა არ არის, მაგრამ ეს როგორ არის, რომ შენს მეზობელს სახლში ოცი სული ჰყავს და ყველანი არა თუ მაძღრად არიან, ფულებსაც შოულობენ?

— შენც კი დამადარე,—სთქვა არისტარხმა; ის მეზობელი მარტო თითონ არის და ცხრამეტი სული რომ ჰყავს, ეგენი მონები არიან; მონები კი უფრო მეტს მუშაობენ, ვიდრე მათს შენახვას უნდება. მე კი ის თოთხმეტი სული სულ თავისუფალი ბერძნები მყავს.

— მერე რით გაირჩევიან თავისუფალი ბერძნები მონებისგან?—ჰკითხა სოკრატმა. ეჭვი არ არის იმით, რომ თავისუფალი ბერძნები უფრო კარგები და ყოჩაღები არიან, ვიდრე მონები!..

— რასაკვირველია,—მიუგო არისტარხმა.

— სიტყვით გამოდის, რომ თავისუფალი ბერძნები სჯობიან მონებს, საქმით კი სულ სხვას ვხედავთ,—სთქვა სოკრატმა: მეზობლისას ყველაფერი კარგათ არისო, რადგანაც იქ მონები არიან, ჩემთან კი ცუდათ—რადგანაც თავისუფალი ბერძნები არიანო. ცხადია, რომ მონებს სცოდნიათ მუშაობა, თავისუფალ ბერძნებს კი არა!..

— ჩვენც მოვახერხებდით მუშაობას, რომ ძალა დავატანოთ,—სთქვა არისტარხმა,—მაგრამ ძალა ვერ დამიტანებია: ესენი აზნაურები არიანო, როგორ შეიძლება ამუშავოვო, ეწყინებათო, უსიამოვნება ჩამოვარდებაო...

— შე დალოცვილო, ახლა კი არა გაქვს უსიამოვნება? თანხმობა სუფევს თქვენში?—ჰკითხა სოკრატმა,

— რის თანხმობა, რის ერთობა, მარტო ჩხუბი და უსიამოვნება გესმის ყოველ დღე,—უთხრა არისტარხმა.

— მაშ, აი რას გეტყვი,—უთხრა სოკრატმა: უმუშაობი-

თაც უთანხმოება და უსიამოვნობაა შენს ოჯახში და არც საჭმელი გაქვთ. კარგათ ხედავ, რომ მარტო აზნაურობა შენს ოჯახს ვერც პურს აჭმევს და ვერც თანხმობას აძლევს. ახლა მოდი ასე გააკეთე: მიეცი ყველას საქმე და ნახე, უკეთ იქნებიან თუ ცუდათ?

— მე შევასრულებდი შენს რჩევას, მაგრამ რა ვქნა: რომ არ მომიწონონ და დამძრახონ კიდეც,—სთქვა არისტრახმა.

— ახლა კი არ გძრახავენ?—ჰკითხა სოკრატმა.

— როგორ არა.

— მაშ წადი, მიეცი ყველას საქმე და მერწმუნე, რომ შენი ოჯახის საქმე უკეთ წავა.

დაუჯერა არისტახარმა სოკრატს, წავიდა ერთს ვაჭართან და სთხოვა ენისიავებინა მისთვის მატყლი. ვაჭარმა მისცა მატყლი, წაიღო სახლში, შინაურებმა მატყლი დაართეს, მოქსოვეს შალები და არა თუ მარტო თითონ შეიკერეს ტანისამოსი, გაყიდეს კიდეც. ამის შემდეგ არისტარხის ოჯახი დიდიდამ პატარამდის ყველა ამ საქმეს მისდევდა, ყველანი მაძღრად იყვნენ და ფულიც ჰქონდათ, მაგრამ ყველაზე სასიამოვნო ის იყო, რომ ჩხუბი ამათში გაგონებითაც აღარავის გაუგონია და აღარც ძრახვა ვისგანმე.

ჭაბუკი და სოკრატი.

მოდის ერთხელ სოკრატი და დაინახა, რომ ახალგაზდა სოფლელი ბერძენი გაშოტილა ზედ მეიდანზედ ხის ქვეშ და ძალზედ თავს იგრილებს, შორიახლო კი ზის მონა.

— რა ამბავია მაგრე დაღლილხარ?—ჰკითხა ჭაბუკს სოკრატმა.

— როგორ არ დავიღალო, უკანასკნელი ათი ვერსი მაინც გამოვიარე ფეხით,—უპასუხა ჭაბუკმა.

— რისგან დაიღალეთ, დიდი ბარგი ხომ არ გეკიდათ? —ჰკითხა კვლავ სოკრატმა.

ჭაბუკს ეწყინა და უპასუხა: ბარგს რათ ავიკიდებდი, აი მონა მყავს და ბარგიც მაგას მოჰქონდა.

— ეგ არ დაიღალა?—ჰკითხა სოკრატმა.

— ეგ ღონიერია, მთელს გზას გაჭენებულ ცხენსავით მოდიოდა და, თუმცა ბარგი ეკიდა, თან სიმღერებსაც ამბობდა,—უპასუხა ჭაბუკმა.

— მებრალები, ჭაბუკო, რომ მონას შენი და სხვა ყველას სამსახური შეუძლიან, შენ კი არც სხვისი და არც თავის თავის სამსახური შეგძლებიაო,—უთხრა სოკრატმა და მოშორდა ჭაბუკს.

აღა და სოკრატი.

დაინახა სოკრატმა, რომ ვიღაც აღა მწარეთ სცემს მონას მათრახით. სოკრატი მივიდა აღასთან და უთხრა: „რა ამბავია, მაგისთანა რა დაგიშავა, რომ მაგრე გამეტებით სცემ?

— როგორ არ ვცემო ამ ღორ-მუცელას და უსაქმურას, მარტო იმაზედ ფიქრობს, რომ ბლომათ ვჭამო და ტკბილათ დავიძინოვო, ასი მათრახიც ცოტაა მაგისთვის!

სოკრატმა გაიყვანა აღა განზედ და უთხრა: „ერთი ეს მითხარ, თუ ღმერთი გწამს, შენ კი მუდამ იმაზედ არ ოცნებობ, რომ კარგათ ჭამო და ტკბილათ დაიძინო? მაშ შენ თითონ რაღამდენი მათრახი უნდა გადაგიჭირონ. ეგ მონა ხომ შენგან იღებს მაგალითს... მიჰხვდა აღა სოკრატის სიტყვების მწარე სიმართლესა და გაჰშორდა სოკრატს.

V.

საუბარი იმაზედ, თუ როგორ უნდა ოჯახში ცხოვრება?

სწავლაში სოკრატი ფულს არავის ართმევდა, ის კვლა-

ვაც ქვების თლით ცხოვრობდა და ამ შრომით ნაშოვნი ფულებით კმაყოფილდებოდა. მაგრამ ცოლი ვერ ითმენდა სიღარიბეს და ხშირად აყვედრიდა სოკრატს—რომ ცოტას ზრუნავ ოჯახისათვისაო, შენს საკუთარს საქმეს გულს არ უდებ და სხვების სწავლაზედ ჰკარგავ დროსაო. ხშირად საქმე იქამდის მიდიოდა, რომ ცოლი საშინლათ გაჯავრდებოდა ხოლმე და ქმარსა და შვილებსაც აღარ ინდობდა, ჰლანძღავდა და ათრევდა ცუდი სიტყვებით

სოკრატი ყვილაფერს ამას ადვილათ იტანდა და ამასვე ასწავლიდა შვილებს, მაგრამ შვილები მაინც ემდუროდნენ დედას. ამიტომ სოკრატი ასე უხსნიდა შვილებს დედის სიყვარულს და პატივისცემას:

— კარგები არიან ისინი, რომლებმაც არ იციან სიკეთის დახსომება?—ეტყოდა ხოლმე სოკრატი შვილებს.

— არა, ვინც სიკეთის დახსომება არ იცის, საძაგლები არიან,—მიუგებდნენ შვილები.

— ახლა ეს მითხარით, აი ორი მეგობარი: ერთი მათვანი ავადმყოფი და უმწეოა, ხოლო მეორე ამ ავათმყოფს უვლის, აჭმევს, ასმევს, ურეცხავს, უკერავს, აძინებს, ართობს, უთმენს ყოველს სიგლახეს... რას იტყვით ამ მეორეზედ, როგორი კაცია მეორე?

— ძალიან კარგი და კეთილი, საქმენი მისი დაუფასებელია,—ეტყოდნენ შვილები.

— მაშ რაღას უჩივით დედა-თქვენს,—ეტყოდა სოკრატი შვილებს:—ის ცხრა თვეს გატარებდათ მუცლით, შემდეგ გშობათ, დღე და ღამ თქვენთვის ზრუნავდა: გივლიდათ, გპატრონობდათ, გზრდიდათ, კეთილს გასწავლიდათ, თქვენის კარგის ქცევით და საქმით ხარობდა, ცუდებით—იტანჯებოდა, ჯავრობდა... განა იმის ღირსია დედა-თქვენი, რომ ახლა, როცა დაიზარდენით, არ გინდათ მას ისეთივე პატივით, სიყვარულით, მოთმინებით და ზრუნვით მოეპყრათ, როგორც ის თქვენს პატარაობაში თქვენ გეპყრობოდათ!?

არა, შვილებო, ყოველი დედა ღირსია იმისა, რომ ყოველმა მისმა შვილმა ერბო-კვერცხიც კი მოსწვას მის გულისათვის თავის ხელის გულზედა!..

VI.

საუბარი იმაზედ, თუ რატომ საჭირო არ იყო სოკრატისთვის გემრიელი საჭმელები და ძვირფასი ტანსაცმელი?

მოვიდა ერთხელ ვინმე მასწავლებელი სოკრატთან, ნახა მისი ცხოვრება და უთხრა:

— აი ვნახე მე შენი ცხოვრება; სჭამს სულ უბრალო

— არა, არ გამიგია, მაგრამ მაინც უსიამოვნოა შენი საჭმელს, იცვამ სულ უბრალო ტანისამოსს, ერთნაირათ ზამთარში და ზაფხულში,—მაშ რალათ გინდა შენი სიბრძნე, თუ კი არაფერი შელავათი და უკეთესობა არ დაეტყობა თვით შენს ცხოვრებას?

— გაგიგია, რომ მე როდისმე შემეჩივლოს ვისთვისმე ჩემს ცხოვრებაზედ,—ჰკითხა სოკრატმა.

— არა, არ გამიგია, მაგრამ მაინც უსიამოვნოა შენი ცხოვრება: სასმელ-საჭმელი ხეირიანი შენ არა გაქვს და არცა რა სიამოვნება იცი შენ,—უთხრა მასწავლებელმა.

— არა, უპასუხა სოკრატმა: სხვა ძვირათ შესჭამს და დაჰლევს ისეთის სიამოვნებით, როგორც მე; შენც კარგათ იცი, რომ სულ უბრალო საჭმელი გემრიელია ეძვირფასეს საჭმელზედ, თუ სჭამ მაშინ, როცა თავს მოიშიებ; მეც ასე ვიქცევი: არა ვჭამ—სანამ კარგათ არ მომშივა და არა ვსვამ—სანამ საგრძნობლათ არ მომწყურდება; მითხარი, რათ მინდა ამის მერე შენი ძვირფასი საჭმელები და სასმელები? რაც შეეხება ტანსაცმელს, შენ რომ ზამთარში სხვას იცვამ და ზაფხულში სხვას, ჩემთვის სრულიად მეტია ეგ, რადგანაც მე ისე მაქვს დაჩვეული ჩემი სხეული, რომ ერთ და იმავე ტანისა-

მოსში მე ზამთარში არა მცივა და ზაფხულში კიდევ არა მცხელა.

— ვსთქვათ შენ მაგრე დაგიჩვევია შენი თავი და მაგრეც ცხოვრობ, სხვებს რაღათ ასწავლი, რომ იმათაც ისე იცხოვრონ, როგორც შენ,—ჰკითხა მასწავლებელმა.

— აი ყური დამიგდე,—უპასუხა სოკრატმა: ვსთქვათ მოვიდა ჩემთან და შენთან ვინმე და გვითხრა: „მიშველე, შემეწიე!"—ვის უფრო შეეძლება შემწეობის მიცემა—შენ თუ მე? შენ უთუოთ იფიქრებ: სიამოვნებით ვუშველიდი, მაგრამ რომ თვითონ დამჭირდება! მე კი სულ სხვა მდგომარეობაში ვარ: მე მუდამ მზათა ვარ სხვას ვუშველო, რადგანაც თითონ ჩემთვის ძლიერ ცოტაა საჭირო; ვსთქვათ დადგა გასაჭირი დრო, საჭიროა თავის დადება ხალხისთვის, საზოგადოებისთვის: შენ უთუოთ იფიქრებ, ნეტავი კი ამცდეს მე ეს მსხვერპლი, რადგანაც ეგ შენთვის, რა თქმა უნდა, საზარალო იქნებოდა, ჩემთვის კი სულ სხვა იქნებოდა, მე ვერაფერი დაამიჭერდა, ოღონდ რითიმე გამოვსდგომოდი ხალხს და საზოგადოებას.

— მართალია ხარ, სოკრატ, მაგრამ მაინც სიკვდილს ვარჩევ და შენებურათ კი ვერ ვიცხოვრებ! მიკვირს, რომ ამდენი მსურველია ყური უგდოს შენს ლაპარაკსა,—სთქვა მასწავლებელმა.

— ყურს ბევრი მიგდებს, მაგრამ შესრულებით კი მცირენი ასრულებენ ჩემს ნათქვამს: ზოგნი მიგდებენ ყურს, მოსწონთ კიდეც ჩემი აზრები, მაგრამ დამშორდებიან თუ არა, კვლავ ძველებურათ ცხოვრობენ; მაგრამ არიან ისეთებიც, რომ ჩემის ნათქვამის მსგავსათ ცხოვრობენ და უფრო ბედნიერათა სთვლიან თავსა, ვიდრე წინათ.

VII.

საუბარი ძმეისს ცხოვრებაზედ.

შეიტყო სოკრატმა, რომ ვინმე მდიდარი ვაჭარი გაეყარა ღვიძლ ძმასა. სოკრატი შეჰხვდა ვაჭარსა და უთხრა:

— მიკვირს შენგან: ჭკვიანი კაცი ხარ, გიყვარს მუდამ შეძენა, იჭერ ნოქრებს, იწვევ სხვებსაც საქმეში და საკუთარ ძმას კი გაეყარე! განა ცუდია ძმასთან თანხმობით ცხოვრება?

— ვინ ამბობს, რომ ცუდია, მაგრამ როგორ ძმასთან: ძმაც არის და ძმაც! აი ჩემი ძმა სხვებთან კარგია, ჩემთვის კი ყოვლად გამოუსადეგარი, უსიამოვნო!

— იქნება შენ თითონ ცუდათ ექცევი ძმას,—ჰკითხა სოკრატმა ვაჭარს.

— სრულიადაც არა: მე მუდამ კარგათ ვექცევი ყველას, ვინც მე მექცევა კარგათ, კეთილი ვარ მისთვის, ვინც კეთილია ჩემთვის; არ შემიძლიან კეთილათ მოვექცე იმას, ვინც ცდილობს მუდამ უსიამოვნება მომაყენოს.

— ერთი ეს მითხარ,—უთხრა კვლავ სოკრატმა,—როგორ მოექცეოდი იმ კაცს, რომელთანაც დაახლოვებას, დამეგობრებას მოინდომებდი?

— როგორ მოვიქცევოდი? —უთხრა, უთხრა.—მე ისე მოვიქცეოდი ამ შემთხვევაში, როგორც ყველანი იქცევიან: ვასიამოვნებდი ყველაფრით, დავპატიჟებდი, მივართმევდი რაც კი უკეთესი რამ მექნებოდა, ვუშველიდი ყველა საქმეში, დავეხმარებოდი ფულით, როცა კი ეს საჭირო იქნებოდა მისთვის და სხვ.

— გააკეთე ეგევე შენი ძმისათვის და ნახავ, რომ ძმაც გამოგეცვლება, მისთვის ერთი დღეც უშენოთ ცხოვრეა ტანჯვა იქნება...

— არა, თავს ვერ დავიმდაბლებ, სხვა არა იყოს-რა, სირცხვილია, ხალხი რას იტყვის, ძმას დაემორჩილაო,—სთქვა ვაჭარმა.

— კარგი ქცევა, კეთილი საქმე თავის დღეში სირცხვილი არ არის, და თუნდაც რომ შენმა ძმამ ამის შემდეგაც არ ინდომოს შენთან ძმურათ ცხოვრება, ყველას ხომ ეცოდინება მაინც, რომ შენ შენსას ეცადე, ძმას ძმურათ ექცეოდი და

მარტო შენი ძმაა აქ დამნაშავე. შენ მხოლოდ გააკეთე ისე, როგორც გითხარ, დაიწყე ახლად ძმური ცხოვრება და ღმერთი გაკურთხებთ. ორი ძმა იგივეა, რაც ორი თვალი ადამიანისათვის, ორი ხელი და ორი ფეხი. აბა რა იქნებოდა, რომ ერთი ხელი უშლიდეს მეორეს? ხელების დანიშნულება ის არის, რომ ერთმანეთს უშველონ; ასევე ძმებისა: ხელს ხელისა და ფეხს ფეხის შველა შეუძლიანთ სულ ერთის არშინის მანძილზედ, ძმას ძმის შველა და დახმარება კი თუნდა ქვეყნის მეორე პირიდამაც შეუძლიან. ღმერთმა გვიბრძანა ძმურათ ცხოვრება ყველასთან და ამიტომ ვინც ღვიძლ ძმასთან ვერ ცხოვრობ ძმურათ, იგი არღვევს ღვთიურს მცნებასა.

VIII.

საუბარი იმაზედ, თუ ადამიანებმა როგორ უნდა იცხოვრონ ერთათ.

სოკრატის საუბრის ყურის საგდებლად მოდიოდნენ მრავალნი შორეულ ქვეყნებიდამაც კი. ერთხელ დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი სოკრატთან. როგორც ზემოთ ნაამბობიდამაც დაინახავდით, სოკრატს არ უყვარდა მარტო თითონ ლაპარაკი, ის უფრო სხვებს ალაპარაკებდა. ის ხშირად იტყოდა ხოლმე: „დედა ჩემი ბებია იყო, შველოდა მშობიარეთ შვილების გაჩენაში; ასევე მე: თითონ არაფერს ვასწავლი ხალხს, მე მარტო ვშველი სხვას, თუ როგორ უნდა თითონ ისწავლონ. ასე მოიქცა ამ შემთხვევაშიაც. აი გამოვიდა სოკრატი, დაჯდა სკამზედ, ხალხი კი მის წინ დალაგდა, ვისაც როგორ ეხერხებოდა—ზოგი ქვაზედ ჩამოჯდა, ზოგი მიწაზედ დაჯდა და სხვა. დაიდო სოკრატმა ხელები მუხლებზედ, დაღუნა თავი და დაფიქრდა. ყველა ელოდა, რასა გვკითხავსო? ასწია სოკრატმა თავი და სთქვა:

— ერთი ეს მითხარით: რათ არის, რომ ადამიანები ერ-

თათ ცხოვრობენ და არა ცალ-ცალკე? ეხლა აი ადამიანებში ყველგან უთანხმოება და მტრობაა და ცალკე რომ ეცხოვრათ, იქნებოდა ყველა თავისთვის და არც არავისთან ექნებოდათ ჩხუბი; მგონი ასე ემჯობინებოდა!..

ყველა ალაპარაკდა. ერთმა სთქვა: ადამიანები იმიტომ ცხოვრობენ ერთათ, რომ ასე უფრო სარფაოა, მარტო-კაცისთვის მუშაობაც სამძიმო იქნებოდა, ერთად უფრო მეტს გააკეთებენო. მეორემ სთქვა: მარტო ცხოვრება საშიშოც იქნებოდა, ძნელი იქნებოდა თავის დაცვა. მესამემ სთქვა: მოსაწყენი იქნებოდა მარტო ცხოვრება, ერთად უფრო ყაამურია. ნათქვამია: მარტო კაცი პურის ჭამაშიაც ბრალიაო. მეოთხემ სთქვა: თვით ღვთისაგან დაწესებულია, რომ ადამიანები ერთათ ცხოვრობდნენ და არა ცალ-ცალკეო...

— მართალია,—სთქვა სოკრატმა.—მაგრამ რა სჯობია: მშვიდობიანათ ცხოვრება თუ მტრულათ?

— რასაკვირველია, მშვიდობიანათ,—უპასუხა ყველამ.

— აი თქვენც ასე ფიქრობთ და ღმერთმაც ასე გვიბრძანა, მაგრამ რომ ასე არ არის ჩვენში! რისგან არის ეს?

ყველანი გაჩუმდნენ, არ იცოდნენ, რა ეთქვათ. სოკრატმა განაგრძო:

— მე თითონაც არ ვიცი, მაგრამ ვეცადოთ, აგები ერთად რასმე გავხდეთ... მითხარით: რა უფრო სარფაა კაცისათვის—მონა ან მუშა, თუ ამხანაგი-მეგობარი?

— რა თქმა უნდა ამხანაგი-მეგობარი სჯობია,—უპასუხეს ერთხმად.

— მონა და მუშა ფიქრობენ საკუთარ სარგებლობაზე, ამხანაგი. მეგობარი კი ისევე ზრუნავს შენთვის, როგორც თავის თავისთვის,—სთქვა ერთმა.

— მონა და მუშა რჩებიან შენთან, სანამ ფული გაქვს, ან ვადამდის, მაგრამ რა წამს შეგატყობენ, რომ ფული აღარა გაქვს რომ აძლიო, ისინი მაშინვე თავს გაგანებებენ და იმასთან წავლენ, ვინც ფულს მისცემს,—სთქვა მეორემ.

— ამხანაგი-მეგობარი კი იმით არის ძვირფასი, რომ გაჭირვებაში თავს არ დაგანებებს, უკანასკნელს გაგიყოფს,— სთქვა მესამემ.

— კარგ ამხანაგთან თითონაც კარგი გახდები,—სთქვა მეოთხემ.

— აი ყველანი თანახმა ხართ,—სთქვა სოკრატმა,—რომ ამხანაგი-მეგობარი უფრო ძვირფასია, ვიდრე მონა თუ მუშა; რომ მდიდარია, ღონიერია, მხიარულია, გახარებულია და დამშვიდებულია არა ის, ვისაც ჰყავს ბევრი მონა თუ დაქირავებული მუშა, არამედ ის, ვისაც ჰყავს მეგობარი. თქვენა, მეტი მეგობარი გყავთ, თუ მონები?

— მაგრე უნდა იყოს, მაგრამ ნამდვილათ კი სულ სხვანაირათ არის საქმე,—სთქვა ერთმა.

— რომ გვკითხოთ, რამდენი მტერი გყავთ, ჩვენ მალე ჩამოვთვლით სუყველას, ასევე მონებს, მაგრამ ამხანაგებსა და მეგობრებს კი თითო-ოროლას თუ დავასახელებთ, მეტს ვერა,—სთქვა მეორემ.

— რისგან არის ეგ,—სთქვა სოკრატმა.—ხომ თითონა სთქვით, რომ ამხანაგი-მეგობარი პირველი საქმეა; რაკი ვიცით, რომ სამუშაოთ ხარებია საჭირო, ჩვენც ხარებს ვამრავლებთ; რატომ ასევე არ ვიმრავლებთ ამხანაგებს-მეგობრებს, რაკი ვიცით, რომ ისინი არიან ჩვენი სიხარული და მხარი ლხინსა და ჭირში. ამხანაგი-მეგობარი ის არის, რომელიც მუდამ მზათ არის ყველაფერში დაგეხმაროს—მუშაობაში გიშველოს, ავათმყოფობაში მოგიაროს, როცა ფული გიჭირს—ფული გასესხოს და სხვა ამგვარები.

მაშ ეცადეთ იყოთ ყველასთვის ამხანაგი-მეგობარი და აშინ დარწმუნებული იყავით, რომ თქვენც ბევრი ამხანაგი-მეგობარი გეყოლებათ.:.

IX.

საუბარი იმაზედ, თუ უფრო რა უნდა იცოდეს ყოველმა კაცმა?

ერთხელ სოკრატი დაბრუნდა შინ და ნახა, რომ ხალხს თავი მოუყრია და ელიან სალაპარაკოთ. სოკრატი დაჯდა მათ შორის. გამოვიდა ოთხი კაცი და მიმართა სოკრატს: „გვითხარ, სოკრატ, რა ვასწავლოთ ჩვენს შვილებს, წამოგვეზარდნენ და გვინდა, რომ კაცები გამოვიდნენ. გვითხარ, რა და როგორ ვასწავლოთ?“.

— მაინც რა გინდათ ასწავლოთ თქვენს შვილებს,—ჰკითხა სოკრატმა.

— მე ვფიქრობ მივაბარო ის მჭედელს, რომ მჭედლობა ისწავლოს,—უპასუხა ერთმა.

— მე კიდევ მინდა, რომ ჩემმა შვილმა ქვის-მთლელობა ისწავლოს, აი შენც ეგ ხელობა იცი,—უპასუხა მეორემ.

— მე ჩემს სიცოცხლეში სულ მიწას ჩავცქერივარ—ვხნავ, ვბარავ, ვთოხნი, ვთესავ და მენატრება, რომ ჩემი შვილიც ამ ხელობას დაადგეს.

— ჩემი შვილი კი სულ წიგნისკენ იწევს, მკურნალობა მინდა შევისწავლოვო,—უთხრა მეოთხემ.

— ყველა ეგ კარგი,—სთქვა სოკრატმა,—ყოველი კაცი უნდა მუშაობდეს და რამე საქმეს აკეთებდეს სხვების სასარგებლოდ, მაგრამ მარტო ეს არ კმარა: როცა დაგვჭირდება სახლის ან ტაძრის აშენება, ჩვენ კალატოზთან და დურგალთან მივდივართ; წაღებისა და ჩუსტებისათვის—ხარაზთან და სხვა; მაგრამ იმისათვის ვილას მივმართოთ, რომ ქმარი თანხმობით და სიყვარულით სცხოვრობდეს ავ ცოლთან, შვილი ძუნწ მამასთან, ძმა ბუზღუნა და მუდამ ჯავრიან ძმასთან, მეზობელი ბოროტ და მოურიგებელ მეზობელთან, მასპინძელი ამპარტავან სტუმართან, ერთი სიტყვით, რომ კაცი სხვა კაცთან ცხოვრობდეს კარგად. რომელ ხელოსანს მივმართოთ ამ შემთხვევაში?

— აქ არაფერი ხელოსნობა საჭირო არ არის, საკმაოა მართალი კაცი იყო, სხვა არაფერია საჭირო, —სთქვა ერთმა.

— აქ ყველა გამოდგება—კალატოზიც, დურგალიც, მკურნალიც,—სთქვა მეორემ.

— ეს საქმე ყოველ კარგ კაცს უნდა ესმოდესო,—სთქვა მესამემ.

— მაშ გამოდის, სოკრატ, რომ გარდა თავისი ხელობისა, ყოველმა კაცმა ისიც უნდა იცოდეს, თუ როგორ უნდა იცხოვროს სხვებთან, სხვა ადამიანებთან,—სთქვა მეოთხემ.

— მართალია,—სთქვა სოკრატმა.

— მაგას კაცი ვერ ისწავლის, როგორც სხვა რომელიმე ხელობას,—სთქვა ერთმა.

— საკვირველია,—სთქვა სოკრატმა:—რაც ყველაზედ უფრო საჭიროა, იმის შესწავლა არ შეიძლებაო! მითხარით ერთი: რა გირჩევნიათ: სიამოვნებით ცხოვრება ცოლთან, თუ კარგი წაღები?

— თუნდა მთელს სიცოცხლეს ვივლით ფეხ-შიშველა, ოღონდ ცოლთან ვცხოვრებდეთ თანხმობით და სიყვარულით, —სთქვეს ერთხმად.

— ან, რა სჯობია, ჩხუბით და დავი-დარაბით მამასთან ცხოვრება, თუ ძვირფასი ტანისამოსი,—ჰკითხა კვლავ სოკრატმა.

— რა თქმა უნდა, რომ მამასთან უჩხუბრათ ცხოვრება სჯობია,—სთქვეს ყველამ.

— ან, რა უფრო ცუდია, ციებ-ცხელება თუ ყველას ვუყვარდეთ,—ჰკითხა სოკრატმა.

— რა თქმა უნდა, სჯობია, რომ ყველას ვუყვარდეთ.

— აი გამოდის, რომ იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა ვცხოვრობდეთ სხვებთან, ძვირფასი ყოფილა სხვა ყველა საქმეზედ; ამიტომ ეცადეთ, რომ თქვენცა და თქვენმა შვილებმაც ყველაზე მეტათ უფრო ეს ხელოვნება შეისწავლონ...

აი ჩვენს ტაძარზედაც სწერია: „იცან თავი შენიო!“ რას ნიშნავს ეს,—ჰკითხა სოკრატმა. ყველა გაჩუმდა, არ იცოდნენ რა ეთქვათ. სოკრატმა განაგრძო:

— მითხარით, ვინ უფრო იცნობს საქონელს და ვაზს?

— რა თქმა უნდა ის, ვინც მათ უვლის,—სთქვეს ყველამ.

— რომ საქონელი კარგათ იყოს და ყურძენიც კარგათ მოდიოდეს, ამისათვის რაღაა საჭირო?

— საჭიროა ვიცოდეთ, როგორ უნდა მოვლა საქონლისა, როგორ უნდა დარგვა და გასხვლა ვაზისა.

— აი სწორეთ ესევე ითქმის ჩვენზედ: „იცან თავი შენი!“ ეს იმას ნიშნავს, რომ შეიტყე და ისწავლე, რაც საჭიროა ჩვენთვისო! ვიცით კი, რაა საჭირო ჩვენთვის?—ჰკითხა სოკრატმა.

— რასაკვირველია ვიცით, ეგ ვინ არ იცის, ეგ ყველამ ვიცით,—სთქვა ერთმა.

— ისეთი ვინ იქნება, რომ არ იცოდეს რა არის მისთვის საჭირო,—სთქვა მეორემ.

— აი, მაგალითად, რა არის შენთვის საჭირო?—ჰკითხა სოკრატმა ერთს ახლო მდგომსა.

— ჩემთვის ბევრი რამ არის საჭირო, მაგრამ ყველაზედ უფრო სიმდიდრე მინდა, თუ სიმდიდრე მექნება, ყველაფერიც მექნება,—უპასუხა ახლო მდგომმა.

— არა, მე კი რომ მკითხოთ, უფლება მირჩევნია: უფლების მქონე რომ ვიყო, სიმდიდრეც მექნებოდა,—სთქვა მეორემ.

— მე კი უფრო იმას ვირჩევდი, რომ გაუჭირვებლათ ვცხოვრობდე და შემეძლოს მეცნიერებათა ტრფობა,—სთქვა მესამემ.

— მე კი მარტო ის მინდა, რომ დიდებული ვიყო და ყველა პატივსა მცემთეს,—სთქვა მეოთხემ.

— ეს რა ამბავია,—მიმართა სოკრატმა ხალხს:—როცა

გკითხეთ, რა არის საჭირო, რომ საქონელი მაძღრათ იყოს და ყურძენი კარგი, ყველამ ერთი სთქვით; და როცა გკითხეთ, რა უნდა მეთქი კაცსა, აქ კი ყველამ სხვადასხვა სთქვით! გამოდის, რომ არ გვიცვნია ჩვენი თავი, თორემ აქაც ყველანი ერთს ვიტყოდით. მაშ მართალი ყოფილა ის ბრძენი, რომელსაც ჩვენს ტაძარზედ ამოუჭრია ეგ სიტყვა: „იცან თავი შენიო!“ ყველაზედ კარგათ სთქვა მეოთხემ: ის ამბობს, რომ ოღონდ სხვებმა პატივი მცენო და სხვა არაფერი მინდაო. ეს მართალია, რადგანაც თუ შენ გინდა, რომ ყველა პატივსა გცემდეს, მეც ეს მინდა. ამასვე იტყვიან სხვები. მხოლოდ რა არის საჭირო, რომ სხვები პატივსა გვცემდნენ ჩვენ?

— კეთილი ვუყოთ ყველას, და პატივს მოგვაგებს ყველა. ერთმა სთქვით—სიმდიდრე მინდაო, მეორემ ხელის-უფლებაო, მესამემ—გაუჭირვებელი ცხოვრებაო, მეოთხემ—პატივიო; ყველას გინდათ, რომ სხვები არ გიშლიდნენ იცხოვროთ ისე, როგორც თქვენ გინდათ, ყველას გინდათ, რომ ყველა სიკეთეს გიყოფდეს თქვენ და ესევე უნდა სხვებსაც; გამოდის, ისე უნდა ვიცხოვროთ, რომ თქვენთვის საჭირო კეთილი არ უშლიდეს სხვის სიკეთეს... ხოლო რომ გარკვევით ვიცოდეთ, რა არის სხვებთან კეთილათ ცხოვრება, საჭიროა მუდამ ბეჯითად ვაკვირდებოდეთ ჩვენი სულისა და სვინიდისის ღვთიურს ხმასა, მაშინ სხვებისგანაც ადვილათ ვისწავლით ყოველს კარგსა. ყველა საქმის სწავლა კარგია, მაგრამ უსაჭიროესი კი ის არის, რომ შეიტყო და შეიგნო, როგორ უნდა იცხოვრო ისე, რომ შენი ცხოვრება სხვასაც ჰმატებდეს სიკეთესა...

ივანე როსტომაშვილი.

ხუცურის სწავლება.

თუ კარგად მოწყობილ პირველ-დაწყებით სასწავლებლებში სამოსწავლო საგანთა კურსში შედის ხუცურის სწავლებაც, როგორც საჭირო შემადგენელი მისი ნაწილი, იმ შემთხვევაში გარდა მხედრულის კითხვის სწავლებისა, სკოლაში და ოჯახში ყურადღება უნდა იყოს მიქცეული ხუცურის შესწავლაზედაც. სამწუხაროდ არა თუ მდაბიო ოჯახებში, არამედ მაღალი წრის ოჯახებშიაც სრულიად არ ასწავლიან ხუცურს კითხვას, გარნა არიან იმისთანა პედაგოგებიც, რომელნიც სრულიადაც არა სთვლიან საჭიროდ ხუცურის სწავლებას. ამგვარი შეხედულობა ხუცურის მნიშვნელობაზედ ჩვენის აზრით ფრიად შემცდარია. არა მარტო სასულიერო პირნი, არამედ ყოველი ერის კაცი, რომელიც კი თავსა სდებს განათლებულებში, მოვალენი არიან უთუოდ იცოდნენ ხუცურიც შემდეგი მიზეზების გამო:

1) ხუცურს ენაზედ სრულდება ღვთის მსახურება და, თუ კაცმა ხუცური არ იცის, ვერ მიხვდება ცხადად, თუ რას კითხულობენ ანუ გალობენ საღმრთო მსახურების შესრულების დროს და 2) უმეტესი ნაწილი ჩვენის ძველის ლიტერატურისა იწერებოდა ხუცურად და ახლაც მრავალია იმგვარი თხუზულებები, რომელთ გაგება შეუძლებელია ხუცურის უცოდნელად; 3) ჩვენი ქართული არა მხოლოდ ლიტერატურული, არამედ საბაასო ენაც იმოდენს სიტყვებს და ფორმებს შეიცავენ ხუცურისას, რომ უკანასკნელს გარეშე თითქმის შეუძლებელია სრულიად შეგნებულად მათი გაგება. თუ ბავშვებმა უნდა ისწავლონ მხედრული კითხვაც და ხუ-

ცურიც, მაშ როდის უნდა დავაწყებინოთ მათ ეს საქმე, ე. ი. ერთსა და იმავე დროს უნდა ვასწავლიდეთ მათ ორივე ანბანს, თუ ბავშვებმა ჯერ მხედრული კითხვა უნდა ისწავლონ და მერე ხუცური? ზოგნი თითქმის იმ აზრს ადგანან, რომ ხუცურის კითხვის სწავლება წინ უნდა უძღოდეს მხედრულის კითხვას, მაგრამ ეს შეცდომაა, უმჯობესია ბავშვებმა ჯერ მხედრული ისწავლონ კარგად და შემდეგ ხუცური, ერთი-ორი წლის შემდეგ.

ხუცურის სწავლების ხელის შესაწყობნი საფუძველნი არიან შემდეგნი:

1) ბავშვები უფრო ადვილად სწავლობენ მხედრულს, ვიდრე ხუცურს. ამის მიზეზი არის:

ხუცურში უფრო მეტი ასოებია, ვიდრე მხედრულში; ხუცურის ასოები უფრო რთულ სახოვანი არიან და ამიტომ მათი შესწავლა უფრო ძნელია, ვიდრე მხედრულისა; ხუცურში ხშირია ქარაგმები, რაც საძნელოა ბავშვებისათვის, მხედრულში კი არა და, დასასრულ, ხუცურში უფრო მეტია ბავშვებისათვის გაუგებარი სიტყვები და მიმოხვრები, ვიდრე მხედრულში. ყოველივე ეს ფრიად საგულისხმოა სწავლების საქმეში, თუ გავიხსენებთ ერთს უმთავრეს მოთხოვნილებას პედაგოგიკისას:

„დაიწყე ბავშვების სწავლება ნაცნობიდგან და არა უცნობიდგან, ანუ ადვილიდგან და არა ძნელიდგან“.

სკოლის პრაქტიკა მჭევრმეტყველურად მოწმობს, რომ ბავშვები ჯერ მხედრულსაც ვერა სწავლობენ ადვილად და თუ მათ ორივე ანბანს ერთად ვასწავლით, ეს ხომ სულ საძნელო იქნება მათთვის და თითქმის შეუძლებელიც—ანუ სხვა, ნაირად რომ ვსთქვათ, უფრო საძნელელი იქნება, ვიდრე საასარგებლო.

ხუცურის სწავლების დროს, პირველად ყურადღება უნდა იქმნას მიქცეული იმ ასოებზე, რომელნიც მცირედ განი-

რჩევიან მხედრულისაგან; ამგვარნი არიან ასოები ე, თ, მ, ნ, და სხვანი. და შემდეგ უნდა შესწავლილ იქმნენ ის ასოები, რომლებიც საჩინოდ განირჩევიან მხედრულის ასოებისაგან.

სწავლება ხუცურის ანბანისა, როგორც მხედრულისა, უმჯობესია მოძრავი ასოებით იმავე მეთოდით, როგორც ამას მოითხოვს მხედრულის წერა-კითხვის სწავლების მეთოდიკა.

თ. ქიწნიძე.

ასალი მიმართულება
სამკურნალო მეცნიერებაში.

სიცოცხლის ჭეშმარიტი აზრი ადამიანებისათვის.

აქამდის ჩვენ დარწმუნებულნი ვიყავით, რომ სნეულების მორჩენა მარტო მკურნალის ცოდნა-ხელოვნებით და მისის ბარათით აფთიაქში შემზადებულის წამლებით შეილება, მაგრამ დღეს ღვთით ეს ცრუ-მორწმუნეობა ნიადაგს ჰკარგავს და კაცობრიობა ყოველად სწორ და უტყუარ გზაზედ დგება ამ მხრითაც. გამოდის, რომ ჯანმრთელობა და დღეგრძელობა ყ ველის ჩვენგანისა მხოლოდ და მხოლოდ თვით ჩვენს პირადულს ცხოვრებაზეა დამოკიდებული; გამოდის, რომ ეს ცხოვრება იმდენად სადა და მარტივია, რომ თვით ყოველს ჩვენგანს სულ ადვილათ შეუძლიან შეიგნოს-შეისწავლოს და, მაშასადამე, სულ ადვილათაც აიცდინოს თავიდამ თვისის ჯანმრთელობა-დღეგრძელობის დღევანდელი არა ნორმალური დამოკიდებულება მკურნალებსა და მკურნალობასთან; გამოდის, რომ ადამიანისათვის სულ მეტია წამლობა-მკურნალობა იმ სახით და საფუძვლით, რა სახით და საფუძვლითაც ეს უკანასკნელი ამაოდ ჰქეჯნის მას; გამოდის, რომ მსოფლიო სიმართლით ყოველი ჩვენგანი გაჩენილია ყოველად სალ არსებად, ხოლო თუ დღეს მეტად შორსა ვართ ამ სიმართლისაგან, თუ კაცობრიობა უთვალავი სნეულებით არის შეპყრობილი,—ყველა ეს მხოლოდ ჩვენი ცხოვრების უკულ-

მართობით აიხსნება და უფრო კი ჩვენი ყოველდღიური უწესური ჭამა-სმით.

ჩვენს დღევანდელს უძლურებასა და სნეულებით სავსე ცხოვრებაში ამ უკანასკნელს ფაქტორს, ე. ი. ჭამა-სმას უჭირავს უმთავრესი ადგილი; ეს იმიტომ, რომ ჩვენი სხეულის სისაღე მთლათ დამოკიდებულია ჩვენი სისხლის სისაღეზე, რომელიც არის ერთად-ერთი მკვებავი მასალა მისი, ხოლო თვით ეს მასალა კი მთლათ ჩვენ-მიერ ყოველ დღე მიღებულ სასმელ-საჭმლის თვისებებზეა დამოკიდებული. რამდენადაც საღი და ბუნებრივი იქნება ეს სასმელ-საჭმელი, იმდენადვე, თქმა არ უნდა, რომ საღი იქნება სისხლი და თვით ჩვენი სხეული, ხოლო, რამდენადაც არა საღი და ბუნებრივი იქნება ჩვენი სასმელ-საჭმელი, იმდენადვე არა საღი და არა ხანგრძლივი იქნება თვით ჩვენი სხეული, ჩვენი სიცოცხლე... მაშასადამე, თუ ჩვენ დაახლოვებით მაინც მივაგნებთ ბუნებრივს საზრდოს ადამიანისას, ამით თვით ჩვენის ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის სამარადისო საფუძველსაც მივაგნებთ და მსოფლიო სიმართლესთან დამაახლოვებელი გზაც—ნაპოვნი გვექნება. მაგრამ, ვიდრე ამაზედ რასმე ვიტყოდეთ, ვსთქვათ რამდენიმე სიტყვა თვით ჩვენ სნეულებებზედ.

ოჯველი ჩვენი სნეულებანი შეიძლება დავყოთ შემდეგ ჯგუფებად:

1) ზოგადი სნეულებანი: ციებ-ცხელება, ინგლისური სენი, სატკბურა, ქარები, სისხლ-ნაკლებობა, დანდალუკი, სურავანდი, სიმსუქნე, წყალ-მანკი, ათაშანგი, კეთროვნება, ტუბერკულიოზი, კუვი;

2) საჭმლის მონელების ორგანოთა სნეულებანი: კბილის ტკივილი, პირისა და ყანყრატოს კანის სნეულებანი, კუჭის ანთება, კუჭის იარები, ნაწლავების ანთება (ფაღარათობა), ყაბზობა, ყვითა, ღვიძლის სნეულებანი, ნაღველის ქვები, ტყიარპის გაგანიერება და სხვანი;

3) სუნთქვის ორგანოთა სნეულებანი: სურდო, ყელის ან-

თება, სახულის ანთება, ფილტვების ანთება, ფილტვების მარცვალთა გაგანიერება, ხრჩობა;

4) სისხლის ბრუნვის ორდანოთა სნეულებანი: გულის სნეულებანი, სისხლის სადენ ძარღვთა ანთება, ანევრიზმი, ბუასილი, სისხლის შეგუბება;

5) ნერვების სნეულებანი: სისხლის ავარდნა თავის ტვინში, ტვინის სისხლ-ნაკლებობა, ტვინის სიმსივენი, თავის ტკივილები, ხერხემლის ტვინის ანთება და სიხმელე, პირისახის ნერვის ავათმყოფობა, გვერდის ნერვის ავათმყოფობა, საჯდომ ადგილის ნერვის ავათმყოფობა, უგრძნობლობა, გულისრევა, გულის ფრიალი, კრუნჩხვანი, ბნედა, წმ. ვიტტეს როკვა, კანკალი, სიდამბლე, სისუსტე, სვვდა, სევდის ქარი, სულის ავათმყოფობანი;

6) საშარდე ორდანოთა ავათმყოფობანი: თირკმელების ანთება, შირიმი, საშარდე ბუშტის ანთება.

7) საშვილოსნო ორდანოთა სნეულებანი; საშარდე ხვრელის ანთება (ტრიპპერი), დედათა სქესის საშვილოსნო ორლანოთა ანთება, ქავილი და სხვანი;

8) სნეულებანი კანისა, ძვალთა, სახსართა, კუნთთა, უჯრედთა: მუწუკები, ეკზემა, ძვლისა და მის კანის ანთება, მჭამელი, ანთება სახსართა, ბარძაყთ სნეულებანი, იარები და სხვანი.

პირველ შეხედვით კაცს ეგონება, რომ ყოვლად შეუძლებელია რომელიმე ერთს მიზეზს დაუქვემდებაროთ ამოდენა სხვა და სხვა ავათმყოფობანი და ერთი საერთო საშუალება (წამალი) ვიპოვოთ ყველა მათთვის, მაგრამ ეს არც ისე ძნელია, თუ გავიხსენებთ ზემოთ ნათქვამს, რომ ჩვენი სხეულის სისაღე მთლათ დამოკიდებულია ჩვენის სისხლის სისაღეზე და, მაშასადამე, ესევე სისხლი, ე. ი. მისი არა ნორმალური შედგენილობა ანუ არა წესიერი ბრუნვა არის თავი და თავი მიზეზი ყველა ამ ავათმყოფობათა (გარდა რამდენიმესი). ამიტომ უმთავრესი დანიშნულება ჭეშმარიტი სამკურნალო

ხელოვნებისა და მეცნიერებისა უპირველესად იმაში მდგომარეობს, რომ მოსპოს ყოველი დაბრკოლება სისხლის წესიერად მოძრაობა-ბრუნვისა და ისე განასპეტაკოს თვით სისხლი, რომ იგი სრულიად აღარ აძლევდეს საზრდოს რომელიმე ავათმყოფობას და ამით ერთხელ და სამუდამოთ ისე მოვაწყოთ ახალი სისხლის წარმოება-გაკეთება, რომ იგი აღარ განაახლებდეს და აღარ იწვევდეს სენსა. ამის მიღწევა კი ჩვენ შეგვიძლიან მარტო წესიერი ბუნებრივი კვებით ჩვენის თავისა (ჭამა-სმით). ახლა რა არის წესიერი ბუნებრივი კვება ანუ ჭამა-სმა? ასე წესიერ და ბუნებრივ ჭამა-სმად ამ ახალს მკურნალობას მიაჩნია უხორცო საჭმელებით კვება ანუ მხოლოდ მცენარეულობით (მარცვლეულით და ხილით) კვება და ჩვენც ამაზედ გადავიდეთ.

ხორცის ჭამა შხამია ადამიანებისთვის.

გაგონილი გექნება, მკითხველო, რომ არსებობს მთელი ახალი მოძღვრება, რომელიც გვასწავლის, რომ ადამიანი, თვით ბუნებით, მცენარეო-მჭამელი და არა ჩორტო-მჭამელი ცხოველია და ამიტომ ადამიანმა არც უნდა სჭამოს ხორცი და მისგან მომზადებული გემრიელ-გემრიელი საჭმელები. ამ მოძღვრებას ეწოდება ვეგეტარიანიზმი (ლათ. სიტყვაა და ნიშნავს მცენართ-მჭამლობას). მაგრამ, რომ ხორცის ჭამა შხამია ადამიანისათვის, ეს კი, მგონია, პირველი გაგონება უნდა იყოს შენთვის, ქართველო მკითხველო, და ამიტომ იმედია ხალისიანადაც წაიკითხავ ამ სტრიქონებს, რომ საკუთარის ჭკვით გასაჯო ამის საბუთები.

უპირველეს ყოვლისა, იმედია დაგვერწმუნები, მკითხველო, რომ ჩვენ ისე უნდა ვიცხოვროთ, ისე უნდა ვსჭამოთ და ვსვათ, რა ჭამა-სმისთვისაც უფროა მოწყობილი ჩვენი სხეული თვით ბუნებისაგან, რადგანაც ეს არის ერთად-ერთი

ბუნებრივი და მასთან საუკეთესო გზა ჩვენის ბუნებრივის თვისებების და მოდგმის გაუკეთესობისათვის.

ცხოველებში ბუნების მეტყველება იცნობს ხორცის მჭამელ, ყველაფრის-მჭამელ, ბალახთ-მჭამელ და ხილთ-მჭამელ ცხოველებს. გამოვიკვლიოთ, რომელს, აქ მოყვანილს, ჯგუფს ეკუთვნის ან უახლოვდება ადამიანი?

მეცნიერნი და ბუნების-მეტყველების საუკეთესო წარმომადგენელნი ადამიანს მიაკუთვნებენ იმ ჯგუფს, რომელსაც ეკუთვნიან მაიმუნები და ეს უკანასკნელები კი იკვებებიან მარტო მცენართა ყოველ-გვარ ნაყოფით — ხილით, მარცვლით. კიუვე, ლინნეი, ლაურენსი, ჩარლზ ბელლი, გასსენდი, ფურანი და სხვა მეცნიერნი პირდაპირ ამბობენ, რომ თავისი სხეულის აგებულობით ადამიანი არც ხორცთ-მჭამელ და არც ბალახთ-მჭამელ ცხოველთ არ ეკუთვნისო, ის ეკუთვნის მცენარეთა ნაყოფთა მჭამელ ცხოველებს, ვითარცა მაიმუნებიო.

მაშ აგრე: თვით ბუნების დანიშნულებით ადამიანმა არ უნდა იხმაროს საჭმელად ხორცი და როგორც სამოთხის დამნერგველმა ამ ქვეყნად, ე. ი. ყოველის სიკეთისა და ბედნიერების დამამყარებელმა, არც უნდა ჰხოცოს თავისათვის უწყინარი ცხოველნი, ვითარცა ხარ-კამეჩი, ცხენი, აქლემი, ცხვარი, ირემი, თევზნი, ფრინველნი და სხვა. მაგრამ არის ერთი სხვა, ფრიად დიადი მიზეზი, რომელიც პირდაპირ გვიბრძანებს იმას, რაც დასმულია ამ წერილის თავში, ე. ი., რომ ხორცის ჭამა ნამდვილი შხამია ადამიანისათვის და ამიტომ დაუყოვნებლადაც უნდა მივატოვოთ მისი ხმარება, თუ გვინდა ჩვენი თავის სიკეთე, ჯანმრთელობა და დღეგრძელობა. გავშინჯოთ ამის საბუთები.

უპირველეს ყოვლისა უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა დიდათ მრავალ-ფეროვანია ადამისნისაგან ხმარებული საჭმელები, მათში, მაინც, ქიმიის გამოკვლევით, უმთავრესად არის შემდეგი სამი საკვები ელემენტი: 1) აზოტი, 2) ქონი და

3) სახამებელი. უმთავრესი საკვები ამათში არის სახამებელი, რომელიც მოიპოვება ხშირად მცენარეთა ნაყოფებში და ცხოველთა რძეში, ხოლო ქონი და აზოტიური ნივთიერებანი— ორივეში, ე. ი. ცხოველებშიაც და მცენარეებშიაც.

სახამებელი, მიღებული საჭმელში, ნერწყვისა და კუჭის წვენის საშუალებით, გადიქცევა შაქრად და ამ სახით ნაწლავებიდამ გადადის სისხლში სხეულის საკვებად; ქონი საჭიროა სითბოს აღსაძვრელად ჩვენს სხეულში, ხოლო აზოტიური ნივთიერებანი—სხეულის გასაზრდელად.

დამტკიცებულია მრავალის მაგალითებით, რომ ხორცის ჭამა უდროვოდ აბერებს და აუძლურებს ადამიანს, ხშირად ასნეულებს მას, და, მაშასადამე, უდროვოდაც ჰკლავს მას. ხორცი მართალია თითქოს უკეთ გვაძლობს ჩვენ, მაგრამ ეს მხოლოდ მოჩვენებაა და იმისგან წარმოსდგება, რომ მიღებული ხორცის საჭმელი რჩება ჩვენს გვამში გაცილებით მეტს ხანსა, ორი და სამი დღე, მაშინ როდესაც მცენარის საჭმელი 12 საათზე მეტი თავის დღეში არ გაჩერდება ხოლმე გვამში. ეს კარგათ სჩანს ყაბზობით ავათმყოფებზედ: რომლებიც იკვებებიან ხორცით, გადიან კარში 3—4 დღეში ერთხელ, მაგრამ საკმაოა ამ სენით შეპყრობილებმა მიატოვონ ხორცით კვება და დასჯერდნენ მარტო სამცენარო საჭმელებს, რომ ყაბზობა სასწაულებრივად გადუვარდესთ მათ. რო ხორცი ისევე ათრობს ადამიანს, როგორც არაყი, დამტკიცებულია მრავალის გამოცდა-მაგალითებით ცხოველებზედ და ადამიანებზედ. ლიბიხის სიტყვით ხორცის ხმარებაა უმთავრესად მიზეზი, რომ ხორცთ-მჭამელი ცხოველები გაირჩევიან ბალახთ-მჭამელ ცხოველებისაგან თავისი მძვინვარებით და ოინავრობით. შენიშნულია, რომ როცა მუზეუმებში დათვებს აჭმევენ პურსა, იგინი წყნარები და კეთილნი არიან, ხოლო როცა პურის მაგიერ აჭმევენ ხორცსა, ანჩხლები ხდებიან. ასევე ლორები და ძაღლები: როცა ამათ აჭმევთ ხორცეულს რასმე, ანჩხლები ხდებიან და ადამიანზედაც კი იწყევენ, ხოლო

უიმისოდ უწყინარნი არიან. ეს კარგათ იციან მონადირეებმა და თავიანთ მეძებრებს და მწევრებს აჭმევენ ხორცსა, ხოლო საოთახო ძაღლებს მარტო პურსა. ესევე ითქმის ადამიანებზედ, ე. ი. ხორცის საჭმელების მხმარებელზედ მუდამ უფრო ანჩხლნი და მოუსვენარნი არიან, ხოლო მცენარეულობის მხმარებელნი წყნარნი. მეცნიერება ამას ამტკიცებს იმით, რომ შესუნთქვილ მჟავდანიდამ ბალახთ-მჭამელებს რჩებათ გვამში ცხრა მეათედი, მაშასადამე, ეწვით ნელა და ხორცთ-მჭამელთ კი—იმავე დროს განმავალობაში რჩებათ მარტო ნახევარი, მაშასადამე, ეწვით სწრაფად. ამითვე აიხსნება ის გარემოება, რომ ხორცს საჭმელების მოქმედება სხეულზედ გადივლის ხოლმე სწრაფათ და სტომაქი კვლავ თხოულობს საჭმელს, თუმცა ნამდვილათ გვამს ჯერ ისიც არ მოუშორებია, რომელიც მიიღო სულ ორიოდე საათის წინათ. ამ მიზეზით, ხორცის ჭამა ხელს უწყობს ხალხში მეტი მაგარი სასმელების ხმარებასაც, ე. ი. ლოთობას, რადგანაც დამტკიცებულია, რომ, რამდენადაც ადამიანი მეტსა ხმარობს ხორცეულს, იმდენათვე სხეული მისი თხოულობს მეტს მათრობელა სასმელების ხმარებასა.

ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ გამოცდილი აქიმები, როცა ესენი სწამლობენ ლოთებს, მუდამ იმას ურჩევენ მახლობლებს და პაციენტებს, რომ ხორცი ნაკლებად იხმარონ და ბოლოს სულაც ხელი აიღონ მის და აგრეთვე ჩაისა, ყავისა და თამბაქოს ხმარებაზედ. მკურნალი ფლინგი სწერს, რომ სტომაქის ყოველგვარ სნეულების დროს, ავათმყოფს უთუოდ უნდა აუკრძალოთ ხორცის ხმარება, რადგანაც შესუსტებული კუჭი ვეღარ იტანს ხორცის მხურვალე თვისებებსაო, მაშინ როდესაც მარტოოდენ პურის, ეაშლის, მსხლის, ატმის და სხვა მცენარეთ-ხმარება საჭიროთ არჩენს, როგორც ლოთებს, ისე სტომაქით ავათმყოფებსაო.

ასევე დამღუპველად მოქმედებს ხორცეული ადამიანის სასქესო მხარეზედ, რისგამოც ბევრი გამოჩენილი მწერალი

და მეცნიერი ამბობს: „მოსპევით ანუ შემცირეთ ხორცეულისა და მაგარ სასმელების ხმარებაო, რომლებიც აღძრავენ ადამიანების ორივე სქესში სქესურ უზომო მოთხოვნილებას და ამით თქვენ ათასჯერ უფრო მეტს გააკეთებთ პროსტიტუციის (როსკიპობის) შემცირებასა თუ მოსპობისათვისაო, ვიდრე სხვა რომელიმე საუკეთესო ზომებითაო, რადგანაც ისე არაფერი არ ახურებს ახალგაზრდებს და არ აღძრავს მათში სქესურ დაკმაყოფილების სურვილსა, როგორც ხორცეულისა და მაგარი სასმელების ხმარებაო“. მაშ, პატარაობიდამვე შეაჩვიეთ ახალი თაობა მცენარეთ ხმარებას, ეცადეთ, რომ თქვენი სტომაქი ამოხორილიყოს არა მხურვალე წვნიანებით, ჩაით, ყავით და მაგარ სასმელებით, არამედ პურით, ფქვილეულ საჭმელებით მუხუდოთი, ლობიოთი, კარტოფილით, მწვანილით და ხილით, რა სახითაც კი შეგიძლიანთ სიამოვნებით მიაწოდოთ ყველა აქ მოხსენებული საჭმელები თქვენს თავს და შვილებს. თუ გინდათ მათთვის სიკეთე და ჯანმრთელობად, ისე მოაწყეთ თქვენი ოჯახის გამოკვების საქმე, რომ იგი მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერებასა და მსოფლიო ჭეშმარიტებაზედ იყოს დამყარებული და არა კერძო ძალ-მომრეობაზედ და მსუნაგობაზედ-

მოგეხსენებათ, რომ იშვიათი ცხოველია სრულიად ჯანსაღი. თამამად შეიძლება ვსთქვათ, რომ ასში ხუთიც ვერ იქნება ამ მხრით უნაკლო. ამიტომ, ადამიანი, რომელიც ხმარობს ხორცს საჭმელად, ფრიად ადვილად გადიკიდებს ხოლმე რომელიმე უკურნებელ სენს. ასეთებია, მაგალითად, გრძელი ჭია და ტრიხინა, რომლებიც უჩნდება ადამიანს ღორის ხორცის ხმარებისაგან საჭმელათ. ასევე ადვილათ ეყრება ადამიანს ხორცეულის ხმარებით ციმბირის ჭირი, ფილტვების ანთება, წითელი ქარი, სისხლის მოწამლვა, სტომაქის ავათმყოფნი და სხვა მრავალი სნეულება. ხორცეულის ხმარებითვე აიხსნება სხვა მრავალი სნეულების გავრცელებაც ხალხში, ვითარცა: სურავანდის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, ციებ ცხე-

ლების (გაძნელება), სიდამბლე, ნეკრესის ქარებისა, შირიმისა, ბნედისა, ღვიძლის სენისა, ღრძილ-კბილებისა, ხოლერისა და სხვა და სხვა.

ხორცეულსვე ხდიან სათავედ ჭლექისა, რომელიც ვრცელდება ხალხში ხორცეულის ხმარების გავრცელებასთან ერთათ; რისგამოც ბევრი გამოჩენილი მკურნალი სწერს: „თუ გინდათ შეამციროთ ჭლექის გავრცელება, აღკრძალეთ ხორცისა და მაგარ სასმელების ხმარება და მათ მაგიერ გაავრცელეთ ფქვილეულთა და მოწეულ ხილთა ხმარებაო“.

მკურნალს ნაიტს მოჰყავს შემდეგი განსაცვიფრებელი შემთხვევა: „ერთს ქალს გაუჩნდა იარა ძუძუსთან, რომლიდამაც გამოსდიოდა ბლომათ ჩირქი. ამოჭრა იარისა უსარგებლოდ ვსცანიო, მაგრამ რომ სნეულება არ გაძნელებულიყო, ყოველ შემთხვევისათვის, მე გავუზიარე ავათმყოფს სნეულების საშიშროება და ვურჩიე სჭამოს მარტო პურეული, რძე და ხილი, სასმელათ იხმაროს მარტო წყალი და იარა მოიბანოს ხოლმე მოთბო წყლით და საზოგადოთ სუფთათ შეინახეთ-მეთქი იარა. ჩემდა განსაცვიფრებლად, მეცა და ჩემმა ავათმყოფმაც მალე შევამჩნიეთ, რომ იარა რჩება და სამს თვეში სულაც გაუმრთელდა. მაგრამ შესანიშნავია, რომ რა წამსაც ავათმყოფი შესჭამდა ხორცეულს, იარაც კვლავ უჩნდებოდა, ე. ი. პირს იხსნიდა, რისგამოც ავათმყოფმა სამუდამოთ მიატოვა ხორცეულის ჭამა და მარტოოდენ სამცენარო საჭმელებით კმაყოფილდებოდა“.

აი ერთი შესანიშნავი ფაქტიც: პატარა ყმაწვილი ავათ იყო მთელი წელიწადი და ნახევარი. სხეული მისი მთლათ მოფენილი იყო მუწუკებით, ასე რომ თვალები, ცხვირი, პირი, ლოყები და ყურები, ერთი სიტყვით, მთელი თავი და პირის სახე წარმოადგენდა ერთიან იარას და მუწუკს. ამავე მდგომარეობაში ჰქონდა მას ბარნაყ-ფეხები, ასე რომ გეგონებოდათ, საცაა მოსწყდებიან ტანსაო. ბალღი მთელი წელიწადი ბრმად იყო და მომეტებულათ ფეხ-მდგომარე ატარებდა

დროს, რადგანაც ჯდომა და წოლა საშინელს ტკივილებს აყენებდა მას. რვა ცნობილმა გამოჩენილმა მკურნალმა გადაჭრით გამოუცხადეს მშობლებს, რომ სნეულება მოურჩენელია და შემსუბუქებაც კი შეუძლებელიაო. მაგრამ ერთმა მათგანმა მაინც ურჩია მშობლებს, სენის შესამსუბუქებლად ახმარონ ბავშვს მარტო მწიფე ხილეული თაფლით ანუ შაქრით მომზადებული. მშობლებმა დაუჯერეს და ამას იქით ბავშვს აჭმევდნენ მარტო შაქარში ანუ თაფლში მოხარშულს ხილს, აგრეთვე მოუხარშავს ყურძენს, ალუბალს, ქლიავს, ვაშლს, მსხალს და სხვა ხილს, რაც კი იშოვებოდა. სამი დღის შემდეგ მუწუკებმა ზურგზედ იწყეს შეხმობა, ათი დღის შემდეგ საერთო ჯანმრთელობა შესამჩნევად გაუკეთესდა, ხოლო ორი კვირის შემდეგ ნახევარი პირისახისა სულ მოეწმინდა და მუწუკები ბარძაყებზედაც იმდენად მოურჩა, რომ ბავშვს ჯდომა და წოლა აღარ უძნელდებოდა. შემდეგ ბავშვს ნელ-ნელა დაუბრუნდა სინათლეც და ერთი წლის შემდეგ სრულიადაც განიკურნა, ასე რომ წინანდელ სნეულების ნასახსაც ვერსად შეამჩნევდით. თქმა არ უნდა, რომ ბავშვი და მშობლები ამას იქით ერთგული მიმდევრები გახდნენ სამცენარო საჭმელების ხმარებისა და ხორცეულს წამლათაც აღარ ატარებდნენ სახლში.

თუ სადამდის მავნებელია ხორცეული, სჩანს იქიდამაც, რომ ხორცეულის მხმარებელის განავალი წარმოადგენს ფრიად გახრწნილს და აუტანელი სუნის ნივთიერებას, მაშინ როდესაც სამცენარო საჭმელების მხმარებელის განავალის სუნი მცირეა. მკურნალი პევი ამტკიცებს, რომ სამცენარო საჭმელები ფრიად ხელს უწყობენ ყოველგვარ ციებ-ცხელების მორჩენასაცაო, ხორცეული კი, პირიქით, ხელს უწყობენ სნეულების გაძლიერებასაო.

ხორცეულის ხმარება ავრცელებს ხალხში აგრეთვე თირკმელებისა და საზოგადოთ საშარდე ორღანოების სნეულებას (ცივს ქვეყნებში, სადაც უფრო გავრცელებულია ხორცისა

და ქონის ხმარება, გავრცელებულია აგრეთვე რევმატიზმი და თირკმელების ავათმყოფობა), რისგამოც თუ ასეთს ავათმყოფს ჰსურს ერთხელ და სამუდამოთ ვანთავისუფლდეს ამ ორღანოების რომელიმე სენისაგან, უთუოდ ხელი უნდა აიღოს ხორცეულისა და მაგარ სასმელების ხმარებაზედ და მათ მაგივრათ მარტო მცენარეულით და წმინდა წყლის სმით დაკმაყოფილდეს.

ასევე მავნებელია ხორცეულის ხმარება იმათთვის, რომლებსაც სჭირთ ტეხა და ნეკრისის ქარები. მკურნალი კრედჯი ამბობს: პური, ბრინჯი, ფქვილეული, მოხარშული მცენარეები და რძე საუკეთესო საჭმელები და თან ერთად-ერთი წამლებია ამ სნეულებათა წინააღმდეგაო. მკურნალი ჩეინიც მოწმობს, რომ პრინცი კონდე განთავისუფლდა სრულიად ტეხა-ნეკრესისაგან იმით, რომ მან სამუდამოთ ხელი აიღო თევზისა, ხორცისა და ღვინის ხმარებაზედაო.

ხორცეულის და მაგარ სასმელების უხმარებლობა ფრიად ხელს უწყობს აგრეთვე ისეთი ძნელი სენის მორჩენასაც, როგორიც არის ბნედა, სევდის ქარი და მისთანები, რომლებიც, როგორც ახალი მსწავლულები ფიქრობენ, წარმოსდგებიან ნერვების აღმატებით აღძრვისაგან. მკურნალს ნოტს, მაგალითად, მოჰყავს შემდეგი შემთხვევები: „ერთს ავათმყოფს ფრიად ხშირად ემართებოდა ბნედა. ჩემის რჩევით მან სრულიად მიატოვა ყოველგვარი ხორცეულის ხმარება და მას აქეთ ბნედაც აღარ დაჰმართვია მასაო“. მეორე ასეთივე ავათმყოფი მალე სრულიად განთავისუფლდა ამ სენისაგან, როცა მან სრულიად აიღო ხელი ხორცეულზედ და იწყო მცენარეულის ხმარება საჭმელად.

ასევე ერთად-ერთ მიზეზად გამოდის ხორცის ხმარება ღვიძლისა, ყვითასი, ღრძილებისა, კბილებისა და სხვა ათასგვარ სატკივართა გაჩენაში. იხმარეთ ხორცის მაგიერათ ბუნებისაგან უხვად მოცემული იაფი და საღი სამცენარო საჭმელები და თქვენ და თქვენი შვილებიც მარად ჯან-საღად იქნებით

და აღარც ავათმყოფობა, სისუსტე და სიღარიბე გეცოდინებათ.

უწინდელი ბერძნებისა და რომაელების საფალავნო სკოლებში თავის დღეში არ ხმაროობდნენ ხორცეულსა და მაგარ სასმელებსა და მარტო ლეღვის ჩირით, კაკლით, ყველით, მჭადით და წყლით კმაყოფილდებოდნენ. ძველი ეგვიპტის ხალხი, რომელმაც დაგვიტოვა აუარებელი ნაშთი თავის გონებით წარმატებისა, იკვებებოდნენ უფრო მცენარეულობით. ეხლანდელი ფელლახების საჭმელსაც მომეტებულათ შეადგენენ: უბრალო პური, კიტრი, ნესვი, საზამთრო, გოგრა, ხახვი, ლობიო და სხვ. მერე როგორი ამტანი და ჯაფის ხალხია ფელლახები, ჩვენ სიზმრადაც არ მოგვეჩვენება...—ფელლახები ულამაზესი ხალხიაო",—სწერს ერთი მოგზაური. ასევე ინდოელები, რომლებსაც ბუდდამ სრულებით აუღკრძალა ხორცის ჭამა და საქონლის ხოცვა. ესევე ითქმის ჩინელებსა და იაპონელებზედ, სადაც ძროხის დაკვლისათვის დადებულია პირველად დაპატიმრება და მეორეთ—სამშობლოდამ გაძევება. ვერ წარმოიდგენთ, რა თავს-ზარი დაეცემოდა ამ ქვეყნების ბუდდისტებს, რომ ჩვენს, ვითომც, ყოვლად მოწყალე ქრისტიანთა, ბრწყინვალე აღდგომას დასწრებოდნენ, როდესაც ათი და ასი ათასობით იხოცება ჩვენში უმანკო კრავები!..

— „ინდიელნი ახალის ესპანიისა სცოცხლობენ ღრმა სიბერემდისაო",—სწერს ერთი მწერალი და ამისი პირველი მიზეზი ის არისო, რომ მათ თითქმის სრულიად არ იციან, რომ არის ხორცეული საჭმელიო. ასევეაო მექსიკაში, ჩილიაში, ბრაზილიაში, კიპრზედ, სარაბეთში, იტალიაში, საბერძნეთში, ოსმალეთში, შვეიცარიაში და მრავალგან სხვაგანაც, სადაც ნახავთ მძლავრ და ღონიერ მუშა ხალხს, რომელიც მთელს თავის სიცოცხლეში იკვება მარტო მცენარეულით, მაგრამ ეს მათ მაინც სრულიად არ უშლის მიაღწიონ ოთხმოცსა და ას წლიან სიბერესა. ჩვენი მამულისშვილები გულის უზადო მტკი-

ვნეულობით შენიშნავენ, რომ ჩვენი ხალხი, განსაკუთრებით მისი ერთი ნაწილი, რაც დრო მიდის, წვრიმალდება და ალარც ის განთქმული სილამაზეა ჩვენში ისე ხშირად, რომელიც აკვირვებდა ყოველს მოგზაურს ძველად. ამისი უმთავრესი მიზეზი კი ჩვენში ხორცეული საჭმელების გავრცელებაა. დავუბრუნდეთ, ქართველებო, კვლავ ჩვენს ძველს სადა, ბუნებრივ ცხოვრებასა და სახალხო ჯანმრთელობა და სილამაზე კვლავ აღსდგებიან მკვდრეთით. ან რა კაცობა და სასიამოვნოა ყოველის ჩვენგანის ყასაბად გახდომა, რომელიც ჩხირათაც არ აფასებს თვის მომხმარე საქონლის სიცოცხლეს და მტერსავით ყელსა სჭრის მათ მარტო იმისთვის, რომ თავისი ღორი მუცელი ამოირეხვოს! მერე რით?—შხამით, ვნებით და ბალღამით, ხოლო მთელი სხეული და სიცოცხლე—ავათმყოფობით, ტანჯვებით და სიავით... დავადგეთ ამ შემთხვევაში ბუდდას დიადს მოძღვრებას, რომელიც სრულიად უკრძალავს: თავის მიმდევრებს ხორცის ჭამასა, რის გულისთვისაც მისდეს უმანკო, პირუტყვთა ხოცვას, და მრავალი უბედურება თუ ტანჯვა და სიავე, ჩვენდა შეუმჩნევლად, თვითვე ჩამოგვეცლება თავიდამ და სიცოცხლითაც მეტს ხანს ვიცოცხლებთ სრულიად უტანჯველად და მშვიდად.

რამდენჯერ უნდა ვსჭამდეთ?

რადგანაც დამტკიცებულია, რომ ჩვენი კუჭი ინელებს საჭმელს მხოლოდ 5—6 საათში, ამიტომ ჭამაც ხუთ-ექვს საათში ერთხელ უნდა ხდებოდეს, ასე რომ რჩევა ზოგიერთ მკურნალებისა—ცოტ-ცოტა ჭამე და ხშირ-ხშირად, მავნებელად უნდა ჩაითვალოს. ყველაზედ უკეთესია სჭამდეთ დღეში სამჯერ: დილით (საუზმე), შუადღისას—(სადილი) და საღამოს (სამხარი).

როგორ უნდა სმა და ჭამა?

მიიღეთ წესად: სვით უთუოდ ჭამის წინ, ნახევარი ანუ ერთი საათით წინ. და ჭამეთ მხოლოდ ნახევარი ანუ ერთი საათის შემდეგ დალევისა (წყლისა თუ სხვა სასმელისა). ასევე მიირთვით ჯერ წვნიანი და შემდეგ უწვნო საჭმელი; ეს იმიტომ, რომ თუ ჯერ მაგარ საჭმელსა სჭამთ და ზედ წყალს დალევთ, ეს უკანასკნელი ჯერ კიდევ მოუნელებელს საჭმელს ჩაჰრეცხავს კუჭიდამ ნაწლავებში და ეს კი კარგი არ არის, რადგანაც საჭმელი ჯერ კუჭში უნდა მოინელებოდეს კარგათ და მხოლოდ ამის შემდეგ გადვიდეს ნაწლავებში. გარდა ამისა, წესად უნდა დაიდოთ ჭამოთ ნელა, აუჩქარებლად, ისე, რომ თვითეულ ლუკმას შორის ერთი წამი მაინც გადიოდეს. საჭიროა სასტიკათ დაიცვათ აგრეთვე ის მოთხოვნილება ჰიგიენისა, რომ საჭმელი თუ სასმელი უთუოდ გაციებული ანუ მოთბო მიირთოთ და არა ცხელ-ცხელი, რადგანაც არაფერი ისე არ ასნეულებს ჩვენს კბილებს, პირის კანს, ყელს და კუჭს, როგორც ცხელ-ცხელი სასმელი ანუ საჭმელი. სითბო სასმლისა თუ საჭმლისა თავის დღეში არ უნდა იყოს ჩვენი სისხლის სითბოზე მეტი, ე. ი. 30 გრადუსზე მეტი რეომიურის ტერმომეტრით.

სპირტეულის მოქმედება კუჭსა და საჭმლის მონელებაზედ.

ჯერ კიდევ აქამომდე მაგრად სუფევს ცრუ-მორწმუნება, რომ ვითომც სპირტი, არაყი და მისთანა კარგათ მოქმედებდეს კუჭსა და საჭმლის მონელებაზედ. მაგრამ ახლა სავსებით არის დამტკიცებული, რომ სულ უმცირესი ნაწილიც ამ სასმელებისა ძლიერ აძნელებს საჭმლის მონელებას. მეცნიერები ჰხსნიან ამას შემდეგით: მიღებულ საჭმელზედ მოქმედებს კუ-

ჭის წვენი, რომელიც გამომდინარეობს კუჭის შიდა კანიდამ; ეს წვენი შესდგება მარილ-მჟავა და ფერმენტ-პეპსინისაგან. ესენი გადაახალისებენ მიღებულ საჭმელს ჰეპტონად, რომელიც შემდეგში გადადის ნაწლავებში და აქედამ ეთვისება სისხლსა. თუ ამ დროს თქვენ დალევთ სპირტსა, იგი ჯერ ერთი რომ გაასქელებს ამ პეპტონს და მეორე—მოსპობს სრულიად ჰეპსინსა. კიდევ კარგი, რომ სპირტეული მარტო აბრკოლებდეს საჭმლის მონელებას, იგი იმავ დროს ძლიერ აძნელებს კუჭის რომელიმე სენსა, ანთებას, იარებს და სხვა. რაც შეეხება იმას, რომ მიღებული სპირტეული მცირე ხნით ასიამოვნებს მიმღებს, ეს აიხსნება იმით, რომ სპირტეული პირველ ხანად აყუჩებს კუჭის ტკივილებს და სიმძიმეს. მარტო ერთს სტაქანს ლუდს შეუძლიან აუარებელი ვნება მოუტანოს კაცს და რაღა უნდა ვსთქვათ იმაზედ, როცა ადამიანი ძროხასავით ეწაფება მას და სცლის სტაქანს სტაქანზედა ლუდსა თუ სხვა მაგარ სასმელებსა... ლუდი აგანიერებს სტომაქს, სპირტი კი ჰლადრავს და აიარავებს მას, რომლებსაც ვერ მოარჩენთ ვერას გზით, თუ სამუდამოთ ხელს არ აიღებთ ერთზედაც და მეორეზედაც. რომ მაგარი სასმელების ხმარება დიდად მავნებელია ადამიანისათვის, სჩანს იქიდამ, რომ თბილს ქვეყნებში მაგარ სასმელებისგან ძლიერ ბევრს ეშლება ნაწლავები, ღვიძლი და სხვა მრავალი სნეულებაც სულ მაგარ სასმელებისგან წარმოსდგება. მრავალის დაკვირვებით დამტკიცებულია, რომ ადამიანები უამსასმალებოთ გაცილებით უფრო კარგათ იტანენ ცივსა თუ ცხელს ჰავასა, ვიდრე მაშინ, როცა ეტანებიან მაგარ სასმელებსა. ეს აიხსნება იმით, რომ ვინც სრულიად არა ხმარობს მაგარ სასმელებსა, სამუდამოთ დაზღვეულია კუჭისა და ნაწლავების და, მაშასადამე, მთელი სხეულის დასნეულებისაგანაც.

რა გვიხსნის ჩვენ?—ჩვენ გვიხსნის ჩინურისებური და იაპონისებური შრომის-მოყყარეობა და ჩვენი ხარჯებისა და მუცლის მოთხოვნილებათა შემცირება; ჩვენ გვი-

ხსნის მტკიცე უარი ლეშის ჭამაზედ და მის მაგიერ ბუ-ნებრივი სადა საზრდოთი დაკმაყოფილება; ჩვენ გვიხსნის ჩვე-ნი ძალების მთლად ჩვენი სულიერი მხრის გაძლიერებაზე მი-მართვა. მარტო მაშინ შეგვეძლება, შემოვიღოთ რვა-საათიანი მუშაობა, მარტო მაშინ დაიკავებს შინად-მრეწველობა საპა ტიო ადგილს ჩვენს ცხოვრებასა და ეკონომიაში მსხვილ მრე-წველობის გვერდით, მარტო მაშინ მოვესწრებით ჭაბუკთა ად-რე დაქორწინებასა, მარტო მაშინ მიეჩვევიან ჩვენი ცოლები დღე და ღამ იზრუნონ და იმუშაონ თავიანთის ოჯახებისათ-ვი, იმის მაგივრათ, რომ ამაოდ ეცადნენ, როგორც ამას დღეს შვრებიან, გახდნენ მამაკაცებად და იმათებურად დამო-უკიდებელი ცხოვრება ეძიონ...

ნიგვზისა, ნუშისა ⁄ თხილის ნოყიერობა ⁄ სარგებლობა.

თანამედროვე სამკურნალო მეცნიერება ამტკიცებს, რომ კაკალი, ნუში და თხილი ფრიად ნოყიერი და ადვილ მოსანელე-ბელი საჭმელია. ამასთან ესენი ფრიად კარგად მოქმედებენ ღვიძლზედ, საჭიროა მხოლოდ, რომ აუჩქარებლად სჭამოთ იგი და კარგათ დაღეჭოთ, რადგანაც კარგათ დაღეჭილი სა-ჭმელი უდრის ნახევრად მონელებულს. დ-რ ლემანის სიტ-ყვით კაკალი, ნუში და თხილი უსრულესი საკვებია ადამი-ანისათვის, მათში იპოვება 25—30% ცილოვანი ნაწილებია, რისგამოც მათ ადვილათ ინელებს სულ სუსტი კუჭიცაო. მთე-ლი საუკუნოების განმავალობაში მეცნიერებას ეგონა, რომ ხორცი ერთად-ერთი ნივთიერებაა, რომელიც შეიცავს სხვა-ზედ მეტს ცილოვანს ნაწილებს, მაგრამ უკანასკნელი დროის კვლევა-ძიებამ არა ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ ერთს გირვა-ნქა კაკალსა თუ ნუშში გაცილებით უფრო მეტია მკვებავი ნივთიერებანი, ვიდრე ერთსავე გირვანქა საუკეთესო ძროხის ხორცში. კაკალში ბლომათ არის აგრეთვე სიმსუქნე, რომე-ლიც აგრეთვე შეადგენს აუცილებელს მასალას ადამიანის სა-

ზრდოსას; გამოკვლეულია, რომ დედის რძეში, რომლითაც იკვებება ბავშვი, მოიპოვება 5% სიმსუქნე და ცილოვანი ნაწილები კი მასში არა უმეტეს 3%. არც ერთს სანოვაგეში არ მოიპოვება იმდენი სიმსუქნე, რამდენიც კაკალსა, თხილსა და ნუშში. უუკეთეს ხორცში მოიპოვება 10% სიმსუქნე, ძლიერ მსუქან ყველში—30%, მსუქან ღორის ხორცში—42%, ნუშში კი—55%, კაკალში—56% და თხილში—62%. ამასთან ეს სიმსუქნე ისეთი თვისებისაა, რომ მას ადვილათ ინელებს სულ სუსტი სტომაქიც კ-. კაკლის ხმარება საჭმელში აუცილებლათ საჭიროა განსაკუთრებით იმათთვის, რომლებიც იკვებებიან მცენარეულობით, რადგანაც სხვა მცენარეებში საზოგადოთ ნაკლებ არის სიმსუქნე. კაკალში ნაკლებათ არის სახამებელი, მაგრამ ეს მაინც არ უშლის მას იყოს საუკეთესო საკვები, რადგანაც ფქვილეული და სახამებლიანი საჭმელები უმჯობესია სრულიად არ იხმარონ იმათ, ვისაც მოშლილი აქვთ სტომაქი. რაც შეეხება შაქარსა და მარილებს, ესენიც ნაკლებათ არის კაკალში, მაგრამ ყველა ეს ადვილათ შეიძლება შევივსოთ ხილის ხმარებით საჭმელში. ამგვარად, რომ შევადაროთ ხორცი და კაკალი, დავინახავთ, რომ კაკალი შეიცავს თავისში გაცილებით მეტს მკვებავ ნაწილებს ადამიანის სხეულისათვის და გარდა ამისა ადვილათაც ითვისება ჩვენი სხეულით, ვიდრე ხორცი. ვისაც რამე მიზეზით არ შეუძლიან იხმაროს საჭმელათ კაკალი (მაგ. კბილების ცქონლობის გამო), ასეთებს ვურჩევთ იხმარონ კაკლის ზეთი, რომელიც იყიდება მაღაზიებში. კაკალი ძლიერ მარგებელია აგრეთვე ავათმყოფებისათვისაც—სტომაქ მოშლილებისათვის, სისხლ-ნაკლებიანებისათვის, ნერვებით მოშლილებისათვეს და სხვ.

ხიდი, როგორც წამალი. ჯერ კიდევ 1778 წელს ერთი მკურნალი სწერდა შემდეგსა: „დიდათ სასურველია, რომ აფთიაქრებმა კარში გადმოყარონ მომეტებული ნაწილი თავიანთ წამლებისა და მათ მაგიერ გამოჰფინონ აფთიაქებში ლამაზ

კალათებში ჩაწყობილი სხვადასხვა ხილია. ამიტომ გაცილებით უკეთესი იქნებოდაო, რომ ნახევარი წილი აფთიაქებისა ხილის დუქნებად გადაქცეულიყოვო“.

მაგრამ მხოლოდ დღევანდელმა ყოვლად-შემძლებელმა მეცნიერებამ და ქიმიამ დაამტკიცა ყველასთვის თვალსაჩინოდ, რომ ხილი მართლაც საუკეთესო საზრდო და წამალია ადამიანისათვის. ვინც ყოველ დღე იკვებება ხილით და საზოგადოთ მცენარეულობით, მათთვის, რა თქმა უნდა, საჭირო არ არის ხილის ხმარება წამლად, ხოლო ვინც უცოდინაროობის გამო მცირე ყურადღებას აქცევს ხილს და ათასში ერთხელ თუ შესჭამს მას სადმე სტუმრად ყოფნაში, ასეთებმა კი სწორედ რომ წამლად უნდა იხმაროონ ხილი. ამისათვის უნდა დაიდოთ წესათ, მიირთვათ ხილი არა სადილს მერე, როცა ადამიანი სხვა საჭმელებით გამოძღება, არამედ საუზმის, სადილის და ვახშმის წინ და არა უმეტეს 2—3 გირვანქისა დღეში. ხილი უმჯობესია სჭამოთ წელიწადის დროს და ხილის შემოსვლის მიხედვით: მაგალითად, გაზაფხულზედ იწყებს თუ არა ხილი შემოსვლას, თქვენც დაიწყეთ წამლობა და სჭამეთ ყოველ დღე შემოსვლის და გვარად: მარწყვი, თუთა, ბალი, ალუბალი, ყაისი, ქლიავი, ვაშლი, მსხალი, ლეღვი, ყურძენი, ატამი, კომში, ბროწეული, ზღმარტლი და სხვანი. ხილი უთუოთ მოუხარშავი უნდა მიირთვათ, რადგანაც მოხარშვით ხილს ბევრი კარგი თვისება აკლდება, მაგრამ კარგათ გარეცხილი კი, რადგანაც ხილს კანზედ მტვერი და ბევრი ჭუჭყი აცხია. ხილი უთუოთ მწიფე უნდა მიირთვათ და არასოდეს მკვახე. ხილით წამლობის დროს, საჭიროა შეამციროთ ჭამა სხვა სანოვაგისა, მაგალითად, უმჯობესია ხორცი სრულიად აღარ მიირთვათ. ხილი განსაკუთრებით სასარგებლოა ჩვენთვის თავისი ჩვენ-მიერ მეტად ადვილათ შესათვისებელი შაქრით. აი ქიმიური გამოკვლევა, თუ რომელს ხილში რამდენი შაქარია.

მალინაში	4% შაქარი

მაყვალში	4,4%	შაქარი
მარწყვში	5,7%	„
სმაროდინაში	6,1%	„
ქლიავში	6,5%	„
კრიჟოვნიკში	7,2%	„
ვაშლში	8,4%	„
ალუბალში	8,8%	„
ბალში	10,8%	„
ყურძენში	14,9%	„

ამათში, როგორც ხედავთ ყურძენში ყველაზედ მეტი ყოფილა შაქარი და ამიტომ უკეთესი ხილიც არის. ყურძენი სასარგებლოა იმისთანა ავათმყოფებისათვის, რომლებსაც სტკივათ ან სჭირთ: ყელის სისუსტე, ბრონხიტი, თვალები, ასტმა, კუჭისა და ნაწლავების ანთება, ბუასილი, გული და სხვა. დანდალუკის მოსარჩენად კარგია ალუბალი, მარწყვი და ყურძენი. ბუასილისა, სირსველისა და ყვითას წინააღმდეგ კარგია ვაშლი.

ვისაც ჰსურს უფრო დაწვრილებით გაიცნოს ამ წერილში აღძრული კითხვები, ვსთხოვთ წაიკითხონ რუსულ ენაზედ: 1) Научныя основанія вегетаріанства и 2) Наша пища, соч. І. Петерсона.

ივანე როსტომაშვილი.

ჩვენი მწერლები
და
მწერლობა.

პოეტები, მწერლები და მწერლობა ჭეშმარიტათ ითვლებიან ხალხის მეთაურებად, წინამძღოლად და აღმზრდელებად. ეს სახელები განსაკუთრებით უხდება პოეტებსა, რომელთა ტიურს ენასა და წუობილ-სიტუვაობას მუდამ ჰქონია, აქვს და კიდევაც ექნება ხალხზედ ჯადოსნური გავლენა. დიახ, ძლიერი იარაღის მქონეა მწერლობა, დიახ ძლიერნი არიან პოეტნი და მწერალნი, მაგრამ, რამდენად შესაფერად საჩვენოა ეს მათი ძალიერება, აი კითხვა, რომელზედაც საჭიროა ცხადი წარმოდგენა იქონიოს ყოველმა ქართველმა. დღეს ამ წერილში ჩვენ გვსურს განვუმარტოთ ქართველებსა და თვით მწერლებსა და პოეტებსაც, თუ რამდენად სწორია ის საგანი, ის მიზანი, ის იდეალი, რომელსაც ასე დაჟინებით ემსახურებიან ისინი.

რომ დაკვირვებით გადავიკითხოთ ყველა, რაც კი ამ ორმოციოდე წელში დაწერილა და დაბეჭდილა ჩვენში (ძველი ხომ სახსენებელი არ არის ამ მხრითა), დავინახავთ, რომ არა მცირე ადგილი ამ დაწერილში და დაბეჭდილში, უჭირავთ იმ ლექსებსა და თხზულებებსა, რომლებშიაც მათნი დამწერნი დაჰკვნესიან თავიანთ ბედ-შავ სამშობლოსა, თავიანთ ხალხის უკიდურეს სილარიბესა, ამათ ერთმანერთის გაუტან-

ლობასა, შურსა, მტრობასა, უთაურობასა, ძილსა, უმეცრებასა, ზარმაცობასა და ათას სხვა მისთანებსა.

ამგვარი, არა სანუგეშო მდგომარეობა ქვეყნისა, რასაკვირველია, აიძულებს მათ, როგორც მეთაურებს ქვეყნისას, ხმა ამოიღონ მას განკურნების საშუალებებზე და, ამიტომ, მათს ნაწერებში, უპირველეს ყოველთა, თქვენ ხედავთ ისეთებსა, რომელნიც აღვიძებენ ჩვენში დატემულს გრძნობასა ერთგულებისას და დატემულსავე გრძნობასა მამულის საუკეთესულისას, თითქოს ესენი არიან ის ერთად-ერთი საშუალებანი, რომლებითაც ჩვენი დავარდნილი საქართველო აღორძინდება და დაადგება წარმატების გზასა. გადაიკითხეთ უკეთესნი ლექსნი და თხზულებანი ჩვენის პოეტებისა და მწერლებისა (ილიასი, აკაკისა და მათ მიმდევთა წვლილთა) და დარწმუნდებით ამაში.

ეს არის იდეალი მათის საამწერლო მოღვაწეობისა, ეს არის იდეალი, რომელიც სხვილის ასოებით წარწერილია მათს საამწერლო დროშაზედ, ეს არის ის იდეალი, ის მიზანი, ის საგანი, რომელსაც, როგორც ზემოთა ვსთქვით, ასე დანიეებით ემსახურება მთლად ჩვენი მწერლობა, რომელსაც ასეთის თავ-გამოდებით ემსახურებიან ყველა ჩვენი პოეტნი და მწერალნი—დიდნი და პატარანი!..

რომ, მართლაც, ჯერ აქამომდე, თვით ჩვენს მეთაურს პოეტებს და მწერლებს გარკვევით არ ესმისთ და არც იცნობენ ისინი იმ მიზანსა, იმ იდეალსა, რომლისადმი მისწრაფებას მედგრად უნდა ებრძოდეს მათი მუზა, მათი ტიური მჭევრმეტყველება: ყველა ეს, თქმა არ უნდა, ყველაზედ უკეთ დასანახია მათის ნაკალმევის განჩხრეკიდამ და ჩვენც ამას შევუდგეთ.

ჩვენის აზრით, ჩვენს დღევანდელს ყოფაში აუცილებლად საჭიროა, რათა ჩვენი ყოველი პოეტი და მწერალი, ჩვენი ყველა ჟურნალ-გაზეთი და წიგნი, მედგრად მისდევდეს იმ იდეალსა, რომელიც გამოიხატება ამ სიტყვებით: „საქარ-

თვალო დაგარდნილია, მას ეჭირვება შვილა, აღდგენა, წარმატება, დამკვიდრება, რითა და როგორ?

გავსინჯოთ, ამ მხრით ჩვენი მწერლების ღვაწლი და საამსახური. დავიწყოთ ნ. ბარათაშვილიდგან.

ნ. ბარათაშვილი.

ამ პოეტს არც ერთი ლექსი არა აქვს, რომელიც მცირედაც არის გვიხატავდეს მის იდეალსა, მის ქვეყნისადმი საამსახურის საგანსა.

— „არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს!“ —სთქვა მან თავის „ფიქრი მტკვრის პირზედა“-ში, მაგრამ რითა და როგორ, ამაზედ კი კრინტსაც არა ჰსძრავს ამ ლექსში და არც შემდეგში უთქვამს სხვა ლექსებში. რომ ცოცხალი კაცი უნდა ცოცხლობდეს, რომ კაცი უნდა არგებდეს სოფელსა, ეს იგრეც ვიცით ყველამ, ეს დარიგება იგრეც ნაანდერძევია თითქმის ადამიანის შექმნიდამ, მაგრამ რით და როგორ უნდა ცოცხლობდეს კაცი, რითა და როგორ უნდა ვარგებდეთ სოფელსა, ეს კი ყველამ არ ვიცით, ან ყველას თავისებურათ გვესმის კაცის სიცოცხლე და რგება სოფლისა. მაგრამ, ზოგადი სიტყვის გარდა სხვას რას გვეტყოდა ის პოეტი, რომელიც თავის „ხმა იდუმალში“ ამბობს:

„ეძიე, ყრმაო, შენ ხვედრი შენი!
ვინძლო იპოვნო შენი საშვენი!“
მაგრამ მე მხვიდრსა ჩემსა ვერ ვპოვებ (ო)
და მით კაეშანს ვერღა ვიშორებ (ო)...

ან თავისსავე „სულო ბოროტო“-ში:

„რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?“

როგორ უნდა გაუძღვეს ამ გვარი პოეტი ხალხსა, როდესაც თვით არ იცის ის საგანი, რომელსაც მედგრად უნდა

მისდევდეს იგი და ყოველს თვისს ნაღვაწში აღბეჭდავდეს მასა?..

ბიორბი ერისთავი.

არც ამ პოეტს აქვს, ერთი მაინც არის ლექსი, რომელშიაც იგი მაღალის ხმითა ამცნევდეს თვისს მემამულეთა ქვეყნისადმი სამსახურის საგანსა. მის დრამატიულს თხზულებებზე ეხლა არას ვამბობთ...

გრიგოლ ორბელიანი.

„მიბაძვა პუშკინისა“ 45 გვ. ერთ‌ათ პუშკინთან
ბრძანებს პოეტი:
„სიცოცხლევ ფუჭო,
უბრალო ნიჭო,
რად მოუციხარ ჩემთვის ზენასა?
ანუ, საგანი,
რა არს ვერ ვსცანი
ამა სოფლისა ჩემისა მოსვლის?
და გულ-უგრძნობით,
უსასოებით,
ვარ დაბრმავებით გზასა სიცოცხლის!“...

მგონია კარგათა სჩანს აქედამ, რომ ამათაც (პუშკინს და ორბელიანს), როგორც ნ. ბარათაშვილსა, სრულიად არ სცოდნიათ თავიანთი მაღალი ნიჭის დანიშნულება და ამიტომ არის, რომ დაყენებულს კითხვაზეთ — „სიცოცხლევ ფუჭო,
უბრალო ნიჭო,
რად მოუციხარ ჩემთვის ზენასა“, —
პასუხს ვერ იძლევიან. მოდი და უწოდე ამ‹ვარს პოეტებს ხალხის წინამძღოლი! მოდი და მიჰყევი მათ!..

„სადღეგრძელო“ 153 გვ.
„ვითარცა ცეცხლი მარტოდა ჰსჩანს ველსა ზედა შთომილი,

რომლისა კვამლი ჰაერში ქარის შებერვით არს მქრალი,—
ეგრედ იქმნების აღხოცილ ამ სოფლით მისი სახელი,
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო და არ აღბეჭდა ნავალი!"

საქმეც იმაშია, პოეტო, რომ გამოდიხართ მოედანზედ ხალხის წინამძღვრად და ერთხელაც არ გაისარჯეთ აგვიხსნათ, რით უნდა აღბეჭდოს ცოცხალმა კაცმა ნავალი თავისი სიცოცხლისა, უთუოთ ამით აიხსნება ის სამწუხარო ამბავი, რომ თქვენებურს ქნარსა ჯერ ერთი მოღვაწეც არ გამოუზრდია მამულისათვის.

—

„გალაშქრდნენ, მისწვდნენ იარნუსა, ერთის შეტევით მილეწეს!
ლომებრ მისცვივდნენ სინოპსა, მის ციხე ზღვაში გარდაგდეს;
განვლეს არეზი, თავრიზი, ყაფლანქუ გარდაიარეს,
და მტვერი გაოხრებისა, ღვთის რისხვად ყაზმინს თავს დაჰსცეს!"...

—

ჰხედავთ რაზედ ჰკარგავს პოეტი თვის ციურს ნიჭსა? იგი, როგორც ატტილას და ტამერლანის ველური აშუღი, ქებადიდებას შეასხამს ხალხთა ამომჭყლეტელებსა და მით აქეზებს თანამედროვეთ და შთამომავლობას ამგვარსავე ბარბაროსულ მოქმედებაზედ-

დიახ! ველური ჰსცარცკავს და ჰკლავს თვის მსგავსსავე ადამიანსა და ამაყურად სდგამს მის უსულო გვამსა, ანუ რომელიმე მის ნაწილსა და დავლას გამოჩენილს ადგილას, ნიშნად თვის მოხვრხებათა და მამაცობათა. მხედარი მედიდურობს და ბაქიობს თვისი ვაჭკაცობით საომარს ველზედ და აღტაცებით ჩამოჰსთვლის იმ მსხვერპლთა (როგორც მოყვანილს ნაკვეთში ჩვენი პოეტი), რომლებიც შეიწირა მისმა უწყალო ხელმა და ამას შვრება იგი იმ საზოგადოებაში, რომლის კანონები სასტიკ სასჯელებს აყენებენ დამნაშავეებს უმცირეს დანაშაულობაზედაც. ომის მოყვარე ერი ამაყობს დიდებით,

რომელიც მან შეიძინა ასი ათასი სიცოცხლის შეწირვითა და ამშვენებს თვის სასახლეებსა და საზოგადო დაწესებულებებსა ნადავლი სურათებითა და ნახელოვნებითა, ხოლო მისი სარდლები, სპასპეტები და ამილბარები ცხოვრობენ ფრიადს განცხრომაში და ნაომარი დავლის წარგებაში და ფლანგვაში. განვითარებული ერი ყველა ამას უწოდებს ცარცვა-გლეჯასა, მკვლელობასა, მხეცობასა, ავაზაკობასა და ჩვენი პოეტი კი, რომელიც, თქმა არ უნდა, გაცილებით მაღლა უნდა იდგეს ხალხზედა, რომლის წინამძღოლობა მას უკისრნია,—ქება-დიდებას შეასხამს მის-დაგვარ მოქმედებასა. ვაი იმ ხალხსა, ვისაცა ჰყავს ამგვარი პოეტები!..

—

„ჰე მამულო საყვარელო, ვინ გახსენოს, რომ მის გული
არ ათრთოლდეს სინანულის აღტაცებითა აღვსილი?..
ვინ გიხილოს დროსა საშიშს (რომელს?) არ დასთხიოს ‚თვისი სიხლი,
არ დააკლას (რისთვის?) თავი თვისი, შენ დიდებად, ვითა მსხვერპლი?..

მშვენიერი სიტყვებია, მაგრამ რა შეეძინა მით მკითხველსა? რას ეძახით ქვეყნისათვის საშიშს დროსა? რანახეთ იმისთანა საგულისხმო ამ ომებში, რომ თვისის მუზის საგნად მხოლოდ ამოდენა სისხლის გმირნი ვაგიხდიათ და ჩვენც მოგვიწევს თავი დივაკლათ მის მაძულის დიდებად. იმის მაგივრად, რომ ასეთივე მჭერ მეტყველობით ამხილოთ ხალხს ნამდვილნი მისნი საშიშროებანი და სახსრები მათს დასაძლევად, თქვენ მოჰყოლიხართ და თვისსავე ქვეყნის დამღუპველ ომებსა და მათ მიმდევთა ცამდე ადიდებთ! მოდი და თაყვანი ეცი ამ გვარს პოეტებსა! მოდი დმ უკან მიჰყევი ამ გვარს მეთაურებსა!!.

სადღეგრძელო გვ. 66

„მამულისათვის ფიალა სავსე ვჰსვათ სიამოვნებით
და იქმნეს აღყვავებული კეთილ-დღეობით, დიდებით; (როგორ და როგორის?)

იქმნეს მის ქედ აღყვანილ ცათამდის ძეთა ზნეობით“ (რო-
მელს ასპარეზზედ? ომებში ხომ არა?)
სოფელი იმათ არა ღირს კაცი ნატრობდეს ჟამს გრძელსა,
თუ ფუჭი მისი სიცოცხლე ვერა რას აღვებს მამულსა! (რი-
თა? როგორა? სხვა ხალხების დარბევით ხომ არა?)
მას სადიდებლად ჩვენც შევხდეთ უშიშრად ათას მახვილსა,
(რისთვის? ერთმანერთის დასამონავებლად და დასა-
რბევად ხომ არა?)
და მოვკვდეთ, თუ კი სიკვდილით ვადიდებთ მისსა სახელსა!
რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილი? (რომე-
ლი? ერთმანერთის ხოცვა-ჟლეტა ხომ არა?)
თუ არ აღვადგენთ დაცემულს (რომელსა?), არ ვექმნეთ ნუ-
გეშ-მცემელი? (რითა?)
თუ არა ვსდევნით ბოროტსა, (რომელსა?) მართლის (რომლი-
სა?) არა ვართ მფარველი? (რითა?)
სხვის კვნესა თუ არ გვაწუხებს, სხვისა არ გვესმის ტკივილი?
(ამას ამბობს პოეტი, რომელიც ორიოდე სტრი-
ქონს ზევით მხეცურს ჟლეტაზე აქებს თანამემამულეთ!).
ვჰსდევნიდეთ (როგორა? რითა?) ძალას დამჩაგვრელს (რომე-
ლსა?) და მისსა უსამართლობას; (რომელსა?)
მიეცით ნიჭსა (რომელსა? სამხედრო ნიჭს ხომ არა?) გზა ფა-
რთო (რითა? როგორა?), თაყვანისცემა ღირსებას
(რომელსა? ჩინებსა და ორდენებს ხომ არა?)

თამარ მეფეს სასე ბეთანიას ეკეკლესიაში.

„და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვგრძნობდე,
ჩემის სამშობლოს სულით დაცემას!“...

რატომ ჩანგის ამდენს ჟღერაში ერთს სიტყვასაც არ ბრძანებთ იმაზედაც, თუ რისაგან დაეცა თქვენი სამშობლო და თუ დაეცა, რაღამ უნდა აღადგინოს იგი?

„შენადვე მეფევ, მოველ ვედრებით:
მოხედო ბედ-ულულს
შენს სატრფოს მამულს
და ჯვარით შენით აკურთხო კვალად,
შენი ივერი:
აღსდგეს ძლიერი,
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის
წმიდით საყდარით,
ენით მდიდარით,
სწავლისა შუქით განათებული!
ზნე ამაღლებით,
ძლევის დიდებით,
სამშობლოს მიწის სიყვარულითა!“

მშვენიერი სიტყვებია, მშვენიერი ნატვრაა, თქვენმა მზემ, მაგრამ, მაინც ის არ არის ნათქვამი, რაც უფრო საჭიროა აუცილებლად, სახელდობრ: რითა, როგორა, რა საშუალებით შეიძლება ყველა ამ ნატვრათა განხორციელება? აი კითხვა, რომელზედაც საჭიროა მუშაობდეს მუზა ჩვენთა პოეტთა და მწერალთა, აი კითხვა, რომლის განმარტების დანერგვაზედ ხალხში უნდა სწირავდნენ თავსა ჩვენი მეთაურნი! თორემ რა გამოვა ლიტონის ვედრებით დამიწებულის გვამისადმი, ანუ დახატული სახისადმი...

„ეჰვით აღვსილსა,
უსასოდ ქმნილსა,
გულ-უიმედოს,
გაუხარებელს!..
ვა თუ რაც წახდეს,
ველარა აღჰსდგეს,
ველარ აღყვავდეს ახლის შვენებით?
და რაც დაეცა,
ის წარიტაცა,
შავმან ყორანმა, ვით უმწე მსხვერპლი?“..

დიახ, ამის მეტი რაღა დაგრჩენიათ, ბედკრულნო! რომ ვერ მიჰსწდომიხართ ადამიანის დანიშნულებას ამ სოფლად და ხალხთა ბედნიერების წეს-ცხოვრებასა, მოჰყოლიხართ და გაიძახით თავიანთ იჭკვებზე, უსასოებაზე და გულ-უიმედო აწმყოფობაზე, რითაც, თქმა არ უნდა, დიდი და დიდი ვნება მოგაქვთ ჩვენი, ისედაც დაცემულის ხალხისათვის, მით უმეტეს, რომ ხალხი, უმეცრებისა-გამო ისეთ თაყვანსა ჰსცემს თქვენს ნაწერსა და ნაბეჭდსა, როგორც წმიდათა-წმიდასა!..

მუშა ბოქულაძე, გვ 76. მეტათ შემკობილის ლექსით აღწერავს პოეტი მუშის ყოფა-ცხოვრებასა, მის მდგომარეობასა, მაგრამ ისევ ძველი უბედურება: პოეტი ერთს სიტყვასაც არ ეუბნება მკითხველსა იმ დასაბამითს მიზეზებზე, რომლებისგანაც შთავარდნილა მუშა უბედურს ყოფაში და არც იმ საშუალებებზე, რომლებსაც სწრაფათ შეეძლო გამოეყვანა იგი ამ უბედურ მდგომარეობიდამ...

ვახტანგ ოლრგელიანი. „გელათი“, „ბუნების კარი“, გვ. 265.

...„აქ დაბლა მე ვარ მის მდუმე და იქ მაღლა ცა, როგორც ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა“.

მშვენივრად აღწერავთ მდებიარობას და შვენებას გელათისას, მშვენივრად ბრძანებთ ლიტონის სიტყვებით საქართველოს ამაღლებაზედ და დაცემაზედ, მაგრამ ერთს სიტყვასაც კი არა ბრძანებთ მასზედა, თუ რაში მდგომარეობდა ეს ამაღლება, ან რისგან ამაღლდა საქართველო, რომ თქვენს მკითხველებსა და მიმდევრებსაც დაებადოთ სურვილი იმავე საშუალებებით ამაღლება, — ანუ რისაგან დაეცა საქართველო, რომ აგრეთვე აღძრათ მკითხველებში ნამდვილი სურვილი დაცემის მიზეზების აშორებისა და მით თვით დაცემისაგან მორჩენისა...

—

„ჯვარი ვაზისა“, „ბუნების კარი“, გვ. 337.

..„მიხვდნენ დიდს მკნებას ძენი შენნი, ერი-ველური, მიხვდნენ, რაც არის დიდი სიტყვა, სიტყვა ციური:

ქვეყნად შვიდობა და კაცთ ჰქონდესთ გულს სათნოება, ძმობა, ერთობა, სიყვარული და შეწყალება
სადაც სწირავდნენ კაცთა მსხვერპლად, კერპთ და ბომონთკარს, იქ ისმა მაღლა გალობის ხმა: „წმიდა, წმიდა არს“...

თქვენა ბრძანებთ, რომ მაშინდელი ველური ქართველები, რომლებიც იმ დროამდე მსხვერპლად სწირავდნენ ადამიანებსაც კი, მიხვდნენ, თუ რა არის — „ქვეყნად მშვიდობა, სათნოება, ძმობა, ერთობა, სიყვარული და შეწყალება“, მაგრამ ერთი გვიბრძანეთ, ოდესმე ან სადმე ყოფილა იმისთანა ერი, რომლის ისტორია წარმოგვიდგენდეს იმდენს ჩხუბს, ომებსა, ერთმანერთის მტრობასა, გაუტანლობასა, სისხლის ღვარსა და მისთანებსა, რამდენსაც ჩვენ ვხედავთ ჩვენი საყვარელი ქვეყნის წარსულში? მაგრამ, წარმოვიდგინოთ, რომ თქვენი ნათქვამი მართალია; რატომ ერთს სიტყვასაც არა სძრავთ მასზედა, თუ რისაგან დაიბადა ქართველებში შვიდობა, სა ნოება, ძმობა, ერთობა, სიყვარული და შეწყალება? განა ეს ციურნი ღირსებანი ადამიანისა და ხალხისა შეიძლება დაიბადოს მათში ლიტონის ქადაგებითა, ანუ რომელიმე ახალი რჯულის მიღებითა? ჭეშმარიტად შესაბრალისნი ვართ ყველა ქართველები ამგვარ პოეტთა ხელში! ამათი ღირსება შეადგენს მხოლოდ მათი მდიდარი ლექსიკონი წყობილ-სიტყვაობისა, მათი ტკბილი ჟღერანი სიმთა და სხვა არაფერი. სხვა რაღა საჭიროა, როცა ქართველებში ლიტონს, მაგრამ ლამაზს სიტყვასაც იმოდენი პატივი და ღირსება აქვს, რაც სადმე ამერიკაში, მხოლოდ დაბეჯითებითს გამოკვლევასა და ცოდნასა...

„ისწავლეთ, ძენო, ნუ დაზოგავთ ღვაწლსა და შრომას, ნათლის თვალითა ერიდენით ცრუ გზას და ცთომას“ (რომელსა?)...
განათლდით სწავლის ლამპარითა (რომელითა?), ისწავლეთ კვალად (რითა, როგორა?)...

დიდი ხანია ჰქადაგებთ ამასა, მაგრამ ვერა და ვერა: ვერ

შეუდგა ჩვენი ხალხი თქვენს ქადაგებასა, თქვენს მიწოდებასა: ვერ ისწავლა. რატომ ერთს წამსაც არის არ დააკვირდებით იმ შესანიშნავ მოვლენასა, რომ თქვენს ქადაგებას ერთი ნატამალი გავლენაც არა აქვს ხალხზედა? რატომ კარგათ არ განჩხრეკთ იმ მიზეზებსა, რომლებიც იწვევენ ყოველ-გვარ სასწავლებლების დაარსებასა ხალხში, სადაც, ყოველს მშობელს უპირველეს ვალად მიაჩნია გამოზარდოს ყველა თავისი შვილები და ღონეც შეჰსწევს ამისათვის?.

„სიზმრები", გვ. 5. ლექსი ვ. ო. ამ ლექსში პოეტი მშვენიერის ლექსით მოგვითხრობს ორს სიზმარსა: ერთში უნახავს ივერია მკვდარი, მეორეში — იგივე ივერი გაცოცხლებული.

პირველი სიზმარი. „ვნახე სიზმარი:
ჩვენი სამშობლო, ჩვენი მიწა, ჩვენი ივერი,
მაგრამ ივერი უსულდგმულო, ივერი მკვდარი
გარდაშლილიყო ზღვის კიდემდის ჩემ თვალთა წინა;
სიცოცხლის ცეცხლი გამქრალიყო მისს წიაღს შინა".
მეორე სიზმარი: „ვნახე სიზმარი:
ვხედავდი ივერს გარდაშლილსა, ჩემთ თვალთა წინა,
სიცოცხლის წყაროს გაეღვიძნა მის წიაღს შინა...
მაგარ სადგურნი და პალატნი, წმინდა ტაძარნი
თვის ნანგრევთაგან დიდებულათ იყვნენ ამდგარნი...
ვხედავდი ივერს, მის ძეთ სულით, ძლიერის ნებით,
ტურფათ მოართულსა მშვენიერის შენობეებით;
ვხედავდი მაღლა ცას ნათელსა და შვენიერსა,
დაბლა მიწაზედ—ერს მშრომელსა და ბედნიერსა".

ეჭვი არ არის, რომ პოეტი პირველს სიზმარში გვიხატავს ჩვენს ეხლანდელს საქართველოსა, მართლაც მკვდარსა და დამხობილსა, ხოლო მეორეში—იმ ნეტარს დროსა, როდესაც აწ დავარდნილი საქართველო იქნება აღორძინებული და წარმატებული. ხოლო ერთი რამ გვაკვირვებს ჩვენა: რატომ ერთს სიტყვასაც არ ამბობს პოეტი მასზედა, თუ რისა-

გან მოკვდა და დაემხო ივერი და როცა აღსდგა, რომელი სასწაულით აღსდგა?

თქვენა ხართ პოეტი, ე. ი. მაღალ-ნიჭიერი კაცი, მოვლინებული კაცთ წინამძღვრად. რატომ ჭეშმარიტს წინამძღვრობას არ იჩენთ და უმეტეს შრომას არ აძლევთ თქვენს თავსა, რათა კარგათ შეიტყოთ მიზეზები თქვენის ვაების და აღტაცების საგნისა და მაღალის ხმით ამცნოთ იგინი ერსა, რათა იგი, თქვენგან ნამცნევი ამაღორძინებელი საშუალებებით მედგრად ებრძოდეს თავის დაცემის მიზეზებსა და მით განუმზადებდეს ბედნიერებას თავის თავსა და მომავალსა! საჭიროა კარგათ შეიგნოთ, პოეტნო, რომ არა კმარა ლიტონი დახატვა საგნის სახისა და მდგომარეობისა, აუცილებლად საჭიროა, რათა ამავე დროს ნათლათ წარმოუდგენდეთ ხალხსა დასაბამითს მიზეზებსაც საგნის უწყებულის სახისას და მდგომარეობისას, რომ მით ხალხმა ისიც შეიტყოს, თუ საიდამ და როგორ ეშველება წამხდარს საქმესა. მერწმუნეთ, როდესაც უჩვენებთ ხალხს მიზეზებს მისის დაცემისას და პირობებს მისის აღორძინებისას, იგი თითონვე შეიძლებს თავისი თავის მოვლას, იგი თვითონვე იპოვნის მხსნელთა...

მაშ თავი ანებეთ თქვენს უბრალოდ წყლის ნაყვასა და ერთგულად შეუდექით შემდეგი საგნის დანერგვასა ხალხში: „საქართველო დავარდნილია; მას ეჭირვება შველა, აღდგენა, წარმატება, დამკვიდრება, რითა და როგორ? ხომ თვითონაცა გაქვთ დადგენილი ეს კითხვა თქვენს „იმედში“: „მაშ საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო?“.ო.

მერე ერთი სიტყვა მაინც ბრძანეთ იმოდენა ლექსში, ამ კითხვის პასუხათა? არა. რატომ? განა, რომ საჭიროა მაგ კითხვის განმარტება, როდესაც თქვენ ასეთის გაშმაგებულის სიტყვების შემდეგ აყენებთ მაგ კითხვას, როგორებიც არიან:

„გონება ხელობს, გაშმაგებულს აზრი მერევა,
სარწმუნოებას გულის ჭმუნვის ძალა ერევა...

ნუ თუ მართლა გწამთ, რომ არსებობდეს და იყოს ღმერთი?
თუ დაბადება სამყაროსი იყო მის ნება,
თუ მართლა მნათობთ, ცას და ზღვათა, მთათა და ველებს
თავის შუქითა, სიუხვითა ის იცხოველებს;
თუ მან დაგვბადა, მან გვცა გრძნობა, ჭკუა და ენა;
თუ მან ეს ტყენი, ეს მდელონი აღმოაცენა;
თუ თვის ქმნილებას საზღვარი და კანონი მისცა
და სული საღმრთო და ცხოველი შთაბერ. და სცა;
თუ ქვეყანასა წესი მისგან მიენიჭების;
თუ ნათელი არს და ნათელი ჭეშმარიტების:

მაშ საქართველო ასე მწარეთ რისთვის დაემხო?!!

თქვენ გაშმაგებული აყენებთ ამ შესანიშნავ კითხვასა და ერთს სიტყვას კი არა ბრძანებთ მის საპასუხოდ. მოდით და მიწინამძღოლეთ ამ ს შემდეგ მე უბრალო მომაკვდავსა, როცა თვით არ გესმით ბიზეზი ჩემის დამხობისა და ასპარეზი ჩვენის სიცოცხლის საერთო მოქმედებისა და მისწრაფებისა!..

თქვენის „იმედის" მერვე თავში, თქვენ თითქოს გაბედეთ პირდაპირ ამცნოთ ერსა, რომ იგი თუმცა დამხობილია დღეს, მაგრამ ნუ გეშინიანო, რადგანაც:

„გრწამდესო, ღვაწლნი მამა-პაპათ არ განქრებიან;
გრწამდეს ეს შთენნი დიდებულად კვლავ აღსდგებიან:
მართლ-მადიდებელთ ჭეშმარიტი, ღმერთი ძლიერი,
მოგფენთ თვისს სხივსა, თვის სიუხვეს,—და თქვენი ერი,
ქრისტეს ჯვარისთვის წამებული, კვლავ გამრავლდება, (რითა, როგორა?)
თქვენი სამშობლო დანგრეული (რისაგან?) კვლავ აღყვავდება (რითა, როგორა?)"...

ახლა, ერთი ეს მიბრძანეთ: ამ სიტყვების შემდეგ უნდა ეშინოდეს ჩვენს ქვეყანას დამხობისაგან, თუ არ უნდა ეშინოდეს? თქვენ, ვიცი, გგონიათ, რომ არ უნდა ეშინოდეს, რადგანაც ღვაწლნი მამა-პაპათა არ განქრებიანო, მაგრამ ჩე-

მის ფიქრით კი, ამ თქვენი სიტყვების შემდეგ, ერთი ათათ უფრო უნდა ეშინოდეს ჩვენს ქვეყანასა, რადგანაც მაგ სიტყვებით საქართველოს უშიშროობას ამყარებთ ფიტონს იმედზე და ერთს სიტყვას კი არა ჰხარჯავთ იმ უტყუართა წყაროებზედა, რომლებზედაც მთლათ დამოკიდებულია ჩვენი დამხობილის ქვეყნის აღორძინება და წარმატება!..

დიზრაელი.

სურათები ჯავახთ ცხოვრებიდან *).

გამოსვლა მეშვიდე.

მარო, ეფრემ და ლაზო.

ლაზო. (სიხარულით). დედა! გადაწყვეტილია საქმე!!. მამაი ეხლა გზაში დამხვდა, ქალაქში მიდიოდა; რაცლაების საყიდლათ მივალო, მითხრა.

მარო. ჰოოდენ ლაზოჯან... ხვალ-ზეგ მეფეთ იქნები, ღმერთმა გაგაბედნიეროს, შვილო, შენ გულის სურვილს ხო ეღირსე (ლაზო იღიმება).

ლაზო. (სიხარულით) ჯან, ჯან!! დედაჯან, დედა, ახლა საქმეს უნდა შევუდგეთ, რაღა! პურის და ქადის გამოცხობა დაგვჭირდება, ქათამ-ინდოურის დახოცა და რაცლა-რაცლაები. ხვალ ყანებჩი სხვას გავგზავნი, მე აქ დავრჩები და ყოვლისფერი მოვითაოთ; მზითევი ხო აწერეთ. ხუცესიც ხომ დაესწრო!

მარო. კი მარა, ჯერგა შვილო, შენ სიმამრს ტეფოს კაცი გამოუგზავნია, ხვალ საღამოს მობრძანდით ასაწერათო, და თუ ზეგ ქორწილს გააჩენთ, შეგვატყობინეთ, რომ ჩვენც ქორწილის თადარიგში შევიდეთაო. ჩვენ შევუთვალეთ ზეგისათვის მოემზადეთქო. შენ კი ვინმე იშოვე უსათუოდ, ორი დღის ვადით, რომ შენს საქმეებზედ დაგვჭირდება;

---

*) იხ. „მოგზაური" № 5 და 6 1904 წ.

აი, დილაზეც, ეფრემს ვეტყვი, ჩვენი სარია დეკეული დაკ-
ლას მაზედ შენც მეეხმარე; დილითვე მორჩით, რომ მე-
რე ბევრი საქმეა... ვეცადოთ ხვალვე მოვითავოთ. ზეგი-
სათვის არა დაგვრჩესრა!.. ჰო, რა უნდა მეთქვა, ლაზო-
ჯან, ლაზო! წადი გენაცვა, ველიჯანაცა და იკითხე,
იმერლებს გასაყიდი ღვინო ხო არ მოუტანიათ?

ლაზო. როგორ არა, მე რომ ყანიდამ მოვდიოდი 5 იმერელს
9 საპალნე ღვინო მოჰქონდათ; იაფი იქნება... ღვინო ბე-
ვრია. ჯერ წავალ, ყანების მებექჩეს ვისმეს ვიშოვი და
მაგაების, ღვინის საქმეს ამალამ გავათავებ; ეფრემ ბიძა-
საც წავიყვან თან! (მოდის, თან უხარია და მღერის გზაში).

მინდორჩია დავდიოდი,
დავკრიფე ნეგო!
ვენაცვალე მის გამჩენსა
წილათ ის მერგო!.. (მერე შეცვლის სიმღერას)
ჩემო ბაბალე თეთრი ხარ,
როგორც საყდარში კირია,
ნეტავი შენსა ლაზოსა,
შენთან მოუვა ძილია!
თვალ-წარბი გადაგხატვია,
სარკეს მიგიგავს პირია.

მარო. ჰოდენ, გენაცვა! ჰო!!.. ეცადეთ, ღვინო იაფათ იყი-
დოთ! ლაზო გავა, მაროც გაჰყვება).

გამოსვლა მერვე.

მაყრები, ზაქარო და ატო შემოდიან.

ზაქარო. (ატოს) მზითევს არა უშავდარა, ყარდაშ, წუხელის
115 მან. ავიდა, მეტი რა უნდათ, რომ არც თანხ-
მდებოდნენ.

ატო. ჰოოდენ, ჰალბათ კარგი იყო! სტუმრებიც მოიწვიეს?..
კაცმან სთქვას ამალამ ადრე ექმნებათ თუ დააგვიანე-
ბენ ჯვრის წერას.

ზაქრო. რაღა უნდა დააგვიანონ, როგორც შევიტყე სამზადი-

სი-ჰაზირი ყოფილა და რაღას დაუყურებენ (შემოდიან მარო და ლაზო) ჩვენ ჩავიცვით! ხალხსაც დაუძახეთ

მარო. ხალხი მალე მოვა, საღამოს ლოცვის ზარების დროს არიან მოწვეულნი, პალე ბიძა და ვინცლაები კიდევაც მოვიდნენ და დარბაზში სხედან, ლაპარაკობენ... აგერ, მგონებს მამასახლისიც მოდის (შემოდის მამასახლისი).

მამასახლისი. გამარჯვებათ მექორწილეებს! ჰანი სადაა ხალხი, არ მოსულან?..

მარო. როგორ არა, ვაჟბატონო! გარეთ არიან, დანარჩენებიც მალე გიახლებიან. დაბძანდით, ვაჟბატონოჯან! (დაჯდება მამასახლისი, მაგრამ ისევ ადგება) თუ პავლე ბიძაც მოსულია იმასთან გავალ სალაპარაკოთ! (გადის).

მარო. მაია, მაია! (მაია შემოდის). ერთი ეს ბალიშები ბაგაზე მიაწყე, ხალხი კიდევაც მოვიდა (თვითონაც ეხმარება).

მაია. მე მეგონა მოწყობილიც გქონდა (ეხმარება). (შემოვარდება ზაქრო და სოსო, ქალო, ხალხი მოდის, ცქვიტა-ცქვიტა, დაგავეთ და მიალაგეთ ოდა. ყველანი ალაგებენ).

გამოსვლა მეცხრე.

იგივ, ზაქრო და სოსო.

სოსო. მოდიან, (შეეგებება).

გამოსვლა მეათე.

(შემოდიან პავლე, მამასახლისი, ეფრემ და სხვა სტუმრნი, უჩვენებენ დამხდურ სტუმართ ბალიშებზე) დაბძანდით, ძახლებო!..

მამასახლისი. გამარჯვებით!

პავლე. აქა მშვიდობა.

მაურები. კაი ფეხი!!!

სტუმრები. კეთილად და ბედნიერათ მოახდინოს ღმერთმა თქვენი ქორწილი და გამარჯვება!!!...

სოსო, (მარიამ და ლაზო თავდაბლა გადუხდიან ყველას სალამს, ეფრემს) დაბძანდით გენაცვა!..

ბავდე. დრო აღარაა დაჯდომისა, დედოფლიანთგან კაცი მოვიდა ხუთჯერ, მობძანდითო, რაღას უყურებთო. წავიდეთ, დროა.

ეფრემა. დაჯდომამ რაღა იცის!.. ჯერ ერთი აღარ დაჯდებით, დაილოცეთ და ისევ წავიდეთ (ცქვიტა გადის და შემოაქვს ჯოხის შამფურზე აცმული მწვადი და ერთი ბოთლით არაყი, მიართმევს ყველას სათითაოდ არაყს სტაქნით და მწვადსაც დასჭრის, შეათლის და მიაწოდებს მზათ).

(სათვითაოდ). ღმერთმა კეთილად მოახდინოს თქვენი ბედნიერება!.. (ილოცავენ).

(დანარჩენნი). გაუმარჯოს, კეთილი იყოს, კეთილი (ადგებიან და შემდეგ წავლენ). (ამ დროს გარეგან მოისმის ზურნის ხმა და მალე შეწყდება).

ფარდა.

მოქმედება მეორე.

(სცენა წარმოადგენს დაზარე გოგადაშვილის სახლს ხიზაბავრაში; სახლს შუაზედ და მარცხნივ აქვს კარები, ორივე გვერდებზე ბალიშებით მორთული ხალხის დასაჯდომად, მარჯვნივ მეფე-დედოფლის დასაჯდომი ბალიშები აწყვია, სადაც მეფე-დედოფლის მოსვლის უმალ წამოწოლილია ბირდადმა 7 წლის ბავშვი, რომელსაც ხელები უკან უწყვია; როდესაც შემოდიან, ბავშვი გაიძახის მაყრებისაგან საჩუქრის მოტემამდისინ: „ვაჟი-შვილი, ვაჟი-შვილი, დმერთმა ვაჟი გადირსოთაო“, როდესაც საჩუქარს აიღებს, წამოდგება, ადგილს დაუთმობს მეფე-ბატარძალს, თავს დაუკრავს და გამობრუნდება. ბატარძალი თავიდან ბოლომდის (ფეხებამდინ) წითელი ბირბადით არის ჩამობურული. მარცხნივ ბალიშების წინ ფიჩვები და ჭილობებია დაფენილი, სტუმრებისათვის (კაცებისთვის), მარჯვნივ კი იმავე რიგათ ქალებისათვის. გარეთ ისმის ზურნა, თოფების სრო-

ლაა და ჭაი, ჭუი. კარებს რომ მიუახლოვდებიან, დაიწყებენ სიმღერას და სიმღერით შემოდიან დარბაზში. კარებში, სტუმრებს ალვით (სანთლებით გაჩადებული ეგებებიან სოსო, მარო და ბავლე); ფარდა აიხდება.

კამოსვლა პირველი.

(ზურნას რო გაჩუმებენ, მაინც ისმის კიჟინა, ბ-ჯერ ზედიზედ თოფებს დასცლიან კიდევაც დაიწყებენ სიმღერას):

მოვდივართ მოგვიხარიან,
მოგვყავს წითელი პეპელა,
ქალი რძალი მშვენიერი
პირ-ვარდი, ალვა, კეკელა!

(როდესაც გაათავებენ ასლად შემოსულნი, შემდეგ ვინც დაუხვდნენ დარბაზში, ისინი დაიწყებენ იმ დროს ეფრემა იან ეველას ადგილს თავაზობს დასაჯირომათ):

ვისაც ველოდით მოვიდნენ, კვლავაც ვიხაროთ გულითა,
ციურსა ანგელოზსა ჰგავს, მისი გზა-კვალით მკულითა!
ერთხელ იყო ტარიელი, ავთანდილისა მაყარი,
მოგვემატა მოსამატი, ზარბაბი და ოქრო მყარი!

შესული ხალხი ეგვლა თავიანთ ადგილის წინ ფეხზე დგანან, როდესაც შინ დამხდურები გაათავებენ სიმღერას, მაშინ ისევ შესულნი დაიწყებენ:

„ქალი მოგგვარეთ ესრეთი,
არ წარმოითქმის ენითა,
მშვიდია, მეტად გაზრდილი,
ძვირფასად მოვალ ძღვენითა! (ეფრემა სტუმრებს იწვევს დასასხდომათ სახლში).

(სოსო და მარო მიესალმებიან რძალს).

სოსო. სძალო, სძალო! (მარჯვენა ხელს მარცხენა მხარზე დაადებს) შენი მოსვლა ჩემ ოჯახში ბედნიერი იყოს, შენი გვირგვინი უცვალებელი იყოს (ორივეს) ორივე ერ-

თათ დაგაბეროსთ, (ხელში უჭირავს ალვა და უჩვენებს, რომელსაც გადასცემს დადეს) ასე ტკბილად!

უველანი. ამინ! ამინ!! გაუმარჯოს!!!

მარო. ძალო, ძალო! შენი ფეხი ჩემ ოჯახში კეთილი იყოს, (გაცაჰკოცნის) ჩემ ლაზოსთან, ეგრე წყვილათ დაგაბეროსთ ტკბილის სიცოცხლითა! (მერე ლაზოს მიუბრუნდება)!.. ეი! შენ გენაცვალე, როგორ გიხდება მეფობა, შენ კი გასძეხ კარგი ღღითა და სიცოცხლითა (გადაჰკოცნის), ერთ გვირგვინზე დაგაბეროსთ, შვილო!

სოსო. (ეფრემს) ეგრემც მოგცემია დდე გრძელი, არ მოგვიწყინო არაფერზე, ჩემი ძვირფასი სტუმრები!

ეფრემა. რა, ბრძანებაა? შენ გერაცვალე! რაზე მოგიწყენ, ღვინო ბევრი მაქვს და რახი ღვთის წყალობა (იქ მდგომ ვიგოს) გიგო, გიგო, წადი, შენ გენაცვა და მწვადი გამოგვიტა, მე რახი აქვე მაქვს. (რახი სარკმელაში დევს) ხალხს, დაბძანდით, თქვენ გენაცვათ, სტუმრებო! (დასხდებიან, შემოაქვსთ მწვადი. ეფრემას რახი უჭირავს ხელში, (დაასხავს, ჯერ თვითონ დაილოცება და მერმე სხვას მიართმევს).

გამოსვლა მეოთხე.

იგინივე, შერმე გიგო (მწვადით).

ეფრემა. (ილოცება და მწვადს გიგოს ართმევს მზათ). ღმერთმა გააბედნიეროს ჩვენი ახალი ყვავილნი, ნეფე-პატარძალნი! (დალევს).

უველანი. (ერთი) ამინ! ამინ! გაუმარჯოს!

(ეფრემა დასხამს, მიარიმეგს ჯერ სოსოს, მერე მაროს, ატოს, სოსოს, ბავლეს და ისე ჩაარიგებენ, უველანი იდოცებიან ამ სიტუვებით: „ღმერთმა გააბედნიეროს ნეფე-პატარძალი“ ვაშაც მოჰუვება ხოლმე)

კაშოსგლა მესამე.

(მაიას, იოანას და ბიჭებს შემოაქვსთ სუფრა, და კაშლიას სიგრძით ქალებში და კაცებში. შემდეგ ცხრილებით ზური და ქადა შემოაქვთ, დოქებით ღვინო და ღვინის სასმელად ჯამები, ეველს შემოატანენ დაფხვნილს და ისე ალაგ-ალაგ დაახრიბებენ სუფრაზე. რადესაც ამას დაწყობენ, შემდეგ შემოაქვს (ისევ იგივეა შედი-გადიან, მხოლოდ მაიას და იოანას გარდა, რომელიც ქალებში ასაწილებენ კერძებს, და კაცებში ეფრემა და იოანა). თიხის ჯამებით სატიფოები ორ კაცს ერთს ჯამს უდგმენ, „ენდა მოგეხსენია“ სუფრას რა გაშლიან, [და რა ხორაგი და ღვინო შემოვა, შემოტანი იძახის მაღლა. „ნუ დამელევითო“, შერიქიფე უპასუხებს ზოგჯერ სხვასიც: „ეტერი დაგელიოსო“! შერიქიფეთ აირჩევენ იოანას და თამადათ ეფრემას...

(ამ დროს თან ხელს იბანენ. ბიჭს შემოაქვს ტაშტი და კულტალით წყალი, სტუმრებს ამაინებს ხელებს, სტუმრები კალთებში აწმენდენ ხელებს).

ეფრემა. (აბა, გენაცვათ, მოუვრეთ, დაჭეავით ბარი! (დაიწყებენ ჭამას, ცოტაოდენს რომ სჭამენ, ეფრემა ეტუვის შერიქიფეს, აიღე ღვინო და ჯამი ამიავსეო, დააასხავს ღვინოს ჯამზე და დაიდოტება მაღლა სმით:)

ეფრემა. დიდება დმერთსა, მოწყალე ერთა, (სმენა და გავონება) ღმერთო შენ სწყალობდე თემსა და მათი წყალობით ჩვენცა, აქა მყოფნი კარგად გვიმყოფნე და თავის სიმართლით უშველე მტერთაც. გაუმარჯვე ქრიტიან ხელმწიფეთა! უფალმან გააძლიეროს ჩვენი დედა ეკლესია; ჩვენი ფეხი ამათზედა მძიმე იყო და მათი ჩვენზედა!.. ნეფე-დედოფლის გვირგვინი უცვალებელი იყოს, ერთ მკლავზედა და სასთუმალზედ დააბეროს; როგორც ამ თავით ვხარობთ, ისე იმ თავით გვახაროს ურმა შვილითა თქვენი გამარჯვებისა იყოს სტუმარნო და მაინძელნო!! (ლალეს).

ყველანი. ამინ! ამინ! გაუმარჯოს (და გადაუგდებს ცარიელა ჯამს მერიქიფეს) დაუსხი, გენაცვა! ყველას ჩამოურიგე! (მერიქიფე დაასხავს და მიართმევს სოსოს, მეორე ჯამს აავსებს და მიართმევს ტეფოს, მამასახლისს და ამ გვარად ილოცებიან ყველანი, ვინც შეშლის ამ დალოცვას დაიძახებენ:) ტრაფშია, ტრაფში! (აღარ დააღევინებენ თუ სამჯერ ასე განაგრძო).

ეკრემა. მოილხინეთ, სტუმრებო! სტუმრებო! (პალეს) პალე ბიძა, აბა, დაიწყე. (დაიწყებს: ყველანი ბანს აძლევენ).

რად არა მღერით დარბაზნო? და რათ არ მღერით დარ-
ბაზნო! დარბაზნო!! და ჰაი!

რად არა მღერით დარბაზნო,
სრულ აზნაურთა სავსეო! სავსეო და ჰაი!.. ჰარალე,
ეგ ლალები, მოვჭკვდე, რად არ გებრალები, გებრალები!
და ჰაი, ჰაი...

—

ღმერთო, ნუ მოშლი ამ სახლში, ლხინსა და ლხინის
სუფრასა! ჰაი, და ჰაი, ჰაი!

ცხენს ეტყვიან, თარულარ, უნაგირსა და ჰაი, ჰაი!..

—

ჭირი მოვქამე მაგ პირსა, შენ რომ ეგ სიტყვა მითხარო!
მათხოვე ბარი ნიჩაბი, სამარე გამოვითხარო,
შიდ ჩავსწვე, შენგან მოკლული, თავს მიწა წამოვიყარო და ..

(მეორე პირად დაიწყებენ)

სახლო საკეთოდ ნაშენო, ზედ გამართულო ბუხარო,
შვილი მამას ეუბნება, შენ, გამეცალე, ნუ ხარო;
თქვენ რაღას იტყვით, ბატონნო, მოწვეულნო და სტუმარო!

და თქვენი გამარჯვება... (აიღებს თამადა ღვინიან ჯამს
და ილოცება) ეს ღმერთმა ადღეგრძელოს წეფის დედ-მამა,
ბევრ ხანს აცოცხლოს, ახალი ნეფე-პატარძალი აჩუქოს
ღმერთმა, კეთილი სიცოცხლით, ყველა ამან გაუმარ-
ჯოს. მრავალ-ჟამიერ. (შემდეგ ყველანი ასევე დაილო-

ცებიან). შესდგება ღვინის სმა, სმაში დაიწყებენ მაყრები სიმღერას.

მაყრები. (ჯამით სავსე ღვინო უჭირავთ, ნეფე-დედოფალს შესცქერიან და დამღერიან მაყრულსვე):

ხელმწიფევ შენსა ავირგვინსა, ახა, ჰე, ჰე, ჰე,

ჯი, ღვთისაგან ჯვარი სწერია, ახა! ჰე, ჰე, ჰე!..

ჯი! კიდევ სწერია და სწერია ახა ..

ვერ უკოცნია ხელმწიფეს, ახა ჰე, ჰე, ჰო!..

ჯი!.. ყმაწვილია და ცხვენია, ახა! ჰე, ჰე, ჰე!..

ჯი თქვენი გამარჯვებისა იყოს!..

ჯი თქვენი გამარჯვებისა იყოს (სტუმრებს), ჯარო დარბაისელნო!!.

ეფრემა. ღვინო! (ღვინოს მიართმევს ატოს) მაყარო! ღვინო, მიართვით ნეფეს, ერთი რამ დაიძახოს: ან გვაგინოს და ან დაგვლოცოს!

ეფრემა. (მერიქიფეს) ღვინო, ღვინო! დაუსხით მეფეს! (მერიქიფე აავსებს ჯამს, ქცევა-ქცევით მიართმევს ეფრემს. ეფრემი გადასცემს გვერდით მაყარს, მაყარი ნეფეს ოჰჰჰო! ჰოჰოჰ! ძალიან სწყურებია ნეფეს, ჰა! ატო! ნეფეს გარდაეცი!.. (სმენა და გაგონება დაიძახებს ატო, ყველანი სმენად გადიქცევიან).

მაყრები. ნეფე ილოცება! (ხალხი) ღმერთმა დალოცოს! (ნეფე ილოცება), ღმერთმა დალოცოს! (ნეფე ილოცება) ღმერთმა დალოცოს! ნეფე დალევს, ეფრემა დაიწყებს სიმღერას: (მაყრებს) მიბანეთ მაყრებო!

(მაყრები უბანებენ):

ნეტავი მეფის დედ-მამას! ახა, ჰე!..

გვრიტნი უსხედან კერასა!..

თემ-ქვეყანა დახარიან,

ულოცვენ კარგ ბედ-წერასა!..

თქვენი გამარჯვებისა იყოს ჯარო-დარბაისელნო!.. (ხანგრ-ძლივი ღვინის სმის შემდეგ).

გამოსვლა მეოთხე.

(შემოაქვთ წვნიანი ხორცი ბიჭებს. ეფრემა აწოდებს თითო ჯამს და იძახის): „ნუ დამელევით“!—„მტერი დაგელიოს“... (მერიქიფეც ასხამს ღვინოს და აწოდებს თამადას. თამადაც წესიერად იქცევა).

პალე. (მაყრებს) დაძახება (სანიჭარი) გავიწყდებათ მაყრებო! (ფული ხელში უჭირავს და აწოდებს: დაიძახეთო. პირისანახავია, სუფრაზე მაყრები დაიძახებენ ხმა მაღლივ, ვინც რამდენს რას აჩუქებს).

ატო. დაძახება რავა გავიწყდებათ... (ხალხს) სმენა და გაგონება. (სიჩუმეა). პალე პაპამ დაიძახა ნეფე-დედოფლის საჩუქრად 1 მან.

ხალხი. გაუმარჯოს! გაუმარჯოს! (იღებენ ჯიბეებიდგან სხვანიც. ამგვარადვე იძახებენ) გაუმარჯოს! ააშენოს ღმერთმა!! აყოლებენ (თან). მამასახლისი 1 მ., ეფრემა 2 მანეთი, მერიქიფე 2 მანეთი, დანარჩენი სტუმრები ერთიან სულ 22 მან შესდგება. (ამ ფულებს აგროვებს მაყარი სინო და ბოლოს გადასცემენ მეფის დედ-მამას).

სინო. მორჩით! ყველამ დაიძახეთ!

ზოგ-ზოგი (იძახის) ჰგავს, ყველას დაუძახნია!.. ახლა, თქვენი მაყრების რიგია.

ატო. (ამოიღებს ჯიბიდგან ხუთ მანეთიანს, სინო იძახის, სინო 2 მან. ამოიღებს, ატოს მისცემს, ატოვე იძახის) მაყარი სინო იძახის ხუთ მანეთიანს (ააშენოს).

ყველანი. ააშენოს ღმერთმა! გაუმარჯოს! გაუმარჯოს!..

სინო. მაყარი ატო 2 მანეთს იძახის!..

ყველანი. გაუმარჯოს, ააშენოს ღმერთმა!..

ატო. (სოსოს და მაროს აძლევს ფულებს 26 მან.) ნეფის დედმამავ (უთვლის) აი, თქვენი ნეფე-დედოფლის პირისანახავები, გახლავს სულ 26 მან. (ხალხს) მოწამე იყავით სტუმრებო, რომ ჩვენში მოგროვილი პირისანახავი 26 მა-

ნეთი ჩამიბარებია! ყველანი მოწამენი ვართ! (იძახიან, მერმე დადეს მიმართვენ), დადევ, ახლა ჩვენ დედოფლის დადევ! მოგმართავთ შენ, ჩვენ ნეფიანთი, მოგვაჭრევინო პატარძლისათვის ენა, (ორივე ამოიღებენ ხანჯლებს) ჰო, უნდა მოვჭრათ ენა, უნდა დავუმოკლოთ!.. (ხალხში სიცილია).

დადე. არა, ნეფიანთო! ჩვენს დედოფალს მოკლე ენა აქვს, მოჭრა აღარ სჭირია!

ატო. აჰ! როგორ შეიძლება, ცოტა მაინც უნდა წავაჭრათ, გააღებინე პირი! (დედოფალს დაუახლოვდებიან ხანჯლებით).

დადე. პირს კი გავაღებინებ, მაგრამ ბევრი არ წააჭრათ, მოკლე აქვს ენა!

ეფრემა. (დადეს) მოკლე რო არა ჰქონდეს და ენიანი რო გამოვიდეს, მაშინ?!..

დადე. თავდებათ მე დაგიდგები, თუ ენიანი გამოვიდეს... ჩვენმა პატარძალმა ლაპარაკი ცოტა იცის, ჭორი კი სულაც არა!..

ატო. ცქვიტა, ცქვიტა! გააღებინე გენაცვა, პატარა წავაჭრათ! (დადე ახდის ქვევიდგან პირბადეს, ლაგაშს პირში რო ჩაუდებს, ერთ წვერს პირზე ჩამოუკიდებს და ორივენი ერთი ხანჯლით წააჭრიან, მოანაჭერს დედამთილს ჩაბრიან).

ატო და სინო. (დაადგებიან ერთი ხანჯლით და ხმა-მაღლივ) გამოაყოფინე...

დედაკაცო! (გამოაყოფინებს) ღმერთმა ბევრი არ გალაპარაკებიოს, რომ ჭორები არ ასტეხო (ატოს—სინო) დაუსვი! (დაუსმენ და სჭრიან) ჰა, დედამთილო! (მისცემენ) მიიღე ეს გამონაჭერი თქვენი ახალი რძლის ენისა, მოწმათ ენა დაკლებისა, რომელი ჩვენი ვალდებულება ასრულებულია! (ხალხში სიცილი ისმის).

ეფრემა. (მაყრებს) კმარა, კაცო! მაგდენი ჰექიათები (მერიქიფეს) შენ დაასხი ღვინო, ჰა ჯამი! (მიაწოდებს! მერიქიფე დაასხავს და მისცემს ეფრემს) ეფრემა ილოცება, და-

ლევს. გიდუგდებს ცარიელა ჯამს და იმღერის, ზოგ-ზოგი ბანს აძლევს, ზოგნი სმენ ღვინოს).

შენ ბედნიერო, გულის ხმიერო, მზემან, მზემან!..
თვით მეცნიერო, მეფევ ძლიერო!..
მიუწდომელო, მიუხდომელო,
მიუთხრობელო, წრფელ-სახიერო...
ჯან! თქვენი გამარჯვებისა იყოს! (იძახიან ზოგიერთები) (გიგოს) გიგო; გიგო! წადი ერთი მესტვირე... შენი ჭირიმე ცქვიტე, ცქვიტა!!. (გიგო გადის და შემოჰყავს მესტვირე).

ეფრემა. (მესტვირეს) ი! სული ვსჭამე მესტვირე! მოდი აქ შენ გენაცვა, დამიჯექ გენაცვა! (მიისვამს გვერდით) ღვინო დაუსხი, ბიჭო! (მერიქიფეს) აბა ერთი ჯერ ღვინო შეგვისვი და მერმე ისე ჩაბერე სტვირს და თან დაგვიმღერე ნეფე-დე დოფალი. (დალია და დაიწყო დაკვრა და თან ამღერებს ნეფე-პატარძალს).

ნეფევ გილოცავ გვირგვინსა,
ღმერთმა გაგაბედნიეროს,
ერთმანერთის სიყვარული,
ნურაოდეს დაგიმძვიროს!
შენ ხარ, მეფე ქვეყნიერი,
პატარძალთან მშვენიერი!
შვნდი ვაჟი-შვილი მოგცეს
სამი ქალი მშვენიერი!
ღმერთმა დედაცა გაჩუქოს,
შეგისრულოს აღსავალი,
გაიხარეთ, ყვავილებო, კეთილ გეყოსთ მომავალი!

ხალხი. ჯან! (და გადააქცევს ლეკურს. ეფრემა და სისო ადგებიან და ცამაშობენ, აიშლებიან ყველანი, ისინი სხვას დაუკრავენ თავს და ასე განაგრძობს კაი დროს და ამითვე თავდება!..

მესსი კ. გვარამაძე.

ფ ა რ დ ა.

ქართველ ემაწვილებს.

ვზიავარ მარტოთ მოწყენილი,
სამშობლოსთვის კვნესის გული,
ქართველთ შვილნო, ადარ გიყვართ
ნაამაგარი მამული!

—

ადარა ხართ ის მამაცნი,
უწინდელნი ქართველთ გმირნი,
დიაცურად თავსა იხრით,
მუხთლად გიცემსთ მკერდში გული!

—

მუშობა ადარ გიყვართ,
ადარა გრწამთ თქვენ უფალი,
სულ მუდამ იმას ჰფიქრობთ,
რომ აიღოთ სადმე ვალი.

—

მამულს ჰყიდით უსირცხვილოთ,
ადარა გაქვთ შრომის თავი;
ქოხებიც კი ადარ დაგრჩათ,
შეაფაროთ სადაც თავი!

—

ახალგაზდა ქართველის შვილნო,
დრო იცნათ თავი თვისნი,
დაუფიქრდეთ თავს რად სდებდნენ
მამულისთვის წინაპარნი!

—

ბრძოლაში თუ ჭირში, ლხინში
ეველა ერთად გადიოდა,
ერთმანერთსა ნუგეშს სცემდა,
მოძმეს ხელსა უმართავდა.

—

ახლა, როცა კარგი სწავლით
შემკულია ჩვენ-გონება,
განა უფრო არა გმართებთ
ძმურად, ერთად ულოცავ წუებას?!

—

ღმერთო, ამას რასა ვხედავ:
მეგობრობა იკარგება,
ეველა შურით, მტრულის ქცევით
სცდილობს მისცეს მოძმეს ვნება!

—

ნუ, ნუ მისდევთ ავსა კვალსა,
ნუ ატინებთ თქვენზედ მტერსა,
დაუმტკიცეთ ერთგულობა
თქვენს სტოდავ, საწუალ ერსა!

—

სწავლა-ცოდნას ნუ გაურბით,
გარდაეცით მეზობელსა,
რაც ქალაქდში ფულსა აგებთ
გაუწოდეთ ქვრივ-ობლებსა!..

—

ვზივარ მარტო მოწუენილი,
სამშობლოსთვის კვნესის გული,
ქართველთ შვილნო, შეიუვარეთ
თქვენი მშობელი მამული!!.

ს. ა.

ბერიკაცის წერილები

წაკითხული და გაგონილი.

მაისის 11-სა. რუსული გასეთი „კავკაზი" დიდ ყურადღებას აქცევდა ქართულ გაზეთების პროვინციიდამ მონაწერ კორესპონდენციებს და საზოგადოთ ყოველს, რაც რომ ხდებოდა ადგილობრივ ცხოვრებაში. არაფერს არ სტოვებდა გადეთარგმნელად. ეხლა კი სრულიად ხელი აიღო: ქართულ-გაზეთებს ყურს აღარ ათხოვებს და უფასოთაც რომ რამე გადაუთარგმნო, რედაქცია თავის გაზეთში ალაგს არ მისცემს, და არცა ჰყავს ვინმე თანამშრომელი თვალყურის სადევნელად ქართული გაზეთებისა. რუსულ-სომხური გაზეთები კიდევ თუ გადასთარგმნიან რასმე იმისთანას, რაც სასაცილოა და სამარცხვინოა, თორემ რაც გაჭირებაა და დახმარებას თხოულობს მთავრობისაგან და საზოგადოებისაგან, იმაზე ხმა-კრინტს არ დაასძრავენ, არც კი მოიხსენიებენ ამგვარ მოწერილობას, საიდამაც უნდა იყოს. ქართული გაზეთები სტირიან, ჩივიან უმამულობაზე, რუსული გაზეთები ყურს იდმერენენ, ვითომ არ გაგვიგონიაო, იმათ არა სცალიანთ დაბრანძულ ქართველებისთვის, რომელნიც უმამულობით იხრჩობიან ერთი ბეწვა ეზოებში და მინდვრებში, რომლებიც ეხლა მიუზომეს და ბევრს ეხლა უზომავენ. უმამულობით შევიწროება ყველას აწუხებს ქართლში, კახეთში, იმერეთში და მთიულეთში ხომ კიდევ თავისდღეში არა ღირსებიათ რიგიანი არც ეზო, არც სახნავი და არც საძოვარი. მთელი იმერეთი, გურია, სამეგ-

რელო გაიწირა, გაღატაკდა, ერთი ქოხის დასადგმელი მამული აღარ გააჩნიათ, ხალხი გამრავლდა და ნებას არ აძლევენ, რომ მეზობელ ოლქებში მამული შეიძინონ. შავი ზღვის გუბერნიაში ქვეყანას წილი დაუდვეს, ყველას მოუჩრეს, მარტო ქართველებს არა არგუნეს-რა. მთელი აფხაზეთი აივსო ათასის მხრის ხალხით და მარტო ქართველს ნება არა აქვს შეისყიდოს კერძო კაცის მამულიც კი. ქართლში ერთ სოფელში ამ თვეს ერთი ბილიკი გზისათვის ორი ძმისა და მეზობლების სისხლი დაიღვარა და რამდენი დავიდარაბა ტრიალებს სოფელსა და სოფელშუა! კახეთში კიდე ხომ ეზოებიც აღარა აქვთ, ფართო და გაშლილ ქიზიქს, დიდი მამულის პატრონს, ისე მოეჭირათ უმამულობის ჭახრაკი, რომ, ჯოგებსა და ცხვრის ფარებს რაღას იჩივლებს, სახსარი აღარ აქვს, რომ თავისი მაცხოვრებელი და ერთგული მუქთი მუშა ჯორი აძუოს. თუშები, ხევსურები და სხვა ჩვენი მთიულები სათქმელები აღარ არიან, მამული არცარა ჰქონიათ და არცარა აბადიათ. მთიულების ხრიაკ მთებზე კაცი ფეხს ვერ იკიდებს, ძირს მოგორავს და რა უნდა იმოქმედოს გასიპულ მამულში, რას დასთესავს. თუშებსა, ფშავლებს და ქიზიყს მიზომილი ჰქონდათ საძოვრათ ყარაიას მინდვრის დაყოლება, შირაქი, უფადარი, ელდარი და ჩათმა. ამ მამულებში ეხლა აღარ უშვებენ, ელდარი თათრებს უბოძეს, ჩათმა ყველას, ვისაც არ ეძინა, დანარჩენი საჯარო ვაჭრობით—ტორგებით გასცეს და მოგეხსენებათ „ტორგებით“ მამულები ჩარჩებსა რჩებათ, ასე რომ თუში, ფშავი საძოვრებშიაც შევიწროვდა და საქონელი უნდა გაიწყვიტოს, რაღა გზა გამოუჩნდება საცხოვრებელი, ღმერთმა უწყის. ჩვენი მთიულები ჩვენში მამულს ვერა შოულობენ, ჩარჩები მამასისხლათ იძლევიან იჯარით, და იძულებულნი ხდებიან, საძოვრები ეძებონ საჩეჩნოში. ყველას კარგათ მოეხსენება, რა ვაი-კაგლახში და მწუხარებაში, რა შეწუხებაში აძოვებენ საქონელს ჩეჩნების მინდვრებში. შეიარაღებული თავიდამ-ფეხამდე „სტრაჟნიკები“ გაბატონებულები

დაიარებიან „პოსტიდამ-პოსტამდე“, მაგრამ ქისტები და თათრები ვერ დააშინეს იმათ. მთიული ისე დაშინებულია ქისტებისაგან, რომ იალაღზე როცა მიდის, თავის სახლსა და კარს სამუდამოთ ეთხოვება და იმედი აღარა აქვს შინ დაბრუნებისა. ქისტები ხომ აწუხებენ და ილაჯს უწყვეტენ, ყაზახებიც ზედ ემატებიან, ხოლო იმ განსხვავებით, რომ ყაზახები მარტო საქონელს ართმევენ და არა ხოცვენ მწყემსებს.

მთელი იმერეთი და დასავლეთი საქართველო უმამულოა, მთელი მთის ხალხი, სვანი, ფშავი, ხევსური, თუში უმამულოა, ბევრს სასახლეც არ აბადია. მთის ხალხს საქონელი არჩენს და აცხოვრებს, ეხლა საძოვრები ჩამოართვეს და ერთათ-ერთი წყარო ცხოვრებისა დაუშრებათ, მაშ რიღათ იცხოვრებენ, საით წავლენ? საქართველოში მამულები ბევრია, ჩვენ ხალხს აქამდის მამული ბლომათ ეჭირა, ეხლა კი ყველას მოჭრით აძლევენ მამულს და დიდი-დიდი წილი უპატრონოთ რჩება, ე. ი. ხაზინა ეპატრონება და ასახლებენ ამორჩეულთ, ბედ-იღბლიანებს, ყველას, ქართველების მეტს.

შავი-ზღვის პირას დაურიგეს მამულები რუსებს გარდა სომხებს, ბერძნებს, ქართლში და კახეთში „ხახოლებს“, ახალქალაქის მხარე „მალაკნებით და პრიგუნებით“ აავსეს. გაზეთი „კავკაზი“ დღეს სწერს, რომ რადგან ომიანობის გამო რუსების გადასახლება ციმბირში შესდვაო, ამიტომ საჭიროა იქ მიმავალი „აღმოსავლეთ ზაკავკაზიაში“ მოვათავსოთო, სადაც რუსების მოსახლობა შეადგენს მხოლოდ ორ პროცენტსაო. რუსობა განჯისა და ერევნის გუბერნიებს არ ეტანება, უფრო ტფილისის გუბერნიას რჩეობს, ქართლსა და კახეთსა. გადმოსახლებულთა „პარტიები“ კიდეც მობრუნდნენ და დაბინავდნენ, ამათ გარდა სხვებსაც მოელიან, იმათ დასაბინავებლად გადმოსახლებულთა კომიტეტმა გადასდვა საკმაო ფული, გამიჯნა მამულები, დააკეთა სადგომი სახლები, გამოიყვანა წყლები, რომ მოსული ხალხი მზათ გაწყობილი და გამართული დაბინავდეს.

საქართველოში თავისუფალი მამული არც კერძო და არც სახელმწიფო სრულიად არ არის, თუ სახაზინო მამულები გამოჩნდება სადმე, მთიულები ღვთის ანაბარას ყრიან, იმერლობა კიდე უმამულობის მიზეზით ურიების კვალს გაჰყვნენ, ქვეყანას მოედვნენ, ჯერ ეს მკვიდრი მოსახლენი დააბინაონ და თუ დარჩება, მაშინ სტუმარსაც შეიძლება პატივი სცე. თუ არა და შინ ყმაწვილები გვიტირიან, ლუკმას ხელიდგანა გვგლეჯენ და ჩვენს ტაბლებს უცხოებზე არიგებენ. უმამულობა ეხლა დიდი გამწვავებული სენია და შემდეგ უფრო გამწვავდება! მამულის შეძენას და შენახვის საქმეს ეხლავე უნდა შეუდგეს, ვისაც რამე თუ აბადია!

დღევანდელ „ც. ფ." ნომერში ს. ხორიდამ იწერებიან, რომ სამეგრელოში ამ სოფელს ჰქონდა თავისი სკოლა, ხალხი კარგი თვალით უყურებდა, დახმარებასაც აძლევდა, სახლი აუშენა; მაგრამ ეხლა გაიგო, რომ ნაბძანებია სკოლაში ქართული აღარ უნდა ასწავლონო, ხალხმა გული აიყარა, სახლი დაუხურავი გაუშო, და გაიძახიან — ამისთანა სკოლა რალათ გვინდაო. მაგრამ სწავლის სურვილი კი დიდი ჰქონიათ: აქაური მასწავლებელი დილით ადრე დგება, გადის მინდორში, ხეების ქვეშ აქუჩებს ყმაწვილებს და ისე ასწავლის რუსულსა და ქართულსა. საკვირველი და გასაოცარი ამბავია, მაგრამ ამბობენ ნამდვილიაო.

„ნ. ო."-ს კიდე სწერენ, რომ ტფილისის გუბერნიის პირველ „რაიონის" სახალხო სკოლების ინსპექტორმა ლედენცოვმა მისწერა მაზრის უფროსებსაო, რომ სოფლის საზოგადოებათ სკოლის შესანახი ფულები არ შემოაქვთ ნებაყოფლობითაო და ძალა დაატანეთ და შემოატანინეთო. ძალდატანებით სკოლის ხარჯის გაღება—ისევ სოფლის უარის თქმაა, უარყოფაა სკოლისა, ალბათ სოფლელებს არა ჰსურთ, რომ სკოლა ჰქონდეთ, ალბათ იმათ სკოლას არ მოაქვს კეთილი ნაყოფი. ინსპექტორებმა ძრიელ გაახშირეს ქაღალდების წერა ძალდატანებაზე, იმავე დროს გახუნული სოფლის მღვდლე-

ბი ძალდაუტანებლივ სამრევლო სკოლებს კიდეც აარსებენ და ამშვენიერებენ! თუ სკოლა კარგია, ხალხი თავის დღეში ხარჯს არ დაუჭერს. ბოლო დროს ხალხს არა ჰსურს სკოლა და გაიძახის, არ გვინდაო: ქართულს სრულიად არ ასწავლიანო, რუსულს ვერა სწავლობენო და სახლის საქმესაც გვიცდებიან შვილებიო. ხალხსა ჰგონია, რომ სკოლის ხარჯი ვალდებულია და სადაც კი გაიგებენ ხოლმე, რომ შეიძლება არ გავიღოთო, მაშინვე ცივს უარზე დაუდგებიან ხოლმე და ამიტომ ინსპექტორები ძალით აკრეფინებენ მაზრის პოლიციას ჩაფრების დამათრახებით. ერთი მაზრის უფროსი იყო, ნ. მესხიევი, რომელიც ძალით სკოლის ხარჯს არ ახდევინებდა, მაგრამ სკოლები კი ყველგანა ჰქონდა. ხალხი თითონ თვალყურს ადევნებდა სკოლას და მასწავლებლებიც და ხელმძღვანელებიც რიგიანები იყვნენ. საცა კარგათ ასწავლიან, საცა სკოლას სიყვარული და პატივი აქვს საზოგადოებისა, იქ სკოლას, ყოველიფერი თავის დროზე მისდის: მასწავლებლის ჯამაგირიც, მოსამსახურისა, შეშა, წყალი და სხვაც პატივისცემა. და სადაც კი სკოლები არ ვარგანან და თავზე მდგომები პირქუშები არიან იქ სკოლის შენახვას პოლიციის დახმარებას ანდომებენ და უნდა ვსთქვათ—ტყუილათ, მალე პოლიციის შენახულ სკოლას ბოლო მოელება.

მაისის 12-სა. დიდი ნაწილი საქართველოსი ბევრი ხანია ქრისტიანობას მოსწყდა და სპარსეთის და ოსმალეთის ხელში მაჰმადიანებად გადაიქცა. მერე რუსებმა სათათროს ზოგი წილი გათათრებული საქართველოსი ჩამოართვა 1828—57—78 წლებში, ხოლო საქართველოს არ შემოუერთეს და სათათროში ჩარიცხეს; ასე რომ საქართველოს ძველი ჰერეთი, მესხეთი, არტაანი, კოლა, ტაოსკარი, აჭარა, ჭანეთი ეხლაც დასახლებულნი ძველი ქართველებით, ხოლო რჯულით თათრები, სათათრო მაზრებათ ითვლებიან. ჰერეთის ხალხს ინგილოებს ეძახიან, ვინც გაქრისტიანდა, ზემო-ქართლის გათათრებულს ქაროველებს მუსულმანებს უწოდებენ,

ქართველის სახელსაც არ არქმევენ. ძველი გამოჩენილი, თავ-დადებული მესხეთი სათათრეთში სწერია და ქართველები, რჯულით მუსულმანები, თათრების სახელით გადანათლულან და ქრისტიან კათოლიკე ქართველებს კიდევ სომხები დაარქვეს, ახალციხის, ართვინის და არდანუჯის ქართველ კათოლიკებს გამოუცხადეს, თქვენ სომხები ხართო. დიდ მოსავ ხალხს მესხელებს ასე მწარეთ უმუხთლა ბედმა და ისტორიამ, სახელი რა არის, სახელიც კი ქართველისა დაკარგა და მუხთალი ბედის უფსკრულში ჩაინთქა!

არტაანის, ოლთისის და ტაოსკარის ქართველები ოსმალურად ლაპარაკობენ, თუმცა კი ახსოვთ, რომ ისინი ოდესმე ქართველები ყოფილან, აჭარელები ქართულად ლაპარაკობენ და ქართველებში წილს იდებენ, ხოლო თითონვე ამბობენ, რჯულით თათრები ვართო. ინგილოები ქრისტიანები არიან, ზოგი კი ისევ თათარია, ენა და ლაპარაკი კი ქართული აქვთ. ინგილოებში ქრისტიანობის გავრცელება ჩვენ მღვდლებს ერგოთ წილათ, კიდეც „შეიტანეს ქრისტიანობა, პირველი მქადაგებელი ქრისტიანობისა იყვნენ მღვდლები ს. ლამბაროვი, ტ. ბალაევი, ჩ. და დ. ბეგიევები, მაკარი არხიმანდრიტი ახლო ხანებში პირველი მისიონერი დ. ჯანაშვილი.

ზემო ქართლს, მესხეთს ბედმა მწარეთ უმუხთლა, მისიონერის ღირსიც არ გახდა, თორემ აქ უფრო ადვილად დამყარდებოდა ქრისტიანობა, სანამ საინგილოში. საინგილოში ბოლო ჟამს ქრისტიანობის გავრცელება შეფერხდა და როგორც დ. ჯანაშვილი გვიმოწმებს, შეფერხება იწყო იმ ხნიდამ, როცა ოლქის უფროსებად დაინიშნენ სომხები: უკანასკნელებმა განაცხადეს, რომ მართლმადიდებლობა ხალხთა შორის მძულვარებასა ჰბადებსო და მშვიდობიანობას უშლისო, და რაც იყო ნალვაწი და ნაშრომი პირველ მქადაგებელთაგან, ბევრი მიიფუშა და ერთ დროს „მისიონერიც კი“ გამოაძიეს, ძველი გაახლებული ეკლესიები ჩაკეტეს და დასტოვეს ორიოდე მღვდელი ბლაღოჩინით, ისინიც ობლების კან-

ში. მაგრამ თითონ ინგილოები მიხვდნენ ქარის შრიალის გულის წადილს და ქრისტიანობას არა ღალატობენ, ასე რომ ეხლა ქრისტიანობას და ქართულ ენას არა ხიფათი არ ელის. ძრიელ კი აშინებდნენ „კარაპეტა უფროსები“ მართლმადიდებლობა რომ გავავრცელოთ, ინგილოები ქართულათ ლოცვას იწყებენო, ვითომ და ქართული ლოცვა და ლაპარაკი ვისმე აზნევდეს, ან როდისმე ეზნიოს ვისთვისმე.

მესხეთის ქართველების და აჭარელების გაქრისტიანების საქმეც იმიტომ იქნება შემდგარი, გულში ექნება ვისმე ში ში, ქრისტიანობამ და განათლებამ ქართულად ხალხი არ აალაპარაკოსო. ამიტომ აქ ქრისტიანობას და სკოლას ჯერ პატივს არა სდებენ და ცოტ-ცოტათ აპარებენ, ასე, რომ მუნჯური მეთოდიც აღარა სჭირდება. ზ. ჭ., მცოდნე გათათრებული ქართველების ცხოვრებისა და გულისთქმისა, იწერება, რომ გათათრებულ სოფლებში დაუარსებიათ სკოლა და მასწავლებლად მოუწვევიათ ერევნიდამ თათარი-მასწავლებლები, ან იმისთანა ქრისტიანენი, რომელთაც ქართული არ იციან და სკოლაში ასწავლიანო რუსულის ყურანის წერა-კითხვასა. „ჩ. ვ.“ ჭოროხის ხეობიდამ მოწერილ კორრესპონდენციაში დღეს ცხადათ იხატება ეს დაფარული გულის განზრახვა: ჭოროხის მიდამოები წარმოადგენენ უწინდელ საქართველოს ტერრიტორიასაო, ბევრი ქრისტიანობის ნაშთებიაო, ხალხიც ნიჭიერი და სწავლის მოტრფიალე, ხოლო შკოლები არ არისო. ერთი არის ართვინში, იმაშიაც თათრები (რჯულით, ჩამომავლობით ქართველნი) არა სწავლობენო, კარგი იქნებოდაო, უმატებს მომწერი, რომ დაეარსებინათ სკოლები და ხალხისთვის ესწავლებინათ თათრული და რუსული წერა-კითხვაო. „ასე ჩემო მანასეო, ხან ასე და ხან ისეო“, საცა გინდა საჭიროა სკოლაში დედა-ენა, საცა არა გსურს და არ გეპიტნავება—რა საჭიროაო, ოსტატის ხელობაა—ლიტრას საითაც უნდა, ყურს იქიდამ უზამს. ზემო ქართლში, უწინდილ მესხეთში, აჭარაში და ქობულეთში ოჯახში

ლაპარაკი ქართულია, ეხლაც არტაანის მემამულენი სოფელ ურში, გათათრებული ქართველები ხიმშიაშვილები ქართულათ ლაპარაკობდნენ, ოლთისის მოლა და ყადი ჰასან-ეფენდი—ათხვაშ-ზადე ქართველი ერისთავია და ოთხმოცი წლის კაცმა მშვენიერი ქართული იცის, თუმცა კი თავზე სიყმაწვილიდამ დოლბანდი აფარია ქუდის ბადლად. ჯავახეთის მემამულე ს. ხოსპიოში ფალავანდოვი თათარია და ოჯახში ქართულად ლაპარაკობს. ფოცხოვში სოფლები წინსათაბი, ყველი, საღვანე ქართველი ოსმალებით არიან დასახლებულნი და ბევრს ოჯახში აჭარის რძლები შვილებს ქართულად ელაპარაკებიან და ასწავლიან ქართულ ლაპარაკს. გრაფინია უვაროვს ვიღამაც მოახსენა, რომ არტაანის მხარეს ქართველებს არაფერი წილი არ უძევთ ძველ დროის ისტორიაშიო. მერე ხომ გრაფინიამ თავისი ფეხით მოიარა ფოცხოვის არემარე, ინახულა მრავალი ძველი ეკლესიების წანაწერები და სხვათა შორის სოფელ ალში დიდი ქართული საყდარი და ის ოჯახიც, საცა ქართულად ლაპარაკობდნენ.

ამ ქვეყანაში თათრული ენა ძალით არის შეტანილი, რომ გაეთათრებინათ ხალხს ძალას ატანდნენ ქართული დაევიწყებინათ, ეხლა კი ქრისტიანობა და სწავლა ისევ ქართულით უნდა შედიოდეს ხალხში. დარწმუნებულნი ვართ და კარგა ხანიც დაჯერებულნი, რომ ქართული ენა არავის არ ეპიტნავება და იმისთვის გული არავის შესტკივა და თითონ ხალხიც იქნება რიგიანათ არ იყოს შესმენილი, თუ რა გზას უნდა დაადგეს, ხოლო ქრისტიანობის გავრცელება მარტო ქართულის ენით არის შესაძლებელი: გზა-გამრუდებულ ფარას ხან მგლის ძუნძულიც გაიყოლებს ხოლმე, საჭიროა პატრონობა და მოთავობა. ერთი ხუთიოდე „ზაქარიები“ რომ კიდევ გამოერივნენ ჩვენში, ზაქარიასავით თავგანწირულნი და, როგორც შეურყეველი დაყუდებული, მოიარონ გათათრებული საქართველო რკინის ჯოხით, გახუნებულ „პიჟაკში“ და „შლიაპით“ იარონ და ასწავლონ ხალხს, ასწავლონ წერა-

კითხვა ოჯახ-ოჯახ, დიდი ღვაწლი და ამაგი იქნება. ქართველი საბები სადღა არიან! ზაქარიას მიმყოლნი ვინ არიან? სახნავი და სათესი ბევრი აბადია ჩვენს პატარა ქვეყანას და პატრონი უძლურია! გზაკვალ-დაბნეულები დაგვძახიან საქმე არა გვაქვსო, მამულ-დედულს გაურბიან და გაუგებარნი, მიდეგები „მარქსობას და გორკობას“ გვიქადაგებენ. გორკის თხუზულებანი სრულიად გადაუთარგმნიათ ქართულად, უკეთესი ველარ უპოვიათ გადმოსათარგმნელად გონების განსავითარებელი და ცხოვრების გამაუმჯობესებელი! ჩვენი ცხოვრება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი მდგომარეობა ისედაც „გორკია“ და რაღა საჭირო იყო ქადაგება!

მაისის 21-სა. ვინც არა მგონია, ცრუ და მავნე, მიმდგარა ეხლა და ქართველ თავად-აზნაურობას სთელავს, დიდი და პატარა კბილების კრეჭით აჩმახუნებენ რაც პირზე მოადგებათ, რომელი ავი და შეუფერებელი გინდა, რომ შინაურმა და გარეულმა ამ წოდებას თავზე არ მოახვიოს. საქმე იქამდის მივიდა, რომ ერთმა დიდმა რუსულმა გაზეთმა „ნ. ვ.“ ჩვენი თავად-აზნაურები ჩობნების სახელითმონათლა. უმეცარის მიქარვა საწყენი არ არისო, ხოლო უზრდელობით და უმეცრობით ამ ოინებს არ სჩადიან,—სჩადიან იმიტომ, რომ „დათვი საძაღლეთ გამხდარა. გარეულებიდამ თავში ცემას ჩვენი ხალხი და თავად-აზნაურებიც ჩვეულნი არიან, ხოლო უბედურობა იმაშია, რომ კბილებს უკრაჭუნებენ შინაურებიც და სხვათა შორის იმასაც აბრალებენ, რომ ქართული აღარ იციანო, არა კადრულობენ ქართულ ლაპარაკსა და წერა-კითხვასაო. პასუხად ამისა მოგვაგონდა, თუ რა სწერია სახარებაში: რამეთუ ყოველსა, რომელსა აქვნდეს მიეცეს და მიემატოს, და რომელსა არა აქვნდეს და რომელღა იგი აქვნდეს, მოგეღოს მისგან, და უქმარი ეგე მონაჲ განჰკადეთ ბნელსა მას გარესკნელსა: მუნ იყოს ტირილი და ღრჭენა კბილთა“. ჩვენის თავადებისათვის ღმერთს მიუნიჭებია ჭკვაცა, მხნეობაცა, სიმამაცე, გარეგნობითი მშვენიერება, მამულის სიყვარული და

სულგრძელობა, „პურადობა, გულადობა და ერთგულობა თავის ქვეყნისა“. ესეთია საზოგადოთ ჩვენი ქართველი ხალხი. ხოლო მოგეხსენებათ, რომ საუბედუროთ საქართველო აკროშკათ გადაქცეულა, ერის ხალხი გაურჩეველი დომხალია, ძნელადღა ამოარჩევ კაცსა თუ ქალსა, რომ ქართველი ტიპის გამომხატველი იყოს ტანით, სახით, ქცევით თუ სიტყვა-პასუხით. გადახედეთ ჩვენი ერის ხალხს, საცა დიდი ყრილობა იციან ქალმა და კაცმა, დღეობაში, ქელეხებში და შენიშნავთ, რომ არც ქალებში და არც კაცებში არ მოიპოვება, სრულიად ან ძნელად შეხვდებით ქართველი ქალის ან კაცის სურათს, როგორათაც ხატავენ უცხოელნი მწერალნი თუ მოგზაურნი. დააკვირდით ჩვენის ერის კაცების ოჯახობას ქართლში და კახეთში და გულის-კვნესით იხილავთ ქალსა, თუ კაცსა: ტანით ბაჯაჯღანა, პირისახე მოქრუშული და მოჯღანული, მრუდე ფეხები, ნოდა ცხვირი ან გადღენილი, მძინარა და მოქანცული თვალები, შავი კისერი, გაბურძგნული თმა, ქალები ულაზათოთ ჩაცმულნი, თავზე ხშირათ შლიაპკებითაც, ხელში „ზონტიკით“, და თუ ვისმე ჩიხტიკოპი ხურავს—უშნოთ, ულაზათოთ, მრუდეთ, და ან ბაჯაჯღანებს რა ჩიხტიკოპი მოუხდებათ; ერთმანეთში უხამსო, ურიგო და მოურიდებელი ლაპარაკი! გენერალი ფადეევი სწერდა, რომ ქართველი ხალხი არისტოკრატიული ხალხიაო! და არისტოკრატობა შეამჩნია ამ გამოჩენილმა კაცმა ჩამომავლობის მხრივ კი არა—ხასიათის, ყოფა-ქცევის და სიტყვა-პასუხის გაცნობით. ნამდვილი ქართველი ყოველიფერში არისტოკრატია, ერი და თავადი, გულით მაგარი, სულით მაღალი, მეზობელთან ტკბილი, უძლურთა მფარველი, მორიდებული ურიგო სიტყვა-პასუხსა: ანანია, დათო, ბესო ქართველი ერისკაცები არიან, მაგრამ ზრდილები!

აი ამისთანებზე ამბობს გენერალი, რომ არისტოკრატები არიანო! ვის გაგიგონიათ ქართველების სილოთე! ლოთობა დიდი სირცხვილი იყო, ქართველები ბლომათა სვამდნენ.

მაგრამ არა ლოთობდნენ! ლოთობა მედუქნეების საქმეაო, იტყოდნენ ხოლმე. მედუქნეები კიდევ ქართველები არ იყვნენ! ეხლა კი დღეობის დღეს სოფელში არ გაივლება: გალოთებული ხალხი გზა-გზა დალაქლაქებს, ზოგი გდია, ზოგი ილანძღება, ბევრიც ჩხუბსა მართავს და თუ ხანჯალი აბადია, მაშინვე ხელსა სტაცებს; ენა და სიტყვა-პასუხი—ყურებ-დასაცმელია! ეგრეთ წოდებული „მუშებმა“ ლაპარაკში თუ რუსული არ გაურიეს, ვერ მოახერხებენ ვერას თქმას: „ლაპატკა ახმარეო, ჩესტნი კაციაო, ფურგუნს დაუზადეო“, ცხენსაც რუსულათ სტუქსავს, „პოშოლ“—ძაღლს უჯავრდება. თუ წვრილმანებს დავაკვირდებით, ბევრს ზიანს გამოვაჩენთ ქართველ ერისკაცის ცხოვრებაში. გზა-კვალ-დაბნეულებმა „ფურცლების“ აღა-პატრონებმა ყურები გამოგვიჭედეს, ჩვენი თავად-აზნაურობა გადაგვარების გზას ადგიაო. თავადებზე გადაგვარებას ანიშნებენ და რომ გლეხები კიდეც გადაგვარდნენ, ვერ შეუმჩნევიათ, და რა გლეხები, სხვა. წოდების ხალხიც გაქართულებულია. აბა ერთი გაშინჯეთ შინაური ცხოვრება, თუ რას ჩადიან მღვდლები, აზნაურები, ახალმოდის „ეპარხიალკები“, რას ჩადიან ქართველი „ჩინოვნიკები“. ერთისა და ორის თავადიშვილის უხეიროთ ხეტიალი და უსაქმობა, ფუქსავატობა და დედულ-მამულის ფლანგვა გამამტყუნებელ საბუთათ უდებენ თავადიშვილობის საზოგადოთ დაცემისას, წინათაც გვითქვამს და ეხლაც კიდევ ვიმეორებთ, რომ აზნაურებსა და გლეხებს შორის, აზნაურებსა და მღვდლებს შორის არაფერ განსხვავებას არ ვხედავთ კეთილშობილობითი ჩამოშავლობის მხრივ; აზნაურები და მღვდლები ორნივ ერის ხალხია, ხოლო ხარჯისა და ბეგარიდამ განთავისუფლებული: ჩვენი კეთილშობილნი მარტო თავადები არიან. რაში ეტყობათ გადაგვარება ჩვენს თავადებს? სილარიბე გადაგვარებას არ მოასწავებს, ქართული ხასიათი, სიტყვა-პასუხი, მამულის სიყვარული ერის კაცებზე ნაკლებათა აქვთ გამჯდარი ძვალ-რბილში თუ? ქართულს არა კადრულობენ, უცხო ენაზე ეხერ-

ხებათ ლაპარაკი და შვილებსაც ესე ზრდიან თუ? ყველამ ვიცით, ეს ბრალი უსაფუძვლოა და სიმართლეს დაშორებული ჩვენდა სასიამოვნოდ! რაც კი რამ ქართველებს ქართული აბადიათ, ჯერ სულ თავადიშვილების უნარია! განა თავადები რომ დიაკვნებათ არა ლგებიან და ანაფორებს არ ეფარებიან, მღვდლებზე და დიაკვნებზე ნაკლებათა სცემენ პატივს ქართულ ეკლესიას და სამღვდელოებას? განა საწერავ რვეულებს რომ არ აბეჭდინებენ და ანბანებს არა სთხუზავენ, ამიტომ ქართული წერა-კითხვა არა სწამთ და არ ეხმარებიან ქართულ განათლებას და განვითარებას? თავადები გამრავლდნენ და ამიტომ გაღარიბდნენ, მამულები შეუცოტავდათ, სამსახური ვერ უშოვიათ, უფრო არ აძლევენ არა თანამდებობას და გაღარიბდნენ და სიღარიბის მიზეზით დაეკარგათ გავლენა სამმართველო საქმეებში, ხოლო ქართული გული და სული შეუცვლელი შერჩენიათ. იმათშიაც არიან ზოგი შეუგნებელი „აფიცერი“, გაიძვერა „ჩინოვნიკი“, გულით და გრძნობით გაქვავებულნი, და საცა გაუჭრით „მოღალატენიც“, ამათ არც კი იციან, არის სადმე საქართველო თუ არა. ჩვენდა სასიამოვნოთ განდეგილი თავადების რიცხვი მცირეა, ისინი არსად ჩანან, არც კი ვინ იცის არიან იგინი სადმე თუ არა. დანარჩენი და მომატებული წილი კეთილი მიმართულობისაა, მხოლოდ, როგორც ქართველებს, მოთავე არა ჰყავთ, არა ჰყავთ ბელადი, რომ მიჰყვნენ მას და „გზა-უვალი“ გაიარონ და შინ მშვიდობით დაბრუნდნენ. აუარებელი დამახავსებელი მიზეზების მიუხედავად ყველა ქართულ საქმეს, რაც რამ არის, აწარმოებენ თავადები: თავად-აზნაურობის სკოლაში მრავალი გლეხი კაცების შვილები იზდებიან სრულ ხარჯზე, იმავე ხანს შეუძლებელი თავადების შვილები უქონლობის გამო უსწავლელები რჩებიან და იმათ თავად-აზნაურობის სკოლაში არ იღებენ, ვაკანსია არ არისო. სოფლის ერის ხალხის სკოლებში კი აზნაურის შვილებს გლეხები არ ატარებენ, სწავლის ფულს სთხოვენ! ქართველს სიმართლე უყვარს და პატიოსნე-

ბას მისდევს, თავადებზედაც სიმართლე უნდა ვსთქვათ ხოლმე. სხვა წოდების პირთა შორის კერძოთ თავადები ბევრათ უმჯობესნი არიან ყოველისფერში, ამიტომ საზოგადოთ და პირ აღებით სამდურავი და კიცხვა შეუწყნარებელი და მიდეგითი ცილისწამებაა. საზოგადო და სახალხო საქმის ღალატში კიდევ თავადებს სრულიად წილი არ უძევთ. ქართული ენა კიდევ თავადებში უფრო ფაქიზათ და შეურყეველათ ინახება. აქ მოვიყვანთ ერთი თავადის ქალის მიწერილს წერილს ნაცნობთან და შეადარეთ „ეპარხიალკების“ წერილებთან, რომლების ნიმუშები „შურდულში“ ხშირად იბეჭდება; ხოლმე და ვგონებ „მოგზაურშიაც“ იყო და მერე ბძანეთ: თავადები კადრულობენ თუ არა ქართულ ენას და სწავლას! აი თავადიშვილის ქალის წერილი: „დიდათ პატივცემულო ბატონო №№-ძე. ღმერთმა დაგასწროთ მრავალ ამ დროს, ბედნიერების ცხოვრებით, ჯანის სიმრთელით და სიამოვნებით. მე ისეთი დამნაშავე გახლავართ თქვენთან, რომ აღარ ვიცი, როგორ და რა სიტყვით მოვიხადო ბოდიში, რომ დავიმსახურო თქვენგან პატიობა დანაშაულისა. ეს მეორეთ მომივიდა თქვენი მოლოცვის ბარათი და მე კი მხოლოდ ეხლა ავიღე ხელში კალამი, რომ გიძღვნათ ჩემი გულითადი მადლობა ხსოვნისათვის, მაგრამ იმედი მაქვს, რომ ამ ჩემს მადლობის დაგვიანებას არ მიაწერთ უზრდელობას და არც ჩამთვლით იმ უგრძნობელ პირების წრეში, რომლებმაც არ იციან პატივცემულის ადამიანის დაფასება. მაგრამ ვაი თუ ჩემი იმედი ფუჭია და ვცდები! დაგვიანების მიზეზი ის გახლავთ, რომ პირველი თქვენი ბარათი მივიღე ძალიან გვიან და სწორეთ იმ დროს, როდესაც საქმე ძალიან ბევრი მქონდა; მეორე თქვენი ბარათი მივიღე სოფელში, სადაც გახლდით უქმე დღეებში. ეს ერთი კვირა გახლავთ, რაც იქიდამ დავბრუნდი და ისევ შევუდექი ჩემს საქმეს, რომელმაც მხოლოდ დღეს, ე. ი. კვირადღეს მომცა ნება, რომ მომეყვანა ჩემი დიდიხნის გულის წადილი აღსრულებაში. დიახ, დიდი ხანი გახლავთ, რაც მსურს, რომ წერილით მაინც მესაუბრა,

მაგრამ ეხლა, როდესაც ხელში ავიღე კალამი, აღარც კი ვიცი რა მოგწეროთ, რაზედ დავიწყო და რომელი უფრო წინ დავაყენო სხვებზე. ჩემს თავში ისე ირევიან სხვადასხვა კითხვები, სხვადასხვა აზრები, რომ მე თითონაც ველარ ვარჩევ, რომ შემეძლოს რომელიმე მათგანი გამოვთქვა სიტყვით. ამ რამდენიმე წუთის წინ კი მეგონა, რომ ავიღებდი თუ არა კალამს ხელში, იგი დაიწყებდა დაუღალავად სირბილს სპეტაკ ქაღალდზედ და ვინ იცის რამდენ რასასმეს გიამბობდათ, რამდენ აზრს გაგიზიარებდათ, მაგრამ, როდესაც საქმე საქმეზე მივარდა, მაშინ დავინახე, რომ ჩემს საწყალ კალამს ნიჭი არა ჰქონია წერისა და ვიგრძენ, რომ ამისთანა ღარიბი სიტყვის პატრონი, როგორც მე, ვერ მოახერხებს ვერც როდის ისე გამოსთქვას თვისი აზრი, როგორც თითონ აგრძნობს და ვერც გააგებინებს სხვას. ამიტომ სჯობს, რომ ისევ ისე დავჩუმდე, სჯობს, რომ არ დაგაკარგვინოთ დრო ტყუილა უბრალოდ ამ არეულ-დარეულ წერილის კითხვაში და მით არ მოგაბეზროთ თავი. აი ამ განზრახვით ისევ გეთხოვებით და გთხოვთ დიდის თხოვნით, რომ თუ როდისმე გექნებათ დრო მამაწოდოთ ორიოდე სიტყვა. თქვენ უეჭველად გეცოდინებათ, რომ მე ახლა გახლავართ ან—ში და ამიტომ, თუ წერილს მიწყალობებთ, იქ მომწერეთ. ეხლა კი ნება მიბოძეთ კიდევ გითხრათ მადლობა ხსოვნისათვის, რომლის ღირსიც სრულებით არ გახლავართ და მერე გამოგემშვიდობოთ. გთხოვთ მიიღოთ და გარდასცეთ თქვენს №-ს ჩემი გულითადი პატივისცემა. თქვენი პატივისმცემელი №—№—სა". უნდა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ეს თავადის ქალიც გიმნაზისტკაა. გიმნაზიაში არ დაჰვიწყებია ტკბილი და შეურყეველი ოჯახის ენა. ქართველობას აქამომდე ვერ მოუხერხებია დააარსოს ქართველ ქალების სკოლა და ადვილად წარმოსადგენია, თუ ამ მშვენიერი ოჯახის ენის მცოდნე ქართველი თავადის ქალი ქართულ სკოლაში რა გვარად განვითარდებოდა და მერე დაეხმარებოდა ქართული ენის გამშვენიერებას და გამდიდრებას!

ივლისის 31-სა. რამდენიმე წელიწადია, ქართლშიაც გამიჯვნის საქმე სწარმოებს და ვერ გათავებულა. ქიზიყის მამულები სრულიად დამიჯნეს, რაც რამე არგუნეს სოფლებს— მიუზომეს, დანარჩენი ხაზინას დარჩა და ამ მამულებზე დააბინავეს რუსეთიდამ გადმოსახლებული რუსები სოფლებათ, ოლოვკა, პავლოვკა და ბევრი სხვა; ერთ სოფელს თბილისის გუბერნატორის პატივსაცემათ სახელი სვეჩინო დაარქვეს. გადმოსახლებულებს მიუზომეს უკეთესი მამული, სახნავი, საძოვარი, სავენახეები, გამოუყვანეს მშვენიერი ბულაყის წყლები, დაუკეთეს პატარ-პატარა მოხდენილი ფანჯრიანი სახლები, დერეფნიანი, ეზოებით მოწყობილნი; აუშენეს ეკლესია, დაუნიშნეს რუსი მღვდელი, დაუარსეს სკოლა, გაანთავისუფლეს დროებით ხარჯიდამ და ბეკარიდამ. გადმოსახლებულნი დაბინავდნენ, მოეწყვნენ და კმაყოფილნი არიან თავის აწმყოსი, იმათ ბედს ძაღლი ვერ დაჰყეფს.

ქართლში გამიჯვნის საქმე უფრო გამწვავებულია. იქ მამულები ერთმანეთშია არეული—სათავადო, საეკლესიო და საგლეხო. საქართველოს ორნაირი მამულები აქვს: სათავადო და საგლეხო; სათავადო შეადგენს თავადიშვილების საკუთრებას, მეფეებისგან ნაბოძებს. დანარჩენი მამულები გლეხებისა და სხვა წოდების სახმარებელია. საგლეხო მამულს სახელმწიფო მამულს ვეძახით იმიტომ კი არა, რომ ხაზინამ დაიჩემოს და ვისაცა ჰსურს იმას უბოძოს, არა; იმიტომ, რომ გლეხი ხელმწიფის კაცია, მეფის მოსამსახურე და რაც სახელმწიფოში მამულებია, თავადებისა და მონასტრების მამულების გარდა, სულ გლეხების სახმარებელი უნდა იყოს. მაგრამ გამიჯვნამ ისე წაიყვანა საქმე, რომ იმ მამულებს, რომლებიც წინათ საკუთრებად ეჭირათ, ერთმანეთში ურევენ, ერის ხალხს უზომვენ აქედამ, რაც უჭირავთ და ან რაც საჭიროა ეხლა, დანარჩენს იმათ აძლევენ, ვისთვისაც ემეტებათ.

მარტო დღევანდელი დღე კი არ უნდა ვიცოდეთ, მომავალზედაც უნდა ვიფიქროთ. ქართლელი გლეხები, საცა კი

მიწის მზომელი გაჩნდება, ყველა მამულს ხაზინისას ეძახიან, მონასტრისა, თავადისა თუ მღვდლისა, სულ ხაზინას აკუთნებენ. გლეხებსა ჰგონიათ, რაც სახაზინოთ დაიდება, მერე სულ ეს მამულები გლეხებს დაეთმობათ, საკუთრებად ებოძებათო, ის კი აღარ იციან, რომ როცა მამულებს დამიჯნავენ, მერე გლეხებს დესიატინობით კომლზე მიუზომავენ სახნავ-სათიბს, და დანარჩენს ხაზინა მოახმარებს სხვას, ან ჯარით გასცემს და შეიძლება მეზობლად უცხო ტომის ხალხი მოუსხან. ამ ყოფაში სოფელი შევიწროვდება, სოფელს გასაფართოებელი მამული მოაკლდება. ყოველიფერი მოსალოდნელია და საფიქრებელი. ამისათვის რა საჭიროა, რომ გლეხები თავებს იხოცავენ და გაიძახიან, რაც მამულებია სულ ხაზინისაოო. გლეხი რას გამოარჩევა, რომ თავადიშვილის მამული, ან ღვდლისა და მონასტრისა ხაზინამ დაისაკუთროს. გაჭირებაში გლეხი თავადისგან უფრო ადრე და ადვილად გაიმართება, თავადის მამული შეიძლება „უტორგოთაც" იქირაოს, შეიძლება შეისყიდოს კიდეც შელავათობით, ხაზინიდამ კი შელავათის იმედი არ უნდა ჰქონდეს. განსვენებულმა ა. გამრეკელოვმა იცოდა, რაც თავადიშვილებს მამულები აქვთ, თქვითო, რომ ხაზინისაოო, თავადებმა „მოვლა არ იციანო, სულ სომხებსა რჩებათ იმათი მამულებიო. მაგრამ სცდებოდა: ყველა თავადიშვილი არ უთმობს სომხებს თავის მამულ-დედულს, და თუ გასყიდვა და დათმობა ჰსურს, განა ქართველს არ მისცემს? მისცემს, რატომ არა, ხოლო თავადების მამულების შესყიდვის საქმეს ჩვენმა ხალხმა და საზოგადოებამ უნდა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ და საჭიროა რიგიანათ მოაწყონ.

ლუკმა გავარდეს—ჯამში ჩავარდესო. ჩვენი თავადების მამულები ისევ ქართველებზე უნდა იყიდებოდეს, ყველა თავადი უნდა იმოტელათ შეგნებული და მოსიყვარულე იყოს თავის ქვეყნისა, რომ გასასყიდი მამული შეაძლებინოს თავისივე მეზობელს ქართველს გლეხსა თუ მღვდელს შეასყიდ-

ვინოს. ეგრეთვე ბანკების სასოფლო და საქალაქო მამულები ქართველებისა, უნდა ისევ ქართველებსა რჩებოდეთ. ხალხი გამრავლდა, მამული შემცირდა და ეს თავადების მამულები მაინც ქართველ ხალხს ხელიდამ არ გამოეცალოს. რაც ხაზინას მამულები დარჩა, ისინი ქართველებისათვის სამუდამოთ დაკარგულია, ბადლათ თავადების მამულები მაინც დაიჭირონ!

აგვისტოს 6-სა. ფერიცვალების დღეა. გუშინ „კავკაზ“-ში გამოცხადებული იყო, რომ ღვთაების მონასტერში ფერიცვალების დღეს ეპისკოპოზის წირვა იქნება შესრულებულიო. ამ მონასტერს ჩვენი ხალხი დარიის მონასტერს ეძახის და არის ავლაბარში. მდებარეობა იმიტომ მოვიხსენეთ, რომ ბევრმა არც კი იცის, სად არის იგი! ხალხი წირვაზე არ იყო ბლომათ, რაც იყო, ისიც გარეთ იდგა, ეკკლესია ძრიელ ვიწროა და სიცხე-პაპანაქებაში შიგნით დგომა შეუძლებელია. წირვა ქართული იდგა, ჟამნობასაც ქართულად კითხულობდნენ. ერთიც ღვდლად აკურთხეს და თქვეს, რომ ნაკურთხი ქართველიაო. ვ-ნაობა იმიტომ მოგვყავს, რომ თმა რომ აღკვეცეს, სლავიანურათ წაუკითხეს ლოცვა და თითონაც ლოცვის წასაკითხი წიგნი სლავიანური მიაწოდეს. შეიძლება, რომ ახლად ნაკურთხმა ქართველმა მღვდლებმა ხუცური არ იცოდნენ, ეხლა ხუცურს აღარა სწყალობენ და ერთხელ „ნადიკვრელმაც“ კი გულმოდგინედ გამოაქვეყნა, რომ ხუცურის სწავლება საჭირო არ არისო, რადგან ქართულის სწავლებას უშლისო!

საზოგადო სენათ გადაიქცა ეხლანდელი წირვა-ლოცვის ვითარება ზოგი მღვდლების ხელში, იწყებენ ქართულად, მერე სლავიანურზე გადადიან, ასე რომ მლოცავს რაღაცა თამაშობას მოაგონებს და სასოება ეკარგება. დალოცვილებმა ან სულ სლავიანურად შეასრულონ, ან სრულებით ქართულად, დომხალივით არევა გალობასაც რევს და უშლის. არა მგონია, რომ არეულ-დარეულ წირვა-ლოცვის აკრძალვაში

ვინმე მოიმდურონ, თუ ერთბაში შეუძლებელია წირვა, შეიძლება ერთი კვირა ქართულად იყოს, მეორე სლავიანურად, ხოლო აურევ-დაურეველი, არეულ წესის ასრულებაში ვერც რუსი ლოცულობს და ვერც ქართველი როგორც გული თხოულობს.

ექვს აგვისტოს დარიის მონასტერში ქართული გალობა იყო ორ ხოროთ: ერთში გალობდა შარაძის ორი მგალობელი, მეორეში მონასტრის სამრევლო სკოლის მოწაფეები. მგალობელთ ეტყობოდათ, რომ არ იყვნენ გავარჯიშებულნი ეპისკოპოზის წირვის მოხმარებაში, ეშლებოდათ ხშირად. შარაძის გალობა სასიამოვნო მოსასმენია, უფრო სასიამოვნოა თავისებური გურული კილოთი; გურული გალობა სმენას ასიამოვნებს, ხოლო ცალმხრივი ხასიათიანია და აკლია სიდიადე და სივრცე უქმი დღის შესაფერი. მაგრამ ამაზედაც ღმერთმა უშველოთ, სულ არარაობას უღელი ხარიც კარგიაო. სამრევლო სკოლის ხოროსაც დახმარება და დახელოვნება ეჭირება. მონასტერს უნდა ჰყვანდეს საკუთარი დახელოვნებული გუნდი მგალობელთა; გალობა უფრო წარჩინებული იქნება, თუ მონასტრის გუნდს დაუმატებენ და მიაშველებენ სამრევლო სკოლების ყმაწვილებს, ვაჟებისას და ქალების ხმებსაც. ამბობენ, აქამდის მონასტერს არა ჰყვანდა საკუთარი ხორო და ეხლაც რაღა საჭიროაო: ორი-სამი მორჩილი და ზოგი მიჩემებულნიც ასრულებენ მგალობელთა ვალსაო. აქამდის რომ ხორო არა ყოფილა მონასტერში, ძრიელ სამწუხარო ამბავია და ეხლა უთუოდ უნდა იყოლიოს, წინათ მონასტერში ბინა არა ჰქონდა ეპისკოპოზს და ეხლა აქვს. მონასტერი ღარიბია და მცირი, ეპისკოპოზის ბინადრობამ უნდა გაამდიდროს იგი და გაადიდოს, აღადგინოს მისი მნიშვნელობა საქართველოს სატახტო ქალაქში. ამ მონასტერში სწავლობენ ახლად ნაკურთხი მღვდლები და მთავრები, და ახლად განწესებული დიაკვნები და რა უნდა ისწავლონ, როცა მონასტერში სრულებით გალობა არ არის. სხვაგან რომ

სთქვათ სადმე, რომ მონასტერში გალობა არ არისო, არ დაიჯერებენ, ჭორათ მიიღებენ. წესის აღსრულებაში გამოყვანილი „სტიხარჩიკებიც“ რიგიანი უნდა იყვნენ ჩაცმულობით და ქცევით, თორემ რა წესია, ზოგს ტაოხიანი ხარაზის ჩუსტები აცვიათ, ზოგს „სტიხარი“ ფეხებში ეთრევათ; ტყუილათ კი არ გვეძახიან რუსები „გოლოპიატებათ“, საყდარში მაინც მოვიშოროთ ბრანძები და სუფთათ „სიტიტვლის დაუნახვებლად“ დავესწროთ ხოლმე! დაბრანძულები და ფეხშიშველები დავდივართ, როცა არ გვიჭირს და სადაც არ გვეკუთვნის! განა უშნოობა, ულაზათობა ჩვენი ნაციონალური ხასიათია. საზოგადო სამსახურში გაწვრთნილების არ ქონა უზრდელობის ნიშანია და ვერვინ ვერ იტყვის, რომ უზრდელები ვიყვნეთ; ყოველიფერი ჩაუგონებლობით მოგვდის და ჩაგონება ვალია ყოველის უფროსისა, სადაც უნდა იყოს. ქართველს ჩააგონე და ცოტა ძალაც დაატანე, რომ შეასრულოს და ყოველიფერი წესიერათ ექნება.

აგვისტოს 8.სა. დღევანდელ „ივერიის“ ნომერში მოთავსებულია მწარე, გაუნელებელი გოდება აკაკისა. უწმინდურება შეეხო „ძველი დიდების საჩინო ნივთებს“ და „ჩვენი გელათი, დიდი ტაძარი, სადაცა ბრწყინავს სული დავითისა და თამარისა“, ვის სიწმინდესაც „მტერი ურწმუნოც ვერ შეჰხებია“, ის საეროვნო „წმიდათა-წმიდა დღეს ქართველებს დაჰვიწყებიათ“! ასე მოსთქამს გულდათუთქული გაცარცულ გელათის ტაძარზე, საიდამაც სხვათა „საშვილიშვილო ნაშთთა შორის ძველთა“ მოუტაცნიათ „ის წმინდა ქოში, რომელსაც თამარი ლოცვა ვედრების დროს გაიხდიდა და ფეხშიშველა, სამშობლო მსხვერპლად, წმინდა ტაძარში წმინდა ცრემლს ღვრიდა *)

*) ჩვენდა სასიამოვნოდ, როგორც მერე ადმოჩნდა, ქოში არ წაუღიათ.

რედ.

და კიდევ „საცერე დიდი, ბეჭედი აღმაშენებელისა, რომ თითზე ეცვა და კურთხეულმა მიუმა მარჯვენამ საქრისტიანო რითაც დაიცვა“. ამ წლის მარტის თვეში „მოგზაურის“ ფურცლებზე იყო აღნიშნული, რომ იმერლების ბრბო უწმინდურობის გზას დასდგომია და იმედი უნდა გვქონოდა, რომ ეს ბრბო თავის სიცოცხლეს დალევდა იქავე, საცა დაიბადა, გელათის მონასტრის, გელათის ტაძრის გაცარცვამ ლამის დაგვაჯეროს, რომ გადარჯულებულ იმერლობას „აღარ უცვნია ტაძარი ტაძრად და ღმერთი ღმერთად“

სტირის, ჩივის, ცრემლებს აფრქვევს წარჩინებული პოეტი, ქართველების მეგულისპასუხე და სიმართლის პირში მთქმელი. სამწუხაროა გოდება მისი მით უფრო, რომ ხმა ტირილისა რჩება ხმად მღაღადებელისა ჩვენ შორის, ჩვენ შიშველა-მაწანწალა და გზაკვალდაბნეულთა შორის, რომელნიც ამ მწარე გულის სიღრმიდგან ამონახეთქ მიგლოვებას კბილების კრეჭით მიეგებებიან და იქნება გაუმარჯოც დასძახონ. სიპილწეს და სულით დაცემულობას ყოველი შეუძლიან!

ეს სიტყვით გამოუხატველი ზნეობითი გაფუჭება და გახრწნა, პილწი საქციელი ქუთაისის სემინარიელებისა და თავდაუხრელი ველურობა და გამხეცება გელათის ტაძრის გამძარცვავებისა ნათლად გვაჩვენებს, თუ რა ზნეობით დაცემის ოფსკრულში ჩავარდნილა ჩვენი ხალხი. წმინდა ტაძრის შემპილწველი და შემმუსვრელი სემინარიელი ცხადთ ამტკიცებს სამღვდელოების ოჯახობის ზნეობითი სიმდაბლეს! ერთათ ერთი სიწმინდის შელახვა, როგორიც არის გელათი მთელს იმერეთში, გვაჩვენებს ამ ავაზაკების საძაგლობას და გარყვნილობას. ერთი და ორი ქეციანი ცხვარი მთელს ფარას გააქეციანებსო, იტყვიან ხოლმე რუსები, და ალბათ იმერლობას დიდი ხანია ქეცი სჭირებია, რომ ერთბაშათ მთელ არემარეს ძნელად მოსარჩენ ჭირად გადაჰქცევია. წამხდარ და დაცემულ სასულიერო წოდებას სამწყსოც შეეპილწება.

რა სასჯელი მოელით შემპილწველთა და ველურთა? არა

ფერი: კაცის კვლა და ქათმისა ერთნაირად ფასობს. მერე კი-
დე საცა საეკლესიო სიწმინდავეებს ბაზარში ასაღებენ საჯა-
როთ, უპატიოთ ეპყრობიან საეკლესიო სამკაულებს, მაინ
ყმაწვილი შეუგნებელი სემინარიელი უფრო მეტს ჩაიდენ-
და გელათის მცარცველიც მხეცს დაემსგავსებოდა!

იმერლებმა სიტყვით გამოუთქმელი სისაძაგლე მოახდი-
ნეს, მაგრამ ამაში ჩვენც ყველა ქართველებს წილი გვიძევ-
თუ სუყველანი არა,— ორი მესამედიც რომ რიგიანები ვიყ-
ვნეთ, ჩვენში ეს გახრწნილება არ ჩამოვარდებოდა და გელა-
თის ავაზაკნი წმიდათა-წმიდას ხელს ვერ შეახებდნენ.

არა ნაკლები სისაძაგლე ჩაიდინა ერთმა კახურმა თავად-
მაც. თავადი შეზარხოშებული ბძანდებოდა, ცხენით მომავა-
ლმა დაინახა სოფლის ეკლესიის კარები ღია, სოფლის
მღვდელი საღამოს ლოცვაზე იდგა. თავადი ლოცვის მოს-
მენათ ცხენდაცხენ ეკლესიაში შებძანდა, მაგრამ ღვდლისა-
დიაკვნისა მაინც კიდე შერცხვა და მალე უკანვე გამოვდ-
თავადს უკან მეძებარი მოსდევნებია და ვერ შეუბედნია შე-
ყოლოდა, სცოდნია, რომ „საყდრის კარი რომ ღია იყოს—
ძაღლი უნდა მოერიდოსო“— და თავადმა კი თურმე თა-
მეძებრის სინიდისს გადააჭარბა! მერე რა გადაახდევინეს
„კნიაზს?“ არაფერი, კანონიც ვერ იპოვეს „კნიაზის“ მ-
გერებელი, არსადა სწერიაო, რომ ცხენით ეკლესიაში შე-
რიალება არ შეიძლებაო, სომხის სუფსარქისი სახლებში
საყდრებში ცხენით დადიოდაო და ის „პოსუდში“ ა-ავის მ-
უციაო!

გელათის მცარცვავებსაც კვალს ვერ უპოვნიან, თუნდაც
იპოვნონ, დანაკარგს ვერ გამოაჩენინებენ, და ბოლოს იქნება
კიდეც გამართლდნენ, ან ერთი-ორი თვით ტუსაღანაში ჩაჰ-
კეტონ! გელათის გამცარცვავებს ნადავლევის სიხარბე არ ეტ-
ყობათ, წმ. თამარის ქოშს ვერც გაასაღებენ სადმე და ვერც
რასმე ფასს დასდებენ, ამიტომ საფიქრებელია, რომ კარგათ
ნანახს ტაძარს შიგნიდგან გატეხილობა ემცნეოდეს. ალბათ

ვისმე გულს უკლავდა, რომ ეს ძვირფასი სიწმინდენი გელათს აწყვიან კიდევ და აქამდის არ დაკარგულან, გულში რაღაც შური შერჩენია, გელათის დაკნინება და დამცირება მოსდომებია. თუ ასეა, მაშ უნდა ვიქონიოთ სასოება, რომ ჩვენს ხალხს კიდევ ახსოვს ჯვარი და თავისი საყდარი სწამს, ხოლო ცხოვრება დათახსირებული თავს დახეთქია და გადაქცეულა მოღალატედ თავისი ქვეყნისა, თავისი ისტორიისა. „ისა სჯობია“, ამბობს აკაკი, რომ ეს მოღალატეები „ნულარ იცოცხლებენ თავსა, ხალხი არ შეინდობს, არ მიუტევებს“ მათ.

აგვისტოს 10-სა. ერთმა სოფლელმა მღვდელმა სოფლის ცხოვრებიდამ თავისი თავგადასავალი ბევრი რამ გვიამბო. გამოცდილებით ვიცით, რომ ბევრი სოფლის მღვდელი სამაუფლია თავისი სოფლისა და მრევლისა და ბევრი კი, საუბედუროთ უფრო უმეტესი ნაწილი, შხამია მრევლისა და საზოგადოებისა, მთესავი ღვარძლისა. ამ მღვდელს სოფელი აკროშკიანი ჰქონია, ე. ი. არეულ-დარეული, შემდგარი ქართველებისა და სომხებისაგან. საქართველოში ჩაჩხირული სომხები ჩამომავლობით ქართველები არიან, ხოლო რჯულით, ე. ი. ეკლესიის წესით და ტერტერების ქვეშგავლენობით სომხები. ტერტერებს დიდი გავლენა მოუპოვიათ სოფლელ ქართველ-სომხებზე: უტერტეროთ ქართველი სომეხი არ დაინიშნება, აღდგომას არ გაიხსნილებს, მარხვას ვერ შეერევა, და გულისთმასაც კი—სიყვარულს უტერტეროთ ვერ გამოააშკარავებს, რაც უნდა ძალიან უყვარდეს ქართველი ქალი უტერტეროთ ვერ გაჰბედავს ვაჟის დანიშვნას, ერთი სიტყვით, ტერტერა ხორციელი და სულიერი ჯალათია და სიზმარშიაც კი ელანდება იგი. ქართველის მღვდელი და სომხის ტერტერა ერთ სოფელში ცხოვრობენ, მეზობლები არიან ერთმანეთისა და ტერტერას არ ეჭაშნიკება მეზობლის სიახლოვე და ყოველ ჟამს ცდაშია, რაშიმე ხრიკი უგდოს, რაშიმე მოატანოს და დაამციროს. ქართველი მღვდელი ყურს არ იდრენს, არც კი ახსოვს, ტერტერა არის სადმე თუ არა და არც ესმის, არა

გრძნობს, რომ მისი ვალია, როგორც ტერტერა ცდილობს, იმანაც ისე იზრუნოს თავის მრევლისთვის, მოიპოვოს იმოტელა გავლენა. ბევრი წილი ქართველ-მღვდლებისა ეხლა მოვახშეებად გადაიქცნენ. ფეხშიშველა სემინარიელი შეირთავს გლეხის ქალს, აიღებს ქრთამში და მზითევში ას თუმნამდი ფულად და შეკმაზულ ცხენს, იბარებს ბლაღოჩინისაგან სამრევლო ეკლესიას და შეუდგება ცხოვრებას. უწინარეს ყოვლისა ასესხებს ქრთამის ფულს, თუმანს ექვს შაურად და ორ აბაზად, შემძლებელ ოჯახებში, და ღარიბებზე მანეთობით, ორ მანეთობით არიგებს ფულს წველაზე ან მოსავალზე ერთი-ოთრად, ერთი-სამად და ოთხად, შეაგროვებს ერთ დასტა თამასუქებს და მერე სულ იმაზე ფიქრობს, ოდის და რომელია ვადაგასული, რომელია გამოსაცვლელი, „პრიხოდი" კი აღარ ახსოვს, ასე ჰგონია, რომ პრიხოდში მარტო წესები უნდა ასრულოს მეხანიკურათ, ბონათლოს, ჯვარი დასწეროს და მარხოს და ისიც არ ავიწყდება, რომ ბლაღოჩინს თავის დროზე პატივი სცეს: საახალწლოს და საღდგომო ზღვნი მიართვას, ღღეობას და გაკეთებული ოჯახში მიცვალებულზე მოიწვიოს და ბანდისხანაც, „თუ დასჭირდა", ფულითაც დეხმაროს. ამნაირად მღვდელი ჩინებული საბელით გვირგვინდება, მრევლშიაც მიღებული ხდება და ბლაღოჩინისა კიდე დაუვიწყარი: ხელი ხელსა ჰბანსო და თავის დროზე მოუკლებლივ მოსდის მღვდელს „ნაბედრენიკი, სკუფია, კამილავკა". ამ ხანა-დის მღვდელი კარგათ სქელდება, ჯიბე ევსება, ტყავიც უსქელდება და სამღვდელო ვალი და ცოდნა სულ ავიწყდება. თავად არ იყო ძმარიო, ზედ დაასხიან წყალიო, შეუგნებელი, უცოდინარი, სემინარიელი სოფლის მღვდელი, სოფლის მევ ხშეობის წრეში უფრო ბრიყვდება, ხავსდება და ეკარგება მას შეგნება და ხდება გაუთლელ გვამად, რომელიც არც კაცია, თავი კი კაცად მოაქვს, არც მღვდელია, ანაფორა კი აცვია. ესეთები არიან ჩვენი არამც თუ სოფლის მღვდლები, ქალაქების მღვდლებიც. ამგვარ შეუგნებელ-გაუ-

ნათლებელ მღვდელს ხვდება მრევლად შეუგნებელი, ბედისაგან და სიღარიბისაგან დაბრიყვებული მრევლი. ამისთანა მღვდელი აბა რას გააწყობს ცქვიტ და ენაგალესილ ტერტერასთან, რომელიც ინსტრუქციებით დატვირთული მისულა სოფელში, რა უნდა შეასრულოს და რა უნდა მოახერხოს. ქართველი დონდოლა მღვდლები ტერტერებთან უკანა რჩებიან და ეს არის მიზეზი, რომ ქართველთა სოფელში ქართველები გასომხებულან და ტერტერას ეხლა მღვდლათ იყენებენ. ვინ გაიგონა, რომ მირიანაშვილი, გოზალაშვილი, საგინაშვილი, ოთიაშვილი, დავითაშვილი, სარაჯიშვილი და სხვანი მრავალნი სომხები იყვნენ! ტერტერა ქართველების შუა სოფელში ყარაულათ უდგათ და ქართველ მღვდელს ვერ გაუბედნია ხმა ამოიღოს, ხმა-მაღლა ამხილოს და დაუმტკიცოს, რომ გრიგორიანელი ქართველები გასომხებული ქართველები არიან. ეს კიდეც არაფერი! რუსის კანონი ნებას არ აძლევს, რომ მართლმადიდებელმა რჯული გამოიცვალოს, თორემ ეს რომ არ იყოს, ტერტერები ჩვენ დუნე მღვდლებს რაც მრევლი აბადიათ, სრულიად გაუსომხებდნენ. დიახ, ჩვენი მღვდლები არიან დუნეები, მაგრამ მარტო თავის სამღვდელო მოვალეობის აღსრულებაში; რაც კი კერძო ცხოვრებაში გამარჯვებას მოუნდება, ისინი ბელადობასაც გასწევებენ.

ამ წყვდიადში მყოფ ღვდლების წრიდან გამოდიან ბევრნი მართებულნი, სათნოიანნი და ბულწრფელი მღვდლები, ერთგულნი დარაჯნი თავის თანამდებობისა. ვგონებ ამ წრეს უნდა ეკუთვნოდეს ჩვენი მოამბე მღვდელიც. ამას არც შეშინებია, არც დახათრებია ვისიმე, გასულა სასოფლოზე და ხალხში ხმა-მაღლა სიტკბოებით, სიმშვიდით, წყნარად უმხილებია გასომხებული ქართველები და კიდეც დაუჯერებია ისინი, რომ მართლა ქართველები არიან და თავის თავს ტყუილათ სომხებათა სთვლიან და პასუხათ მოუხსენებიათ: „მართლა და ჭკვას ახლოაო“. ერთი და ორი მღვდლის ქადაგებით და ჩაგონებით არა გამოვარა, სულ ერთობითი მიმართულო-

ბით უნდა მხნეობდნენ და ქადაგებდნენ ქართველი მღვდლები; ჩვენ რომ გულადი და შეგნებული მღვდლები გვყოლოდა და გვყვანდნენ, საქართველოს სოფელში ერთი ქართველი არ იქნებოდა გრიგორიანელი. უღვდლობაა მიზეზი, რომ მრავალი სოფელი ქართლში და კახეთში სომხებით მოდებულია! ფარას მოწყვეტილ უმწყემსო ეულ ბატკანს მგლის ლეკვიც დაეპატრონება. ქართველები უმწყესონი ვართ, ამიტომ ზეობრივად დავვარდით, განვიხრწენით და ურწმუნოების მოდევში ჩავცვივდით. ჩვენს საყდრებს დაჯილდოებული მღვდლები და დეკანოზები უვლიან, მაგრამ ჭერზე და კედლებზე შამბი და ხავსი კი აქვთ მოკიდებული, კანკელი მტვრითა და აბლაბუდებით მოვარაყებული, არც ქართული გალობა, არც ქადაგება, არცარა სხვა, რაც საეკლესიო კეთილგანწყობილებას იცავს—საქართველოს საყდრებში არ არის. საყდარზე გული აყრილია მღვდელიც და ხალხიც. როგორიც მღვდელია, ისეთი ერია, ნათქვამია და მართალიც გამოდის.

აგვისტოს 17-სა. „ც. ფ." მოგვითხრობს, რომ მთელს იმერეთში შიმშილია, ეგრეთვე გურიაში და სამეგრელოში: ბევრი ხილით იკვებება, სიმინდი რომ აღარსად არისო. ხალხი გამრავლდა, მამული შეუკოტავდა და სახსარი ცხოვრებისა დაეკლდათ,—რასაკვირველია, ხალხი გაღარიბდება; სიღარიბეს ზნეობრივი დაცემა მოსდევს, შიმშილი და ზნეობრივი დაკნინება ხალხს გადაგვარების და ამოვარდნის გზაზედ აყენებს. ვინ არ იცის, რომ ქართველი ღარიბია და ღატაკი, დიდი ხანია ვსტირით, ვჩივით, კარსა და ბანს ვაკაკუნებთ და ჯერ არავის არ გავუკითხივართ, ვთხოულობთ და არავინ რას გვაძლევს, მოცემის ბადლათ გვართმევენ რაც გვაბადია. რაც კი რამ ჩვენი არე-მარეა, რაც კი რამ გვებადა ჩვენ სიღარიბეში, სულ ეს რომ ჩვენ ხელში გვქონდეს, შიმშილი ჩვენ ვერ მოგვიდგებოდა: ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი მინდვრები და საძოვრები ათასი რიგის მოსულმა ხალხმა მიითვისა და მიიბოძა.

მშიერი და გაღატაკებული ადამიანი ბიწიერების მანქანის გამყოლია, ზნეობით და სულიერაც ეცემა. სიღარიბე ბიწიერება არ არისო, რუსებმა იციან, იქნება მართალი იყოს, ხოლო ყოველ დღეს კი ვხედავთ, რომ ბიწიერება სიღარიბის შვილია. ბათუმიდამ იწერებიან „ივერიაში“, თუ რას ახდენს სიღარიბით მოდებულ ხალხში უსახსრობა და უქონლობა: „გურიიდამ აქ მოდის დიდძალი ნორჩი ახალგაზდობა, ქალი და ვაჟი, იგინი ეძებენ მოსამსახურეობის ადგილებს და სხვა სამუშაოს, ქუჩებში დალაწლაწებენ შიმშილისაგან ქანგაწყვეტილნი და ფერმიხდილნი; აქ ამ გამოუცდელ არსებათ მოელით პირველხნობით შიმშილ-წყურვილი და ყოველგვარი გაჭირვება, ზნეობრივი დაცემა და ბოლოს ათასგვარ სენით მოწამლვა და მოსპობა და ნამეტნავად ქალებს უსაზარლესი დღე ადგიათ, ესალმებიან იგინი იმას, რაც ქალისათვის უძვირფასესი საუნჯეა და მალე სამუდამოთ სწყდებიან საზოგადოებასა და სახლსა, რადგან შერცხვენილნი დედმამის ოჯახში დაბრუნებას ველარ ჰბედავენ“. სამწუხარო და საზარელი ამბავია და მით უფრო უმეტესად სამწუხარო, რომ არ არის ადვილი საწამლავი და განსაკურნებელი. მაგრამ სანამ რამე სახსარს ლონის-ძიებას გამონახავდეს ვინმე ამ საცოდავების დასახმარებლად, რატომ არავინა თაობს და არ დააარსებს მოსამსახურეების კანტორას, როგორც ორი-სამი კანტორაა ქალაქში. ქალაქის კანტორებში მიდის უფრო რუსის მოსამსახურე, ან ქურდ-ბაცაცა ოსები და იმერლობა კი ძნელად სარგებლობს იმათი არჩევით. მოსამსახურეები უფრო იმერლობაა და ეს ერ იქნებოდა, გახსნილიყო ერთი ამგვარი კანტორა ბათუმში და მეორე იმასთან დაკავშირებული ქალაქში; შეიძლებოდა, რომ ეს კეთილი საქმე ეკისრა რომელსამე ქართულ წიგნის მაღაზიასაც. მოსამსახურეთ კანტორა დაეხმარება სოფლიდამ გამოსულ ღარიბ ხალხს, რომელიც მოსამსახურობის ალაგს ეძებს, და ქალაქების მცხოვრებთ, ქართველებს მაინც, ქართველი მოსამსახურეები გვეყოლებოდა, თო-

რემ ეხლა გინდა თუ არა მოსამსახურეთ ან იჭერ ქურდ ოსს, ან სხვა ტომისას და ჩვენი იმერლები კი, როგორცა ჩანს, უალავობისა გამო დამშეულები მრავალ ხიფათში სცვივიან ქალი და კაცი. იმერლობა ინიციატივის ხალხია და საკვირველია, რომ აქამდის ამოტელა სასტუმროების და სასადილოების და ბუფეტების პატრონებმა მოსამსახურეების კანტორა ვერ გააჩინეს. ქართველთა მოსამსახურეების კანტორის დაარსებას ექნება არა მარტო კომერციული მოგება, არამედ იგი გაჭირებულ და უალაგო მატარებელ ღარიბ ახალგაზდობას გამოუჩენს ზნეობრივ და ოჯახურ, მშობლიურ დახმარებას და მფარველობას და ღმერთმა ინებოს, რომ ეს კეთილი საქმე მალე მოაგვაროს ვინმემ.

აგვისტოს 29-სა. ივანე თავიკვეთლიდღეს ჩვენმა ქართველმა იერემიამ დაუბერებელმა აკაკიმ მიუძღვნა მკითხველებს „ივერიაში“ ჩვეულებრივი ნიჭიერი და გულმოჭიდებული ლექსი „პირობა“. ყველამ, თუ იცის ქართული, უთუოდ უნდა წაიკითხოს ეს ლექსი, გაიზეპიროს და დაასწავლოს თავის შვილს, თავის მეზობელს და თანამემამულეს. მოლა, ახუნდი და ყადი დიდი ხანია ყველას უბრაგუნებენ დაბრუებულ თავში, გაქარწყლებულ გულში ღვარძლს სთესავენ და დაცემულ სინიდისით გვიადვილებენ „ნელ-ნელა გადასახლებას“. ბევრმა ვიცით, მომეტებული ვგრძნობთ და გზადაკარგულებს კი ვერ შეუგნიათ, რომ მოლა, ახუნდი და ყადი „სამ-ძალით“ მოგვდგომიან ჩვენ და გვრყვნიან, გვამცირებენ, გვწირავენ როგორც მტერსა, ჩვენ კი ვერ მივხვედრივართ, რომ ტკბილი ჰანგები და რბილი და ფაფუკი კატის ფრჩხილები სათამაშო თაგვებათ გვხდიან: ჯერ თაგვებს ათამაშებენ და მერე გემრიელ ლუკმად აქცევენ. სამწუხარო და სავალალო ის არის, რომ „ლია—ილ—ალლაჰოის გაძახილს ჩვენებიც „ზოგნი ბანს ეუბნებიან“-ო, ჩივის აკაკი. და მართლაც, როგორც ყოველთვის, უტყუარ მართალს ამბობს. შეუგნებელის წერა ის არის, რომ „სახლი ეწვებოდეს, თითონაც ხელი მო

ითბოს". ბარაქალა ჩვენ გულკეთილობას და შორმჭვრეტელობას!

დღეს სიონში არქიელის წირვა იდგა. ორი გუნდი გალობდა, შიგ და შიგ „მშვიდობიანს" ქართულათაც ამბობდნენ, ხოლო ქართული გალობა სრულიადაც არ იყო. საცა „მშვიდობიანი" ქართულია, გალობაც ქართული უნდა ითქვას. ძველის-ძველ ტაძარში, როგორც სიონია, ორი გუნდი მგალობელთა გალობს და არც ერთმა არ იცის ქართული გალობა. რა საჭიროა სიონში მეორე ხორო მგალობელთა? ყოველდღეობით ეს გუნდი არა გაღიობს, ბევრს უქმე-დღესაც, ნამეტნავად ზაფხულობით, სრულიად არ დაიარება, მაშ რაღა საჭირო იყო ამ უქმი ხოროს ხარჯის გადახდა, და თუ კიდევ დაინახეს საჭიროთ მეორე ხოროს მოწვევა, უნდა ვალად დაედვათ, რომ ქართულიც ეგალობნათ, თუ სრულიად არა, უფალო შეგვიწყალენ მაინც, წმინდაო ღმერთო და სხვა მოკლე საგალობლები. ქართული გალობის შესწავლა ისე ძნელი არ არის, როგორც გვესმის, იმიტომ უფრო გვეძნელება, რომ არ ვიცით და არც მასწავლებლები გვყავს, რომ გვასწავლონ. ქართული გალობა მარტო ქართველებმა კი არ უნდა თქვან, რუსებმაც იციან, უფრო უკეთესათ ქართველებზე: სადილის მრავალ ჟამიერს რუსები უფრო კარგათ ამბობენ, სანამ ქართველები, იმიტომ, რომ რუსებს ხმაც დიდი აქვთ, ჯანიც მოსდგამთ და უფრო მიტომ, რომ რუსების კოჭი ყოველთვის ალჩუზე ზის და ემღერებათ კიდეც. ბევრ სასწავლებლებში ხოროებში ქართულსაც ამბობენ და მშვენიერადაც გალობენ, ბევრგან რუსული კილოთი ამბობენ—ძრიელ კარგათაც გამოდის, რუსული კილო გალობას არას დაუშლის, უფრო შეავსებს და დაამშვენებს. სიონშიაც მეორე ხოროს უნდა დავალებული ჰქონდეს ქართული გალობაცა სთქვან ხოლმე, ვინც მოიწვიეს თავათვე, მაშინვე უნდა ეფიქრათ ამაზე და მოეწვიათ იმისთანა ლოტბარი, რომელიც შესძლებდა ორივეს სწავლებას. მართალია ბევრს კეთილ სურვილს წინ

გადაეღოზეზა ხოლმე დამაბრკოლებელი მიზეზები, იქნება სიონის ხოროს მოწვევაშიაც იყო რამე, რაც უშლის ქართულ გალობასაც, მაგრამ მაინც ხელის გაქნევაც საჭიროა, საჭიროა სიფხიზლე თვალით და გვახსოვდეს რუსული ანდაზა: თუ ყმაწვილი არა ტირის, დედამ რს იცის რა უნდაო. თუ გინდათ, რომ დედინაცვალმა ცოტა წყალობის ხელით მოგმადლოს, ცოტა ხმა ამოიღეთ, ნუ ვართ გადვრენილები და ილაჯ-დაწყვეტილნი. ზოგჯერ თქმაცა სჯობს უთქმელობას, ხოლო ნურას ნუ დავაშავებთ, რომ ურიგო თქმით არა წავახდინოთ-რა.

* * *

ახალი საუმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

მიიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

ეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

ელიწადი ანგარიშება 1 ნოემბრიდამ 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის პროგრამმა:

1) მოთხრობანი და ლექსები; 2) ისტორიული და სამეცნიერო-მულიარული წერილები, ბიოგრაფიები, მოგზაურობა; 3) ადმოჩენა და მოგონებათა ქრონიკა; 4) ნარევი: მოსწრებული სიტყვა-ბანი და ანეგდოტები.

5) სათამაშონი, კასართობანი, რებუსები, ამოცანები, შარადა, გამოცანები, საუმაწვილო კარრიკატურები და სხვ.; 6) პედაგოგიური წერილები; 7) მკითხველთა წერილები; 8) ფოსტის ყუთი და 9) განცხადებანია

ჟურნალის ფასი ერთად ორივე გამოცემა დირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.

გამომცემელი ჟურნალისა **კნ. ნინო ე. ძოგულაშვილი.**

რედაქტორები { **კნ. ელ. დ. ერისთავისა.**
ნინო ნიკ. ზურაბიშვილისა.

რედაქცია ჟურნალისა იმეოფება ალექსანდრეს ქუჩაზე, № 5, სა-
ხლი ბოგოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი.

ხელის მოწერა მიიღება:

რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журн. „НАКАДУЛИ“.

გამოვიდა ახალი წიგნი

...ლა ჩვენებურ პრესასა და საზოგადოებაში შე...
...რულ შეცდომა-ნაკლულევანებებთან.

შინაარსი ამ წიგნისა:

...ური პრესა, ანუ ყურნალ-გაზეთობა და მათი სიყალბე. 3
...შუალებას ხმარობენ ჩვენებური ყურნალ-გაზეთები სიმ...
...რთლის გამოსარკვევად 9
...ულნა აქვს მკითხველ საზოგადოებაზედ ყურნალ-გაზე...
...თების ერთმანეთ-შორის დანძღვა-გინებას? . . . 20
...აცემულ პრესაში არც კრიტიკულ შენიშვნებს აქვს რა...
...გავლენა 23
...თან მისაღწევი კაზის სხვადასხვაობა და მოღვაწეთა სამ...
...ობლოსადმი მოვალეობა 24
...ი, ანუ ყურნალ-გაზეთებისთვის უცნობი მოღვაწეები
...ალ ფეხ-ადგმულ მკითხველთა შორის . . . 26
...ს კრიტიკა და როგორ უნდა მოქმედებდეს ის? . 28
...ი (ნამდვილი) კრიტიკის სიძვირე და ჩვენებურ კრი...
...ტიკოსთა თავისებური მიმართულება . . . 35
...ნ ნ. ყორდანიას წერილი ჩვენებურ პრესის შესახებ და ბ.
...ასალ-მოსულის კრიტიკა 37
...რა სოქკა აკაკიმ ქუთაისის თავ.-აზნ. კრებაზედ და რანაირად
...გადაამახინჯა იგი ბ. მოსაუბრემ? . . . . .
...ერი სამართლიანი საჩივარი და ორივეზედ უმართებულო შე...
...ნიშვნა . . . . . .
...ერ ერის ერთმანერთის თანაგრძნობა, დახმარება და ხე...
...ის შეწყობა, იქ არც რაიმე საკეთილო საქმის გაკეთე...
...ბა შეიძლება 80

[illegible]ტელი“ და „კვალი“; თითვეული მა-
სურვილი და ამ სურვილის განსახორციელებლად
მ[illegible]ქედება 88
[illegible] მიესალმენ ახალ ყურნ. „მოგზაურს“ ჩვენ [illegible]
[illegible]ზეთობა და რამდენად შეუწყვეს ხელი მის ხალხზე [illegible]
[illegible]ტელებას? 104
[illegible]ურნალ-გაზეთების უკან ნამძრსენა და [illegible]
[illegible]ედების უნაყოფობა საზოგადო საქმეში? . . . 113
[illegible] „შურდულს“ და „იგერიას“-ს . . . 115
[illegible] [illegible]-კითხვის გამავრცელებელ საზოგადო-
ებას 118
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible]ლ[illegible]ენლ[illegible] [illegible]ი [illegible]ი [illegible]ბ[illegible] 121
[illegible] [illegible]ზ[illegible]ი [illegible]ბ[illegible] [illegible]ბ[illegible] [illegible]
[illegible]ი [illegible]
[illegible]ბ[illegible] [illegible], [illegible] [illegible] [illegible] [illegible] 139
[illegible] [illegible]ბ[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] 146
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible]
[illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] [illegible] 151

ფასი 35 კაპ.